ციალა არდაშელია

დაშთომილ ვართ ყურესა ამას ...

ისტორიულ-მხატვრული ნარკვევები, წერილები

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი 2014

უაკ.(UDC) 821.353.1-32
ა-781

რედაქტორი **ელზა მეტრეველი**

მხატვარი **ნუგზარ მგალობლიშვილი**

დამკაბადონებელი **თამარ ტყაბლაძე**

© გამომცემლობა „მერიდიანი“, 2014

© ც. არდაშელია

ISBN 978-9941-10-899-0

ავტორისგან

წინამდებარე კრებულში თავმოყრილია ბოლო სამი ათეული წლის განმავლობაში დაწერილი ისტორიულ-მხატვრული ნარკვევებისა და პუბლიცისტური წერილების ერთი ნაწილი. „მთიებთა სამაია“ („საუნჯე სათნოებისა“) პირველად 1986 წ. გამოქვეყნდა. გამომც. „ნაკადულმა“ – მიზეზთა გამო, იგი ალაგ-ალაგ შეკვეცილი სახით და იმ დროისთვის ერთობ მცირე ტირაჟით დასტამბა. თუმცა, რომ არა პოეტ მორის ფოცხიშვილის თანადგომა (იმხანად „ნაკადულის“ დირექტორი იყო), წიგნი შეიძლება საერთოდ არც დაბეჭდილიყო. ლიტერატურისმცოდნე რეზი თვარაძის აზრით, ეს ნარკვევი გამოსვლისთანავე, ბესტსელერად იქცა. აწ უკვე შევსებული ნარკვევებისა და წერილების საერთო სათაურად შემთხვევით არ შემირჩევია მე-8 საუკუნის ჰაგიოგრაფის, დიდებული იოვანე საბანისძის სიტყვები „ჰაბოს წამებიდან“, როცა ქვეყანა არაბების შემოსევის გამო – ყოფნა-არყოფნის ზღვარზე იყო, როცა: „აღვირიენით ერსა უცხოსა“. პოეტის თქმით, დასაბამიდან საომარ ლელოდ გადაქცეული საქართველო, ჟამიდან-ჟამამდე ნიკოფსიით დარუბანდამდის რომ იყო გადაჭიმული, დღესაც, როგორც არაერთხელ დაკუწულ-დაჩეხილი, მართლაც მცირე ყურედ თუ აღიქმება თანამედროვე მსოფლიოს თვალში. ანუ: ამირანივით იგი კვლავ კავკასიონის კლდეზეა თითქოს მიჯაჭვული და ისევ-ისე გულ-ღვიძლს უკორტნიან გარეშე თუ შინაური ყვავ-ყორნები.

ე.წ. გლობალიზმისა და ინტეგრაციის ეპოქაში, ხშირად – ფსევდო-დემოკრატიის ფონზე – საქართველო არა მხოლოდ კიდურებმოგლეჯილ, სისხლმდინარე, გაღატაკებულ-გამათხოვრებულ ქვეყანად იქცა, არამედ მას უკვე შიგ გულში აქვს მახვილი გარჭობილი – შიდა ქართლის სახით! მართლაც რომ: „ქართლის ჭირსა ვერვინ მოსთვლის!“ პარადოქსია თითქოს, მაგრამ ფაქტია, რომ კაცობრიობის ცივილიზაციის ერთ-ერთი უძველესი ფუძის ჩამყრელი – ხორბლის,

ვაზის თუ მეტალურგიის სამშობლო, ერთ დროს „ოქროს საწმისის“ მფლობელი, სამი სრულყოფილი დამწერლობის მქონე, ბრწყინვალე საერო თუ სასულიერო ლიტერატურისა და ხელოვნების შემომქმედი, მსოფლიო მნიშვნელობის მეცნიერთა სამჭედლო, სარწმუნოებისა და მამულისთვის თავდადებულ უთვალავ გმირთა სამკვიდრებელი ანუ კოლხ–იბერთა მოდგმა-გადაშენების, მიწის პირიდან აღგვის საშიშროების წინ აღმოჩნდა – თანამედროვე გარკვეული ძალების მიერ გეზმიმართული. დიახ, აკაკის თქმით, ეს დამხვდურად მებრძოლი ერი, უცხოთა ქომაგი და შეჭირვებულთა შემფარებელ-შემწყნარებელი – დღეს შაგრენის ტყავივით დალეულა – ზოგ-ზოგი მტერ-მოყვრისა თუ უმადური მეზობლების წყალობითაც. თუმცა, ქართველს გულის გატეხვა არ სჩვევია. აკი, დიდი ილიაც ასე მიმართავს თავის სათაყვანებელ სამშობლოს: „აწმყო თუ არა გწყალობს, მომავალი შენია“-ო. საქართველოს უგვირგვინო მეფემ მშვენივრად უწყოდა – დიდი წარსულის მქონე ქვეყანას – მომავალიც დიდი ექნებოდა, რომ გმირთა-გმირი ამირანი, აკაკის აზრითაც, თავს აიშვებდა – გაწყვეტდა ჯაჭვს და ქვეყანას სიხარულად შეეცვლებოდა ამდენი ხნის გასაჭირი, ვაჟას დაჭრილი არწივიც კვლავ ცაში გაინავარდებდა და თამამად დაიძახებდა: „საქართველო აღსდგა მკვდრეთით“-ო, რომ ამა ენასა შინა დამარხულ არს საიდუმლოება ქვეყნიერებისა, მოვა უფალი და ამ ენით განიკითხავს კაცობრიობას.

დიახ, ჩვენი რწმენითაც: ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა, დედა-ღვთისას – საუფლისწულო – კვლავაც გაბრწყინდება! ამინ!

2014 წ. თბილისი

მთიებთა სამაია

(„საუნჯე სათნოებისა“)

შესავალი

უძველესი დროიდან ქართველ ქალებს უამრავი აპოლოგეტი ჰყავდა როგორც ჩვენში, ისე ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ. უცხოელი მოგზაურები თუ ისტორიკოსები, მისიონერი ბერები თუ მეცნიერ-მკვლევარები, პოეტები თუ მწერლები ხოტბა-დიდებას ასხამდნენ ქართველი ქალის სიტურფეს და გონიერებას, ქვეყნისა და ერის წინაშე მის საარაკო ერთგულებასა და თავგანწირვას. ამასთან, განსაკუთრებით ხაზგასმით აღნიშნავდნენ ჩვენი ქალების ზნესრულობას, რითიც ისინი სხვათაგან გამოირჩეოდნენ.

თვით ქართველ ერშიც ღრმად დამკვიდრებული და ფესვგადგმული ეს შეხედულება ქალებზე უთუოდ ნასაზრდოები გახლდათ რეალური გარემოებითა და ათასწლოვანი ტრადიციით.

თანამედროვე არქეოლოგიური და ისტორიული გამოკვლევები ცხადყჰოფენ, რომ ჩვენთვის, როგორც უძველესი მიწათმოქმედი ერისთვის, ნიშანდობლივი იყო მნათობთა თაყვანება, ხოლო თავდაპირველი უზენაესი ღვთაება-შემოქმედი ქვეყნიერებისა — ქალად წარმოიდგინებოდა. ცის ამ დიდ დედა-ღმერთს (დიაუფალს) უკავშირდებოდა ადამიანის სვე-ბედი. იგი იყო მფარველი და ქომაგი მთელი ერისა. აქედან უნდა მომდინარეობდეს ის უდიდესი რიდი და მოკრძალება დედათა სქესის მიმართ, რაც აისახა ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში, ლეგენდებსა თუ თქმულებებში, სიმღერებსა თუ ცეკვებში, ხალხის ზნე-ჩვეულებებში.

ცის ღვთაება დიდი ნანა დროთა ვითარებაში კოლხ-იბერთათვის თანდათან გარდაისახა მზედ და იქცა უზენაეს ღმერთად.

იყო პერიოდები, როცა მამრული ღვთაებანი სძლევდნენ ხოლმე მდედრულს, მაგრამ ქალისადმი, ანუ მზისადმი თაყვანისცემა ისე მყარად იყო ფეხმოკიდებული, ისე ჩაკირულ-ჩადუღაბებული ერის ფსიქიკაში, რომ ვერანაირმა ძალამ ვერ შეძლო მისი აღმოფხვრა-ამოძირკვა ერის ცნობიერებიდან: დრო-ჟამიც უძლური აღმოჩნდა მის წინაშე. ამის ნათელი დასტურია თუნდაც ღვთისმშობლის —

მზე-მარიამის წილხვედრად რომ მიიჩნევენ საქართველოს. გადმოცემის თანახმადვე, ჯერ კიდევ პირველ საუკუნეში უქადაგიათ ჩვენში ქრისტიანობა ანდრია პირველწოდებულს, სიმონ კანანელს და მატათას, მაგრამ ქვეყნისა და ერის განმანათლებლად ქართველობამ მაინც ქალი — წმინდა ნინო აღიარა. ეს, რა თქმა უნდა, არ არის შემთხვევითი ამბავი. ჩვენი ღრმა რწმენით, ქალის კულტის ტრადიცია დასაბამიერია, იგი მომდინარეობს უხსოვარი დროიდან და სათავეს იღებს სწორედ ქალღვთაება დიდი ნანასა და შემდეგ მზის თაყვანებიდან. და, თუმცა საუკუნეების განმავლობაში სხვადასხვა ვითარების გამო თითქოს დამცრობილი იყო ქალის როლი, მაგრამ, განსხვავებით სემიტური და ინდოევროპული რასისგან, კოლხ-იბერიელთა ცხოვრებაში დედათა სქესს უდიდესი და ხშირად უპირატესი ადგილი ეჭირა ხოლმე.

ამდენად, მოულოდნელი არ უნდა იყოს საქართველოში „ქალი-საკვირველება“ — თამარის გამოჩენა, ისევე, როგორც წმინდა ქეთევანის მოვლენა არ უნდა მივიჩნიოთ უჩვეულოდ.

დიდ არს ძალი სიყვარულისაი, რომელ მორჩილ ჰყოფს გონებასა შეკადრებად შეუკადრებელთაცო, — ნათქვამია. ამ წიგნის ავტორს, რასაკვირველია, არა აქვს პრეტენზია, სრულად, ამომწურავად ასახოს ერის შინაგანი რწმენისა და ზნეობის მატარებელი ამ დიდბუნებოვანი ქალების — თამარის, ქეთევანის და სხვათა ცხოვრება და მოღვაწეობა (ეს, ალბათ, დიდ შემოქმედთაც გაუძნელდებოდათ), მაგრამ შეძლებისდაგვარად შევეცადეთ, წყაროებზე დაყრდნობით, დოკუმენტურად წარმოგვეჩინა, აკაკის თქმით, მთიებთა სადარი, სულიერი სიდიადისა და ზნესრულობის მხოლოდ ზოგიერთი, ჩვენი აზრით, მნიშვნელოვანი და საყურადღებო მომენტები, წინა პლანზე წამოგვეწია დედათა სქესის ხშირად გადამწყვეტი როლი ჩვენი ქვეყნის ისტორიაში, რადგან, ჩვენი ღრმა რწმენით, ქალის კულტი საქართველოში ერთიან, მთლიან კონცეფციას ემყარება, რაც, როგორც ზემოთაც ითქვა, დასაბამს იღებს ქართველი ერის უძველესი მითოლოგიურ-რელიგიური წარმოდგენებიდან, მისი მრავალათასწლოვანი წესჩვეულებებიდან, თაობიდან თაობას რომ გადაეცემოდა და ამა თუ იმ სახით თავს იჩენდა ჩვენი ქარტეხილიანი ისტორიის გრძელ გზა-სავალზე.

„მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი“

...ბორძიკით, ხელის ფათურით, გულის ხეთქით, მაგრამ მაინც დაჟინებით მიიკვლევდა იგი გზას უკუნეთში, გარს რომ ერტყა. როცა ქანცგაწყვეტილი, დაკაწრულ-დაშაშრული, თავპირდასისხლიანებული დაენარცხებოდა ძირს, **დედა-მიწა** ალერსიანად იკრავდა თავის უბეში, დედური სიყვარულით ანუგეშებდა, ფეხზე წამოდგომაში შველოდა ჯერაც უსუსურ, უმწეო არსებას, ზევით ახედვა რომ ვერ გაებედნა, თვალი რომ ვერ გაესწორებინა ცარგვალისთვის.

მაგრამ ნელანელაობით, თანისთანობით მისი მზერა მიიწევდა მაღლა, ცის ლაჟვარდისკენ, ზესთაზენური უსაზღვროებისკენ და ლამობდა მასთან შერწყმა-შენივთებას. იქიდან, ანაზდეულად გახსნილი ზეცის კარიბჭიდან, იმზირებოდა სამყაროს დიდი დედა — დია-უფალი, რომელიც განაგებდა ზეციურ, მიწიერ და წყლის ძალებს. იგი იფარავდა და იცავდა თავის ნაშიერთ: სიავისგან, უკეთურისგან, უბადოსგან, ავსულისგან, რამეთუ ღვთაება ნანა, ცის დიდი დედოფალი, თანაბრად მოწყალე და ლმობიერი იყო ყველას — მათ შორის, უწინარესად, კოლხ-იბერიელთა, ანუ ქალდეველთა მიმართ.

სხვადასხვანაირი სახელი ერქვა სამყაროს ამ დიასახლისს. ზოგი ხალხი მას ნინთურს, ინანას, ნინის, ნანას ეძახდა, ზოგი — იზიდას, იშთარს... („ეს მე ვარ, ჩემს ხალხს რომ ვბადებ!“). სხვადასხვანაირად მიმართავდნენ მას, მაგრამ საერთო და საყოველთაო იყო სიყვარული და თაყვანება დედა-ღვთაებისადმი, ცის დია-უფლისადმი (დეა, დია — ეგვიპ. ნაყოფიერების ღმერთქალია).

კოლხ-იბერთა ლოცვად აღვლენილი ვედრება ამ დიდი ნანას, ცის დედოფლის ღვთაებრივი სიკეთით იყო გამთბარი, მისი მადლით ნაკურთხი.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, ღმერთი თავდაპირველად სწორედ მდედრობითი სქესის უნდა ყოფილიყო, ანუ ცის

ღვთაება აფროდიტე — დიდი ნანა, ცის დედა-უფალი. ამასთან, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებით: „ოდესღაც ქართველ ტომებს სათავისთავო სათემო ღვთაებათა გარდა — ყველასთვის საერთო რწმენაც ჰქონიათ, საერთო ქართული წარმართობაც ყოფილა“[1]

და უგალობდა თუბალ-კაინის მოდგმა ცის მეუფეს და მის ნაშობ დილის ციაგს (ო, დილა, დილა), ო-რე-რას თუ ჰა-რა-ლეს, რა-ევოს თუ ჰა-რი-რას (ეგვიპ. **რა** მზეს ნიშნავს), აიას თუ ეას, ლილეს თუ მზე-ბარბალს... მის სადიდებლად აგებდა ტაძრებს — ჩვენში დედოფლის ველზე გათხრილი ქალღმერთის საყდარი ერთ-ერთი უდიდესია მთელს წინა აზიაში; ქმნიდა ქანდაკებებს: ფაზის-ქალაქის შესასვლელ კარიბჭესთან იდგა ქალღმერთი ფასიანეს (ფაზისელის) სკულპტურა. მის ფეხებთან ვეფხი და ლომი იწვნენ, ხელში წინწილა ეჭირა. ძველი ბერძნები ფაზისელ ღმერთ-ქალს რეა-კიბელესთან აიგივებდნენ, ხოლო რეა, როგორც ცნობილია, მიაჩნდათ დედა-ღმერთად. ზოგჯერ მას გეასთანაც ათანაბრებდნენ, რომელმაც კუნძულ კრეტაზე გამოქვაბულში შვა და აღზარდა ზევსი.

ათასწლეულებს ცვლიდა ათასწლეულები. საუკუნეების ნისლსა და ჯანღში, მეწყერად და მერეხად მოვარდნილ ქარტეხილებში გაუფერულდა და გაიცრიცა ქალ-ღვთაების სახე. იმძლავრა მამრულმა. ურჩმა. ჯიუტმა. კოლხ-იბერთა წარმოსახვაში კი დიდი ნანა თანდათანობით გარდასხეულდა მზედ, ანუ მზე იქცა დედა-უფლად. მამა-ღვთაება კი მთვარეს დაუკავშირდა[2].

1 ივ. ჯავახიშვილი. ქართველი ერის ისტორია. ტ. 1. თბ. 1979., გვ. 120.

2 აქედან იღებს, უთუოდ, სათავეს თეთრი გიორგის კულტი პონტოსა და ძველ კოლხეთში. შემდეგ იგი შეცვალა წმინდა გიორგიმ და ქართულ სახელმწიფო დროშაზე თეთრ ცხენზე ამხედრებულ რაინდად გამოისახა. სახელმწიფო ბეჭედზეც გიორგი დაიწერა და მისი სახელობის 365 საყდარი აიგო. ავტ.

„მზეო-დედავ, მამავ-მთვარევ, ვარსკვლავებო, ჩემო მზეო, ჩამოუშვით ოქროს სკამი, აღარ არის ხელმწიფეო...“ („ანანას ზღაპარი“).

„ბჟა დია ჩქიმი, თუთა — მუმა ჩქიმი, ხვიჩა-ხვიჩა მურიცხები და დო ჯიმა ჩქიმი“ (მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, მოჟიკჟიკე ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი).

მზე იმთავითვე უფრო ქალად და არა მამაკაცად რომ ჰყავდა წარმოდგენილი ქართველ ერს, ჩანს ამ ლექსიდანაც:

„ცაზე მზე დაბნელებულა, მთვარე აყრიდა შაქარსა. მთვარევ, ნუ აყრი შაქარსა, არავინ მოგცემს მაგ ქალსა“. ანდა: „დაიძინე, გენაცვალე, იავნანინაო, მზე დაწვა და მთვარე შობა, იავნანინაო“. ზოგ ლექსში მზე მთვარის დაა.

დიდებულ მნათობს სხვადასხვა ენაზე ადიდებდნენ და უგალობდნენ სხვადასხვა ერები. **ამონ-რა** შემოქმედი ღმერთია ეგვიპტელებისთვის, ხოლო არწივი მზესთან არის გაიგივებული, ანუ მისი სიმბოლოა (ხახულის, ოშკის ტაძრებს ამშვენებდა ფრთაგაშლილი არწივის გამოსახულებანი).

ანტიკურ თებეს ხელდასხმულნი უწოდებდნენ მზის ქალაქს ანდა მზის კიდობანს, რადგან მასში ინახებოდა ღვთიური სიბრძნის სინთეზი და ხელდასხმის ყველა საიდუმლო. ეგვიპტელი ზიარებულნი ევედრებოდნენ მზეს — ოზირისის სახით: „პატივი და დიდება შენ, მზეო, უფალო ჭეშმარიტებისაო, უფალო ღმერთთა... შენა ხარ, რომელი მოისმენ ჩაგრულთა ჩივილს... შენ გიცემს გული მათთვის, რომელნი მოგმართავენ შენ... შენა ხარ მოსამართლე ძლიერთა და სუსტთა!“

შუმერებში მზის ღვთაების **უთუს** სიმბოლო — ხარია (აქად. შამაში), ხოლო ქალღმერთი ნინთური, ანუ ინანა (აქად. იშთარი) უთუს დაა — აისისა და დაისის განმასახიერებელი, მას მთავარ დედა-ღვთაებადაც მიიჩნევდნენ შუმერები, ნაყოფიერებისა და გამრავლების მფარველად. **ინდრა** მზის ღვთაება იყო ინდოეთში, ხოლო **აგნი** სამებას წარმოადგენდა (მზე, ცეცხლი, ელვა). ძველი ინდური თქმულებები

ლაპარაკობენ მზისა და მთვარის დინასტიებზე. პირველი დინასტიის მეფეები მზის შვილები იყვნენ, მეორენი — მთვარისა. ინდური ეპოსის მაჰაბჰარატას მთავარი ბრძოლა მიმდინარეობს პანდავებსა — მზის შვილებსა და კაურავებს — მთვარის შვილებს შორის. ამ გიგანტურ ეპოსში კაურავები იმარჯვებენ. არჯუნა — მზის ციკლის მეფეთა შთამომავალი, ჩამოგდებულია ტახტიდან და გაძევებული. ინდოელების რწმენით, კურუს ველზე გამართულ ბრძოლაში გადაწყდა მთელი კაცობრიობის ბედი, რადგან ამ პერიოდიდან, ანუ მზის შვილთა დამარცხებით იწყება ბნელი პერიოდი (კალიუგა).

საყურადღებოა, რომ ინდურ ეპოსში (და, საერთოდ, ინდოევროპელთა მითოლოგიაში) მზე — განსხვავებით ქართულისგან — მამაკაცური საწყისების მატარებელია, ხოლო ბნელის, ანუ ქალურის — მთვარეა.

ირანული **აჰურა-მაზდა** — კეთილისა და ნათლის შემოქმედი, უშუალოდ მზე კი არ არის, არამედ ღვთის სიტყვაა, ძეა. მისი შექმნილია მზე და მზე ხატია იმ სულიერი არსებისა, მზიური სიტყვისა, ანუ აჰურა-მაზდასი.

მითრა ცის ნათელია, ორმუზდის თესლი, ნივთიერი სინათლისა და ცეცხლის დასაბამი. მზე ეზოთერულ მოძღვრებაში მხოლოდ გარეგანი, უხეში ანარეკლია ამ სინათლისა (ფალაურად მზეს ერქვა ხვარ. ქალის სახელი ხვარამზე ნიშნავს მზეთა მზეს).

ბერძნულ მითოლოგიაში აპოლონი სინათლეს განასახიერებს, გონიერსა და არანივთიერს, საიდანაც მომდინარეობს ყოველი ჭეშმატირება და რომლის ფიზიკური სურათ-ხატია ხილული მზე. მზის კულტი გავრცელდა რომშიც.

მზე და იმპერატორი ერთი ბუნებისანი იყვნენ და თანაბრად უძლეველნი; საკულტო მზეს ერქვა sol invietus — უძლეველი მზე. 174 წ. მარკუს ავრელიუსმა ააგო sol invietus-ის ტაძარი. იაპონელებში მზე — შინტო (დიაცი) წინაპარია მეფეთა.

...ძველი ბერძნები ფაზისს მზის შვილად მიიჩნევდნენ, კოლხნი კი ფაზისის შვილები იყვნენ. აიეტი — კოლხთა

მრისხანე და ძლევამოსილი მეფე, „რომელსაც ქვეყნად ვერავინ გაუტოლდება“ — მზის შვილია: „...და მზის ღვთაების შვილის გარშემო ცხოვრობს კოლხების ურიცხვი ტომი“.

აიეტის საბრძანისი მზის სამეფოს წარმოადგენდა[1] (სხვათა შორის, კოლხთა მზის შვილობის ტრადიცია დიდხანს ცოცხლობდა სხვადასხვა ხალხებში, ამ მხრივ საყურადღებოა გერმანელი პოეტის ფრიდრიხ ჰოლდერლინის (1770-1843 წ.) ლექსი „მოგზაურობა“. გერმანელი მშობლები თავიანთ შვილებს აგზავნიან მზის შვილებთან — კავკასიაში. ჯერ უნდობლად შეხვდებიან მოსულნი და დამხვდურნი — მზის შვილთა შთამომავალნი — ერთმანეთს, შემდეგ კი სიყვარულით ჩამოართმევენ ხელს, იარაღს გაცვლიან და დაძმობილდებიან.[2]

ბერძნულ თქმულებაში ასევე ხაზგასმით არის მითითებული აიეტის დის — კირკეს მზიური ბუნება. მშვენიერკულულებიანი, სახენათელი კირკე, ანუ ცირცეა ჰელიოსის ქალიშვილია.

„ორფიკულ არგონავტიკაშიც“ გამოკვეთილია აიეტის — ჰელიოსის ძის მზიური ბუნება და ხასიათი. როდესაც აიეტი უახლოვდება არგონავტებს, იგი აბრმავებს მათ თავისი აღჭურვილობის ბრწყინვალებით. კირკეც ასევე დამაბრამეველი სხივებით ელავს: „კირკეს თავზე ცეცხლის ისრების დარი თმები ედგა (მზისშვილობის სიმბოლო, მისი ნიშანი), ლამაზი სახე უბრწყინავდა, ხოლო მისი სუნთქვა ირგვლივ ელვარე ნათელს აფრქვევდა“.

მზის შვილები ერთმანეთს თვალებით ცნობენ, „რადგან მზის ღმერთის მემკვიდრეები აფრქვევენ თითქოს სხივებს შორიდან და ეს ნიშანი საგვარეულო იყო იოლი გამოსაცნობი“.[3]

---

1 აიეტი „მოკვდავთა მანათობელს“ ნიშნავს ბერძნულად. მეორე ვერსიით — აია-ელს. აკაკი წერეთელი თავისებურად ხსნის მას: ია-თა მეფეო. - ავტ.
2 შ. რევიშვილი. გერმანულ-ქართული ეტიუდები. თბ. 1977., გვ. 139;
3 აპოლონიოს როდოსელი, არგონავტიკა. თარგ. მ. გელოვანისა, თბ. 1977წ.

...მზეს ბევრი ხალხი ეთაყვანებოდა, მაგრამ მზე — დედაღვთაება ცოტას ჰყოლია. იმ ცოტაში ჩვენც შევდივართ, ქართველები, და ეს არ არის შემთხვევითი ამბავი. დიდი ნანა — სამყაროს ღმერთი — მიწის, წყლისა და ცის მეუფე — გარდაისახა მზედ, რომელიც ქალად ჰყავდა წარმოსახული ჩვენს ერს. კოლხ-იბერის ფსიქიკა, მისი სულიერი წყობა, როგორც ჩანს, ვერა და ვერ შეელია თავის დიდ ნანას, სიკეთის, სიყვარულის, სიცოცხლის და მშვენიერების წყაროდ რომ ჰყავდა მიჩნეული, მის სახე-ხატებას წარმოადგენდა.

„ჰოი ლილევოდა, დიდება შენდა, ზეციერო, დიდება შენდა“, უგალობდა იგი დიდებულ მნათობს.

მზეო, ჩვენო დიდო დედავ, ჩვენო ლამაზო ნანავ, გვაცხე შენი მირონი, გვაკურთხე შენი მადლით, გაგვათბე და გაგვახვიე შენს სხივოსან, ნათელ ჩქერალში... — შესთხოვდნენ ქალღვთაებას გულმხურვალედ: — გევედრებით, მალე ამოდი. გორებს ნუ ეფარები. ჩქარა მოგვფინე შენი ოქროსფერი სხივები. ჩქარა, თორემ უშენოდ სისხლი გვეყინება ძარღვებში, ჩქარა მოგვაშველე შენი შუქმფინარი სხივების მხურვალეება; შენი დიდი წყალობა გვიბოძე, ჩვენო დაუღლელო დიდო ნანავ, რომ მარად ჟამს გვფარავდეს და გვიცავდეს შენი ხატება, შენი აურწყავი და აუწონავი მადლი და სიკეთე.

შენი ნათლულებია ჩვენი ლამაზი ქალწულები, შენი ნატეხებია ჩვენი მზეჭაბუკები... შენს სახელს ფიცულობენ ჩვენი მზექალები, მზიები, მზისახარები, მზევინარები, იათამზეები, პირიმზეები, შენი ოქროსთმიანი და სახენათელი მოდგმა.

„მზევ შინა და მზევ გარეთა, მზევ შინ შემოდიო“, — უმღეროდა შვილს ქართველი დედა და თავის სამყოფელში შემობრძანებას ევედრებოდა ღვთაებას, ყრმის სულში დავანებას შესთხოვდა: „მორთია ჩხანაია, თოლეფ ობარჩხალაია“, — მოდი, მზეო (მზიანო დღეო), თვალებბარჩხალა მზეო!.

დიდება მზესა და მზის მიმყოლ ანგელოზთა, დიდება მზის ყველა ანგელოზსაო, — ილოცებოდა კოლხ-იბერი. ქართულ წეს-ჩვეულებაში ჩაილექა ეს თაყვანება. ქართული ჭიაკოკონა მზეზე გადახტომაა სამჯერ, მარჯვნივ შემობრუნება — მზესთან დაკავშირება.

მზის სილამაზემ ქართულ საცხოვრისშიც შემოანათა. გლეხური დედაბოძი საკულტო ნაგებობაც გახლდათ ამავე დროს. დარბაზის ცენტრში იდგა სვეტი — ცხოვრების ხე, ხოლო სვეტის თავზე გამოსახული იყო წრიულად განფენილი მზის სხივები. ეს იყო ბორჯღალი — მზის ქართული სიმბოლო, ისევე, როგორც ჩაუმქრალი კერა განასახიერებდა მარადიულ ცეცხლს (ანუ დედამიწის, მზისა და წყლების ქალღვთაება — დიდი დედა განხორციელებული იყო კერაში).[1]

ვაზის მტევნებია გამოსახული ჩვენი ტაძრების კედლებზე. მზის სიმბოლოები: ლომები, ტორაწეული ცხენები, ირმები, ხარის თავები, ჯვარი, სვასტიკა, ვაზი და სხვ. — გვხვდება უძველეს ბალთებზე, ცულებზე, სვეტისთავების ორნამენტებზე, თრიალეთურ თასზე, ქართულ ნაქარგობებზე, ძველ ხელნაწერებში, ფრესკებზე და ა.შ. ბორჯღალი, მზე და ხარის თავებია ამოტვიფრული კოლხთა მონეტებზე, სალოცავებსა თუ ჩვეულებრივ საყოფაცხოვრებო საგნებზე. მზის სიმბოლოებით არის მოხატული დავით აღმაშენებლის სამოსი გელათის ფრესკაზე.

მტევანში ჩასულ მზის თვალს წურავდა ქართველი კაცი და მზეგრძელობას, მზეკეთილობას უსურვებდა თანამოძმეს, მერე ჯამით სვამდა **მზის** ამ ნაჟურს და კვლავ და კვლავ **ენა-მზიანად** ადღეგრძელებდა შინაურსა თუ გარეშეს, მოკეთესა თუ ახლობელს, სტუმარსა თუ მასპინძელს... მზის მადლი არ მოგკლებოდეთო, ილოცებოდა, ხოლო მტერს მზის დაბნელებით ემუქრებოდა.

მზე უშურველი იყო, მოწყალე, დაუღლელი. დაუღლელი მზის მადლმაო, ჩემმა მზემაო, ფიცულობდა და მტკიცედ

1 ქართველი მთიელები მზეს, როგორც ღმერთს, თაყვანს სცემდნენ სულ უკანასკნელ დრომდე, მეოცე საუკუნეშიც. - ავტ.

სწამდა მზის ნიადაგ მღვიძარობა. მთვარე მამად ეგულებოდა. იგი თეთროსანი იყო, მყიფე, ცივი და მაინც ახლობელი, მშობლიური („თუთა ახალი, ღორონთ სი გუმაახალი“ — ახალო მთვარევ, ღმერთო, შენ გამაახლეო, შესთხოვდა მნათობს), უთვალავი, თვალებბრიალა ვარსკვლავები კი და-ძმანი იყვნენ.

მზეს, მთვარეს და სხვა ციურ მნათობებს თავიანთი განსაკუთრებული დღეები ჰქონდათ მიჩნეული შვიდეულში — თავიანთი დღე-სასწაულები. ბჟა-შხა (ბჟაშ-დღა — მზის დღე) კვირა იყო, ორშაბათი — თუთაშ-ხა (თუთაშ-დღა) — მთვარის დღე. მნათობებს თავიანთი ქურუმები — მახვამურები — მლოცველნი ჰყავდათ — ბჟალავები, თუთაშ-ხიები, ჩხოლარიები, მირცხულავები (მეგრ. ჩხოლა-რა — მზის სხივებია, მურიცხი — ვარსკვლავი. ალბათ, აქედანაა: ურიცხვი), რომელთაც დაისაკუთრეს ცის ქურუმების — ცაავების ადგილი.

ათასწლეულებში, თაობიდან თაობას გადაეცემოდა მნათობებთან დაკავშირებული მისტერიები და ქურუმთა საქმიანობა. მათი შთამომავლები დღესაც ცოცხლობენ, თუმცაღა გვარებს თუ შემოუნახავთ წინაპრების მოღვაწეობის კვალი, სიტყვებში თუ ჩალექილა ოდინდელი, უხსოვარი დროის საკრალური მნიშვნელობის შემცველი მცნებანი ანუ: ქართველებში მზის — მზექალის გაღმერთება — ძირძველი ტრადიციის მქონეა. მზე — ვითარცა დედა-ღმერთი — ქართული წარმართული პანთეონის სათავეში იდგა წინაქრისტიანულ ხანაშიც. უძველეს საფეხურზე სწორედ მზე უნდა ყოფილიყო მთავარი ღმერთი, დედა-ღმერთი.

და ეს ბუნებრივია, რადგან ქართველურ ტომთა, ანუ ქალდეველთა — მეურნეობის მთავარ, წამყვან დარგს მიწათმოქმედება შეადგენდა. ხოლო მიწათმოქმედი ხალხისთვის ცის მნათობთა შორის მთავარი, ცხადია, მზე იყო. იმ შორეულ ხანაში ქართველურ ტომთა საზოგადოებრივი

ცხოვრების სათავეში დედაკაცი იდგა. ამიტომაც მზის ღვთაება დაისახა, როგორც ქალი-ღმერთი, ანუ მზე მიჩნეულ იქნა დიდ დედად, სხვა ღმერთების დედად.

***

მეცნიერთა უმეტესობის აზრით, ძველბერძნული თქმულება არგონავტებზე ჩვენი ქვეყნის ნამდვილ ცხოვრებასა და ბუნების ანარეკლზეა აშენებული, რომ იგი „ერთერთ უცხო საისტორიო წყაროდ ითვლება საქართველოს ისტორიისათვის“. (ა. ურუშაძე). სწორედ ამ უძველეს ბერძნულ თქმულებაში წარმოჩინდა პირველად მთელი თავისი ბრწყინვალებითა და დიდებულებით ქართველი ქალების სახე-ხატება.

ამ თქმულების მიხედვით კირკე, ანუ ცირცე — კოლხეთის მეფე აიეტის გრძნეული და — ჰელიოსის ქალიშვილია.[1] ამასთან, იგი თავად არის საპატიო ღმერთქალი, ენატკბილი, თვალებმზიანი. კირკე კუნძულ აიაიას მფლობელია, კუნძული აიაია კი გარიჟრაჟის სავანეა. აქ, აისზე შობილი ეოსის სასახლეში ეწყობა ფერხული: „და მზე ქვეყნიერებას იქიდან ანათებს“. აქ, დედამიწის სფეროს უკიდურეს დასავლეთში, ჰესპერიის ბაღებია. ამქვეყნიური სამოთხის ამ ბაღებში, ძველი მითების თანახმად, ხარობდა საუცხოო ოქროს ვაშლები, რომლებიც გეამ აჩუქა ჰერას ქორწილის დღეს. ამ ბაღს გველეშაპი დაეპატრონა. ჰერაკლემ გველეშაპს თავი მოჰკვეთა და ვაშლის რამდენიმე ნაყოფი წამოიღო. ხოლო პირმშვენიერი, გრძნეული კირკე ჰელიოსმა თავისი ეტლით გადაიყვანა ჰესპერიაში და კუნძულის მფლობელობა ჩააბარა. **აია** ანტიკური ხანის მოღვაწეებს, ჩვეულებრივ, კოლხეთის ტერიტორიაზე ეგულებოდათ. იგი

1 აკაკი წერეთლის მოსაზრებით — კირკეა-ცირცეა მიღებულია თირვისგან. თირვა-გათირვა — გაქვავებას ნიშნავს. თირთეას, ანუ ცირცეას სწორედ რომ შეეძლო ადამიანის არა მხოლოდ ღორად ქცევა, არამედ მისი გაქვავებაც (ა. წერეთელი თხზ. სრ. კრ. 1957ნ. გვ. 492.).

ტროისა და მიკენის ეპოქაში არსებულ შორეულ და იდუმალ ქვეყნად მიაჩნდათ. ზოგი მკვლევარის აზრით, აია-არგონავტების თქმულების უძველეს ვერსიაში, ისევე, როგორც აიაიე ჰომეროსთან, ჯერ კიდევ არ იყო გაიგივებული კოლხეთთან და იგი ზღაპრულ და მზიურ ქვეყნად გაიაზრებოდა სადღაც შორეულ აღმოსავლეთში, რომ კოლხეთთან აიაიას დაკავშირება შედარებით მოგვიანებით, ყოველ შემთხვევაში, ჰომეროსის ეპოქის შემდეგ უნდა მომხდარიყო და ა.შ. რომ თითქოს ბერძნებს სწამდათ დასავლეთის, ანუ კირკეს, და აღმოსავლეთის, ანუ აიეტის — აიას არსებობა. „ოდისეას“ მიხედვით კი აიაია დასავლეთში — ტირსენიის ზღვაში კი არ არის საგულვებელი, არამედ სწორედ აღმოსავლეთში. ანუ: მსოფლიო მისტერიების ცენტრში — კოლხეთში[1]

ჰომეროსის „ოდისეაში“ კირკეს ბრწყინვალე სასახლეს მთის მგლები და ლომები იცავენ. კირკეს ანუ ცირცეს — ჯადოსგან მონუსხულნი, ისინი ძაღლებივით ლაქუცით ეგებებიან ადამიანებს.

....ლამაზთმიანი კირკე ღმერთების მიერ შექმნილ დაზგას გარს უვლის ამო სიმღერით და უკვდავთათვის შესაფერის ქსოვილებს ქსოვს.

სწორედ ამ სასახლეში გადააქცევს კირკე ღორებად ოდისევსისგან გამოგზავნილ ოცდაათ კაცს და საღორეში შერეკავს. ოდისევსს, რომელიც ამხანაგების დასახსნელად მოეშურება, წინ ჰერმესი გადაუდგება. როგორც ცნობილია, ბერძნულ მითოლოგიაში ჰერმესი განასახიერებს ბუნების ყოვლისმძლე ძალებს. იგი ოლიმპიელთა მაცნეა, ზევსის მოამბე, მგზავრთა და მოგზაურთა მფარველი და შემწე, ხოლო, ზოგიერთი მითის თანახმად, ჰერმესი აცილებს ჰადესში მიცვალებულთა სულებს. ელინისტურ პერიოდში ჰერმესი გააიგივეს ძვ. ეგვიპტურ სიბრძნის ღმერთთან — თოთთან. ჰერმესი აფრთხილებს ოდისევსს, ვერც

1 კოლხეთის მისტერიის სიმბოლიკაში მთავარ როლს ია-სთან ერთად ვარდი და ჯვარი იკავებს. - ავტ.

ამხანაგებს დაიხსნი და შენც დაიღუპები, მაგრამ, რაკი არ იშლი, მოგცემ ისეთ წამალს, კირკეს ჯადოსგან რომ თავი გადაირჩინოო. და მართლაც, ჰერმესის წყალობით, ოდისევსი აიცილებს ამხანაგების ხვედრს. გაოგნებული კირკე ეკითხება: „ოდისევსი ხარ? გამოვლილი ცეცხლსა და წყალში? ჰერმესმა, ოქროსკვერთხიანმა, მრავალჯერ მითხრა, შაოსან გემით აქ ტროადან გამოგივლისო“.

ოდისევსი, ჰერმესის დარიგებისამებრ, ბოლომდე არ ენდობა კირკეს და მხოლოდ მას შემდეგ, რაც უვნებლობის ფიცს ჩამოართმევს, დაჰყვება მის ნება-სურვილს და გაიზიარებს მასთან სარეცელს.

მითების თანახმად, კირკეს და ოდისევის შვილი — რომანოსი — მიჩნეულია ლათინთა მამამთავრად, რომის დამაარსებლად. ჰესიოდეს მიხედვით კი ჰიპერიონიდ ჰელიოსის ასულმა სულით ძლიერ ოდისევსთან შეკავშირებულმა „შვა აგრიოსი და ლატინოსი, უზადო და ძლევამოსილი, ტელეგონეც შვა ოქროს აფროდიტეს მეშვეობით. ისინი ძალზე შორს, კუნძულთა სიღრმეში ყველა... ტირსენიელზე მეფობენ“. ამ მითების მიხედვით, მცირე აზია, ხმელთაშუა ზღვის აუზის სანაპიროები და კუნძულები კოლხურ არეალს განეკუთვნებიან. ამ მითებში, როგორც ჩანს, აირეკლა ის ვითარება, რაც აქ ბერძნების მოსვლამდე იყო.[1]

ხოლო თვით სიტყვა არგოში, პროფ. ს. ჯიქიას მოსაზრებით, შემონახულია ტომობრივი ეთნონიმი: მ-არგ-ალ-ი[2]. ცნობილია, რომ ევბეოსს მაკრიალის კუნძულს, ანუ მაკრონთა კუნძულს ეძახდნენ. ხოლო, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბერძნების გამოჩენამდე პელაზგია ეწოდებოდა მთელ ნახევარკუნძულს და რომ თავად პელაზგები არაბერძნული, არაინდოევროპული მოდგმის ხალხი იყო, მაშინ უფრო და უფრო გასაგები ხდება არგონავტებზე

1 აკ. ურუშაძე. ძვ. კოლხეთი არგონავტების თქმულებაში. თბ. 1969 წ.
2 მარგალი — მეგრელების თვით სახელწოდება — სიტყვასიტყვით ნიშნავს-დამრგველს. - ავტ.

თქმულების არსი. „კვლევის თანამედროვე დონეზე სულ უფრო და უფრო ნათელი ხდება, რომ ქართველური კომპონენტი ერთ-ერთი არსებითი უნდა ყოფილიყო ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ეგეოსური, დასავლეთმედიტერანული ცალკეული კულტურისა და ენის ჩამოყალიბების პროცესში“.[1]

....ოდისევსის დაჟინებული თხოვნით, კირკე კვლავ ადამიანებად აქცევს „ცხრა წლის ტახებს“ დამსგავსებულ მის ამხანაგებს.

მხოლოდ ერთი წლის შემდეგ კირკე ნებას რთავს ოდისევსს, დატოვოს სასახლე, ოღონდ ერთი პირობით — ოდისევსი უნდა ჩავიდეს ჰადესში და მოინახულოს ტირესიას სული.

თავზარდაცემული ოდისევსი ტირილს მორთავს — ჰადესში ჩასვლა ხომ უეჭველ სიკვდილს ნიშნავდა. მაგრამ კირკეს დახმარებით ოდისევსი მშვიდობიანად ბრუნდება ჰადესიდან.

ეზოთერული მოძღვრების თანახმად, ღვთაებრივი ოდისეა სხვა არაფერია, თუ არა რიგი მეტამორფოზებისა, სადაც თითოეული ფორმა შედეგია წინარე არსებულისა და ამავე დროს საფეხურია მომდევნოსი. მაშასადამე, კირკესთან ყოფნა, მისი დავალებით ჰადესში ჩასვლა უკვე „ცეცხლსა და წყალში“, ანუ მისტერიებში გამოვლილი ოდისევსის სულისთვის ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას უნდა ნიშნავდეს. ამდენად, კირკემ აზიარა იგი უმაღლეს სიბრძნეს და ჭეშმარიტებას. ოდისევსის მხლებლები, რაკი არ იყვნენ გაცნობილნი მისტერიების საიდუმლოებას, კირკემ ღორებად აქცია, ანუ დატოვა მხოლოდ ქვენა ბუნების, ანუ მატერიალური ყოფიერების დაბალ საფეხურზე.

რაკიღა „ოდისეა“ არა მარტო წმინდა წყლის ლიტერატურულ, არამედ რელიგიური თვალსაზრისით შექმნილ თხზულებად მიაჩნიათ, ოდისევსის ხიფათით სავსე მოგზაურობაც, ეზოთერული მოძღვრების მიხედვით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ინიციაციის გზა, განსაწმენდელის

1 რ. გორდეზიანი. ეტრუსკული და ქართველური ენები. თბ. 1981 წ. გვ. 64.

გზა, რამეთუ კირკესთან გამოცდის გავლა მოასწავებდა ხანგრძლივი მორალურ-ეთიკური შემზადების უფრო მაღალ საფეხურზე ასვლას. უმაღლეს ცოდნას ნაზიარები ადამიანები ერთიანდებოდნენ ე.წ. მისტერიებში, რომელთა პრაქტიკა უცნობი იყო ხალხისთვის და შეუვალი. „მისტერიებში ზიარებულთ ეძლეოდათ ინიციაციის, სულის უზენაესი ნათელღების გზა. ეს იყო ხანგრძლივი მორალურ-ეთიკური შემზადებისა და წინასწარი გამოცდების გავლა, რომელიც მით უფრო შემზარავი იყო ცნობიერებისათვის, რაც უფრო მაღალი საფეხური უნდა გახსნოდა მოწაფეს“[1] ზოგი მკვლევარის აზრით, იდუმალი, ანუ ოკულტიზმის კერები არსებობდა ძველი მსოფლიოს ყველა მნიშვნელოვან ქვეყანაში, უწინარესად კი — საქართველოში („კოლხური მისტერიები:“). „კოლხეთიდან ოქროს საწმისის გატაცება ბერძნების მიერ სიმბოლურად უნდა გავიგოთ, როგორც მისტერიალური ცოდნის წაღება, რომელიც ადრე დაკარგეს ბერძნებმა და იმ დროისათვის მხოლოდ კოლხეთში იყო შემორჩენილი“.[2] და საერთოდ, ორფიზმი ემყარება დიონისეს კულტს, კერძოდ, მითს დიონისეს ტიტანების მიერ დაგლეჯის შესახებ... ორფიზმის მიხედვით, ადამიანის ბედი იგივეა, რაც ტანჯული ღმერთისა (დიონისესი), მხოლოდ ადამიანი მთლიანად დიონისესგან კი არ არის შექმნილი, არამედ მისი მდაბალი ბუნებაა „ტიტანური“, იმისათვის, რომ ღმერთს დაუბრუნდეს, ადამიანი უნდა განიწმინდოს... არგონავტების მარშრუტი, რომელიც სავსეა ფათერაკებით, შესანიშნავ „განსაწმენდელს წარმოადგენს.“

1 „ორფიკული არგონავტიკა“. გვ. 68.
2 ზ. გამსახურდია. კრიტიკული წერილები. თბ., 1977.

...მედეა მზის — ჰელიოსის შვილიშვილია.[1] იგიც გრძნეული, ანუ მისტერიებში ნაწრთობი ქალია კირკესავით. მას ძალუძს მკვდრების გაცოცხლება, მოხუცთა გაახალგაზრდავება. მედეა დრაკონშებმული ეტლით დაფრინავს, ხოლო ოვიდიუსის მიხედვით, ის ტყესა და მთებს აზანზარებს, ღრუბლებს ფანტავს, გველებს ათვინიერებს, მთვარეც კი ჩამოყავს დედამიწაზე. აქედან ჩანს, რომ მედეა ადრე ღმერთქალად მიაჩნდათ. მხოლოდ შემდეგ შეიძინა მან ადამიანური თვისებებიო, აღნიშნავენ მკვლევარები. მედეა ბერძნულად „ბრძენ ქალს“ ნიშნავს, მედეას მასწავლებელია ჰეკატე — მიწის, ზღვისა და ზეცის მპყრობელი — კოლხი ღვთაება. ჰეკატეს მიმართავს იგი დახმარებისთვის, რჩევისთვის. გადმოცემით, ჰეკატე აიეტის ძმის — პერსეს ასული იყო, ზოგიერთი ვერსიით კი აიეტის და. სქოლიასტი შენიშნავს: „კოლხეთში გრძნეული ქალების საფიცარია ჰეკატე, რადგან ეს ღმერთქალი არის აღმომჩენი ჯადოთა“ (ზოგი მკვლევარი მედეას სახელს უკავშირებს მედიცინის სახელწოდებას).

აპოლონიოს როდოსელთან მედეას გრძნეულებათაგან საყურადღებოა ერთი მაგალითი: მედეას მიერ დევ-კაცის, ტალოსის მოსპობა, რომელიც გაქცეული არგონავტების გემს ლოდებს ესროდა. „და უეჭველად აქვს დასასრული მის საუკუნეს და მის სიცოცხლეს“, — ამბობს მედეა და თავისი მრისხანე მზერით კლავს გოლიათს. ზოგი მკვლევარის აზრით, აქ თითქოს სპილენძის ჟამგადასულ საუკუნეს უწინასწარმეტყველებს იგი აღსასრულს, ხოლო აპოლონიოს როდოსელი მედეას გრძნეული ძალის გამო შენიშნავს: თურმე არამარტო მიყენებული ჭრილობებით, შორიდან შეხედვითაც ხერხდება ადამიანის მზის დაბნელებაო.

მედეამ შეაძლებინა იასონს შეუძლებელი — მედეას დახმარებით შეასრულა მან აიეტის დავალებანი.

მკვლევართა აზრით, არგონავტების თქმულებების ევრიპიდემდელ გადმოცემებში არსად არ არის ნათქვამი ის,

1 აკაკი წერეთელი მედეას სახელს ქართულად ხსნის: მე-დია, — მე-დედა ვარ. - ავტ.

რომ მედეამ სამშობლოს უღალატა (იგი კოლხეთს ტოვებს ღვთაების მოწოდებით), ძმის მკვლელობა, ისევე, როგორც შვილების დახოცვა — „ტრაგედიამ დააბრალა მედეას“. თქმულების მიხედვით, მედეას კორინთოში ჩასვლა აღიქმებოდა, როგორც მამულში მისი დაბრუნება, ვინაიდან კორინთო აიეტის სამფლობელო იყო, რომელიც ჰელიოსმა უბოძა მას. იასონი და მედეა კორინთოში ჩადიან, „როგორც წილხვედრ ქვეყანაში“ (ა. ურუშაძე).

მაგრამ კორინთოელმა ელინებმა არ ისურვეს მედეას გამგებლობა და შვილები საკურთხეველთან დაუხოცეს. მედეა იძულებულია, გაიქცეს ათენში და იქ მეორედ გათხოვდეს ეგოსზე.

ეგოსისგან მედეას შეეძინა ვაჟი — მედოსი. ათენშიც არ აყენებენ მედეას და იგი, ერთი ვერსიის თანახმად, მცირე აზიაში გარბის ვაჟთან ერთად. მცირე აზიაში მედოსი აარსებს ახალ სახელმწიფოს და მას **მიდიას** არქმევს. მეორე ვერსიით, მედეა შვილთან ერთად ბრუნდება კოლხეთში. ტახტიდან ჩამოგდებულ მამას ურიგდება, შველის ტახტის დაბრუნებაში და ამით თითქოს ნაწილობრივ გამოისყიდის — კირკეს თქმით — „გაუგონარ დანაშაულს“.

აპოლონიოს როდოსელთან იასონისადმი ყოვლისმომცველმა გრძნობამ მედეა აქცია ბრმა იარაღად: „მივეხეტები უცხო მხარეში, ასე ყველასგან მოძულებული“, — ათქმევინებს იგი მედეას.

...მედეა და იასონი ათინას დავალებით მიდიან კირკესთან, რათა განიწმინდონ აფსირტეს უბრალოდ დაღვრილი სისხლისგან. კირკეს ძალუძს მხოლოდ ცოდვის ტვირთი მოხსნას მათ; რამეთუ დოდონას წმინდა მუხის ნაჭერი ალაპარაკდა არგოზე, რომელიც არგოს ხერხემალს შუა ადგილას იყო ჩასმული თვით ათენას ხელით: „სასტიკ ქარიშხლებს ვერ გაექცევით, ვერ ეღირსებით შინ დაბრუნებას, ვიდრე კირკე არ შეგიმსუბუქებთ აფსირტეს მკვლელთა ცოდვის კითხვას“, ამცნობს იგი არგონავტებს ზევსის სურვილს.

კირკემ აღასრულა ზევსის ნება და მხოლოდ შემდეგ გამოჰკითხა სტუმრებს ვინაობა. და, აი, როცა მედეას თვალებში ჩახედა, წამსვე იცნო ძმისწული თვალებით... კირკეს მშობლიურ, კოლხურ ენაზე სურს მოისმინოს ყოველივე და მედეაც კოლხურ ენაზე უყვება მამიდას თავის მწარე თავგადასავალს...

კირკე მრისხანედ ეუბნება ძმისწულს: „შე უბედურო! შენი გაქცევა სირცხვილს და ტანჯვას გიქადის მხოლოდ!.. რადგანაც საქმე გაუგონარი მოგიხდენია. ხარ ნათესავი ჩემი და ჩემთან თხოვნა-ვედრებით მოსულხარ ახლა, ამიტომ ბოროტს არას შეგამთხვევ, რაკი მიგიღე საკუთარ ჭერქვეშ, მაგრამ დატოვე ჩემი სასახლე და შენს უცხოელს გაჰყევი ჩქარა, სამარცხვინოდ რომ ასდევნებიხარ, მამის სურვილის საპირისპიროდ, და კერასთან ფეხმოკვეცილი ნუ მევედრები, მე შენ ტყუილად არ მოგიმართავ ხელს არც საზიზღარ ამ შენს ზრახვებში, არც გაქცევაში“.

გამართლდა კირკეს სიტყვა — მედეა არ მიიღო უცხო მხარემ. მას უღალატა იასონმაც — ვის სიყვარულსაც ყველაფერი შესწირა ამქვეყნად.

მედეას მითოსურ სამოსს და სიმბოლურ ნიშნებს თუ ჩამოვაცლით და მხოლოდ ფსიქოლოგიური კუთხიდან შევხედავთ, დავინახავთ, რომ ევრიპიდემ გენიალურად გახსნა კოლხი ქალის შინაგანი ბუნება, მისი სულიერი ტრაგიზმის მიზეზ-სათავე, ქალისა, რომელსაც შეუძლია უზარმაზარი, ყოვლისმომცველი, ყოვლის წამლეკავი სიყვარული და რომელსაც ასევე ძალუძს უნაპირო, ზღვარდაუდები სიძულვილი და აქედან გამომდინარე — გაუგონარი შურისძიებაც.

ეს არის ტრაგედია ქალისა, თავის სიყვარულს რომ ანაცვალა ყველაფერი: დედ-მამა, და-ძმა, მშობლიური კერა, მამული და მთელი ამ თავგანწირვის პასუხად მიიღო საშინელი უმადურობა. აბუჩად აიგდეს, დაამცირეს მისი გრძნობა, ფეხქვეშ გათელეს მისი ქალობა, გააწბილეს და გაამასხარავეს მისი წმიდათაწმიდა სიყვარული და თავგანწირვა. ახლა მას ერთადერთი გზა დარჩენია — შურისძიება. ოღონდ შურისგება უნდა იყოს სასტიკი, ულმობელი, შემზარავი, ისეთი, სამუდამოდ რომ დაამახსოვრდეთ არა მარტო მის შეურაცხმყოფლებს, არამედ მთელ მათ მოდგმას. ეს ამავე დროს იქნება შურისგება საკუთარი თავის მიმართაც იმ ღალატისთვის, რაც მან ჩაიდინა მშობელი ხალხისა და ქვეყნის მიმართ. კორინთოელი ქალების გუნდს ათქმევინებს ევრიპიდე ამ ფრაზას: „დაე, ნურასდროს ნუ მოვწყდებით სამშობლოს!“

...მედეას შურისძიებას მარტო პირადული წყენა არ უძევს საფუძვლად — იგი თითქოს თვით ერისა და ქვეყნის შეურაცხყოფისთვის იძიებს შურს. უფრო სწორად, ეს არის უმთავრესი იმპულსი, რამაც მას შვილები დაახოცინა. ევრიპიდეს ნაწარმოების დედააზრიც ესაა, რაც მას დღესაც უნარჩუნებს ცხოველმყოფელობას. ამდენად, ჩვენი აზრით, არ უნდა ჰქონდეს გადამწყვეტი მნიშვნელობა იმას თუ რა გარემოებამ აიძულა პოეტი, მითისთვის მრავალი ახალი დეტალი და კონფლიქტი შეემატებინა (ზოგი ბერძენი ფილოსოფოსის ვარაუდით, ევრიპიდე მოუსყიდავთ კორინთოელებს, რომელთაც, მითის თანახმად, ბავშვები თვითონ დახოცეს და მერე მედეას გადააბრალეს. ამასთან, თითქოს ისარგებლეს იმით, რომ ევრიპიდე ქალთა მოძულე ყოფილა და ა.შ.). ევრიპიდესთვის, როგორც ითქვა, მთავარი იყო, ეჩვენებინა, თუ სადამდე შეიძლება მიიყვანოს ადამიანი სამშობლოს ღალატმა.

მედეას ძლიერი ხასიათი, შეუპოვრობა, ენერგიულობა, ოჯახის ერთგულება, მოღალატე ქმრის დაუნდობლობა და ბოლოს გარეგნული სილამაზე, ბევრი მკვლევარის აზრით, კოლხი ქალის საყოველთაოდ ცნობილ თვისებებს გვაგონებს. ამავე დროს, ეს თვისებები, ხასიათის თავისებურებანი რამდენადმე ამორძალებს ამსგავსებს მას, ხოლო ამორძალთა ადგილსამყოფლად როგორც უძველეს, ისე შემდგომ ხანებში სწორედ შავი ზღვის სანაპიროები მიაჩნდათ.

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ბერძნები ყოველი დიდი საქმის აღსრულებას ღმერთების ნებას მიაწერდნენ ხოლმე. დიდი გმირები მხოლოდ ღმერთების დახმარებითა

და ხელშეწყობით ახერხებენ წარმატების მოპოვებას. არგონავტები კი კოლხეთში მხოლოდ ქალის დახმარებით აღწევენ მიზანს. მედეას გარეშე ისინი საოცრად უსუსურნი ჩანან. იასონს არანაირად არ ხელეწიფება კოლხთა ძლიერი მეფის აიეტის დავალებათა არათუ შესრულება, იგი ახლოსაც ვერ ეკარება ოქროს საწმისს. მას ქალმა გაუხსნა გზა გამარჯვებისკენ, ანუ ცოდნისკენ (როგორი და რა ხასიათის იყო ეს ცოდნა, რა იგულისხმება კონკრეტულად ოქროს საწმისში — ჯერაც საიდუმლოებით არის მოცული. დროთა ვითარებაში ლეგენდის სიმბოლოები, ალბათ, გაიხსნება — არქეოლოგიური მონაცემებისა თუ ძველი ისტორიისა და მათში უფრო ღრმად წვდომისა და შესწავლის საფუძველზე). ერთი რამ კი ამთავითვე ნათელია: მეტალურგიის, მედიცინის თუ სხვა დარგების ცოდნის მაღალი დონე და აგრეთვე ის ამბავი, რომ ძველბერძნები დაჟინებით მიუთითებენ კოლხეთში დამწერლობის არსებობას, განაპირობებდა უთუოდ იმ განსაკუთრებულ ინტერესს, რასაც მაშინდელი განათლებული კაცობრიობა იჩენდა კოლხეთის და იბერიის მიმართ[1] (პ. ინგოროყვას აზრით, ოქროს საწმისი შეიცავდა ოქროს წარმოების საიდუმლოებას, ანუ ხრისოგრამიას. აკი, ძველი სამყარო ხალიბებს — ამ კოლხურ ტომს — მიაწერდა სწორედ რკინის აღმოჩენას).

მედეას სახემ შთააგონა მრავალი ხელოვანი — ფერმწერი თუ მუსიკოსი, პოეტი თუ დრამატურგი, შეექმნა ხელოვნების ბრწყინვალე ნიმუშები. მედეას სახე მარად გაუხუნარი და უბერებელი რჩება. დრო-ჟამი უძლურია მისი მომნუსხველი ძალის წინაშე.

1 ის გარემოება — ქართველური კომპონენტი ერთ-ერთი არსებითი და გადამწყვეტი რომ უნდა ყოფილიყო ძვ.წ. მეორე ათასწლეულის ეგეოსურ — და არამარტო ეგეოსურ — დასავლეთ-მედიტერანული ცალკეული კულტურის ჩამოყალიბების პროცესში — დაადასტურა მეცნიერთა ამ ბოლოდროინდელმა აღმოჩენებმა, მათ შორის, ქართველი მათემატიკოსის დოქტორ გ. კვაშილავას მიერ კრეტის „ფესტოსის დისკოს“ გაშიფვრამ. - ავტ.

ამორძალები

„ვისაც უნახავს ქართველ ქალთა ცხენით ჯირითი, მისთვის ძნელი არ იქნება დაიჯეროს, რომ ესენი ამაზონელები არიან.“

კრისტოფორო დე კასტელი

...პომპეუსის იბერიაში ლაშქრობის დროს ტყვედწაყვანილთა შორის შეიარაღებული იბერიელი ქალებიც იყვნენ, რომელთაც იმდენივე ჭრილობა აღმოაჩნდათ, რამდენიც ვაჟებს.

ჯერ კიდევ ესქილე ამბობდა: „კოლხიდის გმირნი, ყმაწვილნი ქალნი — ომში მამაცნი და უშიშარნი“-ო, ხოლო ალექსანდრე მაკედონელის ერთ-ერთი მხედართმთავრის პტოლემეს ცნობით: „კოლხეთში დედაკაცები არიან მამაცნი, უფლებისმოყვარენი, ძლიერნი და მებრძოლნი“.

აკი, მებრძოლ ამორძალთა ქვეყნად სწორედ კავკასია, ანუ საქართველოს ზღვისპირეთი იყო მიჩნეული ძველ სამყაროში. ევროპელი მოგზაურები და მისიონერები ერთხმად აღნიშნავდნენ: „ქართველი ქალები ამორძალების მსგავსნი არიან... მამაკაცებზე არანაკლებად აჭენებენ ცხენებს და კაცებივით მართავენ... ქალები იარაღში ვარჯიშობენ, განსაკუთრებით, მშვილდისა და შუბის ტყორცნაში... თითქმის ყველა ქალმა იცის იარაღის ხმარება... ქალები კაცებთან ერთად სანადიროდ დადიან, ხელზე მიმინოები უსხედან“ და ა.შ. ამავე დროს, ისინი აღიარებენ, ქართველი ქალები „იძულებულნი არიან“ შეიარაღდნენ, რათა თავი დაიცვან ურიცხვ მომხვდურთაგანო.

როგორც ცნობილია, ანტიკური ხანის საბერძნეთში და შემდგომ პერიოდშიც დედაკაცის უფლებები ერთობ შეზღუდული იყო როგორც შინ, ისე გარეთ. სახელმწიფოებრივ საქმიანობაში მათ მონაწილეობაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო. დემოსთენე ათენელებს ეუბნებოდა: „საყვარლები

ჩვენ გვყავს სიამოვნებისათვის, ცოლები კი სახლის მოსავლელად და შვილების გასაჩენად“.

თვით უდიდესი ფილოსოფოსნი: სოკრატე, პლატონი და არისტოტელე — მეტად ცუდი აზრისა იყვნენ ქალებზე, ხოლო ჰეტერების გამოსვლას საზოგადოებრივ ცხოვრებაში ზოგი მკვლევარი აღმოსავლეთის ზეგავლენით ხსნის. მაგრამ აღმოსავლეთი ვერ იქონიებდა ასეთ გავლენას, რადგან სწორედ აღმოსავლეთში გახლდათ ქალი ყველაზე მეტად დაჩაგრული და დამცირებული.

სახელგანთქმული ასპაზია მცირე აზიის ქალაქ მილეთიდან იყო, მილეთი კი ცენტრს წარმოადგენდა იმ ბერძნული კოლონიებისა, ბერძნებს მცირე აზიასა და შავი ზღვის სანაპიროებზე რომ ჰქონდათ: „საიდან გადაიღეს ამ ჰეტერებმა ასეთი სითამამე, თუ არა კავკასიის კოლონიებში აქაური ქალებისაგან, რომელთაც დიდი თავისუფლება და სითამამე ჰქონდათ ხალხში და რომელნიც აშკარად გამოდიოდნენ სახალხო დღესასწაულებში, მონაწილეობას იღებდნენ საზოგადო ლხინში და სიხარულში, ერეოდნენ სალაშქრო და სამოქალაქო საქმეებში“...[1]

...ქალი ეშმაკეული, ქალი ბოროტების სადგური — ასე მიაჩნდა ისტორიულ ერთა უმეტესობას. მშვენიერი ელენე საბერძნეთ-ტროის ომისა და, მაშასადამე, უბედურების, ნგრევის, სისხლისღვრის მიზეზი გახლდათ. ძველი ებრაელების შეხედულებით, ევამ აცთუნა ადამი და დააკარგვინა სამოთხე. მაჰმადმა, რომელმაც თავის აქლემს ადამიანის ნახევარი სული მიანიჭა, ქალში მეოთხედიც არ იწამა, ხოლო ნეტარი ავგუსტინე „ეშმაკის ჭურჭელს“ უწოდებს მას.

ქალი მაცთური და შეჩვენებული — ასეთი აღქმა ეწინააღმდეგებოდა კოლხ-იბერიელის უშინაგანეს რწმენას, მიუღებელი იყო მისი ბუნებისთვის, რადგან კოლხ-იბერიელის სულს კვებავდა დიდი ნანას ღვთაებრივი ხატება, რადგან ქალი სათნოების, სიკეთის, უკეთილშობილესი დედური

1 დიმ. ჯანაშვილი. ისტორიული სურათები — ქართველი ქალები. გორი, 1914 წ.

საწყისის მატარებლად მიაჩნდა და, მაშასადამე, ღვთაებრივი იყო და სათაყვანო. ქართველი ქალისადმი თაყვანება გაცხადებულია ჩვენს ცეკვებშიც და, თუ ცეკვა გამოხატავს ერის ფსიქიკას, მის შინაგან სამყაროს, ცხადია, ქართულ ცეკვებში აშკარად შეიმჩნევა ათასწლეულების სიღრმიდან წამოსული კრძალვა და რიდი დიაცის მიმართ. მაშინ, როდესაც მამაკაცი მიმინოსავით თავს დასტრიალებს ქალს, იგი ვერ ბედავს მიეკაროს მას ოდნავადაც კი, არათუ ხელი წაატანოს, როგორც ეს ბევრ უცხოურ ცეკვაშია. ხოლო თავისთავად ცერებზე ცეკვა და ქალის გარშემო ტრიალი — უძველესი გადმონაშთი უნდა იყოს იმ ცერემონიალებისა, რასაც ქალ-ღვთაებისადმი მიძღვნილ მისტერიებში ასრულებდნენ მამაკაცები.

...მშვიდობიანობის თუ ომიანობის ჟამს ქართველი ქალი სათნოების, მოწყალების, სიკეთის მაგალითს აძლევდა თავის შვილებს, მას შეეძლო უკანასკნელი ლუკმა-პური ეწილადებინა კარზე მომდგარი გადამთიელისთვის, მოშუღარი თანამოძმენი არა მარტო მანდილით გაეშველებინა, არამედ თაფლივით ტკბილი და ალღოიანი ენითაც დაეზავებინა სამკვდრო-სასიცოცხლოდ გადაკიდებულნი. სალოცავში, სატირალში ან სხვა ღირსშესანიშნავ ადგილებში მიმავალთ წინ მუდამ დედაკაცები მიუძღოდნენ, მათ მამაკაცთა გუნდი მოსდევდათ. და, თუმცა ფეოდალური სამართალი მამაკაცს ქალზე მაღლა აყენებდა, თუმცა იყო პერიოდები, როცა თანასწორობა მხოლოდ იმ ქვეყანაში წარმოიდგინებოდა, ტრადიციად არსებული თაყვანება ქალისადმი ოდითგან იმდენად ძლიერი იყო, რომ ქართველი ქალი თითქმის ყოველთვის ახერხებდა, შეენარჩუნებინა თავისი უფლებიანობა და მაღალი მდგომარეობა[1]. აკი, უცხოელთა აზრითაც, „ქართველი ქალები უფლებრივად, მორალურად, ფიზიკური სილამაზით ევროპელ ქალებს ბევრად აღემატებიან“. ყველაზე

1 დ. ქორიძე. ქართველი ქალები. თბ. 1976 წ.

მეტად ქალი იჩაგრებოდა საქმროს არჩევის დროს, რაც მშობლების ნება-სურვილზე იყო დამოკიდებული უპირატესად, და მაინც, ასეთ ვითარებაშიც ხალხურმა ზეპირსიტყვიერებამ შემოინახა ქალთა შეურიგებლობის პათოსი ამ მოვლენის მიმართ: „მე თუ არ მწადის, ჯალაბნო, ვერ გამათხოვებთ ძალადა“.

მრავალ მკვლევარს მოჰყავს ნიმუშად ქალისადმი პატივისცემის გამომხატველი ეს კითხვა-პასუხი: „ვინ უნდა გშვას შენ? — ქალმა. ვინ უნდა გაგიღიმოს? — ქალმა. ვინ უნდა აგატიროს? — ქალმა. ვინ უნდა დაგიტიროს? — ქალმა“.

ხოლო დიდი ილიას განმარტებით, ქართველი ერის ცხოვრებაში დედაკაცს მარტო სამი უწმინდესი დანიშნულება — დედობა, ცოლობა და დობა როდი აკისრია, ყველაზე უწინარესად იგი ადამიანად არის გაჩენილი, როგორც მამაკაცი; „ვინც კაცად არ ვარგა, ის არც დედად და არც სხვა რადმე ივარგებს, იმიტომ რომ მამობა და დედობა ადამიანური, მარტო შვილების გამრავლება და ძუძუს წოვება კი არ არის“... და, მაშასადამე, სანამ დედობას, ცოლობას, დობას იკისრებდეს, იგივე ადამიანობა მოეთხოვება, როგორც მამაკაცს; „დედობა, ცოლობა, დობა ზოგი ბუნების საქმეა, ზოგი გარემოების... საქმე... კაი დედაკაცობაა, კაი ადამიანობაა, ანუ უკეთ რომ ვსთქვათ, კაი კაცობაა და მერე დედობა, მამობა, ქმრობა, ცოლობა და სხვ...“

ქართველი ქალების ამ „კაი კაცობის“ უამრავი მაგალითი გვხვდება ჩვენს ისტორიაში.

...ქართლოსის სიკვდილის შემდეგ მისმა ცოლმა აიღო ხელთ ქვეყნის გამგეობა და „მანვე აღაშენა ბოსტან ქალაქი, რომელსაც აწ ჰქვიან რუსთავი“. მის განკარგულებას ემორჩილებიან ხუთივე მისი შვილი და მთელი ერი.

დიმ. ჯანაშვილი თავის საინტერესო გამოკვლევაში „ქართველი ქალები“ ერთგან აღნიშნავს, რომ თითქმის არა გვყავს არც ერთი სახელოვანი მეფე, რომელსაც წიგნი დედაკაცისგან არ ესწავლოს, რომ მის გონება-გახსნილობას და

პოლიტიკურ ნერგს მათ სხეულში დედაკაცების მეცადინეობით არ ჰქონოდეს ფესვი გადგმული.“[1]

ფარნავაზს დედა და დები ზრდიან. მათ ჩააგონეს ყმაწვილს მამულის, ქვეყნის სიყვარული. მათ გააქეზეს ფარნავაზი სამოქმედოდ. ხოლო ჰერეთის დედოფალმა დინარმა ჰერეთელები კვლავ მოაქცია მართლმადიდებლურ სარწმუნოებაზე.

გიორგი მთაწმინდელი დედაკაცისგან იზრდებოდა სამცხეს, დედათა მონასტერში. საყოველთაოდ ცნობილია ბაგრატ მესამის — გაერთიანებული საქართველოს პირველი მეფის დედის — გურანდუხტის ღვაწლი და დამსახურება ქვეყნის გაერთიანებისა და გაძლიერების საქმეში. მისი ენერგიულობის, გამჭრიახი გონებისა და თავდადების წყალობით ბაგრატ მესამემ მრავალჯერ მოიპოვა გამარჯვება ურჩ ფეოდალებზე.

მეფე გიორგი I-ს მამიდა — გურანდუხტი ზრდიდა.

გიორგი III-ის აღმზრდელად გვევლინება დავით აღმაშენებლის ასული თამარი. როცა გიორგი III-მ სომხეთში დაამარცხა მუსლიმანი ამირები, მას, საქართველოში მობრუნებულს, მიეგებნენ: კათალიკოსი, ფილოსოფოსნი, ცოლი ბურდუხან და გამზრდელი მამიდა თამარი. გიორგი პირველად თავის გამზრდელ მამიდასთან მივიდა და თაყვანი სცა, რის გამო სიხარულით იტირა თურმე თამარმა (შემთხვევითი არ უნდა იყოს ის ამბავიც, რომ გიორგიმ თავის ერთადერთ ასულს გამზრდელი მამიდის სახელი დაარქვა). მამიდასთან ამბორის ყოფის შემდეგ, ამბობს მემა-

1 დიმ. ჯანაშვილი, ისტორიული სურათები. ქართველი ქალები. გორი. 1914 წ. გვ. 74. დიმიტრი ჯანაშვილის აზრითვე, ხალხში ოსტატებს ეძახდნენ მასწავლებელ დედაკაცებს... პირველი გამავრცელებელი წერა-კითხვისა ხალხში ქალები ყოფილან. „ყველას ახსოვს ის დრო, როდესაც სოფლებში და ქალაქებშიც ზოგიერთ დარბაისელ დედაკაცებს სასწავლებელი პატარა პანსიონივით ჰქონდათ გამართული და თვითეული მათგანი ათს, ოცს და ხან მეტ შეგირდებს (ქალს და კაცს) მიიბარებდნენ ხოლმე და ქართულ წერა-კითხვას და საღმრთო წერილს ასწავლიდნენ“.

ტიანე, ის „ურცხვინელითა პირითა და ახოვანითა სახითა გადაეხვია ცოლს და აკოცა“.

დავით აღმაშენებლის ასული თამარი — გიორგი III-ის მამიდა — მრავალმხრივ ღირსშესანიშნავი პიროვნება იყო. ის, როგორც ცნობილია, ცოლად გაატანეს შირვან-შაჰს, სჯულით მაჰმადიანს, მაგრამ თამარი ნამდვილი ქართველი ქალი და დედა იყო. მას თავისი ქართველობა, თავისი მშობლიური ენა, სამშობლო ქვეყანა და სარწმუნოება არ დაუვიწყნია. ის თავის შვილს, აღსართანსაც უნერგავდა ქართველების სიყვარულს. აღსართანი მთელი თავისი არსებით ემსახურებოდა საქართველოს კეთილდღეობას, სისხლს ღვრიდა საქართველოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში. გიორგი III-ს თურმე ძმასავით უყვარდა თავისი მამიდაშვილი. აღსართანი ხან თბილისში ცხოვრობდა, ხანაც თავის სამფლობელოში. დედამისს, თამარს, თავისი სასახლე ჰქონდა სამეფო სასახლის პირდაპირ. თამარს ქართლში აღუშენებია თიღვას ჯვარის მონასტერი: „გუმბათიანი, დიდმშვენიერი, კეთილად ნაშენი და მრავალი შენობით“, გვამცნობს „ქართლის ცხოვრება“. ქმრის სიკვდილის შემდეგ ამ მონასტერში აღიკვეცა მონაზვნად. ხოლო ყოველ მონასტერთან სკოლა იყო გამართული. შესაძლოა, თამარსაც ჰქონდა თავისი სკოლა, როგორც „ოსტატ“ დედაკაცს. დავით აღმაშენებლის მეორე ასული კატაი, რომელიც საბერძნეთში იყო გათხოვილი კომნენზე, თავისი ქმარ-შვილით სამუდამოდ დაბრუნდა სამშობლოში.

გიორგი III-ის და რუსუდანი — „სულთნის ცოლყოფილი“ — თამარ მეფისა და დავით სოსლანის აღმზრდელია.

გიორგი ბრწყინვალის აღმზრდელები იყვნენ ბექა დიდის — ჯაყელის ცოლი ვახახი, რომელიც „ღვთისგან იყო გამოგზავნილი ხალხისათვის ნუგეშისმცემლად“, და მისი ასული ნათელი — გიორგის დედა. ვახახი არამარტო თავისი შვილიშვილის, საზოგადოდ ობოლთა და უღონოთა მფარველ-პატრონად გვევლინება. ქვეყნის ძნელბედობის

ჟამს მან თავის სასახლეში მოიპატიჟა აღმზრდელებად თუკი საქართველოში სადმე კეთილი მოღვაწე და მეცნიერი, ეპისკოპოსი და მონაზონი მოიპოვებოდა. მოსწავლენიც და მასწავლებელნიც — ყველანი მისი ხარჯით იკვებებოდნენ.

სახელგანთქმული მეფე ალექსანდრე I დიდი ჭირნახულობით აღზარდა ბებიამ, ქუცნა ამირეჯიბის მეუღლემ რუსამ... ი. ჯავახიშვილის თქმით, „ამ შესანიშნავმა ქართველმა მანდილოსანმა ...გასაოცარი მხნეობა და თაოსნობა გამოიჩინა: საერთო გაჭირვების ჟამს რუსამ თემურ ლენგისაგან განადგურებული სვეტიცხოველის აღდგენასა და განახლებას მიჰყო ხელი. ეს იმდენად დიდი და იმდენად ძნელი გადასაწყვეტი ამოცანა იყო, რომ მისი დაძლევა ერთი ადამიანისათვის გასაოცარიც კია. მაგრამ ის ამას არ შეჰშინებია და ამ მნიშვნელოვან მოღვაწეობას შეუდგა. ბებიას მაგალითს ნორჩ ალექანდრეზე ღრმა შთაბეჭდილება მოუხდენია და შემდეგში, როდესაც რუსა გარდაიცვალა ისე, რომ მას დაწყებული საქმის დამთავრება არ დასცალდა, ალექსანდრემ თავისი ბებიის თაოსნობის ბოლომდე მიყვანა თავის უშუალო და წმინდა მოვალეობად მიიჩნია“.

ქართველი ქალის სამზითვო ნივთებს შორის ჯერ საეკლესიო, შემდეგ საერო წიგნები იყო დასახელებული. მზითვის ნივთთა შორის იყო ჭადრაკიც.

„რა მიზეზით იყო და რით აიხსნება, ზეციური სასწაულით თუ ამქვეყნიური გრძნეულობით, რომ ამ პატარა საქრისტიანო ქვეყანამ მოიგერია მასზედ მოზღვავებული მტრები... ეს სასწაული და გრძნეულება ქართველი ქალი იყო. ის ჭირშიც და ლხინშიც მეუღლეობას უწევდა ქმარს და შვილებს გმირებად უმზადებდა მომავალს“, — წერდა აკაკი. მისივე აზრით, წარსულ ცხოვრებაში უმეტესი ღვაწლი სწორედ დედათა სქესს მიუძღოდა. ცხოვრების მანქანა მათ ხელში იყო და ჯარაც მათ უტრიალებიათ. სამშობლოსთვის თავის განწირვა უბრალო, ჩვეულებრივი რამ ყოფილა. ქალი, უწინარეს

ყოვლისა, მამულისთვის ზრდიდა შვილებს — აკვანს რომ ურწევდნენ, მამა-პაპათა საგმირო საქმეებს უმღეროდნენ; და ძმას ამხნევებდა, ცოლი — ქმარს და დედა — შვილს.

თურქობის ჟამს მეგრელი დედა თავის პირმშოს ნანას რომ უმღეროდა, ასეთი სიტყვებით მიმართავდა მას: „მამაშენი უბედური თურქებს ებრძვის, წასვლის დროს დაგიბარა, ესეც მალე მომყვესო. პატარა იყავი, მაგრამ შეგატყო, მშიშარას რომ არ ჰგავდი. შენი აბჯარი მზადაა, მამაშენს მიჰყევი ჩქარა, ლურჯაც მზად არის, დაგილოცავ გზას. მაგრამ, შვილო, გაბარებ, გთხოვ, მუდამ გახსოვდეს — ზურგი არ უჩვენო მტერს, თუნდაც ასიც რომ მოგდევდეს: დღას ვაგიჭყოლიდუა, გოლუაფირო მა, ათე ნანა მარგალური, სქანი ჭირიმა, სქანი კუნთხუ საქორთუო, ნანაშ ჰამო ბჟა, სქან ფაცხა დო სქან ყებური, სქანი ჭირი მა“ (მის დღეში არ დაივიწყო, შემოგევლე მე, ეს ნანა მეგრული, შენი კუთხე საქართველო — დედის ტკბილი რძე, შენი ფაცხა და შენი კერა, შენი ჭირიმე).

დედის მაგალითი, მისი გმირული შემართება და შეუდრეკელი სული აღაფრთოვანებდა შვილებს. ქართველი კაცისთვის მიწყივ-დასაბამიდან სამშობლო და დედა განუყრელ მცნებად იყო ქცეული. ფიცის ფორმულა: „დედამც შეერთოს ცოლადა, ვინც მტერს გამოექცესო“, — ყველაზე მტკიცე ფიცად ითვლებოდა, ხოლო დედის რძის შხამად შერგება — ყველაზე საშინელ წყევლად მიაჩნდათ. დედის მკვლელი უაღრესად ბოროტ ადამიანად ესახებოდათ. „დიდაშ მაყვილარი“ (დედის მკვლელი) დღევანდელ მეგრულში უმძიმესი დანაშაულის აღმნიშვნელი გამოთქმაა. ხომ ასეთ პატივს მიაგებდნენ დედას, ასე ეთაყვანებოდნენ მას, მაგრამ უღირსი დედა, რომელიც შვილებს უპატრონოდ დაყრიდა, წყევლა-კრულვით იხსენიებოდა: „დედა ობლების დამყრელი კაცის მკვლელს ედარებოდა, უბეში უჯდა გველები, ძუძუებს ეტანებოდა“. ანდა: „არ დაინდობა დიაცი, მიწყივ ორპირა, ფლიდია“. რასაკვირველია, იყვნენ ასეთი დედებიც, ასეთი ქალებიც, საქართველოს ისტორიამაც შემოგვინახა ზოგი

მათგანის სახელი, მაგრამ გამონაკლისები საერთო სურათს ვერ ცვლიდნენ. დედის კულტი საყოველთაო, ძვალ-რბილში გამჯდარი რწმენა იყო ერში.[1]

ქართულში დედა საწყისის, ძირითადის, საფუძვლის აღმნიშვნელია. „ვენაცვლე ძუძუს გამზრდელსა, გულით ეგ დამიტირებსო“, — სწამდა და სჯეროდა ქართველს შეურყევლად: „დედის მეტს ჩემი სიკვდილი არავის აატირებსო“, — ჩიოდა სევდიანად და მიაჩნდა, რომ დედისადმი სათანადო პატივის მიუგებლობა იყო მიზეზი ყოველგვარი უბედურებისა: „დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვახსოვს შვილებსა, მიტომაც წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა“-ო. დედა ცუდ შვილობას, ანუ ცუდ მამულიშვილობას არ აპატიებდა შვილს, რამეთუ იგი, უწინარეს ყოვლისა, მამულს უზრდიდა შვილებს: „კარგი ჩვენც მოგვეწონება, ცუდი არც თავის დედასა“.

დედას პატივს სცემენ არა მარტო ადამიანები, არამედ ბუნებაც. ამის დასტურად გამოდგება ძველი კოლხური თქმულება „დიდა-მონკა“, როცა ადიდებულმა მდინარემაც შეიწყალა და გზა მისცა მტრისგან დევნილ, ნამუსისთვის თავგანწირულ ფეხმძიმე ქალს.

1 დიდა, დადი — მეგრ.-სვანურად უფროსისადმი მიმართვის ფორმა — დიდი პატივისცემის გამომხატველად მიაჩნდათ და იგი დიდედას ნიშნავს. ზოგი მკვლევარის აზრით, აქედან უნდა იყოს წარმოშობილი იმ დროს ტომის მეთაურთა და შემდეგ კი ქვეყნის მმართველთა (განმგებელთა) დიდი თანამდებობანი და ამ თანამდებობათა მიხედვით წარმოქმნილი გვარები — დადეშქელიანი და „დადია“ — დადიანი. ყოველ შემთხვევაში, უეჭველია ერთი რამ: ჩვენი გვარების დიდი ნაწილი ქალის სახელს უკავშირდება, გმირთა გმირი ამირანიც აკი დარეჯანის ძედ იწოდება, - ავტ.

...გაერთიანებული საქართველოს დიდმა მეფემ ბაგრატ IV-მ სიკვდილის წინ დაიბარა დედა, ცოლი, ასული და მისი უკანასკნელი სიტყვები დედისადმი იყო მიმართული: „დედაო, მეწყალი შენ, რამეთუ ყოველნი შობილნი შენი წარგვიქციე წინა და ეგრეთღა შენ მოჰკვდები“. ბაგრატ IV-ს დარდად მიჰყვებოდა მარტოდ დარჩენილი, შვილებამომწყდარი დედის სიბრალული. სულისშემძვრელი ეს დეტალი, მემატიანის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ შეტანილი, ერთხელ კიდევ წარმოაჩენს დედისადმი იმ საყოველთაო პატივისცემის, მოკრძალებისა და სიყვარულის გრძნობას, რითაც გამსჭვალული იყო უბრალო გლეხკაცის თუ ხელმწიფის გული (სულ ბოლო ხანამდე ქართველ მთიელებში ადგილის დედა თაყვანების საგანს წარმოადგენდა. ფშაველ მონადირეს რომ დაუღამდებოდა სადმე მთაში, ადგილის დედას მიებარებოდა: „ადგილის დედავ, შენ გებარებოდე, შემინახე შენი მადლით“-ო). ბუნებრივია, რომ სწორედ ქართველმა ერმა, მისმა გენიალურმა ფანტაზიამ შექმნა სწორუპოვარი სახე დედისა: ლექსი-შედევრი „ამბავი ვეფხვისა და მოყმისა“ — ქართველი კაცის მიერ უღრმესი პოეტური და ფილოსოფიური გააზრება დედის სახისა, მისი მრწამსის, მისი უსაზღვრო ჰუმანურობის კვინტენსენცია. ერთადერთი ვაჟის დამკარგავი დედა მისი შვილის მკვლელის — ვეფხის დედაზეც დარდობს. იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისაო.

დიდი ილია განმარტავდა: „...ქართველებისთვის... დედა მარტო მშობელი არ არის. ქართველი ღვიძლ ენასაც „დედა ენას“ ეძახის, უფროს ქალაქს „დედა-ქალაქს“, მკვიდრსა და დიდ ბოძს სახლისას „დედა-ბოძს“, უდიდესსა და უმაგრეს ბურჯს — „დედა-ბურჯს“, სამთავრო აზრს — „დედა-აზრს“, გუთნის გამგებელ მამაკაცსაც კი — „გუთნის დედას“. რამოდენად განდიდებულია მნიშვნელობა დედისა, რამოდენად გამრავალგვარებულია, გაპატიოსნებული, გაძლიერებული, გაღონიერებული, თავმოსაწონებელი!.. სიდიდე, სიმაგრე და სიმკვიდრეც კი აღნიშნულა დედობით! ამაზე მეტი პატივი რაღა უნდა მოუტანოს სახელსა. სიტყვა „ქალი“ განა იმოდენას გვეტყვის, რასაც გვეუბნება დიდებული სიტყვა „დედა“ და მასთან ერთად „კაცი“.

ილიას ეს სიტყვები მრავალმხრივ არის საყურადღებო და საგულისხმო. ქართულ ენაში სხვა მხრივაც აისახა ქალის საპატიო როლი და ის განსაკუთრებული ადგილი, რაც მას ეჭირა ერის ცხოვრებაში: ქალ-ვაჟი, გოგო-ბიჭი, დედ-მამა, ცოლ-ქმარი, და-ძმა — ასე ამბობს და წერს ქართველი, დედაკაცისადმი პატივისცემის ეს გრძნობა მარტოოდენ მატრიარქატიდან გამომდინარე ნიშან-თვისება როდია, ენასა და ზნე-ჩვეულებებში დალექილი, როგორც ამას ზოგი მკვლევარი ფიქრობს. მატრიარქატი სხვა ერებმაც გამოიარეს, მაგრამ, რამდენადაც ვიცით, „კაცი“ არ მიუსადაგებიათ ქალისთვის. როგორც ითქვა, აქ სხვა ფესვები და ძირია საძიებელი და, უწინარეს ყოვლისა ის, რომ დასაბამიერი ღმერთი ქართველებისთვის (კოლხ-იბერიელებისთვის) იყო ქალღვთაება ნანა, რომელიც მფარველობდა ამ მოდგმას. ჩვენი აზრით, ერის ფსიქიკაში, მისი სულის ფსკერში სწორედ ეს ხსოვნა დაილექა და აქედან უკვე გასაგებია **დედა-კაციც**.

ამერიკელი სწავლული სოლანო რუსთაველზე დაწერილ სტატიაში ერთგან აღნიშნავს, რომ, კაცი თუმცა ქალზე ძლიერია, როცა ფიზიკური ენერგიის უეცარი გამოვლინებაა საჭირო, მაგრამ მას მუდამ თან სდევს ხატება ქალისა, როგორც შემოქმედი დედისა, ყოვლის მომთმენი, ყოვლის ამტანი და თავდადებული არსებისა, რომელიც ფიქრობს ირგვლივ მყოფთა ბედნიერებაზე... ერის სიმბოლოდ ქართველი დედის არჩევით ქართველებმა გამოხატეს ფაქიზი და ღრმა გაგება ამ ჭეშმარიტებისაო.

ის ამბავი, რომ ქართველი ქალი მამაკაცთან ერთად თანაბრად ეწეოდა ცხოვრების უღელს, რომ იგი დედაბოძი და დედაბურჯი იყო ოჯახისა, რომ ის მტკიცედ იდგა ზნეო-

ბის სადარაჯოზე — ბევრად განაპირობებდა ქართველი ერის ესოდენ გასაოცარ სიცოცხლისუნარიანობას, მის გამძლეობას ურიცხვი მტრის წინააღმდეგ ბრძოლებში.

დიახ, ქართველი ქალები არა მარტო ჩინებული დედები, მეუღლეები და აღმზრდელები იყვნენ, საჭიროების დროს არა მარტო გმირულად იბრძოდნენ მამაკაცების გვერდით მტრის წინააღმდეგ („თუ ვერ ჰპატრონობთ მამულსა, მე ქალს შემაბით ხმალიო“, — ესეც ქართველი ქალის ნათქვამია)[1] — ისინი მწერლებიც იყვნენ, როგორც, მაგალითად, ბორენა დედოფალი, თამარ მეფე, ქეთევან დედოფალი, ერეკლე I-ის ასული მაკრინე — ცნობილი ჰიმნოგრაფი და სხვები.

ქართველი ქალები იყვნენ დიპლომატებიც, მჭევრმეტყველნიც. მარტო უბრალო ქიზიყელი დედაკაცის სიტყვები რად ღირს, როცა მან ერეკლე II დაიტირა: „ყოველთა მიეპყრათ ყური მის მიმართ, და განუკვირდებოდათ, თუ ვითარ ერთმან მსოფლიომან დედაკაცმან ესრეთ შესაბამისი სიტყვებითა დაიტირა გვამი დიდებულისა მეფისა“.

ქალები მიიჩნეოდნენ ლიტერატურის მეცენატებადაც, დახელოვნებულ კალიგრაფ-გადამწერლებად, ისინი გვევლინებიან მხატვარ-მკაზმავებადაც, წიგნთსაცავის შემქმნელებადაც.

მე-12 საუკუნის დამლევს მახატლისა ძისა ივანეს ასული და გლონისთავის ძისა სარგისის მეუღლე, სახელად მანა — ვინმე იაკობს აწერინებს ოთხთავს თხელ პერგამენტზე. წიგნის მინაწერი გვამცნობს:

„სრულ იქმნა ღირსების და გულისმოდგინებისა მათისაებრ დეუფალთ დეუფლისა მანაისა რომელისა ბრძანებასა მორჩილებითა ხელვყავ წმიდისა ამისა ოთხთავისა და მოვახსენე მე უღირსმან იაკობ და მათ დიდად შემიწყალეს და მიბოძეს სრული სასყიდელი“, „ამის შემკაზმავსა დიასამიძის ასულსა გუქანს შეუნდე წმინდაო ნინო მოციქულო“ (მე-15 ს.). „ღმერთო, შეუნდე ამის უცბად მწერალი ლიპარტიანი ქალი მანაი“ (მე-16 ს.).

1 არც მაია წყნეთელის თუ თამარ ვაშლოვნელის — უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლი ქალების ფენომენია საკვირველი ჩვენს ისტორიაში! - ავტ.

მე-10 საუკ-ის ძეგლი გადაურჩენია მარიამ დადიანის ასულს: „ჩვენი ხელმწიფება პატრონმა დადიანის ასულმა დედოფალთ დედოფალმა მარიამ ესე წიგნი ურუმთ ქვეყნიდან გამოვიხსენ და გავასრულე დაშლილი და წამხდარი ჩემდა სადღეგრძელოდა და ცოდვათა ჩვენთა შესანდობად“.

მან თავისი სახელი უკვდავყო „ქართლის ცხოვრების“ გადაწერინებითაც. საყოველთაო ზნეობრივი დაცემის ვითარებაში მარიამ დედოფალი გვევლინება, როგორც: „სათნოებით და სიმშვენიერით აღსავსე მზიური ქალი, ქალი ყოველითურთ შემკული კეთილითა, რომლის მსგავსი თამარ მეფისა შემდგომად აღარავინ გამოჩენილა“.

მე-11 საუკუნეში ბაგრატ IV-ის ასული, ბიზანტიის დედოფალი მარიამი (დაახლ. 1065 წ.) ჩვენთვის უცნობ გადამწერს პერგამენტზე აწერინებს გრიგოლ ღვთისმეტყველის ცხოვრებას. მისივე ბრძანებით წიგნის გვერდებს ამკობენ ხელოვნური თავკაზმულობით, სათაურებს ხატავენ ოქროს ვარაყიანი ასოებით, დასაწყისი ასოები გამოჰყავთ ფერადი წერილობით.

ეს ის მარიამ დედოფალია, რომლის შესახებ ბიზანტიელი ფილოსოფოსი მიქელ ფსელოსი წერდა: „რომ დედოფლის ქება არ გამომივიდეს მისი გვარიშვილობის გამო, — რომელიც სიმდიდრით და შთამომავლობით ყველა სხვა სამეფო გვარს აღემატება, — მის საქებრად კმარა ყველაფერში მისი ხასიათი, რომ აღარაფერი ვთქვათ სხვა ღირსებაზე...

თავისთავადაც უფრო ლამაზი იყო, ვიდრე მაშინ, როცა საჭიროება მოითხოვდა მოკაზმულიყო“.

თანამედროვეთა გადმოცემით, მარიამ დედოფლის ხილვა ადგილზე აქვავებდა ადამიანს. მისი სილამაზე, მომაჯადოებელი მიმზიდველობა, ზნის სათნოება, ყველაფერი ეს აღემატებოდაო ფერწერასა და ხელოვნებას. ანა კომნენის

თქმით, არც აპელესს, არც რომელიმე სხვა მოქანდაკეს არ დაუტოვებია მარიამის დარი ქანდაკება:

„...ეს იყო თვით ჰიმეროსი (სურვილი და სიყვარული), რომელსაც ხორცი შეუსხამს ამ ჩვენს დედამიწაზე“.

რაც მთავარია, ეს „ხორცშესხმული ღვთაება“ ზნესრულობის მაგალითსაც აძლევდა გარყვნილებითა და ბინიერებით განთქმულ ბიზანტიის იმპერატორთა სასახლეს.

ქართველი ქალის ეს სულისმიერი და ხორცისმიერი მშვენიერება, მისი ხასიათის და ბუნების ზნეკეთილობა შთაგონებდა ჩვენს ფერმწერებს იგავმიუწვდომელი ფრესკების შესაქმნელად. ამ ფრესკებიდან იმზირებიან უბადლო სილამაზის ასულები: ყინწვისის ანგელოზის ქართული სილამაზით გაცისკროვნებული სახე, უნაზესი სევდით აღსავსე ლურჯი თვალების კდემა — დღესაც უზომო აღტაცებისა და მოწიწების გრძნობას რომ იწვევს ადამიანებში.

მისტიკოსი ბერის კრისტოფორო დე კასტელის გული დაიპყრო და მოინადირა შეუდარებელი მშვენების პატრონმა, „ამ ქვეყნად ანგელოზად მოვლენილმა“ გლეხის ასულმა თამურია გიმატიამ. დე კასტელი თავის დღიურში ჩაწერს: „სახეზე ნიშანი დამაჩნია, რათა გულში სხვა შეყვარებული აღარავინ დამეშვა. მარტო მყოფნო, აღფრთოვანდით! თვალები მზეს აჯადოებენ და ბაგე — აპრილს. უფრო ანგელოზს ჰგავდა. ბრძოლა გრძელდება. ერთგულებისა და უმანკოების, იშვიათი სილამაზის მქონე“. ეს იყო არა ხორციელი ლტოლვა, არამედ ზეამაღლებული ესთეტიკური ტკბობა, იშვიათი სილამაზით გამოწვეული. თამურიას მრავალი ჩანახატი გაუკეთებია კასტელის. დე კასტელის თამურია ესახებოდა, როგორც ადამიანად გარდაქმნილი სერაფიმი, ბრწყინვალე ვარსკვლავი...

...ათასწლეულებში იხვეწებოდა ქართველი ქალის ეს ამაღლებული, უბადლო სილამაზე. ათასწლეულები ძერწავდნენ ამ უზადო მშვენებას, „აქ სილამაზეც თაობებიდან თაობებზეა გარდამავალი“-ო, — შენიშნავს აზერბაიჯანელი პოეტი ვაგიფი.

დიდი გერმანელი ხელოვნებათმცოდნის ვინკელმანის

აზრით კი, „დღესაც არსებობენ ხალხები, რომელთათვისაც სილამაზე სრულებითაც არ ითვლება უპირატესობად, იმიტომ რომ მათ შორის ყველა ლამაზია, ყოველივე ამას მოგზაურები ერთსულოვნად ლაპარაკობენ ქართველებზე“. ფრანგი მოგზაური შარდენი კი წერს: „ქართველები მთელ აღმოსავლეთში და შეიძლება ითქვას, მთელ მსოფლიოში — საუცხოო ჯიშის ხალხია. ამ ქვეყანაში მე არ შემხვედრია არც ერთი უშნო ადამიანი — კაცი იქნება ეს თუ ქალი. ვხვდებოდი მხოლოდ და მხოლოდ ანგელოზისებრ სახეებს — ქალების უმეტესობა ბუნებას ისეთი სინატიფით დაუჯილდოებია, რომელსაც სხვაგან ვერსად შეხვდებით... ქართველ ქალზე უფრო მშვენიერი სახისა და ტანის დახატვაც კი — შეუძლებელია!“ პატრი პავლე მარია ფაიანცელის აზრით: „ქართველი ქალების უმეტესი ნაწილისათვის ბუნებას მიუნიჭებია ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება.“ ამასთან: „ისინი მახვილის გონებისანი და თავაზიანნი არიან, ცოდნა-ხელოვნების მოყვარულნი, დახელოვნებული კალიგრაფ-გადამწერნი,“ რომ „თან ატარებენ განუშორებლივ სასულიერო თუ საერო ხასიათის წიგნებსა და ხელნაწერებს“. ხოლო იტალიელ მოგზაურს პიეტრო დელა ვალეს მიაჩნია, რომ „საერთოდ ქართველები ერთ-ერთი ულამაზესი ხალხია მთელ აღმოსავლეთში“ და ა.შ.

დიახ, მოგზაურები და მისიონერი ბერები, ისტორიკოსები და გეოგრაფები ერთსულოვნად და ერთხმად ლაპარაკობდნენ ქართველი ერის და, კერძოდ, ქალების განსაცვიფრებელ სილამაზეზე. ხოლო მე-19 საუკუნის პირველი ნახევრის გერმანელი პოეტი, მეცნიერი და მთარგმნელი ფრიდრიჰ ბოდენშტედტი თითქოს რეზიუმეს უკეთებს ყველა გამონათქვამს და ასკვნის: „ქართველები უდავოდ ულამაზესი ხალხია დედამიწაზე მოსახლე ადამიანებს შორის. ასეთი სილამაზე ხვედრია კულტურის მაღალ საფეხურზე მდგარი ხალხისა“.

„დედაკაცი ესე... ორბი დედალი“

მოციქულთა ცხოვრებიდან ვიგებთ: „შემდგომად ამაღლებისა უფლისა, რაჟამს წილ-იგდეს მოციქულთა, მაშინ ყოვლადწმიდასა ღმრთისმშობელსა წილად ხუდა მოქცევად ქუეყანა საქართველოსა და ჩუენებით ეჩუენა მას ძეი მისი, უფალი ჩვენი და, რქუა: „დედაო ჩემო, არა უგულვებელვყო ერი იგი საზეპურო უფროს ყოველთა ნათესავთა, მეოხებითა შენითა მათთვის, ხოლო შენ წარავლინე პირველწოდებული ანდრია ნაწილსა მას შენდა ხუედრებულსა, და თან-წარატანე ხატი შენი, ვითარცა პირსა შენს დიდებითა გამოისახოს. და შენ წილ ხატი იგი შენი მკვიდრობდეს მცუელად მათდა უკუნისამდე ჟამთა“.

მაშინ რქუა ყოვლადწმიდამან მოციქულმა ანდრიას: „შვილო ანდრია, დიდად უჩნს სულსა ჩემსა, რომელ ქუეყანასა მას ნაწილსა ჩემსა არა ქადაგებულ არს სახელი ძისა ჩემისა. ოდეს წარვემართე ქადაგებად ძისა ჩემისა ქუეყანასა მას, წილად ჩემდა ხუედრებულსა, მაშინ გამომეცხადა სახიერი ძე ჩემი და ღმერთი, და მიბრძანა, რათა შენ წარხვიდე და წარასუენო სახე ჩემი და სახიერისა ძისა ჩემისა ქუეყანასა, ჩემდა წილხდომილსა, რათა მე ვიყო განმგებელ ცხოვრებისა მათისა, ხელი აღუპყრა და შევეწიო მათ, და არავინ მტერთაგანი მძლე ექმნას მათ“.

რქუა მას მოციქულმან: „ყოვლად-წმიდაო, ნება სახიერისა ძისა შენისა და შენი იყავნ ყოველსა ჟამსა“, მაშინ ყოვლად-წმიდამან მოითხოვა ფიცარი, დაიბანა პირი და დაიდვა პირსა ზედა თვისსა. და გამოიხატა ხატი ესევითარი, რომელ წიაღთა თვისთა ეტვირთა განხორციელებული ჩვილი, ყოვლად სახიერი სიტყუა ღმრთისა, რომელ აწ ყოველთა მიერ სახილველ არს ხატი ყოვლადწმიდისა აწყუერისა ღმრთისმშობელისა და მისცა იგი მოციქულსა ანდრიას და რქუა: „მადლი და შეწევნა ჩემგან შობილისა

უფლისა თანაშემწე გეყავნ შენ, სადაცა ხვიდოდე და მეცა თანაშემწე ვარ ქადაგებასა მაგას, და დიდად შევეწიო მონაწილესა მას ჩემდა ხუედრებულსა“. მაშინ დავარდა მოციქული ქუეყნად და მადლი შესწირა ცრემლითა ყოვლად წმიდასა და გამოვიდა მიერ სიხარულით, და წარემართა ქადაგებად სახარებისა“ (გადმოცემითვე, ანდრიას თან ახლდნენ სიმონ კანანელი და მატათა...).

„...მოვიდა ანდრია ქალაქად ტრაპიზონად, რომელ არს სოფელი მეგრელთა, სადა იგი დაჰყო ჟამი მცირედი...“ შემდეგ გადავიდა დიდ აჭარაში, სამცხე-ჯავახეთში...

„მრავალნი ჭირნი და განსაცდელნი დაითმინა ურწმუნოთაგან, და შეწევნითა ღმრთისათა და წმიდისა მის ხატისათა ყოველნივე მადლობით მოითმინნა, ვიდრემდის ყოველნივე მოაქცივნა და მოიყვანნა სარწმუნოებად. რამეთუ ადგილსა, რომელსა დაასვენა ხატი ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობელისა, აღმოეცენა წყარო ფრიად შუენიერი და დიდი, რომელი-იგი ვიდრე დღესაც დაუწყუედელად აღმოსდის. და შემოკრბეს ყოველნივე ყოვლით კერძო მკვიდრნი მის ქუეყანისანი და ნათელ-სცა ყოველთა სახელითა მამისათა და ძისათა, და სულისა წმიდისათა. და დაადგინნა მღუდელნი და დიაკონნი, და დაუდვა წესი საზღაური სარწმუნოებისა. და აღაშენეს ეკკლესია შუენიერი სახელსა ზედა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობლისასა. და ვითარცა ენება წმიდასა მოციქულსა მიერ წარსვლა, ევედრებოდეს და არა უტევებდეს წარსვლად, არამედ ეტყოდეს: „უკეთუ შენ წარხვალ, ხატი ეგე ყოვლად-წმიდისა ღმრთისმშობელისა აქა დაგვისვენე, სასოდ და მცველად ჩუენდა“ ხოლო წმიდამან მოციქულმან ანდრია შექმნა ფიცარი მსგავსი ზომისა და დასდვა ხატსა მას ზედა — მეყსეულად გამოისახა სახე უცვალებელი ხატისა მის და მისცა იგი მათ და სიხარულით შეინწყნარეს და დაასვენეს ეკკლესიასა შინა თვისსა პატივით, რომელი-იგი (აწყურის ღვთისმშობლის ხატი, — ც.ა.) ვიდრე დღეს-აქამომდე ჰგიეს, ხოლო წმიდასა მოციქულსა მისცეს მშვიდობა

და მოწყალედ მოიკითხეს, ამბორს უყვეს და წარმოგზავნეს.“

გადმოცემითვე, ანდრია პირველწოდებულს მიეწერება სამეგრელოში დიდი ჭყონის (მუხის) მოჭრა და წარმართთა ამ სალოცავ ადგილზე პირველი ეკლესიის აგება. შემდეგში მარტვილის ეს სახელგანთქმული საყდარი იქცა მღვდელმთავრების — ჭყონდიდელების რეზიდენციად. ანდრია მოციქულმავე ენგურის პირად დაასო თავისი ჯვარი (დღესაც ამ ადგილს ჯვარი ჰქვია). გადმოცემის თანახმადვე — სიმონ კანანელი დაკრძალულია საქართველოში, ახალი ათონის მახლობლად.

და აი, გადის დრო და ხანი და კაპადოკიელ ქალწულ ნინოს სიზმარში ეცხადება ღვთისმშობელი, ხელში აძლევს ვაზის ჯვარს და უბრძანებს მის წილხვედრ ქვეყანაში წასვლას.

„ვითარ შესაძლებელ არს ეგე ჩემს მიერ? რამეთუ მე დედაკაცი ვარ უნდო და უსწავლელი“, — შეწუხდა თურმე ქალწული, მაგრამ ღვთისმშობელმა დაამშვიდა იგი: „წარხვალ სიმხნით და უშიშრად უქადაგებ ჭეშმარიტებას ერს, ამით ნიშითა სძლო ყოველთა მანქანებათა ეშმაკისა და წარგემართოს ქადაგება შენი და თანაშემწედ გეყო და არა დაგიტეო“.

გამოღვიძებულმა ნინომ სიხარულის ცრემლით დაალტო ჯვარი, შემდეგ მოიჭრა ნაწნავი და თავისი თმით შეკრა იგი.

ჭელიშური წმინდა ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია — ქართველთა განმანათლებელს თვით ღვთაებისგან მოევლინა ზეციური მოციქული, რომელმაც ათ მცნებასავით დაწერილი „წიგნი“ მისცა, სადაც ნათქვამი იყო: „არცა მამაკაცებაი, არცა დედაკაცებაი, არამედ თქვენ ყოველნი ერთ ხართ“-ო.

...და აი, 16 წლის კაპადოკიელი ქართველი ქალწული, ბიძის, იერუსალიმის პატრიარქისგან დალოცვილი, მოეშურება იბერიაში (ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ, ქართული ეროვნული ტრადიციის მიხედვით, ნინოს მამა ზაბილონი — რომის სახელგანთქმული მხედართმთავარი — და მთავარმოწამე გიორგი კაპადოკიელები არიან, „თანაზიარნი და მეგობარნი ერთურთისა“. ხოლო კაპადოკია, ბერძენი ისტორიკოსების ჩვენებით, მე-4, მე-5 საუკუნეებში ჯერ კიდევ ჭანებითა და მესხებით არის დასახლებული.

„შემწე და ხელის-ამპყრობელ ექმენ უძლურებასა ჩემსა და წარდევნენ და აოტენ ბოროტნი იგი მხეცნი, ხილულნი და უხილავნი და ყოველთავე განსაცდელთაგან დამიცევ და ყოველთა საბრთხეთა და საცთურთა მტერისათა უვნებლად თანაწარმხადე“, — ევედრებოდა უფალს.

წმინდა ნინოს სწორედ ვაზის ჯვრით უნდა დაელოცა და ეკურთხებინა ქართველი ერი, ამ ვაზის ჯვრის წყალობით უნდა დაენერგა ახალი რწმენა, ანუ ნათელი შეეტანა ადამიანებში. ვაზი კი, როგორც ცნობილია, ძველ საქართველოში ღვთაებრივ (მზის) მცენარედ მიაჩნდათ, ხოლო თმები ძველთაძველივე წარმოდგენით — მზის სხივების სიმბოლო გახლდათ (აკი კირკეს თავზე ცეცხლის ისრების დარი თმები ედგა, ისევე, როგორც დალის ოქროს ნაწნავები ღვთაებრიობის ნიშანი გახლდათ!). ვაზის შეკვრა თმით — მზისა და ვაზის ერთიანობას მოასწავებდა და: „თუმცა ქრისტიანობა არ სცნობდა არც ვაზისა და არც მზის თაყვანებას, მაგრამ ქართველებს არ შეეძლოთ შელეოდნენ ვაზისა და მზის სილამაზეს, როცა ვაზი იყო — იგულისხმებოდა მზე... ვაზი-ქალის თმები-მზე — მათ შორის კავშირს ამყარებს მითოსური ესთეტიკა“ (რ. სირაძე).

თავდაპირველად ჯვარსაც, როგორც ნათლის სიმბოლოს, უხსოვარი დროიდან სწორედ მზესავით გამოხატავდნენ კოლხ-იბერიელნი — ძველი ჩვეულებისამებრ, მას წრეში ჩახატავდნენ ხოლმე. წრეში ჩახატული ტოლფერდა ჯვარი ბორჯღალს ემსგავსებოდა. ამის მსგავსი იყო ქართულ ასომთავრულში დ-ასო-ნიშანი. შემდგომში ქართველი ერის პოეტურ აღქმაში ციურთა უფალი მზე გარდაისახა მაცხოვრის დედად — მზე მარიამად, ვისი მშვიდი და აუმღვრეველი, სათნო და უმანკო მზერა საუკუნეების განმავლობაში ამკო-

ბდა ქართული ცის კაბადონს. ამდენად, არ უნდა იყოს შემთხვევითი ან მოულოდნელი — საქართველო მზე-მარიამის — ანუ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყნად რომ არის მიჩნეული: „რამეთუ ნაწილი მისი ვართ ნათესავნი ქართველნი და ნეტარ ვართ ჩვენ და სამგზის ნეტარ, რამეთუ ნაწილი მისი ვიწოდებით“-ო, — ამბობს ძველი ქართველი მწერალი.

...ხოლო წმინდა ნინოს მოსვლისთვის ქართლში მისდევდნენ „სჯულსა მამათა“, ანუ ეთაყვანებოდნენ მნათობებს.

არმაზი — ანტიკური ხანის ქართლში წარმართული პანთეონის უზენაესი ღვთაება — მთვარის სახით წარმოიდგინებოდა. იგი მამა ღმერთი იყო. არმაზის შემდეგ წარმართულ პანთეონს სათავეში ედგნენ ზადენი, გაცი და გაიმ (უძველეს ხანაში კი, როგორც აღვნიშნეთ, კოლხ-იბერთა უზენაესი ღვთაება, რომელმაც შექმნა მთელი სამყარო და აწესრიგებდა მის ქმნილებებს, იყო ცის ღვთაება — ნანა, შემდგომში მზედ გარდასახული).

ეროვნული პანთეონის ყველა ღმერთს, ჯვარსა თუ ხატს, თავისი წილი დღე-სასწაული ჰქონდა და ამ ღვთაებათ დიდ ზეიმებს უმართავდნენ კიდეც.

„მამაპაპეულ სჯულთან“ ერთად ქართლში თანდათან ცეცხლთაყვანისმცემლობაც[1] იკიდებდა ფეხს, რაც ირანის პოლიტიკური მოძალების შედეგი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ირანი ყოველნაირად ცდილობდა ცეცხლთაყვანისმცემლობის დამკვიდრებას, იგი არასოდეს ყოფილა წინაქრისტიანული ქართული პანთეონის დამახასიათებელი, რადგან მაზდეანობა სრულიად მიუღებელი აღმოჩნდა ქართული კულტურისთვის, მით უმეტეს არ გავრცელებულა იგი დასავლეთ საქართველოში, სადაც მითრას კულტი — წინა აზიის უძველესი მკვიდრი მოსახლეობისგან შეთვისებული სპარსელების მიერ — ეგრისში თავისთავად უმტკივნეულოდ ინერგებოდა, რადგან აქ უკვე უხსოვარი დროიდან ეთაყვანებოდნენ მზეს და საკუთრივ მზის კულტის ოდინდელი ტრადიცია არსებობდა.

1 ძვ. სპარსული რელიგიის, მითრაიზმის — დეგრადირებული ფორმა. - ავტ.

მირიანის მეფობის დროს, მე-4 საუკუნის პირველ ნახევარში, ანუ ნინოს მოსვლისთვის, ქართლისა და ეგრისის (დასავლეთ საქართველოს) დამოუკიდებელ სამეფოებს დასუსტებული არშაკიდების პართიაზე უფრო ძლიერი და საშიში მტერი გამოუჩნდა სასანიანთა ირანის სახით.

ერთმანეთის მეტოქე ორ დიდ სახელმწიფოს — რომსა და ირანს შორის, იძულებულია არჩევანი გააკეთოს როგორც იბერიამ, ისე ეგრისმა, რათა ერთ-ერთი მათგანის დახმარებითა და მხარდაჭერით გაუმკლავდეს მეორეს.

ნიზიბინის ზავის შემდეგ (297 წ.) ირანმა სცნო რომის უპირატესობა სომხეთსა და იბერიაზე. ზავის პირობების თანახმად, ქართლს სამეფო ნიშნები[1] რომაელებისგან უნდა მიეღო, თუმცა ქართლი, ფაქტობრივად, დამოუკიდებელი სამეფო იყო.

ქართლის მმართველ წრეებში ამ დროისთვის ბიზანტიასთან სიახლოვეს რჩეობენ.

...წმინდა ნინოს ცხოვრების მიხედვით, მეფე მირიანს გაგონილი ჰქონდა ქრისტეს სჯულის არსებობა საბერძნეთში. თავდაპირველად იგი თითქოს არ აბრკოლებდა წმ. ნინოს და მის მოწაფეთა ქადაგებას, რადგან „დედაკაცი ესე... ორბი დედალი, რომელ აღვიდეს სიმაღლესა ჰაერთასა უფროს მამალისა“, მოვლინებული იყო უფლის მიერ, რათა „შესცვალოს ყოველი წესი ამის ქვეყნისა“. და მართლაც, წმ. ნინოს ცხოვრებაში ნათქვამია, რომ მან, ჯერ იყო და, თავისი ლოცვა-ვედრებით დაამხო კერპები. შემდეგ დასახლდა მეფის ბაღში მოსამსახურე ქალთან და მალე ცნობილი გახდა მთელ ქალაქში და მის შემოგარენში, როგორც სხვადასხვა სენით დაავადებულთა მკურნალი.

ექვსი წლის განმავლობაში წმ. ნინო ცხოვრობდა თავის უბრალო ქოხში. ეს ბაღი ძვირფასი იყო მისთვის, რადგან

1 სკიპტრა, გვირგვინი და სხვ.

ჯერ კიდევ იერუსალიმში გაგონილი ჰქონდა, აქ, ამ ადგილას, ვენახში — ქრისტეს პერანგია დაფლულიო.

...მაგრამ ეშმაკსაც, ამ უჩინო მტერს, არ ეძინა და მირიანი ვერ დაამტკიცებდა აღსარებას ქრისტესა, რადგან პირველ ხანებში თვით დედოფალი ნანაც გულფიცხელი იყო ნინოს ქადაგებათა მიმართო. მაგრამ მოულოდნელად ნანა დედოფალს მძიმე სენი შეეყარა, სენი, რომლის კურნება ვერავინ შეძლო. ნანა დედოფალს აუწყეს „ჰრომისა ტყვის მიერ“ მრავალნი სნეულნი ინკურნებიანო. დედოფალმა უბრძანა თავის მსახურთ, მოეყვანათ ნინო, მაგრამ დედოფლის გამოგზავნილებს ნინომ უთხრა, არა მაქვს უფლება წავიდე, „სადაც შუება ჩუენი არა არს, არამედ დედოფალი მოვიდეს საყოფელსა ამას ჩემსა. და ჭეშმარიტად განიკურნოს ძალითა ქრისტესითა“-ო. რაკი ნანა დედოფალს სიარული არ შეეძლო, გაუმზადეს საკაცე და ისე მიიყვანეს ნინოსთან. ნინომ ლოცვითა და ჯვრით მეყსეულად განკურნა დედოფალი. ნანამ იწამა ქრისტე და ამიერიდან შეიქმნა იგი წმინდა ნინოს მეგობრად და შინაურად. სწავლობდა მისგან ქრისტეს სჯულს, თავად ნინო კი არავის აუწყებდა თავის ვინაობას, ვინ იყო, სადაური: „არამედ ტყვედ იტყოდა თავსა თვისსა“. ხოლო მირიანს უჩინო იგი მტრები ებრძოდა და აყენებდა „აღსარებად ქრისტესა“, გულსა „შთაუგდებდა სასოებასა კერპთასა და ცეცხლთასა“, მაგრამ, როგორც „ქართლის ცხოვრება“ გადმოგვცემს, განსაცდელში ჩავარდნილ მირიანს, რომელსაც ნადირობის დროს უცებ დაუღამდა და გზა აებნა, ნინოს ღმერთისთვის უთხოვია შველა და მზე გამოუბრწყინდა კიდეცო. ნინოს რჩევით, უკვე ქრისტეს სჯულზე მოქცეულმა მირიანმა გადაწყვიტა ეკლესიის აგება იმ ადგილზე, სადაც, გადმოცემით, უფლის კვართი იყო დამარხული და სადაც „მდგომარე იყო ხე იგი კვიპაროზი სულნელი და ქვეშე ყვავილოვანი“.

გადმოცემით, უძველეს დროში საქართველოში, ზოგი

ვერსიით, ნაბუქოდონოსორის დროს ჩამოსახლებული ებრაელები — ურიები — ყოველწლიურად აგზავნიდნენ არჩეულ მამაკაცებს პასექის დღესასწაულზე იერუსალიმში[1]. ამათგან გაიგეს ქართველმა ებრაელებმა იესო ქრისტესა და მისი მოძღვრების შესახებ. მცხეთელი ებრაელი ელიოზი შეესწრო ქრისტეს წამებას. მან იყიდა ქრისტეს კვართი ერთი მხედრისგან, რომელსაც პერანგი წილისყრით შეხვდა. მცხეთაში მობრუნებულ ელიოზს თავისი მოხუცებული, ქვრივი დედა ცოცხალი აღარ დახვდა. დამ, სიდონიამ ძმას ხელიდან გამოსტაცა წმინდა სამოსი, გულზე მიიკრა და სიხარულისგან იქვე განუტევა სული. სიდონია პერანგთან ერთად, ვერანაირად რომ ვერ გამოგლიჯეს ხელიდან, დაასაფლავეს მეფის ბაღში. სიდონიას საფლავზე ამოვიდა დიდი, სურნელოვანი კვიპაროსი. ამ კვიპაროსის სვეტისგან აიგო შემდეგში სვეტიცხოველის დედაბოძი...

სვეტიცხოველის ტაძრის სასწაულებრივი აგების შემდეგ ნინომ აღამართვინა სამი ხის ჯვარი: ერთი იმ ბორცვზე, სადაც ახლა ჯვრის მონასტერია, მეორე თხოთის მთაზე, სადაც მირიან მეფემ პირველად იწამა ქრისტე, და მესამე — უჯარმაში.

ეს უნდა მომხდარიყო 337 წელს.

„წმ. ნინოს ცხოვრების“ მიხედვით, მეფე მირიანმა და ნანა დედოფალმა ყოველივე აუწყეს ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინეს და სთხოვეს, ახლად მოქცეული ერისთვის მღვდელმსახურები გამოეგზავნათ. კეისარმა ანტიოქიის პატრიარქი წარმოგზავნა, ხოლო დედამისმა ელენე დედოფალმა მეგობრული ეპისტოლე მოსწერა წმინდა ნინოს და მოციქულთასწორი უწოდა მას. პატრიარქმა ნათელსცა ერს, დალოცა და აკურთხა ახალი სამწყსო, მთავარეპისკოპოსად ღირსი იოვანე განუწესა და უკანვე მიიქცა.

წმ. ნინო ეწვია ერწო-თიანეთს, ჟღალეთს, ყვარელს, კაწარეთს, ქველდაბას გადავიდა და ყველგან განავრცო

1 ზოგი მკვლევარის აზრით, ურიები-ქალდეური, ანუ იბერიული ტომია, ხოლო ნანა დედოფალი-პონტოს ანუ ჭანეთის მთავრის ასული იყო. -ავტ.

საღმრთო სწავლა. მონათლა კახეთის დედოფალი სუჯიც. კახეთში ყოფნისას ნინო დასნეულდა და გარდაიცვალა. დაუკრძალავთ დაბა ბოდინში (დღევანდელი ბოდბე).

წმინდა ნინოს თანამდგომებად, მის მოწაფეებად ქალები გვევლინებიან (გადმოცემით, ანდრია მოციქულსაც საქართველოში თანამოაზროვნედ და შემწედ ჰყოლია აგრეთვე ქალი — სამცხის წარჩინებულის ცოლი — სამძივარი). წმინდა ნინომ ქალების, განსაკუთრებით კი დედოფალ ნანას დახმარებითა და ხელშეწყობით შეძლო, აკაკის სიტყვებით რომ ვთქვათ, გაეტეხა წარმართი მამაკაცების წინააღმდეგობა და ახალი სარწმუნოება დაენერგა ერში (ნიშანდობლივია აგრეთვე ისიც, რომ წმ. ნინოს ცხოვრების აღწერა მიეწერებათ დედაკაცებს: პიროჟავრი სივნიელსა და სალომე უჯარმელს — შესაძლოა, იმ დროის მწერალ ქალებს).

აკაკი წერეთელი, რომელმაც მრავალი საინტერესო წერილი და გამოკვლევა მიუძღვნა ქართველ ქალებს, ერთგან აღნიშნავს, რომ „ამ პატარა საქრისტიანო სამეფოში, როგორც ღვთისმშობლის საუფლისწულოში, პირველობა ყველაფერში ქალებს ერგოთ, რომ ერთი უბრალო, მოგზაური, უძლური კაპადოკიელი ქართველი ქალის წინაშე, რომელსაც გარდა მისივე თმით ჯვარად შეკონილი ვაზის მეტი არა ეჭირა რა ხელში, ემხობიან თავით ფეხებამდე აღჭურვილი მეფე და დიდებულები და რომ სხვა ქვეყანაში ისეთი ნდობა და თავისუფლება არა ჰქონიათ ქალებს, როგორც ჩვენს ქვეყანაში, რომ ეს პატივი ღირსეულად შეიფერეს ჩვენმა დედებმა“.

და მართლაც, მთელ ქრისტიანულ სამყაროში საქართველო ერთადერთი ქვეყანაა, ქალმა რომ მოაქცია.

მოციქულთა ცხოვრებიდან ცნობილია, რომ თითქმის ყველა მოციქული მოწამეობრივი სიკვდილით აღესრულა. გადმოცემით, წმ. ნინოს თანმხლებნიც — წმ. რიფსიმე და გაიანე და ბევრი სხვაც სომხეთის მეფემ თრდატმა წამებით დახოცა. ნინო სასწაულებრივად გადაურჩა სიკვდილს და

ქართლამდე მოაღწია, სადაც მან ბრწყინვალედ შეასრულა თავისი უზარმაზარი მოციქულებრივი მისია. „ქართლის ცხოვრების“ თანახმად, ანდრია პირველწოდებულის ქადაგებების შედეგად წმ. ნინოს შემზადებული დახვდა ნიადაგი. მაგრამ ქართლის მოქცევა მაინც ნინოს ღვაწლია. რამ განაპირობა ამ ახალი რელიგიის გამარჯვება ქართლსა და მთელ საქართველოში?

„არა არს ურიაება, არცა წარმართება; არა არს მონება, არცა აზნაურება, არა არს რჩევაი მამაკაცისა, არც დედაკაცისა, რამეთუ თქუენ ყოველნი ერთ ხართ ქრისტე იესოს მიერ“... ეს მოძღვრება ძალზე ეთანხმიერებოდა კოლხ-იბერიელის ფსიქიკას, ხოლო დედაკაცის პატივი განსაკუთრებით ახლობელი და მშობლიური იყო მისი სულისთვის, რადგან იგი გამოხატავდა დიდი ნანას და მზის თაყვანებაზე აღზრდილი ერის შინაგან მრწამსს, მის ლტოლვას ყოველივე მშვენიერის, კეთილის, შემწყნარებელის და ლმობიერის მიმართ.

ქართული ეროვნული ტრადიციის თანახმად, წმ. ნინომ ვაზის ჯვრით მოაქცია ერი (ვაზის ჯვრით ქვეყნის მოქცევა სხვაგან, საქართველოს გარდა, არსად გვხვდება). ვაზი ხომ, როგორც ზემოთ ითქვა, ძველ საქართველოში ღვთაების (მზის) მცენარედ მიაჩნდათ.

ქართველებს არ შეეძლოთ შელეოდნენ ვაზისა და მზის სილამაზეს. როცა ვაზი იყო, იგულისხმებოდა მზე. ვაზი-ქალის თმები-მზე — მათ შორის კავშირს ამყარებს თურმე მითოსური ესთეტიკა. თუმცა ესთეტიკა არ უნდა იყოს ამ შემთხვევაში არსებითი და გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტორი.

ქრისტიანული ეზოთერიზმის თანახმად, მზე არის ხატი „მზიანი ღამისა, ანუ ქრისტესი“. ლოგოსი იგივე სულიერი მზეა, მზის სულია. ლოგოსი, როგორც სულიერი მზე, ფიზიკური მზის ანარეკლი, მზის პირველსახე — ფიგურირებს ჯერ კიდევ ქრისტიანობამდელ რელიგიურ და ფილოსოფიურ მოძღვრებებში...

ძველი ზიარებულნი ჭვრეტდნენ ქრისტეს დედამიწის გარეთ, კოსმოსში, რომლის ცენტრია მზე. ძველი დროის ზიარებულნი ქადაგებდნენ ქრისტეზე, როგორც მზიურ არსებაზე... გოლგოთის მისტერიის დროს ეს მზიური არსება, ღვთის სიტყვა — განსხეულდა იესო ნაზარეველში, ცხოვრობდა მიწაზე, ჯვარს ეცვა, მიწაში დაეფლა და აღმდგარი გამოეცხადა თავის ინიციაციაქმნილ მოწაფეებს... მზე არის ხატი „მზიანი ღამისა — ქრისტესი, მზე არის ხატი „უჟამოსა ჟამისა“ — ქრისტესი. მზე არის ხატი ერთარსებისა ერთისა — წმინდა სამებისა და ამდენად ქრისტესიც“.[1]

...ქართველი კაცი, იქნებ ქვეცნობიერადაც, ღვთისმშობელსაც მზეს უტოლებდა. ქალღვთაება მზე-დიდი-დედაუფალი იქცა მზე-მარიამად, ვის წილხვედრადაც მიაჩნდათ საქართველო — მზის შვილთა ქვეყანა და ვინც ქალმა გაანათლა, ანუ მზის ნათელს აზიარა მზისავე სიმბოლოებით: თმით შეკრული ვაზის ჯვრით!

...ქართულ ისტორიოგრაფიაში მიღებული აზრის თანახმად, ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება როგორც ქართლში, ასევე ეგრისში ხელს უწყობდა არა მარტო ადრეფეოდალურ საფეხურზე გადასული სამეფოების ახალი საზოგადოებრივი ფენის შემდგომ ზრდასა და გაძლიერებას, არამედ კიდევ უფრო განამტკიცებდა ქართლისა და ეგრისის სახელმწიფოების კულტურულ ერთობას.

როგორც ცნობილია, ქრისტიანობა, ერთის მხრივ, უარყოფდა რასობრივ, ნაციონალურ და კლასობრივ განსხვავებულობას, მეორე მხრივ კი, ამკვიდრებდა ეროვნულ მეობას, სტიმულს აძლევდა ერის თვითშეგნების ამაღლებას, ხელოვნების, მწიგნობრობის განვითარებას.

დიდად საინტერესოა ილია ჭავჭავაძის აზრი ქრისტიანობის როლისა და ნინოს ღვაწლის შესახებ საქართველოში.

1 ხ. მ. გიგინეიშვილი — „მზიანი ღამე და „ვეფხისტყაოსნის“ და ქრისტიანული მსოფლმხედველობის ზოგი საკითხი. კრებული „ძველი ქართული მწერლობის საკითხები“. III თბ. 1968წ.

ილიას განმარტებით, ჭეშმარიტების ძელზედ „სხივოსანი ასოებით, ქრისტეს წმინდა სისხლით დაწერილი იყო და არის იგი მცნება, რომელიც უდიდესია, უძლიერესია ყოველ სხვა მცნებაზედ: გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა თავი შენი“. მაგრამ, ილიას აზრით, ქრისტიანობა, ქრისტეს მოძღვრების გარდა ჩვენში ნიშნავდა აგრეთვე „მთელს საქართველოს მიწა-წყალს, ეროვნულობას, ნიშნავდა ქართველობას“.

ილიას თქმითვე: „მოგვევლინა წმინდა ნინო, გვამცნო და გვასწავლა ქრისტეს რჯული და ამ ახალმა აღთქმამ განაახლა ჩვენი ქვეყანა ახალი ცხოვრებისთვის. ქართველმა ამ რჯულს, ამ ახალ აღთქმას შეუერთა ძველისაგან ყოველივე ის, რაც კი რამ ძვირფასია ადამიანისათვის და რაც თავის დღეში არ დაძველდება, მინამ ადამიანი ადამიანობს. შეუერთა მამული და ეროვნება. ეს სამი — ერთმანეთის ღირსი საგანი — ისე ჩაიწნენ, ისე ჩაქსოვდნენ ერთმანეთში, რომ რჯულის დაცვა საქართველოს მიწა-წყლის დაცვად გარდაიქმნა და მიწა-წყლის დაცვა — რჯულის დაცვათ. რჯული ჩვენის მამულის, ჩვენის ეროვნობის ხმლად იქცა ზედმისევისათვის და ფარად ზედმოსეულთათვის... ეგრე მოძღვრებულმა ერმა ეს სამება წაიმძღვარა წინ, ათას ხუთასი წელიწადი ომითა და სისხლის ღვრით გამოიარა და ქართველს მიწაც შეუნახა და ქართველობაც...

ამ სახით, წმინდა ნინოს მოციქულობით მოფენილმა და დამკვიდრებულმა ქრისტიანობამ გვიხსნა ჩვენ არამცთუ სულიერად, არამედ ხორციელადაც. იმ უდიდესმა მოძღვრებამ, რომელიც ქრისტე ღმერთმა მოუვლინა ქვეყანას ხსნად და ცხოვრებად, თავისი ძლევამოსილი კალთა გადააფარა ჩვენში ჩვენს მამულს, ჩვენს ეროვნებას, ვითა ობოლნი შეიკედლა, თავისის ღვთაებურის ძალღონით გამოჰზარდა, შეჰმოსა, შთაუდგა გული რკინისა, გაუმძღვარა ჯვარი პატიოსანი და ძელი ჭეშმარიტებისა და ათას ხუთასი წელიწადია ამ ძალღონით ქრისტიანობამ შეგვინახა ჩვენ ჩვენი მიწა-წყალი, ჩვენი ენა, ჩვენი ვინაობა, ჩვენი ეროვნება.

ქრისტიანობის მოფენა და დამკვიდრება თითონ ცალკედ, თავისთავადაც დიდი ღვაწლია და რომ ქრისტიანობამ ქვიტკირსავით შეგვკრა და გაგვამაგრა, რომ ქრისტიანობამ გაგვაღვიძა მამულისა და ეროვნობის შერჩენისა და ხსნისათვის, ღვაწლი იგი გვიორკეცდება, გვიდიდდება, გვიძლიერდება. ეგ გაორკეცებული, ეგ განდიდებული ღვაწლი დაგვდო ჩვენ ჩვენმა განმანათლებელმა წმინდა ნინომ... ამ მოციქულთა სწორმა ქალწულმა, ღვთაებურის მადლით მოსილმა.... დაგვაწაფა დაუშრობელს წყაროს ღვთაებურის ჭეშმარიტებისა და მოგვივლინა იგი მოძღვრება, რომელმაც იშვილა ჩვენი მამული, ჩვენი ეროვნება, და ერთსაც და მეორესაც უპატრონა დღემდე...“

.... მოდიოდა ფეხშიშველი დარსა თუ ავდარში, თოვლსა და წვიმაში ნორჩი კაპადოკიელი — ქართველი ქალწული — თავის თმით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში, მოდიოდა მტკიცე რწმენით, უშიშარი გულით — ხშირად მის ღაწვებს ასველებდა ცრემლის წვიმა, მაგრამ „ორბი დედალი“ დაუღლელად შესთხოვდა უფალს წყალობას იმ ერისთვის, წილხვდომილი რომ იყო ყოვლადწმინდა ღვთისმშობლისა; იმ ერისთვის, ვისი მოდგმაც თავად გახლდათ; იმ ერისა, რომლის ფესვები უშორეს წარსულში, ათასწლეულების წინათ იყო ჩაყრილი და რომელიც მოელოდა კაცობრიობის მხსნელს და გადამრჩენელს.

„ო, მეუფებაო ქართველთაო, იხარებ, რამეთუ ნინომ დაგადგა შენ გვირგვინი ქრისტეს მიერი, ნინომ, ლომებრ ახოვანმა ბრძენნმა გულითა“. — არსენ ბულმაისიმიძის სიტყვებითვე, ნინოს ხსენება სწორედ რომ სიხარულის ღირს არს... რამეთუ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას იცავს და იფარავს მისი მადლი: „რაბამ საკვირველობა მოქალაქობა შენი, რაბამ მშვენიერ მოციქულობა შენი და ყოველივე სიკეთითა აღსავსე ქალწულობითა შემკობილი, ჰოი, ნინო!.. უნათლის სცემდე ცხოვართა განბნეულთა, ვითარცა მწყემსმან კეთილმან, შეგვკრიბე და მიგვგვარე ქართველნი

ღმერთსა მართალსა, დედაო წმინდაო ნინო, ევედრე შვილთა შენთათვის ქრისტესა ღმერთსა!“.

...ხატება სათნო ქალწულისა ვაზის ჯვრით ხელში — ერის ცნობიერებაში თანდათან გადაეჭდობა ღვთისმშობლისას, რომლის უმანკო თვალების ქართული მზერა ამკობდა ჩვენი ცის კაბადონს.

...ხოლო დედა ღვთისა მფარველობდა ქართველებს ყველგან და ყოველთვის — ასე სწამდათ, ასე სჯეროდათ და სწორედ ამიტომ დედა ღვთისას ევედრებოდნენ, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის და ერისთვის შეწევნას.[1] ღვთისმშობლის განსაკუთრებული ყურადღება და მზრუნველობა ქართველობის მიმართ ჩანს ყრმა ექვთიმეს ამბავში, რომელსაც გიორგი მთაწმინდელი აღწერს „ექვთიმე მთაწმინდელის ცხოვრებაში“ და იმ თქმულებაში, ათონის ივერთა მონასტრის კარის ღვთისმშობლის (პორტაიტისის) ხატს რომ უკავშირდება და უჩვეულო პოპულარობით სარგებლობს მთელს ქრისტიანულ სამყაროში.

...ხატმებრძოლობის დროს, VIII საუკუნეში, ნიკეაში ცხოვრობდა ერთი ქართველი დიდებული მანდილოსანი, მდიდარი ქვრივი, ღვთისმოშიში და კეთილმორწმუნე.

ნიკეაში ჩამოვიდა მეფის მალემსრბოლი რაღაც საქმეზე. მან დაივანა ქვრივი მანდილოსნის ოჯახში. აქ შემთხვევით ნახა ღვთისმშობლის ხატი. განრისხებულმა მახვილი აძგერა ხატს. ხატიდან სისხლი გადმოვიდა და ხატმებრძოლს უბე და კალთა აუვსო. შეშინებულმა მალემსრბოლმა მიატოვა ქვრივის სახლი და გაიქცა. ქვრივმა თავის ერთადერთ ვაჟიშვილს უბრძანა, ხატი ზღვაში შეეცურებინა... შემდეგ ქვრივის ვაჟი ბერად აღიკვეცა და ათონის მონასტერს მიაშურა. მისგან გაიგეს ათონელმა ბერებმა ამ ხატის არსებობის შესახებ. გავიდა თითქმის ორი საუკუნე. ათონის მონასტერში

1 შემთხვევითი არც ის გახლდათ, რომ ბაგრატიონები ენათესავებოდნენ ღვთისმშობელს, ანუ: იესიან-დავითიან-სოლომონიანების შთამომავლებად მიაჩნდათ თავისი თავი. - ავტ.

მოღვაწეობდა მკაცრი ასკეტი გაბრიელ ქართველი. „პირსა მისსა მსოფლიო სიტყვაი არა გამოდიოდა, არამედ ყოველივე საღმრთო და სასულიერო“. და, აი, ერთ დღეს ბერებმა შენიშნეს, რომ ზღვაში ნათელი სვეტი გამოჩნდა, რომელიც უჩვეულოდ ბრწყინავდა და ანათებდა. მიაშურეს ნავებით ამ ალაგს. აღმოჩნდა, რომ ნათლის სვეტი ადგა ღვთისმშობლის ხატს. რამდენჯერაც მიუახლოვდებოდნენ, იმდენჯერ „შორს ილტვოდა ბრწყინვალება იგი მათგან“.

შეიქმნა საყოველთაო ლიტანიობა, ყველა ეროვნების ბერები ევედრებოდნენ უფალს, რომ ღვთისმშობლის ხატი მათთვის ებოძებინა. ღამით, ძილში წმინდა ბერს, გაბრიელ ქართველს გამოეცხადა ღვთისმშობელი და უბრძანა, ეცნობებინა ივერთა მონასტრის ბერებისთვის, რომ მას სურს, ხატი ამ მონასტერს უბოძოს და გაბრიელმა თვითონ უნდა მიიღოს ხელში ეს ხატი. მეორე დღეს კვლავ ნავებით შესცურეს ზღვაში ბერებმა, თან გაბრიელი ახლდათ. „ცეცხლმნთებარე“ იგი მიუახლოვდა მათ. მაშინ გაბრიელი ზღვაზე ფეხით გავიდა და ხატი წყლიდან ამოასვენა. ბერებმა იგი მოწიწებით მიაბრძანეს ათონის ივერთა მონასტერში და ღვთისმშობლის ტაძარში დაასვენეს. მეორე დილით ხატი გარეთ, შესასვლელ კარიბჭესთან იპოვეს. ღამით ისევ ესიზმრა გაბრიელს ღვთისმშობელი და აუწყა, რომ ხატი კართან უნდა დარჩენილიყო. იგი კარის (პორტაიტისის) ღვთისმშობლის ხატად არის ცნობილი მთელი მართლმორწმუნე ქრისტიანული სამყაროსთვის (წმ. გაბრიელი ცხოვრობდა განმარტოებით ათონის ერთ-ერთ მაღლობზე. შემდეგში ამ მთას ეწოდა გაბრიელის სახელი).

...ულუმბოს ერთ-ერთ პატარა ეკლესიას შეაფარეს თავი წმინდა მამამ — ილარიონ ქართველმა და მასთან ერთად რამდენიმე ბერმა. ბერძენმა მამასახლისმა ბრძანა მათი გამოძევება, მაგრამ იმავე ღამეს გამოეცხადა მამასახლისს ღვთისმშობელი და რისხვით უთხრა: „რაისა სიყვარულისათვის ღმრთისა და არა დაიმარხე მცნებაი უცხოთა შეწყნარებისათვის, ვითარმედ ეტყვის უფალი და ძე ჩემი მდიდარსა მას! ანუ არა უწყია, ვითარმც მრავალნი დამკვიდრებად არიან მთასა ამას მათისა ენისა მეტყველნი და ცხოვნებად არიან? და რომელნი მათ (ე.ი. ქართველთ, — ც.ა.) არა შეიწყნარებენ, მტერ ჩემდა არიან“.

მამასახლისი მეორე დღეს ფეხებში ჩაუვარდა ილარიონს და პატიება სთხოვა. განითქვა საყოველთაოდ სახელი ილარიონ ქართველისა — მრავალი მოქალაქე მიდიოდა მასთან, მიჰქონდათ საზრდელი და ევედრებოდნენ მიღებას, მაგრამ წმ. ილარიონი უარს ეუბნებოდა ყველას და პასუხობდა: „მზრდის ჩვენ წმიდაი ღმრთისმშობელი და არა დამაკლებს ჩვენ ხორცთა საზრდელსა“.

...დედაღვთისა მფარველობდა ქართველ ბერებს ყველგან და ყოველთვის და სწორედ დედაღვთისას ევედრებოდნენ უწინარესად თავიანთი ქვეყნისა და ერისთვის შეწევნას, ევედრებოდნენ მეოხებას მაცხოვრის წინაშე და სწამდათ და სჯეროდათ, რომ იგი შეისმენდა მათ ხვეწნა-მუდარას.

...დიდი ექვთიმე მთაწმინდელი ყმაწვილობისას მძიმედ გამხდარა ავად. მამამისი — წმინდა იოანე, ათონის ივერთა მონასტრის ერთ-ერთი დამაარსებელი — ღვთისმშობლის ტაძარში შესულა, დავარდნილა ხატის წინ და შევედრებია „უხრწნელსა მარადის ქალწულსა ღმრთისმშობელსა... რაითა შემწე ეყოს და ყოს ლხინებაი“, რამეთუ ყმაწვილი იყო: „მეყსა შინა სულითა აღმოსვლასა. ვინაითგან არცაღა სიტყვაი დაშთომილი იყო მის თანა, არცა ხმაი“. იოანემ ამასთან მღვდელს ამცნო, სწრაფად მისულიყო და ეზიარებინა მომაკვდავი ბავშვი.

დაბრუნდა იოანე ტაძრიდან თავის სენაკში და რას ხედავს? მომაკვდავი ყმაწვილი წამომჯდარა ლოგინში, სიცხე განელებია, თვალში სიცოცხლის სხივი ჩასდგომია. რა მოხდაო, ჰკითხა განცვიფრებულმა მამამ შვილს და ყმაწვილმა

უამბო, სიზმარში გამომეცხადა დიდებული დედოფალი და ქართული ენით მკითხაო: „რაი არს, რაი გელმის ეფთვიმე? — ხოლო მე ვარქვი, ვითარმედ: — მოვკვდები, დედოფალო? და ვითარც ესე ვთქუ, მომეახლა და მიპყრა ხელსა და მრქვა: — არარაი არს ვნებაი შენ თანა. აღდეგ, ნუ გეშინინ და ქართულად ხსნილად უბნობდი“. თურმე აქამომდე უჭირდა ექვთიმეს ქართულად ლაპარაკი და ამის გამო ფრიად მწუხარე იყო მამამისი იოანე, ხოლო ამიერითგან: „დაუყენებლად ვითარცა აღმოდინ უწმინდეს ყოველთა ქართველთასა“. მამამ, რაი ესე იხილა: „დავარდა წინაშე წმიდისა ღმრთისმშობლისა და მადლი შესწირა საროისა მის ჩვენისა და ვჰმადლობდით და ვადიდებდეთ ღმერთსა, ამენ“.

დიდი გიორგი მთაწმინდელის მიერ მოთხრობილ ამ სასწაულებრივ ამბავში გაცხადებულია ღვთისმშობლის განსაკუთრებული მფარველობისა და ზრუნვის ნიშანი თავისი წილხვედრი ქვეყნის მკვიდრთადმი. ეს დიდებული მაგალითი მრავალი საუკუნის განმავლობაში აღაფრთოვანებდა ქართველთა თაობებს, რამეთუ ერთხელ კიდევ ხაზს უსვამდა და ნათელს ხდიდა ქართული ენის ღვთაებრიობას, მის წარუვალ დიდებას, რამეთუ ამ ენაზე მეტყველებდა თვით დედა უფლისა და ამით საცნაურდებოდა, რომ „ქებაი და დიდებაი ქართულისა ენისაი“ შემთხვევით შექმნილი ჰიმნი არ გახლდათ (სხვათა შორის, ერთ-ერთ აპოკრიფულ ცხოვრებაში ღვთისმშობელი მიჩნეულია კოლხი მეფის შვილიშვილად!).

...რუსეთის პატრიარქმა ნიკონმა გამოჩენილი მხატვრები გააგზავნა საბერძნეთს ათონის ქართველთა ტაძრიდან სახელოვანი ღვთისმშობლის გადმოსახატავად. 1648 წლის 13 ოქტომბერს დიდი ზარ-ზეიმით ჩამოუსვენებიათ „ივერიის ხატის“ პირი საბერძნეთიდან მოსკოვს. 1656 წელს ნიკონმა მეორედ გაგზავნა მხატვრები ქართული ხატის გადმოსაღებად და „ქართული ტაძრის“ სრული გეგმის გადმოსახაზავად. ამ გეგმის მიხედვით ნიკონმა ააგო ახალი „ივერიის მონასტერი“ ვალდაიზე. სულ მალე ივერიის ღვთისმშობლის ხატი და ეკლესია ღრმა თაყვანების საგნად იქცა მთელი რუსეთისთვის...[1]

მე-19 საუკუნის რუსეთის საეკლესიო მოღვაწემ პორფირი უსპენსკიმ ინახულა სახელგანთქმული ათონის ივერთა მონასტერი და ღვთისმშობლის სასწაულმოქმედი ხატი. მისი აზრით, ღვთისმშობლის ქართული სახე, ასევე შესრულების მანერა, ამასთან, ამ ხატის ათონში დამკვიდრების ისტორია, ყოველივე მიანიშნებს მის ქართულ წარმომავლობას და ხასიათს. იგი წერს, რომ ათონის მონასტრის საკურთხევლის ფანჯრებს ზევით «Написана во весь рост Богоматерь, Высшая небес с белым платочком в правой. Подножьем ея служат Небесные Силы, так называемые престолы... Грузинское лицо ея, продолговатое, девственное, нежное, неземное, с тонкими чертами, с черными глазами и маленькими устами, весьма благообразно. Это образец красоты Иверской».

ღვთისმშობელს შეჰღაღადებდა „უშიში, ვითარცა უხორცო“ — დავით აღმაშენებელი.

ხოლო დავით აღმაშენებლის ვაჟის, მეფე დემეტრეს საგალობელი ხალხმა მყისვე აიტაცა და დღესაც მღერის მას უწინდებური გზნებითა და გატაცებით: „შენ ხარ ვენახი, ახლად აღყვავებული, მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული, ალვა სულნელი, სამოთხით გამოსრული, ღმერთმან შეგამკო, ვერავინ გჯობს ქებული, და თავით თვისით მზე ხარ განბრწყინებული“. ღვთისმშობლის ამ ჰიმნშიც ასახვა ჰპოვა უძველესმა ტრადიციამ ვაზისა და მზის ერთიანობისამ.

ცნობილია თამარ მეფის მიერ თქმული ლოცვა-ვედრება ხახულის ღვთისმშობლისადმი: „მე, თამარ, მიწა შენი და მიერივე ცხებულობასა ღირს-მყავ და თვისობასა“...

„სცევ სამწყსო შენი“, — ევედრებოდნენ ღვთისმშობელს,

1 გადმოცემით, ღვთისმშობლის ხატი დაუბრუნდება თავის სამშობლოს — საქართველოს — ქრისტეს მეორედ მოსვლის ჟამს. - ავტ.

რადგან ჩვენს წინაპრებს ღრმად სწამდათ, რომ მზე-მარიამის წილხვდომი იყო მათი ქვეყანა, ხოლო თავად დედა ღვთისას, შესაძლოა, ქვეშეცნეულადაც, დიდი ნანას ხატებად წარმოისახავდნენ.

ყოველი სიონი საქართველოში ღვთისმშობლის სახელზეა აგებული და არსად სხვაგან, არც ერთ ხალხში არ არის ჩვეულება, სუფრის დასასრულს ყოვლადწმიდას პატივსაცემად ბოლო სასმისის დალევა.

„ქართლის ცხოვრებაში“ მრავალი მაგალითი აღუნუსხავთ მემატიანეებს ღვთისმშობლის მფარველობისა და ქომაგობისა. ასე, მაგალითად: ჟამთააღმწერელი მოგვითხრობს, როგორ მოკლა მულიდმა მონღოლი ნოინი ჩაღატა აღმოსავლეთის ბრძოლების დროს, ხოლო ამ მკვლელობაში ბრალდებული ქართველები სასწაულებრივ გადარჩნენ. ჟამთააღმწერელი ღვთისმშობლის წყალობად მიიჩნევს ამას.

უსასონი, იმედწარკვეთილნი ვედრებით მიმართავდნენ ხოლმე დედა-ღვთისას, მზე-მარიამს — ხსნისა და შველისთვის: შენ დამიფარე, დამიცევ, იესო ქრისტეს მშობელოო, რადგან საკუთარ დედასავით ახლობლად და მშობლიურად მიაჩნდათ სიკეთით გასხივოსნებული თვალები ღვთისმშობლისა, რამეთუ ყოველი უბედურების თუ გასაჭირის ჟამს სწორედ დედას უხმობს ხოლმე ადამიანი — ინსტინქტურად, ქვეცნობიერად.

დავით გურამიშვილის ღვთისმშობლისადმი მიმართული ვედრების ყოველი სტროფი მთავრდება რეფრენით: „შემმოსე მადლით შიშველი, იესო ქრისტეს მშობელო“, ან კიდევ: „მიხსენ, დედაო ღვთისაო, და ჩემო ხატ-სალოცავო“.

„დავითიანში“ მარიამ ღვთისმშობლის სახე იძენს ქართულ ბუნებას, ხასიათს. გურამიშვილის მარიამი ჩვენს ცხოვრებაში შემოდის ქართული ტკივილებით, ქართული ეროვნული იერ-სახით. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ ქართველ ჰიმნოგრაფებს, რომლებიც დაბადების წიგნის

კვალობაზე გადმოსცემენ აკრძალული ნაყოფის ჭამის ეპიზოდს, პირველ დამნაშავედ ადამი ჰყავთ გამოყვანილი. ეს უსათუოდ აიხსნება იმ ფაქტით, რომ თითქმის მთელს ჩვენს ჰიმნოგრაფიას მსჭვალავს ქალის — მარიამ ღვთისმშობლის ქება, რაც ევას ერთგვარ რეაბილიტაციას გულისხმობს.

ქართული ფოლკლორის მიხედვით კი ქვეყნიერების დამფუძნებელად ღვთისმშობელია აღიარებული:

„ყოვლად წმინდა ღვთისმშობელმან
ქვეყნის შენება ინება,
ცათა უბოძა ღრუბელი, წვიმისა ჩამოდინება,
დედამიწასა ბალახი, ქვევიდამ ამოდინება“.

მარიამ ღვთისმშობლის სახე ორგანულად არის გააზრებული ქართულ ხელოვნებაშიც. კერძოდ, ბედიის მცირე ბარძიმის შესახებ დიდ მეცნიერს ნ. კონდაკოვს შენიშნული აქვს, რომ მასზე გამოხატული მარიამ ღვთისმშობელი ხასიათდება „გამოცხადების“ იშვიათი გამოსახულებით.

ქვეყანაში, სადაც, უცხოელთა მტკიცებით, უსახური ქალი და კაცი არ შეხვედრიათ, სადაც სილამაზე მიუცილებელი და ჩვეულებრივი ღირსება გახლდათ როგორც წარჩინებულთა, ისე მდაბიოთა ასულებისთვის, ხატის წინ დილის ცისკარზე მლოცველი ბავშვიანი ქალი იყო ის იდეალი, რომელსაც იგი შესტრფოდა: „ანთებულ სანთელს გამსგავსე, ცისკრის ლოცვაზე გნახეო, ხელში გეჭირა ყმაწვილი, ფარსაგ ვერ დაგინახეო“.

აკაკის თქმით, ამ ლექსის გამომთქმელი ზეგარდმო შთაგონებამ მსოფლიო გენიოსი მხატვრის რაფაელის აღმაფრენამდე მიიყვანა („თვით რუსთაველიც კი შეურცხვენლად ხელს მოაწერდა ამ ლექსს“-ო). ხოლო რაფაელისთვის, ისევე როგორც რენესანსის ბევრი დიდი მხატვრისთვის და ჩვენი ფერმწერებისთვისაც, მშვენიერების იდეალად ღვთისმშობ-

ლის სახე რჩებოდა, რომელსაც ხელში უმშვენიერესი ყრმა ეჭირა.

...ერის სრული დენაციონალიზაციის დროს, როცა საქართველო ღრმა უფსკრულის პირას იდგა, როცა გადაგვარებისა და გადაშენების შემზარავი სურათი სწორედ ქართველ ქალთა მაგალითზე იყო საცნაური (რადგან, აკაკის თქმისა არ იყოს, ქალები თავისი ერის ბარომეტრებივით არიან!), როცა სწორედ მათ თითქოს აღარაფერი გამოჰყოლოდათ თავიანთი სახელოვანი წინაპრების — არც სული, არც ღირსება, როცა ეთაკილებოდათ მშობლიურ ენაზე ლაპარაკიც კი — ასეთ ჟამს ურჩეულესმა შვილმა, მისმა უგვირგვინო მეფემ გულიდან აღმომსკდარი ლოცვა-ვედრებით მიმართა დედას უფლისას:

„დედავ ღვთისაო! ეს ქვეყანა შენი ხვედრია...
შენს მეოხებას ნუ მოაკლებ ამ ტანჯულ ხალხსა,
საღმრთოდ მიიღე სისხლი, რომელ ამ ხალხს უღვრია,
ჩაგრულთ სასოო, ნუ არიდებ მოწყალე თვალსა“...

„საყდარი გელათისთანა“...

„გარნა ლომი ბრჭყალთაგან საცნაურ
არს, და თამარ საქმეთაგან.“
„ქართლის ცხოვრება“

...გუგუნებდა სიმღერა — ლაღი, ომახიანი, ამასთან, უღრმესი ლირიზმით გამთბარი:

„თამარ-ქალო, ქვეყნის თვალო,
რა ლამაზი რამე ხარო“...

ხმები სულ უფრო და უფრო ძლიერდებოდა, თანდათან მაღლა მიიწევდა, თითქოს ლამობდა დარბაზიდან გარეთ გაჭრას და უსასრულო სივრცეში განავარდებას.

მღეროდნენ გზნებით, აღმაფრენით და საუკუნეების უსიერი ტევრიდან დაძრულ ამ წარმტაც ჰანგში მკაფიოდ შეიგრძნობოდა ერის ძალუმი გულის ფეთქვა, მისი ოცნება თუ იმედი მერმისზე — შეფერილი ფარული სევდით:

„მეფე თამარ ქალისთანა,
ამომავალი მზისთანა...
მეფე თამარ ქალისთანა,
საყდარი გელათისთანა“...

— გაისმა ბოლო აკორდად. ეს გახლდათ სიმღერის აპოთეოზი. მისი გვირგვინი. ყოვლისმომცველი იყო ამ სიმღერით მოგვრილი სიხარული და სავსება სულისა, ზესკნელი რომ მოიხილა. მაგრამ...

მეფე თამარი და გელათის საყდარი! ერთი შეხედვით, უჩვეულო და მოულოდნელი შედარებაა თითქოს!

თამარ-ქალი შეიძლება შეუდარო ამომავალ მზეს, დასახო ქვეყნის თვალად და ათასი სხვა, ერთიმეორეზე უკეთესი

ეპითეტით შეამკო იგი და ასეც იქმოდნენ კიდეც როგორც მისი თანამედროვე, ისე მომდევნო თაობების პოეტები თუ ხალხური მთქმელები, მაგრამ გელათის საყდარს გაუტოლო ქალი, თუნდაც ძლიერი და ვრცელი სახელმწიფოს გამგებელი — ცოტა არ იყოს, უცნაურად ეჩვენება ადამიანს.

იშვიათად, მაგრამ ხანდახან მაინც იქმნება დითირამბული, ე.წ. ხალხური ლექსი თუ სიმღერა, რომელიმე მბრძანებელს რომ განადიდებს ხოლმე. მაგრამ ასეთი „ქმნილებანი“ ერთობ დღენაკლულნი არიან — ისინი მბრძანებლის სიკვდილთან ერთად კვდებიან, ხოლო „თამარ-ქალისთანა“ სიმღერებმა რვა საუკუნე გამოიარა და დღესაც მღერის ხალხი პირვანდელი ძალისხმევით. მაშასადამე, ერის სულის განუყოფელ ნაწილად ქცეულა ის, ერს შეუსისხლხორცებია, უკვდავუყვია და ასე ნალოლიავები გადაუცია შთამომავლობისთვის.

...როდესაც 1178 წელს გიორგი III-მ თამარი თანამოსაყდრედ აიყვანა ტახტზე, მაშინ ჯერ კიდევ არავინ უწყოდა, ერი მირონცხებულ მამაკაცებს თუ გაუტოლებდა ამ ყმაწვილ ქალს და მეფეს უწოდებდა მას; არც ის იცოდნენ მაშინ, ქართული ეკლესია წმინდანად თუ შერაცხდა თავისი დიდებული ცხოვრებისა და მოღვაწეობის გამო.

თავისთავად, ქალის ტახტზე აყვანა არა მარტო მაჰმადიანური, ქრისტიანული სამყაროსთვისაც იმ დროს კი არა, შემდგომაც უჩვეულო ამბავი გახლდათ. მაგრამ თამარის მომხრეებს საქართველოში ურყევი საბუთები უმაგრებდათ ზურგს: საქართველო ის ქვეყანა იყო, რომელიც ღვთისმშობლის წილხვედრად მიაჩნდათ და რომელიც ქალმა გაანათლა, სადაც ოდითგანვე ეთაყვანებოდნენ ქალს, როგორც სიცოცხლისა და სიკეთის წყაროს.

თამარს უნდა დაემტკიცებინა, რომ დედაკაცს ხელეწიფებოდა დიდი სამეფოს ღირსეული გამგებლობა, რომ ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იქნება ის თუ ხვადი, რომ, აკაკის თქმით, შესაძლებელია მართო ძლიერი ქვეყანა ლმობიერებით,

კაცთმოყვარეობით, სათნოებით, სიყვარულით, ვითარცა შეეფერება ეს დედათა სქესს.

„მეფე თამარ ქალისთანა, საყდარი გელათისთანა“, — ამას, ცხადია, უფრო მოგვიანებით იტყვის ქართველი, ვინაიდან თამარი თავისი მოღვაწეობით ერმა მიიჩნია გელათის საყდრის სულიერი საგანძურის თანაზიარად, დავით აღმაშენებლის — მისი დიდი პაპის საქმის გამგრძელებლად, მის ღირსეულ მემკვიდრედ.

...თავისი ხანგრძლივი არსებობის განმავლობაში საქართველოს მხოლოდ ერთადერთხელ უწყალობა განგებამ შედარებით მშვიდობიანი, დაწყნარებული საუკუნე თითქოს იმისთვის, რომ ამ ერთ საუკუნეში მოესწრო და გამოევლინებინა თავისი შემოქმედებითი უნარი; ეჩვენებინა, რა პოტენციალი ჰქონდა, რა ძალებს ფლობდა, რამდენად იყო მზად მსოფლიო მასშტაბით მოღვაწეობისთვის, რისი შეტანა შეეძლო საკაცობრიო კულტურის საგანძურში. მიეცა საშუალება, ხელახლა გამოებრწყინებინა დროთა განმავლობაში მინავლებული კოლხ-იბერთა მიერ შექმნილი ცივილიზაცია, რათა შემდგომ ისევ წყვდიადი ჩამომდგარიყო, ისევ ისე წისქვილის დოლაბი დატრიალებულიყო მის თავზე, ისევ ისე ებანავა სისხლის ზღვაში.

ეს ერთადერთი საუკუნე მე-12 საუკუნეა — ქართული სახელმწიფოებრიობისა და ქართული კულტურის „ოქროს ხანა“.

ერის სულიერი აღზევება, რასაც სათავე დაუდეს საქართველოს განმანათლებელმა წმ. ნინომ და „ასურელმა მამებმა“, განსაკუთრებული სიცხადით გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებასა და მოღვაწეობაში გამოიკვეთა. თანდათან, ვით ბრძმედში, იწრთობოდა და კაჟდებოდა გრიგოლ ხანძთელის სულისმიერი ძმობა, მამულისა და ერის აღზევების ძირითად მამოძრავებელ იმპულსად რომ იქცა. ამ წმინდა ლაშქარს წინ მიუძღოდნენ მომდევნო საუკუნეთა მოღვაწენი — ხანძთელის იდეებზე გაზრდილი მოწაფენი — გიორგი მერჩულე, ბასილ ზარზმელი, მიქელ მოდრეკილი, იოანე-ზოსიმე, დიდი მთაწ-

მინდელების მთელი პლეადა, ხოლო მთაწმინდელთა ბრწყინვალე თანავარსკვლავედიდან განსაკუთრებით გამორჩეულია ეფრემ მცირე, უბადლო მეცნიერი, რომელიც იმ დროისთვის გასაოცარ მოვლენად უნდა ჩაითვალოს.

ამ სულიერი მამების თავგანწირულმა შრომამ და ღვაწლმა, მათმა დიდმა ზნეობრივმა სიწმინდემ, გონიერებამ, ნიჭმა შეუმზადეს ნიადაგი საქართველოს მომავალ დიდებას, მის სიძლიერეს. ალბათ, არც ის იყო შემთხვევითი, რომ სწორედ ამ იდეებით შთაგონებული გიორგი ჭყონდიდელი მოევლინა დავით აღმაშენებელს სულიერ მამად და თანამებრძოლად. სწორედ იგი, საღმრთო და საფილოსოფოსო წიგნებზე აღზრდილი ბერი — ელოლიავებოდა დიად მიზანს, რისი ხორცშესხმისთვის შემდგომ წვრთნიდა და აგულიანებდა თავის დიდებულ შეგირდს.

დავით აღმაშენებლის ძლიერმა ხელმა და გენიალურმა გონმა ტომობრივად დაქსაქსული, ერთიმეორის მოქიშპე კუთხეები — „პატარა სახელმწიფოები“ — ერთ მთლიან, მძლავრ და დიდ ქვეყნად აქცია. დავითმა ბრწყინვალედ დააგვირგვინა ქართული ფეოდალური სახელმწიფოებრიობის ხანგრძლივი განვითარება, შექმნა ცენტრალიზებული მონარქია-თვითმპყრობელი მეფის მეთაურობით. დავითის დროს საქართველო მაღალგანვითარებული ქვეყანა იყო — პატრონყმური ურთიერთობით.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ საქართველოს პოლიტიკური ძლიერების აღმავლობის კვალობაზე თანდათან იცვლება ქართველ მეფეთა ტიტულატურაც. თუ მე-9, მე-10 საუკუნეებში ქართველი მეფეები ჯერ კიდევ საპატიოდ მიიჩნევდნენ და ხალისით ატარებდნენ ბიზანტიის იმპერიის უმაღლეს წოდებებს, დავითმა, გახდა თუ არა თვითმპყრობელი ხელმწიფე, უკუაგდო ყველა ეს ე.წ. საპატიო ხარისხი. დავითი ბიზანტიის სამეფო კართან ურთიერთობას მხოლოდ თანასწორობის საფუძველზე იწყნარებდა. იგი არ ცნობდა ბიზანტიის იმპერატორის არანაირ უპირატესობას. ესოდენ

მაღალი წარმოდგენა საქართველოს მეფის ღირსების შესახებ, რასაკვირველია, ემყარებოდა იმას, რომ საქართველო წინა აზიის არა მარტო ერთადერთი ქრისტიანული სახელმწიფო იყო, არამედ იგი გადამწყვეტ ძალადაც იქცა. შესაბამისად, ქართველი ისტორიკოსები აღარ სჯერდებოდნენ წინანდელ წოდებებს. ისინი მერე და მერე თავიანთ მეფეებს რომის იმპერატორთა ტიტულს „ავგუსტუს“-ს აკუთვნებენ (ავღუსტიანი) და აგრეთვე „მეფობისა და სულტნობისა ერთად მქონებლობას“ მიაწერენ. ასევე, თანდათან „ღვთივცხებულისა“ და „ღვთივ დამყარებულის“ ნაცვლად — ქართველ მეფეებს მიიჩნევენ ღვთის ძედ, ღმერთკაცად (ასე მაგალითად, თამარი „ღვთის სწორია“ და ა.შ.). ეს განდიდება, ცხადია, გააადვილა ცნობილმა შეხედულებამაც ბაგრატიონთა ჩამომავლობის შესახებ.[1]

დავითმა სწორედ თავისი აღმზრდელისა და თანამოაზრის, მეფის მამად წოდებული გიორგი ჭყინდიდელის თანადგომით, მტკიცედ და შეუპოვრად განახორციელა ის დემოკრატიული რეფორმები, რისი გატარებაც თავის დროზე სცადა გიორგი მთაწმინდელმა: ადამიანის პირად ღირსებას შესაფერისი პატივი უნდა ჰქონოდა ცხოვრებაში და ყველაფერი გვარიშვილობით არ უნდა განსაზღვრულიყო („თუ კაცი კაცად არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა“ — ეს სიტყვებიც სწორედ მე-12 საუკუნის საქართველოში უნდა თქმულიყო!).

ფართო სარბიელი მიეცა ნიჭიერებასა და ხალხის შემოქმედებით უნარს და შედეგმაც არ დაახანა. მალე საქართველო კავკასიის და წინა აზიის ქრისტიანული კულტურის ციტადელად, კავკასიის ხალხთა მფარველად და რენესანსის

1 როგორც ითქვა, ბაგრატიონები ისრაელის განთქმული მეფე-წინასწარმეტყველის — დავითის შთამომავლებად მიაჩნდათ და, ამდენად, სახარების გენეალოგიის საფუძველზე, ღვთისმშობელსა და ქრისტეს ენათესავებოდნენ. ეს აზრი თავიდანვე დამკვიდრდა და განმტკიცდა ქრისტიანულ სამყაროში. მას მე-10 საუკუნეში იხსენიებს კიდეც ბიზანტიის იმპერატორი კონსტანტინე პორფიროგენეტი. - ავტ.

მოთავედ იქცა. დავით აღმაშენებლის დროს ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მწიგნობართუხუცესი და სახელმწიფოს პირველი ვაზირი გახდა. ამასთან, დავითმა მწიგნობართუხუცესი დანიშნა ახლად დაარსებული, სამი კაცისგან შედგენილი უზენაესი სასამართლოს — „სააჯო კარის“ მეთაურად. ამრიგად, მწიგნობართუხუცესის ხელში გაერთიანდა უმაღლესი საერო და საეკლესიო ხელისუფლება. ეს თავისებური სახელო იყო, რომლის ბადალი არც ერთ მეზობელ სახელმწიფოში არ გვხვდება.

...გადმოცემით, დავით აღმაშენებელი თავად ღებულობდა მონაწილეობას გელათის საყდრის მშენებლობაში და, როცა ააგო ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად წოდებული დიდი კერა ქართული კულტურისა, შემოკრიბნა კაცნი პატიოსანნი ცხოვრებითა და შემკულნი ყოვლითა სათნოებითა არა მარტო თავის სამეფოდან, არამედ: „ქუეყანასა დიდთა, სადათცა ესმა ვიეთმე სიწმინდე, სიკეთე, სისრულე სულიერთა და ხორციელთა სათნოებითა აღსავსეობა“ და „მოიყვანა და დაამკვიდრნა მას შინა მეორე იერუსალიმად, სასწავლად ყოვლისა კეთილისად, მოძღვრულად სწავლულებისად, სხუად ათინად, ფრიად უაღრეს მისსა საღმრთოთა შინა წესითა“. დავით აღმაშენებელმა წინა საუკუნეების სულიერ მამათა ღვაწლი გელათისა და იყალთოს აკადემიების შექმნით დააგვირგვინა[1].

1 ამ დროსვე უნდა გაჩენილიყო მოძღვართ-მოძღვრის სახელო, რომელიც უშუალოდ განაგებდა გელათის უმაღლეს სასწავლებელს. „კარის გარიგების“ მიხედვით, მას მეტი პატივი აქვს სხვა ეპისკოპოსებთან შედარებით (თანამედროვე ტერმინით — მოძღვართ-მოძღვარი განათლების მინისტრი იყო სახელმწიფოში). მწერლისა და მწიგნობრის ინსტიტუტი უძველესი დროიდან არსებობდა საქართველოში, ხოლო დაახლოებით მე-10 საუკუნიდან — მწიგნობართუხუცესისა. თავდაპირველად მწიგნობართუხუცესი საერო პირი ყოფილა, მერე სამღვდელო. 1103-1110 წლიდან კი — ჭყონდიდელი ეპისკოპოსია. - ავტ.

გელათის უმაღლეს სასწავლებელში დაინთო ლამპარი ლიტერატურული შემოქმედებისა; ამ მონასტერში ჰპოვებდა გამოძახილს ლიტერატურული მოძრაობა, რომელიც განსაკუთრებით ათონისა და პეტრიწონის მონასტრებში ღვიოდა. გელათის — ფაზისის აკადემიის სულიერი მემკვიდრის — კედლებში მოღვაწეობდა იოანე პეტრიწი, რომელიც დავით აღმაშენებლის მოწვევით იყო ჩამოსული პეტრიწონიდან (დღევ. ბაჩკოვო — ბულგარეთში), იგი იქ სათავეში ედგა სკოლას, მთელი ეპოქა რომ შექმნა ჩვენს მწერლობაში[1]. საყურადღებოა ის გარემოება, რომ დასავლეთში „იოანე ხუცესად“ წოდებულმა, ანუ გრაალის თასის რაინდმა — დავით აღმაშენებელმა, რომელსაც მეტაძრე-ტამპლიერებთან — ეზოთერული ქრისტიანიზმის ამ წარმომადგენლებთან აკავშირებენ, სწორედ კოლხური მისტერიების უძველეს ადგილზე — გენათში — ააგო „ახალ ათინად და მეორე იერუსალიმად“ წოდებული ეს საყდარი და აკადემია. ამგვარად, დასავლეთისა და აღმოსავლეთის შესაყარზე მდებარე საქართველო „ავლებდა ახალ მიჯნას წინამორბედ და მომავალ ეპოქებს შორის“.[2]

იოანე პეტრიწი ნეოპლატონიზმის წარმომადგენლად არის მიჩნეული საქართველოში, ხოლო არისტოტელიზმის, ანუ ორთოდოქსულ-დოგმატური ქრისტიანობის მიმდევრად — არსენ იყალთოელი.

ზოგიერთი ქართველი მეცნიერის აზრით, იოანე პეტრიწმა ექვსასი წლის შემდეგ ააღორძინა თავისი დიდი წინაპრის, პეტრე იბერის იდეები. ეს არის სააზროვნო გზა ანტიკურობიდან რენესანსისკენ, რომლის დამწყებად და მოთავედ ბევრ მკვლევარს სწორედ საქართველო მიაჩნია.

პეტრიწის მსოფლმხედველობაში დიდი ადგილი უჭირავს ადამიანის პრობლემას. მკვლევართა აზრით, შესაძლოა, რომ ის ერთ-ერთი პირველთაგანია შუასაუკუნეების მოაზროვნე-

1 კ. კეკელიძე. ქართული ლიტერატურის ისტორია. ტ. I. 1960წ.
2 შ. ნუცუბიძე. კრიტიკული ნარკვევები. თბ. 1966 წ. გვ. 49

თა შორის, ვინც სუფთა თეორიული ასპექტი ამ პრობლემისა დაუკავშირა რეალური ადამიანის — როგორც ამა თუ იმ ერის კონკრეტული კულტურის წარმომადგენლის — დანიშნულებას. იოანე პეტრიწი ხაზს უსვამს, რომ პიროვნების წმინდათაწმინდა მოვალეობაა, ემსახურებოდეს თავის ქვეყანას, თავის ერს. ეს მისი მეოთხე ღვთიური დანიშნულებაა, რომლითაც ის ასრულებს ყველა დანარჩენს. თავად პეტრიწის მოღვაწეობაც ხომ — ისევე როგორც მისი დიდი მფარველის დავით აღმაშენებლისა — ამ დებულების ცოცხალი მაგალითია (საინტერესოა, რომ ასეთი გააზრება ფილოსოფიური პრობლემისა სწორედ ქართველი კაცისგან მომდინარეობს, იმ ერის შვილისგან, რომლის ლიტერატურაშიც — როგორც საერო, ისე სასულიეროში — დასაბამიდანვე ზოგადკაცობრიულთან ერთად მკაფიოდ და მკვეთრად წარმოჩინდა ადამიანის მოვალეობა მშობლიური ქვეყნისა და ერის წინაშე).

რა თქმა უნდა, ქვეყნის ასეთ დაწინაურებას დიდად უწყობდა ხელს ის, რომ დავითი არა მარტო დიდი პოლიტიკური მოღვაწე, არამედ ამავე დროს ღრმად განსწავლული პიროვნება იყო, რომელიც თვითონაც უშუალოდ იღებდა მონაწილეობას თეოლოგიურ-ფილოსოფიური მწერლობის განვითარებაში.[1] ჰიმნოგრაფიული ჟანრის მშვენება „გალობანი სინანულისანი“ ამის ბრწყინვალე ნიმუშია. ღრმა ფილოსოფიური განსჯით, ადამიანის ზოგადკაცობრიული ცოდვა-მოვალეობის გრძნობის ასახვის თავისებურებითა და დიდი ექსპრესიულობით იგი დღესაც განცვიფრებას იწვევს ადამიანში. დავით აღმაშენებელი გვევლინება თავისი თავის უმკაცრეს მსაჯულად. მაგრამ დავით აღმაშენებლის მსგავს პიროვნებათა ბიოგრაფიაში საძებნელია არა რაიმე პირადი მძიმე შეცოდება, არამედ ჩადენილ შეცოდებათა შეგნების არაჩვეულებრივი უნარი და მაღალი ეთიკური მრწამსი, ის,

1როგორც ცნობილია, მაშინდელი როგორც დასავლეთის, ისე აღმოსავლეთის ზოგიერთი სახელმწიფოს მეფე-იმპერატორები ხშირად ძლივს ახერხებდნენ ხოლმე წერა-კითხვას. - ავტ.

რითიც დიდბუნებოვანი და ზნესრული ადამიანი გამოირჩევა დანარჩენთაგან.

ეს ნაწარმოები, მკვლევართა ერთი ნაწილის აზრით, ცოდვის განცდის სიძლიერით არ ჩამოუვარდება მსოფლიო ლიტერატურის არც ერთ შედევრს, მათ შორის — დანტე ალიგიერის „ღვთაებრივ კომედიას“.[1]

თუმცა საქართველოს მთავრობა ამ ეპოქაში მთელს აღმოსავლეთში ქრისტიანთა მფარველად გამოდიოდა, თავის სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და პოლიტიკაში შეუდრეკლად იცავდა სარწმუნოებრივი მომთმენლობის პრინციპს, ეს მაშინ, როდესაც, ივ. ჯავახიშვილის თქმით, თავად მრავალი უსამართლობა, დევნა და შევიწროება გადაუტანია მაჰმადიანური ქვეყნებისგან. საყოველთაოდ ცნობილია დავითის რჯულთშემწყნარებლობა. გარდა იმისა, რომ მან შესანიშნავად იცოდა არაბულ-სპარსული ენები — ყურანის დიდი მცოდნეც ყოფილა; პარასკევობით იგი — ზოგჯერ შვილებითურთ — მაჰმადიანთა მთავარ სამლოცველოში — ჯამეში შედიოდა, ლოცვას, ყურანის კითხვასა და ქადაგებას ისმენდა და მათ სამღვდელოებას ბევრ ოქროს უწყალობებდა თურმე. იმავე არაბი ისტორიკოსების მოწმობით, დავითს სუფიებისა და მაჰმადიანი პოეტებისთვის თავშესაფარი აუგია და ხშირად ქონებრივადაც დახმარება გაუწევია მათთვის, სადღესასწაულო მეჯლისებიც გაუმართავს და სხვ. და, საზოგადოდ, ისინი საქართველოში უფრო კარგად გრძნობდნენ თავს, ვიდრე მაჰმადიანურ ქვეყნებშიო. დავით აღმაშენებელი ამ მხრივაც თავისი ერის საუკეთესო თვისებების გამომხატველი იყო, ვინაიდან: „მრავალი სხვა ხალხისაგან განსხვავებით, ჩვენი აღმსარებლობა ამ რწმენისა (ქრისტიანობისა) არასოდეს გადაზრდილა შეუწყნარებელ ფანატიზმში — არც წმინდა ინკვიზიციის კოცონები აგვიშიშხინებია მწვალებელთა ხორცით, არც პურიტანელთა

1 ლ. გრიგოლაშვილი. ქართული ჰიგნოგრაფია, „ქართული ენა და ლიტერატურა სკოლაში“. 1983 წ. გვ. 102.

დაუთმობელი, მრისხანე სულით გავმსჭვალულვართ, არც კონგრეგაციის მომშთობი ქსელი გაგვიბია ჩვენს გარშემო, არც „ქრისტეში იუროდირებულთა“ სიშლეგით გავბრუებულვართ, არც ოქრო-ვერცხლეულის მაცდური ბზინვითა და ჩხრიალით მოგვისყიდია ერთმორწმუნეთა გულები“.[1]

მე-12 საუკუნეში უმაღლეს დონეს მიაღწია თვითმყოფადმა ქართულმა კულტურამ, მისმა ხუროთმოძღვრებამ, ოქრო-მქანდაკებლობამ, ფილოსოფიამ, ასტრონომიამ, სააქიმო ხელოვნებამ, საერო და სასულიერო ლიტერატურამ.

ქართული რენესანსის თავისებურებაა ის, რომ აღმოსავლეთისა და დასავლეთის მიჯნაზე მდებარე ქვეყანას ჰქონდა საშუალება არა მარტო ქრისტიანულ კულტურას გასცნობოდა, არამედ ისლამის ნიადაგზე შექმნილ ახალ, ფრიად თავისებურსა და მრავალფეროვან არაბულ-სპარსულ კულტურასაც.

საშუალო საუკუნეებში ევროპა საქართველოს წყალობით გაეცნო პირველ ქრისტიანულ რომანს ვარლაამისა და იოდოსაფის შესახებ, ამ უაღრესად პოპულარულ თხზულებას, რომელიც ბერძნულ ენაზე თარგმნა და დაამუშავა სახელგანთქმულმა ქართველმა მწერალმა და მეცნიერმა ექვთიმე ათონელმა.

1188 წლით დათარიღებული ორიგინალური ასტრონომიული ტრაქტატი, რომელიც ზოდიაქოს ნიშნების გამოხატულებებს შეიცავს, ყველაზე ძველია ამავე ტიპის დღემდე ცნობილ და დათარიღებულ არაბულ და სპარსულ ხელნაწერთა შორის. ასტრონომიული ერთეულების შემომღებად და პლანეტების სისტემაში მისი საშუალებით მანძილების პირველ გამზომად კოპერნიკს მიიჩნევენ, მაგრამ მე-12 საუკუნის აბუსერიძის ამ ქართული შრომიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ გაზომვას კოპერნიკამდეც აწარმოებდნენ. მე-11, მე-12 საუკუნეების „წიგნი სააქიმო“ და „უსწორო კარაბადინი“ თავიანთი ღრმა მეცნიერული (იმ დროისთვის) აზრითა და

1 გ. ქიქოძე. ეროვნული ენერგია. ტფ. 1918 წ. გვ. 161-222

მედიცინის ზოგადი და პრაქტიკული საკითხების ბრწყინვალე გაშუქებით , მკვლევართა აზრით, მსოფლიო მნიშვნელობის ძეგლებად შეიძლება მივიჩნიოთ.

ეროვნულმა ენერგიამ ფართო სარბიელი ჰპოვა და ბუნებრივია, ესოდენ დიდი ნაყოფიც რომ გამოიღო. ის, რაც ისტორიის სისხლიან ქარტეხილებსა და დრო-ჟამს გადაურჩა, დღესაც განცვიფრებას იწვევს ადამიანში.

სწორედ დავითის მეფობის ხანაში, პატრიოტული მტკიცედ დაუკავშირდა სარწმუნოებრივს, რამაც გამოიწვია არა მხოლოდ ეროვნული თვითშეგნების გაძლიერება, არამედ საკაცობრიო იდეალებისკენ სწრაფვა.

გ. ქიქოძის აზრით: საგულისხმოა, რომ „ერთობილ ქართლში არ ჩაჩრდილულა ტომობრივი და პიროვნული განსხვავებანი. პირიქით, შეერთებულმა და ძლიერმა სამეფომ სხვადასხვა კუთხის მკვიდრთ ფართო ასპარეზი მისცა შეჯიბრებისა და დაწინაურებისათვის... ბუნების მრავალფერადობა ნაყოფიერ ინდივიდუალიზმს ასაზრდოებს. თითოეული კუთხე განსაკუთრებულ სულიერ ბეჭედს ატარებდა და საქართველოს კულტურა დრამატულად უფრო მძაფრი, მოქნილი და მოძრავი იყო, ვიდრე იმ ერებისა, რომელნიც ერთფეროვან ბუნების წიაღში სცხოვრობენ... ასე რომ... ჩვენი კულტურა არასდროს ყოფილა ვიწროდ ცენტრალისტური. იგი ყოველთვის გაფანტული იყო. ყოველს პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა... ხალხი არ იყო დაშორებული გონებისა და განათლების ცენტრს და კულტურაც უფრო ხალხოსნური იყო“... ამ გასაოცარ თავისებურებებშია, ალბათ, ჩვენი ერის გამძლეობის ერთ-ერთი მიზეზთაგანი (საინტერესო გახლავთ ის გარემოებაც, რომ ბევრ უცხოელ მოგზაურს არ დარჩენია შეუმჩნეველი ჩვენი კულტურის ეს თავისებურება. ისინი სხვათა შორის აღნიშნავდნენ იმასაც, რომ დაბალი ფენების წარმომადგენლები ჩაცმა-დახურვით, სიტყვა-პასუხით, მიხრა-მოხრით, მანერებით თითქმის არ განსხვავდებოდნენ

თავად-აზნაურებისგან. და ეს ასე გახლდათ მაშინაც, როცა ქვეყანა სრულიად დაკნინებულ-დაქუცმაცებული იყო მომხდურთა განუწყვეტელი შემოსევებისა თუ შინაფეოდალური ომების შედეგად).

...აი, ასეთი ტრადიციების მქონე „პატარა“ საქართველოში დაიბადა ნათლის სვეტად, მთიებად მონათლული თამარი, რომელსაც ისტორიამ თამარ მეფე უწოდა, ანუ მამაკაცის სახელი მიანიჭა და „მით გვერდში ამოუყენა მსოფლიო მამაკაც გმირ-მირონცხებულებს“.

ისტორიკოსთა ერთ ნაწილს მიაჩნია, თითქოს თამარს ყველაფერი მზამზარეული დაუხვდა, მხოლოდ მართვა-ღა იყო საჭირო და ა.შ. მაგრამ, როგორც თამარის მეფობის დასაწყისში დატრიალებულმა ამბებმა ცხადჰყო, თამარს საკმაოდ აწეწილ-დაწეწილი სამეფო დახვდა, შინაური განხეთქილებებითა და წინააღმდეგობებით აღსავსე. თითქმის არც ერთი მეფის დროს არ ყოფილა იმდენი ომი, ღალატი, შფოთი, შეთქმულება, რაც თამარის დროს იყო.

ობოლი ყმაწვილი ქალი, გამზრდელი მამიდის ანაბრად დარჩენილი, პირისპირ მარტოდმარტო აღმოჩნდა ამდენი საფრთხისა და განსაცდელის წინაშე, მაგრამ საკვირველია სწორედ ის, რომ თამარი არ შედრკა, არ შეშინდა. ყველაფერს გაუძლო, აიტანა და საბოლოოდ ყველა ბრძოლიდან გამარჯვებული გამოვიდა. ისიც ცხადია, ახალგაზრდა ქალმა თავდაპირველად ვერ გამოიჩინა დავით აღმაშენებლისებური სიმტკიცე ურჩ დიდგვაროვან ფეოდალთა ასალაგმავად, რამდენჯერმე მოუწია წასულიყო დათმობაზე მათ წინაშე, რამდენადმე შეიზღუდა კიდეც მისი ხელისუფლება, რაც გამოიხატა დარბაზის ერთა „თანადგომითა და ერთნებაობით“. საგარეო პოლიტიკაშიც თამარი იძულებული გახდა, შეეცვალა დავით აღმაშენებლის კურსი მეზობელი სამეფოების უშუალო შემოერთებისა. ამის ნაცვლად თამარი ყმადნაფიცობის პირობით იმორჩილებდა მათ, მოხარკეობის საფუძველზე უტოვებდა თავის ძველ გამგებელს, რომ ისედაც განდიდებულ დიდგვაროვანთათვის არ გადაეცა ისინი და ამით კიდევ უფრო არ გაეძლიერებინა ცენტრალიზმის მოწინააღმდეგე პოლიტიკური ჯგუფები, ანუ, თამარის ისტორიკოსის თქმით: „რაოდენი დაგლახაკავებულნი მეფენი განამდიდრნა, რაოდენთა მიმძლავრებულთა უკან სცა სამეფო თვისი, რაოდენი განდევნილნი სამეფოდვე თვისად კვალად აგნა და რაოდენნი სიკუდილად დასჯილნი განათავისუფლნა. და ამისი მოწმე არს სახლი შარვანშეთი და დარუბანდელთა, ღუნძთა, ოვსთა, ქაშაგთა, კარნუქალაქელთა და ტრაპიზონელთა“. მემატიანისვე თქმით, თამარი „არ იღწუოდა უმეზობლობასა“, რამეთუ ვასალურ სამეფოს მისცა თვითმმართველობა, ქართული ტრადიციისამებრ იყო რჯულშემწყნარებელი, მოყვასი და მფარველი „უცხო თესლთა“. ამ მხრივ იგი თავისი დიდი წინაპრის, დავით აღმაშენებლის კვალს მიჰყვებოდა კაცთმოყვარეობისა და ღვთის სიყვარულის გზაზედ.

თამარის დათმობანიც ნაკარნახევი იყო შექმნილი ვითარების გონიერი შეფასებიდან; ისინი მისი მომთმენი, შემწყნარებელი ხასიათიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან თამარი გაურბოდა ქვეყნის შიგნით სისხლის ღვრასა და კონფლიქტებს. თამარის სულგრძელობა თავისი მტრების მიმართ საარაკოდ გამოიყურება: ისტორიას არ ახსოვს ესოდენი დიდსულოვნება თვითმპყრობელი მონარქისა.

...როგორც ცნობილია, თამარმა შეუნდო და აპატია მეჭურჭლეთუხუცესის ყუთლუ-არსლანის ამბოხის მონაწილეებს.

ყუთლუ-არსლანის დასი კი მოითხოვდა ისნის სასახლესთან „კარვის“, ანუ პარლამენტის მსგავსი დაწესებულების დაარსებას. დასის მოთხოვნით, მეფის უფლება საქართველოში სრულებით უნდა შეზღუდულიყო, მას მხოლოდ აღმასრულებლობითი უფლება ენიჭებოდა.

გაფიცულებთან თამარმა მოსალაპარაკებლად გაგზავნა ორი დიდებული მანდილოსანი — ქართლის ერისთავთ ერისთავის რატის დედა ხუაშაქ ცოქალი და სამძივართა დედა — კრავაი ჯაყელი. მოლაპარაკება შეთანხმებით დამთავრდა: „კარვის“ დაარსების მოთხოვნა მოიხსნა. გაფიცულებმა თამარს მისცეს „პირი ერთგულებისა“, თამარმა კი უვნებლობის პირობა დაუდო მათ. არც განდგომილთა მოთავე — ყუთლუ-არსლანი დაუსჯია (საყურადღებოა, რომ „კარვის“ დაარსება თუმცა უარყოფილ იქნა, მაგრამ ყუთლუ-არსლანის დასის მოთხოვნებს, ჩანს, მაინც უკვალოდ არ ჩაუვლია. ამიერიდან მეფის ხელისუფლება სახელმწიფო დარბაზის „თანადგომითა და ერთნებაობით“ თვალსაჩინოდ შეიზღუდა. თუმცა ესეცაა: „თანა-დგომითა და ერთ-ნებაობითა დიდებულთა შვიდთავე სამეფოთათა“-ს მიუხედავად, მეფეს დამტკიცებისა და უარყოფის უფლება თავისთვის შეუნარჩუნებია).

ლმობიერად მოექცა თამარი აგრეთვე დამარცხებულ აჯანყებულებს: ვარდან დადიანს, გუზანს, ბოცოისძეს და ამათ „მიმდგომ დიდებულთ და აზნაურთ“; „უბედური“ გიორგი რუსიც უვნებლად გაუშვა საბერძნეთს, თუმცა ყველა ისინი სახელმწიფოსა და მეფის მოღალატენი იყვნენ.

სხვათა შორის, ლიხთ-იმერთა დიდებულებმა „შემნანებელთა შეცოდებისათა და მოაჯეთა შენდობისათა, ითხოვეს ცხოველნი ხატნი და თვით დედოფალი რუსუდან, მათ წინაშე საყოფელად“. როგორც ჩანს, ყველაზე უფრო მაინც დედოფალ რუსუდანის — თამარის მამიდის შუამდგომლობას ენდობოდნენ, რადგან ქალების თხოვნით მრავალგზის შეუწყნარებიათ დამნაშავენი, ჩამოვარდნილა ზავი და მშვიდობა „ჩვეულებისა გამო“, ანუ ტრადიციულად, ქალის თხოვნის შეუწყნარებლობა უდიდესი დანაშაული იყო.

„დღეთა შინა თამარისათა არავინ გამოჩნდა მიმძლავრებული მეცნიერებისითა მისითა, არცა-ვინ დასჯილი. თვით არცა-ვის ღირსსა სიკუდილისასა და არა პატიჟისისა მიეხადა თანანადები, არც-ვინ ბრძანებითა მისითა ასო-მოკუეთილ იქმნა, და არცა სიბრმითა დაისაჯა“, — საგანგებოდ აღნიშნავს თამარის ისტორიკოსი. ხოლო ნაყივჩაღარი გუზანი, რომელიც უკვე მეორედ განდგა და კოლას სადმე მთათა შინა ავაზაკობდა მალვით, „შეიპყრეს მთიბავთა თივისთა“ და დავით მეფეს მიჰგვარეს, დავითმა კი, რაკი თამარის მოწყალე გულის ამბავი იცოდა, მისთვის შეუტყობინებლად დასწვნა თვალნი: „ნაცვლად მრავალთა სისხლითა ქრისტეანეთასა“. ე.ი. თამარის უჩუმრად დასაჯა უბოროტესი სახელმწიფო დამნაშავეო.

თამარის მოწყალე გულის დასახასიათებლად მემატიანეს კიდევ ერთი მაგალითი მოყავს. თამარმა უთვალავი ოქრო-ვერცხლი და საგანძური გაატანა ბერ-მონაზვნებს უცხოეთის ქართული მონასტრებისთვის. ბერძენთა მეფემ ალექსიმ, ბიზანტიონში გავლით მყოფ ქართველ ბერ-მონაზვნებს, წარსტაცა ეს განძეულობა. თამარს, ცხადია, ეწყინა ასეთი საქციელი ბერძენთა მეფისგან, მაგრამ არაფერი დაიმჩნია. გამოხდა ხანი. „უზომოდ ვერცხლის მოყვარული“, ანგარი ალექსი სიძემ შეიპყრო, დაამწყვდია საკანში, წინ ბევრი ოქრო-ვერცხლი დაუყარა და უთხრა, აჰა, შენი გულისთქმის საგანი, ეს ოქრო მიიღე საზრდელად და წყლის წილო. ალექსის უჭმელობისგან სული ამოხდა. ეს ამბავი თამარს რომ გაუგია, თურმე დიდი ტკივილით იგლოვა იგი, თუმცა ბერძენთა მეფე სიბრალულის ღირსი არ იყოო, ვინაიდან, ვისაც არაჭეშმარიტებით აქვს მოპოვებული რამე, იმას დიდხანს ვერ შეინარჩუნებს. გარნა თამარი: „...უცხოსაცა ზედა და დავრდომილთა ლმობიერ იყო ტკივნეულად და წყალობად, ვითარ აწ ამასცა ზედა“, — შენიშნავს მემატიანე.

თამარის სათნო, ლმობიერი ბუნება თურმე მხეცსაც კი ათვინიერებდა. შარვანის შაჰს თამარისთვის გამოუგზავნია ლომის ბოკვერი. ბოკვერი გაიზარდა და ესოდენ დიდი და საზარელი შეიქმნა, რომ არც ველური და არც შინაური უნახავთ მისი მსგავსი. და ამ ბოკვერს ისეთი ძლიერი სიყვარული ჰქონია თამარ „ღმრთივგანათლებულისა“, რომ

ჯაჭვითაც ვერ იჭერდნენ, ვიდრე უბეში არ ჩაუდებდა თავს. და, როცა მოაცილებდნენ და ისევ დააბამდნენ, წყაროს მსგავსი ცრემლნი „გარდამოსთხივნის თვალთაგან, რომელნიც დაალტობდის მიწასა“.

თამარის მოწყალე გულით, ეტყობა, ზედმეტად სარგებლობდნენ კიდეც მისი კარისკაცები. ეს განსაკუთრებით ითქმის მხარგრძელებზე. ისინი ყოველი მცირე თუ დიდი სამსახურის საზღაურს ითხოვდნენ და თამარიც უშურველად გასცემდა საბოძვარს. ასე მაგალითად, ივანე მხარგრძელმა, რომელმაც რჯულიც კი გამოიცვალა, რომ უფრო მეტად დაწინაურებულიყო სამეფო კარზე, ბოლოს ერთ-ერთი ლაშქრობის საფასურად ათაბაგობა გამოითხოვა ხელმწიფისგან (მხოლოდ ამირსპასალარობას არ დასჯერდა). ათაბაგობა სულთანთა წესი იყო, იგი მამად და გამზრდელად ითვლებოდა მეფეთა და სულთანთა და საქართველოსთვის უცხო იყო ეს ჩვეულება — მანამდე არც არავის ბოძებოდა ეს სახელო.

ანომალიურად გამოიყურება ამბოხებული მთიელების მიმართ გამოჩენილი ის სისასტიკე, ლაშქარმა რომ ჩაიდინა ივანე მხარგრძელის წინამძღოლობით. მემატიანის თქმით, ეს ივანე მხარგრძელის პიროვნული გულმხეცობის გამოვლენა იყო და არა თამარის ნება-სურვილისა. სხვათა შორის, თამარის სიკვდილის შემდეგ უფრო გამოიკვეთა ივანე მხარგრძელის დაუნდობელი და ბოროტი ბუნება, შეხამებული ცბიერებასა და ვერაგობასთან (აკი, გარნისის ტრაგედიაც სწორედ მის სახელს უკავშირდება!).

მატიანეები გვამცნობენ თამარის განსაკუთრებული შრომისმოყვარეობის ამბავსაც. გარდა იმისა, რომ იგი ყოველ ღამე მღვიძარობდა, ლოცვა, მუხლთდრეკა და ცრემლით ვედრება ღმრთისა მიმართ განსაკვირვებელი ჰქონდა, ღამითვე ხელსაქმობდა, გლახაკთათვის განწესებული ჰყავდა სარწმუნო ზედამხედველნი და სამეფო შემოსავლიდან მეათედი ეძლეოდა მათ დაუკლებლად — ერთისა ქრთილისა მარცვლამდე.

ვერა და ვერ შეიტყუა თამარი „საშვებელმან ამის საწუთროსამან, არცა მეფობამ გვირგვინისამან და სკიპტრამან, არცა ქვათა პატიოსანთა უხვად ქონებამან, არცა სპათა სიმრავლემან, არცა მიდრკა, ვერცა წარიპარა სიმდიდრემან, ვითარცა ძველი მეფენი მრავალნი და თვით ბრძენ მეფეთა უპირატესი სოლომონი“, თამარი სოლომონზე უფრო ბრძენი აღმოჩნდა, რადგან უცხო ექმნა საცთურთა სოფლისათაო, გვაუწყებს ისტორიკოსი.

...როცა აურაცხელ ალაფს ყრიდნენ თამარის ფერხთა ქვეშ, როცა სათვალავი აღარ ჰქონდა დავლას, როცა „გააზნაურდეს მიწის მოქმედნი, განდიდებულდეს აზნაურნი და გახელმწიფდეს დიდებულნი... განა აღუზავდა გული თამარისი? განლაღდა ერთისცა წარბთა აღებითა? არა, ნუ იყოფინ! არამედ, უფროსად დამდაბლდებოდა წინაშე ღმერთისა მმადლობელი და მოქენე მისგან წყალობისა, აღავსებდა ხელსა მოქენეთასა და წიაღებსა გლახაკთასა, განამდიდრებდა საზრუნველთა ეკლესიათა, ქურივთა და ობოლთა და დავრდომილთა, ზოგად ყოველთა ზედა“.

თავის დიდ პაპასავით, დავით აღმაშენებელივით — დაუძლურებულთ, სნეულთ და გლახაკთ თვით აკითხავდა „ნუგეშისცემად და თვით განუმზადებდა ცხედართა და სარეცელთა“.

როგორც ცნობილია, შამქორის ომში სპარსელებზე ბრწყინვალე გამარჯვების შედეგად ქართველებმა სხვადასხვა უამრავ ნადავლთან ერთად ხელთ იგდეს ხალიფას დროშა, რომლის თავზეც, ბურთში იდო ათასი ოქრო ხალიფური და რომელიც შალვა ახალციხელმა მიართვა თამარს. თამარმა ხახულის მონასტრის ღვთისმშობლის ხატს შესწირა იგი. მემატიანის თქმით, მან ამ საქციელითაც თავის დიდ წინაპარს — დავით აღმაშენებელს მიბაძა. თამარმა სწორედ ხახულის ღვთისმშობელს უძღვნა იამბიკო:

„შენგან, ქალწულო, რომელსა შენთვის დავით
როკვიდა, ძისა ღმრთისა ძედ შენდა ყოფად

მე თამარ, მიწა შენი და მიერვე
ცხებულობასა ღირს მყავ და თვისობასა“...

„მზეებრ უხვი“ თამარი უშურველად გასცემდა საბოძვარს, თვითონ კი სჯერდებოდა თავის ძველ მამულს, რადგან შორს განიოტა თურმე წურბლის მსგავსი ვერმაძღრისობა.

„ისურვებდა და სასურველ იყო, იწადებდა და საწადელ იყო, იქებოდა და საქებელ იყო, ნატრიდეს და სანატრელ იყო და არარა იყო სხუა კეთილ, როცა იგი არა იყო მის შორის“.

სიბრძნისა და სათნოების საუნჯე, როგორც უწოდებდნენ თამარს თანამედროვენი, „მზე იგი მზეთა და ნათელი ნათელთა, ელვარება და მზეებრ მაშუქებელი სხუათა“, ღმრთივ-გვირგვინოსანი — დროს მოიხელთებდა და თავს მარტო დაიგულებდა თუ არა, მაშინვე შეუდგებოდა კერვას, ქსოვას და თავის ნახელავს ურიგებდა ბერ-მონაზვნებსა და გლახაკთ. და აი, ერთხელ თამარმა „მცირედ მირულებისა შინა... ლოცვისა და ხელსაქმარის მიერ მაშვრალმან“ იხილა საოცარი სიზმარი თუ ჩვენება.

სამყოფელი, სადაც თამარი შეიყვანეს, სახილველად ტურფა ადგილი იყო, ყვავილებითა და სხვადასხვა მცენარეებით დამშვენებული. ამ სამოთხის ბაღში იდგა საყდრები, რომელთა სარკმლები შემკული იყო ვერცხლითა და ოქროთი, აქა-იქ მოჩანდა ფერად-ფერადი საკარცხლურები, ხოლო ამათ ზევით, მაღლობზე იდგა ტახტი, გაწყობილი ოქროთი და თვალ-მარგალიტით. თამარმა გულში გაიფიქრა: მეფე ვარ მპყრობელი და ჩემი არს უზენაესი და უპატიოსნესი ესე საჯდომიო და გაემართა კიდეც მისკენ, მაგრამ მას წინ დაუდგა კაცი ნათლით მოსილი, ხელი დაუჭირა და უთხრა, შენი არ არის ის დასაჯდომიო. ჩემზე უფრო ღირსეული აქ ვინ არისო, იკითხა გაკვირვებულმა თამარმა. ის ტახტი ეკუთვნის შენს დიასახლისს, რომელმაც თორმეტი მღვდელი შემოსა თავისი ხელსაქმარითო. „...იგი უზეშთაეს შენსა არს. დაღაცათუ შენ მეფე ხარ, კმა არს შენდა დიდება ესე, დაღათუ შენი აქავე არს“ და უჩვენა

„უდარესი და უუნდოესი“ ადგილი.

გაიღვიძა თუ არა თამარმა, დიასახლისი მოიხმო და გამოჰკითხა ყოველივე. აღმოჩნდა, რომ ქალს მართლა თორმეტი მღვდლისთვის შეეკერა სამოსი და შეემოსა ისინი.

რასაკვირველია, თამარი მიხვდა ამ სიმბოლური სიზმრის მნიშვნელობას და თავადაც შეუდგა თურმე თორმეტი მღვდლისთვის სამოსის კერვას.

ისტორიამ მრავალი იცის ძალაუფლებით და სიმდიდრით „გარდარეულთა“ და „მზვაობართა“ სახელები, არანაირი ბოროტების წინაშე რომ არ იხევდნენ უკან, ოღონდ კიდევ უფრო მეტი მოეხვეჭათ, კიდევ უფრო განდიდებულიყვნენ, რომელნიც თავიანთ ამქვეყნიურ ძალაუფლებას ზესთა-ზენურს უდარებდნენ, რომელთათვისაც კაცობრიობა და მთელი ქვეყნიერება მხოლოდ სარბიელი იყო მათი პატივ-მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად და საკუთარი მიზნის მისაღწევად მზად იყვნენ, გაეწირათ ყველა და ყოველივე, ებანავათ თავისივე ხალხის სისხლის ზღვაში. სამყარო მათით იწყებოდა და მათითვე მთავრდებოდა.

ხარბ, გულბოროტ, ზნედაცემულ მეფე-დედოფალთა, შვება-სიამეთა დაუცხრომელ მაძიებელთა ამ მრავალრიცხოვან გალერეაში უჩვეულოდ და სასწაულებრივად გამოირჩევა თამარის სწორუპოვარი სახე, მისი უბადლო თავმდაბლობა და დიდბუნებოვნება, ანუ მისი ჭეშმარიტი ქრისტიანიზმი. ქვედამზიდველმა საწუთრომ ვერანაირი ბიწი ვერ მოსცხო მზეთამზე თამარს, გარდარეულ სიმდიდრესა, დიდებათა და სიმაღლეთა შინა მყოფს თავი ისე ეჭირა, თითქოს არარაი ჰქონებოდა, ყოველთა კაცთა უდარეს და უგლახაკეს შეერაცხა თავი თვისი, რამეთუ მტკიცედ უწყოდა, რომ „შიშუელი გამოვედ დედის მუცლიდან ჩემითგან და შიშუელსა მეგულების წარსვლად“.

თამარი უზომო სიხარულსა და მწუხარებასაც თავშეკავებული სიმშვიდით ხვდებოდა. არაფერი აკვირვებდა ამქვეყნად და ყოველივეს ღირსეული თავდაჭერით ეგებებოდა.

მემატიანენი თამარს წარმოგვიდგენენ, როგორც სახელმწიფოს გამჭრიახ მმართველს, რომელიც უცებ ერკვევა რთულ ვითარებაში, უმალვე განსჯის და სათანადო ბრძანებას მისცემს ამირსპასალარს ან სხვა შემთხვევაში სასწრაფოდ მოიწვევს „დარბაისელთ“, რომელნიც ელვის სისწრაფით ასრულებენ მის განკარგულებებს. თვინიერ თამარისა, არაფერი შეიძლებოდა მომხდარიყო სამეფოში. ყველაფერი მას უნდა მოხსენებოდა, მას უნდა გაესინჯა საქმე, გამოეკითხა წვრილად. დღედაღამ დაუცხრომლად მოქმედებდა თვითონ და სხვებსაც არ აუქმებდა და ასე მართავდა ქვეყანას: „არა ვერაგობისა ღონისა აცხოვნებდა ერსა თვისა, არამედ სიბრძნისა წინაძღომითა, და სიმართლითა და უმანკოებითა“.

თამარის ისტორიკოსი ერთგან შენიშნავს, თამარმაო „ვითარცა ორბმან ფრთე-მალემან აღიფრინვა ზე და მიმოავლნა გუგანი სახედველთანი. და სივრცითა გონებისა თვისისათა შემოკრიბა ყოველივე საღმრთონი და საერონი წესნი და განგებანი“.

სწორედ თამარის ამ „გონების სივრცეს“ უნდა მივაწეროთ ის ამბავი, რომ მან ტახტზე ასვლისთანავე, „განიცადა რა სიდიდე საქმისა, მისდა რწმუნებულისა“, თავისი დიდი პაპის დავითის მსგავსად, განიზრახა, უწინარესად მოეწესრიგებინა საღმრთონი საქმენი. ამ მიზნით: „შემოკრიბნა ყოველნი სამეფოსა თვსისა მღვდელთ-მოძღუარნი, კაცნი მეცნიერნი სჯულითა საღმრთოსანი და მოსწრაფე იყო, რათა მართლმადიდებლობასა ზედა შემოთესილნი თესლნი ბოროტნი აღმოფხურნეს სამეფოსაგან თვისისა“.

შეკრებილთ თამარი მიეგება მისთვის ჩვეული თავმდაბლობით, „ვითარცა კაცი და არა მეფე, ვითარ ანგელოზთა და არა კაცთა“, მცირე ხანს იჯდა მათ შორის, მერე მიიღო კურთხევა და დასტოვა დარბაზი. საგულისხმოა სიტყვა, რომლითაც შეკრებილთათვის მიუმართავს თამარს. მან მოუწოდა სულიერ მამებს, ყოველი საქმე გამოეძიათ მართლად და კეთილად, გაეკიცხათ გულარძნილნი, არ ეპირფერათ მთავრებთან მათი სიმდიდრის გამო და უპატიოდ არ მოპყრობოდნენ ღარიბებს მათი სიღარიბისთვის. არ მორიდებოდნენ თვით მეფესაც: „...თქუენ სიტყვით, ხოლო მე საქმით, თქუენ სწავლით, ხოლო მე განსწავლით, თქუენ წურთით, ხოლო მე განწურთით, ზოგად ველი მივსცეთ დაცვად სჯულთა საღმრთოთა შეუგინებლად, თქუენ ვითარცა მღდელნი, ხოლო მე ვითარცა მეფე, თქუენ ვითარცა მნენი, ხოლო მე ვითარცა ებგური (დარაჯი)“.

სამღვდელოთა კრებამ ბევრი უღირსი ეპისკოპოსი გადააყენა და „საღმრთონი კაცნი დასხნეს მათ წილ, საეკლესიო წესი განმართეს“ და, თუმცა იმჯერად ვერ მოხერხდა გადაყენება ქართლის კათალიკოსის მიქაელისა, რომელსაც ჭყონდიდელ-მაწყვერელობა და მწიგნობართუხუცესობა „მოევერაგა უფლისაგან“ და რომელიც ყველას სძაგდა, ცხადზე უცხადესი იყო, რომ ამიერიდან თამარი ვერ მოითმენდა უმაღლეს სასულიერო პირთა უღირს საქციელს და, მართლაც, როგორც კი უფლის სასჯელმა უწია მიქაელ კათალიკოსს და გარდაიცვალა, „თანადგომითა და ერთნებაობითა შვიდთავე სამეფოთა დიდებულთათა ბრძანა დამტკიცებად ჭყონდიდელად და მწიგნობართ-უხუცესად და ვაზირად ანტონი... ბრძენი და გონიერი. პატრონთათვის სვიანი და ერთგული და შემეცნებული საურავთა“.

...თამარი ბრძანებდა და მისი ბრძანება დაუყოვნებლივ სრულდებოდა. შამქორის ომის წინ, თამარის წვევით ათი დღის შიგნით: „ვითარცა გროი შავარდენთა მოფრინდა ყოველი მხედარი, ყოვლით კერძო, იმიერ და ამიერ, სავსენი სიხარულითა“.

თამარი შეკრებილ სპათ გამოეგება და სიტყვით მიმართა: „ძმანო ჩემნო, ყოვლად ნუ შეძრწუნდებიან გულნი თქუენნი სიმრავლისა მათისათვის და სიმცირისა თქვენისა (ყოველთვის ასე იყო: სიმრავლე „სჭირდა“ მუდამ მტერს! - ც.ა.), რამე-

თუ ღმერთი ჩვენთან არს... მხოლოდ ღმერთსა მიენდვენით და გულნი თქვენნი სიმართლით იპყრენით... შეწევნითა ყოვლად წმიდისა ღმრთისმშობელისათა და ძალითა უძლეველისა ჯუარისათა წარიმართენით“.

მემატიანის თქმით, თამარმა სპათ ულოცა, შეავედრა ისინი ღმერთს, წარუძღვანა „ძელი ცხოვრებისა და თანა წარატანა ჭყონდიდელი“, ხოლო თვით „წარიხადნა სამოსელნი ფერხთანი, და... შიშუელითა ფეხითა მიიწია ტაძარსა ღმრთისმშობლისასა მეტეხთა, და წინაშე ხატისა მას წმიდასა მდებარე არა დასცხრებოდა ცრემლითა და ვედრებად, ვიდრემდის სრულყო ღმერთმან სათხოველი მისი“.

რა სურათი უნდა გადაშლილიყო მაშინდელი თბილისის მოქალაქეთა და საქართველოს ყოველი კუთხიდან შეყრილი ჯარის წინაშე, როცა მათი მეფეთა მეფე, ღმრთივგვირგვინოსანი, შვიდთა სამეფოთა მფლობელი და პატრონი, „ელვარება და მზეებრ მაშუქებელი“, რომლის მშვენიერებას შესტრფოდა და შეჰხაროდა დიდი თუ მცირე, მათი „თამარ-ქალი“, როგორც ეძახოდნენ ხოლმე განუზომელი სიყვარულითა და მოფერებით — ფეხშიშველი მიუძღოდა ლაშქარს, შემდეგ ფეხშიშველივე შეუყვებოდა მეტეხის აღმართს, ცრემლით ისველებდა ღვთიური სილამაზის ღაწვებს და ხატის წინ დამხობილი მხურვალედ ევედრებოდა ყოვლადწმიდა ღვთისმშობელს ქართული ლაშქრის მტერზე გამარჯვებას.

...შემდეგ, ტაძრიდან გამოსული, დროშას გორგასლიანს. დროშას დავითიან-ბაგრატოანურსა, სვიანად მოხმარებულსა: „სინდეთს შესვლითგან მოსპეტაკებულს“ — საქართველოს სახელმწიფოს ძლიერების სიმბოლოს — თავისი ხელით გადასცემდა ამირსპასალარს ჯარის თვალწინ!

თამარი ბრძანებდა, ხოლო თამარის ბრძანება სიხარულით სრულდებოდა, თუნდაც სასიკვდილო ყოფილიყო ეს მოწოდება.

...საყურადღებოა ის გარემოება, რომ ბასიანის ომის წინ,

1204 წელს, თამარის დიპლომატიური და გამჭრიახი გონების წყალობით შეიქმნა ტრაპიზონის საკეისრო.

თამარმა საბაბად გამოიყენა ბიზანტიის კეისრის უგუნური საქციელი, ქართველ ბერებს განძი რომ ჩამოართვა და მიისაკუთრა, და ქართველმა მხედრობამ თითქმის მთლიანად დაიკავა ბიზანტიის მიერ მიტაცებული შავი ზღვის სანაპირო, რომელიც საქართველოს მოსაზღვრე იყო და სადაც ქართული მოდგმის ტომები ლაზები, ანუ ჭანები ცხოვრობდნენ. ქართველებმა აიღეს მთელი ლაზისტანი: ტრაპიზონი, სამსუნი, სინოპი, კერასუნტი, კოტიორა და ერაკლიამდე მიაღწიეს. მაგრამ თამარმა უშუალოდ არ შემოუერთა ეს ოდინდელი ქართული პროვინციები საქართველოს, არამედ ახალი დამოკიდებული სახელმწიფო შექმნა და ბიზანტიის კანონიერი მემკვიდრე, თავისი ნათესავი და გაზრდილი ალექსი კომნიანოსი დასვა მეფედ. როგორც ცნობილია, ამ დროისთვის ჯვაროსნები, ანუ ლათინები, როგორც ეძახდნენ მათ ბერძნები, უკვე ფაქტობრივად ბატონობდნენ ბიზანტიაში. ანგელოსთა საგვარეულოს იმპერატორებმა მათ ყოველნაირად შეუწყვეს ხელი, რომ ჩაეხშოთ მოსახლეობის აჯანყება. ჯვაროსნებმა გაუგონარი ძალადობა გამოიყენეს: კონსტანტინოპოლი აიღეს და მთლიანად გადაწვეს ზოგიერთი მისი უბანი, ანტიკური და საშუალო საუკუნეების ხელოვნების უძვირფასესი ძეგლები გაანადგურეს, დიდძალი ხალხი — მათ შორის ყოფილი იმპერატორებიც, გაჟლიტეს და ე.წ. ლათინური იმპერია დააარსეს.

ტრაპიზონის სახელმწიფო, სავსებით გაქართველებული დინასტიითა და უპირატესად ქართული მოსახლეობით, საქართველოს ფორპოსტს წარმოადგენდა, რომელიც ერთი წვერით მიმართული იყო კონსტანტინოპოლში ფეხმოკიდებული „ლათინი“ დამპყრობლების წინააღმდეგ, ხოლო მეორით — რუმის (იკონიის) უკვე მეტისმეტად გაძლიერებული სასულთნოს წინააღმდეგ. ამასთანავე, ტრაპიზონის სამეფო ჩამოყალიბებულ იქნა ისეთი ფორმით, რომ უნდა საქვეყ-

ნოდ ეჩვენებინათ, კონსტანტინოპოლში დათრგუნვილი ბიზანტია აქ განაგრძობს არსებობას, რომ აღმოსავლურმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ და ბერძნულმა ენამ აქ მოიპოვეს სრული თავისუფლება და საიმედო მფარველი.

„ტრაპიზონისა და ლათინთა იმპერიები თითქმის ერთდროულად დაარსდნენ. მაგრამ ერთგვარი გამძლეობა როდი გამოიჩინეს და ერთნაირი კვალი როდი გაავლეს ისტორიას. ლათინთა იმპერიამ გაჭირვებით იარსება 57 წელი. ამ ხნის განმავლობაში არა მარტო მისი პროვინციები იყო დაქვეითებული და გაპარტახებული, არამედ თვით დედაქალაქი. მემატიანე მოგვითხრობს, რომ იმპერატორთა სასახლეებიც კი „იტალიური ჭვარტლითა და ბოლით იყო შებილწულიო“. ტრაპიზონის სამეფომ 200 წლით მეტი გასძლო. მან განახლებული კონსტანტინეპოლის იმპერიასაც კი წააცილა გამძლეობით. და რაც მთავარია, მთელი ამ ხნის განმავლობაში იგი ევროპული ცივილიზაციის მნიშვნელოვანი ბურჯი იყო აღმოსავლეთში“.[1]

საქართველოს აი ესოდენი ძლევამოსილება ვერ აეტანა სწორედ რუმის სასულთნოს. აი, ეს იყო მიზეზი რუქნ-ად-დინის ლაშქრობისა.

ქვეყანას სასიკვდილო საფრთხე დაემუქრა — თურქთა კოალიციური ჯარის სახით.

ბასიანის ომის წინ: „ბრძანება და წიგნები ქროდა მალემსრბოლთა და ცოტათა შინა დღეთა შემოკრბეს ვითარცა ვეფხნი სიკასკასითა და ვითარცა ლომნი გულითა. ქრისტესა ღმერთსა ესვიდეს და არღარა ყოვნეს, არამედ მსწრაფლ მიმართეს ტაძარსა ყოვლადწმინდასა ღმრთისმშობელისასა ვარძიას“. ხოლო თავად თამარი წინ მიუძღოდა ლაშქარს: „შიშულითა ფერხითა და ცრემლით ასოვლებდა ღაწუთა თვისთა“.

ვარძიის მონასტერში ღვთისმშობლის ხატის წინ დამხობილი, იგი ლოცვითა, ფსალმუნებითა, ღამისთევითა დაუცადებლად ლიტანიობდა და არა დასცხრებოდა.

1ნ. ბერძენიშვილი, ი. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორიის სახელმძღვანელო. თბ. 1948 წ. გვ. 23

ყოველ საყდარს თუ მონასტერს დაევალა ლიტანიობა და ვედრება უფლის მიმართ. მეორე დღეს, დილით, სპას უბრძანა ამხედრება, თვით გორაკის წვერზე ავიდა, საიდანაც ყველას დაინახავდა, და დავარდა მუხლთა თვისთა ზედა, დიდხანს სტიროდა წინაშე ღმრთისა, როცა წამოდგა, ის ადგილი ყოვლად დალტობილი აღმოჩნდა თურმე ცრემლთაგან თამარისთა. მერმე მოიყვანა თავის წინაშე ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა, თითოეული მათგანი მთხვეოდა ჯვარს პატიოსანს და თაყვანი ეცა. და მოდიოდნენ ყოველნი ტირილითა და ვედრებით, თაყვანს სცემდნენ ჯვარს და ამბორს ჰყოფდნენ, მერმე ემთხვეოდნენ თამარის ხელს და ანდერძს უტოვებდნენ „სახელთა, შვილთა და სულთა წინაშე მისსა“.

...თამარის ბრძანება ჯარის წვევის შესახებ ისეთი სისწრაფით აღსრულებულა, რომ უკან მიმავალ რუქნ-ად-დინის ელჩს საქართველოს ლაშქარი კვალდაკვალ მიჰყვა და მოულოდნელად დაესხა თავს 400-ათასიან ჯარს.

400-ათასიანი ჯარი არამცთუ მაშინ, ახლაც დიდი ძალა გახლავთ. დიდგორის ომშიც დაახლოებით ამდენი ჯარისკაცი ჰყავდა მოწინააღმდეგეს, მაშინ, როდესაც დავით აღმაშენებლის ლაშქარი სულ სამოცი ათასამდე იყო. ჩვენს მტრებს, საერთოდ, ტომით სიმრავლე მოსდგამდათ იმთავითვე: „მათი იდგა თვალუწვდენი, სიმრავლე სჭირს მათ გვარიდამ“-ო, მოგვიანებით იტყვის ერთი ჩვენი მეფეთაგანი.

ამჯერადაც უზარმაზარი კოალიციური ჯარი წალეკვით ემუქრებოდა საქართველოს. მაჰმადიანურ სამყაროს ვერა და ვერ მოენელებინა ქრისტიანული ქვეყნის ესოდენი აღზევება და ისიც დედაკაცის მეფობით! და ეს მაშინ, როდესაც, ალაჰის მოციქულის მოძღვრების თანახმად, ყოველი დიაცი რეგვენია. ამგვარ მოძღვრებაზე აღზრდილმა რუქნ-ად-დინმა, ამიტომაც იყო, ეგზომ უტიფარი და ბრიყვული ეპისტოლე გამოუგზავნა თამარს. რუქნ-ად-დინი, გარდა იმისა, რომ ქართველებისგან სრულ მორჩილებას მოითხოვდა, თამარს რჯული უნდა დაეთმო. თუ თამარი სარწმუნოე-

ბას გამოიცვლიდა, მაშინ სულთანი მას შეიწყნარებდა და ცოლად შეირთავდა, თუ არადა, სულთნის ხასა უნდა გამხდარიყო: „...და აწ მე მოვალ, რათა განგწუართო შენ და ერი ეგე შენი, აროდეს კადრებად აღებად ხრმლისა“.

ასეთი ბრიყვული თვითდაჯერებით წარდგა სულთნის ელჩიც დარბაზის ერთა წინაშე, თვით მეფეთ მეფე თამარის წინაშე.

ადვილი წარმოსადგენია თამარის ქვეშევრდომთა ის აღშფოთება, რაც ელჩის სიტყვებმა, მისმა კადნიერმა საქციელმა, მთელმა მისმა იერმა გამოიწვია. თავის თავში დარწმუნებული არარაობანი ხომ მზესაც „ტალახს ესვრიან“ ხოლმე, ვინაიდან ასეთია სიბნელისა და უმეცრების არსი.

ადვილი წარმოსადგენია ზაქარია მხარგრძელის სულის მოძრაობაც, როცა წონასწორობიდან გამოსულმა ელჩს სილა გააწნა სახეში, მაგრამ თვით თამარი! რა ტრიალებდა ღვთითგვირგვინოსანის გულში ამ დროს? მისი ღვთაებრივი სიმშვიდისა და აუმღვრევლობის მიღმა რა იმალებოდა?

აქ მარტო ელჩის ან, თუ გნებავთ, სულთნის თავხედობისა და უგუნურობის ამბავი როდი გახლდათ. ელჩის უკან ხომ უზარმაზარი ძალა იდგა, მას ზურგს უმაგრებდა ქაჯთა უთვალავი და ბნელი ურდო, რომელიც მოისწრაფოდა მზიური ქვეყნის მოსარბევად, მოსაოხრებლად, მიწასთან მოსასწორებლად, როგორც არაერთხელ უქნია სხვა დროს. ისტორიის გრძელ და სისხლიან გზა-სავალზე ხომ მუდამ ასეთ შავბნელ ძალებთან უწევდა შერკინება ქართველობას. ბოროტებასა და სიკეთეს შორის გამართულ ამ ჭიდილში, პოეტის სურვილის მიუხედავად, ხშირად ბნელი იმარჯვებდა ხოლმე ნათელზე.

ახლაც ისევ მარადიული, გარდაუვალი დილემის წინაშე იდგა მთელი საქართველო. ახლაც, როგორც არაერთხელ, მისი ყოფნა-არყოფნის საკითხი უნდა გადაწყვეტილიყო: ან გადათქერავდა მას ეს შავბნელი ურდო, ანდა უნდა ეზეიმა სიკეთეს ბოროტებაზე. მაშასადამე, მესიის თაყვანისმცემელს, როგორადაც აწერდა მონეტაზე თამარი თავის სახელს, ხელში ისევ მახვილი უნდა აეღო, რათა დაეცვა თავისი ქვეყნისა და ერის არსებობის უფლება, ზუსტად ის, რასაც ეცილებოდნენ მიწყივ-დასაბამიდან დღემდე სხვადასხვა ჯურის გადამთიელნი, უნდა დაეცვა მომთაბარეთაგან არა მარტო მატერიალური, არამედ, რაც მთავარია, ადამიანის სულიერი საუნჯე, რადგან სახელმწიფოს არსებობას მაშინ აქვს გამართლება ამქვეყნად, როცა ის, რუქნ-ად-დინის სამეფოსავით, მახვილსა და ძალადობაზე როდია დაფუძნებული, არამედ ემსახურება სიკეთეს, ჰუმანიზმს, ქმნის, აშენებს და ამკვიდრებს მშვენიერებას, სილამაზეს და ამით და მხოლოდ ამით ხელს უწყობს საერთო საკაცობრიო განვითარებას, თავისი წვლილი შეაქვს მსოფლიო კულტურის საგანძურში. ხოლო მაშინდელ საქართველოს შეეძლო თამამად განეცხადებინა, რომ ის სწორედ ასეთ ქვეყანას წარმოადგენდა. „ნიკოფსით დარუბანდამდის“ გადაჭიმული, თავის დროისთვის არცთუ მცირერიცხოვანი მოსახლეობით (მკვიდრი მოსახლეობა ხუთ მილიონს შეადგენდა)[1], მარტოოდენ სამხედრო უძლეველობით, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით როდი გამოირჩეოდა — იგი თავისი სულიერი კულტურით იდგა უმაღლეს საფეხურზე.

მტრების შემოსევისა და აოხრებისგან თავდაცული ქვეყანა დიახაც მოშენებული და გაღონიერებული იყო. დიდძალი ქონება და სიმდიდრე ქვეყნის აღმშენებლობას ხმარდებოდა. თამარის დროს აშენდა უამრავი ქარვასლა, ქსენონები, სკოლები, არხები, წყალსადენები, „ქვაფენილ ჰყვეს“ გზები. თამარმა აღასრულა დიდებული ვარძია, აღაშენა და შეამკო არა მარტო საქართველოს ეკლესია-მონასტრები, არამედ საზღვარგარეთისაც. იერუსალიმში ააგო საყდრები: „არა დაუტევა საყდარ-ეკლესიანნი, რომელნი დიდი წყალობითა აღავსო“. იწვრთნება ახალი თაობა. ვითარდება და უმაღლეს დონეს აღწევს ხელოვნება, მეცნიერება, ლიტერატურა, მჭევრმეტყველება, ფილოსო-

1მე-12 საუკუნის ინგლისის მოსახლეობა 1-მილიონ-ნახევარს არ აღემატებოდა, ხოლო საფრანგეთისა — სამ მილიონს თუ აღწევდა. - ავტ.

ფია, ისტორიოგრაფია, მთარგმნელობა...

ივ. ჯავახიშვილის აზრით: „საქრისტიანო აღმოსავლეთში, საშუალო საუკუნეებში ქართველების გარდა არც ერთ ხალხს საერო პოეზია არ ჰქონია: არც ასურებს, არც სომხებს, არც ბიზანტიელებს მაშინ მხატვრული სიტყვიერება არ მოეპოვებოდათ“. ეს ნიშნავდა, რომ აზიისა და ევროპის საზღვარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო... ამასთან, ეს ამბავი მეტყველებდა აგრეთვე ქართველი ერის ძლიერი მხატვრული ნიჭისა და შემოქმედების უნარზე. მაგრამ, ივ. ჯავახიშვილის დაკვირვებითვე, განსაკუთრებით საყურადღებო და საგულისხმო ის გახლდათ, საქართველოს საჭისმპყრობელნი — დავით აღმაშენებელი და თამარი — მაღალი ზნეობრივი მოძღვრების მიმდევარნი რომ იყვნენ. ისინი პირადი შრომითა და გარჯით შეძენილ ფულს მიიჩნევდნენ უმწიკვლოდ და წმინდად, მხოლოდ ამ გზით მონაგები ქონება შეიძლებოდა ღვთისთვისაც სათნო ყოფილიყო. მოყვასისთვის ხელის გამართვა და ქველმოქმედება ამგვარად შეძენილი ფულით თუ ქონებით მიაჩნდათ შესაძლებელი. ამასთან, განსხვავებით მაშინდელი ბევრი ქვეყნისგან, საქართველოში ტრადიციული მშვიდობიანი, კეთილი განწყობილება სუფევდა სხვადასხვა ეროვნებისა და სარწმუნოების შვილთა შორის და ამის შედეგი იყო, სხვადასხვა ერის შვილები ასე თავგამოდებით რომ იღვწოდნენ საქართველოს ძლიერებისთვის. დიდად ნიშანდობლივია ერთი გარემოებაც: საქართველო იყო ის ქვეყანა, სადაც შესაძლებელი გახლდათ გამართულიყო სასამართლო ქართველ მართლმადიდებელთა და სომეხ გრიგორიანელთა შორის მაჰმადიანი ყადიებისა და შეიხის მონაწილეობით (ქ. დვინის ცნობილი სასამართლო). დავითისა და თამარის დროინდელმა საქართველომ დაამტკიცა, საერთო მოქმედება და ორმხრივი მშვიდობიანი თანამშრომლობა შესაძლებელი რომ

ყოფილა, რაც იმ ხანისთვის გასაოცარი მოვლენა გახლდათ და რაც, ი. ჯავახიშვილისვე აზრით, საქართველოს უაღრესი კულტუროსნობის დამადასტურებელი საბუთია.

აი, ასეთ ქვეყანას დაემუქრა სასიკვდილო საფრთხე რუქნ-ად-დინის სახით!.. მაშ, ისევ მახვილი და სისხლის ღვრა! ისევ ძალას უნდა გადაეწყვიტა საკითხი არა მარტო ფიზიკური ყოფნა-არყოფნისა, არამედ სიკეთისა და მშვენიერების არსებობისაც. სხვა გზა არ იყო.

ნიზამის ჰქონია ერთი ლექსი, სადაც იგი თამარზე ამბობს: „მან თითისტარი შუბად აქცია და ჩვენ კი შუბი „თითისტარად“-ო. სარწმუნოებით მაჰმადიან ნიზამის ეუცხოვებოდა ქალი სამეფო ტახტზე, მით უმეტეს, ასე ძლიერი ქალი. არადა, სწორედ რომ „შუბით აღჭურვილი“ დიაცისგან იწვნია ქედმაღალმა რუქნ-ად-დინმა ესოდენ საშინელი დამარცხება: „ზარგანხდილნი ილტვოდნენ და დადგეს კარავთა შინა მათთა“.

ბასიანის ომში ქართველებს, მემატიანის თქმით, „დიდებული ძლევა მოჰმადლა ღმერთმა, ცრემლითა და სასოების სიმტკიცითა თამარისათა“. ეს დიდებული ძლევა იყო თამარის პასუხიც გათავხედებული სულთნის მუქარაზე: „ძალსა ღმრთისა ყოვლისა მპყრობელისასა მინდობილმან, მარადის ქალწულისა მარიამისა სასოებით მოსავმან და პატიოსნისა ჯუარისა მვედრებელმან წარვიკითხე ღმრთისა განმარისხებელი წიგნი შენი, რუქნადინო, და ვცან სიცრუვენი შენნი, რომელთა ბჭე ღმერთი იყოს...

და აწ წარმომივლენია ყოველი მხედრობა ჩემი წინამოგებებად შენდა. იყავ ნება ღმრთისა, ნუ შენი! სამართალი მისი, ნუ შენი!“

ბრწყინვალე გამარჯვება რუქნ-ად-დინის ურიცხვ, მაჰმადიანური ქვეყნების გაერთიანებულ ჯარზე ღვთის ნების გამოვლენად აღიქმებოდა.

...ლაშქრობიდან ძლევამოსილი გამარჯვებით დაბრუნებულთ თვით შეეგებებოდა ხოლმე თამარი, ყველას მოიკითხავდა, ვითარცა შვილთა.

ვაჟა-ფშაველა ერთგან მთვარეს მიმართავს:

„ბევრჯერ ქურდულად სინჯავდი
იმ ჩვენს კურთხეულს თამარსა,
სარკმლიდან უთვალთვალებდი
იმის თვალ-წარბსა მწყაზარსა.
უცქერდი — ღვთისმშობლის ხატთან
რომ დაჩოქილი ცრემლადა
ევედრებოდა, თვის წილხვედრს
რომ ჰყოლებოდა მცველადა.
ან როცა ძლევამოსილსა
ჯარს წინ უძღოდა დროშითა,
ან როცა ოქროს ნაქარგის,
დასეირნობდა ქოშითა.
ესა მშურს შენთვის, სხვა ყველას,
ვიშოვი ცივის გროშითა“.

...ბასიანის ომმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო ძლიერება საქართველოსი და, რაც მთავარია, გააცამტვერა მტრების იმედები დედაკაცის ძალაუფლების უსუსურობისა და, ამდენად, მისი ადვილად დამარცხებისა, თამარმა ამჯერადაც დაამტკიცა, რომ თავისი დიდი წინაპრების ღირსეული მემკვიდრე იყო.[1]

...თამარის სამეფო კარზე დახმარების სათხოვნელად მოსულ შირვან-შაჰს და ამირ-მირანს მეფე-ქალმა დიდი დარბაზობა გაუმართა. პურობის შემდეგ „იყო ნადიმი, სიკეთე და სიტურფე გამოუთქმელი“, იყო სიხარული და ზმა მგოსანთა და მუშაითთა, სახიობთა ჭვრეტა. გართობის ხელმძღვანელი

1 ზოგი მკვლევრის ვარაუდით და ხალხური გადმოცემითაც, თამარს უეჭველად უნდა ჰყოლოდა ქალთა ლაშქარიც. უცხოელი მოგზაურებიც (ბართლომე დე სალინიაკი, ბაუმგარტენი და სხვ.) ამტკიცებენ, რომ ქართველი ქალები „ისე შეჩვეული არიან ლაშქრიანობას, რომ ცხენდაცხენ ეომებიან მტერს“. შალვა დადიანმა თავის შესანიშნავ რომანში „გიორგი რუსი“ მხატვრულად ხორცი შეასხა კიდეც ამ აზრს და დაგვიხატა თამარის დიაცთა ლაშქრის საქმიანობა. - ავტ.

თამარის მამიდა, რუსუდანი იყო, რომელიც თავის გვარფესვის — ბაგრატოვანთა დარად მასპინძლობდა მაჰმადიან სტუმრებს, აგრეთვე, როგორც ხვარასნისა და ერაყის სულთნის ყოფილი რძალი, განსწავლული იყო აღმოსავლური ზარ-ზეიმების მოწყობასა და გამართვაში. იყო მათგან ძღვნობა, ამათგან ბოძება. ბოლოს გაიმართა ნადიმობა, შემდეგ ბურთაობა, შირვან-შა და ამერ-მირანი ბრწყინვალე მობურთალნი აღმოჩნდნენ: „ვითარ ერაყსა, ადარბადაგანს და ერანს ამათებრნი მობურთალნი არ დარჩომილან“. თამარმა უბრძანა თავის მოყმეთ, ახლა მათ ეჩვენებინათ თავიანთი გაწვრთნილობა, და ისინიც ჩავიდნენ მოედანს. თავად ღვთივგვირგვინოსანი თამარი კი დაჯდა საჭვრეტელად „პირთა მით ბრწყინვალითა და ნათელთა მფენითა“. ადვილი წარმოსადგენია, როგორ იბურთავებდნენ მოყმენი, როცა მათი მეფეთმეფე, მზე-თამარი თავად იყო დაინტერესებული შეჯიბრებით.

„ისლიმნი დაჯერებულნი მეცნიერებისანი და მძლემბრძოლნი, მსწრაფლ იძლივნეს დავით მეფისა და მისთა მოყმეთაგან და შეიქცეს ძლეულნი და ჭმუნვებულნი“.

ამ თითქოსდა უმნიშვნელო ეპიზოდში ჩანს თუ როგორი შინაგანი რწმენით იყო შეპყრობილი ქართველთა გული, რა სიამაყითა და თავგანწირვით შეეძლოთ შეტოქებოდნენ ყოველ მოწინააღმდეგეს. ხოლო ის, რაც მოედანზე უჩვენეს სტუმრებს, მალე ბრძოლის ველზე უნდა დაემტკიცებინათ. შამქორის ბრწყინვალე გამარჯვება იყო ამის დასტური; ძალი შემწევს ქადილისაო — სწორედ მაშინდელ ქართველს შეეძლო ეს ეთქვა.

ისტორიკოსი იმდენად არის მოხიბლული თამარის მაღალი ზნეობრივი თვისებებით, იქამდეა აღტაცებული თამარის სახებით, რომ მზად არის დაარღვიოს საეკლესიო დოგმატები და თამარის პიროვნება ჩაურთოს ქრისტიანულ სამებაში — ღმრთივგვირგვინოსანი თამარი არის სამგზის

სანატრელი და სამების მეოთხე წევრიო.

თამარი ბრწყინვალება და ნათელია მშობლების თვალთა, გვირგვინია ყოველთა ხელმწიფეთა, მზეთამზე[1] და დედოფალთა-დედოფალია — შარავანდედთა შორის უმეტეს აღმობრწყინებული.

„ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანის“ ავტორი თამარის აპოლოგეტთა რიცხვს მიეკუთვნება და, ამდენად, საკვირველი არ უნდა იყოს მისგან თამარის ესოდენ ქება-დიდება, ეს მის მოვალეობასაც შეადგენდა თითქოს — კარის მეხოტბეთა მსგავსად, მაგრამ თამარმა სინამდვილეში იმდენი საგმირო საქმე ჩაიდინა, ისე აამაღლა საქართველო, უტყუარი საბუთები რომ არ გვეჭიროს ხელში, ზღაპარი ან სიზმარი გვეგონებოდა ყოველივეო, შენიშნავს აკაკი წერეთელი ერთ თავის წერილში, ხოლო თვით ხალხი ასე წარმოსახავს თამარის ნამოქმედარ-ნამოღვაწარს:

„თამარ დედოფალი ვიყავ,
თავი ძირს აღარ დავიღე,
ზღვაში ჩავყარე სამნები,
ხმელეთი ჩემსკენ მოვიგდე,
ქაჯებს დავადე იჯარა,
ისპაანს ხარჯი ავიღე.
სტამბულს ხმალი ვკარ, დარუბანდს...
ქვაზე საყდარი ავიგე“.

ან კიდევ:

„ვინც კი შემება, შევები,
ალალითა და ჯიქითა,

1 როგორც ცნობილია, საერო მწერლობაში მზე პერსონაჟის სიმბოლოა და მეტაფორული სახელია. სასულიერო მწერლობაში კი მზეს ძირითადად ღვთაების გამოხატვის ფუნქცია აკისრია. მზეთა-მზის ეპითეტი თამარის ღვთისსწორობის იდეას გულისხმობს, ანუ თამარს — სამების მამა ღმერთს (მზეთამზეს) უტოლებდნენ. - ავტ.

ანი თქვენ იცით, მეფენო,
ვინც დარჩით, ამას იქითა“.

...თამარს ვაქებდეთ გულისხმიერსაო — ერთხმად ღაღადებდნენ თამარის თანამედროვე მგოსნები, რომელთაც, თამარის შემხედვარეთ, თავი სიზმარში ეგონათ.

„მეფე-საკვირველება“, როგორც ჩანს, თავისთავად, უნებურადაც იწვევდა მის თანამედროვეთა განუზომელ ხოტბა-დიდებას, ამაღლებულ, ზეაწეულ კილოს, ჭარბ პათეტიკას.

თამარ-მზეს ეთაყვანებიან სხვა მნათობები, თავად მზე ბნელდება თამარის სინათლით. და შემდეგ, ჩახრუხაძის კლასიკური, ჩვენს ხსოვნაში სამუდამოდ აღბეჭდილი სტრიქონები:

„თამარ წყნარი, შესაწყნარი,
ხმა-ნარნარი, პირ-მცინარი,
მზე-მცინარი, საჩინარი,
წყალი მქნარი, მომდინარი...
ვარდ-შამბნარი, შამბ-მაღნარი,
ღაწვ-მწყაზარი, შუქ-მფინარი“.

ხოლო იოანე შავთელი, მემატიანის დახასიათებით, „კაცი ფილასოფოსი და რიტორი, ყოვლად განთქმული და საკვირველი მოღუაწებათა შინა და ლექსთა გამომთქმელი“, თავისი დროის უგანათლებულესი პიროვნება და ბრწყინვალე პოეტი, ლამის მთელ კაცობრიობას მიმართავს:

„შემოკრბით ბრძენნო, ათინელთ ძენო,
თამარს ვაქებდეთ მეფედ ცხებულსა.
კრიტს, ალამს, მაღრიბს, ეგვიპტეს, მაშრიყს
ჩინეთ-მაჩინეთს, თარშის ქებულსა“.

თამარის გამოჩენით ნათლდება არე, ვით მთვარით და ხომლით არის ცა განათებული, იგი უფრჭვნელი ვარდია,

ცვრით განბანილი, ნერგი სვიანი — დავითის ძირის და ფესვის, იგი მზეა — სამყაროს მანათობელი, სავსე — მთვარის მშვენებით, ცისკრის ათინათობით, „სხივ-მკრთოლვარებით მკამკამებელი“, ციურით უმაღლესი — ედემს დარგული სამოთხის გულია.

„სამგზის ნეტარი“ თამარი:

„ძირით მისისა იესუისა
შვილი მართალი იშვა ცხოვრებად,
ქალწულ-წმიდისა წილხდომილისა,
საქართველოსა მეფედ წოდებად,

სვეტად სჯულისად, ზღუდედ სულისად,
აგარის ერთა ცეცხლთა მომდებად“.

უბინდო ღმერთმა შვა თამარი ცისკრად დღისად, მთიებად მზისად, ვარსკვლავად ცისად: სამგზის ნეტარი თამარ თვალია ბრმათა, ყრმათა გამზრდელი, მშიერთა პური, უსახლოთ სართული, მამა ობოლთა, მსაჯული ქვრივთა, კვერთხი მოხუცებულთა.

„მოგვფენ სიბრძნეთა, წერილთ სიღრმესა, თვით განგვიმარტებ მადლთა მთხრობელი... ვნატრი ელადსა, თვით მას გელათსა, სად რომ დაკრძალვენ წმინდათ სხეულთა!“.

...სახარების სიბრძნეს განასახიერებ და თვითვე განგვიმარტავო მის სიღრმეს. ეს კი მხოლოდ ფილოსოფიასა და ღვთისმეტყველებაში ღრმად განსწავლულ პიროვნებას თუ შეეძლო. აქაც უთუოდ არეკლილია „ახალი ათინას“ — გელათის აკადემიის განუზომლად დიდი როლი მაშინდელი საქართველოს მოწინავე ადამიანების აზროვნების ჩამოყალიბებასა და წრთობაში.

...თამარის მიმართ თურმე ისეთი ტრფიალი ჰქონიათ, „რომ არცა უღირსთა უღირსობასა აქუნდა კდემა-რცხუენა“, ყველანი განურჩევლად, მეფენი აღმოსავლით თუ დასავლით, უღირსნი თუ ღირსეულნი თამარის „სახებრწყინვალების“

გამო ხელდებოდნენ. მათ შორის ბერძენთა მეფის მანუელის შვილიც ყოფილა „გაჭრითა და გახელებით“, ხოლო მუტაფრადინმა, სალდუხის ძემ, დააგდო მუჰამედის რჯული, ყოველთა მეფეთა უზესთაესის თამარის წინაშე მოვიდა, შესთავაზა მას სამფლობელო თავისი, მოვიდა „მრავლითა ლაშქრითა, ბარგითა და სიმდიდრითა, სახელმწიფოთა ძღვენითა კმასაყოფელითა თუალისა და მარგალიტისა, საჭურჭლეთა და ასთა თანა ავაზებისა და ტაიჭების სიმრავლითა“.

მუტაფრადინის პაპა თამარის პაპამ დემეტრემ დატყვევებული მოიყვანა ტფილისს, ხოლო მისი შვილიშვილი თავისი ნებით გამოცხადდა თამარის წინაშე „ვითარცა მონა-მოხარკე“-ო.

თამარმა ჩვეული ტაქტიანობით მიიღო ხელისმაძიებელი, უმასპინძლა ნელიად და წყნარად, ხანდაზმით უდარბაზა. პატივსა და ბოძებასა შინა დაყო მან რამდენიმე ხანი, ბოლოს ცოლად შერთეს გიორგი III-ის ხარჭისგან ნაშობი ქალი, ქორწილი გადაუხადეს და წარგზავნეს უკან, არზრუმს: „გარნა ვითარითა ცრემლითა და ვითარითა გლოვითა, გამოუთქმელი არს კაცთა ენისაგან“. ხოლო შარვან-შაჰი მიხდილი იყო ცნობას თამარის სიყვარულისგან და მზად იყო, თავისი წინამორბედივით რჯული დაეგდო, ოღონდაც ღირსებოდა თამარის ქმრობას. ოსთა ბატონიშვილების ტრფიალი და ერთი მათგანის სიკვდილი თამარის სიყვარულის გამო — საყოველთაოდ ცნობილი ამბავი გახლდათ. მაგრამ თავად თამარის გული, არმოწადინე ქმროსნობისა, მაინც იძულებული გახადეს, თანხმობა მიეცა გიორგი რუსთან ქორწინებაზე. ყველა ისტორიკოსი ერთხმად აღნიშნავს, თამარის ნების გარეშე ჰყვეს ქორწილიო, „ყოველითურთ შეაიწრებდეს სულსა მისსა და ესეოდენ მძიმესა საქმესა სუბუქად შეეხებოდეს“. თამარის სურვილის წინააღმდეგ შერთეს დიდებულებმა მას ქმარიო. არ შეიწყნარეს მისი თხოვნა, დავიცადოთ, ერთი წელი მაინც შევხედოთ უცხო კაცს — ვინ არის, რა ზნე აქვს, რა თვისებანიო. მერე კი, როცა რუსის „სკვითური“ ბუნება

გამოჩნდა, ისინი, ვინც აძალებდნენ თამარს ქორწინებას, დარცხვენილნი, შეწუხებულნი თვალებს ვერ უსწორებდნენ მეფეს (ცხადია, ეს დაძალება პოლიტიკური მოტივით იყო ნაკარნახევი. თამარის მოწინააღმდეგე დიდებულთა ჯგუფი ვარაუდობდა, რომ ამ ქორწინებით განიმტკიცებდნენ ძალაუფლებას და რომ ჩამოყვანილი უფლისწული მათი მონა-მორჩილი იქნებოდა). ეტყობა, თამარიც არ პატიობდა ამ ძალდატანებას დიდებულებს. იგი ახლოს არ იკარებდა გიორგი რუსს და, როგორც კი შემთხვევა მიეცა, განიყარა იგი, ვითარცა მტვერი, რომელიც აღმოეკრა. ზოგი მკვლევრის აზრით, არც რუსუდან დედოფალი უნდა ყოფილიყო გიორგი რუსთან თამარის ქორწინების მომხრე, მაგრამ დიდებულებმა ისე სასწრაფოდ გადაწყვიტეს ეს საქმე, რომ, როგორც ჩანს, მოწინააღმდეგეებს გონს მოსვლის საშუალება არ მისცეს. გულმოწყალე თამარს მაინც პატივით გაუსტუმრებია უღირსი ქმარყოფილი — საბერძნეთს.

არც მეორე ქორწინება სდომებია თამარს: მოწამე არს ჩუენდა ღმერთი, არასოდეს ყოფილა გული ჩემი მოწადინე ქმროსნობისა, არცა პირველ, არცა აწეო, განუცხადებია თამარს, მაგრამ, რაკიღა სახელმწიფოს ინტერესები მოითხოვდა ამას, დათანხმებულა. საყურადღებოა, რომ თამარის მამიდა რუსუდანმა თავისი ძმისწულის ქორწინებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა, რადგან თამარი, ვითარცა მშობელს, ისე ენდობოდა თურმე მამიდას.

თამარმა და დავით სოსლანმა დიდუბის ეკლესიაში იქორწინეს (რუსუდანის გაზრდილი ოსთა ბატონიშვილი როგორც დედის, ისე მამის მხრიდან — ბაგრატიონთა შთამომავალი იყო). ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში ეს ფაქტიც აისახა: „საქართველოს დედოფალმა დედა ქართლისა თამარიმ, დიდუბეში იქორწინა, სადაც რომ საყდარი არი... ქვრივ-ობლებს უწყალობა ოქრო, ვერცხლი დიდი ძალი“.

დავითმა ღირსეული მეუღლეობა გაუწია თამარს. საკმარისია ითქვას, რომ შამქორისა და ბასიანის ბრწყინვალე

გამარჯვებებში გადამწყვეტი როლი შეასრულა დავითის მხედართმთავრულმა ნიჭმა და პირადმა მამაცობამ. და, თუმცა ქართულ საისტორიო წყაროებში ხშირად თანაბარუფლებიან მეფეებად ჩანან თამარი და მისი მეუღლე, სინამდვილეში მხოლოდ თამარი იყო სამეფოს საჭეთმპყრობელი, დავითი რჩებოდა თამარის მეუღლედ და არა სახელმწიფოს გამგებლად. სახელმწიფოს მმართველი, მისი მეთაური იყო მეფეთამეფე თამარი. ასევეა ეს დადასტურებული უცხოურ წყაროებში. თამარ მეფის მეუღლის სახელსა და ვინაობას არც ერთი უცხოელი ისტორიკოსი არ მიუთითებს. საყურადღებოა ნუმიზმატიკური მონაცემებიც: 1200 წლით დათარიღებულ მონეტაზე ასომთავრულით დაქარაგმებულია თამარისა და დავითის სახელები, ხოლო მონეტის ზურგზე მოთავსებულია არაბული ზედწარწერა, რომელიც გვამცნობს: „დედოფალი დედოფალთა, შვენება ქვეყნისა და სარწმუნოებისა, თამარი ასული გიორგისა, მესიის თაყვანისმცემელი“ (საგულისხმოა ერთი დეტალი: თამარის წინაპრები მონეტაზე აწერდნენ: მესიის მახვილიო. თამარის მონეტაზე კი მახვილი შეცვლილია სიტყვით — თაყვანისმცემელი). ფრიად საყურადღებოა ლაშა-გიორგისა და რუსუდანის მონეტებიც. თავისი შთამომავლობის აღსანიშნავად ისინი ახსენებენ დედის (თამარის) სახელს: „მეფეთა-მეფე გიორგი, ძე თამარისა“, და „დედოფალი დედოფალთა რუსუდან, ასული თამარისა“.

...ყოველივე მშვენიერი, ლამაზი, ღირსეული ქართველი ერის წარმოსახვაში დაუკავშირდა მეფე თამარს. თამარქალი და ქვეყნის თვალი — განუყრელ სინონიმებად იქცა. ამასთან, თამარის სახე ქალღმერთის თვისებებს იძენს ხალხურ ზეპირსიტყვიერებაში. ერთმანეთს ეხლართება მითი და ისტორია. თამარი ღვთისშვილია, ციური ასულია. თამარმა დაატყვევა ზამთრის მომყვანი შუქურ-ვარსკვლავი, იგი შეკაზმული ჰყავს და ისე დაიარება და აშენებს. სხვა ვერსიით, წყეული გველი თუ ვეშაპი მოათვინიერა და იმას დააქროლებს (აქ უნებლიეთ მედეას სახე გვაგონდება — აკი, მედეაც დრაკონშებ-

მული ეტლით მოგზაურობს, გველეშაპს აძინებს და სხვ).

„ჰოი, სიხარულო, თამარ დედოფალო
ყველაზე ლამაზო, თამარ დედოფალო...“

გუგუნებდა თამარის საგალობელს მთა და ბარი, ზვიადი კავკასიონი და ზურმუხტისფერი ველ-მინდვრები, ტყეები და მდინარეები.

თამარის სტუმრობა საქართველოს ყოველი კუთხისთვის ზეიმი იყო, თამარის მოსვლა გაზაფხულის მობრძანებას ნიშნავდა; სადაც კი ფეხს დაადგამდა, იქ ვარდ-ყვავილი იშლებოდა, ბუნება დღესასწაულობდა, იშვებდა და იხარებდა ყოველი სულდგმული თუ უსულო საგანი...

„...მტერი დაგიმარცხებია, დავლით მოხვალ, თამარე, სვანეთს მოხვალ, დავლით მოხვალ, ძლევით მოხვალ, თამარე“...

ჩვენი ქვეყნის არც ერთი მეფე ისე პოპულარული და საყვარელი არ ყოფილა აჭარაში, როგორც თამარ მეფე... თამარი აქაური ქართველების მეხსიერებაში აღბეჭდილია, როგორც... განაპირა ადგილების მფარველი და გამმაგრებელი, მტრისთვის რისხვის დამცემი, ქვრივ-ობოლთა გამკითხავი, მიუკერძოებელი მოსამართლე, წმინდანი და უბიწო. ასევე იყო ლაზებში, ასევე მიაჩნდათ მესხეთში და საქართველოს ყოველ კუთხეში.

დედოფლის ხიდი, დედოფლის ქვა, დედოფლის წყარო — ასე ეძახიან აჭარაში დღესაც. მიუვალი ხირხათის ციხესიმაგრის აგებაც თამარს მიეწერება. ვრცელი ლეგენდა, ჩაწერილი თ. სახოკიას მიერ, ეხმაურება ისტორიულ ამბავს, რუქნ-ად-დინის წადილს თამარის ცოლად შერთვისა. თურქთა სამასწლოვანი ბატონობის მიუხედავად, ამ კუთხემ სათუთად დაიცვა მოგონებები ჩვენი ერის ისტორიის ბრწყინვალე ხანაზე, სიყვარულით შეინახა საქართველოს ძლევამოსილებისთვის მებრძოლი ეროვნული გმირების წმინდა სახეები.

„წუხელი ერთ ძველ კოშკთან ღამე ვათიეთ: სვანს ვეკითხები, რა კოშკია-მეთქი, თამარისაო.

დღეს საღამოს შინ დავბრუნდით. მასპინძლის შვილიშვილის შვილი დაგოგავდა ეზოში, პაწია გოგონა.

მივუალერსე.

სახელი რა გქვია-მეთქი?

თამარიო.

ყვავილი ვნახე ჭიუხში. სვანს ვკითხე, რა ქვია-მეთქი, თამარის თვალიო. საქართველოში ხომ ყოველ მესამე ქალს — თამარი ჰქვია“ — კ. გამსახურდიას „მთვარის მოტაცებიდან“ მოტანილ ამ ნაწყვეტში არეკლილია ის რეალური ვითარება, რაც თამარის სახელის გარშემო შეიქმნა ხალხში. მთის უნაზეს ყვავილს პირიმზეს არქმევდნენ მთიელნი — თამარის სიყვარულისა და უზომო თაყვანების გამო...

საყურადღებოა თამარის ისტორიის აღწერაში ერთი დეტალი: როცა თამართან დახმარების სათხოვნელად მივიდნენ ადარბადაგანის შარვან-შაჰი და ამირ-მირანი, ისინი ერთხმად აღნიშნავენ: „არა ნახულა კაცთა თუალთაგან, არცა წაგვიკითხავს ძუელთა წერილთა შინა, გინა ახალითა, სახე თამარისი და მსგავსი ქცევითა ყოფითა მისისა“.

უნებურად აგონდება ადამიანს ანალოგი, როცა ბიზანტიის დედოფლის, დავით აღმაშენებლის მამიდის, მარიამის სიტურფეს და ქცევის ზნეკეთილობას უზომო ხოტბას ასხამენ მისი თანამედროვე ისტორიკოსები თუ მწერლები.

და მაინც, თამარის ღვთაებრივ სილამაზეს თითქოს უჩინარი სევდის იერი დაჰკრავს, თითქოს რაღაც მელანქოლიური ტონი შემოგვესმის ამ უზადო სილამაზის ქებათა ქებაში. თამარის ღიმილიც თითქოს ამ უჩუმარ სევდას დაუფერავს. ერთგან დიუმა შენიშნავს, საქართველო სულჩადგმული და ქალად ქცეული გალათეა არისო. ხოლო ჭავჭავაძიანთ რძლის გამო ამბობს, მის პროფილს ღრმა სევდის იერი გადაჰკრავს, თუმცა ბედნიერი ცოლი და მრავალი შვილის დედაო: „იმიტომ ხომ არ არის ის სევდიანი, რომ ბუნებამ ისურვა მეტისმეტად დიდი სილამაზით დაეჯილდოებინა, როგორც

ზოგიერთ ყვავილს აჯილდოებს ხოლმე“.

თამარის მელანქოლიურ იერს, მის სევდას კი უფრო ღრმა ფესვები შეიძლებოდა ჰქონოდა. მისი ღვთისმოსავი, სათნო ბუნება არ შეიძლებოდა არ შეეძრწუნებინა იმ ტრაგედიას, რაც სასახლეში დატრიალდა დემნა ბატონიშვილთან დაკავშირებით. ბუნებამ თითქოს საგანგებოდ დააჯილდოვა თამარი ხორცისმიერი და სულისმიერი სრულყოფილებით, რათა წაეშალა სისასტიკის ის სისხლიანი კვალი, მამამისმა გიორგი III-მ რომ დატოვა თანამედროვეთა ხსოვნაში.

...ამდენმა შრომამ, ღვაწლმა, საფიქრალმა, ამდენმა ცრემლთა დენამ, ლიტანიობამ, მარხვამ, ღამისთევებმა გატეხა თამარის ჯანმრთელობა — თამარი ხომ ქალი იყო, ნაზი, ფაქიზი აგებულების: „...დედობრივმან უძლურებამან განგრძობილთა შინა მხედრობათა არა თავს იდვა შეუმთხვეველად მიშუება აგებულებისა“.

დიდხანს მალავდა თურმე თამარი თავის ავადმყოფობას, ახლობლები რომ არ შეეწუხებინა, მაგრამ ჭირმა თავი არ დამალა. რა არ იღონეს, რა არ ქნეს, მაგრამ ამაოდ. ვერაფერმა უშველა თამარს. დღითი დღე ილეოდა, ჭკნებოდა.

სრულიად საქართველო ევედრებოდა უფალს მის გადარჩენას. „რათა მარტო ესე დარჩეს და ჩუენ ყოველნი მოგუსრნენ“...

სიკვდილის წინ დიდმა მეფემ, უწინარეს ყოვლისა, თავისი ქვეყანა და ერი შეავედრა ჯვარს ცხოველმყოფელს: „ქრისტე, ღმერთო ჩემო მხოლოო, დაუსრულებელო მეუფეო ცათა და ქუეყანისაო! შენ შეგვედრებ სამეფოსა ამას, რომელი შენ მიერ მერწმუნა, და ერსა ამას, პატიოსნითა სისხლითა შენითა მოსყიდულსა, და შვილთა ამათ ჩემთა, რომელნი შენ მომცენ, და მერმე სულსა ჩემსა“.

მწუხარება იყო საყოველთაო. ზოგადი. სრულიად საქართველოს ყოველი კუთხე, რომელსაც ის წლების განმავლობაში მოივლიდა ხოლმე, ძაძით შემოსილი მუხლს იყრიდა თავისი სათაყვანებელი მზე-ქალის კუბოსთან: „ესრეთ გუანდა, დაღაცათუ ჩუენ თანა იგლოვს ცა და ყოველი სოფელი“.

თამარი გარდაიცვალა 1213 წლის 18 იანვარს.

ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა ეს, აკაკის თქმით, „მეფეთა შორის საკვირველება“ და მისი ხსოვნის დღედ დააწესა პირველი მაისი, ანუ, როგორც ძველად უწოდებდნენ, ვარდობისთვის პირველი დღე. ქართველმა ერმა მრავალი ლეგენდა შექმნა თამარის საფლავის გარშემო — თითქოს არ ემეტებოდა მიწისთვის თავისი ღვთაებრივი ასული.

დიდი ივანე ჯავახიშვილი, როცა აჯამებს თამარის მოღვაწეობას, აღნიშნავს: ქართველი ერისთვის მაშინაც და შემდეგაც დიდი თამარის სახელი იმიტომ იყო სათაყვანებელი, რომ: „ზესთაბუნებრივის ძალით მასში გაერთიანებული იყო ქალის მომხიბლავი მშვენიერება და ვაჟკაცური მამაცობა, სახელმწიფო მოღვაწის სიბრძნე და უმანკო, ყოვლად მოწყალე, განურისხებელი გული. მარტო ის რად ღირდა, რომ საქართველოს უუმწვერვალესი სამხედრო ძლიერების დროს ისტორიამ ნაზსა და სათუთ არსებას, უმშვენიერეს ქალს არგუნა მეფობა, რომელმაც საქართველოში დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა ამოჰკვეთა და დამასახიჩრებელი სასჯელი მოსპო! ამის შემდეგ ან რა გასაოცარია, თუ რომ საქართველოში „სახლთა ზედა აკროსტიხურად თამარის შესხმათა დასწერდეს“ და „ყრმანი... თამარის ქებათა მელექსეობდიან“... თუ რომ რუსეთის მეფეს იოანე მრისხანესაც კიდევ ახსოვდა თამარის დიდებული მოღვაწეობა და ბრძოლის ველზე მისი მაგალითით ამხნევებდა თავის ჯარს. განა გასაკვირველია, რომ დიდებული მეფის სახელი იმდროინდელ ფრანგ და ბერძენ მეზღვაურებს შეექოთ და ერაყის მომღერლებს ედიდებინათ“.

ახლა მოვუსმინოთ უცხოელ ისტორიკოსებს, რას სწერენ ისინი თამარზე, როგორ აფასებენ მის მოღვაწეობას.

ინგლისელი მეცნიერი უილიამ ალენი: „თამარი იყო მატრიარქი, ბრძენი და პურიტანი მმართველი, ფრთხილი და გონიერი დიპლომატი, ურყევი მებრძოლი, ღვთისმოსავი,

გულმოწყალე და შემწყნარებელი ხელმწიფე“.

ფრანგი ორიენტალისტი მარიუს კანარი: „თამარის პოლიტიკის წარმატებამ აქცია იგი ყველაზე პოპულარულ ფიგურად ქართველების ისტორიასა და ლეგენდებში. მისი სილამაზე აღაფრთოვანებდა ქვეშევრდომებს და უბიძგებდა საგმირო საქმეებზე, უნათებდა გამარჯვებათა გზას მის მხედართმთავრებს“.

დანიელი მწერალი შერფიგი: „ამ დიდებული მანდილოსნის დროს ქართულმა რენესანსმა მიაღწია თავის აყვავებას ორი საუკუნით ადრე, ვიდრე ეს იტალიაში მოხდებოდა“ და ა.შ. და ა.შ.

და ბოლოს, მარტო „ვეფხისტყაოსანს“ რომ მოეღწია ჩვენამდე და არაფერი გვცოდნოდა თამარზე, მაინც მარად უკვდავი იქნებოდა მისი ხატება, რადგან თამარის სწორუპოვარმა სახემ შთააგონა გენიოსი პოეტი, მეფე-თამარის უბადლო მშვენებამ აღანთო მგოსნის გულში ლამპრად მარადიული გრძნობა, რამაც საბაბი მისცა მის მშობელ ერს, შეეთხზა მშვენიერი ლეგენდები ამ ჭეშმარიტად ღვთაებრივ სიყვარულზე.

„ვეფხისტყაოსნის“ გმირი ქალები, შთაგონებულნი თამარის მზიური ხატებით, იქცნენ ქართველი ასულების მიბაძვის საგნად. ასე რომ, აკაკის თქმით, ტყუილად როდი სჩიოდა ძველად სამღვდელოება, „ვეფხისტყაოსანი“ სახარებაზე უფრო გაუტკბა ქვეყანასაო.

„ვეფხისტყაოსანში“ დახატული დაძმობილების სურათები ქართული ხასიათის, მისი ბუნების გამოვლენა გახლავთ, ხოლო ტარიელისა და ასმათის უანგარო, უებრო მეგობრობის ბადალი არ დაიძებნება მსოფლიო ლიტერატურაში.

საუკუნეებს გადაწვდა რუსთაველის ამაყი აფორიზმი, შთაგონებული თამარის შეუდარებელი პიროვნებით: „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“.

ზოგი მკვლევრის აზრით, ეს სიტყვები ეხება მარტოოდენ სამეფო გვარის წარმომადგენლებს! მაგრამ ამ მოსაზრების ავტორებს ავიწყდებათ ქართველი ერის შეხედულება

დედათა სქესის მიმართ, რომელიც ჯერ კიდევ წარმართობის ხანაში იღებს სათავეს და გაცხადებულია მის მითოლოგიაში, ზეპირსიტყვიერებასა თუ თავად ერის ზნე-ჩვეულებაში, მის ცეკვებსა და სიმღერებში. რუსთაველის ეს აფორიზმიც მისი მშობელი ერის კრედო გახლავთ, მისი გულისგულში ნასათუთები მრწამსი. თამარის სახელმწიფოებრივი თუ პოლიტიკური მოღვაწეობის შეფასებისას შესაძლოა, სხვადასხვანაირი თვალსაზრისიც არსებობდეს, სხვადასხვანაირი იყოს მიდგომაც და სხვ. მაგრამ ერთი რამ უცილობელია: თავად თამარის პიროვნება, მისი პირადი ცხოვრება და ხასიათი თანამედროვეთათვის იყო უბადლო ნიმუში იმისა თუ როგორ უნდა გიყვარდეს მოყვასი — საკუთარი თავივით! და სავსებით ბუნებრივია და კანონზომიერი ის ამბავი, რომ მოყვასის სიყვარულით თავიდან ბოლომდე გაჟღენთილი, უღრმესი ქრისტიანიზმით აღბეჭდილი დიადი ქმნილება ქართული კულტურისა — სწორედ თამარის ეპოქაში შეიქმნა და თამარსვე მიეძღვნა.

ზოგი უცხოელი მკვლევრის დაკვირვებით, „ვეფხისტყაოსანში“ განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს მზის სიმბოლო, რომლის გაგება ქართული კულტურაში, როგორც ცნობილია, მდედრობითი სქესისაა და რის კვალიც შემონახულა ქალთა სახელებშიც. ქართულ ლეგენდებს მზეზე მივყავართ მისი კულტის აღიარებით მითრაიზმთან და მათივე გადმონაშთთან ხალხურ ლირიკაში, სადაც ის ქალის სილამაზის სიმბოლოს წარმოადგენს. რუსთაველი სიტყვა „მზეს“ ხშირად იყენებს, როგორც პოეტურ მეტაფორას, სილამაზის სიმბოლოს და არაიშვიათად სიქველის აღსანიშნავად, პოემის გმირები კი მას ფიცისას მიმართავენ... მზე მონაწილეობს პოემის გმირთა სიხარულსა და სევდაში... მზისადმი მიმართულ ლოცვაში ავთანდილს თავისი სატრფო — თინათინი ესახება ისევე, როგორც მთელი პოემა მზე-თამარის პიროვნებით არის შთაგონებული და მისი სილამაზით გასხივოსნებული.

...გავლენ საუკუნენი, სისხლითა და ცრემლებით დაღდა-

სმულნი. მოგონებაღა დარჩება „ოქროს ხანაზე“, იმ დროზე, როცა ერმა ღვთის სწორად მიიჩნია მეფე თამარი და წმინდანად შერაცხა იგი, როცა სწამდა და სჯეროდა, რომ „თამარ დედოფლის გვირგვინი ქართველთ სამეფო გვარია“.

მე-19 საუკუნეში რომანტიკოსი პოეტის გრიგოლ ორბელიანის გულში თამარის ფრესკის ხილვა ბეთანიის ტაძარში უკვე უმძაფრეს ტკივილსა და სევდას აღძრავს:

„მიხარის — გიმზერ,
ვჰწუხვარ — და გიმზერ,
და ესრეთ მზერა მსურს სიკვდილამდე,
არ გამოვფხიზლდე,
რომ აღარ ვჰგრძნობდე
ჩემი სამშობლოს სულით დაცემას“...

და მცირედი იმედის ნაპერწკალი, ჯერაც სულის სიღრმეში მოჭიატე, იქნებ:

„შენი ივერი აღდგეს ძლიერი
და დადგეს ერად სხვა ერთა შორის!“

იმავე მე-19 საუკუნეში დიდი პოეტი აღავლენს მხურვალე ღაღადისს თავისი დიდებული წინაპრის მიმართ:

„გულში გვინთიხარ ლამპრადა,
ნათობს და არა ქრებაო,
შენს და შოთაის მარჯვენას,
ვემთხვიე ზედი-ზედაო.
მოწყალედ გვექმენ ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო.
საუნჯევ სათნოებისა,
ჩემიც მიიღე ქებაო“.

***

„...ღვთისმშობლის საუფლისწულოში“ ღვთიური სილამაზითა და გონებით შემკული მეფე-ქალი — ხმალშემართული მებრძოლი და, ამასთან, სასოებით მლოცველი და მმვედრებელი ერისა და ქვეყნისთვის, და ქალწული, თავისივე თმით შეკრული ვაზის ჯვრით ხელში — ეს ორი ხატება შეერწყა და შეენივთა ერთმანეთს, ჩამოიქნა და ჩამოიძერწა ერთ მთლიან სურათ-ხატად და ღრმად აღიბეჭდა ერის სულის უშინაგანეს, უხილავ შრეებში.

1986 წ.

„ქეთევან დიდი სახელით“...

„ქვეყნად იდიდა ღვაწლითა,
ზეცად აღვიდა ქებითა.“

დიმ. ბაგრატიონი

...იწურებოდა მე-16 საუკუნე: მძაფრი ტკივილებითა და ჭრილობებით აღსავსე. კარგა ხანია, აღარ არსებობდა დავითისა და თამარის დროინდელი ერთიანი, ვრცელი, ძლიერი საქართველო — ნიკოფსიით დარუბანდამდის. მე-13 საუკუნიდან დაიწყო მისთვის დაღმართი, ანუ დადგა დიდი ღამე. მონღოლთა ასწლიანმა ბატონობამ და თემურ ლენგის რვაგზის შემოსევამ გაანადგურა იგი პოლიტიკურად, ეკონომიკურად და კულტურულად. თემურ ლენგისგან მიყენებული ზიანი იმდენად დიდი იყო, რომ აოხრებული ქვეყნის აღდგენა და დასახლება შეუძლებელი შეიქმნა; ქვეყნის ნანგრევებზე აღზევდა ახალი წოდება თავადობისა. პატრონყმობა შეიცვალა ბატონყმური ურთიერთობით.

დაუძლურებულ ქვეყანაში სეპარატიზმის ალამი პირველმა სამცხე-საათაბაგომ აღმართა. მას მალე მიბაძა დასავლეთ საქართველომ. და აი, მე-15 საუკუნეში დასრულდა მისი დაყოფა-დაქუცმაცება „პატარა საქართველოებად“ — ერთმანეთზე მისეულ, ერთმანეთის მოქიშპე სამეფოებად და სამთავროებად.

სამცხე-საათაბაგოს აშკარად ყულფში ჰქონდა თავი გაყოფილი და მაინც განკერძოებას ირჩევდა: ოღონდაც ქართლის სამეფოს ქვეშევრდომი ნუ იქნებოდა, ოღონდაც ქართველი დიდებული ქართველ მეფეს ნუ დაემორჩილებოდა და ყოფილიყო თუნდაც ოსმალთა ანდა ირანელთა მონამოხარკე. ასევე განზე გამდგარ დასავლეთ საქართველოში ერთმანეთს „ანგარიშს უსწორებდნენ“ და პირველობისთვის გააფთრებით ებრძოდნენ ურთიერთს დადიან-გურიელ-შარვაშიძეები და იმერეთის მეფეები.

„პატარა საქართველოებად“ დაყოფილ ქვეყანაში ყველა პირველობას იჩემებდა, რადგან, ვახუშტი ბაგრატიონის თქმით, ყველანი იყვნენ მეტისმეტად „ამაყნი, ლაღნი, სახელის მაძიებელნი ესრეთ, რამეთუ თვისთა სახელთათვის არა ჰრიდებენ ქვეყანასა და მეფესა თვისსა“. „სახელის ეს მაძიებელნი“ არც ერთმანეთს ასვენებდნენ და არც ქვეყანას, „ხოლო ამით მტერმა უფრო ძალა წამოატანა და დაჩაგრა, თორემ თუ ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ. ვერც არას სხვა მტერი წაართმევდა რასმე. ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს არც მოკლებიან და არც მოუშლიათ“, — ჩივის საქართველოს ჭირით გულდაკოდილი უცნობი მემატიანე-მამულიშვილი.

ისლამურ გარემოცვაში მოქცეული საქართველო მუდმივი ბრძოლის ასპარეზად იქცა.

თათარ-მონღოლები, თათარ-თურქმენები, თურქ-ოსმალები, ყიზილბაშები იბრძოდნენ ადგილობრივი მაღალ-ფეოდალური კულტურის მოშლისა და მის ადგილზე აღმოსავლური ბარბაროსულ-ფეოდალური ურთიერთობის დამყარებისთვის... მათ მაჰმადიანობა თავის ალმად აღიარეს და „გიაურთა“ (ქრისტიან მიწისმფლობელთა) წინააღმდეგ ბრძოლა „საღვთო საქმედ“ გამოაცხადეს.

მაგრამ საქართველო ფარ-ხმალს არ ყრიდა. ამ უთანასწორო ბრძოლის ავანგარდში ქართლი იდგა. იგი თავგანწირვით ებრძოდა ოსმალებსა და ირანელებს და არც ერთის ბატონობას არ ცნობდა. შეუპოვრად ებრძოდა მტრებს გმირი მეფის ლუარსაბ I-ის მემკვიდრე სიმონიც. იგი ჯერაც თავს იმერ-ამერის მეფედ მიიჩნევდა და ერთიანი საქართველოსთვის თავგამოდებით იქნევდა ხმალს.

ამ დროისთვის კახეთი განზე გასდგომოდა ქართლის გმირულ ბრძოლას და არამცთუ გასდგომოდა, უზავდებოდა იმას, ვისაც ქართლი ებრძოდა. ამასაც არ სჯერდებო-

და: კახეთის მეფე ალექსანდრე II ჟამიდან ჟამზე შეესეოდა ხოლმე ქართლს: „...შეუტყობრად მიუხდა სპითა თავისითა დაღვამს მდგომს სვიმონ მეფესა... მაშინ სვიმონ ივლტოდა უსპოობისა თვის გამო და ალექსანდრემან იავარჰყო დედუფალი, დაი თვისი... იკადრა უკადრი, არა ჯერ საყოფელი ვითარცა ავაზაკმან“.

...მე-17 საუკუნის გერმანელი მწერალი და მოგზაური ებერჰარდ ვერნერ ჰაპელი ერთგან წერს: „ბუნებით ქართველები არიან ლაღი ადამიანები, დიდი წარმოსადეგი აგებულების, სამეგობრონი და საყვარელნი უცხო ერებისათვის, მტრებისთვის ქართველები არიან მრისხანენი და შიშის ზარის დამცემნი. მათი ცოლები და ქალიშვილები გამოირჩევიან არანაკლებ სიმამაცით, ვიდრე სხვა ამაზონი ქალები, რომლებიც გადიან სალაშქროდ და საკუთარ ღირსებას აჩვენებენ მტერს. იერუსალიმში წმ. საფლავის მონახულებისას ქართველთ შეუძლიათ მთელ ქალაქში გაიარონ გაშლილი დროშებით ისე, რომ საამისოდ არ გადაიხადონ თვით უმცირესი ხარკიც, რისი უფლებაც სხვა ქრისტიანთაგან არავის გააჩნია... არაა არც ერთი ადამიანი ქართველივით სრულყოფილი.“

ეს სიტყვები იწერებოდა მაშინ, როდესაც ქართველი კაცის მონოლითურ, მთლიან ხასიათს, რასაც მან მიაღწია ქვეყნის აყვავებისა და გაფურჩქვნის ხანაში, უკვე გასჩენოდა დიდი ბზარი.

გაუთავებელმა სისხლისღვრამ და ხმლის ხან იქით და ხან აქეთ ქნევამ თავისი ნაყოფი გამოიღო: ოდესღაც ძლევამოსილი, მდიდარი, ლაღი, დამოუკიდებელი ქვეყნის მოგონებაღა შერჩენოდათ „პატარა საქართველოებს“. შესაბამისად, ქართველი კაცის ხასიათში იმძლავრა ქვენა რიგის თვისებებმა: სიხარბემ, შიშმა, იმატა შურმა, ღალატმა, სისუსტემ, უზნეობამ, იკლო ერთსულოვნებამ. თანდათან მოირყა ერის გარკვეული ნაწილის ფსიქიკა, გადაგვარების სენი დაეტყო

ყოველ წოდებას, განსაკუთრებით კი თავადაზნაურობას — ქვეყნის მესვეურებს.

„მაჰმადიანური მორალი“ ნელ-ნელა იკიდებდა ფეხს ქართველი საზოგადოების მაღალ ფენებში. მრავლდებოდნენ დაუთ-ხანები და ისა-ხანები.

...კახთა სამეფო ამაოდ იწვდიდა ხელს დახმარებისთვის ჩრდილოეთის მეზობლისკენ. იყო შეპირებები, „წყალობის წიგნები“, ელჩობები, ხელშეკრულებები, მაგრამ „დიდ ხელმწიფეს“ იმხანად საქართველოსთვის არ ეცალა. ესეც არ იყოს, დასუსტებული და დაუძლურებელი ქვეყანა სამომავლოდ უფრო „ადვილად მოსავლელი“ ჩანდა.

დასავლეთ ევროპასთან რუსეთის მეშვეობით დიპლომატიური კავშირის ცდაც ამაო გამოდგა. მეფის რუსეთი ყველანაირად უშლიდა ხელს ამ განზრახვას. ამის მიუხედავად, ალექსანდრე II მაინც არ იშლიდა რუსთა ხელმწიფესთან ურთიერთობას და ერთგულების ფიცს სდებდა მასთან. ი. ჯავახიშვილის აზრით:

„სიტყვიერად და დაპირებით რუსეთის მთავრობა და მისი დესპანები ყოველგვარ დახმარებას და მფარველობას ჰპირდებოდნენ კახთა მეფეს, საქმით კი სრულებით არა კეთდებოდა რა“; და შემდეგ: „რუსეთთან კავშირის დაჭერამ კახთა მეფე ალექსანდრე უკიდურეს განსაცდელში ჩააგდო იმიტომ, რომ ყველა არაქრისტიანი მეზობლები ამის გამო აამხედრა და მოსკოვის სიძულვილმა ჩრდილო კავკასიის მთიულნი გააერთიანა“.

მე-16 საუკუნის ბოლოსთვის კახთა მეფე ალექსანდრე II თავისი „დიპლომატიური ნიჭის წყალობით“ ერთდროულად სამი სახელმწიფოს ქვეშევრდომობას „ახერხებს“! აქაც ერთი პრინციპი ამოქმედებს მეფეს: ოღონდ კახეთი როგორმე გადარჩეს (ალექსანდრე მეფისთვის სამშობლო და საქართველო უმთავრესად კახეთი იყო, საქართველოს გაერთიანება კი არსებულ სამეფოებსა და სამთავროებს შორის ფეოდა-

ლური კავშირი). მაგრამ ეს გადარჩენა რომ დროებითია და რომ სამი სახელმწიფოს ქვეშევრდომობა არც ერთ მათგანს არ მოეწონება, ამას, ეტყობა, ვერ ითვალისწინებდა. სამივე „პატრონი“ თავისას მოითხოვდა. ეს დახლართული გორდიასის კვანძი არ შეიძლებოდა ერთ მშვენიერ თუ უბედურ დღეს — არ გაჭრილიყო და შემდგომში ასეც მოხდა.

***

1587 წელი. ქართლის ერთ-ერთი უბრწყინვალესი დიდებულის — აშოთან მუხრან-ბატონის ასული — 12 წლის ქეთევანი კახეთის მეფის ალექსანდრე II-ის უფროსი ვაჟის, დავითის მეუღლე ხდება. ეს ქორწინება, უწინარეს ყოვლისა, პოლიტიკური აქტია, ნათესაობის ნიადაგზე ქართლისა და კახეთის დაახლოების ცდა.

ორ სამეფოს შორის დაძაბული ვითარების ჟამს აშოთან მუხრან-ბატონმა იკისრა გადამტერებული სამეფოების შერიგება. ქვეყნის მოჭირნახულე მუხრან-ბატონებს — ბაგრატიონთა უმცროსი შტოის წარმომადგენლებს — სჯეროდათ, რომ ოთხი საუკუნის განმავლობაში განუწყვეტელი ხმლის ქნევისგან იავარქმნილი, სისხლისგან დაცლილი საქართველო ისევ აღსდგებოდა და კვლავაც დაიქუხებდა ქართველი კაცის სახელი და დიდება.

პატარა გოგონა, კახეთის მომავალი დედოფალიც, ამ სულისკვეთებით იყო აღზრდილი, რამეთუ მუხრან-ბატონთა სასახლეში განსაკუთრებული მზრუნველობითა და რუდუნებით სწორედ ყრმათ ზრდიდნენ, ზრდიდნენ პოლიტიკურ მოღვაწეებად, განსწავლულ, ზნემაღალ პიროვნებებად; ქრისტიანულ სათნოებასა და სიყვარულს, მამულიშვილურ გრძნობებს უნერგავდნენ ბავშვობიდანვე.

...მეფე-პატარძალს ზეიმით ეგებებოდა კახეთი.

ქართლის აოხრებული, გაპარტახებული დაბა-სოფლების

ფონზე კახეთი მსუყე, მაძღარი ჩანდა.

კახთა ბატონების სასახლეში, გრემშიც გარეგნულად სისავსე და კმაყოფილება სუფევდა, მაგრამ გონიერი ქეთევანისთვის თანდათან ნათელი შეიქმნა, რომ ამ მოჩვენებითი, გარეგნული სიმშვიდისა და სისავსის მიღმა იმალებოდა ღრმა წყლულები. „არა პურითა ხოლო ცხოვნდების კაცი, არამედ ყოვლითა სიტყვითა ღმერთისაითა“. სწორედ ღმრთის სიტყვას ნაკლებად მისდევდნენ სასახლეში. მოყვასის სიყვარულის მხოლოდ გარეგან სამოსს ატარებდნენ, ხოლო მისი შინაგანი არსი მიევიწყებინათ.

...ერთ სულ და ერთ ხორც უნდა ყოფილიყვნენ ქეთევან და დავითი. ნიჭიერი, განათლებული ახალგაზრდა იყო დავითი, ჩინებულად იცოდა ენები, განსაკუთრებით სპარსული, აკი შეუდგა კიდეც „ქილილა და დამანას“ თარგმნას. როგორც თითქმის ყველა ბაგრატიონს, მასაც არ ასვენებდა მუზა, მაგრამ ხედავდა მისი ღვთისნიერი მეუღლე, ქრისტიანული სათნოება და მოყვასის სიყვარული რომ არ უთბობდა გულს დავითს. პირველობის ჭია ღრღნიდათ ძმებს — დავითს და გიორგის. მამისგან განებივრებული გიორგი არ ეპუებოდა უფროს ძმას, მით უმეტეს, რომ დიდებულთა უმრავლესობას არ უყვარდა დავითი: „ესე დავით იყო ამაყი, ლაღი, მრისხანე და სძულობენ კახნი“. და, როგორც არაერთხელ მომხდარა სასახლეში, ძმებს შორის მტრობას კიდევ უფრო აღვივებდნენ და ცეცხლს უკიდებდნენ დიდებულ თავადთა დაჯგუფებანი.

გიორგი იძულებული გახდა ქართლში გაქცეულიყო. მაგრამ იქაც მისწვდა დავითი, დაატყვევა და საპყრობილეში ჩასვა. მოხუცი მამა ალავერდში იმყოფებოდა. რაკიღა კვლავ წასცდა ფეხი ბოროტების გზაზე, დავითი აღარ შეჩერებულა. იგი სასტიკად უსწორდებოდა მამისა და ძმის მომხრეებს. ერთმა დიდებულმა ღვთისმშობლის ეკლესიას შეაფარა თავი იმ იმედით, აქ ხელს ვერ მახლებენო, მაგრამ დავითს

უკვე აღარც ღმერთის შიში ჰქონდა და აღარც ხალხს უწევდა ანგარიშს: სწორედ ეკლესიაში დააქცია მან თანამოძმის სისხლი.

ამ შემაძრწუნებელმა მკვლელობამ მთელი კახეთი შეძრა, ხოლო შემონაზვნებულმა ალექსანდრემ საშინლად დაწყევლა ურჩი, ბოროტი შვილი; მალე უწია მამის წყევლამ დავითს. ექვსი თვეც არ უმეფია და გარდაიცვალა უეცარი სენით შეპყრობილი: „არამედ ჰყო ბოროტი ესე დიდი და შეიმოკლა დღენი, რამეთუ მიუღო მამასა თვისსა მეფობა და პატიმარ-ჰყო მამა თვისი და მართავდა კახეთს, დამპყრობელი მისი“.

თითქოს განგების ძალით, დავითის ძარღვებში ახმიანდა მამის პაპის, გიორგის სისხლი, რომელმაც საკუთარ ძმას თვალები დასთხარა, ხოლო მამა მოკლა და კახეთის სამეფო ტახტს დაეუფლა. ამგვარი ბოროტი საქციელისთვის თანამედროვეებმა მას ავგიორგი შეარქვეს. სხვათა შორის, არც ავგიორგის შერჩენია ავკაცობა.

ალექსანდრემ ტახტი დაიბრუნა.

არც ერთ მატიანეში არ არის აღნიშნული, რას განიცდიდა ქეთევან დედოფალი ამ დროს, მაგრამ, ცხადია, აშოთან მუხრან-ბატონის ასული, „მამათა ცხოვრებასა და საღმრთო წერილებზე აღზრდილი“, გონიერი და კეთილშობილი ქალი ვერ იქნებოდა თავისი მეუღლის თანამზრახველი, ვერ იქნებოდა ერთ სულ მასთან, მაგრამ შესთხოვდა უფალს, მიეტევებინა მისი გულბოროტი მეუღლისთვის შეცოდებანი მისნი.

„ნეტარი დედოფალი, — წერს ქეთევანის მეტაფრასულ ცხოვრებაში გრიგოლ ხუცეს-მონაზონი, — ვითარცა იყო წესი გლოვისაი, აღასრულებდა და კეთილად მიითუალვიდა ქურივობასა მისსა წესისა მისებრ“.

დედოფლის პირმშო, 15 წლის თეიმურაზი, „უსრულო ჰასაკითა, ყოვლად შვენიერი და მსგავსი ანგელოზისა... მოსტაცა პაპამან თვისმან ხელთაგან მისთა... და ძღვნად წარუგზავნა მეფესა სპარსთასა... რათა დარჩეს კახეთი გიორგის“, —

აღნიშნავს გრიგოლ ხუცეს-მონაზონი. არავინ უწყოდა, რას მოიმოქმედებდა შაჰი, როგორ დატრიალდებოდა ყმაწვილის ბედი (ალექსანდრეს ერთ-ერთი ვაჟი, 12 წლიდან მძევლად წაყვანილი შაჰის მიერ, უკვე კარგა ხანია იმყოფებოდა ირანის სამეფო კარზე).

უფლისადმი ლოცვა და ვედრებაღა დარჩენოდა ახალგაზრდა, უმშვენიერეს ქვრივ დედოფალს და „ესე სიქადული ერისა“ დაუცადებლად ლოცულობდა, მარხულობდა, იქმოდა კეთილთა საქმეთა, შემოიკრიბა თავის გარშემო განსწავლული ადამიანები, ამკობდა ეკლესიებს, შეეწეოდა ქვრივთა და ობოლთა.

ალექსანდრე II-ზე განრისხებული შაჰ-აბასი ყოველნაირად ცდილობდა, სამაგიერო მიეზღო მისთვის ორჭოფობისა და რუსეთთან კავშირის გამო. შაჰ-აბასის ვერაგულ განზრახვას ხორცი შეასხა კონსტანტინე ბატონიშვილმა, მან მამა და ძმა — გიორგი ბატონიშვილი — დახოცა, შემდეგ მამისა და ძმის გვამები „აჰკიდა აქლემსა და გაგზავნა ალავერდსა, და აღასრულეს მცირე რამ წესი დაფლვისა“. თავად ტახტს, საგანძურებსა და სასახლეს დაეპატრონა.

ქართველის ხელით ქართველის მოსპობა ნაცადი ხერხი იყო იმთავითვე ყოველი დამპყრობელისთვის. ამჯერადაც „ტრადიციულმა“ ვერაგობამ გაუმართლა შაჰ-აბასს. გამოცდილებით იცოდა, გათათრებული ქართველი თათარზე უფრო ერთგული და თავგამოდებული დამცველი იყო ირანის ინტერესებისა.

კონსტანტინე მირზამ, „პირველი წარმატებებით“ გალაღებულმა, როგორც ქართველი მემატიანე აღნუსხავს: „კუალად შესძინა უკეთურობა უკეთურობასა ზედა: და მაშინ მიუგზავნა რძალსა თვისსა ქეთევანს კაცი, რომელ იყო ცოლი დავითისა და დედა თეიმურაზისა და შეუთვალა, ვითარმედ შეგირთავ ცოლად და შენც მორჩილ მექმენ, რამეთუ ესრეთ არს წესი და ჩვეულება სჯულად მაჰმადისა“-ო.

არადა, სწორედ „ეს წესი და ჩვეულება მაჰმადის სჯულისა“ მიაჩნდათ ქართველებს საძრახისად, უსჯულოებად.

ამ მძიმე ვითარებაში, როცა კახეთი ბედის ანაბრად იყო მიტოვებული, როცა მას „გაყიზილბაშების“ საფრთხე დაემუქრა აშკარად, მთელი სისრულით გამოჩნდა მაშინ ქეთევან დედოფლის პიროვნული ღირსება.

გარემოებათა გამო, აშოთან მუხრან-ბატონის ასული აქამდე ჩრდილში იდგა: ჯერ მეუღლის სიცოცხლეში — პატივმოყვარე და ბოროტი ქმრის გამო, და შემდეგ მამამთილისა და მაზლის მეოხებით, რომელთაც წინ ვერ აღუდგებოდა გონიერი და სათნო ქალი: იგი, ვითარცა შეეძლო, ისე იღვწოდა.

და აი, დადგა ჟამი: ქეთევან დედოფალს თავად უნდა გამოეჩინა თაოსნობა, თავად უნდა ემოქმედა სწრაფად, გონივრულად.

დედოფალმა საჩქაროდ მოიწვია კახეთის რჩეული დიდებულები და შეევედრა შეწევნას.

კახელები ისედაც აღშფოთებული იყვნენ მამისა და ძმის მკვლელის საქციელით, მაგრამ კონსტანტინეს წინააღმდეგ აშკარად გამოსვლა ნიშნავდა შაჰ-აბასის გამოწვევას. კახელები იძულებული იყვნენ, დროებით შერიგებოდნენ გათათრებულ ქართველს.

გამარჯვებული და გალაღებული კონსტანტინეს ლაშქარი კი, რომელშიც კახელებიც ერივნენ, შემახას შემოერტყა. ღამით კახელი შეთქმულნი კონსტანტინეს მიუხტნენ კარავში, მაგრამ მან გაასწრო შურისმაძიებლებს, კარვის უკანა კალთა ხმლით ჩაჭრა და გაიქცა.

ამასობაში კახელი წარჩინებულნი შაჰს ეახლნენ და მოახსენეს ხალხის გადაწყვეტილება, მამისა და ძმის მკვლელს ვერ ვამეფებთ კახეთში, თეიმურაზი გამოგვიგზავნეო.

შაჰმა კახელების მოსაჩვენებლად კონსტანტინეს საქციელი დაგმო (თითქოს თვითონ არ ერია ამ საქმეში), „წყალობის წიგნი“ შეადგენინა და ელჩები კახეთისკენ გამოისტუმრა. თავად ოსმალთა წინააღმდეგ ამხედრდა ისევ

გათათრებული ქართველის — ალავერდ-ხან უნდილაძის მეშვეობით ცდილობდა, დაემარცხებინა ოსმალები.

შემახასთან წაგებული ომით შერცხვენილი კონსტანტინე კი ფარ-ხმალს არ ყრიდა. კვლავ შეყარა ლაშქარი და კახეთისკენ გამოეშურა: „თვითონ დედოფალსა ამას ექადოდა, უკეთუ ნელად იპყრას, მრავალსა სატანჯველსა და ცეცხლსა მიცემასა ამისსა განიზრახვიდა“.

კახელობა ფეხზე დადგა. ყველა ერთსულოვნად დაირაზმა თავისი დედოფლის გარშემო.

სამაგიერო უნდა მიეზღოს ავაზაკს — ეს იქნება სამართლიანი შურისგება: „რომელი იგი განურისხდეს ძმასა თვისსა ცუდად, თანამდებ არს სასჯელის“, მამისა და ძმის მკვლელი მით უფრო ღირსი იყო დასჯის.

ვითარცა დედოფალი, ქეთევანი წინ უნდა წასძღოლოდა ერს. მთელი კახეთი იმედის თვალით შეჰყურებდა „სიქადულს ერისას“. მაგრამ... ქეთევანი დედაც იყო. უფროსი ვაჟი „ცბიერებისა და ვერაგობის“ ბუნაგში ეგულებოდა; მაგრამ, რაკიღა შაჰ-აბასი კონსტანტინეს ვერაგულ მკვლელობაში თავის თანამონაწილეობას უარყოფდა და რაკიღა კონსტანტინე შაჰის „ნებართვის გარეშე“ მოდიოდა კახეთის დასალაშქრავად, ქართველობას თავის გასამართლებელი კარგი საბუთი ჰქონდა.

დედოფალს მახლობელ მრჩევლებად ჰყავდა კახეთის უგონიერესი ადამიანები — მათი რჩევით და თანადგომით ქეთევანი მხნედ შეეგება მტერს.

კახეთის დარჩეული ახალგაზრდობა შემორტყმოდა ირგვლივ თავის მშვენიერ დედოფალს.

ბელაქნის წყალზე გაღმა-გამოღმა დაბანაკდნენ მოპირდაპირენი, კახელებს მოეშველა ზემო ქართლის ჯარი პაპუნა ამილახვრის სარდლობით.

...თენდებოდა 1605 წლის 22 ოქტომბრის დილა. შემოდგომის სურნელით დაყურსულიყო ჰაერი. ჩიტები გაუთავებელი

ჟივილ-ხივილით აყრუებდნენ გარემოს.

ამხედრებული დედოფალი თავისი კარვის წინ იდგა და გარინდებული შესცქეროდა მზის ამოსვლის დიდებულ სურათს. მისი აფორიაქებულ-აწრიალებული გული უნებურად დაეტყვევებინა ამ გასაოცარ სანახაობას. ცის მტრედისფერი კალთა თანდათან ვარდისფრად იღებებოდა. მერმე იმძლავრა ბროწეულისფერმა. და აი, მთის თხემიდან ნელ-ნელა ამოგორდა უზარმაზარი წითელი ბურთი და ჯიღასავით დაადგა მთათა ქონგურებს. უნაზეს ცისფერ ბურუსში გახვეული ცურავდა ველ-მინდვრები, მდინარის მოლურჯო-მოლიბრო ზედაპირი.

მშვიდი და წყნარი დილა იყო. თითქოს მხოლოდ უცოდველობა და სიწმინდე დავანებულიყო ამ მშვენიერ, ნაირფერად მოხატულ სამზეოში, თითქოს მხოლოდ სათნოება და კაცთმოყვარეობა სუფევდა ირგვლივ.

ქეთევანი ანაზდად გამოარკვია მოკრძალებულმა ხმამ: — დროა, დედოფალო!

ქეთევანმა ნისლჩამდგარი მზერა შეავლო ახალგაზრდა მხედრის ანთებულ თვალებს, მერე დანარჩენებს გადახედა ძლივს შესამჩნევი, ნაღვლიანი ღიმილით: აწვართულნი ისხდნენ კახეთის დარჩეული ჭაბუკები ცხენებზე და მოუთმენლობით შეპყრობილნი, ბრძოლის ჟინით აღტკინებულნი, რიდითა და მოლოდინით შესცქეროდნენ თავიანთ სათაყვანო დედოფალს.

ქეთევანს წამით იქ, შორეულ, მტრულ ქვეყანაში გადაკარგული შვილის სახემ შემოჰღიმა, თითქოსდა მისი სიტყვებიც ჩაესმა: „მხნედ იყავ, დედავ ბატონო! ჩემი ჯავრი ნუ გექნება! მეც თქვენთან ვარ ახლა. თქვენს გვერდით მიგულეთ!“

უჩუმრად ამოიოხრა დედოფალმა. ვინ იცის, რამდენის მზე დაბნელდება ამ დღეს, რამდენი დედა ატირდება და ჩაიცვამს შავებს, რამდენის სატრფოს გულს დააწყლულებს მწუხარების იარა!

დედოფალმან „...შეიმოსნა სიმხნე მამაკაცობრივი და განაწყო სპარაზენნი თვისნი. და წინა ბრძოლად წარიძღუანა ჯუარი პატიოსანი და განწირა თავი თვისი. და არღარა იყო მაშინ დედობრივი უძლურებაი, გინა შიში“, — წერს მემატიანე.

ომი, რომელიც ქეთევან დედოფალს უნდა გადაეხადა, ცხადია, არ იყო ბასიანი; არც ეს ქართველობა იყო მე-12 საუკუნის ქართველთა სადარი, ქეთევანიც არ იყო „თამარი შვიდნათობიერი“, მაგრამ ქეთევანის სისხლშიც ჩქეფდა წინაპრის სისხლი, ქეთევანის სულშიც ზეობდა თაყვანება და მოწიწება ქართველთა მფარველი დედაღვთაების მიმართ, ზეობდა სახელოვან წინაპართა ნათელი აზრი და გონება, სათნოება და სისპეტაკე, სიმხნევე და მამაცობა, სიყვარული ღვთისა და ერისადმი და სწორედ ამ სიყვარულის ძალით უნდა დაეცვა მამული, ერი და თავი თვისი ურჯულო, გადაგვარებული მოძალადის ხელყოფისგან.

დილით ქეთევანი და მისი მხლებლები ეზიარნენ „წმინდა საიდუმლოებათა ხორცთა და სისხლთა ქრისტესათა... და ყოველნი გუამი თვისნი ჯუარითა და ქრისტესითა დაიბეჭდეს“. ალავერდელმა მიტროპოლიტმა გაბრიელმა დალოცა ლაშქარი.

წინა ღამეს „იხილა ბილწმან კონსტანტინემ რამლი თვისი და არა უნდა დღესა მას... ბრძოლა უყონ მას“, მაგრამ მამის მკვლელის ბედი უკვე გადაწყვეტილი იყო — ღვთის რისხვას იგი ვერ აიცილებდა ვერასგზით.

ჯულფელი ვაჭრის რელაციაში აღნიშნულია, რომ ქეთევანმა ხერხი ამჯობინა ღონეს — ამოირჩია 300 საუკეთესო მხედარი და წერილი გაატანა კონსტანტინესთან. ამ წერილში კახელი დიდებულები მიმართავდნენ კონსტანტინეს, მოდი და შენ გვეპატრონეო. კონსტანტინე მოტყუვდა. ანუ: მოღალატეს ღალატითვე გაუსწორდნენო.

ქართველი მემატიანის თქმით კი: „...მიუტევნეს სწრაფით სრბით ზედა და მოუხდეს სამნი კეთილცხენოსანნი: დავით,

თამაზ და ბებურ და ჰკრეს მას შუბი და გარდმოაგდეს იგი ცხენისგან და დაკვეთეს ძლიერად და ვიდრე ჯერეთ სულიერღა იყო, იცნა კაცნი ესენი და ჰრქვა მათ: „ნურღარა მომკლავთ მე, რამეთუ ვარ დღეს ქუეშე ხელთა თქუენთა შინა“. ევედრებოდა ფრიად და მრავალსა წყალობასა უქადებდა მათ და არა ინებენ ყურის მიპყრობად მისსა, არამედ უხეთქნეს თავსა მისსა, ვითარცა მან მამასა თვისსა, და ორად განაპეს თავი მისი“. ხოლო კონსტანტინე მირზას მოლაშქრენი, სპარსელი ისტორიკოსის ისქანდერ მუნშის ცნობით, „ქართველების შიშით თავზარდაცემულნი — გაიქცნენ ბრძოლის ველიდან“.

...სიბრალულით შეპყრობილი დასცქეროდა დედოფალი კონსტანტინეს გვამს. „რაისა ცუდად ვმაღლოით, ოდეს ყოველნი მოკვდავნი ვართ და მიწად მიქცევადნი?“ — გახმიანდა მის გულში სიტყვები ძველი ქართული საგალობლიდან.

და იმის ნაცვლად, რომ ძაღლთა მიეგდოთ მისი მძორი, ქეთევანის ბრძანებით, კონსტანტინეს გვამი დაასაფლავეს არდებილს, „სპარსთა წესისამებრ“.

შაჰ-აბასს კონსტანტინეს მკვლელობა, ცხადია, ლახვრად მოხვდებოდა გულზე (ეს ქართველების ურჩობის უტყუარი ნიშანი იყო), მაგრამ საჭიროდ მიიჩნია, გარეგნულად ისე დაეჭირა თავი, თითქოს კიდეც გაეხარდა ეს ამბავი: მამის მკვლელი უკეთესი ხვედრის ღირსი არ არისო, ისე განაცხადა შაჰმა, თითქოს მამის მკვლელობა უცხო და უჩვეულო ყოფილიყო ყიზილბაშთა მოდგმისთვის. ამჯერად შაჰი იძულებული გახდა, დათმობაზე წასულიყო, რადგან თურქეთთან ისევ გრძელდებოდა ომი, თანაც შეეშინდა, კახეთის ტახტი ქართლის მეფეს არ დაეჭირა.

1606 წელს თეიმურაზი მეფედ „დალოცეს“, დაასაჩუქრეს „გულუხვად“ და კახეთში გამოისტუმრეს.

თეიმურაზი ამ დროს 16 წლის ყმაწვილი იყო. იმავე, 1606 წელს უეცრად გარდაიცვალა ქართლის მეფე გიორგი X და

შაჰ-აბასმა მისი მცირეწლოვანი ვაჟი, 14 წლის ლუარსაბი დაამტკიცა მეფედ.

თეიმურაზი კახეთში ჩამოვიდა.

ილხენდნენ და იშვებდნენ გამარჯვებული კახელნი, უზომო იყო დედოფლის სიხარულიც. შაჰ-აბასის კლანჭებიდან უვნებლად შვილის გამოხსნა მართლაც რომ ღვთის წყალობა იყო.

***

მცხეთის ტაძრის დიდი ზარების საზეიმო გუგუნი შორს გაისმოდა და სიხარულით აღავსებდა მორწმუნეთა გულებს. ტაძრის ეზო ვერ იტევდა მოზღვავებულ ხალხს, იმათ, ვისაც საკუთარი თვალით უნდოდა ეხილა მეფედ კურთხევის ზეიმი ახალგაზრდა თეიმურაზისა — ქეთევან დედოფლის შვილისა, ქეთევანისა, ვინც სიცოცხლეშივე იყო ქებული და ლეგენდად ქცეული, თეიმურაზის თქმით: „თავი მისი ქებით წერეს, ოდეს იყო ხმელთა ფლობით... ადრითგან ქებით შემკული, ნათქვამი ბროლ-ფიქალია“.

უძველესი საგალობლის ხმა იღვრებოდა ტაძრის დარბაზში. შორეული საუკუნეების იდუმალება იგრძნობოდა ამ ბგერებში. ამ წმინდა სადგურ-სავანეში ყოველი კუთხე-კუნჭული სუნთქავდა ეროვნული სულის ამაღლებულობითა და ძალმოსილებით, უფლის კვართზე აღმართულ ტაძარში ახლაც, მე-17 საუკუნის დასაწყისის ბედუკუღმართ საქართველოში, კვლავ ისმოდა უშორეს საუკუნეთა წიაღში შობილი ჰანგის დიდებული ჟღერა:

„შენ ხარ ვენახი ახლად აღყუავებული... მორჩი, კეთილი, ედემში დანერგული“...

უმშვენიერესი მელოდია ავსებდა ტაძრის სივრცესა და ზევით, გუმბათისკენ მიიწევდა, თითქოს ლამობდა ზეცაში აჭრას და ცის სილაჟვარდესთან შერწყმას.

კრძალვითა და იმედით შესცქეროდნენ საყდარში შეყრილი მორწმუნენი კათალიკოსის სათნო სახეს. სამთავროებად და

სამეფოებად დაშლილ-დაქუცმაცებულ საქართველოში ქართული ეკლესიის მთლიანობის დაცვას უფრო მეტი პოლიტიკურ-ეროვნული მნიშვნელობა მიენიჭა: ამიერითგან მხოლოდ ის და მისი საჭეთმპყრობელი, კათალიკოს-პატრიარქი იყო საქართველოს და ქართველი ერის მთლიანობის გამომხატველი. ამდენად, კახთა მეფეების საკათედრო ტაძარში კურთხევასაც დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა ჰქონდა.

...დედოფლის მოსიყვარულე თვალები ჟამიდან ჟამზე ფარული შეშფოთებით ჩერდებოდა შვილის სახეზე: შეძლებდა კია ეს პირმშვენიერი, ამაყი, თავის წლოვანებასთან შედარებით ღრმად განსწავლული, ახოვანი, ფიცხელი ყმაწვილი, პირუთვნელი, სამართლიანი მსაჯული ყოფილიყო თავის ქვეშევრდომთა მიმართ, მოწყალე და ლმობიერი-გაჭირვებულთა, გლახაკთა და ქვრივ-ობოლთა მიმართ!? შეძლებდა ყოვლისმომცველი, ყოვლისმიმტევებელი სიყვარულის ტარებას გულში?

მხურვალედ ლოცულობდა დედოფალი და ევედრებოდა უფალს, თავმდაბლობის გრძნობა მიენიჭებინა მისი შვილისთვის, რადგან ამპარტავნობა, მედიდურობა და ქედმაღლობა მამა-პაპადან მოსდგამდა თეიმურაზს.

***

ქეთევან დედოფლის თაოსნობით თეიმურაზს მეუღლედ გურიელის ასული მოჰგვარეს. არჩილი თავის პოემაში თეიმურაზს ათქმევინებს: „ენა ვით იტყვის მაშინდელს ჩემსა ლხინსა და შვებასა? ორმოცს დღეს ქორწილობასა, სიხარულს, არ თუ ვნებასა“...

ილხენდა კახეთი. ბურთაობა, ყაბახის სროლა, ნადიმი — ერთმანეთს გადაება. ახლა დედოფალს შეეძლო ეთქვა: „შვილო, აქამომდე ვიყავ მე საქმითა მამაკაცობრივითა, ვიდრემდის დასცხრა ღელვაგუემულობა სამეფოსა ამის: აწ ნებითა

და განზრახვითა ღვთისათა იქმნა მეფობა შენი... ამიერიდან ვჯდე მყუდროებით, ვითარცა შვენის დედათა“.

ვჯდე მყუდროებითაო — ბრძანებდა დედოფალი. ამის იქით სამეფო საქმეთაგან მოშორება, მხოლოდ სულზე ზრუნვა და ეკლესიათა მოვლა-პატრონობა და გლახაკთა მოწყალება განუზრახავს მას. მაგრამ ღვთისმოსავ, სათნო, მხოლოდ სულისთვის მზრუნველ დედოფალს არ შეიძლებოდა არ შეემჩნია ის დაძაბული ვითარება, რაიც გარშემო სუფევდა. ილხენდა და იშვებდა ყმაწვილი თეიმურაზი, მაგრამ ძილფხიზლობდა შაჰ-აბასი. იგი არ აპირებდა, ხელი აეღო კახეთის დაპყრობაზე, რადგანაც მთელ ამიერკავკასიაში მხოლოდ ის იყო რუსეთის პოლიტიკური დასაყრდენი. რუსეთი კახეთის მეშვეობით აპირებდა მომავალში არა მარტო თურქეთის, არამედ თვით ირანის მეტოქეობასაც. რუსეთის ხელდებული კახეთი კი, ფაქტობრივად, შაჰის საყმო ქვეყანას წარმოადგენდა. დროდადრო იგივე კახეთი ხარკს უხდიდა თურქეთის სულთანსაც, ამასთან ერთად, შაჰმა რუსეთის ხელდებული კახეთი ჯერ ოსმალეთის წინააღმდეგ ბრძოლაში ჩაითრია, შემდეგ, როცა საშუალება მიეცა, კონსტანტინე ბატონიშვილს დაახოცინა ალექსანდრე და მისი შვილი გიორგი 1605 წელს.

შაჰ-აბასმა გადაწყვიტა, დაესწრო რუსეთისთვის. მან კახეთიდან დაიწყო. ჯერ მშვიდობიანი გზით ქართლ-კახეთი უნდა დაეცალა გონიერი ადამიანებისგან, განხეთქილება შეეტანა დიდებულთა შორის, ურთიერთთათვის გადაემტერებინა ისინი. პირველი მსხვერპლი ნიჭიერი პოეტი და უბადლო სარდალი ქაიხოსრო ომანიშვილი-ჩოლოყაშვილი შეიქმნა (შემდგომში საქვეყნოდ ცნობილი საზოგადო მოღვაწის ნიკიფორე ირუბაქიძე-ირბახი-ჩოლოყაშვილის ძმა).

შაჰ-აბასმა ჩააგონა თეიმურაზს, რომელიც დაქვრივების შემდეგ ყაენმა „ნუგეშინის საცემად“ თავისთან მიიწვია, — ქაიხოსრო ომანიშვილ-ჩოლოყაშვილი (რომელიც ერთობ საშიში იყო შაჰისთვის) მოღალატეა და დაღესტანიც და კახ-

ეთიც თავისთვის უნდაო, ქეთევანი იდუმალად უყვარს, შეიძლება ქეთევანიც არ იყოს გულგრილი მისდამი, ამიტომაც დაიახლოვაო, შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს იგი ქმრად შეირთოს და კახეთიც მას მისცესო.

ეჭვიან თეიმურაზს მეტიც არ უნდოდა: მან სახელოვანი გმირი, რომელმაც დაღესტანი სრულიად დაუმორჩილა მეფეს, ღალატით მოაკვლევინა. თეიმურაზმა ამით საკუთარი ხელით წააცალა თავი კახეთის მხედრობას, მომავალ დიდ ბრძოლებში უსარდლოდ დატოვა იგი.

მოხდა ის, რისიც ეშინოდა ქეთევან დედოფალს — შურმა და ამპარტავნობამ იმძლავრა თეიმურაზში — იგი თითქოს მამისა და პაპის ავზნეობის კვალს გაჰყვა და უდიდესი ცოდვა ჩაიდინა: დაანთხია მართალი კაცის სისხლი.

ხოლო ადამ აბელიშვილ-ანდრონიკაშვილი, მახლობელ მრჩევლად და სამეფო კაცად რომ ჰყავდა ქეთევან დედოფალს, შაჰმა თეიმურაზს გამოსთხოვა და თეიმურაზმაც დაუთმო იგი.

შაჰისგან გავლენიანი ქართველების მიმხრობა საუკეთესო საშუალება იყო თეიმურაზისა და ლუარსაბის სიმტკიცის გასატეხად და მათ დასამორჩილებლად. „ილათიანი“ შაჰი უომრად, უსისხლოდ, მოხერხებულად უთხრიდა ძირს ქართლ-კახეთს. სწორედ ასე და ამდაგვარად „შეიტკბო და შეიფარა“ მან ქართლიდან გაძევებული დიდი მოურავი და მრავალი სხვა, რომელთა მეოხებითაც ცდილობდა ქართლ-კახეთის გატეხას. შაჰს, გარდა ამისა, მრავალი აგენტი და მომხრე ჰყავდა თავად-აზნაურთა წრიდან. მრავალნი ეწერებოდნენ მის ღულამთა რიგებში მოლაშქრეებად, იყვნენ „მოხალისენი“ აზნაურთა წრიდანაც, მხოლოდ თავის გამოჩენასა და დაწინაურებაზე რომ ოცნებობდნენ.

პირველი მეუღლის გარდაცვალების შემდეგ თეიმურაზი შაჰის დაჟინებული მოთხოვნით დაქორწინდა ლუარსაბის დაზე — ხორეშანზე, რომელიც ნათესავად ეკუთვნოდა (შაჰ-აბასისთვის ეს საბუთი არ არსებობდა — ყიზილბაშური წეს-

ჩვეულებით ასეთი შორეული კი არა, ახლობელი, სისხლისმიერი ნათესაობაც არაფერს ნიშნავდა!).

თეიმურაზი ლხინსა და ქეიფს მიეცა კვლავ — ნადირობდა, ნადიმობდა, დღეობები და დღესასწაულები ერთმანეთს გადაება.

ქეთევანი კი მართლაც იჯდა მყუდროდ თავისთვის, განრიდებოდა სამეფო თუ საქვეყნო საქმეებს და ობოლი შვილიშვილების აღზრდას მისცემოდა, რამეთუ საყვარელი პირმშოს გაკიცხვის თუ განსჯის უფლებას არ აძლევდა საკუთარ თავს.

ლოცულობდა ჩუმად, დაუცადებლად და ღმერთს ავედრებდა შვილს, ცოდვათა მიტევებასა და შემწეობას სთხოვდა უფალს.

...ქართლი ხმალს ქარქაშში არ აგებდა კვლავ, იგი ქედუდრეკი იყო მოზღვავებული მტრების წინაშე: ამის ნათელი მაგალითი იყო უბრალო მღვდლის თევდორეს გმირობაც.

ქართლთან ერთად ქედს არ იხრიდა სამცხე-საათაბაგო. მართალია, იგი ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი, მაგრამ ბრძოლას მაინც განაგრძობდა. ქეთევან დედოფლის ყურს არ შეიძლებოდა არ სალბუნებოდა ის ამბავი, რომ სამცხე-საათაბაგოს ბრძოლებს სათავეში ედგა სიმონ I-ის ასული ელენე, მანუჩარის ქვრივი (მანუჩარი და ყვარყვარე ქეთევანის მამიდის, დედისიმედის შვილები იყვნენ) — ყვარყვარე და მანუჩარი იძულებული გახდნენ, ოსმალეთის მთავრობის მითითებანი გაეტარებინათ, მაგრამ ისინი ვერ ურიგდებოდნენ თურქეთის დამპყობლურ პოლიტიკას. გამაჰმადიანებულმა მანუჩარმა — მუსტაფად წოდებულმა — კვლავ დაამყარა კავშირი სვიმონთან — ისევ ქრისტიანობა მიიღო და სვიმონის ქალი, ელენე შეირთო ცოლად. დაქვრივებული ელენე ყოველნაირ ღონეს ხმარობდა, რომ სამცხე-საათაბაგო როგორმე გადაერჩინა მტაცებლებისგან.

ქართველი ქალების ეს გასაოცარი შემართებულობა, სიმხნევე, მამაცობა და გონიერება არაერთხელ ყოფილა

აღტაცებისა და გაკვირვების საგანი არა მარტო ჩვენი, არამედ უცხოელი ისტორიკოსების და მოგზაურებისთვის. უცხოელ მოგზაურთა თქმით, ქართველი ქალები არა მარტო უმშვენიერესი არსებანი არიან, არამედ გონიერნი, განათლებულნი, მწიგნობარნი, მახვილის გონებისანი, ნიჭიერნი, თავაზიანნი. ისინი „თან დაატარებენ განუშორებლივ სასულიერო თუ საერო ხასიათის წიგნებსა და ხელნაწერებს“. კასტელის ცნობით კი, საქართველოში და, კერძოდ, სამეგრელოში „დედოფლები ხელში ეკლესიით ახატვინებენ თავს... ისინი იცავენ ქრისტიანულ სახელს წარმართებისა და მაჰმადიანებისაგან... დიდი ღვთისმოსავები არიან... ბევრი წიგნი აქვთ. მაგრამ ყველა — ხელნაწერის სახით“.

ეს ის ქალებია, რომელნიც, არქანჯელო ლამბერტის თქმით, ინახავდნენ მამაკაცებში ჩაფერფლილ ეროვნულ თვითშეგნებას, ზრუნავდნენ წერა-კითხვის მცოდნეთა გამრავლებაზე. აკი ქალებმა შემოინახეს სწორედ ქართული წერა-კითხვა გამაჰმადიანებულ აჭარაშიც, ე.წ. დედაბრული ანბანის სახელით რომ არის ცნობილი.

***

1612 წელს სტამბოლში დაიდო ზავი თურქეთსა და ირანს შორის. ამ ზავით აღდგა 1555 წლის ამასიის ზავის ძირითადი პირობები.

1613 წელს შაჰ-აბასმა ქართლისა და კახეთის მეფეები თავისთან დაიბარა მაზანდარანს, ვითომ სანადიროდ. არც ერთი ეახლა და არც მეორე. შაჰს ჯერ ისიც არ დავიწყებოდა, რამდენიმე წლის წინათ, შემახაში ყოფნის დროს რომ თეიმურაზი, როგორც ვასალი, არ გამოცხადდა მასთან. სამაგიეროდ, დედას გამოგიგზავნიო, შეუთვალა თეიმურაზმა. სხვა ვასალებმა ცუდად რომ არ გაიგონ, ჯერ შენ მოდი მცირე ჯარით, მალე უკან დაგაბრუნებო და მერე

დედაშენი მოვიდეს ჯარითო, შემოუთვალა შაჰმა. თეიმურაზი მაინც არ ენდო. მცირე ხნის შემდეგ შაჰს ქეთევან დედოფალი ეახლა ჯარით. კათოლიკე მისიონერების ცნობით, ქეთევან დედოფალს თან ახლდა 300-მდე მხედრულად გამოწყობილი ქართველი ბანოვანი. დედოფალმა თავისი გონიერებითა და დიპლომატიური ნიჭის წყალობით შეძლო გადაერჩინა შვილი და სამეფო შაჰ-აბასის რისხვისგან. შაჰ-აბასს, ცხადია, ძალიან ეწყინა თეიმურაზის ურჩობა, მაგრამ ამჯერად არაფერი შეიმჩნია, ბოღმა გულში ჩაიმარხა. დედოფალი დიდი პატივით ისტუმრა, მისი ჯარი არ დაუსაქმებია და ისე დააბრუნა უკან.

მაშინდელი წყენა ახლა რისხვად უნდა გადმომსკდარიყო. კათოლიკე მისიონერების ჩვენებით, შაჰ-აბასმა თეიმურაზს დააბრალა — საცოლე წამართვიო — თითქოს ხორეშანი, თეიმურაზის მეორე ცოლი, შაჰის საცოლე ყოფილიყოს. შაჰ-აბასისთვის მთავარი, რასაკვირველია, ქართლ-კახეთის დაპყრობა იყო, ხოლო საბაბს რა გამოლევდა.

შაჰ-აბასმა დიდძალი ჯარი შეყარა და საქართველოსკენ წამოვიდა, თან ხმებს ყრიდა, ოსმალოს წინააღმდეგ მივდივარო, ხონთქარს კი ჩუმად შეუთვალა, გურჯების დასასჯელად მივეშურებიო.

შაჰ-აბასმა თან იახლა გიორგი სააკაძე, რომელიც უკვე დაწინაურებული იყო ირანის კარზე თავისი მამაცობის, ნიჭიერებისა და გონების წყალობით.

შაჰ-აბასი განჯაში ჩავიდა. განჯიდან თეიმურაზს მოციქული გამოუგზავნა და შემოუთვალა, ოსმალოზე მივდივარ, შენს ქვეყანაზედ უნდა გავიარო და მძევლად ერთ-ერთი შვილი მომეცი, რომ შენც, პაპაშენ ალექსანდრესავით, ოსმალოს არ მიუდგეო.

თეიმურაზმა დიდებულები მოიწვია. თავადების უმრავლესობამ უმცროსი შვილის და ქეთევანის გაგზავნა ურჩია, ქეთევანს შაჰი დიდ პატივს სცემს და იქნებ ამჯერადაც ამან გვიშველოსო.

ქეთევანმა იცოდა, ახლა არაფერს აზრი აღარ ექნებოდა: „შვილო ჩემო, სასურველო და ნათელო თვალთა ჩემთაო, მრავალჯერ მიხსნია ქვეყანა ესე კახეთისა დედობრივი უძლურებითა ჩემითა, უკეთუ წარვიდე მეც, არა ინებებს მეფე იგი უსჯულო მშვიდობის ყოფად ჩვენდა, რამეთუ არს იგი მოუმდორველი“, — განაცხადა ქეთევანმა: „მაშინ ყოველთა ერთა აღმოუტევნეს ერთობით საწყალობელი ხმა მათი და თქვეს: „შემწე გვეყავ და გვიხსენ, დედოფალო, ბოროტისაგან მისგან მხეცისა მომსვრელისა“. დარბაზის ერი თითქოს ერთხმად ღაღადებდა თავის სიმხდალესა და სულმოკლეობაზე. და თეიმურაზიც იძულებული გახდა, მათ ნებას დაჰყოლოდა.

ქეთევანი უმცროსი შვილიშვილით ეახლა შაჰ-აბასს განჯაში, ძვირფასი ძღვენი მიართვა და შეეცადა, მოელბო მისი გული. მოჩვენებითი ხელმწიფური პატივით შეეგება დედოფალს შაჰი, დედოფლის თხოვნაზე „უკუნქცეულიყო“, თითქოს დათანხმდა კიდეც, მაგრამ, თეიმურაზ ბაგრატიონის ცნობით, შაჰ-აბასს „გული გამოუცვალეს“ კახეთიდან და ქართლიდან გადახვეწილმა მოღალატე ქართველებმა. ვერაგობითა და ეშმაკობით მიაღწიეს იმას, რომ შაჰ-აბასმა „დაუტევა მშვიდობისა მიცემა და ყოველითურთ საქართველოს სამტროდ და სავნებლად აღიძრა“.

მან მოსაჩვენებლად იწყინა თეიმურაზის უმცროსი ვაჟის გამოგზავნა, ძიძა ხომ არა ვარ, ძუძუმწოვარა ბავშვს რომ მიგზავნის, უფროსი ვაჟი მაახლოს, თუ გულში ცუდი რამ არ უდევსო. ქეთევან დედოფალი კვლავ შეეცადა მდგომარეობის გამოსწორებას: „მეფეთა მიერ არა ხამს შეცუალება სიტყუათა და აღთქმათა თვისთა... თქვენ იტყვით, ვითარმედ მცირე ყრმა არის ალექსანდრე და არა ძალგიძთ მისი ტარება მხედრობასა შინა, მაგრამ უფროსი ძეც ასაკით მცირეა, ორი წლით თუ არის უფროსი ალექსანდრეზე... ჩვენ ვიცავთ საზღვარს აზერბაიჯანისა ოსმალოთაგან. ამით ვიცავთ საზღვარს თვით სპარსეთისა, ხოლო თუ ქართლსა და კახეთს მოაკლდება ძალი, ესე სპარსეთის დაცემასაც ნიშნავს, ვინღა აღუდგება გარეშე მათ მტერთა სპარსეთისათა, რომელნიც დღითი დღე ეძიებენ დაპყრობას აზერბაიჯანისა... იგინი გვიხილავენ თუ არა ჩვენ მოუძლურებულს, მაშინვე კადნიერად შემოვლენ სპარსეთის საზღვართა შინა. ვინ დაუპირისპირდება მათ, თუ არა ჩვენ... ხოლო სპარსეთის მეფეთა მემკვიდრენი იქნებიან საქართველოს მეფეთა სახლი დავითიან-ბაგრატიონნი, ვინაიდან, ისინი არიან სპარსეთის მეფეთა დედულეთით შთამომავალნი ნათესავნი“...

მაგრამ შაჰი ყრუ აღმოჩნდა დედოფლის არგუმენტების მიმართ. ქეთევან დედოფლის დიპლომატიურმა ხერხმა ამჯერად ვეღარ გაჭრა. მან მხოლოდ ის მოახერხა, რომ დავით ასლანიშვილ-ჯანდიერს წერილი გამოატანა უჩუმრად. დედოფალი შვილს აფრთხილებდა, არამც და არამც არ გამოგზავნო ლევანიო.

კახელებს ისღა დარჩენოდათ, შეიარაღებულიყვნენ და მამაცურად შებრძოლებოდნენ მტერს. მაგრამ თავადებმა კვლავ ხვეწნა-მუდარა დაუწყეს თეიმურაზს, უფროსი ვაჟიც გაუგზავნეო.

გაუგზავნეს უფროსი ვაჟიც. შაჰმა ახლა თავად თეიმურაზს უბრძანა, მეახელიო.

„ქართველებსა და განსაკუთრებით ბედოვლათ თეიმურაზს უდარდელობის ფარდა ჰქონდათ გამჭრიახობის თვალზე ჩამოფარებული“, — შენიშნავს სპარსელი ისტორიკოსი ისქანდერ მუნში.

ქართლშიც არეულობა იყო. დიდი სარდლის, გიორგი საა-კაძის გაძევებით ლუარსაბ II-მ თვითონ მოუჭრა ქართლს ხსნის გზა, ხოლო თავად მეფე ფეოდალთა ნება-სურვილის მორჩილი აღმსრულებელი გამხდარიყო.

1614 წელი. გაზაფხული. კახეთში შემოიჭრა შაჰ-აბასის ლაშქარი. დაბნეულობა და არევ-დარევა სუფევდა კახთა

ბანაკში. უმრავლესობა გაქცევას ირჩევდა, ნაწილი შაჰთან ხლებას ამჯობინებდა, მხოლოდ მცირე ნაწილი მოითხოვდა ბრძოლას.

სადღა იყო ის ერთსულოვნება და შემართება, რაიც ქეთევანის ბანაკში სუფევდა 1605 წელს?

სადღა იყვნენ აბელიშვილ-ანდრონიკაშვილის, ომანიშვილ-ჩოლოყაშვილისნაირი გმირები, გვერდში რომ ედგნენ დედოფალს?

პიეტრო დელა ვალე წერს: „...მას (შაჰს) მოუძღოდნენ მრავალნი თავად-აზნაურნი, რომელთაც უღალატეს თავის მეფეს და დაიჭირეს სპარსეთის ხელმწიფის მხარე, რადგანაც ბევრს რასმეს მოელოდნენ მისგან, ამათ უჩვენეს შაჰ-აბასს გზები საქართველოში შესასვლელად და გაუადვილეს საშიშ ადგილებზე მსვლელობა“.

თეიმურაზმა თავი მიანება ნაუცბათევად, ერთობ გვიან აგებულ ჯებირებს და ქართლში გაიქცა. კახეთიდან გამოქცეულ თეიმურაზს ლუარსაბ II შეეგება. რაოდენად უდარდელად შესცქეროდნენ ორივენი შაჰ-აბასის შემოსევას, სჩანს იმ დიალოგიდან, რაც მათ შორის გაიმართა. ლუარსაბი სიცილით ეკითხება თეიმურაზს, როგორ დახვდი მცირე სტუმარს უცებ მოსულსაო: „მხიარულად დახვდებოდი, აწ გეძებენ სადღაც წასულს, პურად კარგს და გულად უხვსა, ახლა გხედავ შენ დანასულს“, — ათქმევინებს არჩილ მეფე თავის პოემაში ლუარსაბს. თეიმურაზმა „დაამშვიდა“ ლუარსაბი, შენც გეწვევა ის სტუმარი და ვნახოთ ერთი, როგორ გაუმასპინძლდებიო.

დიდებულთა რჩევით გადაწყდა, რომ ორივე მეფეს თავი იმერეთისთვის შეეფარებინა.

ქეთევან დედოფალს უკვე აღარაფერი შეეძლო. შაჰმა დედოფალი და მისი ორივე შვილიშვილი მხლებლებითურთ, ირანს გააგზავნა.

შაჰ-აბასის ურიცხვი ჯარი კახეთს შეესია.

დიდებული ალავერდი ციხესიმაგრედ გადააკეთეს და შიგ ირანული გარნიზონი ჩადგა. თორღვა, სადაც ინახებოდა კახთა მეფეების განძეულობა, აიღეს და მთელი ქონება შაჰმა ჩაიგდო ხელში. დარბეული ერწო-თიანეთიდან 30-ათასი ტყვე და ორმოცი ათასი მსხვილფეხა საქონელი გამოიყვანეს, მაგრამ ამჯერად, ამ პირველი შემოსევის დროს, შაჰ-აბასმა საგანგებოდ გააფრთხილა თავისი სარდლები და ჯარი, კახეთის მოსახლეობა განსაკუთრებით არ შეეწუხებინათ. შაჰი თავს ისე აჩვენებდა, ვითომ მისთვის მთავარი არა ხალხის აწიოკება, არამედ თეიმურაზის ხელში ჩაგდება იყო. სულ უფრო და უფრო მატულობდა შაჰ-სევანში ჩაწერილთა რიცხვი...

რაკიღა ტკბილი სიტყვებითა და დაპირებებით საწადელს ვერ მიაღწია, ვერც თეიმურაზი და ვერც ლუარსაბი ვერ გამოიტყუა იმერეთიდან, შაჰმა საგანგებოდ მიუგზავნა ლუარსაბს გამზრდელი შადიმან ბარათაშვილი — გიორგი სააკაძის მოსისხლე მტერი, „კაცი ბოროტი და ვერაგი“. ამასთან თავის საყვარელ ცოლს — ლუარსაბის დას, დაავალა: წერილი მიეწერა ძმისთვის და დაეყოლიებინა იგი წამოსვლაზე.

გასჭრა ამ ხერხმა, მაგრამ უფრო საფიქრებელია, რომ ლუარსაბმა, თეიმურაზისგან განსხვავებით, ამჯობინა თავი საფრთხეში ჩაეგდო, ხლებოდა შაჰს და ამით რამდენადმე გადაერჩინა ქართლი ყაენის რისხვისგან. ეს მართლაც ასე მოხდა — ქართლი შედარებით იოლად გადაურჩა შაჰის „სტუმრობას“.

ლუარსაბს თავისი ახლობლებისთვის განუცხადებია, თუ მე არ წავალ, შაჰ-აბასი მთელ ქვეყანას ააოხრებს, ეკლესიებს დაანგრევს, ქრისტიანებს დახოცავს და დაატყვევებს. ეს ყველაფერი ჩემი მიზეზით იქნება, რამდენიმე ხანს ასეთი სინდისით ცხოვრებას და იმდენი ადამიანის ცოდვაში ჩადგომას მირჩევნია, წავიდე შაჰთან, მთელი ქვეყანა ვიხსნა, რათა ჩემი მიზეზით არ ააოხროს იგიო.

საგულისხმოა, რომ ახალგაზრდა მეფემ განსაკუთრებული საფრთხის ჟამს შეუდრეკელი სიმტკიცე და გულადობა

გამოიჩინა, ანუ მან „ორი დღის სიცოცხლისათვის“ სული არ წაიწყმიდა.

ამასობაში კახეთში თანდათან იზრდებოდა უკმაყოფილება ირანელების მიმართ.

აჯანყებას სათავეში ჩაუდგა დავით ჯანდიერი. თეიმურაზი თურქეთიდან დახმარების იმედით კახეთში დაბრუნდა და აჯანყებულ ქართველთა ხუთ-ექვს-ათასიანმა ჯარმა მუსრი გაავლო 15-ათას კარგად შეიარაღებულ ირანელს.

ამ დამარცხებამ შაჰ-აბასი საშინლად გააცოფა: „მძვინვარების ისეთი ცეცხლი ავარდა, რომ ყოველი მისი ნაპერწკალი ქვეყნიერების დამწველი მეხი იყო... შაჰმა მტკიცედ გადაწყვიტა საქართველოზედ გალაშქრება და იქაურ ურჯულოთა დასჯა“, — წერს ისქანდერ მუნში.

შაჰ-აბასი უზარმაზარი ჯარით სწრაფად შეიჭრა კახეთში.

თეიმურაზმა ამჯერადაც გაქცევა ამჯობინა. მან კვლავ იმერეთს შეაფარა თავი.

კახეთი ისევ დარჩა უმეფოდ, უმეთაუროდ. უპატრონოდ მიტოვებული კახელობა გამძვინვარებულ მტერს უბრძოლველად არ უთმობდა მიწის არც ერთ გოჯს. შაჰ-აბასმა იცოდა კახელთა სიმამაცისა და შეუპოვრობის ამბავი და განსაკუთრებული სისასტიკით უსწორდებოდა დამარცხებულთ.

თითქოს მეორედ მოსვლის ჟამი დადგა. მოისრა და მიწასთან გასწორდა საქართველოს ერთ-ერთი უმდიდრესი და ურჩეულესი მხარე. თვით ირანელი ისტორიკოსის თქმით, ჯერ მუსლიმანი საქრისტიანოს ასე მრისხანედ არ შესევია.

მშვენიერი გრემი იავარყვეს, უმოწყალოდ გაძარცვეს და გაანადგურეს ეკლესია-მონასტრები, ქალაქები, სოფლები.

დავით გარეჯში 6-ათასი ბერი ანთებული სანთლებითა და კელაპტრებით ლიტანიობდა ქრისტეს აღდგომას. შაჰ-აბასის ველური ურდო დაერია მლოცველებს და მუსრი გაავლო მათ.

ეს იყო თავისი სისასტიკით ჯალალ-ედინისა და თემურლენგის დარი ბარბაროსობა.

ანტონ კათალიკოსის სიტყვებით, დახოცილთა თავები და მკლავები „დღესამდე (ე.ი. საუკუნე-ნახევრის შემდეგ) ჰსჩანან განცხადებულად“.

„და მოიწია ჭირი დიდი ქვეყანასა ქართველთასა, რომელი არა მოწევნილ იყო დასაბამითგან დღემდე“, — წერს ქართველი მემატიანე.

„ყველა ის ბოროტება, რომელიც თავს დაატეხა შაჰმა ქართველთა ქვეყანას, არ ძალგვიძს მოგითხროთ, რადგან ეს სიტყვის ძალას აღემატება“-ო, — შენიშნავს სომეხი არაქელ თავრიზელი.

„მთელი კახეთი ჩავარდა იმ საზარელს დღეში, რომლის მსგავსი დღე ჯერ ქრისტიანთ არ დასდგომიათ მუსლიმთაგან მას აქეთ, რაც გაჩნდა ქვეყნად მუსლიმანობა“, — ამას სპარსელი ისქანდერ მუნში გვამცნობს.

და შემდეგ: „მოსახლეობის სუნიც კი აღარ იყო არსად დარჩენილი... ისეთი ქვეყანა, რომელიც ყოველწლიურად ურიცხვ სარგებლობასა და შემოსავალს იძლეოდა, დაინგრა და მიწასთან იქნა გასწორებული“.

20 დღის განმავლობაში შაჰ-აბასის ჯარი ხოცავდა უპატრონოდ, უმეფოდ, უმწეოდ დარჩენილ კახელობას. ოცი დღის განმავლობაში იდგა ეს საშინელი ხოცვა-ჟლეტა. კახეთმა თავისი მოსახლეობის ორი მესამედი დაკარგა. ასი ათასამდე მტერს შეაკვდა, ორასი ათასამდე ტყვედ წაიყვანეს.

იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე გულისტკივილით მისწერს რომის პაპს, იმედი აღარ არის საქართველო კვლავ აღდგეს, იმის შველა და ხსნა აღარა ძალას აღარ შეუძლიაო.

შაჰი გამარჯვებას ზეიმობდა. მისი მარტო ერთი ზეიმი ცხრა დღესა და ღამეს გაგრძელებულა. ილხენდა, იშვებდა შაჰინ-შაჰი; მისი ღრმა რწმენით, საქართველო ხერხემალში იყო გადატეხილი.

ქეთევანი თავისი შვილიშვილებით აშრაფიდან შირაზში გადაიყვანეს, ხოლო ლუარსაბი, რაკიღა მაჰმადიანობის

მიღებაზე სასტიკი უარი განაცხადა, გულაბის ციხეში გამოამწყვდიეს.

ივანე ჯავახიშვილის აზრით, შაჰ-აბასის მიერ საქართველოს აოხრება იმ მხრივაც იყო საშინელი, რომ მისმა სიმკაცრემ შემოდგომის თრთვილის სუსხივით დაჰკრა ახლად გამოღვიძებული ქართული მხატვრული მწერლობის ჯეჯილს. სწორედ ამ დროს იწყებოდა ხანგრძლივად მიძინებული ქართული გონებრივი შემოქმედების მოსულიერება... უკვდავი შოთა რუსთაველის პოემა იქცა დაუშრეტელ სიბრძნის წყაროდ, სათაყვანებელ ქმნილებად, რომლის მიუწვდომელი სიდიადე იწვევდა პოეტურ აღმაფრენას და მიბაძვის სურვილს ბადებდა. ამ ხანის საუკეთესო პოეტად გვევლინება სწორედ თეიმურაზ I — შაჰ-აბასის დაუძინებელი მტერი.

***

დაიწყო ქეთევან დედოფლის ათწლიანი ტყვეობის მატიანე, ანუ გოლგოთის წლები.

მაგრამ ჯვარზე იყო გაკრული მთელი საქართველო. კიდურებმოგლეჯილ, სისხლისგან დაცლილ, ძლივსღა მფეთქავ სხეულს ყოველი მხრიდან დასეოდნენ მტაცებლები. პიეტრო დელა ვალე თავის რელაციონში პაპ ურბანუს VI-ს წერს: „აქამომდე რომ საქართველოს თავი შეუნახავს, ესეც საკვირველია, და არა მცირედი მიზეზი ამისა არის ქართველების მამაცობა. რიცხვით საქართველოს ხალხი ძლიერ მცირეა და ამასთანავე დაყოფილიც რამოდენიმე მოთავეების შუა, რომელნიც, მის მაგიერ, რომ ერთად ებრძოლონ მტერს, ხშირად ერთმანეთს ებრძვიან. გარდა ამისა, ქართველებს არა აქვთ არავითარი არტილერია, თოფებსაც ცუდად ხმარობენ, ან თითქმის სრულებით არ ხმარობენ. ამდენ ნაკლოვანებასთან, ვამბობ მე, მათ მაინც დაიცვეს თავი უცვლელად და თავისუფლად, აგრეთვე მათ დღემდე

დაიცვეს თავის რჯული, თუმც ყოვლის მხრით გარს შემორტყმულნი იყვნენ ურჯულოებით და მტრებით. ყველაზე უფრო შესანიშნავი ის არის, რომ ისინი მარტოკა იყვნენ ორ უძლიერესთა, სპარსეთისა და თურქების იმპერიათა შუა და არსაიდგან არავითარ შემწეობას არ ელოდნენ“.

ის საზარელი ტრაგედია, რაც ქართლ-კახეთმა განიცადა, მთელი თავისი სიღრმით აირეკლა ირანის ყოველდღიურ ცხოვრებაში. შაჰის და ხანების, დიდებულთა თუ უბრალო მეომართა სახლები გაივსო უმშვენიერესი ქართველი ქალებითა და ვაჟებით.

გაივსო ისპაჰანისა თუ შირაზის ბაზრები გასასყიდად გამოყვანილი ქართველი ყმაწვილებით. „ჰურიის დარი“ ასულები იყიდებოდნენ პირუტყვებივით — ზოგჯერ თითო — აბაზად! შაჰი შეჰპირდა თავის ჯარისკაცებს, თითო აბაზად შეგაძენინებთ ულამაზეს გურჯის ასულებსო და აკი შეასრულა კიდეც ეს პირობა.

„საქართველოში ყველაფერი კარგია, მაგრამ ქართველ ქალებზე უმშვენიერესი მე არაფერი მინახავს. მე იმათ რომ ვუცქერდი, უნებლიედ განცვიფრებაში მოვდიოდი. ამ ქვეყანას კაცმა შეიძლება უწოდოს მშვენიერთა სავანე... ძნელია წარმოიდგინოთ უკეთესი მოყვანილობა სახისა, წერწეტა ტანისა და მისი სასიამოვნო რხევისა, რომლითაც განთქმული არიან ქართველი ქალები“, — წერს უცხოელი ისტორიკოსი.

შემდეგ, მოგვიანებით, ერთი ევროპელი მოგზაური იტყვის, ზეციურმა განგებამ იმიტომ მიაყენა საქართველოს ეს უბედურება, რომ აღმოსავლეთის ხალხთა სისხლი განწმენდილიყოო. აღმოსავლეთის ხალხთა სისხლის განწმენდისა რა მოგახსენოთ, მაგრამ ქართველი ქალისთვის არ არსებობდა იმაზე დიდი უბედურება, ვიდრე ჰარამხანაში ყოფნა, თუნდაც ე.წ. პირველი და საყვარელი ცოლი ყოფილიყო ყიზილბაშისა. არ არსებობდა უფრო მძიმე სულიერი ტრავმა და დამცირება ლაღი, თავისუფლებისმოყვარე ქართველი ქალისთვის, ვი-

დრე ეს არაადამიანური, ქალური ღირსების შეურაცხმყოფელი ჰარამხანა, სადაც ქალი პირუტყვის დონეზე იყო დაყვანილი და სადაც ქალს, როგორც ნივთს, ისე გაასაჩუქრებდნენ ხოლმე (ეს ხვედრი არ ასცდა თვით შაჰ-აბასის „საყვარელ“ ცოლს, ლუარსაბის დას — თინათინ-ლელა ბაგრატიონს — ლუარსაბის დასჯის შემდეგ იგი შაჰმა თავის ხელქვეითს — ფეიქარ ხანს უბოძა!).

უზნეო და გარყვნილ ჰარამხანებში მეტოქეობა, შური, ვერაგობა, ცბიერება უმაღლეს ხარისხში იყო აყვანილი. სხვადასხვა დედის თუ ერთი დედ-მამის შვილები სამკვდროსასიცოცხლოდ იყვნენ ერთმანეთზე გადაკიდებულნი: მოწამვლა, თვალის დათხრა, დასაჭურისება, მოკვლა — ძალზე ჩვეულებრივი და ბუნებრივი ამბავი გახლდათ! აღარაფერი აღარ იყო წმინდა და შეუბღალავი — არანაირი გრძნობა. ასე მოსწონდათ, ასე ეამებოდათ, ასე სურდათ ყიზილბაშებს, მაგრამ, შენთვის მოსაწონს სხვასაც რომ მოახვევ თავს და აიძულებ, ასევე მოსწონდეს, ასევე იწამოს, ასევე იფიქროს — ეს ძალდატანება ადამიანის ნებაზე, მის სურვილზე, მის გრძნობაზე — აღაშფოთებდა ყოველ გონიერ არსებას.

ეს აღშფოთება ედო საფუძვლად, ერთი მხრივ, ქართველ ქრისტიან და, მეორე მხრივ, მაჰმადიან სპარსთა თუ ოსმალთა ურთიერთობას.

ამას ახლა განსაკუთრებული სიმწვავითა და სიცხადით ხედავდა ტყვე დედოფალი, ქალი, რომელიც განსწავლული იყო „სარწმუნოებებითა და ჰსჯულდებულებითა, სწავლულ სამღვდელოთა წერილთა და სათნოებათა მომგები“.

ქეთევან დედოფალი ყოველდღე ხედავდა თავის თვისტომთა დაცემისა და დაკნინების, გადაგვარებისა და გადარჯულების შემზარავ სურათებს. ქართველობამ ყველაფერი დაკარგა: სამშობლო, ცოლ-შვილი, და-ძმა, ნათესავები, ახლობლები, ქონება, სახლ-კარი.

აყრილი ქართული მოსახლეობა, ვინც გადაურჩა შიმშილს და სიკვდილს, მიმოფანტეს ირანის სხვადასხვა პროვინციაში, „იმათი რიცხვი ისეთი დიდი არის, რომ დღეს არ მოიპოვება არც ერთი სახლი მთელ სპარსეთში, რომელიც სავსე არ იყოს ამისთანა ქართველებით: კაცითა თუ ქალით“-ო, — შენიშნავს პიეტრო დელა ვალე.

ქართველთა საშინელი ხვედრის გამო გულშეძრული იტალიელი თავის დღიურში ჩაწერს: „ყველაფერი ეს ჩხვლეტს ყოველი კეთილგონიერი ადამიანის გულს“.

ცნობილია, რომ შაჰი განსაკუთრებული სისასტიკით სწორედ მართლმადიდებელ ქრისტიანებს სდევნიდა და ავიწროებდა, მაშინ, როდესაც გარკვეულად „მფარველობდა“ კიდეც ქრისტიანთა სხვადასხვა მიმდინარეობას: კათოლიკობას, გრიგორიანობას...

პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ თავადაზნაურობამ, მხედრობის უმეტესობამ და ბევრმა მდაბიოთაგანმაც მიიღეს მაჰმადიანობა, ზოგმა პატივმოყვარეობის და ზოგმა სიხარბის გამო, რადგანაც რჯულის გამოცვლისათვის მოელიან რაიმე საჩუქარს ხელმწიფისაგან, რომელიც ძლიერ გულუხვია ასეთების მიმართ, ზოგიერთები კი იძულებული არიან მაჰმადიანობა მიიღონ, რომ შიმშილით არ მოკვდნენ... ამისთანა მაჰმადიანებით ხელმწიფის ჯარი გავსებულია, მათი რიცხვი თანდათან მატულობს შაჰ-აბასის მოხერხებულობის წყალობითო... ირანის ჯარის მთავარი ძარღვი ამჟამად შედგება გამაჰმადიანებული ქართველი მხედრებისაგან — მათი რიცხვი 30-ათასამდე აღწევსო. თუმცა იტალიელი მოგზაური იქვე შენიშნავს, ბევრია ისეთებიც, ვინც მოჩვენებითად იღებს მაჰმადიანობას, ფარულად კი ქრისტიანი რჩებაო.

დიახ, ბევრი ვერ უძლებდა ცთუნებას: ქართველ მხედრებს კარგ გასამრჯელოს აძლევდნენ, მათ მამაცობას დიდად აფასებდნენ. გერმანელი მწერალი და მოგზაური ებერჰარდ ჰაპელი, გამოხატავს რა იმხანად საზოგადოდ განმტკიცებულ აზრს ქართველებზე, წერს: „ქართველები საუკეთესო მებრძოლები არიან და ერთს შეუძლია გაუმკლავდეს 20 თურქს“-

ო. სეფიანთა სამსახურში მრავალი ნიჭიერი ქართველი დაწინაურდა. თუნდაც უნდილაძეების ანდა როსტომ და ბეჟან სააკაძეების და სხვათა მაგალითი რად ღირდა.

დიახ, ბევრი ვერ უძლებდა ცთუნებას და... ღალატის გამართლების „საბუთებსაც“ პოულობდნენ.

...საქართველო, როგორც ქვეყანა, უკვე აღარ არსებობს. აბა, რა სახსენებელია ის მცირერიცხოვანი მოსახლეობა, რომელიც გადარჩა? რას გააწყობს იგი უზარმაზარი, გარს მომდგარი მტაცებლების წინაშე? საქართველო, ანუ მისი დაქუცმაცებული, პატარ-პატარა კუთხეები კუნძულებივითაა, ოკეანის ტალღები რომ გამუდმებით ეხეთქება. ერთ მშვენიერ დღეს ეს ტალღები წალეკავენ კიდეც მას. საშველი კი არსაიდან ჩანს. ამაოდ ვუწვდით ხელს საშველად ჩრდილოეთის დიდ მეფეს თუ დასავლეთის ქრისტიან ქვეყნებს.

დიახ, სწორედ შაჰ-აბასის წადილია — ქართველობა უნდა გამაჰმადიანდეს, რათა, ასეა თუ ისეა, გადარჩეს. ამიტომ ერთ სულ და ერთ ხორც უნდა გახდეს იგი ყიზილბაშებთან.

დაიღალა ქართველობა განუწყვეტლივ ხმლის ქნევაში. დაიღალა და დაილია. და, საერთოდაც, რა სიკეთეა, იყო ისეთი ერის შვილი, რომელსაც დასაბამიდან მოაქჟამამდე ერთი მიზანიღა, ერთი საზრუნავიღა დარჩენია — ვიქნებით, არ ვიქნებით? გავუძლებთ, ვერ გავუძლებთ? მოვისპობით, არ მოვისპობით? გადავიტანთ, ვერ გადავიტანთ? ყველა ადამის მოდგმაა ბოლოს და ბოლოს. ჰოდა, რა ბედენაა: ქართველი ვიქნები თუ სპარსელი, თურქი თუ სხვა ვინმე?

განა ვინმეზე ნაკლებია იმამ-ყული ხან უნდილაძე — შირაზის ხანი და ირანის ყულარაღასი — თავისი მაჰმადიანობით? ჭკუით ან სიმამაცით, შეძლებით ან ძალაუფლებით ჩამოუვარდება ვინმეს? მისი სამფლობელო ათჯერ აღემატება მთელ ქართლსა და კახეთს — ერთად აღებულს და ზედ მიყოლებულ დასავლეთ საქართველოს. და განა რითი მოიპოვეს ესოდენ დიდი პატივი და დიდება უნდილაძეებმა? იმით, რომ მაჰმადიანნი არიან და ერთგულად ემსახურებიან ხელმწიფეს...

მწარე ღიმილით უსმენდა დედოფალი ამგვარ მსჯელობებს. შირაზის ხანი დიდი საბუთი იყო ყოველი გამაჰმადიანებული ქართველისთვის. იმამ-ყული ხანი — მაჰმადიანი ქართველი — ფაქტობრივად, მეორე პირი იყო ირანში შაჰის შემდეგ. მამამისის — ალავერდი ხან უნდილაძის — პირველი ყულარაღასის და გამოჩენილი სახელმწიფო მოღვაწის — დამსახურება იყო შაჰ-აბასის აღზევება. შაჰ-აბასი მას მამას ეძახდა და უდიდეს პატივს სცემდა. მისი სიკვდილის შემდეგ ფარსის ბეგლარბეგობა მის ვაჟს — იმამ-ყული ხანს უბოძა, რომელსაც შემდეგ თეიმურაზ პირველმა ქება უძღვნა, „შირაზის ხანის ქებასა ვერ იტყვის ბრძენთა ენანი“-ო.

შირაზის ხანი, დიახაც რომ, ცოცხალი მაგალითი იყო იმისა თუ როგორ შეიძლება აღზევდეს გამაჰმადიანებული ქართველი შაჰის კარზე.

„აღტაცების ვარდმა“, — როგორც ეძახდნენ იმამ-ყული ხანს უცხოელი მოგზაურნი, — აღაშენა თავისი პროვინცია, მოინადირა ხალხის გულიო. ცნობილია ისიც, რომ ერთხელ შაჰ-აბასს უთქვამს: კარგი იქნება, იმაზე ერთი შაურით ნაკლები დახარჯო დღეში, რასაც მე ვხარჯავ; მცირეოდენი განსხვავება მაინც ხომ უნდა იყოს შაჰისა და ხანის ხარჯებს შორისო.

რითი დაიმსახურეს შაჰის ასეთი ნდობა უნდილაძეებმა? ცხადია, უსაზღვრო ერთგულებით თავისი პატრონისადმი, უსაზღვრო ერთგულებით იმ დამპყრობლური ზრახვებისადმი, რითაც შაჰები იყვნენ გამსჭვალულნი. ხოლო შაჰ-აბასის გეგმებში, როგორც ცნობილია, ქართლ-კახეთის დაპყრობაც შედიოდა, ანუ მისი სრული მოსპობა და განადგურება, რასაც თითქოს მიაღწია კიდეც. სახელმწიფოს მეორე კაცი კი, არ შეიძლებოდა, ამ იდეის ერთგული არ ყოფილიყო, ესე იგი, ქართლ-კახეთის მოსასპობად მასაც,

ბუნებრივია, ხელი უნდა გამოეღო. ყოველ შემთხვევაში, ჩუმი დასტურიც საკმარისი იქნებოდა.

იმამ-ყული ხანი ფრიად სასიამოვნო გარეგნობისა ყოფილა. ღვინის სმაც უყვარდა და, სპარსეთის სხვა კუთხეებისგან განსხვავებით, ღვინოსაც აყენებდა თურმე თავის სამფლობელოში, ჰარამხანაც ისევე ჰყავდა სავსე ქართველი ქალებით, როგორც ყველა დანარჩენ ხანს, ქველმოქმედიც იყო და ქრისტიანებსაც სწყალობდა „ხანდახან“. განსაკუთრებით უხიფათო იქნებოდა მისთვის კათოლიკეებზე „მზრუნველობა“, რამეთუ ზოგჯერ მათ შაჰიც „მფარველობდა“ ხოლმე.

ქეიფის, ქალების, გართობის მოყვარული იმამ-ყული ხანი უმამაცესი ვაჟკაცი იყო ბრძოლებში, დაუზოგავად ღვრიდა ქართველ ღულამთა სისხლს ირანის განსადიდებლად! მაგრამ ერთი რამ ვერ განჭვრიტა გონიერმა ხანმა — დრონი რომ მეფობენ და იცვლებიან. და რომ შაჰ-აბასის სიკვდილის შემდეგ მისი ბედის ჩარხიც უკუღმა დატრიალდებოდა. ვერ განჭვრიტა, რომ, როგორც უნდა ემოღვაწა, ებრძოლა, რანაირადაც უნდა გამოედო თავი შაჰისთვის, ის მაინც უცხო თესლი იყო ირანისთვის. მისი წარმომავლობა, ანუ უკეთ — გურჯობა, მაინც ეკლად შეესობოდათ ყიზილბაშებს, შურითა და ფარული ბოღმით აღავსებდა მათ გულებს. სხვის კარზე მოღვაწე კონდოტიერთა საერთო კანონზომიერ ხვედრს ისიც ვერ აიცდენდა.

ქეთევან დედოფალს განსაკუთრებული პატივისცემით ექცეოდა თურმე ირანელი დიდმოხელე. პირადი სიმპათიის გამო? ან იქნებ ესეც შაჰის ერთგულებით იყო ნაკარნახევი? ამ მოკრძალებისა და პატივისცემის მიღმა ხომ არ იყო ერთი ფარული მიზანი: აი, მე, გაყიზილბაშებული ქართველი, რამხელა მწვერვალს მივწვდი; შენ, დედოფალმა, დედამ უნდა დაინახო ეს მომავალი შენი შვილისთვისაც, შენი თეიმურაზისთვისაც: შენ, დედას, შეგიძლია ჩააგონო შენს შვილს...

შენ შეგიძლია მაგალითი მისცე შენს შვილიშვილებს და შენს მხლებლებს, ირანში მცხოვრებ ყველა ქართველს!..

ბევრი რამ შეუძლია თურმე ტყვე დედოფალს. დედოფალმა კი...

„მიიღო ძლევაი ხორცთა ზედა... თავი თვისი შეასაკუთრა ლოცუათა და ფსალმუნებათა ღამისა და დღისათა... ყოველნი საღმრთონი წიგნი, ხატნი და ნაწილნი წმიდათა თანა აქუნდეს“...

შირაზის ხანის სასახლიდან, მთელი მისი აღნაგობიდან გადმოჩქეფდა ამქვეყნიური სიცოცხლის ხალისი და წყურვილი, ხორციელი შვება და სიამე, ამა სოფლის სიტკბო და მიმზიდველობა. დღენიადაგ იღვრებოდა საამო ჰანგები სასახლეში: მეჩანგენი, მეთარენი, მესაზანდრენი ატკბობდნენ მის სმენას, სიამისა და ნეტარების ბადეში ხვევდნენ „აღტაცების ვარდს“ — იმამ-ყული-ხან უნდილაძეს; მისთვის ცეკვავდნენ და გველივით იგრიხებოდნენ ჰარამხანის მზეთუნახავები. მხოლოდ აქ, ამქვეყნად არის სამოთხე და ედემი და ეს სამოთხე და ედემი — შირაზის ხანის სასახლეაო.

წყნარი ღიმილით შესცქეროდა ქეთევან დედოფალი „სვეტედნიერ“ დიდკაცს, ზრდილობიანი ყურადღებით უსმენდა და გუნებაში ერთი კითხვა უტრიალებდა: „მერე, რაი მერე?“.

„ყოველივე გამომიცდია: ამა ქვეყნის ძირმწარეცა და სიტკბოც, სიყვარულიც და სიძულვილიც, მტრობაც და ერთგულებაც, დანაკარგის ტკივილები და სიმწარე, მაგრამ ყველაფერი ეს წარმავალია, ამაოა. ყოველივე იქცევა მტვრად და ნაცრად. წაიშლება და დავიწყების ფერფლი მიეყრება. წარუვალია ერთი რამ: სულის სიდიადე, მისი სიწმინდე, სული, ვისაც სტკივა სხვათა სატკივარი, იტანჯება სხვათა ტანჯვით, ხარობს სხვათა სიხარულით. სული, რომელიც მარტო საკუთარი ნაშობის სიყვარულით არ ცოცხლობს, სული, რომელიც აი, იქ, იავარქმნილ, გაპარტახებულ და გავერანებულ მამულს დასტრიალებს, სული, რომელიც

გოდებს თავისი ერის წყლულთა და ჭრილობათა გამო“.

***

ქართლს გამაჰმადიანებული ბაგრატიონი მართავდა, კახეთს — ყიზილბაში ფეიქარ-ხანი.

ქართლი და კახეთი თურქმენთა ველური ტომებით დაასახლეს.

თეიმურაზი ახლა თურქეთს უხმობდა საშველად. თუმცა კარგად იცოდა, რომ თურქეთიც და ირანიც ფოცხვერი და ბაბრი იყო ქართველთათვის.

ლუარსაბი ისევ გულაბის ციხეში იტანჯებოდა. იგი მტკიცედ და შეუპოვრად იცავდა თავის ქართველობას იმ ერთადერთი იარაღით, რაც მარტოობაში შერჩენოდა — ქრისტიანობით. შაჰ-აბასმა ყველაფერი წაართვა მას — მეფობა, სახლ-კარი, ახლობლები, ქვეყანა. შეუძლია ყოველ წუთს, ყოველ წამს გამოასალმოს სიცოცხლეს, მაგრამ სულზე ხელი ვერ მიუწვდება, სული ხელთუპყრობელია. ეს იცის სახარებაზე აღზრდილმა ლუარსაბმა, ეს იცის ქეთევანმა. ამას ვერასოდეს გაიგებს ვერც ერთი მტარვალი და მოძალადე.

1618 წელი. ოსმალეთი ვერ ურიგდება ირანის გაძლიერებას.

ხონთქრის ჯარი სპარსეთში შეიჭრა; ოსმალთა ჯარის ავანგარდში სამი ათასი ქართველი მხედარი იმყოფებოდა. თეიმურაზის მეთაურობით ისინი არდებილს მიადგნენ — სეფევიდების დინასტიის ფუძისჩამყრელ ქალაქს. შურისძიების წადილით ანთებული თეიმურაზი მის მიწასთან გასწორებას იმედოვნებდა, მაგრამ ოსმალებმა წარმატებას ვერ მიაღწიეს და უკან გამობრუნდნენ.

თეიმურაზის გეგმები ჩაიფუშა. მან კვლავ რუსეთს მიმართა დახმარებისთვის, მაგრამ რუსეთს სულაც არ უნდოდა, ურთიერთობა გაეფუჭებინა ირანთან, რომელთანაც იგი „მეგობრულ“ კავშირში იყო. მაგრამ „რატომღაც“ თავისი

ხელდებული ივერიისთვის მაინც „ზრუნავდა“ და დიპლომატიური გზით ცდილობდა შაჰზე ზეგავლენის მოხდენასა და თეიმურაზისა და ლუარსაბის დაბრუნებას თავის სამეფოებში. ეს ჩარევა შაჰ-აბასს უფრო აღიზიანებდა.

რუსეთის მეფეს სურს ლუარსაბის გამოხსნა? მაშ, ლუარსაბი უნდა მოკვდეს. და შაჰის ბრძანებით გულაბის ციხეში მოაშთობენ ლუარსაბ მეფეს. ძმის მკვლელობა აღაშფოთებს შაჰის ცოლს? მაშინ მისი თავიდან მოცილებაა საჭირო. სახიფათოა, მრავალთა შორის თუნდაც ერთ-ერთ ცოლად გესვას გაბოროტებული ქართველი ქალი. ვინ იცის, რას მოიმოქმედებს იგი ხელსაყრელ ჟამს? ქართველი ქალის უნდა ეშინოდეს შაჰს, რამეთუ გურჯი ქალი, თუ გარემოებამ მოიტანა, „უშიში ხდება, ვითარცა უხორცო“. და ყაენი თავის „საყვარელ“ ცოლს, დიდი სიმონის შვილიშვილს, უმშვენიერეს და უგონიერეს ლელა ბაგრატიონს აძლევს ფეიქარ ხანს (სხვათა შორის, თეიმურაზის ქალიშვილმა თინათინმაც გაიზიარა ლელა ბაგრატიონის და, საერთოდ, ბევრი ქართველი ქალის ხვედრი ჰარამხანაში: იგი ჯერ შაჰმა შეირთო ცოლად, შემდეგ კი ლორისტანის ხანს უსაჩუქრა!).

მაშ, ლელა ბატონიშვილი ნივთივით გასაჩუქრებულია. ლუარსაბი მკვდარია. ვინღა რჩება? თეიმურაზის ბოკვერები და ქეთევან დედოფალი.

მისიონერთა რელაციონების მიხედვით, შვილიშვილებს არასოდეს ანახვებდნენ დედოფალს. თავადაც ტუსაღივით იყო ქეთევანი, მარტო შირაზის ხანთან თუ შეეძლო მისულიყო ხანდახან. მისი ამალის წევრებს აკრძალული ჰქონდათ სახლიდან გასვლა. მათ ყოველ ნაბიჯს მსტოვრები უთვალთვალებდნენ.

რისთვის დავისაჯენით ასე სასტიკად, ესმოდა ზოგჯერ დედოფალს თავის მხლებელთა ჩუმი ჩივილი...

„ცოდვათა ჩვენთა გამო... და იმისთვისაც, რომ ქართველები ვართ!“ — ამბობდა გულში, ხმამაღლა კი იტყო-

და, შაჰი ღალატს გვაბრალებსო.

„მერედა, რატომ უნდა ვყოფილიყავით შაჰის ერთგულნი? ჩვენ ხომ ყიზილბაშები არა ვართ, რომ ვუერთგულოთ ყაენს. ჩვენ, ქართველები ვართ“-ო, — დრტვინავდნენ კვლავ სასომიხდილნი.

„იმიტომ, რომ ძალით გვერევიან!“

„იმიტომ, რომ ძალა აღმართსა ხნავს!“

„იმიტომ, რომ გამარჯვებული მოძალადე ყოველთვის მართალია!“ ...მართალია ამა ქვეყნის წინაშე, მაგრამ არსებობს დიდი მსაჯული — უფალი ჩვენი, რომლისთვისაც არაფერია დაფარული ცისქვეშეთში. და მაშინ: „ვაი შენდა, ქორაზინ, და ვაი შენდა ბეთსაიდა!.. ხოლო შენ, კაფერნაუმ, ნუ ცამდე აჰმაღლდები, არამედ ვიდრე ჯოჯოხეთამდე შთაჰხდე, ვითარმედ სოდომს, თუმცა იქმნნეს ძალნი, რომელნი იქმნეს შენ შორის, ჰგიანმცა დღენდელად დღედმდე“.

დიახ, ამჩნევდა დედოფალი, რომ მისი ამალის წევრებსაც ღალატობდათ ბოლო ხანებში მოთმინების გრძნობა: „ერთხელ სჯობია სიკვდილი ნიადაგ შეღონებასა“-ო, — გულმწარედ დაიღიღინებდა ხანდისხან ზოგი მათგანი: „იმ დალოცვილ ღმერთს არ სჯობდა, თუ სიკვდილი იყო, ბარემ მოვესპეთ ერთხელ და სამუდამოდ. აბა, რა სიცოცხლეა ჩვენი სიცოცხლე? ნიადაგ სიკვდილის მოლოდინში ვართ. სუყველა ჩვენს გადაყლაპვას ცდილობს, სუყველას ჩვენი ჯავრი სჭირს, სუყველას ჩვენ ვეჩხირებით თვალებში და ყელზე ვადგავართ!“

„ჩვენი ქვეყანა და ჩვენი ერი ღვთისგანაა დალოცვილი და კურთხეული, — იტყოდა ხმამაღლა დედოფალი, — ჩვენ ყოვლადწმინდას მადლი გვიფარავს და გვიცავს. რა ვუყოთ, რომ ხშირად ვიტანჯებით. ეს ჩვენი გამოცდაა ამქვეყნიური, რათა იქ, სასუფეველში მოგვეზღოს სამაგიერო იმ ტანჯვისათვის, რასაც აქ განვიცდით“. ხოლო მარტოდმყოფი, ხელაპყრობილი, ჩუმად ლოცულობდა დედოფალი:

„ღმერთო, მიეცი ძალი სიკეთესა ერისასა ჩემისა“.

„ნეტარ იყუნენ, რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განსძღენ“.

„ნეტარ იყუნენ მგლოვარენი გულითა, რამეთუ იგინი ნუგეშინისცემულ იქმნენ“.

...ხედავდა შაჰ-აბასი, რომ ქეთევანი თავისი სიმტკიცით, თავისი ქედუხრელობით უფრო და უფრო საშიში ხდებოდა. აკი, უთხრეს კიდეც გამაჰმადიანებულმა ქართველებმა, ჩვენი დედები და ცოლები იმიტომ არ გადადიან მაჰმადის რჯულზე, რომ ქეთევანს უყურებენ: თუ თეიმურაზის დედა ქრისტიანია, ჩვენ რატომღა უნდა გავთათრდეთო.

თეიმურაზი არ ცხრებოდა. ხან ხონთქართან გარბოდა დახმარების სათხოვნელად, ხანაც რუსთა ხელმწიფეს მოუხმობდა საშველად. თეიმურაზის რუსეთისკენ ასეთი სწრაფვა მაშინ, როდესაც ირანი თვით ცდილობდა ასეთივე დაჟინებით კახეთის ხელში ჩაგდებას, რასაკვირველია, შაჰ-აბას I-ს არანაკლებ ამძვინვარებდა: აქეთ კიდევ რუსთა ელჩები ჟამიდან ჟამზე შეახსენებდნენ ხოლმე ყაენს, წყალობა მოიღე და გაათავისუფლე მძევლებიო.

...და კიდევ ერთი შემზარავი ტრაგედია დატრიალდა შაჰის სასახლეში — ესოდენ ჩვეულებრივი და ნაცნობი ყიზილბაშთათვის: უმშვენიერესი ყმაწვილები, რომელთა სილამაზე, მოხდენილობა, ნიჭიერება თავად მტრების განცვიფრებასა და აღტაცებას იწვევდა — პირუტყვებივით დაკოდეს (ან ვით შეაკრთობდა შაჰ-აბასს ეს საზარელი ქმედება სხვათა შვილების მიმართ, როცა მზად იყო, საკუთარი შვილებისთვისაც ყელი გამოეღადრა!).

უმცროსმა ვერ გაუძლო ამ არაადამიანურ მოქმედებას და გული გაუსკდა, უფროსი კი ჭკუიდან შეიშალა (ანტონ კათალიკოსი აღნიშნავს, ამ შეშლილმა ღრმა სიბერემდე მიაღწია და მას დედაჩემიც მოსწრებიაო).

დედოფალს უმალავდნენ ამ შემაძრწუნებელ ამბავს, მაგრამ დედოფალი კარგად იცნობდა შაჰს — იცოდა, მისი

შვილიშვილები განწირული რომ იყვნენ

თეიმურაზ I პოემაში „ქეთევანიანი“ დედოფლის ამ პერიოდის სულიერ და ფიზიკურ მდგომარეობას ასე გადმოგვცემს:

„მოთქმისა, ტირილისაგან მოაკლდეს თვალთა ნათელი,
სიბრწყინვალე და სინათლე, აღარა ჰქონდეს ნათელი,
ბაგე და კბილი მოშლოდეს, ძოწ-მარგალიტთა ნათელი“.

ქეთევან დედოფალს მიაწერენ მკვლევარები „ფისტიკაურად“ წოდებულ ანბანთქებას, ანუ საგოდებელს...

პიეტრო დელა ვალე აღნიშნავს, რომ დედოფალი „დიდის სიმტკიცით ადგა ქრისტეს სარწმუნოებას... მაგრამ იმ დროს მას გვერდით არ ჰყავდა არც ერთი თავისიანი მღვდელ-მთავარნი. წირვა-ლოცვის შემსრულებელი... ერთი კი ჰყავდა წინათ... მაგრამ... მაჰმადიანებს ეგონათ, რომ ის იმაგრებსო დედოფალს და რაკი მოშორდება, დედოფალიც გადაუდგება თავის სარწმუნოებასო და ამისთვის მას შესწამეს, არ ვიცი, რაღაც დიდი დანაშაულობა და მოკლეს. ის მოკვდა... შირაზში, თავდადებული სარწმუნოებისათვის და აღსავსე დიდის მოთმინებითა“... (გრიგოლ ორსინოს ცნობით, ამ ბერს მოსე ერქვა. სწორედ მისი მეშვეობით დაუმყარებია ურთიერთობა ესპანელ ელჩს, ფიგეროას, დედოფალთან. ირანელებს ეჭვი რომ არ აეღოთ, ფიგეროამ ვერ გაბედა დედოფლის პირადად გაცნობა... ამ ბერს უჩვენებია ელჩისთვის ორი ქართული წიგნი მშვენივრად მოკაზმული — ფსალმუნნი და სახარება. ელჩს მოსწონებია ბერი. შემდეგ ფიგეროა ადასტურებს დელა ვალეს სიტყვებს და წერს, ბერი ირანელებმა სასტიკად აწამესო). „მეორე მღვდელთაგანი, — განაგრძობს პიეტრო დელა ვალე, — რომელიც ქეთევან დედოფალს თან ჰყავდა... იყო ვითარცა მოურავი. განაგებდა მთელ მის სახლს და უფრო კარისკაცად ჩაითვლებოდა, ვიდრე სხვა რამეთ...

ის არასოდეს სწირავდა“. ეს ხუცესი — მოურავი გიორგიმებაღე ყოფილა, რომელიც შირაზის ხანის ბაღსაც უვლიდა და, საზოგადოდ, უცხოელთა აზრით, ქართველები საუკეთესო მებაღენი და მევენახენი იყვნენ და ირანში დიდად ფასობდა თურმე მათი ხელობა...

დედოფლის ნუგეშინის ცემას ცდილობდნენ ევროპელი პატრები, ხოლო იტალიელი მოგზაური დელა ვალე თავდადებულ მეგობრობას სთავაზობდა ქეთევანს, რომლის სიმშვენიერე, გონიერება და განწირულობა მისი უბედური ქვეყნის მშვენიერებისა და განწირულობის ტოლფარდ სიმბოლოდ ქცეულიყო იტალიელისთვის. პიეტრო დელა ვალეს თვალით არ უნახავს საქართველო, მაგრამ ამ უბედური და მშვენიერი ქვეყნის ტრაგიკული ხვედრი ტკივილით წურავდა მგრძნობიარე, რაინდული ბუნების მქონე იტალიელის გულს და მთელ მის არსებას აღანთებდა სურვილით, რითიმე ეწამლა აღმოსავლეთში მდებარე ამ პატარა ქრისტიანული ქვეყნისთვის, სისხლის წვიმები რომ აწვიმდა დასაბამითგან და არავის სურდა, უანგაროდ გამოეწოდებინა მისთვის მაშველი ხელი, უანგაროდ შეხიდებოდა, გაეწია მეგობრობა ისე, როგორც ეს მის ღირსეულ შვილებს შეეძლოთ. არავინ ჩანდა ისეთი, ვინც უწამლებდა და დაუყუჩებდა ტკივილებს, მოუშუშებდა იარებს.

სწორედ ამ უანგარო სიყვარულისა და თანაგრძნობის აღძვრას ცდილობდა პიეტრო დელა ვალე, როცა რომის პაპს უგზავნიდა თავის რელაციონებს. ამ უანგარო სიყვარულის გამოწვევა სწადდა მას თავის წიგნებშიც, სადაც საოცარი გულისტკივილით, გულმართლად და ჭირისუფლის კილოთი აღწერს ტანჯული ქვეყნის ტრაგიკულ თავგადასავალს. პიეტრო დელა ვალეს კეთილშობილი გული თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ამ გაუბედურებულ ქვეყანას და ხალხს, თუკი იგი ოდესმე აღდგებოდა, არც მომავალში უნდა ჰქონოდა უანგარო თანადგომის იმედი, რომ მარტოდ-

მარტო მოუწევდა ხმლის ქნევა და უმძიმესი ტკივილების გადატანა. გულწრფელი მეგობრობის ნაცვლად მზაკვრულად, ვერაგულად ეცდებოდნენ მის დათრგუნვას, მოსპობას, გადაშენებას, ტკბილი ღიმილითა და შხამიანი გულით დაუგებდნენ მახეს. არ დაინდობდნენ ის დევნილნიც, მის კალთას რომ იყვნენ შეფარებულნი: ყოველ ხელსაყრელ ჟამს შეეცდებოდნენ, მისსავე სულიერ თუ ნივთიერ განძს დაპატრონებოდნენ, მტაცებლის ჟინითა და უძღომელობით შეეცილებოდნენ მისსავე მიწა-წყალს, უფსკრულში გადასაჩეხად გაიმეტებდნენ.

დედოფალი გულით გრძნობდა ამ კეთილშობილი იტალიელის წმინდა განზრახვას და წადილს, როგორმე მალამოდ დადებოდა მისი ქვეყნის ჭრილობას: სულის სიმძიმილის ჟამს უფალმა მოუვლინა მას ეს სპეტაკი ადამიანი, მოუვლინა ჭეშმარიტი, ნამდვილი ნუგეშინისმცემლები კათოლიკე პატრების სახით.

ევროპელ პატრებთან ურთიერთობის დროს ქეთევან დედოფალმა ერთხელ კიდევ იგრძნო სიმწვავე იმ სიტყვებისა, რაც იოანე საბანისძემ მრავალი საუკუნის წინათ თქვა: „ყურესა ამა მცირესა დაშთომილ ვართ“. ვაი, რომ ამ მცირე ყურესაც აღარ გვანებებენო, სევდიანად ფიქრობდა დედოფალი; ევროპისთვის და, საერთოდ, დანარჩენი მსოფლიოსთვის ამ მამაცი, ქრისტეს რჯულისთვის თავგამოდებული ხალხის ტრაგედია, მარტო, პირისპირ რომ შერჩენოდა უძლიერეს იმპერიებს — მხოლოდ შორიდან ჭვრეტის ობიექტად ქცეულიყო. ამისდა მიუხედავად, საქართველო მაინც იმედისა და სათნოების თვალით შესცქეროდა დასავლეთს — ქრისტიანული ცივილიზაციის საყრდენს.

ქეთევანი სალოცავად ხშირად დადიოდა პორტუგალიელი მისიონერის, მამა ამბროზიოს ეკლესიაში და უფლის მიმართ მხურვალე ლოცვას აღავლენდა, რამეთუ იესო ქრისტე ჭეშმარიტი უფალი და მოწყალე ღმერთი იყო ყველა ქრისტიანისთვის, რომელ ფრთასაც არ უნდა შეჰკედლებოდა იგი, მაცხოვრის წინაშე — ყველანი თანაბარნი იყვნენ. დიახ, დედოფლისთვის უცხო რჩებოდა ის შეუწყნარებლობა, რაც ზოგჯერ თავს იჩენდა კათოლიკე და მართლმადიდებელ სასულიერო პირთა ურთიერთობაში. შემწყნარებლობა და ლმობიერება ყოველი აღმსარებლობის მიმართ მას ძვალსა და რბილში ჰქონდა გამჯდარი, როგორც თავისი მშობელი ერის ღირსეულ შვილს. დედოფალი სასოებით ინახავდა პიეტრო დელა ვალესგან მოძღვნილ ღვთისმშობლის ხატს. თავის მხრივ კი დედოფალმა პატრებს ლათინურად დაწერილი წიგნი და ხატი უსახსოვრა.

დიდმარხვობაზე ქეთევანმა შეუთვალა მამა ამბროზიოს, მისგან აღსარება მიეღო, ხოლო წმ. ავგუსტინეს დღესასწაულის დღეს დედოფალმა თავისი სამლოცველოდან ხატები, შანდლები და ხალიჩები გაუგზავნა ეკლესიის მოსართავად. მერე თვითონაც მივიდა და მოისმინა მესა. დიდხანს ლოცულობდა ღვთისმშობლის ხატის წინ დამხობილი დედოფალი.

პატრებმა — ამბროზიომ და გრეგორიმ მოწიწებით გამოაცილეს დედოფალი კარებამდე. მაშინ რას წარმოიდგენდა დიდებული დედოფალი, რომ სწორედ ამ კათოლიკე ბერების მეშვეობით ევროპას მოედებოდა მისი გმირობისა და თავგანწირვის ამბავი, რომ სხვადასხვა ერის შვილები: გერმანელი თუ ინგლისელი, ფრანგი თუ ჰოლანდიელი, იტალიელი თუ პორტუგალიელი — აღწერდნენ მის მოწამებრივ სიკვდილს და ქებათა ქებას მიუძღვნიდნენ ქალის გაუტეხელ სულს, რომ ინდოეთის ქრისტიანთა წმინდანად იქცეოდა ქართველი ქალი, რომ მე-17 საუკუნის გერმანელი პოეტი და დრამატურგი გრიფიუსი მომავალ თაობებს გადასცემდა მის ამაყ სიტყვებს: „ოდესმე ეტყვით საქართველოს, რაც უნდა მოხდეს, ის არ წახდება, ვისაც ძალუძს, ჩემსავით მოკვდეს“.

...დედოფალი სულ უფრო და უფრო განმარტოებული რჩებოდა თავის თავთან. იგი გუმანით ხვდებოდა, რომ მის შვილიშვილებს საშინელი ხვედრი არგუნა ბედმა. გრძნობდა,

რომ შირაზის ხანის დათაფლული ღიმილისა და სიტყვების მიღმა იმალებოდა სასტიკი სინამდვილე, გულმოდგინედ რომ უმალავდა ყველა.

მარტოდ დარჩენილი დედოფლის აზრი და გონება დაჟინებით, ჩაციებით უტრიალებდა ერთსა და იმავეს: საიდანაა ამდენი სისასტიკე ადამიანში? როგორ შეუძლია ადამიანს — ნაშობს დედაკაცისას — დედას მკერდიდან ჩვილი აგლიჯოს და ქვაზე დაანთხევინოს ტვინი? ცხენის ფლოქვებით გადათქეროს უმწეო ბალღები, მშობლების თვალწინ ნამუსი ახადოს ქალიშვილს, ჩაიდინოს ათასგვარი სიბილწე... როგორ შეუძლია ადამიანს, თუნდაც ჯალათს, ცოცხალი თანამოძმე ნაწილ-ნაწილ დაგლიჯოს კბილებით, მოაჭამოს ცხვირი, ყური, ასო-ასო აქნას და შესანსლოს, როგორც ამას სჩადიან „თაჯი-ბიუკის“ და „ჩი-იანის“ რაზმელები... როგორ შეუძლია, შებილწოს და შეაგინოს ღვთისმსახურნი — ანთებული სანთლებით ხელში მლოცველნი? საიდან, რა ძალა კვებავს ამ სიძულვილს, მტრობას, ბოროტებას, უზნეობას?

„თქვენ ხომ არ გინდათ ბრძანოთ, დედოფალო, რომ ეს სისასტიკე მარტო ირანელთა თვისებაა? ადამიანის მოდგმას თავიდან მოსდევს ცოდო-ბრალი. კაენმა მოჰკლა ღვიძლი ძმა... ქრისტიანებიც არანაკლებ სისასტიკეს სჩადიან ხანდახან“, — თითქოს ყურში ჩაესმოდა შირაზის ხანის სიტყვები.

„ქრისტიანები? ჭეშმარიტი ქრისტიანი, ისევე როგორც ყველა ნამდვილი ადამიანი, სისასტიკეს ვერ ჩაიდენს; მაცხოვარი ამბობს, გიყვარდეს მოყვასი შენი, ვითარცა საკუთარი თავიო. და განა მარტო მოყვასი? გიყვარდეს მტერნი თქუენნი და აკურთხევდით მწყევართა თქუენთა და კეთილსა უყოფდით მოძულეთა თქვენთა და ილოცევდით მათთვის, რომელნი გმძლავრობდნენ და გდევნიდნენ თქვენ“. ქრისტიანული ზნეობა ქადაგებს: „სულითა ვიდოდეთ. ხოლო ნაყოფი სულისა არის: სიყვარული, მშვიდობა, სულგრძელობა, სიტკბოება, სახარება, სარწმუნოება, მყუდროება, მარხვა, მოთმინება. ხოლო აწ ესერა ჰგიეს: სარწმუ-

ნოება, სათნოება და სიყვარული სამი ესე: ხოლო უფროსი ამათსა სიყუარულ არს“.

სიყვარული და სათნოება ქრისტიანული ზნეობის საძირკველია, მისი ქვაკუთხედია, ხოლო, როცა ეს საძირკველი მოირღვევა, ზნეობაც მოიშლება ხოლმე. გამუდმებული ომიანობა, აწიოკება-აოხრება, მომხდურთა განუკითხაობა, რა თქმა უნდა, ვერ გამოკვებავს და ვეღარ ასაზრდოებს გრძნობას სიყვარულისა, პირუკუ: იგი თრგუნავს და ახშობს მას და ამკვიდრებს და აფუძნებს სიძულვილს, შურს, მტრობას, ღვარძლს და, საერთოდ, ყოველგვარ ბოროტებას, აქვავებს გულს, სპობს მშვენიერების აღქმის უნარს.

რადგან აღარ არის ზრუნვა სულისთვის, რადგან ჩვენი ბერ-მონაზვნებიც კი ვეღარ იცლიან სულის სიღრმეების მოსახილველად, ლოცვისა და ჭვრეტისთვის: ერთ ხელში დავითნი უჭირავთ, მეორეში კი — ხმალი.

როცა ძლიერი იყო საქართველო, ძლიერი და ერთიანი — ნიკოფსიით დარუბანდამდის — სულკურთხეული აღმაშენებლის და თამარის დროს, მაშინაც არავინ არასოდეს დაუჩაგრავს, პირუკუ, ყველასთვის, ყოველი გაჭირვებულისა და დევნილისთვის მიუცია თავშესაფარი, არასოდეს არავინ შეუვიწროვებია სჯულის გამო... ებრაელი, თათარი, სომეხი — ყველა მშვიდობიანად ცხოვრობდა ჩვენში.

რადგან ქართველი კაცი მზადაა, ყველაფერი გაიმეტოს, ყველაფერი უშურველად მისცეს უცხოს, სტუმარს, მაგრამ, როცა ყივჩაღი ბოლოს ცოლის წართმევასაც მოუნდომებს, იძულებულია, ხმალს გაიკრას ხელი: „ან კი ცოლს როგორ მივცემდი, ქალსა გაზრდილსა სხვისასა“-ო. მასაც ხომ მშობლები ჰყავს, ისიც ადამიანია, დედაკაცია, უღლის გამწევი, ოჯახის დედაბოძი... განა ქართველი კაცის ნათქვამი არ არის: „ყველა ადამის შვილი ვართ, თათარიც ჩვენი ძმა არის“-ო (და ამას ამბობდა სწორედ მაშინ, როცა ყველაზე მეტად თათრისგან იყო გამწარებული!). ჩვენი დიდებული რუსთაველიც ამასვე ბრძანებს, ამასვე გვიქადაგებს და

გვასწავლის. ეს ჩვენი ერის ზოგადი თვისებაა, მისი ბუნებაა — შეურყვნელი, შეუბღალავი. ხოლო რა მოაქვს ყივჩაღობას, ყიზილბაშობას ჩვენი ერისთვის?

ამ კითხვაზე ცოტა მოგვიანებით გასცემს პასუხს ქართველი მემატიანე: „...შემოხდა უმეტეს პირველისა ქცევა და ზნენი ყიზილბაშთაგან და დაუტევებდნენ ქართულთა, იწყეს კეკლუცობა, განცხრომა, მათებრ სმა-ჭამა, სიბილწე, ტყვის სყიდვა, მრუშობა — ვიდრე სოდომიამდე, რამეთუ პატივსა თვის და როქთათვის იქმნებოდიან მაჰმადიან და მიიღებდიან ყეენისაგან როჭიკს“. პატივისა და როჭიკისთვისო, ანუ საზრდო-სანოვაგისთვის, ულუფისთვის ხდებიან მაჰმადიანნიო!

„რამეთუ განმრავლდა სიბოროტე... იწყეს იდუმალ ტყვის სყიდვა, ქვრივთა და ობოლთა — ვინაიდან არღარა იყო ზრუნვა სულიერი“.

მისიონერი პატრები და მოგზაურები მოგვიანებით ერთხმად აღნიშნავდნენ ქრისტიანული მორალის საყოველთაო დაცემას როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოში, რაც, უწინარეს ყოვლისა, ქვეყნის პოლიტიკურ-ეკონომიკური დაქვეითების ბრალი იყო.

გარდა იმისა, რომ იძულებულნი იყვნენ, მძევლებად მიეცათ თავიანთი შვილები, მერე და მერე უკვე ფეშქაშად უგზავნიდნენ დარჩეულ ქალ-ვაჟს ხან ირანის ყაენს, ხან თურქეთის ხონთქარს, ხანაც ორივეს ერთდროულად.

...მე-17 საუკუნის მისიონერი ბერის კრისტოფორო დე კასტელის ალბომიდან შემოგვცქერის მთელი წყება წარჩინებული თუ უბრალო გლეხი ქალებისა, რომელთაგან განსაკუთრებით შთამბეჭდავია მტირალი მონაზვნის ქრისტინეს სახე, ცხარე ცრემლებით რომ დასტირის თავის დედულმამულს, თავის გაუბედურებულ სულიერ შვილებს.

„იმ ქვეყანას ვტირი, რომელმაც ანტიკური ბერძნული სიბრძნე წარმოშვა... სადაც აღმოცენდა სამოთხე... სახელმწიფო... ახლა კი, უვიცობის წყარო გამხდარა, სადაც თავიანთი შემეცნების სიბრმავის გამო, ბევრი სიღატაკეში

ჩავარდნილა და სადაც ყველა ღმერთი მიტოვებულია... ეჰ, ვუმზერ საქართველოს და გული ცრემლებით მევსება, უწინ დედამიწის სამოთხე რომ იყო, იგი კვნესის ქაოსად გადაქცეული... ისე როგორ დაიქცა იგი, რომ ეს ადგილსამყოფელი ყაჩაღების მღვიმედ და სატანის მოხარკედ გახდა!“ — მოსთქვამს ქრისტინე და ეს არის მოთქმა-გოდება თავისი ერისა და ქვეყნის ტრაგიკული, გამოუვალი მდგომარეობით დაზაფრული ქალისა, რომელიც სასოწარკვეთილი თითქოს ფარ-ხმალს ყრის და სიკვდილს ნატრობს, სინამდვილეში კი, საჭიროების დროს, შემართული იბრძვის თავის თანამოძმეთა სულის გადასარჩენად. საგულისხმოა ის წერილი, ქრისტინეს რომ გაუგზავნია ელენე ათაბაგისთვის სპარსეთში.

გამაჰმადიენებულ მაჰმუდ ათაბაგს თავისი ასული გურიაში, დედულეთს გაუგზავნია, რათა მისთვის გამაჰმადიანების საფრთხე აეცილებინა. იგი მისიონერების ნამდვილი სულიერი მოწაფე გამხდარა. მაგრამ აქაც, გურიაში თავშეფარებულს, მისწვდა შაჰის ბრძანება: იგი შაჰ-აბასის ვაჟის — შაჰ-სეფის ცოლად წაიყვანეს სპარსეთში.

ელენე ათაბაგმა ვერ გაუძლო ცთუნებას და ქრისტიანობის უარყოფის გზას დაადგა თუ... დააყენეს. მას, როგორც ჩანს, აღარ ეყო ნებისყოფა, მიებაძა თავისი შორეული წინაპრის შუშან დედოფლისთვის, ქართლის მეფის არჩილის (VIII ს.) სილამაზით გამორჩეული უმცროსი ასულისთვის, ხაკანის ცოლობას სიკვდილი რომ არჩია: საწამლავი დალია და გამოესალმა სიცოცხლეს. ისევე, როგორც ლუარსაბ I-ის დატყვევებულმა დედამ უპატიურ სიცოცხლეს ამჯობინა სიკვდილი: „შესუა წამალი სასიკუდინე, და მოიკლა თავისი თავი, და არა შეიმთხვია უპატიობა თავსა თვისსა“.

და აი, ქრისტინე გულისწყრომით სავსე ბარათს უგზავნის ელენე ათაბაგს და მოაგონებს მოვალეობას ქვეყნისა და ღმერთის წინაშე. დე კასტელი არსად მოიხსენიებს ქრისტინეს ნამდვილ სახელსა და გვარს შემონაზვნებამდე და ეს

არც არის მთავარი, რადგან ქრისტინეს სახე აღიქმება, როგორც ჯვარზე გაკრული საქართველო.

„ცოდვათა ჩვენთა გამო მოიწივნეს სასიკუდინენი ესრე განსაცდელნი. ვაი, ჩვენდა, რამეთუ ვცოდეთ!“. ხოლო უცოდველთა და უბრალოთა სისხლი, თანამოძმეთა სისხლი ზეცას შეჰღაღადებდა. ეს სისხლი მძიმე ცოდვად აწვა ქვეყნის მესვეურთ.

„ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა“-ო, წუხდა მემატიანე და აკი, ამ მესისხლეობისა და შურის საბედისწერო შედეგები თავად გამოსცადა და იწვნია ქეთევან დედოფალმაც ჯერ მეუღლის, მამამთილის თუ მაზლის და, რაც ყველაზე გულსაკლავი იყო, — საფიცარი ვაჟის მეოხებით.

ტყუილუბრალოდ დაღვრილი სისხლი რჩეული ვაჟკაცის და პოეტის ქაიხოსრო ომანიშვილ-ჩოლოყაშვილის, შერმაზანის — ზედ ღვთისმშობლის საკურთხეველზე რომ დააკვლევინა დავითმა, და კიდევ რამდენის... ვინ მოთვლის!

ცუდი მაგალითი ქვეყნის მესვეურთა — ბაძვას იწვევდა, იგი ავი სენივით გადამდები იყო და ისედაც გარეშე მტრებისგან დაუძლურებულ და გაწამებულ ქვეყანას ეროვნულ ენერგიას აცლიდა, მტაცებელთა სათარეშოდ ხდიდა. ორიოდე საუკუნის შემდეგ ქართლის ჭირით შეურვებული დიდი პოეტი იტყვის: „ბაძვით მორცხვიც გაურცხვდების“-ო.

„და მოაწია ღვთის რისხვამ იმ ცოდვათა გამო, რაიც ჩავიდინეთ უფლის წინაშე, ქვეყნის წინაშე, ერის წინაშე და კიდევ ვინ იცის, რამდენი სისხლი უნდა დაიღვაროს მართალთა თანამოძმეთა, ვინ იცის, რამდენ დიდ მამულიშვილს დაუხერგავს გზას შური და უზომო პატივმოყვარეობის გრძნობა, ანუ „სახელის მაძიებლობის“ წადილი — როგორც ამიერთ, ისე იმიერთ!“ — მწარე ფიქრები არ ასვენებდა დედოფალს.

„აღვერიენით ერსა, უცხოსა შჯულითა, განდგომილსა ქრისტესგან, ნათესავსა და საწუთროსა ამის მოყვარესა...

რომელთაგან ვისწავენით საქმენი მათნი და ვამონებდით გულისთქუმასა გულსა ჩვენთასა მიბაძვებითა მათითა, ვითარცა უსასონი ქრისტეისაგან და დამვიწყებელნი საუკუნოისა ცხოვრებისანი“...

ჯერ კიდევ VIII საუკუნეში, არაბობის საფრთხის წინაშე მდგარ ერს მოუწოდებდა იოანე საბანისძე — აბოს მარტვილობის მაგალითით — სიმხნევისკენ, ზნეობრივი სიწმინდისა და სარწმუნოების სიმტკიცისკენ. XVII საუკუნეშიც აქტიურად აჟღერდა დიდი მამულიშვილის მძაფრი სიტყვები.

***

მალე თვით დედოფლის ჯერიც დადგა: ევროპელ მოგზაურთა თუ მისიონერთა ცნობებით, შაჰ-აბასმა ცოლობა შესთავაზა ქეთევანს, რაზეც დედოფალმა სასტიკი უარი განაცხადა. შეურაცხყოფილმა შაჰმა მაშინ მაჰმადიანობაზე გადასვლა მოსთხოვაო. ქართველ მემატიანეთა თანახმად კი, შაჰ-აბასმა იმამ-ყული ხანს დაავალა, ემცნო დედოფლისთვის: „ვითარმედ ქეთევან დედოფალი თუ გათათრდეს, ნურას აწყენო და, თუ არ გათათრდეს, აწამე და სასჯელით მოჰკალი“-ო.

უნდილაძეს ერთხელ კიდევ უნდა დაედასტურებინა თავისი ერთგულება პატრონისადმი, მაგრამ... ქეთევანის მიმართ პირადი სიმპათიისა თუ ამ ბრძანების უგუნურობის გამო, იგი სამი თვე აყოვნებდა, დედოფლისთვის ეს ამბავი ემცნო. მაგრამ ტირანის ხელქვეითობა, თუნდაც მეორე კაციც რომ იყო მის საბრძანებელში, ნიშნავს, დათრგუნო შენში ყოველივე ადამიანური, კეთილშობილური და მისი ნება-სურვილის ყურმოჭრილი მონა გახდე.

დედოფალს ბოლოს და ბოლოს ეუწყა სათქმელი. მემატიანეთა თქმით, დიდად იუცხოვა დედოფალმან შაჰის შემონათვალი: „სისხლისმსმელმან მან პირველად ასწყვიტა სამეფოი ჩემი და ექსორია ყო ძე ჩემი და მოსწყვიტნა ყმანი

მისნი, სულიერად და ხორციელად იავარჰყო საუნჯენი და მონაგებნი მეფეთაგანი და დააქცივნა ყოველნი“, და ყოველივე ამის შემდეგ მაინც ჩემი გადმობირება და გათათრება უნდაო? „მე მზა ვარ ქრისტესთვის სიკუდილად“.

იმამ-ყული ხანი ევედრა, მოსაჩვენებლად მიიღე მუსულმანობაო. უნდილაძე შაჰზე უკეთ იცნობდა დედოფლის ბუნებას, მის უტეხ ნებას და მაინც ევედრებოდა, რამეთუ ფიქრობდა: მარტოდ დაშთენილი ქალი, სამშობლოდან შორს მყოფი, ყველასგან მიტოვებული, გულდაკოდილი და გამწარებული, იქნებ ჩაებღაუჭოსო ერთადერთს, რაც შერჩენია — სიცოცხლეს!

არაქელ თავრიზელის გადმოცემით, დედოფალმა პირდაპირ მოახსენა შაჰის მოციქულს: თუნდა შენი ხელმწიფე ყველა სულდგმულის უფალი იყოს და მთელი თავისი სახელმწიფო მე მომცეს, არ უარვყოფ ქრისტეს, ჩემს უფალს და არ ვუღალატებ სიყვარულს, რომელიც მისდამი მაქვს... თუნდაც ნაკუწ-ნაკუწად დამჭრან, არ დავსუსტდები ერის სიყვარულში და არ მოვიქცევი თქვენს რჯულზედ. ჩემს სხეულს კი შეუძლიათ ისე მოექცნენ, როგორც მოესურვებათო.

კიდევ ევედრა შირაზის ხანი. ევედრნენ ახლობლებიც, გაკვირვებული ყიზილბაშნიც ეხვეწებოდნენ: „რაითა არა გასწიროს სული თვისი“, მაგრამ უდრეკი იყო დედოფალი.

...ერთმანეთის პირისპირ აღმოჩნდნენ უზარმაზარი იმპერიის თვითმპყრობელი მონარქი — შაჰ-აბას I, რომლის სახელის ხსენებაც კი შიშის ზარს სცემდა მის ქვეშევრდომებს და რომელსაც განუსაზღვრელი უფლება ჰქონდა ადამიანებზე, და ასაკით მისივე ტოლი ქართველი მანდილოსანი — საქართველოს ერთ-ერთი პატარა კუთხის, კახეთის სამეფოს დედოფალი, ქალი, რომელსაც მემატიანენი ლომს ადარებენ, რომლის მთელი არსება თავისთავად ღაღადებდა დაჩაგრულ-დამცირებული თანამემამულეების მიმართ „არ მოგდრიკონ“, „მხნედ იყავით!“-ო.

ეს იყო ჟამი, როცა განსაკუთრებული საფრთხის წინაშე

დამდგარი ერის წიაღიდან უნდა აღმობრწყინებულიყო ახალი მოწამე, რომელსაც უნდა მიეცა ქვეყნისთვის გმირობის, სიმხნევის, თავგანწირვის მაგალითი!

რაკი ნახეს დედოფლის გაუტეხლობა, ახლა სხვა საშუალებას მიმართეს. თეიმურაზის თქმით: „წინ დაუთათრეს მხლებელნი, ვერვინ თქვა სიტყვა მკვახია“.

ერთი მათგანი, თინათინი, ტიტველი, თავშიშველი, კივილითა და პირის ხოკვით გაიჭრა გარეთ. ქართველი დიდებული შემოხვდა ქალს ქუჩაში და თავისი მოსასხამი მოახურა. შიშით გათათრდა დედოფლის ხუცესი გიორგიც. „აღირჩიე სიკვდილი და ანუ უარყავ ქრისტე“, — მოსთხოვეს ხუცესს. შეშინდა ხუცესი: „მტერმან ბოროტმან აღიტაცა და ცხოვარი იგი ნამგლევ იქმნა“. ახლა გათათრებული ხუცესი მიუგზავნეს დედოფალს და ხუცესმა ტირილით აუწყა დანაბარები. ცრემლმორეულმა დედოფალმა უსაყვედურა: „რაჟამს მოიწევიან ჭირნი და ანუ განსაცდელნი, დაუტევიან და უნაყოფო იქმნიან“. მაგრამ თავად დედოფალს გული ეკუმშებოდა სიბრალულით. ეცოდებოდა შიშისგან დათრგუნვილნი: ყველას არ ძალუძს, ეტყობა, დასძლიოს სიკვდილის შიში, ხორციელი ტანჯვის შიში.

....ჯალათებმა ხელსაწყოები მოიმარჯვეს, უბრძანეს დედოფალს, მომზადებულიყო საწამებლად. თავზარდაცემული მხლებლები ზოგი ფეხებზე ეხვეოდა, ზოგი იატაკზე ფორთხავდა ტირილითა და ვიშით: დედოფალო, შეიბრალე თავი შენი, შეგვიბრალე ჩვენცაო.

— უარჰყავ! უარჰყავ! უარჰყავ! — ჩასჩიჩინებდნენ შირაზის ხანი, მხლებლები, შინაური თუ გარეშე... — უარჰყავ ღმერთი შენი! უარჰყავ რწმენა შენი! უარჰყავ ერი და ქვეყანა შენი!

უარჰყავ!

თითქოს ანაზდად ცის გუმბათი ჩამოიწია და უშველებელი სიმძიმე მხრებზე დააწვა: წამით მოეჩვენა, რომ, ეს-ეს არის, უნდა გაეჭყლიტა ამ სიმძიმეს. სუნთქვა დაუმძიმდა. მარტოსულად, ეულად იგრძნო ერთბაშად თავი ამ ჩამოქუფრულ ირგვლივეთში და უცებ ყურის ძირში ასისინდა უხილავი არ-

სების ხმა, ასისინდა ნიშნისგებით, იქედნურად: „ჩემს ხელთ ხარ, ველარაფერს გახდები. შენ მარტო დარჩი. ხომ ხედავ, განიძარცვე სრულიად ყოველივე და ყველაფრისგან. უმწეოდ ფართხალებ ფრთებდაგლეჯილი ჩიტივით. აღარავინ შეგრჩა. ყველამ მიგატოვა. ყველა თავისი სიცოცხლის გადარჩენაზე ფიქრობს. შენი ხუცესიც კი.

რა უნდა გააწყო ასე უძლურმა, სუსტმა, უღონო დედაკაცმა, ასე ყველასგან მიტოვებულმა იმ ვეება ურჩხულის წინაშე, რასაც ბოროტება ჰქვია, რასაც უსამართლობა, ძალმომრეობა და სისასტიკე ჰქვია და რაიც ქადაგებს: გაანადგურე შენზე სუსტი, შენზე უძლური, დაამცირე და დააკნინე. გადააშენე და გადააჯიშე — თუ ძალით ვერა, მელურად, ცბიერად, მოყვრული ღიმილითა და ლიქნით; ჩაუსახლე სულში: სიხარბე, შური, გაუტანლობა, სიძულვილი, მტრობა, მრუშობა, ანგარება, ბილწება და ათასგვარი სისაძაგლე.

ქვეყნიერებას დასაბამითგან დღემდე განაგებს ბოროტების ძლიერი ძალა. არც ერთი სახელმწიფო არ აშენებულა „არა კაც ჰკლა“-ს მოძღვრებაზე. სიკეთე და მშვენიერება არარაის შემძლეა, არარაის მქონე. ველარ დაიცვა შენმა კეთილმა უფალმა, ვერც შენმა სათნოებამ და ლოცვა-ვედრებამ — შენი შვილიშვილები, შენი ხალხი, შენი ქვეყანა. მოისრა და გავერანდა იგი სამუდამოდ. შენს უგუნურ ვაჟსაც — გარე-გარე მოწანწალეს, მალე ხელთ ვიგდებ. მაშ, რაღა შეგრჩენია — სიცოცხლის გარდა! მე ძალმიძს დარჩენილი შენი სიცოცხლე ავავსო სიამით, სიხარულით, კმაყოფილებით. მოგაგო პატივი შენდა შესაფერისი... მე ასე მსურს, ასეთია ჩემი ნება და იგი უნდა აღსრულდეს“.

დედოფალი წელში გაიმართა: „არა მესმიან ცუდნი ეგე სიტყვანი შენნი, რამეთუ გონება ჩემი ქრისტეს თანა არს ზეცასა... რამეთუ აქა ესე ხელმწიფება საწუთო არს, ხოლო ზეცისა იგი სუფევა საუკუნო და განუქარვებელ“, — წმინდა დიდმოწამის გიორგის სიტყვები გახმიანდა დედოფლის გულში.

ნებართვა ითხოვა ლოცვისა. მისცეს ნება გაკვირვებულებმა. დედოფალი თავის სამლოცველოში შევიდა, დაემხო მაცხოვრის ხატის წინაშე და ვედრებით მიაპყრო თვალი:

„გევედრები, ჰოი, მეუფეო, მომივლინე მე ანგელოზი მცველი სულისა ჩემისა და მიითვალე სული ჩემი და განმიღე კარი სასძლოისა შენისა, და აღმრაცხე მე გუნდსა თანა მოწამეთა შენთა“...

ტიროდა დედოფალი და გრძნობდა თუ როგორ მოიცვა მთელი მისი არსება უჩვეულო, ენითუთქმელმა ნეტარებამ. თითქოს სრულიად განშიშვლდა სული მისი მშვიდობის, სიყვარულისა და კაცთმოყვარე უფლის წინაშე და ეს იყო ყოველ სალმობათა, ამქვეყნიურ ტანჯვათა თუ გვემისგან მისი განძარცვა ამავდროულად.

სამლოცველოდან გამოსულმა დედოფალმა თავის ჯალათებს უთხრა: „მოვედით და აღასრულეთ, რაიცა გენებოსთ. რამეთუ მე მზა ვარ დათმენად ყოველთავე სატანჯველთა“. ხოლო თავის ახლობლებს, რომელნიც ტირილით ეხვეოდნენ მუხლებზე, მიმართა: ნუ იქნებით მწუხარენი ჩემთვის, შვილნო, დანო, დედანო და ძმანო ჩემნო, რადგან მე ნებით ვწირავ თავსა ჩემსა ქრისტესა და უფრო ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს ახლა, ვიდრეღა დედოფლობისასო: „ნუ შეძრწუნდებით, საყვარელნო შვილნო ჩემნო, ოდეს იხილოთ უსასტიკესნი სატანჯველნი ხორცთა ამათ ჩემთა ზედა უძლურთა, არამედ... მხნედ და მტკიცედ სდექით სარწმუნოებასა ზედა“.

კოცონი უკვე გაჩაღებული იყო, სადაც რკინის მაშებს ახურებდნენ. ნირშეუცვლელი იდგა დედოფალი. მხოლოდ გულში იმეორებდა: „მიუტევე ამათ, უფალო, რამეთუ არა უწყიან, რასა იქმან“. ქედუდრეკი დედოფლის შემყურე მისი მხლებლები ცდილობდნენ, თავადაც დაეოკებინათ მწუხარება. „ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და კაცთმოყვარეობისა იყვნენ თქვენ თანა ყოვლადვე“... — ლოცავდა მათ დედოფალი გულში.

რამეთუ ბოროტება წარმავალ არს, ხოლო სიკეთე, სიყვარული და სათნოება რჩება სინათლის სხივად ამ წუთის სოფელში, რამეთუ სიყვარულია თავად ღმერთი, სიყვარული უნათებს გზას კაცობრიობას სამარადჟამოდ, აწ და მარადის და უკუნითი უკუნისამდე!

დედოფლის გულისხედვა უკვე გასცდენოდა ამქვეყნიურ სამანებს და მარადჟამულ უსაზღვროებაში იმზირებოდა, უზენაესის — ზეაღსავლისკენ, ცის სასუფევლისკენ ისწრაფოდა მისი ტანჯულ-გვემული სული.

მადლი ციური მოჰფენოდა მის მაღალ, ნათელ შუბლს, მოციაგე შარავანდედი ადგა თავზე ზეცასთან წილნაყარს.

დედოფალი გააშიშვლეს, ხელ-ფეხი შეუკრეს:

„არვინ დასჯილა დედათგან მისებრივ გამომეტებით,
ხორცს გლეჯდნენ ცხელი გაზებით, ლურსმნებით
ჩხვლეტდნენ მწვეტებით,
მოქუფროთ სისხლი სწყდებოდა ძარღვების
დასაწყვეტებით“.

ყველა ისტორიკოსი, თვითმხილველი თუ მომდევნო თაობის, ქართველი თუ უცხოელი — ერთხმად აღნიშნავდა განსაკუთრებულ სისასტიკეს, რითაც შაჰმა დასაჯა ქეთევან დედოფალი:

„ძუძუთა ხლეჩდნენ, ტანს სწვავდნენ,
ხორცსა უდნობდნენ ძვალებით,
გვირგვინს ადგამდნენ სამეფოს, თხემს ხეთქდნენ
რკინა-რვალებით“.

ცხელ ბარს ჯიღად ურჭობდნენ, შამფურს — სკიპტრად, ჯაჭვს — ზოსტერად არტყამდნენ წელზეო.

გრძნობადაკარგული მაინც ჩურჩულით ლოცულობდა, ძლევა მიეც, უფალო, მეფე თეიმურაზსო...

„ცა გააკვირვა, ქვეყანა განაკრთო მისმან თმენამან“, — იტყვის პოეტი დიმ. ბაგრატიონი ორი საუკუნის შემდეგ.

***

...ქეთევან დედოფლის წამებას ესწრებოდნენ პორტუგალიელი მისიონერები. ბერი ეგნატაშვილი, რომელიც დაწვრილებით აღწერს ქეთევან დედოფლის წამებას, ბოლოს დასძენს, ფრანგებმა წაიღეს ქეთევანის წმინდა ნაწილებიო. სხვა წყაროების, კერძოდ, თეიმურაზ ბაგრატიონის მიხედვით, ქეთევანის გვამი ქალაქის ქუჩაში დააგდეს და შირაზის მთავარმა მცველები მიუჩინა ცხედარს, რათა არავის, ქრისტიანთაგანს, არ მოეპარა წმინდანის ნეშთი. ასე ჰქონდა ნაბრძანები მთავარს შაჰ-აბასისგანო. მაგრამ შემდეგ შირაზის ხანს შეეშინდა ხალხის აღშფოთების და უბრძანა, აეღოთ გვამი წმინდანისა და დაეკრძალათ ჯეროვანს ადგილასო.

ავგუსტინელი ბერის ამბროზიოს რელაციონის მიხედვით, პატრებმა იცოდნენ, სად იყო დამარხული ქეთევანის გვამი. ამხანაგების დახმარებით ამბროზიომ ჩუმად ამოთხარა ცხედარი და თავის ეკლესიაში წაასვენა.

იოანე ბაგრატიონი კი აღნიშნავს, პატრებმა ფული შესთავაზეს შაჰ-აბასს, რომ დაეთმო მათთვის დედოფლის ნეშტიო, შაჰი არ დათანხმდა და ამის შემდეგ ბერები იძულებულნი გახდნენ თურმე, დედოფლის გვამი მოეპარათ.

დედოფლის ნეშტის ნაწილები გაგზავნეს ინდოეთში, გოაში. ქართველი წმინდანის ნეშტი იქაურ ქრისტიანთა თაყვანების საგნად იქცა, ხოლო, როგორც ახლახან გამოირკვა, ლისაბონის ძველი ეკლესიის კედლები მე-17 საუკუნეში შეუმკიათ დედოფლის წამების ამსახველი რამდენიმე ნახატით.

მამა ამბროზიო იეზუიტ მისიონერ სებასტიანოსა და ავგუსტინელ პიეტროსთან ერთად გაემგზავრა საქართველო-

ში, რათა წმინდანის ნეშტის ნაწილები ჩაეტანა მეფე თეიმურაზისთვის, რომელმაც დედოფლის წამებიდან ექვსი თვის შემდეგ, მარტყოფის ბრძოლაში ქართველთა ბრწყინვალე გამარჯვების წყალობით ქართლ-კახეთის ტახტი დაიჭირა. ბერებს აგრეთვე განზრახული ჰქონდათ, დაეარსებინათ საქართველოში თავიანთი მისიონი, მაგრამ ერთ-ერთი ბერი გზაში ავად გამხდარა და იძულებული შეიქმნენ თურმე, უკან გაბრუნებულიყვნენ. მეორეჯერაც მოეცარათ ხელი. მესამედ, 1628 წელს, როგორც იქნა, დიდი ტანჯვა-წვალების შემდეგ, ჩამოაღწიეს საქართველოში.

თეიმურაზ მეფემ დიდი პატივით მიიღო თურმე რომის ეკლესიის მღვდლები და, აუწერელი სიხარულით აღვსებული, დიდი მადლობით ადიდებდაო ქრისტეს, ჩვენს უფალს, რადგან ღირსყო დედა მისი მოწამებრივი სიკვდილისა, რამეთუ მისი მეოხებით ჩვენს სამეფოს უფალი მტკიცედ დაიცავსო, „შეკრიბნა მეფემან თეიმურაზ ზაქარია კათალიკოსი, მღვდელმთავარნი და ყოველნი სამღვდელონი სრულიად საქართველოსნი და დიდისა დიდებითა და ლიტანიობითა მიასვენა და დასხნა წმინდანი ნაწილნი გვამისა დედისა თვისისა კახეთს, დიდისა ეკლესიასა შინა წმინდანისა დიდისა და ძლევაშემოსილისა გიორგისა, ალავერდს“.

დედოფლის ხსენების დღე დაუწესებიათ 21 მარტს, მაგრამ ერეკლე ნაზარალი-ხანის მეუღლემ, დედოფალმა ანამ ქეთევანის ხსენება დააწესა 13 სექტემბერს: „ვინაითგან ნაწილნი წმიდისანი ალავერდის ეკლესიასა შინა მთავარმოწამისასა გიორგისასა მდებარე არიან, ამისთვის განაწესეს იგი სეკდენბერსა, ერისა ყოველისა მიერ დასწრებისათვის“, — შენიშნავს ანტონ კათალიკოსი.

ქეთევან დედოფლის საარაკო ცხოვრებისა და მოწამებრივი სიკვდილის ამბავი, აგერ, მერამდენე საუკუნეა, ტკივილით კაწრავს ქართველი კაცის გულს. ქეთევანი წმ. ნინოს და თამარის გვერდით დააყენა ერმა და ეს სამეული განუყრელ და წმინდათაწმინდა მცნებად იქცა მის ცნობიერებაში.

„არც ერთ მოწამეთაგანს იმდენი ტანჯვა არ მიუღია რჯულისა და ქვეყნისათვის და მისთანა მაგალითი არ უჩვენებია ხალხისათვის, როგორც ქეთევან დედოფალმა“, — წერდა აკაკი წერეთელი.

„ქეთევან დედოფლის დახლეჩილმა ძუძუებმა უფრო მეტი გმირი აღუზარდა საქართველოს, ვიდრე ასი ათასი დედა გაუზრდიდა მას“, — აღნიშნავს გ. ქიქოძე.

„ქეთევან დიდი სახელით, კვლავ საქმით უმეტესითა,
ზე აღსდგა ცათა სუფევად მოწამედ ღვაწლთა წესითა,
უმხნეს გამოჩნდა მამათა დედათ ბუნება ლბილია“.

დიმიტრი ბაგრატიონის ამ სიტყვებში გაცხადებულია მთელი ქართველი ერის გულისნადები დიდებული მოწამისადმი.

...ნინო, თამარი, ქეთევანი — განუყრელ სამებად იქცა ქართველი ერისთვის და სამარადჟამოდ ჩაიკირა მისი სულის იდუმალ შრეებში. ეს სამი ქალი, „მთიებთა სამაია“, აკაკის თქმით, ნათლის სვეტად უძღოდა წინ ჩვენს დედებს, ქართველ ქალებს, მთელ ერს, რადგან ეს სამაია გამოხატავდა მის იდეალს, უუშორეს წარსულში რომ იღებდა სათავეს და უძველესი მითოლოგიური და რელიგიური წარმოდგენებით რომ იყო ნასაზრდოები. ეს იდეალი წილნაყარი იყო ქალღვთაება მზესთან, ყოველივე მშვენიერს, სათნოს, კეთილს რომ განასახიერებდა და, ამასთან, სიმხნევის, მამაცობის მაგალითს რომ აძლევდა თავის მოდგმას.

ამ იდეალს მიელტვოდნენ, ცდილობდნენ მიმსგავსებოდნენ მას.

კრიტიკოს აკაკი ბაქრაძის დაკვირვებით, აკაკი წმინდა ნინოში ხედავდა ქართველი ხალხის სარწმუნოებრივ მთლიანობას, გამოვლენილს ქრისტიანობის სახით. მაღალი ეროვნული მიზნის მისაღწევად ყოველ ხალხს სჭირდება სულიერი მთლიანობა. ამ მთლიანობის შექმნა კი მხოლოდ რწმენას შეუძლია... საქართველოს ეროვნული და სახელმწიფოე-

ბრივი ძლიერების ხატად პოეტმა თამარი მიიჩნია... ყოველი ერის ისტორიაში არის პერიოდი, როცა იგი მაქსიმალურად გამოავლენს თავის ეროვნულ ენერგიას. ჩვენი ხალხის ისტორიაში ასეთია თამარის ეპოქა. ამიტომ წარმოიდგინა იგი აკაკი წერეთელმა ქართული ძალმოსილების სიმბოლოდ... თამარის დროს ქართველ ხალხს ის ეროვნული ერთიანობა ჰქონდა, რომელიც ყოველგვარი გამარჯვების საწინდარია... და, თუ ოდესმე საქართველო აწყობილ ჩონგურს ჰგავდა, ეს იყო თამარის ეპოქაში. აკაკის იდეალი თავისუფალი ქვეყნისა თამარის საქართველომ გამოხატა და ამიტომ პოეტის საოცნებო რწმენის მეორე ჰიპოსტასი თამარია... მაგრამ... ეროვნული ძალმოსილება, ვერც ზნესრულობა ხორცს ვერ შეისხამს, ოცნებიდან სინამდვილედ ვერ იქცევა, თუ არ არიან ადამიანები, ვისაც ძალუძს ამისთვის თავგანწირვა, ვინაც საკუთარი ხორცისა და სულის გვემით შეიძლებს გოლგოთაზე აზიდოს ჯვარი. ასეთი იყო ქეთევან დედოფალი. ამდენად, იგი აკაკის რწმენის მესამე ჰიპოსტასია.

„ვინც სულს არ სწირავს სამშობლოს,
არ ეთქმის ქვეყნის შვილიო“.

ამიტომ არ იყო შემთხვევითი ის გარემოება, აკაკი წერეთელმა „თორნიკე ერისთავში“ გაბრიელ ბერის ჩვენება ამ ღვთაებრივ სამეულს რომ დაუკავშირა:

„მაგრამ სულმნათსა საქართველოსას,
ღვთისმშობლობა დღეს ერთი სიზმარი
ენახა, ქვეყნად ჩამოსულიყვნენ
ნინო, ქეთევან და თვით თამარი.
თამარს თავს ედგა ძლევის გვირგვინი,
და ქეთევანსა წმინდა მოწმობის,
ნინოს ხელთ ეპყრა ჯვარი ვაზისა,
ნიშანი დიდი ქრისტიანობის.
ზეცად აეპყრათ სამთავეს თვალნი.
საქართველოსკენ აშვერდნენ ხელსა

და შეერთებით, ხმაშეწყობილად
ჰგალობდნენ ტკბილსა საგალობელსა:
„დედაო ღვთისავ! შენი ხვედრია
ეს საქართველო დიდჭირნახული,
შეუნდევ ცოდვა!.. ნუ ააღებ ხელს
ლმობიერებით იბრუნე გული!..
მიეც კურთხევა ზეცით, მაღალო,
და გადმოსახე ძლიერად ჯვარი,
რომ აღადგინო ქართველთა ერი,
დღეს დაცემული და ცოცხალ-მკვდარი“.

***

...ქეთევან დედოფლის სახით ერთხელ კიდევ გვემეს და აწამეს ქართველი ერი, და ქეთევან დედოფალმა ერთხელ კიდევ დაანახა კაცობრიობას, რომ შესაძლოა ხორციელად მოჰსწყვიდონ მისი ქვეყანა, მაგრამ სულის მისის ვერ ხელეწიფებათ მოკვლა, რადგან გაუტეხელი და უდრეკი იყო რწმენა და სიყვარული ღვთისა და მამულის მიმართ, რაც ჩაუქრობელ კოცონად ენთო ათიათასობით წამებულთა გულში, რადგან სწამდათ და სჯეროდათ, რომ ღვთისმშობლის წილხვედრ ქვეყანას ყოვლადწმინდას მადლი იფარავდა.

გიხაროდენ, დედოფალო, რამეთუ შენი წმინდა სისხლი, დანთხეული ქრისტეს საკუთხეველზე, იყო იმ უშრეტი, მაგიური ძალის შემცველი, რამაც შურისძიების ცეცხლი დაანთო მარტყოფის ველზე თუ მარაბდაში. ეს იყო იმ ასიათასობით დედის, უმწეო ყრმათა და მოხუცებულთა — დასახიჩრებულ-წამებულ სულთა ღაღადისი და მოწოდება ერისადმი:

„მღვიძარე იყვენით! მტკიცედ სდექით სარწმუნოებასა ზედა, მხნე იყვენით და განძლიერდით — ყოველივე თქვენი სიყვარულ იყავნ!“

1986 წ.

***

პიეტრო დელა ვალემ უწინასწარმეტყველა სეფიანთა დინასტიას დაღუპვა. ღრმად განსწავლულმა იტალიელმა უწყოდა, რომ ყოველი იმპერია — ძალადობისა და ბოროტების სიმბოლო — როგორი დიდიც უნდა იყოს იგი, განწირულია: ისინი ერთიმეორის მიყოლებით ილეწებიან.

სისხლი... სისხლი... სისხლი... ხოცვა-ჟლეტა გაუთავებელი. თითქოს ბოლო აღარ უჩანდა ამ სისხლიან მარულას, ისტორიას რომ გაემართა. ბოლო აღარ უჩანდა სისასტიკეს, უსამართლობას, ძლიერის მიერ სუსტის დაჩაგვრას, მახინჯის მიერ მშვენიერის მოსპობას. მაგრამ პიეტრო დელა ვალეს სწამდა და სჯეროდა, რომ ღვთის სასჯელის გარეშე არ დარჩებოდა ბოროტება.

შაჰ-აბასი თვითონაც გრძნობდა, მართალთა სისხლი არ შერჩებოდა არც მას და არც მის შთამომავლობას.

ორი საუკუნის შემდეგ ქართველი ისტორიკოსი და მწერალი იოანე ბაგრატიონი დაწერს: „რა იმ წყეულმან წმინდა დედოფალი აწამა და ესოდენი ქრისტიანე შეაწუხა, ღმერთმან ასეთი რისხვა მოუვლინაო შაჰ-აბასს, რომ ხუთ წლამდე სნეულობით იტანჯებოდაო, და მერე მუცლის სენი დაემართა და ნაწლავები უკანა განსავლიდან დაჰყარა და ისე ამოხდა ის მყრალი სული და სამოცი წელიწადი ვეღარღა იხელმწიფა იმისმან სახლმან, ასე გაწყვიტეს ერთმანეთი და სხვაცა, რომ იმათი გვარის ერთი აღარავინ მოიპოვება“.

სეფიანთა სისხლიანი დინასტიის გაძლიერებაში, შაჰ-აბასის აღზევებაში ქართველ კაცს ედო წილი, მის დამხობაშიც, როგორც ცნობილია, ისევ ქართველებმა თქვეს თავიანთი გადამწყვეტი სიტყვა.

...1663 წელი. ქეთევანის შვილმა, თეიმურაზ I-მა გამაჰმადიანებაზე უარი თქვა და ირანში, ტყვეობაში დალია სული.

...სპარსეთიდან შემახია-განჯის გზით უკან, სამშობლოში ბრუნდებოდა რუსთა ელჩობა. შემახია-განჯაში მათ ხალხს დიდი შეშფოთება და მოუსვენრობა შეატყვეს. ერთმა მათგანმა, არსენ სუხანოვმა იკითხა, რა ხდება, რატომ არის ასეთი განგაშიო. ხანებმა უპასუხეს: „ამას წინათ ერთი თეიმურაზ მეფე იყო და შაჰი მრავალ წელს ეომა მას მთელი თავისი ქვეყნის ძალებით და დიდი გაჭირვებით დაძლია იგი. ახლა ეს როსტომ მეფე რომ საქართველოს სამ ნაწილს ფლობს და მას იმერეთიც შეუერთდეს, მათთან ბრძოლა არავის შეეძლება. ისინი რომ 50 ათასნი იყვნენ, ხოლო ჩვენი ასი ათასი, მაშინაც კი ვერ შევძლებთო“.

თურმე ამაოდ ზეიმობდა შაჰ-აბასი. ამაოდ ეგონა, საქართველო ხერხემალში გადავტეხეო. საქართველოს სული გაუტეხელი რჩებოდა. ამას თვითონაც გრძნობდა გუმანით. ამისი ჯავრი, ჯავრი მარტყოფისა და მარაბდისა — სამარეში თან ჩაჰყვა.

***

პიეტრო დელა ვალე თავის რელაციონში წერს, რომ ბოლო დროებში ქეთევან დედოფალს კარმელიტი პატრები შეეწეოდნენ სულიერად და, მათი ჩაგონებით გამხნევებული, კათოლიკედ აღესრულაო. ცხადია, მთავარი ის კი არ არის, კათოლიკედ აღესრულა დედოფალი თუ მართლმადიდებლად, რადგან ამ მაღალ სულს უწინარესად ასაზრდოებდა და კვებავდა უსაზღვრო, უბოლოო სიყვარული უფლისადმი, თავისი ჯვარცმული ქვეყნისა და მოყვასისადმი.

...ქეთევან დედოფლისნაირ ხასიათს საუკუნეები ძერწავენ და აყალიბებენ. სრულქმნისკენ მიდრეკილი ეს ეროვნული გენი მე-12 საუკუნეში განსახიერდა თამარ მეფის მზიურ პიროვნებაში. ამ გენმა ერთხელ კიდევ გამოანათა ნათლის სვეტად უკიდურესი გაჭირვების ჟამს ჩამოქუფრული, ჯანღით დაფარული მე-17 საუკუნის საქართველოს ცის თავანზე, „და ღვთისმშობლის საუფლისწულოში“ კვლავ გასაოცარი ძალისხმევით გაბრწყინდა ქალის ღვთაებრივი სახე.

„რად ასე მწუხარებ, სულო ჩემო, რად ასე მწუხარებ?“

ფსალმუნნი

...ვალეს საკონტროლო გამშვებ პუნქტში მესაზღვრეებმა ჩვენი ექსპედიცია თითქმის ოთხი საათით დააყოვნეს — რაღაც ბიუროკრატიული ფორმალობის გამო.

ვიჯექი მოსაცდელში ჩემთვის, ჩუმად, ხელში დღევანდელი თურქეთის რუკა მეჭირა და... რატომღაც უნებურად მაგონდებოდა ამ სამი ათეული წლის წინანდელი მოგზაურობა სარფში. პირველად მაშინ ვნახე საზღვარი, ორად რომ ჰყოფდა სოფელს; პირველად მაშინ აღვიქვი მთელი სიმწვავით არა მხოლოდ სარფის, არამედ ორად გაყოფილი საქართველოს ტრაგიზმი...

ბევრი რამ, რაც, უბრალოდ, უცხო და გაუგებარია ადამიანის ცნობიერებისთვის, თითქოს „გასაგები“ ხდება საზღვრის წყალობით!

მახსოვს ისიც, როგორ ვცდილობდი, თვალი ამერიდებინა მინარეთისთვის, გარდაუვალ ბედისწერასავით რომ აღმართულიყო სოფლის შუაგულში.

აჭარაში — სარფში მიღებული მაშინდელი ჩემი შთაბეჭდილებანი გამოქვეყნდა ჟურნალ „ცისკარში“, ხოლო 1978 წელს, ეს ისტორიულ-მხატვრული ნარკვევების ციკლი, პატარა წიგნად გამოიცა — მიზეზთა გამო, სულ რაღაც ათასი ცალი. სათაურად ჰქონდა გალაკტიონის სტრიქონი: „ვინ იყო ქვათა ამათთა მკვეთი“.

... ახლაც, როგორც მაშინ, თურქეთ-საქართველოს საზღვართან მდგომს ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს, „მიწა კი არა, გადაეკვეთათ ჩემი სხეული!“ — ოღონდ ახლა ძველ ჭრილობებს ემატებოდა ახალი — შიდა ქართლი და აფხაზეთი!

დიახ, ცხადზე უცხადესი იყო ჩემთვის, ძველ ნაიარევზე სიარული უფრო გამიღრმავებდა ტკივილს, მაგრამ... ტაო-

კლარჯეთის, კაპადოკიის თუ ლაზეთის უნახაობაც არანაკლებ სამძიმო იქნებოდა. აკი, ამ მხარეზე დარდი და წუხილი ბევრ ქართველ მწერალს საფლავში ჩაჰყვა, მათ შორის, გიორგი ლეონიძესაც: „ისე დავბერდი, ვეღარ ვნახე ტბეთი, შატბერდი, ვერც არტანუჯი, ოშკი, ხახული, როდის მოუვათ მათ გაზაფხული?“

ყველა ერს, ალბათ, თავისი საგოდებელი აქვს, მაგრამ ჩვენ, ქართველებს, ისტორიის ბედუკუღმართობის წყალობით, მთელი წყება გვერგო საგოდებელთა, რომელთა მხოლოდ ჩამოთვლაც კი ესოდენ ღრმა ტკივილითა და სევდით ავსებს ჩვენს გულს; ამ საგოდებელთა თავში დგას ტაო-კლარჯეთი, ლაზეთი...

დიდი ილია წერდა: „...ჩვენი ყოველი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს იქ უჩქეფია, ჩვენი სულის ძლიერებას იქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა, თითქმის იგია ჩვენის სულის აღმატებულების აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა. სწავლა, განათლება, მამულისათვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანასა ერთს დროს... მძლავრობამ, მუხთლობამ, შავით მოსილმა საქართველოს ბედმა განგვაშორა ჩვენ — ძმები ერთად სისხლისმღვრელნი, ერთად ღვაწლის დამდებნი, ერთად ტანჯულნი და ერთად მოლხინენი“. ასევე ამოტივტივდა ფრანგი მოგზაურის, ჟან მურიეს სიტყვებიც, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში სამხრეთ საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებით დაწერილი: „ამაოდ ცდილობდა ისლამი ექვსი საუკუნის განმავლობაში ცეცხლითა და მახვილით ეროვნული (ქართული) ცხოვრების ყოველგვარი ნაშთის მოსპობას — ყოველი წყარო, მიწის ყოველი ნაგლეჯი ჯერ კიდევ მოაგონებს მოგზაურს საქართველოს ძველ ძლიერებას. ჭოროხის აუზში, მტკვრის სათავეების ახლოს ყრია X-XIII საუკუნეებში აშენებული ტაძრების და სხვა შენობების ნანგრევები,

რომლებიც საეკლესიო არქიტექტურის დიდებულ ძეგლებს წარმოადგენს. კლარჯეთი (ჭოროხის აუზის ძველი სახელწოდება) ბაგრატიონთა დინასტიის მეფეების აკვანი იყო... მე-17 საუკუნის დასაწყისიდან ოსმალებმა ზემო ქართლში ქრისტიანობისა და ქართული პატრიოტიზმის სასტიკი დევნა დაიწყეს. შეუბრალებლად გაანადგურეს ისტორიისა და ხელოვნების ძეგლები. ერს ძალით მიაღებინეს ისლამი, მაგრამ ეკლესიებისა და ციხეების ნანგრევები ამ ხეობებს რომ ავსებს, არა მარტო მტკიცე რელიგიურ რწმენას, არამედ ერის დიდებულ წარსულსაც მოწმობს, ერისას, რომელმაც აზიაში ქრისტიანობის ავანგარდის სახელი დაიმსახურა". უცხოელმა მოგზაურმა შესანიშნავად დაინახა და შეიცნო ის, რასაც ბევრი ჩვენი „მოყვარე" მტერი ვერ თუ არ ხედავდა: და არა მხოლოდ მაშინ — მე-19 საუკუნეში! და მაინც: ნადიდგორალი და ნაშამქორალი საქართველოსთვის როდის დაიწყო „დიდი ღამე"?

„...ჩემს წინაპართა კვალს მივსდევ და მათ მსგავსად სიამოვნებით ვეომები ურწმუნოთა. მამის ჩემის სიკვდილის შემდეგ ხშირად მომიხდა მათთან ომი და ღვთის მადლით, ბევრჯერაც გავიმარჯვე მათზე და ბევრი ქალაქიც დავიპყარი. გასულ წლებში მეზობელ ქრისტიან მთავრებთან ომი არ მომხდენოდა, უფრო მომეტებულად გავიმარჯვებდი ურწმუნოებზე".

ეს იწერება 1460 წელს. თუმცა ბიზანტიის იმპერია უკვე დაეცა, მაგრამ ყვარყვარე ათაბაგს ჯერ კიდევ ხელეწიფება, რომის პაპსა და ბურგუნდიის მეფეს მისწეროს ასეთი რიხიანი წერილი. მისი ამ პატივმოყვარული სიტყვების მიღმა კი საშინელი ტრაგედიის დასაწყისი იმალება — „მეზობელ ქრისტიან მთავრებთან ომი რომ არ მომხდენოდა"... სულთნის ურდოები საქართველოს საზღვარს უახლოვდებოდნენ, ყვარყვარე ათაბაგი და გიორგი მეფე კი ერთმანეთთან და „მეზობელ მთავრებთან" ანგარიშის სწორებით იყვნენ

გართული! ეს კია, ჯერ არ გარბიან ხონთქრისა თუ ყაენის კარზე ერთმანეთის და მამულის დასაბეზღებლად; ჯერ ძმას არ გამოუდვია ძმისთვის ყისტი; ჯერ სამცხე-საათაბაგოს გამგებელნი არ ფაშობენ; ჯერაც თავის დიდებულ ძმისწულს, მანუჩარ III-ს საწამლავს არ უყრის ღვინოში ბიძა — ბექა ჯაყელი (შემდგომში საფარ-ვალი ფაშა) და მერე ცხენს არ მიაქროლებს სულთნის სასახლისკენ რჯულის გამოსაცვლელად, ერისა და ქვეყნის საღალატოდ! ჯერ არ მიუძღვებიან შურითა და სიხარბით დაბრმავებულნი ოსმალოთა და სპარსთა ურდოებს ურთიერთის ასაოხრებლად, ასაწიოკებლად, გასაჟლეტად; ჯერ არ იყიდებიან სტამბულისა თუ კაიროს ბაზრებზე ქართველი ყრმა-წულნი და არ აკეთილშობილებენ ახლო აღმოსავლეთის ხალხებს თავიანთი სისხლით; ჯერ არ დაწყებულა ძმათა მმუსვრელი, ქვეყნის დამაქცევარი შინა ომები... ჯერაც გაშლილი დროშებითა და ცხენებზე ამხედრებულნი შედიან იერუსალიმში ქართველნი; შუაგაკვეთილი მამულის ჩივილი ჯერ არ ზარავს ქართველი კაცის გულს და სისხლს არ უყინავს ძარღვებში! ჯერ კიდევ ერთიანი, მთლიანი საქართველო გადაჭიმულა ნიკოფსიით დარუბანდამდის და სამხრეთით — ტრაპზონამდე და ბასიანამდე, მაგრამ... უკვე ახლოვდება „დიდი ღამე"!

ურჩობის ალამი პირველმა სწორედ ყვარყვარე ათაბაგმა აღმართა. მას მალე მიბაძეს სხვებმაც. განდიდება სურს თითოეულ მთავარს, თითოეულ მათგანს შური ახრჩობს, პატივმოყვარეობის ჭია ღრღნის, ოქრო გონს უნისლავს — ამიტომაც მზად არიან ქვეყანა უბან-უბან, ნაწილ-ნაწილ დაყონ, თვითონ თავს წამოასხდნენ და, თუ ვერ მოუვლიან მეზობელს — გარეშე მტერს შემოუძღვნენ, რომ თავისივე თვისტომნი გვარგუჯაბიანად ამოწყვიტონ. ამ ძიძგილში, წეწვა-გლეჯაში, „უჩემოდ ვით იმღერეთა"-ს მოძახილში — ოსმალოთა უზარმაზარი ურდო კალიასავით მოედო

სამხრეთ საქართველოს, სპარსთა კი, აღმოსავლეთს და... დადგა სისხლის ტბორები, სისხლით მოირწყო ქართული მიწა-წყალი — ქართლი, კახეთი, მესხეთი, ლაზეთი სისხლის ზღვაში ჩაიძირა.

თურქი ისტორიკოსი ფეჩევი წერს: „...ბაიბურთის მბრძანებელმა მაჰმად-ხანმა მოიწვია მისი ოლქის მეომრებისა და მოხალისეთა რაზმები. ამათ მედგრად, პირისპირ შეხვდნენ ქართველებიც. ოსმალებმა ვერ მოასწრეს ძარცვა-გლეჯის დაწყება, რომ დაიწყო საშინელი ხოცვა-ჟლეტა. ამ ბრძოლას ბევრმა ქართველმა შესწირა თავი და ცოცხალი მტერს არ დანებდა. ბრძოლის შემდეგ სულთნის ჯარები შეესივნენ მოსახლეობას და გაძარცვეს, აუარებელი ნადავლი გაიტაცეს, ქვეყნის დაპყრობის შემდეგ შემოიღეს მმართველობის ოსმალური წესები... სისხლისმღვრელი ომების შემდეგ პირველად დაიპყრეს ციხე სიმაგრე თორთუმი. ბრძოლის შემდეგ გაიტაცეს უთვალავი შევარდნისებური ბიჭები და ლამაზი ქალწულები, ამასთან ციხე-სიმაგრეები მიწასთან გაასწორეს“... და შემდეგ: „რომელ ხორციელ ენას შეუძლია წარმოსთქვას თვითოეული იმდროინდელი ქრისტიან მამათა და დედათა დასჯა-ტანჯვანი!.. ვის ცოცხალს ტყავს აძრობდნენ, ვის ოთხ პალოზე გაკრულს ბაწრებით გუდად იღებდნენ, ვის ნაკუწ-ნაკუწად სჭრიდნენ ხმლითა და ვის ხანჯლით გულმუცელს უპობდნენ, ვის შამფურზე გაკრულს ცოცხლებრივ ცეცხლზე მწვადივით სწვავდნენ, ვის შიშველს გახურებულ საჯდომზე აგებდნენ, რკინის საწვეებით ხვრეტდნენ, ვის ადუღებულ წყალში ხარშავდნენ, ვის გამდნარ ტყვიას ასხამდნენ პირში, ვის ანთებულ კირში სწვავდნენ“, — ეს ამ საშინელი სურათების თვითმხილველის სიტყვებია! ჯალალ-ედინის, შაჰ-აბასის სისასტიკეც კი ფერმკრთალდება ამ საშინელებათა წინაშე. თუმცა... დღევანდელობაც დიდად არ ჩამოუვარდება ამ ბარბაროსობას და ვანდალიზმს. მარტო აფხაზეთში — გაგრაში ჩადენილი

მხეცობანი კმარა საილუსტრაციოდ! ბოროტება, როგორც ჩანს, ყველა დროსა და ყველა ეპოქაში — უცვლელია!

მეტად საინტერესოა ერთი გარემოება: როგორც თურქ, ისე სპარსელ ისტორიკოსებს აოხრებისა და ხოცვა-ჟლეტის საზარელი სურათების აღწერასთან ერთად, არ ავიწყდებათ, აღნიშნონ ქართველი ასულებისა და ჭაბუკების — „ამ სამოთხის ანგელოზთა“ — საოცარი სილამაზე და მომხიბვლელობა, მათი გულადობა და სიმამაცე.

„...მე ვთვლი ქართველებს ერთ-ერთ ულამაზეს ხალხად მთელს მსოფლიოში“, — წერდა იტალიელი მოგზაური პიეტრო დელა ვალე. ფრანგი მოგზაური ჟან ბატისტ ტავერნიე კი აღნიშნავს: „ქართველი ქალების უმეტესობისთვის ბუნებას მიუნიჭებია ის სიტურფე, რომელიც სხვაგან არსად იპოვება“, და რომ „იშვიათია სპარსელთა შორის (ისევე როგორც ოსმალთა შორის), შაჰიდან მის უმდაბლეს ქვეშევრდომებამდე, ისეთი ადამიანი, რომ ან მამა, ან დედა არ ჰყავდეს ქართველი, ან უკიდურეს შემთხვევაში ქართული სისხლი არ ერიოს ძარღვებში“...

არქანჯელო ლამბერტს, შარდენს, იოსებ დელაპორტს, ქრისტეფორე კასტელის და ვინ იცის, კიდევ რამდენ უცხოელს აღუნიშნავს ბუნების მიერ მომადლებული სიტურფე და გონების სიმკვირცხლე ჩვენი ხალხისა, რაც ხშირად ქცეულა ჩვენი უბედურების მიზეზად: „ოსმალონი ლაზებს უმეტესად მიტომ აპნევდნენ ოსმალეთის სხვადასხვა ადგილებში, რომ ლაზები ლამაზი ხალხია. ოსმალონი ძალიან მისდევენ ამათ ნათესაობას — ლაზთა შვილებს ფულითაც ყიდულობდნენ და ისე იმორჩილებდნენ. ოსმალომ შეჭამა და დაამხო მთელი ლაზისტანი“.

გერმანელი მეცნიერი კოხი კი პირდაპირ წერს: „ქართველების სისხლმა გააკეთილშობილა ახლო აღმოსავლეთის ხალხები“-ო. ესეც არ იყოს, საქართველო ხომ დასაბამიდან აღმოსავლეთსა და დასავლეთს შორის გადებული ხიდი

იყო და ოსმალეთის იმპერიაც სწორედ ამ ხიდისთვის ეომებოდა სპარსეთს, რომელსაც ასევე თავისი პრეტენზიები ჰქონდა...

ამგვარად, ორი დიდი მტაცებლის (და არამხოლოდ ორის!) ინტერესი ეჯახებოდა ერთმანეთს ამ პატარა ქვეყნის გამო, რომელიც თითქოსდა, მისდა საუბედუროდ, ყოველგვარი სიკეთით შეემკო ბუნებას თუ არსთა გამრიგეს. ორივე მხარეს უწევდა ქართველს ხმლის ქნევა და განა მარტო ორ ვეშაპს ებრძოდა? როგორც ზემოთაც ითქვა, შინაურ მტრობას არანაკლები ზიანი მოჰქონდა, ვიდრე გარეშე მტრის მახვილს. ღალატი, როგორც წესი, ფეოდალთა კლასის ბანაკიდან იწყებოდა...

ღალატი ყოველთვის საშინელ ზიზღსა და სიძულვილს იწვევდა ხალხში, მაგრამ, ამისდა მიუხედავად, თავადაზნაურობის გარკვეული ნაწილის გადაბირებას მაინც ახერხებდა გარეშე მტერი, ხალხი კი იოლად როდი თმობდა თავის ქართველობას, რაც გაიგივებული იყო ქრისტიანობასთან, იოლად როდი „თათრდებოდა“... აჯანყებებს აჯანყებები ცვლიდა. მე-16, მე-17 საუკუნეებში თითქმის წელი არ გასულა უომრად! დამპყრობლის ტაქტიკა უცვლელი რჩებოდა: დახოცე. გაჟლიტე. აყარე. მიმოფანტე. სხვა მოდგმის ხალხი დაასახლე მის ნაფუძარზე. შეუმღვრიე სისხლ-ხორცის მშვენება. გადააგვარე. გადააშენე. გადააჯიშე. მოისყიდე. გადაიბირე ძალით თუ ნებით, ოქროს საშუალებით თუ თანამდებობით.

ოღონდ გურჯი ნუ იქნები. მიიღე ისლამი — გამაჰმადიანდი. გაკათოლიკდი. გაბერძენდი. გასომხდი. რაც გინდა, იყავი, ოღონდ — ქართველი ნუ იქნები! ყველასთვის მტარვალი იყო ოსმალეთი თუ ირანი, მაგრამ რაღაც საშველი ყველას ჰქონდა — ქართველის გარდა!

გურჯი, ლაზი უნდა მოითხაროს ძირფესვიანად, გვარგუჯაბიანად. უნდა დაშრეს, დაიწრიტოს გურჯის სისხლი. უნდა მოისპოს მისი სახსენებელი. მხოლოდ ასეთ შემთხ-

ვევაში ამოისუნთქავს თავისუფლად დამპყრობელი. დიახ, ჩვენი მართლმადიდებლობის, ანუ ჩვენი მეობის დაკარგვა, ჩვენი წარმომავლობის ხსოვნის წაშლა, ჩვენი გონების დაბნელება ან სხვა ერში ათქვეფა თუ აღრევა — აი, უმთავრესი მიზანით-მიზანი ყოველი ჯურის გადამთიელისა.

მეთოდურად, დაჟინებით მიმდინარეობდა ეს პროცესი. და ამ მხრივ ყოველი იმპერია — დღევანდელის ჩათვლით — ტყუპისცალივით ჰგავს ერთმანეთს. ჩვენი ზღაპრისა არ იყოს, დათვი რომ მართალი გამოდგა მელასთან და მგელთან, რადგან ძალით ერეოდა მათ. ანუ ძალა აღმართსა ხნავსო. ეს კანონი თუ უკანონობა დღესაც, დღევანდელ მსოფლიოშიც ინარჩუნებს თავის „ცხოველმყოფელობას“. დიახ, ეს ფორმულა — ანუ ძალადობის ეს პრინციპი და არა სამართლიანობა — ამა თუ იმ სახით მოქმედებდა და მოქმედებს ყოველ დროსა და ყოველ ეპოქაში — შენიღბული თუ შეუნიღბავი ფორმით, ანუ სხვადასხვა მზაკვრული თუ ძალისმიერი ხერხით. ხშირად დემოკრატიაზე აპელირებით ხდება დღევანდელ მსოფლიოშიც ამ იმპერიული, ანუ დამპყრობლური მიზნების განხორციელება. გამარჯვებული კი — ყოველთვის მართალია! აკი, მეოცე საუკუნის მიწურულს ჩამოგვაჭრეს სწორედ აფხაზეთი და შიდა ქართლი, ანუ ერთხელ კიდევ იზეიმა ბოროტებამ ისევე, როგორც ხდებოდა ეს საუკუნეების წინათ.

...„ოსმალობის დამყარება სამცხე-საათაბაგოში ფეოდალური საქართველოს უდიდესი მარცხი იყო. საქართველოს მოსწყდა და მისი ეროვნული კულტურის შემოქმედებაში აღარ მონაწილეობდა ქვეყანა, რომელიც საქართველოს ერთ მესამედს შეადგენდა. გადაგვარების გზას დაადგა ფეოდალური საქართველოს ერთი ყველაზე უფრო დაწინაურებული და კულტურული შემოქმედების უნარით დაჯილდოებული ნაწილი“ (ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია, ნ. ბერძენიშვილი).

„...ტაო, ტაო... ჩვენი ქვეყნის ლხინის დედავ... შენს ჩუქურთმებს ძილში ვხედავ... შენს დაქცეულ ციხე-ბურჯებს... შენი ხანძთა, შენი ტბეთი, როდის აღდგეს იავარო, როდის იქნეს, შენი ბედი შენს სადროშოს მიაბარო“... — არ შეიძლება, არ მოგაგონდეს გრიგოლ აბაშიძის ეს სტრიქონები, როდესაც მართლაც მეტწილად იავარქმნილი ტაძრების თუ ციხე-ბურჯების ხილვა გიწევს. და მაინც, ამ მწვავე ტკივილთან ერთად, შეუძლებელია, მოწიწების გრძნობამ ქედი არ მოგადრეკინოს გრიგოლ ხანძთელის, ამ „განსრულებული სიბრძნითა, კეთილად გამგები მოღვაწისა და უდაბნოთა ქალაქმყოფელის“ წინაშე, მის მიერ აშენებული ხანძთის თუ შატბერდის წინაშე! გრიგოლ ხანძთელმა, ამ ბუმბერაზმა, მონოლითურმა პიროვნებამ, „ყოველჟამიერი“ ჭაპან-წყვეტით შეძლო, არაბებისგან გაუკაცრიელებულ, გაპარტახებულ მხარეში საძირკველი ჩაეყარა საქართველოს ეროვნული და სულიერი აღორძინებისთვის, რაც, უპირველესად, ქრისტიანული ზნეობის ამაღლებითა და დამკვიდრებით უნდა დაწყებულიყო.

თანდათან, ვით ბრძმედში, იწრთობოდა და კაჟდებოდა გრიგოლ ხანძთელის სულიერი ძმობა, მამულისა და ერის აღზევების ძირითად მამოძრავებელ იმპულსად რომ იქცა შემდგომში. ამ სულიერი მამების თავგანწირულმა შრომამ და ღვაწლმა (გიორგი მერჩულეს თქმით, „კაცი უნდა საქმობდეს და არა სიტყვითა ვაჭრობდეს“; ხოლო სახარებისეული სიბრძნით, „საქმემან შენმან გამოგაჩინოს შენ“), მათმა დიდმა ზნეობრივმა სიწმინდემ, გონიერებამ, ნიჭმა შეუმზადეს ნიადაგი საქართველოს „ოქროს ხანას“, ჩვენი ქვეყნის დიდებასა და სიძლიერეს. გიორგი მერჩულეს თქმითვე: „ერი იგი საღვთო“, რაც პერიფრაზია წმ. ნინოს ნათქვამისა — „საქართველო არის ერი იგი საზეპურო“ — უნდა წარმოჩენილიყო

მთელი თავისი სულიერი სიდიადით! სწორედ ამ სულიერ სიდიადეს ჩაეყარა საფუძველი ტაო-კლარჯეთში. ამიტომაც იქცა იგი ქართული ეროვნული კულტურის დიდ კერად, მის მესაძირკვლედ და დასაბამი დაუდო ქვეყნის გაერთიანებასა და აყვავებას. მით უფრო აუტანელი იყო ამ ძირძველი ქართული მხარის, დიდებული ტაძრებისა თუ ციხე-კოშკების დანარჩენი საქართველოსგან მოწყვეტა და დაკარგვა, თუმცა ამ ბოლო დროს თითქოს შეინიშნება გარკვეული ზრუნვა მათი სრული განადგურების შესაჩერებლად. მაგრამ კვლავ დიდ საფრთხედ რჩება კაშხლის მშენებლობა ძეგლებისთვის და ჯერ კიდევ გადარჩენილი ქართული მოსახლეობისთვის, რომელსაც აყრა და სხვადასხვა პროვინციაში გადასახლება მოუწევს, რაც ახალი ხილი (უფრო სწორად — ჭირი) როდი იქნება მათთვის. მაგრამ ამ პრობლემებზე სათანადო ინსტანციებში ხმამაღლა არ ლაპარაკობენ, ჩვენშიც ხომ დუმილს არჩევენ...

...ოშკის დანახვაზე შეუძლებელია ადამიანი არ გაოგნდეს. მისი გრანდიოზულობა და დიდებულება იმდენად შთამბეჭდავია, რომ მნახველს სუნთქვა ეკვრება, ცრემლი თავისთავად იწყებს დენას თვალთაგან. მახსოვს, ასეთი შეგრძნება მქონდა მაშინაც, სრულიად ახალგაზრდამ ქუთაისში ბაგრატის ციხის ნანგრევები რომ ვიხილე პირველად!..

...გონს მოსული ვიწყებ საყდრის დათვალიერებას. ულამაზესი ასომთავრული წარწერები გვამცნობს: იგი ბაგრატ ერისთავთ-ერისთავისა და დავით მაგისტროსის (იგივე დავით კურაპალატის) აგებულია მე-10 საუკუნეში. მშენებლობას უშუალოდ ხელმძღვანელობდა ვინმე გრიგოლი — ალბათ, ხუროთმოძღვარი, რომლის რელიეფური გამოსახულებაც დღემდეა შემორჩენილი სამხრეთის ერთ-ერთ სვეტზე. ცნობილია ქვისმჭრელების სახელებიც: სიხარულა, თვალშავა...

კალამს არ ძალუძს, აღწეროს ამ სულისშემძვრელი თაღოვანი სვეტების კაპიტელებზე გამოკვეთილ ანგე-

ლოზთა, მთავარანგელოზთა, ქერუბიმთა, სერაფიმთა რელიეფების, რელიგიური კომპოზიციების თუ ეკლესიის მაშინდელ ქტიტორთა ქანდაკებების და ულამაზეს ჩარჩოებში ჩასმულ ასომთვარულ წარწერათა სილამაზე, ისევე, როგორც განუმეორებელია იშხნის ფილიგრანული ჩუქურთმები.

მართლაც „რა განძი გვქონია, რა მხნე, რა მდიდარი... აქ რომ თაღებია, სვეტთა შეკონება, ისე ნაგებია, სიზმრის გეგონება“... ნიკორწმინდაზე თქმული ეს ხოტბა ძალაუნებურად ამოგიტივტივდება გონებაში ადამიანს — და საოცარი მოწიწების გრძნობა გეუფლება იმათ მიმართ, ვისმა ნიჭმა და ხელმაც ააგო, „ვინც მიქარგ-მოქარგა“ ეს სასწაული ტაძარი!.. არადა, ამ სასწაულის აღმშენებელი, ისევე, როგორც ბანის, პარხლის, ხახულის, ოპიზის, ხანძთისა და ოთხთას ეკლესიებისა — ქვეყნის მხოლოდ ერთი სამთავრო იყო! თურმე რა შესძლებია, რა ძალა ჰქონია მხოლოდ ერთ კუთხეს! ხოლო ერთად აღებულ შვიდ სამთავროს და, საერთოდ, ქართულ გენს რა პოტენციალი ექნებოდა! „ოქროს ხანამ“ აკი, ნათელყო კიდეც ეს შემოქმედებითი უნარი ჩვენი ხალხისა. სწორედ გაერთიანებულმა საქართველომ აჩვენა, რისი შეტანა შეეძლო მას საკაცობრიო კულტურის საგანძურში, რა ძალებს ფლობდა, რამდენად მზად იყო მსოფლიო მასშტაბით მოღვაწეობისთვის, სწორედ მე-12 საუკუნეში მიეცა ქვეყანას საშუალება, ხელახლა გამოებრწყინებინა დროთა ვითარებაში მინავლებული კოლხ-იბერთა მიერ შექმნილი ცივილიზაცია, რათა შემდგომ ისევ ისე წისქვილის დოლაბი დატრიალებულიყო მის თავზე, ისევ ისე ებანავა სისხლის ზღვაში.

...მეჩეთად ქცეული პარხლის თუ ხახულის შიგნიდან დათვალიერება ვერ მოვახერხეთ, ხოლო, სადაც შესაძლებელი იყო, ანჩისხატის ეკლესიის მოძღვარმა მამა რევაზმა ყველგან მცირე პარაკლისი გადაიხადა მგალობელთა გუნდის თანხლებით. ამდენი ხნის დუმილის შემდეგ ამ გაბზარულ-

გახეთქილ კედლებში ქართული საგალობლების ხმა გაისმა. თურმე შარშანაც ყოფილან ტაო-კლარჯეთში და შარშანაც ჩაუტარებია მამა რევაზს წირვა-ლოცვა მგალობელთა გუნდთან ერთად. დაუჯერებელი ჩანდა თითქოს ყოველივე ეს. თავი სიზმარში მეგონა და მაინც... საშინლად მტკივნეული იყო იმის შეგრძნება, რომ ნახევრად დანგრეული ეს დიდებული საყდრები ჩვენ არ გვეკუთვნოდა, რომ ზოგ მათგანში სხვა რჯულის ადამიანები ლოცულობდნენ... რომ წინაპართა ამ საღვთო ადგილებში სხვა ხალხის „ჟრიამული ისმოდა“ ...აკი, ხახულის ტაძარიც ამ მიზეზით არის უფრო შემონახული — დიახ, მეჩეთს უვლიან!

1917 წელს ქართველ მეცნიერთა ექსპედიციაში, ექვთიმე თაყაიშვილი რომ ხელმძღვანელობდა, იყო ჩვენი დიდი მხატვარი ლადო გუდიაშვილიც. ამ ექსპედიციასა და თავის შთაბეჭდილებებზე იგი წერდა: „მშვენიერი, თვალის წარმტაცი სილამაზისაა თორთუმის ხეობა, რომელსაც კიდევ უფრო ამშვენებს დიდებული ქართული ტაძრები... გვაოცებდა ამ ხეობაში ასეთი უზარმაზარი ძეგლების არსებობა... აქ მდებარე ძეგლთა შორის არის ჩვენი ხუროთმოძღვრების შედევრებიც — იშხანი, ხახული, ოშკი, ბანა, ოთხთა ეკლესია, პარხალი... მე დამატყვევა ამ ტაძრების კედლის მხატვრობამ — ფრესკები, გასაოცარი ჰარმონიით რომ ერწყმოდნენ ტაძართა არქიტექტურას, ნაგებობათა მთელ გარემოს, უნატიფესსა და ულამაზეს წმინდანებს მზექალებისა და მზეჭაბუკების სახეები ჰქონდათ... უმშვენიერესი ბუნების გარემოცვაში უპატრონოდ იდგნენ ეს ბუმბერაზი ძეგლები... ძეგლთა უხვ სამკაულებს შორის განსაკუთრებით დამამახსოვრდა ხახულში ნანახი, ქვაში ამოტვიფრული სიმბოლო — ქართული ფასკუნჯი — მუდმივი აღორძინების იდეა“...

ძნელბედობის ჟამს იგავმიუწვდომელმა ხელოვნების ნიმუშებმა და უძვირფასესმა ხელნაწერებმა აქედან შიდა საქართველოში პოვეს თავშესაფარი. აქედან არის ღვთისმშობ-

ლის კარედი — ბექა და ბეშქენ ოპიზართა ხელით მოჭედილი, ჩვენი კულტურის ფასდაუდებელ განძს რომ წარმოადგენს; ივერიის სახელგანთქმული ხატიც, ათონის ივერთა ლავრას რომ ამშვენებს — აქედანაა!

კაპადოკია

როგორც ცნობილია, კონსტანტინე დიდის მიერ დაარსებულ ბიზანტიონში გადამწყვეტი გახდა ორი ელემენტი — აღმოსავლურობა და ქრისტიანობა.

ქრისტიანული კულტურის შექმნის პროცესში აქტიური მონაწილეობა მიიღეს სირია-პალესტინამ, კაპადოკიამ და პონტოს სამეფომ.

ძველი სამყარო კაპადოკიის ტერიტორიაზე, ძირითადად, მესხებსა და ტაბალებს — ამ ქართველურ ტომებს იცნობს.

მესხები არიან ახლანდელი კაპადოკიელებიო, აღნიშნავენ ევსტათი ანტიოქელი, იოსებ ფლაბიოსი, ლეონ გრამატიკოსი (კაპადოკია არასდროს ყოფილა ეთნიკური სახელწოდება — იგი ლამაზი ცხენების ქვეყანას ნიშნავს სპარსულად). გ. გოზალიშვილის მოსაზრებით: „კაპადოკიის ტერიტორიაზე ახ. წ. IV საუკუნეში ჯერ კიდევ მოსახლეობენ მესხები, რომლებიც კაპადოკიელებად იწოდებიან“ და „კაპადოკიელებში ყოველთვის... ტაბალები და მისი მონათესავე სხვა ძირითადი ქართველური ტომები იგულისმებიან — ამ ტერიტორიას რომ ფლობდნენ ისტორიულად, რომლებზედაც ეს ახალი სახელწოდება — კაპადოკია — დამპყრობლებმა მექანიკურად გაავრცელეს... ამ მიდამოებში, მთელი ისტორიის მანძილზე და თვით სტრაბონის დროსაც ქართველური ტომები ცხოვრობდნენ. კაპადოკიელებად სწორედ ესენი არიან წოდებული... აქაური მოსახლეობის აღსანიშნავი ტერმინი „კაპადოკია“ შედარებით გვიან შემოდის ხმარებაში“. ჰეკატე მილეთელის

ცნობით, მესხები — კოლხური ტომია. ბიზანტიური წყაროებით, VI საუკუნეშიც აქ (კაპადოკიაში) ძლიერი ტომია ჭანები. ძვ. წ-ით VIII ს-ში შექმნილ ადმინისტრაციულ-სამხედრო ოლქს ხალდიის თემი უწოდეს. „ყველა ქართველი ტომის სამშობლო... ქალდია იყო“, — აღნიშნავს ივ. ჯავახიშვილი[1].

ქართველი მეცნიერების აზრით (გ. ხინთიბიძე, გ. გოზალიშვილი, ი. ლოლაშვილი), ბასილი დიდი, გრიგოლ ღვთისმეტყველი და გრიგოლ ნოსელი — დიდი საეკლესიო მოღვაწენი — წარმოშობით ქართველები არიან, ცხოვრობდნენ კაპადოკიაში და მონაწილეობდნენ ბიზანტიური კულტურის შექმნაში. ამათ, როგორც ცნობილია, ქრისტიანულ კაცობრიობას დაუტოვეს მდიდარი ლიტერატურული მემკვიდრეობა, რომელმაც დიდი როლი შეასრულა მართლმადიდებლური ეკლესიის ცხოვრებაში და ღრმა კვალი დააჩნია შუა საუკუნეების ფილოსოფიურ-თეოლოგიურ და დოგმატიკურ-პოლემიკური ლიტერატურის განვითარებას. ქრისტიანულ მსოფლიოში ეს მოღვაწენი ითვლებიან უდიდეს ავტორიტეტებად. სწორედ კაპადოკია გახლდათ ის რელიგიური და სამწერლო ცენტრი, საიდანაც ჩვენში ქრისტიანობა გავრცელდა.

შემთხვევითი არც ის არის, რომ ქართველთა განმანათლებელი, მოციქულთა სწორი წმინდა ნინო — კაპადოკიელია. ასევე კაპადოკიელია დიდმოწამე წმინდა გიორგი, ვისი სახელობის 365 ტაძარი იყო აგებული საქართველოში.

...კაპადოკიაში ბუნების ხელთუქმნელი საოცრებანი ადამიანის ხელით ქმნილ საოცრებებს ერწყმის. ხოლო კლდეებში გამოკვეთილი გიურემის საოცარი ნაგებობანი უნებურად იწვევს ვარძიის ასოციაციებს...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიდექი „გიურემის“ ღვთისმშობლის ფრესკასთან შეურხევლად, რეტდასხმული, სულთქ-

1 ჰეროდოტეს ცნობით (ძვ.წ-ითცV ს.) — კასპიის ზღვიდან შავ ზღვამდე ოთხი დიდი ხალხი — სპარსელები, მიდიელები, სასპერები (იბერიელები) და კოლხები ცხოვრობენ.

მაშეკრული... ოჰ, ეს ნატიფი ნაკვთები, ბუდეშურა ქართული თვალები!..

ვიდექი გაოგნებული და ჩემი გონება ძალაუნებურად ცდილობდა, შეეღწია შორეული წარსულის ლაბირინთებში...

როგორც ზემოთ ითქვა, ძველი სამყარო კაპადოკიის ტერიტორიაზე ძირითადად მესხებსა და ტაბალებს (იბერებს) იცნობს... რომ ქრისტიანული სარწმუნოების განმტკიცებას როგორც იბერიის, ისე ეგრისის სამეფოებში დიდად უწყობდა ხელს ლაზიკის, ანუ ეგრისის პოლიტიკურ-ეკონომიკური სიძლიერე, რომელმაც განსაკუთრებით იჩინა თავი სწორედ IV-VI საუკუნეებში, რომ ფაზისის მახლობლად არსებობდა აკადემია, სადაც განსწავლას გადიოდნენ როგორც ადგილობრივი მკვიდრნი, ისე ბერძნებიც. პეტრე იბერის მასწავლებელი იოანე ლაზიც ხომ ამ აკადემიაში მოღვაწეობდა. უეჭველია, ფაზისის აკადემიამ უდიდესი როლი ითამაშა, როგორც მეცნიერებისა და ხელოვნების ცენტრმა. ამ რიტორიკული სკოლის ბრწყინვალე მუშაობის შედეგი უნდა იყოს ის, რომ „კოლხეთში (ლაზებში) რიტორიკული ხელოვნება, როგორც ეს ჩანს მე-6 საუკუნის ისტორიკოსთა — პროკოფი კესარიელისა და აგათია სქოლასტიკოსის თხზულებებიდან — დიდ სიმაღლეზე იდგა“ (ს. ყაუხჩაშვილი). ბუნებრივია, ძველი კოლხეთის კულტურაზე დამყარებული ტრადიციები ორგანულად ერწყმოდა დასავლური, რომაულ-ბიზანტიური კულტურის ელემენტებს, ხოლო კოლხურ-იბერიული კულტურის სათავეები ხომ უშორეს წარსულშია საგულვებელი!

334 წ. „ქრონიკას“ ხალხთა წარმომავლობის შესახებ დაუცავს ასეთი უწყება: „იბერიელებს აქვთ დამწერლობა“.

აპოლონიოს როდოსელის (II ს. ძვ.წ.-აღრიცხვით) მიხედვით, კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათა ნაწერი... რომლებზედაც ირგვლივ მოგზაურთათვის ნაჩვენებია ზღვისა და ხმელეთის ყველა გზა და საზღვარი... კვირბები[1] შეიცავენ ნაწერ კანონებს (იქნებ, სწორედ აწ დაკარგული ეფუტიც არის ნაგულისხმევი ამ კანონებში!). ძველები ქვებს აღმართავდნენ ხოლმე და ზედ გადაწყვეტილებებს წერდნენ. ანუ, კვირბები ღვთის წმინდა სიტყვათა შემცველია. ცნობილია, რა ქედმაღლურად უყურებდნენ ბერძნები ყველა არაბერძენს და, ამდენად, თუ საამისო ღრმა საფუძველი არ არსებობდა, „ბარბაროსებს“ არ მიაწერდნენ იმას, რაც სინამდვილეში არ მოეპოვებოდათ.

1 ანუ ღვთის სიტყვა

ჩვ.წ.-აღრიცხვამდე II საუკუნის მწერალს ხარაქს პერგამელს დაცული აქვს ცნობა: „ოქროს საწმისი“ — ეს არისო „ოქროს დამწერლობა“, ანუ „ხრისოგრაფია“, ანუ განსაკუთრებული ხელოვნება ოქროს ასოებით წერისა. ოქროს ასოებით წერის ხელოვნება ამოტვიფრულ იყო ტყავებზე და არგონავტებმა ამ მეტად მნიშვნელოვანი ხელოვნების შესათვისებლად იმოგზაურესო კოლხეთში, ე.ი. ხრისოგრაფია საბერძნეთში კოლხებისგან გავრცელდაო.

პ. ინგოროყვას სიტყვებით რომ ვთქვათ, არაქსის ცნობიდან ისიც ირკვევა, რომ მწიგნობრობა კოლხეთში უძველესი ხანიდან, თვით არგონაველთა ეპოქიდან მომდინარეობდა.

***

...ბერძნული ტრადიციებითა და მეცნიერთა გამოკვლევებით დასტურდება, რომ ელადაში — და არა მხოლოდ ელადაში, არამედ მთელ მცირე აზიაში — ბერძნების დამკვიდრება ძვ.წ. აღრიცხვით XVI საუკუნის უადრეს არ უნდა მომხდარიყო. მაშ, ვინ სახლობდა იქ მანამდე? ვინ იყვნენ თუნდაც კრეტის ბრწყინვალე ცივილიზაციის შემქმნელნი, რომელთაც ამ დროისთვის უკვე გამოვლილი ჰქონდათ განვითარების ხანგრძლივი პერიოდი. ისტორიკოსები ხომ კრეტის ბრწყინვალე კულტურას მიიჩნევენ პირველ მედიტერანულ (არასემიტურ და არაინდოევროპულ ენებზე მოლაპარაკე ტომთა)

სასწაულად, რომელმაც შესაძლებელი გახადა ე.წ. ელინური სასწაული და, რომ არ ყოფილიყო კრეტის ცივილიზაცია, არ იქნებოდა ელადის ცივილიზაციაცო.

1400 წლისთვის ჩვენს წელთაღრიცხვამდე სწორედ ბერძნულმა ტომებმა: — აქაველებმა და დორიელებმა — საიდანღაც მოსულმა ამ ურდოებმა — დაამხეს კრეტის ცივილიზაცია.

მრავალი ევროპელი და ამერიკელი მეცნიერის აზრით (ა. კრეჩმერი, ს. ფერი, ფ. შახერმეიერი და სხვ.), წინაბერძნული მოსახლეობა დღევანდელ იბერიულ-კავკასიურს, ანუ პროტოქართველურს ენათესავებოდა. ამ ხალხებმა მთელ მცირე აზიასა და ეგეოსის აუზს (და, როგორც დღეს ირკვევა, არამხოლოდ ამ არეალს,) მოჰფინეს თავისი ენა და კულტურა — ს/ო და ნთ/დ სუფიქსებზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელწოდებანი, ხოლო ამ ხალხთა კულტურას ფ. შახერმეიერი ტერმინით — ეგეოსური — აღნიშნავს. მისი აზრით, ეგეოსური დღევანდელ იბერიულ-კავკასიურის მონათესავეა და კრეტის მინოსურ კულტურას ამ ხალხთა შემოქმედების ნაყოფად მიიჩნევს. მის ამ ვარაუდს არქეოლოგიური აღმოჩენებიც უმაგრებს ზურგს.[1]

მკვლევრის, გიორგი ნატროშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, ძვ.წ.აღ-ის 9000-7000 წლის წინათ და შემდგომ ხმელთაშუა ზღვის არეალში, და არა მხოლოდ აქ, მცხოვრებნი, კავკასიის ავტოქტონური მოსახლეობის და ამ კულტურის ნაწილი იყო. ელინისტური ცივილიზაცია სხვა არაფერია თუ არა ხმელთაშუა ზღვის აუზში ჩრდილოეთიდან მოსული ხალხის მიერ პროტოიბერიული ცივილიზაციის რეპროდუქცია, ახლებური გააზრება, შეცვლა, მასში რეგენირება, მისი მოკვლევის გზით შექმნილი ახალი ზედნაშენი. ამ თვალსაზრისით უდავოდ მნიშვნელოვანია ფესტოსის დისკო, რომელიც დოქტორმა ლუიჯი პერნიემ აღმოაჩინა კუნძულ კრეტაზე. ფესტოსის დისკოზე ნიშან-ტექსტები ორივე მხარეს

1 რ. გორდეზიანი. — „ილიადა და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხები“. 1970 წ.

ოქროს ყალიბებით არის ამოტვიფრული. 100 წლის განმავლობაში მსოფლიოს არაერთმა მეცნიერმა სცადა ამ ნიშან-ტექსტების ამოკითხვა, მაგრამ... ამაოდ!

კრეტის კუნძულზე მიწისძვრით განადგურებული ქალაქის ნანგრევებში აღმოჩენილი 4000-3500 წლის წინანდელი დისკო, მასზე მოცემული სპირალური პრინციპით განთავსებული იეროგლიფები სწორედ იმაზე მეტყველებს, რომ პროტოიბერიული მოდგმის სამყარო წარმოადგენდა ამ რეგიონის და ხმელთაშუა ზღვის არეალის მძლავრ ცივილიზაციურ წარმონაქმნს, რომელიც უდავოდ განაპირობებდა ახალი კულტურების კერების გაჩენის ფაქტორს... ავსტრიელმა მკვლევარმა ჰერბერტ ძებიშმა 1988 წელს ივარაუდა, რომ ამ დისკოს წაკითხვა უნდა მომხდარიყო მისი სავარაუდო წარმოშობის პროტოქართველური, კოლხურ-იბერიული დამწერლობის კუთხით. ქართველი მკვლევრის გიორგი კვაშილავას 17-წლიანი შრომის შედეგად საბოლოოდ დადგინდა კიდეც დისკოს მნიშვნელობა და ნაწერის შინაარსი. აღმოჩნდა, რომ საქმე გვაქვს პროტოიბერთა — კოლხთა დიდი ქალღმერთის — ნენანას განდიდებისთვის შექმნილ საგალობელთან.

ძველქართველური მონეტები სპირალური ფორმის განლაგებით დისკოს ფორმის ფირფიტაზე მიგვანიშნებს გარკვეულ პრინციპებზე, წესზე, რომელსაც იყენებდნენ პროტოიბერიული კულტურის მატარებელი საზოგადოებები. ასეთივე სტრუქტურული გამოვლინებით ბ-ნმა შოთა ხვედელიძემ გაშიფრა ფირფიტა, რომელიც პირინეის ნახევარკუნძულზე, ესპანეთში აღმოჩნდა და პროტოიბერიელთა ხმელთაშუა ზღვის გავლით განხორციელებული ერთ-ერთი ექსპედიციის შედეგია.

სოციალური გეოგრაფიის ორიგინალური მკვლევარი ედ. დემოლინსი დარწმუნებულია, რომ ეტრუსკები, ისევე, რო-

გორც პელაზგები, კოლხეთიდან არიან გადმოსახლებულნი, რომ, საერთოდ, კოლხეთმა დაუდო საფუძველი მედიტერიანულ კულტურას, მის ფიზიკურ და სოციალურ ტიპს, მის მხატვრულ გემოვნებას. ს. ფერის აზრით, კარხემიშის ხატოვან ნაწერებში მთელი ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრამით, რომელიც იხსნება, როგორც „წყალი“ — წყლის, ანუ ზღვის ხალხის ქვეყანა. პელაზგი — ეთნიკური ტერმინი — ბერძნული ეტიმოლოგიის სახელია სიტყვიდან „პელაგოს“, რაც ბერძნულად ზღვას ნიშნავს, თუმცა მეგრულადაც პელიაგონი აბობოქრებული ზღვაა — უძველესი ფორმაა „პელაგსკოი“, ანუ სკო-სკუა (მეგრ.) — ზღვის შვილები. პროფ. რ. გორდეზიანი, მიმოიხილავს რა სხვადასხვა მეცნიერთა, მათ შორის ს. ფერის შეხედულებებს, წერს: „ისტორიული დასაბუთებისათვის ს. ფერის მოჰყავს ძველი ბერძნული გადმოცემა: 1. მეორე ათასწლეულის დამლევს ჩვ.წ. აღ-მდე ზღვაზე ბატონობდნენ პელაზგები. 2. პელაზგების დამწერლობა განირჩეოდა ფინიკიურისგან და უძველესი პოეტები ლინე, ორფეოსი და პრონაპიდე — ჰომეროსის მასწავლებლები, სწორედ ამ დამწერლობას ხმარობდნენ“.

...პროტოქართულ, ანუ პროტოიბერიულ-კოლხურ მოდგმას ზოგი მკვლევარი ლიგურიულ-იბერიულ-კავკასიურს უწოდებს. ეს მოდგმა ბატონობდა სწორედ ხმელთაშუა და ეგეოსის ზღვების აუზსა და მცირე აზიაში. ეს მოდგმა უშლიდა ხელს ინდოევროპელთა მოძალებას და, ამასთან, როგორც ითქვა, განვითარების უფრო მაღალ საფეხურზე იდგა და გავლენას ახდენდა მომხვდურთა კულტურაზე.

ინდოევროპელთა მოძალება მესამე ათასწლეულის შუახანებისთვის მრავალგვარი სახით აისახა ბერძნულ მითოლოგიაში. ასე, მაგალითად, იაფეტის ძის ტიტან პრომეთეს მიჯაჭვა კავკასიონის ქედზე ზევსის და მისი პანთეონის გაბატონებით აიხსნება. აკად. ს. ყაუხჩიშვილის აზრით (ამ შეხედულებას სხვა მეცნიერებიც იზიარებენ), აქ საქმე გვაქვს

სხვადასხვა კულტურის ბრძოლასთან და ურთიერთადპირისპირებასთან. პრომეთე, რომელიც არ იყო ბერძნული ღვთაება, იმ ხალხის ღვთაებაა, ბერძნების მოსვლამდე რომ ცხოვრობდა და მაღალი კულტურის მატარებელი რომ იყო. თვით ბერძნულ-ლათინური წყაროები ხომ დაჟინებით მიუთითებენ ქართველურ ტომთა კავშირზე ეგეიდასთან. ასე, მაგალითად, ვერგილიუსის „გეორგიკების“ ერთ-ერთი ტაეპის განმარტების მიხედვით, ხალიბები კუნძულ ევბეადან გადმოსახლებულან — ეს ის ხალიბებია, ფოლადის გამომგონებლად რომ მიიჩნევდა ძველი სამყარო. ძველი ბერძნები ფოლადს „ხალვიფს“-ხალვიბდიკონს უწოდებენ. ყურადღებას იქცევს ფსევდო-არისტოტელეს ცნობა რკინის გამოდნობის ე.წ. ხალიბური და ამისური წესის შესახებ.

ქსენოფონტეს ცნობით, „კარდუხების სახლები სავსეა ბრინჯაოს ნივთებით“, ხალიბების საარსებო საშუალება თურმე რკინის დამუშავება ყოფილა! „თობელი — ესე იყო კვერით ხურო, მჭედელი რვალისა და რკინისა“ („შესაქმეთა წიგნი“), „თობელისგანაა თობელები, ახლანდელი იბერები“, — აღნიშნავს VIII საუკუნის ბიზანტიელი მწერალი გიორგი სანანგელოზი. ამასვე ადასტურებს ძველი ბერძნული მითები. ჰეფესტოს ღმერთის სასწაულებს მიაწერდნენ ბერძენნი კოლხთა საოცარ შადრევნებს, სპილენძისფეხებიან მძლავრ ხარებს, რომელნიც სპილენძისავე ხახებიდან ცეცხლის ალს აფრქვევდნენ. თითქოს ჰეფესტომ გამოუჭედა კოლხებს რვალის გუთანი, მტკიცე და მთლიანი... როგორც ითქვა, არც პრომეთე-ამირანის თქმულება უკავშირდება შემთხვევით კავკასიას. თრიალეთის გათხრები და კუფტინის მიერ აღმოჩენილი საგნები მჭევრმეტყველურად ადასტურებენ კოლხ-იბერიული, ანუ ქალდეური კულტურის სიმძლავრეს, ხოლო ქობულეთ-ფიჭვნარის მიდამოებში გამოვლინდა ბრინჯაოს, წინაანტიკური, კლასიკური, ელინისტური და ადრეფეოდალური ხანის კულტურული ფენები.

დიახ, 5 ათასი წლის წინათ ეწეოდნენ ქართველთა წინაპრები სამჭედლო საქმიანობას, მიწათმოქმედებას... ძვ.წ.აღ.-მდე 1500 წლის წინათ მინოსური კულტურის მატარებელი პელაზგების ხელოვანთა და ხელოსანთა მიერ შექმნილ გამოსახულებებზე კარგად ჩანს ხარის კულტთან დაკავშირებული მისტერიები, ეზოთერული სამყარო... ამ სურათებში ხარი მიწას წარმოადგენს. ადამიანი ცდილობს, დაიმორჩილოს, ეთამაშოს, გაერთოს და, საერთოდ, იმოქმედოს მის წინაშე. „ხართან დაკავშირებული ეს ორომტრიალი, ყირამალაზე გადასვლის სცენები, რომელთა გამოსახულებებიც უამრავია — მიწის კულტთან არის დაკავშირებული... ამ მითოლოგიურ წარმომადგენლებთან არის დაკავშირებული იბერია, აღმოსავლეთ იბერია და მთელი კოლხეთი. ანუ: გეორგიანელები...

მიწასთან, ხართან მოთამაშე ხალხი ანუ გეორგიანელები ეყრდნობოდნენ იმ ცოდნას და პრაქტიკას, რომელიც ათასწლეულების მანძილზე წარმოაჩენდა მათ, როგორც ერთ-ერთი ყველაზე წინ წასული ცივილიზაციის ხალხს, რომელიც მიწის სიმდიდრის მოპოვებით, მჭედლობით მდიდრდებოდა და ძლიერდებოდა მიწასთან კავშირში“ (გ. ნატროშვილი).

აკი, კოლხურ მონეტებზეც მოგვიანებით ხშირად გვხვდება ხარის თავები, რაც აგრეთვე ხარის კულტის არსებობის უტყუარი ნიშანია.[1]

1 საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ინგლისელი ისტორიკოსი მორტონი ინგლისის პირველ მოსახლეობად მიიჩნევს იბერიელებს — მიწათმოქმედ, მშვიდობისმოყვარე ხალხს. - ავტ.

...არგონავტები კოლხეთის მიწაზე, ფაზისის ნაპირზე ღმერთქალ გეას და სხვა აქაურ ღმერთთა პატივსაცემად ღვრიან ზედაშეს და ევედრებიან შემწეობას, ხელის მომართვას.

...ისევ პელაზგებს რომ დავუბრუნდეთ: მე-13, მე-12 საუკუნეებისთვის ჩვ.წ. აღ-მდე პელაზგური (იგივე კოლხურ-იბერიული) გაბატონებული ენა იყო, მაგრამ ელინ ტომთა გავლენის ზრდასთან ერთად პელაზგებმა ბერძნულიც შეითვისეს.გარკვეული დროის განმავლობაში ორენოვანნი იყვნენ... ბერძნული ტომების გავლენის განუწყვეტელ ზრდასთან ერთად პელაზგებმა მშობლიური ენა თანდათანობით დაივიწყეს და ბერძნულზე გადავიდნენ. ბერძნებმა კარგად იცოდნენ, რომ გამქრალმა პელაზგურმა საკმაოდ მნიშვნელოვანი კვალი დატოვა ბერძნებში“[1]

ქართულ სამეცნიერო ლიტერატურაში არაერთგზის გამოთქმულა მოსაზრება წინაბერძნული მოსახლეობის ქართველურ ტომებთან ნათესაობის შესახებ. ამ ვარაუდის გამოთქმის საშუალებას გარკვეული მონაცემები იძლევა: ქართული და ბერძნული ლექსთწყობის შედარებითი ანალიზი, ანტიკური მითოლოგიის მონაცემები, ცალკეული ლინგვისტური დაკვირვებანი, ტოპონიმიკის, ონომასტიკონის შესწავლა და ა.შ. (პ. ბერაძე).

აკი, როგორც ზემოთაც ითქვა, თვით ბერძნულ-ლათინური წყაროები დაჟინებით მიუთითებენ ქართველურ ტომთა კავშირზე ეგეიდასთან. აიეტის თავდაპირველი სამკვიდრებელი ეფირე იყო, კუნძულ ევბეას მაკრისი ერქვა, იქ მოსახლე მაკრონების გამო, კუნძული სკიროსის და ლემნოსის მკვიდრნი პელაზგები ან ეტრუსკები არიან და ა.შ. ჰეროდოტე (V ს. ჩვ.წ.აღ-მდე) პელაზგთა სამყოფლად ბალკანეთის ნახევარკუნძულს, კრეტას მიიჩნევს. კრეტიდან გადასახლდნენ ისინი მცირე აზიაში, ისევე, როგორც ფილისტიმელები. მის თანამედროვე კრეტაზე ჰეროდოტე ამბობს, რომ „აქ უწინ

1 რ. გორდეზიანი. „ილიადა“ და ეგეოსური მოსახლეობის ისტორიისა და ეთნოგენეზისის საკითხები“. 1970 წ.

„ბარბაროსები“ ცხოვრობდნენ“, ხოლო ტროელთა მოკავშირე პელაზგები „არკადიიდან არიან წარმომდგარი... ამის შესახებ ჰესიოდემ შეატყობინა ეფროსს“ და ა.შ.

არკადია კი წინაბერძნული მოსახლეობის ცენტრი იყო. აქ დაიბადა პელაზგოსი და მისი მესამე თაობის მეფეს არკასი ერქვა, ქვეყნის ეპონიმი. აქ ქვეყნის მოსახლეობა თვით გვიანობამდეც კი პელაზგური იყო, ყოველგვარი შერევის გარეშე. პროფ. რ. გორდეზიანის დაკვირვებითვე, არკადიელთა და ტროელთა წინაპარი ატლანტიც (პრომეთეს ძმა) ხომ აშკარად წინაბერძნული ღვთაებაა, ხოლო ტროა VI-ის დაარსებაც კავკასიის ფარგლებიდან მოსულ ტომებს მიეწერება, ეტრუსკები ტროელთა შთამომავალნი არიან (ეტრუსკია და სკი სუფიქსი თავისთავად მეტყველებს მათ კოლხურ წარმოშობაზე), ისევე, როგორც კირკეს ანუ ცირცეს შვილი ლათინოსი ლათინთა მამამთავარია! მინოსის მეუღლე პასიფაეა კოლხთა მეფის — აიეტის დაა![1]

ბერძნული (ინდოევროპული) ტომების სამხრეთ ევროპაში ჩამოსახლების პერიოდში პელაზგი მაკრისელები — სხვა პელაზგური ტომების მსგავსად, ეგეოსის ზღვის რაიონიდან აყრილან და აღმოსავლეთით პროპონდიტის (მარმარილოს ზღვა), შემდეგ კი შავი ზღვის სანაპიროებისკენ გადმოხიზნულან და იქ ძველთაგანვე დამკვიდრებულ ნათესავი ტომების მეზობლად დაბინავებულან (პროფ. ა.ურუშაძე).

...აკად. ნ. მარის აზრით, იაფეტიანთა ნათესავს ისტორიაში ფრიად დიდი ადგილი ეკავა და დიდია, მძლავრია მისი როლი კაცობრიობის ცივილიზაციის შექმნაში. აკი, დღევანდელი კვლევები როგორც ჩვენი, ისე უცხოელი მეცნიერებისა ამ აზრს ადასტურებენ!..

იპოლიტე პორტოელი თავის შთამომავლობათა წიგნში „იაფეტის ტომთაგან იხსენიებს კოლხებს, საკუთარი ენის მქონე ტომთა შორის ისევ კოლხებს და სანებს (იმავე ჭანებს), რომელთაც საკუთარი დამწერლობა ჰქონდათ

1 ხოლო მედეას შვილმა — მედოსმა შექმნა თურმე მიდიის სამეფო.

— კირბისების სახით“ და ა.შ. ხოლო ბიზანტიურ ხანაში თითქმის უკლებლივ ყველა ძველ ბერძენ და რომაელ მწერალს „ლაზი“ კოლხების ახალ სახელად მიაჩნია. V საუკუნის „ლაზი“ უდრის თანამედროვე „მეგრელს“.

„ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინი ლაზი გადადის ჭანებზე, რომელთაც მანამდე ასე არასოდეს უწოდებდნენ“ (აკად. ს. ჯანაშია). ლაზი, ნ. მარის მიხედვით, არის ელინიზირებული ფორმა „ზანების“ ქვეყნის სახელწოდებისა. ლაზი მოდის: „ლა-ზან-იდან“. ეს უკანასკნელი კი არის ადგილის სახელის სვანური ფორმა. შემდეგ „ლაზ“ „ლაზგოს“ და „პე-ლაზ-გის“ ერთ თავისებურ სახედ მიაჩნია.

ხოლო, რაც შეეხება პალესტინას, ანუ ქანაანს და იქ ებრაელების გამოჩენამდე მცხოვრებ ხალხს — ვინ იყვნენ ფილისტიმელები? როგორც ცნობილია, „ძველი აღთქმის“ მიხედვით, აბრამი შუმერიდან, ქალაქ ურიდან იყო წამოსული. იგი ღვთის განჩინებით უნდა გამხდარიყო ახალი ხალხის მამამთავარი, ხოლო ქვეყანა, სადაც ეს ახალი ერი უნდა დამკვიდრებულიყო, ქანაანად იწოდებოდა. აბრამს (შემდგომში აბრაამს) კურთხევა უნდა მიეღო ქანაანის მეფისა და მთავარი ქურუმის — მელქისედეკისგან. საგულისხმოა ის გარემოება, რომ მელქისედეკმა იგი აზიარა ღვინით და პურით. ანუ ამიერიდან აბრაამი ხელდასხმული, ზიარებული შეიქმნა იმ ქვეყნის სულიერი მოძღვრისგან, რომლის ქვეყანაშიც უნდა ეცხოვრა ამ ახლად ჩამოყალიბებულ ეთნოსს.

მე, რასაკვირველია, არა მაქვს პრეტენზია „ძველ აღთქმასთან“ დაკავშირებული საკითხების განხილვისა. ამაზე ბევრი დაწერილა და თქმულა. მე მხოლოდ შევეხები იმ ასპექტს, ამ პრობლემის ერთ-ერთი მკვლევარის რ. შენგელიას წიგნში: „ქვაკუთხედი ანუ „ქართლის ცხოვრების მისტერიები“ რომ არის განხილული, კერძოდ, იმ სიტყვებისა და ტერმინების ქართულ სამყაროსთან სიახლოვის თემას, რაც ჩემთვის საცნაური გახდა ზოგიერთი ჩვენი თუ უცხოელ მკვ-

ლევართა აზრთა გაცნობიერებისას (აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ჯერ კიდევ ნ. მარს ძველი აღთქმის პირველი ნაწილი — შესაქმე — პროტოქართველურის ზეგავლენით შექმნილად მიაჩნდა, რაც დაადასტურა კიდეც მ. წერეთლის, ზ. ქაფიანიძის, თ. მიბჩუანის და სხვათა ნაშრომებმა.).

როგორც ზემოთაც ითქვა, „კარხემიშის ხატოვან ნაწერებში“ მთელი ქვეყანა აღნიშნულია იდეოგრამით, რომელიც აიხსნება, როგორც „წყალი“, ანუ ზღვის ხალხის ქვეყანა. ფილისტიმელები თავიანთ საცხოვრისს ფელეშტუმს, ანუ პალესტინას უწოდებდნენ.[1] ზოგიერთი მეცნიერის აზრით, „ისრაელთა ტომები სახელმწიფოში (ანუ ქანაანში) უმცირესობას შეადგენდნენ. ისინი განიცდიდნენ დიდი რელიგიური და კულტურული ტრადიციების მქონე ქანაანელი ტომების ძლიერ ზეგავლენას.

მცირე აზიის, პალესტინის, ანუ ქანაანის ტოპონიმებზე არაერთხელ თქმულა და დაწერილა. ბევრი მათგანი იმ ხალხის კუთვნილებად მიაჩნიათ, ებრაელების გამოჩენამდე რომ მკვიდრობდნენ იქ. ასე, მაგალითად, თვით სახელწოდება ქანა-ანი (ქი-ანა, მეგ. ქვეყანა), იერი-ქ-ონი, ხარ-ანი, გოზ-ანი, სიდ-ონი, აშკელ-ონი, ხებრ-ონი, კედრ-ონი, ქორაზ-ანი, ზებულ-ონი, ისახ-ანი, ბენდ-ანი, ქარქემ-იშ-ი, ლარ-ში, გე-თი, გერ-არ-ი, დაბ-ირ-ი, ურიფას-შარი, გენესარ-ეთ-ი, გეო-ური, ტიბერიის ტბა (ტიბ. ტუბ. მეგ. და სვანურად ნიშნავს თბილს), ტვირ-ოსი, გალ-იშ-ი, ლაქ-იშ-ი, ცარე-ფა-თი და ა.შ.)[2]

1 ფელეშ-ტუმი, ანუ მენავეთა ტომი. იგივე: ფალაშ-(პალიას) ტომი (პალიასტომი — ტბის სახელწოდება საქართველოში). - ავტ.

2 გალილეის მხარეში, ანუ იმ კუთხეში, სადაც ნარევი ტომები ცხოვრობდნენ, მდებარეობდა: ნაზ-არ-ეთ-ი (ქართულად რომ გავშიფროთ — ნა-ზარ, ანუ ზარგამოვლილი, ნაუბედურალი ადგილი, საიდანაც თურმე, როგორც სახარებაშია ნათქვამი, არ შეიძლებოდა ვინმე ღირსეული ადამიანი გამოსულიყო, ანუ აქ მინიშნებულია ებრაელთა ქედმაღლური დამოკიდებულება სხვა ტომთა მიმართ). - ავტ.

რაც შეეხება ონ, უნ, იან, ასევე ეთ სუფიქსებს — მათი საყოველთაო გავრცელება და მრავალვარიანტულობა ქართველურ ენაში, აკად. ს. ჯანაშიას აზრით, მოწმობს, რომ ისინი ამ ენების საკუთარი, მორფოლოგიური კუთვნილებაა, ხოლო, როცა მათ უცხოურში ვხვდებით, ბუნებრივია, ისინი ამ ენებიდან, ანუ ქართველური ენებიდან შენაძენად მივიჩნიოთ. მოცემული სუფიქსების, ასე ვთქვათ, ქართველურობისთვის საყურადღებო საბუთია მათი საოცრად სრული ანალოგიები იმავე დანიშნულების მქონე სხვა სუფიქსებთან (ელ-იელი, ერ-იერი, ეთ და სხვ.), ხოლო მათი საყოველთაო გავრცელების და მრავალვარიანტულობის ნიმუშებად შეიძლება მოვიყვანოთ უამრავი მაგალითი ქართველურ ენებში: შატილ-იონი, მხედრი-ონი, საყდრი-ონ-ი, ხატი-ონი, გვარები: ბაგრატი-ონი, მამიკონ-იანი. მეგრ.-ჭანური: ილ-ონი, შქერ-ონი, გვიმარ-ონი, ქვალ-ონი. გვარები: გაბ-უნ-ია (ორმაგი სუფიქსით ნაწარმოები), ხუხ-უნ-ი, ბაგრატ-უნ-ი და უამრავი სხვა. აგრეთვე ტომობრივი ეპონიმები: სვ-ანი, ჭ-ანი, ზ-ანი, ს-ანი და სხვ. **იან** სუფიქსიანი სვანური გვარები და სხვადასხვა შინაარსის მქონე ამ სუფიქსებით ნაწარმოები სიტყვები: გულ-იანი, მზი-ანი, ფრთ-იანი, მთვარ-იან-ი, წვიმი-ანი და ა.შ. **უნ**-ზე: გოგოც-უნ-ა, კაც-უნ-ა, გლახ-უნ-ა, ბიჭ-უნ-ა, წალდ-უნ-ა, ბებრუც-უნ-ა და ა.შ. **თა**-ზე დაბოლოებული: გურ-იან-თა, ლაგვან-თა, ბიჭვინ-თა, გომ-არ-თა, ამირ-ან-თა და ა.შ. ხოლო სუმერებთან, ანუ შუმერებთან პროტოქართველურ ტომთა სიახლოვე და ნათესაობა მრავალი ჩვენი თუ უცხოელი მეცნიერის კვლევის საგანია დღემდე (მ. წერეთელი, თ. მიბჩუანი, ზ. ქაფიანიძე და სხვ.). აქვე მინდა მოვიყვანო სტალინის პირველი ცოლის ძმის, 1937-ში რეპრესირებული მკვლევრის ა. სვანიძის ნაშრომში („Расселение Алародийских племен“) დასახელებული ტოპონიმები მცირე აზიაში — მათ შორის, კაპადოკიაში: ლორი, სეკარა, კარამაგარა, საროვანთი, კარისა, კარია, დიდიმა, დინდი, ალანის,

არაგვის, კავსა, ერკეთეთი, კდეკარა, კამანანი, მელითა, მილეთი, კვესა, მესტია, ეგრი-კალე, ფჯიკ-დაკ (ჯიხა), კუტაია, სორი, ეგრი-დაგ, გურჯი-ბოღაზ (ქართველთა კარი, სადაც იბერთა ტომების არსებობაა საგულვებელი) და ა.შ.

რაც შეეხება ბაგრატიონებს, ანუ დავითიანთა მოდგმას და მის მესიანურ როლს მსოფლიოში, მინდა მკითხველს შევახსენო ის გარემოებაც, რომ დავით წინასწარმეტყველის ერთ-ერთი ფსალმუნის „გალობაი აღსავალთაი“ (119-20) ბევრ გამოცემაში — როგორც ძველში, ისე ახალში — ის ფრაზაა გამოტოვებული, სადაც დავით წინასწარმეტყველი ამბობს: „ვაი, ხიზანი ვარ მეშექისა, ვბინადრობ კედარის კარვებთან... დიდხანს მკვიდრობდა სული ჩემი მშვიდობის მოძულეებთან... მე მშვიდობა მსურს და რომ დავილაპარაკებ, ისინი საომრად ემზადებიან... უცხო ვექმენ მე ძმათა ჩემთა და სტუმარ-ძეთა დედისა ჩემისათა“ (ფ. ახალი აღთქმა და ფსალმუნები, სტოკჰოლმი, 1991 წ.).

რუსული თარგმანი ასეა: „Горе мне, что я пребиваю у Мосоха, живу у Шатров кедарских. Долго жила душа моя с ненавидящими мир. Я Мирен, но только заговарю, они – к войне»...

რუსული ბიბლიის ენციკლოპედიაში, რომელიც გამოცემულია 1891 წ. მოსკოვში, ასეა განმარტებული მოსოხი: «Мосох – означает владение, имя двух лиц шестой сынов Яфета – родоначальника мосохов – народа обитавшего между черным и каспийским морем, производяшего торговлю с Миром... Из сынов самова и называемой книга Бытия именем – Мощ!» (ბიბლიურად: მეშეხი, ანუ ტიბარენები — თუბალები, ასირიულად — ტაბალაი: მუშკები, ანუ მესხები).

რუსული ენციკლოპედია, ცხადია, არ აკონკრეტებს, რომ შავსა და კასპიის ზღვებს შორის მცხოვრები მოსხები ქართველური მოდგმის ხალხია. ბერძენი ჰეკატელის აზრით: „მოსხები კოლხური მოდგმის ხალხია. ცხოვრობენ „მატიანელების

გვერდით“. ამავე აზრისაა სტეფანე ბიზანტიელი. ნ. მარსაც მოსხები, ანუ მესხები კოლხურ ტომად მიაჩნია. თავადაც შემთხვევით არ შეუქმნია იაფეტური თეორია და შემთხვევით არ მიუკუთვნებია პროტოქართველები, ანუ კოლხ-იბერიულ-კავკასიური მოდგმა — იაფეტიანთათვის.

თ. გომელის აზრით: „მცირე აზია ოდესღაც დასახლებული იყო ხალხებით, რომლებიც ერთ ჯგუფს ქმნიდნენ — ხეთებთან ერთად და ალაროდიულ ოჯახს მიეკუთვნებოდნენ“. ანუ ძველი მცხოვრებნი ურარტუსი, რომელთა შთამომავლებად მიიჩნევს ქართებს, მეგრელ-ლაზებს და სვანებს, აგრეთვე პელაზგებს, ეტრუსკებს, ესპ. იბერებს (დღევანდელ ბასკებს) — ისინი არ ითვლებოდნენ ინდოევროპულ, არიულ რასად... აკი დღეს უკვე იკვეთება აზრი, რომ არიული რასის ფუძემდებელი სწორედ: იბერიულ-კოლხური მოდგმაა.

საყურადღებოა აგრეთვე ის გარემოება, რომ, რავლინსონის მიხედვით, ძველი ისტორია იბერიისა, ანუ იმავე კოლხეთისა იყოფა ხუთ პერიოდად: ხალიბები (ხალ-მეგ. ნიშნავს შეწვა-მოხალვას), ქარდუ (ქართუ. მეგ), ქალდი (ქალდეველები) — ქართუ — სირიულად, ქართლი (ქართულად). სვანეთში არის სოფელი ხალდე, იგივე ქალდე. როგორც ზემოთ ითქვა, ი. ჯავახიშვილსაც სწორედ ქალდე, ანუ ხალდე მიაჩნდა ქართველების წინაპრებად!

...ბაგრატოვანთ კარგად ახსოვდათ თავიანთი წარმომავლობა და ამიტომაც იყო, თავს დავით წინასწარმეტყველის მოდგმას რომ მიაკუთვნებდნენ, ანუ: იესო ქრისტეს ენათესავებოდნენ დედის — ღვთისმშობლის მხრიდან (ღვთისმშობელი ხომ დავით წინასწარმეტყველის შთამომავალია). საყურადღებოა, აგრეთვე, ერთი ფრიად მნიშვნელოვანი გარემოებაც: ქუჯი ერისთავმა, მას შემდეგ, რაც დახმარება გაუწია და მტერზე გაამარჯვებინა ფარნავაზს, პირველობა შესთავაზა და თავი მის ქვეშევრდომად გამოაცხადა. ეს

ფრიად საინტერესო მოვლენა გახლავთ, როცა ნებაყოფლობით ხდება დასავლეთ და სამხრეთ-აღმოსავლეთ საქართველოს გაერთიანება, როცა ჰეგემონობას იღებს ქართლი და მის გარშემო ხდება დანარჩენი კუთხეების თავმოყრა (ჭანურ-ლაზურ-მეგრულად ქართა ნიშნავს შემოღობილ დიდ სივრცეს, ანუ ბაკს, რომელსაც ცენტრალური ადგილი უჭირავს. დღესაც მეგრულ-ჭანური ტომები თბილისს — ქართს ეძახიან, ხოლო ქართლელს — ქორთუს (ანუ იგივე ქარდუხი). სწორედ ქართლმა იკისრა ანტიკური ხანიდან მეწინავეობა იბერიულ-კოლხურ ტომებს შორის[1]. ცხადია, ისიც არ არის შემთხვევითი, რომ ქრისტიანული რელიგიის და კულტურის ცენტრად სწორედ მცხეთა და სვეტიცხოველი მოევლინა სრულიად საქართველოს! რომ სწორედ სვეტიცხოველში ინახება უფლის კვართი, რომ მას მეორე იერუსალიმი ეწოდება, ღვთისმშობლის კვართიც საქართველოში, კერძოდ, ხობში ინახებოდა (ამჟამად დაცულია ზუგდიდში) და რომ, როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, საქართველოს განმანათლებელი — სწორედ კაპადოკიელი ქართველი ქალია!

...დიდი ილია ბრძანებდა: „ყოველი ერი თავისის ისტორიით სულდგმულობს. იგია საგანი, საცა ერი პოულობს თავისის სულის ღონეს, თავისის სულის ბგერას, თავის ზნეობის და გონების აღმატებულებას, თვის ვინაობას, თვის თვისებას... ჩვენის ფიქრით, არც ერთობა ენისა, არც ერთობა სარწმუნოებისა და გვარტომობისა ისე არ შეამსჭვალებს ხოლმე ადამიანს ერთმანეთთან, როგორც ერთობა ისტორიისა“... და შემდეგ: „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავის საკუთარი გულთა-თქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამეების შეგინება კი არ ეპატიება, არ შეენდობა ოდნავ გონებაგახსნილ ადამიანს, მაგრამ აქაოდა, შფოთი ატყდებაო, ბოროტების მხილებას კრიჭა არ უნდა შეუკრას ვინმემ, ვინაიდან უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდების“.

[1] საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ქართლში პირველობისთვის ორი ჭანური გვარი ებრძოდა ერთმანეთს: ბაგრატოვანთა და ბაღვაშთა. ეს ბრძოლა საბოლოოდ ბაგრატიონების გამარჯვებით და საქართველოს გაერთიანებით დასრულდა! ლაზური წარმოშობისაა, აგრეთვე, მამიკონიანთა ცნობილი გვარი. - ავტ.

არადა, შეგნებულ და შეუგნებელ ბოროტ ზრახვებს, ისტორიის გაყალბება რომ ჰქვია, თავისი ნაყოფი გამოჰქონდა წარსულში და გამოაქვს დღესაც. ამიტომ, დიახაც რომ საჭიროა, ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას, რასაც მეტნაკლებად იქმოდნენ კიდეც ჩვენი დიდი მეცნიერები, მწერლები, პოეტები, თუმცა, მიზეზთა გამო, ცარიზმის თუ ბოლშევიკური იმპერიის წყალობით, უგულებელყოფილ იქნა ბევრი მათი მნიშვნელოვანი ნაშრომი;

...რაც უფრო ღრმად ეცნობოდა ქართული კულტურის ძეგლებს ნიკო მარი, მით უფრო კატეგორიული ხდებოდა მისი დამოკიდებულება და პოზიციაც საქართველოს ისტორიის მიმართ: „...რამდენათ საქართველოს ყოფილი დიადი კულტურა იხატება შით და რამდენად შეაფერხა ეს კულტურა რუსეთის უკუღმართმა პოლიტიკამ“, — წერდა იგი მოგვიანებით. შავრაზმელი დეკანოზი ვოსტორგოვი, აკი, არც მალავდა იმპერიის მიზანს და ზრახვებს. თავის მოგონებაში იგი წერდა: „У них (у грузин) к сожалению, есть национальные традиции и самосознание, но мы везде возбуждали племенные чувства, уповая на то, что племя поднимется на племя, и брат на брата».[1]

კირიონ ეპისკოპოსის ნაშრომი „Культурная роль Иверии в истории руси» აკრძალულ წიგნად იქცა, ხოლო მისი ავტორი იდევნებოდა ცარიზმის დროს და შემდგომ შეეწირა კიდეც სიმართლის თქმას, ისევე, როგორც ბოლშევიკების დროს

[1] „მათ, ქართველებს, სამწუხაროდ გააჩნიათ ეროვნული ტრადიციები და თვითშეგნება, მაგრამ ჩვენ ყველგან ვცდილობდით ტომობრივი გრძნობების გაღვივებას იმ იმედით, რომ ტომი აღსდგებოდა ტომის წინააღმდეგ და ძმა — ძმის წინააღმდეგ.

აკრძალა ცენზურამ ალ. სვანიძის ზემოთ ნახსენები ნაშრომი: „Расселение Алародийских племен», ხოლო ავტორი, როგორც უკვე ითქვა, 37-ის რეპრესიებს ემსხვერპლა. ასევე, საბჭოთა პერიოდში დიდი ივანე ჯავახიშვილის, გ. ჯანაშვილის და სხვათა ადრინდელი ნაშრომებიდან ამოიღეს ის ადგილები, სადაც სიმართლე იყო ნათქვამი საქართველოს უძველესი ისტორიის შესახებ. ხოლო რა დევნასაც განიცდიდა პ. ინგოროყვა საბჭოთა პერიოდში თავისი მართალი გამოკვლევების გამო, ეს უკვე ყველას ახსოვს (როგორც ახლა ირკვევა, ივ. ჯავახიშვილი თავისი სიკვდილით არ მომკვდარა — იგი თურმე მოწამლეს!).

სწორედ ივანე ჯავახიშვილი ოქტომბრის რევოლუციამდე გამოსულ თავის ნაშრომში „ქართველი ერის ისტორია“ წერდა: „საქართველოს ისტორია არა და არ უნდა იყოს გაყალბებული და იგი უძველესი კოლხეთის ისტორიით უნდა იწყებოდეს და არა ისტორიული ზღაპრებით და ლეგენდებით“ (რასაც სწორედ ლეონტი მროველი აკეთებს „ქართლის ცხოვრების“ შესავალში).

„თუ უცხოელი მკვლევარები წერენ ჩვენს ჭეშმარიტ ისტორიას, ჩვენ რაღა ღმერთი გვიწყრება“, — წერს ივანე ჯავახიშვილი ჯერ კიდევ 1908 წელს. და შემდეგ: „ჩვენ ყველამ ვიცით, რომ თანამედროვე ქრისტიანობის ნიადაგზე აღმოცენებული ქართული მწერლობის ენა ქართულია, ხოლო ქართველი ხალხის უძველესი სახის კულტურის შესწავლა უეჭველს ჰყოფს, რომ ქართველებს ქრისტეს წინათაც მრავალი საუკუნის განმავლობაში მწერლობა უნდა ჰქონოდათ, მაგრამ შესაძლებელია შემდეგ გაირკვეს, რომ ამ ხანის მწერლობის ენა ქართლურ შტოს კი არ ეკუთვნოდეს, არამედ მეგრულ-ლაზურ შტოს ან სვანურს. ამის გამო ქართული ენა-კილოკავების შესწავლას მეტად დიდი მნიშვნელობა აქვს და ექნება კიდევ ყოველთვის“[1]

1 აფხა-მეგრულად ნიშნავს ბეჭს (ქართულში: ფხა და ფხიანი). ესე იგი, აფხაზეთი ბეჭი, ანუ მცველი იყო დანარჩენი მხარეების — კერძოდ, მთელი დასავლეთ საქართველოსი!

„ლაზურ-მეგრული და სვანური შუქსა ჰფენს ჩვენი საერთო და საზოგადო ქართულის იმ პერიოდს, როცა ჩვენი ერის ისტორია არც კი დაწყებულიყო. ბევრი მისი ფესვი ჩვენი სიტყვებისა — აწ უკვე გაუგებარი, შეიძლება მივაკვლიოთ ამ იდეომების შესწავლით“ (გრ. ყიფშიძე). დიდი აკაკიც ხომ ამბობს: „მეგრული მარგალიტების სალაროა ქართულისათვის“-ო. „როცა ქართულის მონათესავე ენები გახდნენ შესწავლის საგნად, როცა ამ მონათესავე ენების კილოები დახასიათდნენ და გვიჩვენეს შესანიშნავი სიმდიდრე... ქართული სალიტერატურო ენა — ძველიც და ახალიც — ერთად შეერთებული, მათთან ნაკლულოვანი აღმოჩნდა, ამიტომ წარმოიშვა მკაცრი, შეუწყნარებელი მოთხოვნა, აუცილებელი საჭიროება მათი შესწავლისა“, — წერს ნ. მარი და განაგრძობს: „ქართულსა და მის მონათესავე ენებს ფართოდ უნდა გაეღოს კარი ყოველ უნივერსიტეტში“... ვინაიდან: „ორიენტალისტები და თვით კლასიკებიც უკვე მისული არიან კავკასიის კარებთან, მის წიაღში ეძებენ და არც უსაფუძვლოდ ელიან საჭირო პასუხებს თავ-თავის საგნებზე. ...კმარა ერთი გაბედული, ვთქვათ, ბროსეს მსგავსად საქმეში მუყაითი, ნამდვილი მეცნიერი, გაწვრთნილი ვინმე შემოვიდეს ჩვენს მასალებში, კმარა ასეთმა სწავლულმა ერთი ყურადღებით და შეგნებით შთახედოს მას, რაც უკვე გამორკვეულია, რომ ქართულს და მის მონათესავე ენებს (ჭანურ-მეგრულს, სვანურს) ფართოდ გაეღოს კარები ყოველ უნივერსიტეტში, სადაც კი იკვლევენ, ან კაცობრიობის უძველეს ისტორიას (ან ლურსმნულის წარწერებს, ან საბერძნეთისა და რომის ისტორიას), ან ძველი აღთქმის პირველი წიგნების თავგადასავალს, ან სომხურ ენას, ან საზოგადოდ საყოველთაო ენათმეცნიერებას. ქართულს და მის მონათესავე ენებს, ჩემთვის ეჭვგარეშეა, ფრიად პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში“. და შემდეგ: „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება

თუ ხვალ, ქართული ენის შეუსწავლელად და მის აღმოჩენილ საშუალებათა გაუცნობლად ვერც ერთი საკაცობრიო კულტურის სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება... დღეს უკვე შესაგნებია, თუ რა ძვირფას განძს უნდა წარმოადგენდეს ქართული და მისი მონათესავე ენები მეცნიერებისთვის... მხოლოდ მათში არის დაუნჯებული ცოცხლად კაცობრიობის ისტორიის გადმონაშთები“.

მეგრული „...ძველი კოლხური მეტყველების ნაშთია, ძველი ქართულია, რამდენ დიდებულ სიტყვას ინახავს, ახალ ქართულში უკვე დაკარგულს. ჩემი აზრით, ენათმეცნიერებმა და მწერლებმა უფრო მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ მის შესწავლას და ამოცნობას... ჩვენ ვალში ვართ მარტო სიმღერის კი არა, საერთოდ, ამ კუთხის წინაშე. ეს კოლხეთია!“ — ეს სიტყვები ეკუთვნის ჩვენს დიდებულ პოეტს გიორგი ლეონიძეს. ხოლო მეორე ჩინებული პოეტი გრიგოლ აბაშიძე ამბობს: „არის რაღაც სიმბოლური იმაში, რომ ქართველურ მოდგმას სამი ენა მოგვანიჭა უფალმა: ქართული, მეგრული, სვანური. ესეც ჩვენებურ სიმღერასა ჰგავს, პირველ და მეორე ხმებს რომ ბანი აგვირგვინებს. ეს წმინდა ტრიადა ჩვენი ეროვნული სიმდიდრეა... (მე დავუმატებდი — ისევე, როგორც სამი დამწერლობის: მრგვლოვანის, ნუსხა-ხუცურის და მხედრულისქონა! - ც.ა.). ესეც უდავოა, მათ შორის ერთი უდანარჩენოდ — ჰარმონიული მთელის მხოლოდ ერთ ნაწილს შეიძლება წარმოადგენდეს... ქრისტიანული ღმერთი ერთარსებაა, ოღონდ სამსახოვანი... ხოლო ქართველი ის კი არ არის, ვინც მარტოდენ ქართული გვარის მატარებელია, არც ამ ენაზე მოლაპარაკე ადამიანი... ქართველი უმალ ქართული ცნობიერებაა, ზოგადეროვნული სულისკვეთების ქონაა. იგი, როგორც ჩვენთა ძველთა უთქვამთ „სულითა ხოლო საცნაურ არს...“ ანუ: ქართული ეროვნული სულიერი ენერგია დაუნჯებულია არა მხოლოდ ქართულ, არამედ დანარჩენ ქართველურ

ენებშიც. ჩვენი ისტორიული წარსული, მისი ფუძე და მუსიკა, ნამყო დროის დანაშრევები ერთობ ჭარბად შემონახულა სწორედ ამ ენებში, როგორც გადანახული რამ საგანძური, წინაპართა საკადრისი შთამომავლობა რომ აღვზარდოთ. ზანურსა (მეგრულ-ლაზურსა) და სვანურს სკოლაშიც უნდა ვასწავლიდეთ. „დედაენაში“ თუ ვერ ჩავრთეთ ხმატკბილი და მელოდიური მეგრული, ფოლადივით მრეკავი სვანური, მაღალ კლასებში მაინც უნდა შევიძლოთ ეს“...

„ქართველი ერი ერთია ლინგვისტურად. მას აქვს სამი ერთისა და იმავე ენიდან წარმომდგარი დიალექტი, ხოლო სამწერლო ენად შეიძლება უძველესი დროიდან მეგრული ან სვანური ყოფილიყოს — ოც საუკუნეზე მეტი, და ახლა ქართლური დიალექტი იყო და არის ჩვენი საერთო ეროვნული კულტურის და სალიტერატურო ენა“ (მ. წერეთელი). და შემდეგ: „...ისე კი ჩვენ აქ ვეთანხმებით იმას, რომ წინარე აზია არამარტო ამ ფუძე-ენების სამშობლოა, არამედ საერთოდ თანამედროვე ცივილიზაციის აკვანიც იყო, რაკი თვით ქართველური ტომები — პელაზგები (ძვ. ბერძნები), ეტრუსკები (ძვ. იტალიელები) და ბასკები (ძვ. ესპანელები), აქედან იყვნენ წასულები“ (რ. ერისთავი). შეიძლება კიდევ გავაგრძელოთ დასახელება იმ მკვლეართა, თავისი აზრი, შეხედულება რომ აქვთ გამოთქმული ამ საკითხზე, მაგრამ ამჯერად მხოლოდ ორიოდე ციტატით შემოვიფარგლები: „არქეოლოგიური და ისტორიული ტოპონიმიკური მონაცემები და წერილობითი ცნობები, თითქოსდა თანხმობით მოწმობენ, რომ... რომ შუა და გვიანი ბრინჯაოს ხანაში... უწინდელ ტაო-კლარჯეთის, სამცხის და თვით შიდა ქართლის დიდი (დასავლეთი) ნაწილი მეგრულ-ჭანური ტომების საცხოვრისს წარმოადგენდა აღმოსავლური ქართული ტომების გვერდით“ (ნ. ბერძენიშვილი) და, როგორც ირკვევა — არამხოლოდ ეს ტერიტირიები!

ეს პერიოდი გრძელდება ძვ. წელთაღრიცხვით VIII საუკუნის შუახანებამდე. პლინიუსი აღნიშნავს, რომ კოლხეთში სეროსტრისის დროს (ძვ.წ. XIV-ის. დასასრული და XIII-ის. დასაწყისი) მეფობდა აიეტის შთამომავალი სავლაკი და აგვიწერს მის გასაოცარ სიმდიდრეს.

ამისდა მიუხედავად, ზოგიერთი ჩვენი ისტორიკოსი ჯიუტად „ამტკიცებს“, რომ საქართველოს სახელმწიფოებრიობის დასაწყისია ფარნავაზის ხანა.

უცხოელთა ჩვენებით, ძვ.წ. V საუკუნეში კოლხეთს კვლავ აიეტიდები განაგებენ. კოლხეთი ტრაპეზუნტ-კერასუნტის მხარესაც ერქვა (ისევე, როგორც მოგვიანებით მეგრელთა მთავარ ქალაქად ტრაპეზუნტი იყო მიჩნეული).

...აია მიწათმოქმედების მთავარ ღვთაებად გვევლინება: აია მიშლადეღ-აიას კვირადღე (სვანურად). ეს ტრადიცია თამაშობდა, ალბათ, გარკვეულ როლს, როცა მომდევნო ხანებში უცხოელებმა გეორგოს (ქართველთა ბერძნული სახელწოდება) მიწათმოქმედებას დაუკავშირეს. აკი ბერძნული მითების თანახმად: აიაია, ანუ აიაიე ზღაპრულ და მზიურ ქვეყნად მოიაზრებოდა, რომელიც ჰელიოსმა პირმშვენიერ, ოქროსთმიან, ენატკბილ და თვალებმზიან ღმერთ-ქალს კირკეს, ანუ ცირცეს — აიეტის დას ჩააბარა საგამგებლოდ.

პელაზგური არგოსიდან არის ჰერაკლე. „არგო“ ერქვა ხომალდს, რომლითაც არგონავტები ჩამოვიდნენ კოლხეთში და ა.შ.

...აია-კოლხეთს თავს ესხმიან ეგეოსელი ზღვაოსნები. ასურეთი, შემდეგ ურარტუ... კოლხეთის სამეფო ტერიტორიულად იკუმშება, განუწყვეტელი შემოტევების გამო იგი იძულებული ხდება, უფრო ჩრდილოეთისკენ წაიწიოს. ძვ.წ.აღ-ით VIII საუკუნეში წარმოიქმნა ქართველურ ტომთა ახალი გაერთიანება — კულხას სამეფო. ასურულ-ურარტულ ეპიგრაფიკულ ძეგლებში დაიაენი (დიაენი) კულხას სამეფოდ არის დამოწმებული.

კულხას სამეფო მოიცავდა სამხრეთ საქართველოს ღალისის პირითურთ და ქართველ ტომთა ერთ-ერთი უძლიერესი გაერთიანება იყო: ერთგვარი დაკნინებისა და ტერიტორიული თუ მოსახლეობის რაოდენობრივი შემცირების მიუხედავად, კვლავ მოხდა ქართველ, ანუ კოლხურ-იბერიული ტომების აღზევება და სახელმწიფოებრიობის შექმნა.

მაგრამ შემდგომ: „კვლავ შემცირდა ქართველ ტომთა — კოლხების — მოსახლეობა და მასთან ერთად ამ ტომებმა თავისი მსოფლიო ისტორიული პოზიციებიც დაკარგეს“ (ს. ჯანაშია).

თუმცა: „კიდევ დარჩა საქართველოში თავისუფლების კერა, რომელიც წინააღმდეგობის ცეცხლს ჰკვებავდა“. ასეთი კერა ჩვ.წ. აღ-მდე VI-IV საუკუნეებში შეიქმნა კოლხეთის ახალი სამეფოს სახით. ჩვენამდე მრავლად მოაღწია ამ სამეფოში მოჭრილმა მონეტებმა, რომელიც „კოლხური თეთრის“ სახელით არის ცნობილი. მაგრამ მტრების გაუთავებელმა შემოსევებმა მალე ძირს დასცეს კოლხეთის ეს სამეფოც. იგი ხელახლა აღორძინდა ახალი წელთაღრიცხვის IV-VII საუკუნეებში ლაზიკის, ანუ ეგრისის სახელწოდებით (როდესაც მოირღვა სამხრეთის სამანები, როდესაც კოლხური სანაპირო — ტრაპეზუნტი, სინოპე, ხოფე ვერ უმკლავდებოდნენ რომაელების მოძალეობას, კოლხურმა ცენტრმა კვლავ ჩრდილოეთისკენ გადაინაცვლა, ხოლო კოლხურ ტომებში დაწინაურდნენ ლაზები, ეგრები. შეიქმნა ლაზიკის ანუ ეგრისის სამეფო).

ბიზანტიურ ხანებში თითქმის უკლებლივ ყველა ძველ ბერძენ და რომაელ ისტორიკოსს თუ მწერალს „ლაზი“ კოლხების ახალ სახელად მიაჩნდა. „V საუკუნიდან „ლაზი“ უდრის თანამედროვე მეგრელს. ლაზების სამეფოს დაშლის შემდეგ ტერმინი ლაზი გადადის ჭანებზე, რომელთაც ადრე ასე არ უწოდებდნენ“ (ს. ჯანაშია).

ლაზი, ნ. მარის მიხედვით, არის ელინიზირებული ფორმა „სანნების“ ქვეყნის სახელწოდებისა. „ლაზი“ მოდის ლა-ზანიდან. ეს უკანასკნელი კი არის ადგილის სახელის სვანური ფორმა. მას „ლაზ“ მიაჩნდა „ლაზგოს“ და „პელაზ-გოს“ ფუძის ერთ თავისებურ სახელად. საყურადღებოა, რომ „არგონავტიკა“ როგორღაც იფარგლება კოლხურ და პელაზგურ სამყაროთა სფეროში“ (თ. მიქელაძე). საინტერესოა ის გარემოებაც, რომ არგონავტებზე თქმულება განსაკუთრებით პოპულარული იყო საბერძნეთში. ამ დროს ბერძნებს არაფერი საამაყო ამ თქმულების მიხედვით არა აქვთ. პელაზგები არა მარტო თესალიის უძველესი მოსახლეობაა, არამედ პელოპონესის აქაიისა — და ბეოტიისაც, საიდანაც არიან ჰელე და ფრიქსე. არგოს სახელწოდება პელაზგურიდან მოდის (არგოსი — არგ-მა-არგ-ალი-ი), ხოლო პელაზგები არაბერძნული მოსახლეობაა. აქილევსი, მინიები და კრეტის ლეგენდარული მეფე მინოსიც აკი პელაზგები არიან. მინოსის მეუღლე პასიფაეა კირკეს და აიეტის დაა, ჰელიოსის ქალიშვილი.

ძველბერძნული წყაროებით, კერძოდ, აპ. როდოსელის (II ს. ძვ. წ.) მიხედვით, კოლხებს შემონახული აქვთ თავიანთ მამათა ნაწერები... კვირბები შეიცავენ ნაწერ კანონებს... ამგვარად, კვირბები წმინდა წარწერათა შემცველი ბოძია. უკვე ითქვა, რა ქედმაღლურად უყურებდნენ ბერძნები ყველა არაბერძენს, ამდენად, საამისო ღრმა საფუძველი რომ არ ჰქონოდათ, არავითარ შემთხვევაში არ მიაწერდნენ კოლხებს იმას, რაც სინამდვილეში არ მოეპოვებოდათ.

ბიზანტიელი ისტორიკოსი აგათია სქოლასტიკოსი წერდა ლაზებზე: „იმ ტომებს შორის, სხვა სახელმწიფოს რომ ემორჩილებიან, არ მეგულება არც ერთი ისეთი სახელგანთქმული და დიდებული ტომი, რომელსაც შეეძლოს შეედაროს მას როგორც ბარაქა-სიმდიდრით, ისე ხასიათის სილამაზითა

და სიცქვიტით“. ხოლო თავად სახელი — ლაზ-არ-ეს — გაშიფვრა, ჩემი აზრითაც, ადასტურებს იმას, რომ ამა ენასა შინა დამარხულ არს საიდუმლოება ქვეყნიერებისა!

ხოლო ახლა ორიოდე სიტყვა იმ გარემოებაზე, რომ ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ შედგენილ „ქართლის ცხოვრებაში“ იბერია და კოლხეთი საერთოდ არ არის ნახსენები: როგორც ცნობილია, დამპყრობლებს უამრავ ნადავლთან ერთად ქვეყნიდან სტამბულსა, კაიროსა თუ სხვაგან და სხვაგან-გაჰქონდათ წიგნები, ხელნაწერები, ანუ, რასაც ადგილზე ვერ სპობდნენ, იმას ეზიდებოდნენ თავიანთ ქვეყნებში. არანაკლები ზიანი მიაყენა ამ მხრივ საქართველოს რუსეთის იმპერიამაც. რუსეთის იმპერიამ არა მხოლოდ დაარღვია გეორგიევსკის ტრაქტატი და გააუქმა ქართლ-კახეთის სამეფო, არა მხოლოდ მოსპო ეკლესიის ავტოკეფალია, არამედ გაანადგურა ქართული საეკლესიო და საერო დოკუმენტები — ნაწილი გაიტანა რუსეთში, ნაწილი კი, რუსი ისტორიკოსის, ბრაილის თქმით, მტკვარში ჩაყარა ან ცეცხლს მისცა. ამ ნაძარცვ ქონებაში დიდი ადგილი ეჭირა სწორედ ისტორიულ დოკუმენტებს, ხელნაწერებს, წიგნებს...

ვახტანგ VI-ის კომისიის მიერ ძლივს მოპოვებული, სისხლიანი საუკუნეების ქარტეხილებს გადარჩენილი ბევრი ისტორიული მასალა, გამორიცხული არ არის, შინაურ შეფარულ თუ შემოხიზნულ მტერ-მოყვარესაც ჩუმად მოესპო ან დაემახინჯებინა. თუნდაც ის გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს მთავრები სამოკავშირეო ხელშეკრულებაში, ერეკლე მეორესთან რომ დაიდო, თავიანთ თავს მოიხსენიებენ, როგორც ივერიის მთავრებს, ხოლო ი. ჭავჭავაძემ თავის მთავარ გაზეთს „ივერია“ რომ უწოდა — ბევრის მთქმელია! აგრეთვე საყურადღებოა ის გარემოება, რომ აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე თავის თავს მიიჩნევს ტომით აფხაზად, ხოლო

ეროვნებით — ივერიელად! მაშასადამე, ივერია რჩებოდა, როგორც ქვეყნის გამაერთიანებელი ცნება. ეს, რასაკვირველია, არ შეიძლება არ სცოდნოდა ვახტანგ VI-ის მიერ შექმნილ კომისიასაც, რაც კიდევ უფრო ამძაფრებს ეჭვს და ბადებს მრავალ შეკითხვას.

რაც შეეხება იმას, რომ თამარ მეფემ თავის ვაჟს — ტახტის მემკვიდრეს — „აფხაზურ“ ენაზე ლაშა უწოდა — ეს უკვე ნონსენსია. მემატიანე აღნიშნავს, რომ თამარმა აფსართა ენაზე უწოდა თავის პირმშოს ლაშა, ანუ მანათობელიო. აფხაზური რომ დაეწერა მემატიანეს, ეს აბსურდი იქნებოდა, ვინაიდან აფხაზი ისეთივე ქართველური ტომი იყო, როგორც ყველა დანარჩენი. სამეფო კარის ეს ჟესტი, ნ. ბერძენიშვილის აზრით, უსათუოდ ჩრ. კავკასიელთა მიმართ პატივისცემის გამოხატულება იყო, ვინაიდან ჩრ. კავკასია მაშინ საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფერო გახლდათ. ამისდა მიუხედავად, შეუძლებელი იყო, გაერთიანებული საქართველოს მეფეს თავისი ტიტულატურის ჩამოთვლა ჩრ. კავკასიელი, თუნდაც მოძმე ტომის სახელწოდებით დაეწყო: „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა“ და ა.შ. ეს ტიტულატურა მხოლოდ იმის მანიშნებელია, რა დიდი დამსახურება მიუძღოდა ეგრის-აფხაზეთს ამ დიდი გაერთიანების საქმეში, ხოლო იმ დროისთვის აფხაზეთად აღიქმებოდა მთელი დასავლეთ საქართველო, აფხაზები კი ეთნიკურად — ეგრისის ჩრდილოეთში მცხოვრები იგივე მეგრული, ანუ კოლხური ტომი გახლდათ. ესეც, ცხადია, არ შეიძლებოდა არ სცოდნოდა ლეონტი მროველს, მაგრამ ამაზე ზემოთ უკვე ითქვა.

„აქ ვდგევარ მარტო, უმეზობლო, ვდგევარ ლიტონი!“

***

...დღევანდელ ტრაბზონში ისევე, როგორც კაპადოკიაში და ბევრგან სხვაგანაც — ქართველურ ტომთა ოდინდელ საცხოვრისში — გამქრალია ქართულის ყოველგვარი კვალი. უკვე მე-17 საუკუნეში ტრაბზონში ქართველი ეპისკოპოსის კათედრაზე ბერძნებმა დასვეს ბერძენი ეპისკოპოსი (მთავარი საეპისკოპოსო ლაზისტანისა ტრაბზონი იყო) და სახელად „ხალთის“ — ქართლის ეპისკოპოსი უწოდეს. დამპყრობელთა წყალობით, ქართველებმა ოსმალური ენა შეითვისეს და გაოსმალდნენ, ნაწილმა ბერძნული ენა გაითავისა და გაბერძენდა, ლაზებისა და ქართველების საკმაოდ დიდი რაოდენობა კი გრიგორიანელებს დაუკავშირდა და გასომხდა (ოღონდ ქართველი ნუ იქნებოდა!).

საგულისხმოა ერთი გარემოებაც: კათოლიკე მისიონერებმა მოახერხეს და ოსმალეთის მთავრობისგან მოიპოვეს ის პრივილეგია, რომ არც ერთი გაკათოლიკებულისთვის ძალა არავის დაეტანებინა მაჰმადის სარწმუნოების მისაღებად. სწორედ ამ პრივილეგიისთვის, ოღონდ მართლმადიდებლობის სასარგებლოდ — თავგამოდებით იბრძოდა მანუჩარ III ათაბაგი, რომელიც საკუთარმა ბიძამ, ბექა ჯაყელმა — სულით და ხორცით გაყიდულმა მედროვემ — მოწამლა, რათა თავად დაუფლებოდა ათაბაგის ტახტს, რასაც მიაღწია კიდეც და საფარ ვალი-ფაშად ქცეულმა, ძალ-ღონე არ დაიშურა სამცხე-საათაბაგოში მართლმადიდებლობის მოსასპობად.

როგორც ცნობილია, კათოლიკე ქართველებმა თავიანთ თავს ფრანგები უწოდეს; შემდეგში სომხები, რომელთაც არ ემუქრებოდათ გადარჯულების საფრთხე, ეცდებიან ამ გაკათოლიკებული ქართველების გასომხებას. ამისთვის დაირაზმებიან სომხეთის კათოლიკოსნი, ეპისკოპოსნი, მაგრამ... ეს უფრო მოგვიანებით მოხდება.

***

...ვიდექი ტრაბზონის ზღვის ნაპირზე და ფიქრდამძიმებული გავცქეროდი წინ გადაშლილ ლურჯად მობიბინე უსაზღვრო სივრცეს. წარმოსახვაში კი თვალნათლივ, ცხადად იკვეთებოდა ძველი ტროიდან ტამანის ნახევარკუნძულამდე გადაჭიმული უმშვენიერესი ზღვისპირეთი — მწვანე, ქოჩორა გორაკებით შემოქობილი, კოლხური ტომებით რომ იყო დასახლებული უხსოვარი დროიდან. ვინ, რომელი მომხდური არ წენდა და გლეჯდა ამ მართლაც სამოთხისდარ მხარეს. ვის აღარ სურდა, დაპატრონებოდა მის მიწა-წყალს, დაესაკუთრებინა „შევარდენისებური ბიჭები და ულამაზესი ქალწულები“. აქ ათასწლეულების განმავლობაში ილეწებოდა ხმლები სხვადასხვა ჯურის დამპყრობელთა. ამ განუწყვეტელ, გამუდმებულ ომებში, ძალ-ღონეს რომ აცლიდა ჩვენს მოდგმას, დამარცხების სიმწარესთან ერთად, რასაკვირველია, იყო, გამარჯვების სიხარულიც. იყო თითზე კბენა და კბილთა ღრჭიალი, იყო უსაშველო ტკივილი და ტანჯვა, მოთქმა და გოდება დაკარგულის გამო, იყო ვერმორევის ბოღმაც, რადგან მტერს, არჩილ მეფის თქმით, „სიმრავლე ჭირს გვარიდამ“. იყო გადარჩენის ჟინიც და ავი ბედისწერის გამოწვევის დაუოკებელი წადილიც...

...არგონავტები ნაპირზე გადმოდიან და... თამაშდება თვალთმაქცობისა და ვერაგობის ოდინდელი, კლასიკური სცენა: მშვენიერი მედეას — კოლხთა უძლეველი და სახელგანთქმული მეფის, აიეტის ასულის ჯადოსნური ძალის წყალობით არგონავტები იტაცებენ ოქროს საწმისს — კოლხთა უძვირფასეს განძს და... გარბიან. გარბიან ლაჩრულად, დედლურად... მოვიდნენ ქურდულად — მოყვასის ქურქში გადაცმულნი, ყალბი ღიმილით, მოჟუჟუნე თვალებით, ხრიკებით, ფანდებით და ხელში ჩაიგდეს ერის უწმინდესი საუნჯე და... მოტატებული ქალიანად ქურდულად გაიპარნენ, უფრო სწორად, უკანმოუხედავად მოკურცხლეს შინისკენ. აწი წყალსაც წაუღია და მეწყერსაც მთელი კოლხეთი. მთავარია: საწადელს ეწივნენ — წაიღეს ის, რაც თავად აკლდათ და რაც უხვად მოეპოვებოდათ მზის შვილებს! დიახ, მტაცებლობის, ისევე, როგორც კეთილშობილების არსი, უცვლელი რჩება ათასწლეულებში. მოგვიანებით ერთი უცხოელი დაწერს ქართველებზე: „ეგრე სიწრფელით და ადვილად დაენდობიან ხოლმე ქართველები სხვას... მათი დაყოლიება ადვილად შეიძლება... საქმეებში ცუღლუტები და მატყუარები არ არიან. არამედ არიან მშვიდნი, წყნარნი, კეთილის გულისა, წრფელნი. მათი დაჯერება და რაიმე საქმეში დაყოლიება ისე ადვილად შეიძლება, რომ, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, მარტო ამ თვისების გამო იმათ ბევრი ზარალი ნახეს მტრებისაგან“.

***

...ტრაბზონის ნავსაყუდელში რამდენიმე თანამედროვე გემს მოვკარი თვალი, ნავები თუ ფელუკები კი არსად ჩანდა. გარინდებული ვუყურებდი ზღვის მოლივლივე ტალღებს და მაგონდებოდა ერთი უცხოელი მოგზაურის სიტყვები: „ლაზები საზღვაო საქმის აკრობატები არიან. ძლიერნი, გაბედულნი და საუკეთესო მოცურავენი. ისინი თითქმის თავიანთი სახიფათო პროფესიისთვის დაბადებულან და ამ მხრივ მათ ბადალი არ ჰყავთ“. ხოლო თედო სახოკიას თქმით, ლაზისთვის „ნავია მისი აღმზრდელი, აკვანი. ნავი არწევს მას მთელი თავისი დღენი და ერთ დღეს თავის საყვარელ ნავთან ერთად ეხუტება ზღვის ფსკერს... ქართველებს ჯერხანად მარტო ლაზებიღა გვყავს მენავენი. ამასთან თამამნი, შეჩვეულნი პატარაობიდანვე ზღვას გამწყრალს, განრისხებულს და ზღვას დამშვიდებულსაც“. ჯერ კიდევ ანტიკური დროის მოგზაურებიც აღნიშნავდნენ ხოლმე კოლხების ამ თვისებებს. ისინი „შეუდარებელი“ მეკობრეე-

ბიც ყოფილან და შიშის ზარს სცემდნენ თურმე გემთმ-ფლობელებს. და არამარტო პონტოს ზღვას — ხმელთაშუა ზღვასაც გადაწვდებოდნენ ხოლმე. მათთან შედარებით გვიანდელი დროის ესპანელი კონკისტადორები თუ ვიკინგები ბალღებად გამოიყურებიანო.

...ტრაბზონში, ისევე როგორც რიზეში, ლაზურს ვეღარ გაიგონებ: „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული“, თუმცა... ქუჩებში, ყოველ ფეხის ნაბიჯზე ვხვდები ჩვენებურების სახეებს. არ შეიძლება ქართული იერი, აღნაგობა, მიხრა-მოხრა, თვალების სხივოსნობა სხვაში აგერიოს, შენი ჯიში და ჯილაგი შეგეშალოს სხვა მოდგმაში. ეს შენია, შენი სისხლი და ხორცია, ოღონდ... გაუცხოებული! მით უფრო გულსაკლავია ამის შეგრძნება. „შენი რაა, რომ ამშვენებ შენს დამღუპველ ოსმალეთსა“, — არაერთხელ გახმიანდა გულში ილიას ეს მწარე სიტყვები ტაო-კლარჯეთსა თუ ლაზეთში ყოფნის დროს...

„ზღვისპირა ლაზების სილამაზე ადამიანს თვალში ეცემა. ისინი გონებრივი განათლებითა და გარეგნული სიფაქიზით გამოირჩევიან... აქაური ქალები ლამაზნი, ტანადნი არიან და ჩვეულებრივ ცისფერი თვალები და თეთრი პირისახე აქვთ. ამასთანავე ლაზი ქალები არაჩვეულებრივი ენერგიითა, გულადობითა და მტკიცე ხასიათით გამოირჩევიან“, — ეს გიორგი ყაზბეგის სიტყვებია, რომელმაც მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში იმოგზაურა ლაზეთში სამხედრო-სტრატეგიული დავალებით.

...შეჯგუფებულ პატარა ბიჭებში ერთი ცისფერთვალა, თეთრგვრემანი, ლამაზი ბიჭუნა გამოვარჩიე. ლაზი ხარმეთქი — ვკითხე. გაბრწყინებული თვალებით, კრიალა ღიმილით დამიდასტურა, კიო, ლაზი ვარო. ლაზური თუ იციმეთქი, ვკითხე ლაზურად, ანუ მეგრულად. თავი გაიქნია, არაო. შავშეთში, ფესტივალზე არდაშენიდან ამოსული ლაზები კარგად ლაპარაკობდნენ ლაზურად, ხოლო პატარებმა

უკვე აღარ იციან მშობლიური ენა, ისევე, როგორც შავშელი ბავშვები ივიწყებენ ქართულს...

...დავდიოდი გულამღვრეული, თვალნისლიანი — ტრაბზონის თუ რიზეს ხალხმრავალ ქუჩებში და ვერა და ვეღარ ვიშორებდი თავიდან იმ ცისფერთვალა ლაზი ბიჭუნას სახეს, მის მზერას, ღიმილს, ისევე, როგორც ვერაფრით ამოვიღე გონებიდან არტანუჯში ასეთივე ცისფერთვალა, ნათელსახიანი ბიჭის სიტყვები — მე თურქი ვარო.

„ოსმალომ შეჭამა და დაამხო მთელი ლაზისტანის ტომი“, — უცხოელი მოგზაურის ეს კატეგორიული განცხადება მტკივნეულად კაწრავს გულს და უმწეობის, უძლურების გრძნობა გეუფლება უნებურად და მთელ შენს არსებას იპყრობს.

***

თურქეთის ლაზეთში ყოფნისას ხშირად მახსენდებოდა თედო სახოკიას წიგნი „მოგზაურობა“, სადაც იგი აღწერს „გასაშტერებელ“ მსგავსებას ლაზეთისა და სამეგრელოს სოფლებისა: „...ვწყევლიდი ჩვენს უბედო ბედს, რომელიც იმთავითვე სდევნიდა მოსისხლე მტრებით გარშემოვლებულ საქართველოს განაპირა ადგილებს. ამ ადგილებს მტრების სათარეშოდ აქცევდა, გულიდან გვგლეჯდა, მათში მცხოვრებლებს ენას, სარწმუნოებას უცვლიდა და გუშინდელ ქართველს დღეს საზოგადოდ ქართველისათვის უცხოსა და მტრად გადაკიდებულ ადამიანად ხდიდა... ოცნებამ გამიტაცა, იქნებ მოვესწრო იმ დღეს, როცა უკუღმა დატრიალებული ჩარხი ბედისა, წაღმა დატრიალდეს და ეს გულიდან მოწყვეტილი სამოთხისებური და უსაზომოდ ტანჯული და გამწარებული მხარე ისევ დაუბრუნდეს საქართველოს, ისევ ჩაეკრეს თავის დედას გულში, ისევ ხელიხელსჩაკიდებულნი, ერთმანეთის მხარში ამომდგარნი შევებრძოლოთ ცხოვრების უკუღმართობას, რომ ოდნავადაც

არი, დავიამოთ სიცოცხლე-მეთქი“. ეს სიტყვები იწერებოდა მე-19 საუკუნის დასასრულს, ხოლო გ. ქიქოძე 1916 წ. წიგნში „ეროვნული ენერგია“ შენიშნავს: „არ შეიძლება შეგნებული ქართველის სული უსაზღვრო მელანქოლიამ არ მოიცვას, როცა ის მესხეთის ისტორიულ ბედზე ფიქრობს, მის წარსულს მისსავე ბეჩავ აწმყოს ადარებს. ძნელია უფრო დიდი კონტრასტის წარმოდგენა, მაგრამ დღეს გვჭირდება არა მელანქოლია და არა ფილოსოფიური ბჭობა ბედისწერის შესახებ, არამედ ცხოველი და მოქმედი სიყვარული. გაღვიძებულმა ენერგიამ ხელახლა უნდა შეადუღოს საქართველოს გაბზარული სხეული“. ბედის ირონიით, ამ სიტყვების დაწერიდან ხუთიოდე წლის შემდეგ „გაღვიძებულმა ეროვნულმა ენერგიამ“ ერთხელ კიდევ მიიღო საშინელი დარტყმა: ბოლშევიკების გამოისობით 1921 წელს დაიკარგა (უკვე მეორედ!) ტაო-კლარჯეთი ლაზეთითურთ, დაიკარგა ჰერეთი, ლორე, ტაშირი, სოჭი და შაგრენის ტყავივით შეკუმშული ქვეყანა ხელოვნური, ჯუჯა ავტონომიებით დაიხუნძლა. ამ შავბნელ, წინასწარ გამიზნულ და გათვლილ სცენარში იუდას როლი ითამაშეს (მერამდენედ!) ისევ ქართველმა კონდოტიერებმა, ანუ კვლავ დადგა „უსაზღვრო მელანქოლიის, უიმედობის, ოცნებათა გაცრუების ჟამი“.

***

...ტაო-კლარჯეთში გამგზავრების წინა დღეს ერთმა ჩემმა ახლობელმა ასაკოვანმა ქალბატონმა, ცნობილმა ხელოვანმა მითხრა:

— მიდიხარ ხომ თურქეთში — ძველი ტკივილების ხელახლა გამოსაგლოვებლად? თითქოს ახალი გვაკლდეს. — ჩემს უნებლიე გაოცებაზე წამით იყუჩა და მერე სეტყვასავით მომაყარა: — იცი, რას გეტყვი? მე, პირადად, დამღალა უკვე ჩემმა ქართველობამ. დამღალა-მეთქი იმან, რომ... ქართველი ვარ, ანუ გაუსაძლისი გახდა უსასრულოდ კლდეზე მიჯაჭვა, ჯვარზე გაკვრა, გამუდმებული სიარული გოლგოთის გზაზე! გარეშე მტრებისთვის, იქნებ, როგორმე გაგვეძლო, მაგრამ ამ შინაომებმა — ფარულმა თუ აშკარამ, ამდენმა შურმა, ბოღმამ, სიძულვილმა, სიხარბემ, ერთმანეთის გაუტანლობამ, ბეზღობამ შინა თუ გარეშე ინსტანციებში — მომსპო და გამანადგურა თუ სულიერად, თუ ფიზიკურად. დავიღალე-მეთქი წარსულსა და აწმყოზე გოდებით, ურვით, ვიშვიშით — აღარ გათავდა, ბატონო, ეს „უჩემოდ ვით იმღერეთას“ ძახილი, არ დამთავრდა უკიდეგანო ამბიციები ზოგ-ზოგი უწიგნური, უკითხური, უზნეო პოლიტიკოსისა, უფრო სწორად, პოლიტიკანებისა, რომელთა ფუჭსიტყვაობას და ტაკიმასხრობას ბოლო არ უჩანს. არადა, უსაშველოდ მტკივა ჩემი სხეულიდან მოგლეჯილი სისხლმდინარე კიდურები, რომელთაც შეიძლება კიდევ ახალ-ახალი დაემატოს. როგორ გინდა აიტანო თუნდაც ის, რომ თამარაშენში თუ ცხინვალში, სადაც 1921 წელს, ანუ გასაბჭოებისას, სამი თუ ოთხი კომლი ოსი ცხოვრობდა, გადმომდგარა ვიღაც ვიგინდარა, დღევანდელი ჯაყო (რასაკვირველია, ყველა ოსს არ ვგულისხმობ) და მემუქრება, ეს ტერიტორია ჩვენია და რუსეთს უნდა შევუერთოთო, თითქოს არ ეყოფა რუსეთს, რაც ისედაც შეიერთა და გადაყლაპა საუკუნეების განმავლობაში, მათ შორის, ოსეთიც. როცა შენს მთავარ ქალაქს კვლავ უბრუნებენ დამპყრობლის მიერ შერქმეულ სახელს — ვლადიკავკაზს, როცა შენი ბავშვები სწავლობენ რუსულ სკოლებში, როცა შენი ეგრეთ წოდებული პრეზიდენტი შენი ხალხისთვის უმძიმეს წუთებში რუსულ ენაზე გისამძიმრებს, ანუ როცა ვერ მოგივლია ელემენტარულად საკუთარი თავისთვის და ამ დროს ეპოტინები სხვისას ურცხვად, უტიფრად, თავხედურად — ძნელია ყოველივე ამის ატანა-მეთქი, ანდა: ჩრდილოეთიდან ჩამოსახლებულ ადიღეურ ტომებს — აბაზინელებს თუ აფსუებს — არქმევ ძირძველი კოლხური

ტომის — აფხაზის სახელს — როგორი ასატანია? მართალია, თავის დროზე რუსეთის იმპერიის წყალობით მოხდა ეს ყოველივე, მაგრამ დღესაც ზოგ-ზოგი ჩვენი ისტორიის „აკადემიკოსები“ კვერს რომ უკრავენ ამ სიყალბეს? ისევე, როგორც შეუძლებელია აიტანო ის ორმაგი სტანდარტი, რასაც იჩენენ აფხაზეთიდან დევნილთა მიმართ საერთაშორისო ორგანიზაციები თუ ჩვენი მტერ-მოყვარე მეზობლები. ძნელია უსამართლობის ატანა, მიტევება, შენდობა. არადა, ხსნა და საშველი არსაიდან ჩანს. სასოწარკვეთილებაში ვარ? ალბათ, ვარ. თუმცა ვიცი... ეს დიდი ცოდვაა, მაგრამ განა სასოწარკვეთილების კივილი არ ისმოდა თურქეთიდან ჩამოსული იმ ლაზი მომღერლის ხმაშიც, კოლხური კულტურის საღამოზე კონცერტის დასასრულს ოპერის თეატრის სცენაზე რომ ავარდა და იმღერა: „დიდა ვოი, ნანა!“ იმღერა კი არა, ლამის მოთქმით იტირა ჩვენი შავბნელი ბედი: „ვაიმე დედავ, ნუთუ დავიკარგები, ჩემი ცოდვა!“ ამ მეგრულ სიმღერა-გოდებაშიც ხომ იგივე მუდმივი შიშია დაკარგვისა, გაქრობისა, რაც იმთავითვე, დასაბამიდან მოგვდევს მართლაც შავი ყორანივით, ანუ ეს არის ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე დგომა მიწყივ დასაბამიდან — დღემდე!.. ეგებ, მოვიდა მართლაც დრო და ჩვენ საერთოდ უნდა წავიდეთ ისტორიის ასპარეზიდან? ჩვენ ხომ არშემდგარი სახელმწიფო ვართ, ჩვენივე ხვეწნა-მუდარით განვითარებად ქვეყნებში შეყვანილი, უწინარესად, საკუთარი უძღები შვილების გამოისობით, მით უმეტეს, როცა დამდგარა გლობალიზმის ანუ მცირე ერების გაქრობის ერა! როცა ყოველივე ეროვნულს, მართლმადიდებლურს ასე გააფთრებით ებრძვიან არა მხოლოდ გარეშე მტრები, არამედ შინაურნიც... როცა აღზევებულა ჟამი ნიჰილიზმისა, ცინიზმისა, როცა სატანის სულმა კვლავ გადაუქროლა ჩვენს გაუბედურებულ, გამათხოვრებულ და სხვის სამოწყალოდ ქცეულ ქვეყანას? „რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითომ რას გვავნებს უცხო ტომობა!“

დიახ, დიახ, ძველად, რასაც ძალით იპყრობდნენ და იმორჩილებდნენ მომხდურები, ამჟამად ნებაყოფლობით ქცეულა ყიდვა-გაყიდვის საგნად. ლამის აუქციონზეა გატანილი მთელი ქვეყანა! ანუ: ვის გინდათ ქალი ლამაზიო!

დუმილის შემდეგ ისევ განაგრძო:

— იცი, საქართველოს დღევანდელ რუკას რომ ვუყურებ, ხანდახან მელანდება ხოლმე ბანჯგვლიანი ხელი — სისხლიანი ნაჯახით ხელში — ყასბის გულმოდგინებით ნელ-ნელა რომ აჭრის ქვეყანას მის ძირძველ კუთხეებს... რაღა შეგვრჩა?.. — ისევ დუმილი და მერე: — გრიგოლ აბაშიძის, ამ დიდებული პიროვნების, ბოლოდროინდელი ლექსის სტრიქონები მახსენდება:

„ნუთუ დამხობა ჩვენს დროში გელის,
დაუდევრობით შენთავე შვილთა!“

ჩემი აზრით, არა მხოლოდ დაუდევრობით, სამწუხაროდ, არამედ — ღალატითაც! ანუ: როჭიკისთვის, ულუფისთვის სულგაყიდულთა წყალობითაც!..

— ისე, ჩვენს შორის რომ ვთქვათ, — განაგრძო შემდეგ ფიქრიანი ხმით: — ერთადერთი ქართველი, მე მგონი, ვახტანგ ორბელიანი იყო, ვინც საყვედური შეჰბედა „ცივილიზებულ ევროპას“ და რომელმაც შესანიშნავად იცოდა „ქრისტიანული“ რუსეთის როლიც აღა-მაჰმად-ხანის მიერ თბილისის გადაწვა-აოხრებაში:

„და დასავლეთის ქრისტეს ერნო, თქვენ რას შვრებოდით,
როცა ქრისტესთვის თქვენ თვალწინა,
თქვენს კარს ვწყდებოდით?..
...მართლმადიდებელთ წმინდა სისხლი კისერს გედებათ,
მაგრამ მოგკითხვენ, მაგიერი როსმე გეგებათ!“

აკი, საქართველოს მწარე ხვედრით გულშეღონებული პოეტი ღმერთსაც საყვედურობს, რომელმაც თავის ქმნილებებს

საზღვარი და კანონი მისცა:

„თუ ქვეყანასა წესი მისგან მიენიჭების,
თუ ნათელი არს და ნათელი ჭეშმარიტების,
მაშ, საქართველო ასე მწარედ რისთვის დაემხო?!.
მაგრამ რას ვროტავ უბედური და რას ვუბედავ!
მე შემოქმედის განკიცხვასა როგორა ვბედავ?..
რა ვქნა ცოდვილმა, გულსა და სულს ცეცხლი მედება,
რა საქართველო დანგრეული მომელანდება“...

ამიტომაც ეჭვი ეპარება სამომავალოდაც კი-საქართველოს აღდგენაში: **„ვაჰ, თუ რაც წარხდეს ვეღარა აღჰსდგეს, ვეღარ აღყვავდეს ახლის შვენებით? და რაც დაეცეს, ის წარიტაცა შავმან ყორანმა, ვით უმწე მსხვერპლი!“ ანუ ამ ცრუ, მუხთალ და დაუნდობელ წუთისოფელში: „კეთილი სად არს ფერ-უცვლელი? დიდება ჩვენი ცად სხივ-მიმფენი, ნუთუ ესღა გვაქვს, ვხედავთ რასაცა?“...** — მცირე ხნის დუმილის შემდეგ ქალბატონი ისევ ალაპარაკდა:

— თუმცა... შენ მაინც უნდა წახვიდე ტაო-კლარჯეთში. ერთხელ კიდევ წარმოიდგენ, რა უბედურებაც ტრიალებდა წარსულში ჩვენს თავზე და, სამწუხაროდ და სავალალოდ ჩვენდა — არა მხოლოდ წარსულში, არამედ დღესაც!.. — ისევ პაუზა და შემდეგ: — შესაძლოა, იქ, ტაო-კლარჯეთში მეგზურობაც კი გაგიწიოს ვინმე ცისფერთვალა „თურქმა“, შენი წინაპრების ძირძველ მიწა-წყალზე, საიდანაც ილიას თქმით, განათლების შუქი მოეფინა დანარჩენ საქართველოს და რომელიც ახლა სხვისი, ანუ მტაცებლის კუთვნილებაა და რომელსაც, სხვათა შორის, დღესაც თავი მოაქვს ამ მტაცებლობით! რას იზამ — ასეთია საზოგადოდ მძლავრთა განჩინება იმთავითვე, ანუ დასაბამიდან — დღემდე!

ხომ მოგერიე, ხომ გძლიე, ხომ გაგწყვიტე იარაღის მეშვეობით თუ მრავალრიცხოვნებით, ვერაგობით, ავაზაკობით თუ ხრიკებითა და ფანდებით, თუ შინაგამცემთა ქვეგამხედვარობით! ამით თუ იმით — რა მნიშვნელობა აქვს

ახლა, რითი წაგახდინე და დაგიპყარი? მთავარია, წაგგლიჯე, წაგართვი, მივითვისე! და, საერთოდ, ხომ ვერ დამისახელებ დღეს ეგრეთ წოდებულ დიდ სახელმწიფოს — სხვადასხვა დროს დაპყრობილი ქვეყნების ტერიტორიებით რომ არ იყოს დახუნძლული? ანუ „შენი ჩემია“-ს პრინციპით არ იყოს ნასაზრდოებ-ნაკვები? ისე, მაგალითისთვის, სად მოსკოვის სამთავრო და სად — კურილიის კუნძულები? აკი, ენაც არ მალავს თავისი შემქმნელის ხვაშიადს: ვლადიმირი, ანუ ვლადეი მირომო, ვლადეი ვოსტოკომ, ვლადეი კავკაზომ და ა.შ. დიახ, ასეთია საზოგადოდ კაცობრიობის „სამართლიანობის“ დვრიტა, მისი ისტორიის საფუძველთ-საფუძველი, მისი ქვაკუთხედი — დასაბამიდან დღემდე-მეთქი!.. ერთადერთი გამონაკლისი შეიძლება ჩვენ ვიყოთ — არავისთვის არასოდეს რომ არაფერი წაგვირთმევია და არ დაგვინგრევია. დიახ, ჩვენ — ქართველები! ჩვენ მის დღეში, აკაკის თქმით, მხოლოდ დამხვდურად მებრძოლი ერი ვიყავით.

შესანიშნავი პოეტის, ზურაბ გორგილაძის ლექსი მახსენდება ახლა, სკოლის მოწაფესავით რომ მყისვე დავიზეპირე:

„კაციშვილი ვერ დაგწამებს
ზარია თუ ნაღარაო,
საქართველო მომვარდა და
დამამხო და დამყარაო.

კაციშვილი ვერ დაგწამებს
ავსებავ თუ გავსებაო,
საქართველომ ამჩეხა და,
ამკაფა და ამსხეპაო.

კაციშვილი ვერ დაგწამებს
მირონი თუ სამსალაო,
საქართველომ გამქურდა და
გამზიდა და გამცალაო.

კაციშვილი ვერ დაგწამებს
ჯამ-ჭურჭელის ჯახითაო,
საქართველომ დამათრო და,
გამბორკა და გამყიდაო.

კაცისშვილი ვერ დაგწამებს
საქართველომ ქროლვისაო
ღმერთი ჩემი, ენა ჩემი,
წიგნი ჩემი მომისრაო.

შენ კი... ლამის რაინდულმა
მოთმინებამ აგატიროს,
კაცო, რამდენს აპატიე... და,
რამდენს უნდა აპატიო.“

ამ მხრივ, — ანუ ვერაგობით თუ იარაღით დაპყრობის მხრივ — არაფერი შეცვლილა-მეთქი დღევანდელ მსოფლიოშიც! ანუ ამ „ცივილიზებულ“, „დემოკრატიულ-პროგრესულ“ მე-20 საუკუნეშიც! სხვათა შორის, დღევანდელობის, მისი „სამართლიანი“ განჩინების მსხვერპლი — შენი არ იყოს — აგერ გიზივარ — შაჰ-აბასის სისასტიკით დარბეული აფხაზეთიდან. ანუ: დევნილად ქცეული საკუთარ ქვეყანაში! მსხვერპლი, რომელმაც თავისი თვალით იხილა „ცივილიზებული“ და „დემოკრატიული“ მე-20 საუკუნის საშინელი ბარბაროსობანი — ჩადენილი მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ მომხდურთა თუ ზოგ-ზოგ „ადგილობრივ“ მკვიდრთა მიერ... და რომელმაც გამოიარა ჭუბერის გოლგოთა!.. დიახ. ჩემი თვალით ვუყურე-მეთქი და ჩემი ყურით მოვისმინე ადამიანის გაპირუტყვების, მისი ზნედაცემულობის, სიმხეცისა თუ გაუგონარი სისასტიკის ამბები, ამასთან, სულ ორიოდე მაგალითი სულდიდობისა, რაც, სამწუხაროდ, საერთო საზარელ სურათს ვერ ცვლის!.. თუნდაც, მარტო გაგრაში ჩადენილი ვანდალიზმი — ქართველთა მოჭრილი თავებით

ბურთის თამაში რად ღირს! ანდა: ფეხმძიმე ქალებისთვის მუცლის გამოფატვრა და „გრუზინსკი უბლიუდოკების“ ნაწილ-ნაწილ დაკუწვა! ანდა, პატარა გოგონების მასობრივი გაუპატიურება და დახოცვა და ასე შემდეგ და ასე შემდეგ ...რომელი ერთი გავიხსენო — მათ შორის, როგორი „მოსაწონია“ არა, „მტრის“ სისხლის-ჭიქებით სმა! მაგრამ ყველაზე საზარელი მაინც, რაც მოხდა ამ, ერთი ფილოსოფოსის თქმით, „ბარბაროსულ ცივილიზაციაში“, პოეტი ქალის, ეთერ სამხარაძე-ჯღამაძის დახვრეტა იყო! დიახ, შესანიშნავი მანდილოსანი და, რაც მთავარია, პოეტი — დახვრიტეს მხოლოდ მისი ქართველობის გამო, ანუ: მისი „დანაშაული“ — ქართველობა გახლდათ! ეს უპრეცედენტო მხეცობა, ჩემი აზრით, აღემატება ყველა დანარჩენ ბარბაროსობას! აფერუმ, მეოცე თუ 21-ე საუკუნის ცივილიზაციავ! უამრავი ბარბაროსობა კვლავაც ხდება-მეთქი დედამიწის სხვადასხვა კუთხეში — სხვადასხვა საბაბით თუ... უსაბაბოდაც! ანუ: რითი განსხვავდებიან, ვთქვათ, ნაბუქოდონოსორის დროის სიმხეცენი — დღევანდელურობისგან?.. ანდა, ვერდენსა თუ ხიროსიმა-ნაგასაკში, საკონცენტრაციო ბანაკებსა თუ გულაგებში, ჩეჩნეთსა თუ აფხაზეთში, თუ სხვაგან და სხვაგან, დაღვრილი სისხლი რითია განსხვავებული-მეთქი, ვთქვათ, ატილას თუ ჯალალ-ედინის, თემურ-ლენგის თუ შაჰ-აბასის მიერ დაღვრილი სისხლისგან?..

ხანგრძლივი, მძიმე პაუზის შემდეგ ჩემმა თანამოსაუბრემ ისევ განაგრძო ჩაწყვეტილი ხმით და გამტკნარებული სახით:

— ჩვენი ბედკრული ქვეყანა ხომ ამგვარ მხეცობათა ანუ „ცივილიზებული ბარბაროსობის“ მსხვერპლია მითაჟამიდან-დღემდე!.. „ჩვენი ივერი არს სისხლის კალო, გმირთა აკლდამა, გულთსაკლავი და სავალალო“ და არა მხოლოდ, პოეტის თქმით, დაუდევრობით ჩვენთა, ანდა, ჩვენი რიცხო-

ბრივი სიმცირით გამოწვეული, არამედ, სამწუხაროდ, ღალ-ატითაც-მეთქი! დიახ, დიახ. როჭიკისთვის, ანუ ულუფისთ-ვის სულგაყიდულთა „წყალობითაც! მაგრამ... რა მერე? შეიცვალა განა ამ მხრივ რამე საუკუნეების განმავლობაში? სამწუხაროდ და სავალალოდ — არაფერი!

...ფრთხილად! საქართველოს გარეშემო უვლიანო, — აკი, ამაო გამოდგა გაფრთხილება პოეტისა! ... ისევე რო-გორც — ამაოა გოდება: „საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი“-ო! თუმცა, ესეც კია: ძალა აღმართსა ხნავსო, დათვი თუ მოგერიაო... და ასე შემდეგ...

მცირე ხნის დუმილის შემდეგ კვლავ წამოიწყო: — ახ-ლახანს, ჯვრის მონასტერში ხომ გადაფხიკეს რუსთაველის ფრესკა ვითომ ერთმორწმუნეებმა — სხვათა შორის, მსგავ-სი რამ არა ერთხელ უქნიათ სხვა დროსაც სხვა ეგრეთ წო-დებულ ერთმორწმუნეებს... რამდენჯერ უმოწყალოდ გაუ-ძარცვავთ ჩვენი ეკლესია-მონასტრები, გადაუთეთრებიათ ფრესკები, მოუსპიათ უძველესი ხელნაწერები. ამბიონი-დანაც დავუწყევლივართ კიდეც — მეგონა, მთელი საქა-ართველო დადგებოდა ფეხზე, ამ ვანდალიზმით აღშფოთე-ბული ხალხი ქუჩებში გამოეფინებოდა ტრანსპარანტებით ხელში — როგორც გვჩვევია ეს ამ ბოლო დროს სხვადასხ-ვანაირი შეჭირვების ჟამს. შენ არ მომიკვდე! თითო-ოროლა მოკრძალებული ხმა თუ გაისმა მხოლოდ პროტესტის ნიშ-ნად კატის კნავილივით და მორჩა. გათავდა! განა ასევე არ წაუყრუა ჩვენმა საზოგადოებამ დავითის, თამარის, იმავე რუსთაველის, ილიას, ქეთევანის და სხვა წმინდანთა სახ-ელების შეურაცხყოფას?

ხანგრძლივი დუმილის შემდეგ უცებ თითქოს რაღაც გამ-ინათდა თავში და:

— **„არა, შენ წელში ისევ სწორდები, რომ კვლავ წამოდგე ბუკით, ნაღარით, ისევ იწევენ მზისკენ ყლორტები, შენს ძველ ფესვებზე უხვად ნაყარი. დიდება იმ დღეს, დიდება იმ**

დღეს, ბორკილი ეგდოს ძირს დამსხვრეული, ლაზარესავით ხვალ ისევ აღსდგეს, დღეს დაფლეთილი შენი სხეული!“

აკი, ასე ამთავრებს თავის მოთქმა-გოდებას იგივე გრიგოლ აბაშიძე? ესე იგი, იმედს არ კარგავს, ხომ მართა-ლია? — თითქოს ნიშნის მოგებით წარმოვთქვი ეს სიტყვები.

კარგა ხანს მიყურა ჩემმა თანამოსაუბრემ სახეში და-ჟინებული მზერით, მერე თავი გადააქნია და: „ნეტარ არიან მორწმუნენი“-ო, — თითქოს თავისთვის ჩაილაპარაკა.

***

...ერთ ჩემს ნარკვევში, 1972 წელს რომ არის დაწერილი და ლაზეთს შეეხება, ვწერდი: „ბავშვობაში ერთი მოხუცებული მთქმელისგან გამიგონია: ჩვენი ქვეყანა განძის პატარა კუნ-ძულივითაა. იგი აბობოქრებულ ოკეანეში მოისროლა ღმერ-თმა და უბრძანა: ებრძოლე აზვირთებულ ტალღებს, ებრ-ძოლე გამუდმებით, განუწყვეტლივ. თუ ბრძოლას შეწყვეტ, ჩაიძირებიო. და იბრძოდა. ებრძოდა ათასგვარი ჯურის გად-ამთიელსა და მტაცებელს.

ებრძოდა მეხთატეხას და დელგმას. ებრძოდა გამუდმებით, განუწყვეტლივ ათასი ჯურის გადამთიელსა და მტაცებელს. ებრძოდა უმადურობასაც და გაუტანლობასაც... და მაინც... ქმნიდა! სისხლის წვიმებშიც ქმნიდა ოშკსა და გელათს, სვეტ-იცხოველსა და ალავერდს, იკორთას თუ მარტვილს, ბანას თუ ნიკორწმნიდას... ქმნიდა ხახულის კარედს, იგავმიუწვდომელ ფრესკებსა და მინიატურებს, მღეროდა და გალობდა ისე, რო-გორც არავინ სხვა ამ ცისქვეშეთში. და... ცოცხლობდა! „იყავ, აჯავრე მტერიო“ — კრედოდ ექცა.

...ცოცხლობენ ლაზებიც. ყველას გასაოცრად მაინც ახერხებენ შეინარჩუნონ თავიანთი მეობა. მართალია, დაი-ლივნენ — ოდესღაც დიდებული და მრავალრიცხოვანი

ტომიდან მცირედნიღა დარჩნენ, მაგრამ მაინც არიან. არსებობენ. გამოირჩევიან.

„დავიწყებული ვართ ჩვენ, ჩვენო ძველო ძმაო!“ — ჩიოდა დედასამშობლოს მოწყვეტილი ლაზი და თანამოძმეთა კვნესა მოჰქონდა ჩვენამდე პონტოს ზღვის ტალღებს ისევე, როგორც „ჭოროხგაღმელის“ ნაღვლიანი ვედრება ჩაგვესმოდა: **„მითხარ, როგორაა მემლექეთი, ჩემი სანატრელი საქართველო, რამე იმნაირი გამაგონე, გული დაკოდილი გავამრთელო!“** — არადა, დაუამებელი რჩება პოეტის ტკივილი: **„ჭოროხგადაღმა ორი სოფელი დამრჩა ნახევარ ქართლის ოდენა.“** დიახ, პოეტ ფრიდონ ხალვაშის დარდის მოზიარე ზურაბ გორგილაძის თქმითაც: **„ტანზე აყრის საქართველოს ეს უკვდავი სევდა“**. ისევ ჩემს ძველ ნარკვევს მინდა დავესესხო: „იქაურმა ქართველებმა ბევრი რამ არ იციან ჩვენზე... არ წაუკითხავთ ქართული წიგნები, არ იცნობენ თავიანთ მშობლიურ ლიტერატურას. მართლაც, პოეტის თქმითვე, ლუკმით არ არიან ღარიბები, მაგრამ „სამშობლოთი ღარიბები არიან“. უსამშობლოობა — ამაზე დიდი წყევლა, ალბათ, არ იცის ისტორიამ. ჩვენს ძირძველ ფესვსა და მოდგმას სამშობლო ენატრება“ და შემდეგ:“ ბრძოლა სიკეთისა ბოროტებასთან, სინათლისა — ბნელეთთან — აი, უმთავრესი დედააზრი რუსთაველის უკვდავი პოემისა: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“, — ეს იყო წმიდათა-წმიდა და შეურყეველი რწმენა ქართველი ხალხისა, რომლის მთელი, ცხოვრება დასაბამიდან დღემდე, არის უთანასწორო ჭიდილი „თვალბედით შავ ყორანთან“, წყვდიადთან, შავბნელ ძალებთან — ცხრათავიანი დევებისა და ქაჯების სახით რომ ჰყავდა წარმოდგენილი ხალხურ ფანტაზიას.

გამოწვევა ამ უსამართლო ბედისა, „ბედის სამძღვრის“ გადალახვა, ძლევა ჭირთა მრავალთა, ძლევა და სწრაფვა

მზისკენ, სინათლისკენ — აი, მიზანთ მიზანი მერანის თავგანწირული ქროლისა.

რწმენა სიკეთის, მშვენიერების და სილამაზის გამარჯვებისა არის ალბათ იმ ზღაპრული ფასკუნჯის უკვდავების მიზეზიც, ხახულის ტაძარზე რომაა ამოკვეთილი — ჩვენი ეროვნული განახლება-აღორძინების სიმბოლო. ეს არის მიზეზი, ისევ ისე რომ „ციმციმებს საქართველოს ლურჯი ტატნობი!“

...ეს მაშინდელი ოპტიმიზმი რეალურობას იყო მოწყვეტილი და მაინც... იქნებ, არც მთლად უსაფუძვლოა იგი... დღესაც? თუმცა... აკი დღესაც — ვითომ დამოუკიდებელ საქართველოში — მიზანმიმართულად, გეგმაზომიერად ხდება ყოველივე ქართულის, ყოველივე ეროვნულის ამოძირკვა, მისი ნიველირება — ქვეყნის ისტორიის გაყალბება, უპატრონოდ მიჩნეულის მიტაცება და დასაკუთრება! და ა.შ.

***

...უკვე ბინდდებოდა, სარფში რომ ჩავედით. ამიტომაც ვეღარ შევძელით სოფლის იმ ნაწილის დათვალიერება, თურქეთს რომ ეკუთვნის. დიახ, სარფი კვლავინდებურად გახლეჩილია ორ ნაწილად: „მელენარებად“ და „მოლენარებად“, ანუ გაღმელებად და გამოღმელებად. მის შუაგულში ისევ ისე დგას მინარეთი წვერწამახული სვეტით და ისევ ისე, როგორც ამ სამი ათეული წლის წინათ, სარფის პირველი ნახვისას, გულში გახმიანდა პოეტის სიტყვები: „და მე მეგონა მიწა კი არა, გადაეკვეთათ ჩემი სხეული“. ამ მწარე სინამდვილესთან ერთად უნებურად გამახსენდა ერთი ჩემი ძველი ლაზი მეგობრის, წათე ბაწაშის ლექსი:

„სარფი პატარა, სარფი რამხელა, რა გზის ნაჭერი, რა მონაკვეთი, სარფი სულ ერთი თვალის გახელა, გადარჩენილი სული კოლხეთის“.

...იმ საღამოს სარფის საზღვარზე შევიტყვე ჩემთვის ახალი ამბავი: გამოღმა, ანუ ჩვენს მხარეზე, ანუ ჩვენს „წილ“ სოფელში, თურმე — ეკლესია შენდება! თურმე ბევრი ლაზი უბრუნდება წინაპართა რჯულს, იმ რჯულს, ჯერ კიდევ ანდრია პირველწოდებულის მიერ რომ იყო აქ ნაქადაგევი ქრისტიანობის პირველსავე საუკუნეში — აკი, „დუდკვათილის“ მთაზე ასიათასობით ლაზი შეეწირა სწორედ ამ სარწმუნოებას! და ისინი, სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის ილია II-ის წინადადებით, ქართულმა ეკლესიამ წმინდანებად შერაცხა!

...და თითქოს ცხადად, გარკვევით შემომესმა სახარებისეული მოწოდებაც: „მღვიძარე იყვენით. მტკიცედ სდექით სარწმუნოებასა ზედა. მხნე იყვენით და განძლიერდით — ყოველივე თქვენი სიყვარულ იყავნ!“.

2005 წ.

წუთისოფლის მორევი...
ფრაგმენტები

„ცრუ და მუხთალი სოფელი,
მიწყივ, ავისა მქმნელია“
რუსთაველი

თავი I

საზღვარი

ერთი საათით ადრე მოვედი დათქმულ ადგილზე. ჰოდა, ვზივარ ახლა ღია ფარდულში, გრძელ მერხზე და ველოდები ჩემს ენგურგაღმელ დამხვდურებს, ანუ ჩემს მეზობლებს (ყოფილს, რასაკვირველია!). 14 წლის შემდეგ პირველად მიწევს საზღვრის გადალახვა ენგურს აქეთა სახელმწიფოდან ენგურს იქითა „სახელმწიფოში“, ანუ აფხაზეთში.

მიკროავტობუსი პუნქტუალურად, ყოველ 15 წუთში მიდი-მოდის ენგურის ხიდზე გამშვებ პუნქტამდე და დაჰყავს იქიდან გადმოსულები და აქედან გადამსვლელები — ყველა ასაკის ქალები, ბავშვები და დროული მამაკაცები. თითქმის ყველა მათგანს დიდი, დატენილი ჩანთა უჭირავს ხელში. თვალში საცემია ის გარემოებაც, რომ ახალგაზრდები თითქმის არ ჩანან მგზავრთა შორის.

...2007 წლის ივლისია (ერთი წელიწადი და რამდენიმე დღეა თურმე დარჩენილი მორიგ ტრაგედიამდე, ანუ 2008 წლის 6 აგვისტომდე, მაგრამ ახლა, როგორც გითხარით, 2007 წლის ივლისია). დილაა. ზაფხულის ხვატია. წამსვლელ-მომსვლელები ჩვეულებრივ, ყოფაცხოვრებით პრობლემებზე საუბრობენ ერთმანეთში მშვიდი, წყნარი ხმით და

საქმიანი იერით. მეც გარეგნულად მშვიდად ვათვალიერებ გარემოს, გაღმელებს თუ გამოღმელებს, ანუ... ანუ არაჩვეულებრივი თითქოს არაფერი ხდება!

მაშ, რატომ ვარ შინაგანად ასე დაძაბული, აწრიალებულ-აფორიაქებული? ბელურასავით მოკუნტულ-მობუზულად რატომ ვგრძნობ თავს?

„დაბრკოლებათა ათასგვარ საგანს, შეურაცხყოფის სუსხსაც ავიტან, ოღონდ ვხედავდე სიცოცხლის საგანს ჩემი სამშობლოს სანახავიდან. მარტოობასაც ავიტან მწარეს, უმეგობრობას ავიტან მძიმეს, ჩემი სამშობლოს სანახავიდან ოღონდ ვხედავდე შუქს მოციმციმეს“... რატომ ამეკვიატა გალაკტიონის ეს სტრიქონები? და შემდეგ: **„საქართველოში წინად მავალი, ისტორიულად არწარმავალი, ვიდოდა მტრობა, გესლით მავალი და სისინებდა ქვეწარმავალი“...**

„მოსისინე ქვეწარმავალი?“

და, როგორც ყოველთვის, ექსტრემალურ შემთხვევაში, მეცხადება ჩემი მეორე „მე“, ანუ ჩემი ორეული, ინკვიზიტორს რომ ვეძახი ხოლმე ხანდახან (ხოლო, ექსტრემალური რატომ არის სიტუაცია, ამას მკითხველი მოგვიანებით შეიტყობს, თუ, რასაკვირველია, მკითხველი ეყოლება ჩემს ნაცოდვილარს, ვინაიდან... როგორი სამწუხაროც უნდა იყოს — მსოფლიო ლიტერატურის შედევრებს არ კითხულობენ დღეს და ჩემი ნაწერისთვის, აბა, ვინ მოიცლის ამ კომპიუტერულ-ინტერნეტულ ეპოქაში!).

ჰოო... იმას ვამბობდი — ჩემი ორეული, როგორც სჩვევია, გვერდით მომისკუპდა და ჩვეული გამქირდავი კილოთი და ირონიული ღიმილით — სასოწარკვეთილებაში რომ მაგდებს ხოლმე ხშირად — მეკითხება თვალმოწკურული: „როგორ გუნებაზე ხარ, ძვირფასო, მშობლიური სანახების ხილვისას?

„როგორზე ვიქნები“... — ვიზღარბები იქ, შიგნით, გულში, თუმცა... გარეგნულად, ვცდილობ, არაფერი დავიმჩნიო, თან

ძალები უნდა მოვიკრიბო... ორთაბრძოლისთვის!

„ორად გაყოფილი სარფის შუაგულში რომ იდექი ამ სამიოდე ათეული წლის წინათ და გულში ვალალებდი საუკუნეების წინათ დაკარგულ მიწა-წყალზე და დავიწყებულ თანამოძმეებზე — მათ შორის ტაო-კლარჯეთზე — მაშინ თუ წარმოიდგენდი „ამას“?

„არა, ნამდვილად არა... მაშინ ორად გახლეჩილი სოფლის დანახვამ შემზარა! ძველი ჭრილობა გამახსენა და ჩვენმა ბედის უკუღმართობამ ცხარე ცრემლი მაღვრევინა“...

„ახლა? ამ ახალ ჭრილობაზე რას იტყვი? ახლა არ გეთუთქება გული? რატომ სდუმხარ?“

„ამას ვერ წარმოვიდგენდი-მეთქი, ვერა... გაოგნებაც არ ეთქმის ამას!“

„კი, მაგრამ რატომ ვერ წარმოიდგენდი? რა იყო ეგზომ მოულოდნელი? განა საამისო პირობები იმთავითვე არ ჩანდა? შენ ხომ აქაური მკვიდრი ბრძანდები? მართალია, თითქმის ორმოცი წელია წასული ხარ აქედან და დედაქალაქში ცხოვრობ, მაგრამ... განა შენს თვალწინ არ მიმდინარეობდა ეს პროცესები?“

„კი, მაგრამ...“

„რატომ შეჩერდი?.. „რად ასე მწუხარებ, სულო ჩემო, რად ასე მწუხარებ“-ო, სადღაც გიწერია კიდეც, ხომ მართალია?“ — ჩაიქირქილა უცებ ორეულმა, ბაგეზე ხელაფარებულმა.

„ვერაგობასა და ცბიერობას საზღვარი არა აქვს თურმე! ჩვენს ეპოქაში... დღევანდელობაში ველარ წარმოვიდგენდი ამგვარ მუხთლობას... თუმცა... მძლავრი მოგვერია და ეგაა! ძალა აღმართსა ხნავსო, აკი ნათქვამია...“

„მოიცა... მოიცა... ყველაფერს რომ სხვებს ვაბრალებთ ხოლმე, გარეშე ძალებს... მტერი იმის მტერია, რომ მტრობა გიყოს, მით უმეტეს, მოყვარე მტერი ყველაზე საშიში და სახიფათოა. მაგრამ, იქნებ, საკუთარ გულშიც ჩაგვეხედა, მიგვეჩხრიკ-მოგვეჩხრიკა — შენს წიაღში ამდენი ეშმაკზე

სულმიყიდული რომ გყავს, ამდენი შინაგამცემი და იუდა ისკარიოტელი — შეფარული თუ შეუფარავი, საკუთარი კეთილდღეობისთვის რომ სწირავს სამშობლოს, ამაზე რას იტყვი?“

„კი... მართალია ეს!.. არიან ასეთებიც და საკმაოდ ბლომადაც: ზოგი ფულს დახარბებული, ზოგი თანამდებობას, მაგრამ...

საქართველოს გაბედითება დღეს არ დაწყებულა... თითქმის ყველა ეპოქაში სისინებდა ქვეწარმავალი, ამიტომაც „დავდივარ, ვწუხვარ და მენანება“! იქნება, „გალხვეს ყინული, ღრმა მწუხარებით შემორკინული“...

ჯერ კიდევ 1983 წელს დავწერე „მონოლოგი საქართველოს რუკასთან“, სადაც დაჩეხილ-დაქუცმაცებულ, უცხო გვარ-ტომელებით საგანგებოდ აჭრელებულ და საკუთარი შვილებისგან თუ შვილობილებისგან გაწირულ საქართველოზე — ვგოდებდი! ამ წერილს მაშინ ვინ დამიბეჭდავდა! და მაინც...“

„მაგრამ მაინც მწუხარებდი, არა? წარსულზე „გულს იოხებდი“, არა?

„კი, შენი ირონიის მიუხედავად, მართლაც ვმწუხარებდი, თუმცა... მაშინ აფხაზეთი ჯერ კიდევ დაკარგული არ იყო; ყოველ შემთხვევაში, ასე გვეგონა და...“

„მოიცა... მოიცა... ჯერ ერთი, ვის რაში სჭირდებოდა შენი დიალოგი თუ მონოლოგი საქართველოს რუკასთან? ვისი ტიკი-ტომარა ხარ? ვინ გკითხავთ შენ და შენისთანა უჩინოურანგოსნებს — ქვეყნის სვე-ბედს?.. გაიხსენე, ამისწინებზე რაღაც პეტიციაზე ხელის მოწერას აგროვებდნენ... იმან, ვინც მოთავეობდა ამ საქმეს, გკითხა: რა ტიტული მოვაწერო შენს სახელს და გვარსო? (იგულისხმე: აკადემიკოსი, პროფესორი, დოცენტი, სხვადასხვა პრემიების ლაურეატი და ა.შ.).“

„მახსოვს. ჰოდა, მეც ავდექი და მივაწერე — მწერალი-მეთქი“.

„ჰა, ჰა, ჰა! — უცებ სარკასტულად აკისკისდა ჩემი

ორეული. — ჩემო კარგო... — მერე დამრიგებლური კილოთი მომმართა: — ჯერ ერთი, მწერალს ფართო საზოგადოება უნდა იცნობდეს, მით უმეტეს, შენს ასაკში — ტელეჟურნალისტივით თუ არა — ისე მაინც! მერე... როგორც პუბლიცისტსაც ერთობ ცოტა მკითხველი გყავდა — დავაბრალოთ ეს, თუ გინდა, შენს დისიდენტობას! ეგ სულ ერთია... პოპულარობა ყველგან, მით უმეტეს, ჩვენს სნობისტურ გარემოში, უცილობელი პირობაა ყურადღების მისაქცევად ამა თუ იმ პრობლემისადმი! ანუ ჩვენ უჩინონი... ჩვენ უჩინონი და ა.შ. რაში აინტერესებს-მეთქი შენისთანების აზრი გინდა ხელისუფლებას და, თუ გინდა, ე.წ. ფართო საზოგადოებრიობას? რა მნიშვნელობა აქვს მათთვის ჩვეულებრივი მოკვდავის ჭირისუფლობას-მეთქი? გახსოვს, ერთხელ, კაი ხნის წინათ, ახალბედა, მაგრამ თავდაჯერებულმა პოეტმა გოგონამ „ცისკრის“ რედაქციაში შენი და შენი მეგობრის პატრიოტულ აღტკინებაზე ირონიულად მოგახალათ: „აბა, თქვენ იცით, იჭირისუფლეთ... იჭირისუფლეთო“...

„კი. მახსოვს. მაგრამ... რო მტკივა? უსაშველოდ... გაუსაძლისად?“

„ანუ: მე რომ სიკვდილი მჭირს, ხომ შენგნით, ჩემო ედემოო, არა?“

„დიახ. ასეა და... რა უნდა ქნა მაშინ? გეკითხები: რა უნდა ქნა, თუკი გტკივა, თუკი გედარდება შენი ქვეყნის ბედ-იღბალი?“

„თავში ქვა იეც და ისა ჰქენიო — გითხრეს გარკვევით და გასაგებად!“

„ეგ პასუხი არ არის!.. როცა ადრეული სიყმაწვილიდან დაავადდები ამ „სენით“ და... საერთოდ, იცი, რას გეტყვი? სიყვარულმა არ იცის რანგები, წოდებები, ჯილდოები. სიყვარული არ არჩევს, რა და რატომ, რისთვის გიყვარს! მით უმეტეს, როცა დაჩაგრულად მიგაჩნია შენი სამშობლო!

დიახ, სიყვარული შენდა უნებურად იბადება, შენდა უნებურად იპყრობს მთელ შენს არსებას. აქ უნდა-არ უნდა გამორიცხულია. გული არ გკითხავს-მეთქი შენ, გიყვარდეს თუ არ გიყვარდეს! ეს გრძნობა თავისით მოდის“.

„მაგრამ... სიყვარული ხომ ხანდახან როგორც მოვა, ისე წავა... წავა თავისთავადაო — ესეც ხომ ნათქვამია“.

„ალბათ, ასეა, მაგრამ მე მინდა ისევ საქართველოს რუკას დავუბრუნდე... თითქმის ორი ათეული წლის წინათ, ოთხმოციანი წლების დასაწყისში გეორგიევსკის ტრაქტატთან დაკავშირებით დაიწერა ჩემი მონოლოგი. მოგვიანებით გრიგოლ აბაშიძემ თავის ბოლო ლექსში ასე გამოთქვა „ჩემი სათქმელი“: **„შენს რუკას — შენი ბრძოლების სარკეს, წეწდა და გლეჯდა ბედი წყეული, ძონძებს ჰგავს შენი მიწა-წყლის თარგი, დაფლეთილია შენი სხეული. ბაღვენახიანს, ციხე-ტაძრიანს, შენს სამხრეთს ხურავს ცა გაუხსნელი, მავანს და მავანს მიუტაცნია, სხვათა და სხვათა ადგას უღელი. რაც დღემდის მოგჰყვა, რაც შეგრჩენია, კოდორიანი, ალაზნიანი, თუმც შენი ჰქვია, რაღა შენია, ისიც გამხდარა სხვათა ზიარი. მუხას წააქცევს, ლერწამს კი არა, პირალესილი ამდენი ცული. რა მოგიშუშებს ამდენ იარას, რამ მოგირჩინოს ამდენი წყლული? და რომ გეხვევა ღრუბელი ბნელი, შორიდან როგორ გიყურო მშვიდად, ნუთუ დამხობა ჩვენს დროში გელის, დაუდევრობით შენთავე შვილთა?“**

„შთამბეჭდავია, კი, ბატონო, გეთანხმები... უტყუარი დიაგნოზია დასმული: მაგრამ... „ჯვარს ეცვი, თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“ — ესეც ხომ ითქვა!“

თავი II

მკვდართა ქალაქი

„და ჩემთვის ძვირფას აჩრდილებზე
ვიწყებ გოდებას!“
შექსპირი

დიახ. ვიწყებ გოდებას: წარმოსახვაში, ძილ-ღვიძილში, თუ... რეალობაში?

...შუა ხიდზე შევჩერდი — გასაშვებ პუნქტამდე კაი გვარიანი მანძილია დარჩენილი. ვეღარ მოვითმინე და... რატომღაც ავტობუსის ლოდინს ფეხით სიარული ვამჯობინე.

წავიდე წინ თუ... გამოვბრუნდე?

ჭოჭმანს ვიწყებ.

ისე, კაცმა რომ თქვას, რამდენი საბაბი თუ მიზეზი მაქვს საიმისოდ, რომ... გამოვტრიალდე, საერთოდ აღარ გავაგრძელო გზა!

აკი, მთელი 14 წელიწადი ასე იქმოდი კიდეც — სხვადასხვა გარემოებათა გამო — ზოგი მართებული რომ იყო და ზოგიც „გამოგონილი“, მაგრამ... უმთავრესი, რის გამოც თავს იკავებდი წასვლაზე — ახალი, უფრო ძლიერი ტრავმის მიღების საშიშროება იყო, რასაც გაურბოდი ქვეცნობიერად, ანუ საკუთარ გულს უფრთხილდებოდი თურმე! უფრო ზუსტად: არ გინდოდა, შენი თვალით გეხილა მშობლიური პატარა ქალაქის, შენი კოპწია სახლ-კარის გაოხრების და გავერანების სურათი, აქამდე მხოლოდ მონათხრობით რომ იცოდი! არ გინდოდა მოუვლელი, უპატრონოდ დარჩენილი მშობლების საფლავების ხილვა. ანუ გაურბოდი სატანჯველს — სიმწრის ხელახლა განცდის შეგრძნებას...

ჰოდა, იქნებ, ახლაც აიცილო ეს უზომო, უნაპირო, წრეგადასული ტკივილების წყება, შენში რომ უჩინრად დაბუდე-

ბულა და დროდადრო უჩუმრად გულს გიღრღნის და გიწიწკნის. აკი, საკმარისზე მეტი იწვნიე ცხოვრების გზაზე ტკივილები, მუხთალმა წუფისოფელმა რომ გაგიმზადა — განსაკუთრებით კი ამ ბოლო ათეულ წლებში.

მაშ, შეჩერდი! ჯერ კიდევ დრო გაქვს, წასვლა გადაიფიქრო! ნუ მიდიხარ იქ! იქ, სადაც ისევ გაგეხსნება თითქოს ოდნავ მოშუშებული იარები!

ანაზდად... ჩემს წინ — სად იყო და სად არა — აღიმართა ხელებგაფარჩხული აჩრდილების მთელი ლეგიონი!

„მოდი. გვნახე. ჩვენც ხომ ვიყავით? ჩვენც ხომ ვცოცხლობდით და ახლა... აღარა ვართ! ჩვენც — ავად თუ კარგად — ხომ ვეწეოდით ცხოვრების ჭაპანს, თქვენსავით — ცოცხლად დარჩენილებივით! ჩვენც ხომ გვიყვარდა, გული შეგვტკიოდა ჩვენს კუთხეზე, მთელ ქვეყანაზე... მტერს ვებრძოდით, როგორც შეგვეძლო. ახლა აღარა ვართ, მაგრამ... ხომ ვიყავით?.. გაგვიხსენეთ... მოგვიგონეთ. — უჩინონი, ეგრეთ წოდებული, რიგითები!

...მიცვალებულთა მთელი ლაშქარი მოიწევს ჩემკენ დაკრუნჩხული თითებით: გადმოდი! გვნახე! მოგვიგონე!

ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო! ნუთუ ამდენი ახლობელია წასული ამ სამზეოდან? ზოგი ხანმოთეული, ზოგი ახალგაზრდა, ზოგი ჩემი ხნისა, ზოგიც ჩემზე უფროსი! აუჰ! რამდენი ყოფილან!

შეძრწუნებულს, დარეტიანებულს თითქოს ფეხქვეშ მიწა გამომეცალა...

არა. უნდა გავიქცე, უკანმოუხედავად მოვკურცხლო უნდა აქედან! მაგრამ... მაგრამ აქეთაც... გამოღმა ყურესთანაც ანაზდეულად უშქი ჯარი რომ შეკრებილა მიცვალებულთა სულებისა?

„ჩვენც ვიყავით!.. ჩვენც... თქვენსავით ვსულდგმულობდით ამქვეყნად! ახლა აღარა ვართ! გამოვეთხოვეთ სააქაოს

და საიქიოში დავიდეთ ბინა. ნუთუ... აღარავის გახსოვართ? ნუთუ დაგვივიწყეთ ყველამ? აღარ გედარდებათ ჩვენი არაფერი?“

ღმერთო დიდებულო! აქეთაც რამდენი განშორებია წუთისოფელს! რამდენი ახლობელი, ნათესავი, ნაცნობი თუ უცნობი?

სად გაიქცევი?.. სად დაემალები ამ აჩრდილებს, გარს რომ შემოგრტყმიან და თავს გახსენებენ, თანაგრძნობას და შენდობას ელიან შენგან!

როგორ დაიხშობ ყურს? როგორ დაიბრმავებ თვალს?

არა. წინ უნდა გავწიო. უნდა გავიდე ენგურს გაღმა. ჯერ იქაურები უნდა მოვინახულო — ცოცხლები და მკვდრებიც, ჯერ იქაურები უნდა გამოვიხმო ხსოვნის ფსკერიდან, სანამ ისევ უკუნში ჩაინთქმებიან, სანამ მეც გავუდგები იმ გზაწვრილს, საიდანაც უკან — ამ ცისქვეშეთში აღარ ბრუნდებიან! უნდა დავიტირო და ვიწყო გოდება იმ დასაფიცარ სახელებზე, მიწამ რომ წაიღო. აკი, ოდესმე მეც არ ვიქნები! იქნებ, სულ მალე დადგეს ეს ჟამიც?.. ვინ უწყის!..

ჰოდა, იჩქარე! გასწი წინ. მწარე სევდიანობა და უზომო უიმედობა განიშორე თუნდაც... დროებით! რადგან... ახლა, ამწუთას ასეა საჭირო, რადგან ამწუთას „ჟამი ჩემია და ჟამისა მე ვარ იმედი!“.

ნუთუ მართლა?!

— ჰა, ჰა, ჰა! — იქ, სულის სიღრმეში, ისევ გადაიკისკისა ჩემმა მეორე ორეულმა — მრავალთა შორის ერთ-ერთმა, ყველაზე მზაკვარმა და მაკვარანცხმა, დროდადრო რომ მაქილიკებს, დამცინის, ნიშნს მიგებს და მგესლავს ხოლმე (სხვათა შორის, ჩემი მიგნება მეგონა, რომ ადამიანს, შეიძლება, ერთი კი არა, რამდენიმე ორეული ჰყავდეს. არადა, ეს ჩემამდე აღმოუჩენია... გურჯიევს! ასე რომ — პლაგიატობა გამომივიდა).

...ზმანება იყო თუ... მართლა ვიხილე მიცვალებულთა

აჩრდილები და მათი გაფარჩხული ხელები? მაგრამ, ასეა თუ ისეა, მაინც მომიწევს, გადავლახო ჩემი პატარა რუბიკონი. მერე რა, რომ: „აქ მარტო ვდგავარ — უმეზობლო, ვდგავარ ლიტონი!“.

მაშ, წინ! დრო ულმობელია. იგი წუთებს, წამებს, საათებს ითვლის. **„დრო ულმობელია, დრო ულმობელია, ქარივით მიქრის და მიქრის, ვაი, რამდენი ჩაგვყვება საფლავში ოცნება, ნატვრაც და ფიქრიც“,** — უნებურად ამომიტივტივდა თბილისში, დევნილობაში გარდაცვლილი ჩემი ძმის ლექსის სტრიქონები. უნდა მოასწრო. უნდა აღნუსხო. უნდა დააფიქსირო ყოველივე, თუმცა ესეც კია: რისთვის, რატომ? ვის რაში სჭირდება ეს შთაბეჭდილებანი უჩინარ, უსახელო ადამიანებზე, ვიღაც „ჭიაღუებზე“, კარგა ხნის წინათ რომ მიიცვალნენ ან თუნდაც... ცოცხლად დარჩენილებზე? ანუ ამაოების შვილებზე, რომელთა ყოფნა-არყოფნა არც ერთ მატიანეში არ აღინუსხება? მაშ, თავად უჩინარმა რისთვისღა ავაგო „რა ვქნისას ციხე?“ რისთვის „შევაბა ჯავრი კარადა?“ იმის იმედით ხომ არა, რომ მოვა ჟამი და „კარ გაიღების თავადა?“

მოკლედ რომ ვთქვა, ნებაზე მიშვებულმა ხეტიალა ფიქრებმა თავი აიწყვიტეს და მეც, მეტი რა ჩარაა, უნდა მივყვე, ვდიო კვალდაკვალ და სამზეოზე გამოვიტანო ნანახი და გაგონილი, ოღონდ... მანამდე გული უნდა ჩადგეს საგულეში, შეწყვიტოს ბორგვა, რადგან ახლა, რაც მასთან კავშირშია, უნდა ჩავტკეპნო ხსოვნის უშორეს კუნჭულში, უნდა გადავმალო, მივჩქმალო თუნდაც დროებით და... მხოლოდ გონით ვიმოქმედო!.. ანუ: კბილი კბილს დავაჭირო და... გადავკეტო გულისკენ მიმავალი ყოველი არხი!

მაშ ასე — რეალური სურათი: მე და ჩემი დამხვდურები — დედა-შვილი პაატა და კრიმჰილდა აბლოთიები, რომელთა მეშვეობით გამიიოლდა საშვის აღება, მანქანით მივდივართ გალში, ოღონდ ტრასით კი არა, შემოვლითი გზით. ქუჩაში

ადამიანის ჭაჭანება არ არის — ჩვენი მანქანის გარდა არ მოძრაობს არც ერთი ტრანსპორტი. ალაგ-ალაგ გადაბუგული სახლები გვხვდება; აქაურობას ვეღარ ვცნობ. ისეთი განცდა მეუფლება, თითქოს სადღაც უცნობ, უცხო გარემოში მოვხვდი. ჩემი თანამგზავრები, ანუ მასპინძლები „გიდობას“ მიწევენ. რაღაც-რაღაცებს მიხსნიან, მათვითცნობიერებენ. ხალხის გარკვეული ნაწილი მართლაც დაუბრუნდა თურმე თავის სახლ-კარს, მუდმივი შიშის თუ უსახსრობის მიუხედავად, მაინც აგრძელებენ ცხოვრებას მშობლიურ კუთხეში! ეს, რა თქმა უნდა, კარგია. თუმცა აქ თითქმის ფრონტის წინა ხაზია, მაგრამ ...ადამიანები მაინც არ ეპუებიან საფრთხეს! მე რომ მკითხოთ — ეს გმირობის ტოლფასია!

...ქალაქში შევდივართ. მანქანის სარკმლიდან ვიმზირები დამფრთხალი, თან დაკვირვებული თვალებით. დაცარიელებული ქუჩები. მდუმარე სახლები. თუმცა... აგერ, ორსართულიანი სახლის ეზოს ჭიშკართან ქალი დგას, ხელში სათლი უჭირავს და ქუჩის გაღმა, მოპირდაპირე სახლის ეზოში მეზობელს ელაპარაკება ხმამაღლა. აგერ კიდევ... მოხუცი კაცი და ხნიერი მანდილოსანი ჩვენებურ ფართო, მოვლილ, ამწვანებულ ეზოში რაღაცას საქმიანობენ...

...პაატა ქუჩის კუთხეში მანქანას აჩერებს. ჯიხურთან მიდის და სიგარეტს ყიდულობს. მცირე ხანს ის და გამყიდველი ქალი საუბრობენ. მერე ორივენი ჩვენკენ იხედებიან. მე ვერ ვცნობ ქალს, მაგრამ, რაკი ჯიხური აქვს და ბედავს და ყიდის რაღაცას — თუნდაც სიგარეტს — მაშასადამე, ასეა თუ ისეა, ეცხოვრება!

ღმერთო დიდებულო! სადა ვარ? რომელ საუკუნეში? საკუთარ მიწა-წყალზე, მამა-პაპის ნაფუძარზე თურმე უნდა „გეცხოვრებოდეს?“

მისი უდიდებულესობა რუსეთის იმპერია და მისი დამქაშები ამის ნებართვას აძლევენ თითო-ოროლა ადამიანს,

400-ათასამდე დევნილი კი რჩება დანარჩენ საქართველოში.

თავისი საცხოვრისიდან აყრილ ხალხს მთელ მსოფლიოში უკან აბრუნებენ, გარკვეულ პირობებსაც უქმნიან, ჩვენში კი, აგერ უკვე მე-15 წელია, დაცარიელებულია ქართველებისგან აფხაზეთი, საკუთარ ქვეყანაში ხიზნად არის ხალხი ქცეული და მხოლოდ გალში, ასე თუ ისე, ახერხებს თითო-ოროლა ადამიანი — დაუბრუნდეს საკუთარ სახლს. რუსეთის იმპერია, რომელმაც ბოლოს და ბოლოს აისრულა წადილი და ქართველების გაყრა შეძლო აფხაზეთიდან — მათი უკან დამბრუნებელია? არადა, მედიატორად სწორედ იგი რომ გვევლინება!

...ეეეცინე, ჯამბაზო!

...ჩემო პატარა, კოხტა, ლამაზო ქალაქო, ოდესღაც გოგიელი რომ გერქვა და საბედიანოს ცენტრი იყავი შუა საუკუნეებში, შემდგომ მურზაყან შარვაშიძის მიერ დადიანის სამფლობელოდან ჩამოგლეჯილი და სამურზაყანოდ წოდებული მხარის ქალაქო — ახლა ლამის მთელ მსოფლიოში ხარ ცნობილი! თუმცა, რა სიკეთე მოგიტანა ამ „ცნობადობამ?“ შენი მშვიდობიანი მოსახლეობის ხოცვა-ჟლეტა და გაუდაბურება, დედა-სამშობლოდან მოწყვეტა, უამრავ ადამიანთა ტრაგედიები... უსამართლობა და განუკითხაობა ხომ კვლავ... შუასაუკუნეობრივია! სიკვდილი და გადაშენება... — აი, რა გარგუნა ბედმა! თუმცა, ჩემთვის ახლა მთავარია, ავიდე სასაფლაოზე, მოვინახულო ჩემი მშობლების სამუდამო განსასვენებელი, ამდენი ხანი რომ არ მინახავს (რასაკვირველია, ნებაყოფლობითი არ ყოფილა ეს „უნახაობა“, მაგრამ ამაზე უკვე ითქვა), თბილისიდან წამოღებული ხის ჯვარი უნდა ჩავასო მიწაში, ღვინო მოვასხა საფლავებს, ლოცვები წავიკითხო (შემდეგში, იქნებ, შევძლო და წარწერიანი ფილები ჩამოვიტანო). მოკლედ, წინასწარ, ასე ვთქვათ, დაპროგრამირებულმა უნდა შევასრულო პუნქტობრივად ის

გეგმა, რაც წამოსვლისას დავისახე!

...და, აი, ვდაგავრ ჩემი მშობლების საფლავზე, გორაკზე, და, თუმცა დათქმული მაქვს მხოლოდ გეგმის მიხედვით ვიმოქმედო, ემოციებისა და სენტიმენტების გარეშე — მაინც ცრემლები ჩემდა დაუკითხავად ღვარ-ღვარად ჩამომდის თვალებიდან და ძალაუნებურად — მინდა, არ მინდა — გონებაში წარმოვიდგენ, რომ ამ მოტკეპნილი მიწის ქვეშ ჩემი მშობლების ცხედრები იხრწნებიან, რომ მატლი და ჭიები დასევია ჩემთვის უძვირფასეს არსებათა სხეულებს...

არ მინდა და მაინც...

...დედაჩემის უბე და მისი სითბო მახსენებს თავს... აი, კალთაში ვუზივარ დედას: „მზეო, ამოდი, ამოდი, ნუ ეფარები გორასა“... „სერზე მიდის სამი მგელი, ტუჩმოკლე და კუდაგრძელი“...

დედა მიკითხავს საბავშვო ლექსებს, ხელში ყდამოცვეთილი წიგნი უჭირავს: „ჰაუ, ჰაუ, ქორო, ნუ ფრენ ამ ეზოში დილ-დილასო, ვერ მომპარავ, არ გაგატან ჩემს პატარა წიწილასო...“

დედა უცებ გულში მიკრავს და რატომღაც იცინის... მე მისი უბის სითბო და ლექსების რიტმი მანანავებს. თვალები მელულება. აუ, რა კარგია ასე ჩახუტებული ჯდომა დედის კალთაში... გარკვევით მესმის მისი გულის ფეთქვა. ვგრძნობ, მისი ძუძუების თრთოლა-ცახცახს...

სტოპ! მოგონებანი სასწრაფოდ უნდა ჩავაბრუნო იმ უხილავ უჯრაში, ხსოვნის ფსკერზე რომ განვათავსე... ახლა არ არის ამისი დრო... ახლა პრაქტიკული ქმედებებია საჭირო!

...პაატა მეუბნება, აგერ, ერთ ალაგას ღობე ცოტათი გარღვეულაო და მერე მამშვიდებს: ამას მე შევაკეთებო...

...გალის დაცემიდან სამი თვით ადრე ჩემმა ძმისშვილმა მამუკამ რკინის ღობე თავისი ხელით შემოავლო ბებიის და ბაბუის საფლავს... მერე, საღამოს, ტელევიზორს რომ

ვუსხედით, უცებ მეუბნება: ნუ ჯავრობ... ჩვენს ქუჩაზეც იქნება დღესასწაულიო. და გამახსენდა: ერთ დღეს ასევე ვუყურებდით ტელევიზორს ჩემი დაინვალიდებული ძმა, დასნეულებული რძალი, მამაჩემი, მე და მამუკა. უცებ ტელევიზორში აჩვენეს კიტოვანის გვარდიის შესვლა სოხუმში! წუხელ გაიარესო, ამბობდნენ მეორე დღეს გალელები, ტანკების ნამუხლარების კვალი ახლაც აჩნია ასფალტსო.

და, აი, სოხუმში შეჯლიგინდნენ და მთავრობის სასახლიდან გადმოყარეს რუსეთის და ავტონომიური რესპუბლიკის დროშები...

...ერთმანეთს გადავხედეთ. გაგვხარებოდა თუ...

რატომ გადაფითრდა მამუკა? ჩემი ძმაც? მეც ცუდად რატომ შემიქანდა გული? რა არ მოგვეწონა?

რამ შეგვაშფოთა?

თითქოს დასრულდა რუსეთის მიერ გაქეზებული სეპარატისტების პარპაში!.. მაგრამ... რატომ ვდუმვართ სუყველანი? რატომ გვენიშნა ეს ამბავი ცუდად?

...სასაფლაოზე წინასწარ დაგეგმილი „პროცედურა“ დამთავრდა. ახლა სახლს უნდა მივაკითხო... მერე სამძიმრებზე უნდა ვიარო — ვისთანაც მოვასწრებ მისვლას, უნდა მივიდე აუცილებლად.

...აი, ისიც... ჩვენი სახლ-კარი! ეზო კვლავ მწვანეშია ჩაფლული. ჩემი ძმის დარგული ვარდებიც კი ხარობენ! ისედაც კოხტა ეზო უფრო გაკოხტავებული ჩანს. თვალს არ ვუჯერებ! ვიცოდი თითქოს ამის შესახებ, მითხრეს და მაინც... მოულოდნელი აღმოჩნდა ეს ყველაფერი!

...რა სიყვარული უნდა გქონდეს გულში, რომ ასე მოუარო სხვის, თუნდაც კარის მეზობლის საცხოვრისს და მერე... რა დროს?

აკი, მეორე მეზობელმა სცადა დასაკუთრება უპატრონო სახლისა იმ მოტივით, რომ ორი ძმა ვერ ეტეოდა საკუთარ

სახლში! მაგრამ, ჰოი, საოცრებავ: ახალგაზრდა ბიჭის მკვლელობაში თანამონაწილეობის გამო ეჭვმიტანილებს სახლში მიუვარდნენ ჭირისუფალნი, სახლი გადაუბუგეს და ძმები იძულებული შეიქნენ, დედაწულიანად გადახვეწილიყვნენ გალიდან! ადამიანური ბუნების კონტრასტები, სიკეთისა და ბოროტების ბრძოლის ოდინდელი სურათი ერთობ თვალშისაცემია! გამაოგნებელია.

თავის დროზე „ბოევიკებმა“ და სეპარატისტებმა ჩვენი სახლ-კარი, როგორც დანარჩენების, საფუძვლიანად გაძარცვეს — არაფერი ღირებული არ დატოვეს, მათ შორის, უმდიდრესი ბიბლიოთეკა, მაგრამ მაშინ სახლი გადაწვას გადაურჩა, გადარჩა ავეჯი (ნაწილობრივ), კედლები... ფანჯრები ახლა მოპრიალებულია, მოწესრიგებულია ტუალეტი, აბაზანა...

ღმერთო ჩემო! სასწაულია პირდაპირ! რაც ეს ძმები აბლოთიები დაუბრუნდნენ გალს, თავიანთ მიტოვებულ სახლ-კარს — მას მერე განახლდა, ხელახლა აღორძინდა ჩვენი გაოხრებულ-გაპარტახებული ეზო-მიდამოც.

...იმ ოთახში ვუსხედვართ მაგიდას და ვსაუბრობთ მე და პაატა, სადაც მამაჩემი გარდაიცვალა 1993 წლის 16 მაისში. გალის დაცემამდე სამი თვით ადრე მივაბარეთ მამა მშობლიურ მიწას — მადლობა ღმერთს, მამამ ვერ იხილა გალის აოხრების საზარელი სურათი. სიკვდილის წინ, სამი დღით ადრე, ლოგინად ჩავარდნილს მივუსწარი, ხელაპყრობილი როგორ ევედრებოდა უფალს: ღმერთო, საქართველო გადაარჩინეო. დიახ, სიკვდილის წინ ითქვა მისი ბაგე-პირიდან ეს სიტყვები. და, საერთოდ, მამას ღრმად სწამდა და სჯეროდა, რომ... ღმერთი არ გაწირავდა საქართველოს!..

ხანდახან, რედაქციის თხოვნით, მამა ადგილობრივ გაზეთში აქვეყნებდა ხოლმე წერილებს რაიონის საჭირბოროტო საკითხებზე, სამურზაყანოს, ანუ ძველი საბედია-

ნოს წარსულზე. მას ბევრი რამ ახსოვდა და იცოდა თავის კუთხეზე. აკი, სამურზაყანოს მემატიანეს ეძახდნენ კიდეც გალელები. გალის ფეხბურთელთა პირველი გოლკიპერი ყოფილა 30-იან წლებში, ბევრს ახსოვდა კიდეც მისი, როგორც ფეხბურთელის, სისხარტე და სიმარჯვე. შესანიშნავი პირველი ხმა ჰქონდა და ქალაქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში მღეროდა კიდეც ერთ ხანს. სხვათა შორის, თავიც მოჰქონდა იმით, რომ სიმონიშვილი ჰყავდა მასწავლებლად. საერთოდ, სიტყვაძუნწი კაცი იყო, მაგრამ განსაკუთრებით თამადობის დროს — შესანიშნავი მოქართულე და მჭევრმეტყველი გახლდათ. მახსოვს, პატარა რომ ვიყავი, სხვადასხვა ღონისძიებაზე დავყავდი ხოლმე. მერე მივხვდი, რომ ამას სპეციალურად აკეთებდა, რათა ჩემში გაეღვიძებინა სიყვარული ძველი, ეროვნული ტრადიციებისადმი.

უკვე საკმაოდ ხანშიშესულმა ითავა მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შექმნა. როგორი ენთუზიაზმითა და სიყვარულით აგროვებდა ხოლმე ძველ ნივთებს ამ მუზეუმისთვის!

თავის კუთხესა და, საერთოდ, საქართველოზე უზომოდ შეყვარებულ კაცს ის „ბედნიერება“ ხვდა წილად, ჩემი ძმისგან განსხვავებით. რომ თავის თვალით არ უხილავს-მეთქი მშობლიური ქალაქის აოხრება-გაპარტახების შემზარავი სურათები.

...ვსხედვართ მე და პაატა, ვსაუბრობთ და ნელ-ნელა ღვინოს ვწრუპავთ. ჩვენი საუბრის თემა კი ისევ და ისევ წარსულია — გონებიდან ხან რა მოგონება ამოტივტივდება და ხან რა...

შევყურებ ამ გონიერ, განათლებულ, სიკეთით სავსე შუახნის კაცს და ერთი და იგივე აზრი მიტრიალებს თავში: მავანს უკითხავს თურმე მისთვის — რას აკლავ თავს ამ არდაშელიების სახლ-კარს, რას გაძლევენ ამისთანასო. როგორ უნდა აუხსნა „ამისთანას“, რომ ბავშვობაში ლუბა ბებიას მიერ მორთმეული კერძის გემო დაუვიწყარია ჩემთვის, რომ

ეთერი დეიდას რძიან ფაფას მე და ლელა ხშირად ერთად ვჭამდით, რომ ჯოტო ბაბუას „წყალობით“ ხის ტოტიდან სასწაულებრივად ჩამოცვენილი კანფეტების გემოს ახლაც ვგრძნობ... როგორ უნდა „აუხსნა“ ამისთანას, როგორია ბავშვობის დროს აღქმული სიკეთის ფასი, რომელიც მარად გახსოვს და არ გავიწყდება; რომ მთელი ცხოვრება თან მოგყვება იმ წრფელი სიყვარულის განცდა! ასე, დაახლოებით ასე უპასუხია პაატას იმ ვიგინდარასთვის. მე თითქოს მისგან უთქმელ სიტყვებსაც ვისმენ და ვიგებ! ვისაც არ ჰქონია ასეთი წამები ცხოვრებაში, მისთვის გაუგებარია მადლიერების გრძნობა, რომელიც შეიძლება ათეული წლის შემდეგაც გამოვლინდეს და სიკეთეს-სიკეთით მიუზღო!

გაოგნებული თითო-ოროლა ფრაზის თქმას ვახერხებ; თუნდაც ის რად ღირს, გასუფთავებულ-დაკრიალებულ ოთახში ჩემი ძმისშვილის, ლელას ბავშვობისდროინდელი სურათი რომ ჰკიდია კედელზე, მამუკას და მისი ბიჭის — აკოს პორტრეტები კი „ზალაშია“ გამოფენილი!

...ჩემი, ასე ვთქვათ, მაგისტრალური ხაზიდან გადავყავარ აბეზარ, მოუსვენარ და თან მტანჯველ ფიქრებს, განცდებს, მოგონებებს... კმარა, ეს ყველაფერი მერმისისთვის იყოს-მეთქი, — ვარწმუნებ საკუთარ თავს, — ღამეც მეყოფა ფიქრებისა და განცდებისთვის, როცა საკუთარ თავთან მარტო დავრჩები.

ახლა კი სამძიმარზე სიარული უნდა დავიწყო— რასაც მოვასწრებ ერთ დღეში — უფრო სწორად, დღის მეორე ნახევარში. არადა, რამდენი მყავს მოსანახულებელი!.. პირველად მაინც ახალგარდაცვლილი ახალგაზრდის მშობლებს უნდა მივაკითხო: ჩემი ძმის თანაკლასელს, ბავშვობისდროინდელ მეგობარს — ვაჟა ცხაკაიას ცეროზისგან დაეღუპა ვაჟი — სამწუხაროდ, ესეც ჩვენი დროის სენია. წეღან, საუბარში, პაატამ ჩემს კითხვაზე, ცოლს რატომ არ ირთავ-

მეთქი, ასეთი გულის მომკვლელი პასუხი გამცა:

— კი... აუცილებლად უნდა მოვიყვანო ცოლი — აქაური, ჩვენებური, მაგრამ... იცი, რა ხდება აქ? ძველი დრო ხომ არ გგონია?.. ზოგი ჩვენი გოგო პირდაპირ ღობეს ახტება, რომ გაეროს ოფისში შეაღწიოს როგორმე და... ნებისმიერ უცხოელს დაუწვეს — ფულის გულისთვის!.. ფული, ფულია ახლა უმთავრესი მიზანი არსებობისა... კაი ცხოვრება, კეთილდღეობა, ხელგაშლილობა — თუნდაც მეძავობით იყოს მოპოვებული ეს ფულები! ბარებსა თუ რესტორნებში გრიალი!..

მენიშნა მისი სიტყვები...

ფულის გამო ხომ რამდენი პატარა გოგო გავიდა ქუჩაში თუნდაც-თბილისში. რამდენმა უცხოეთში, განსაკუთრებით თურქეთში, ჰპოვა ასპარეზი... ტაო-კლარჯეთში ყოფნის დროს ერთმა იქაურმა გურჯმა დამანახა ყბადაღებული სახლი, სადაც თურმე მეტწილად ჩვენებური, ქართველი ქალები ვაჭრობენ — სხეულით! მახსოვს იმ გურჯი მამაკაცის ხმაში შეფარული სევდა...

ხმა ვერ ამოვიღე საპასუხოდ. გავიტრუნე. ეკონომიკურმა სიდუხჭირემ იცის ქურდობის, მძარცველობისა და მეძავობის მომრავლება-მოხშირება ნებისმიერ ქვეყანაში, მაგრამ ჩვენ ჩვენი სატკივარი გვაქვს. უნებურად მაგონდება შარდენის, კასტელის და სხვათა ნაწერები, მე-17 საუკუნის უკიდურესად დაქცეული საქართველოს კუთხეებში, კერძოდ, სამეგრელოში თუ რა ხდებოდა, რა მასშტაბებს აღწევდა თუნდაც ტყვეთა სყიდვა და ზოგჯერ ნებაყოფლობითაც ყიდდნენ საკუთარ შვილს, რომ დანარჩენები გადაერჩინათ შიმშილით სიკვდილისგან! არადა, კასტელის თქმით, „ანტიკური სიბრძნის ფუძის ჩამყრელი ქვეყანა ავაზაკების გამოქვაბულად“ იქცა თურმე. „შეუძლებელია პატიოსნად აზროვნება იქ, სადაც მთელი ფიქრი ადამიანის

ლუკმა-პურის მოპოვებას უნდება“, — ამას, მგონი, მონტესკიე ამბობს.

რომელიღაც ჟურნალში ამოვიკითხე ერთი ჩვენებური მეძავი ქალის თავგადასავალი, თურქეთში მისი „მოღვაწეობის“ პერიპეტიები. ბოლოს, ვიღაც ძალიან მდიდარმა თურქმა „პატივი“ დასდო და მუდმივ საყვარლად „აიყვანა“ თურმე. ახლა ბლომად აქვს ფულები, ამასთან, ცხადია, არ იკლებს გართობებს, დროსტარებას, უშურველად ხარჯავს ფულს — რა ვქნა, მიყვარს ხელგაშლილი ცხოვრებაო!

ამან, ამ მისმა ბოლო ფრაზამ შემძრა და შემარყია ყველაზე მეტად. ამ მეძავს თურმე ხელგაშლილი ცხოვრება ჰყვარებია! არა მხოლოდ ცინიზმია ეს — მდაბიორის ფსიქიკაც გახლავთ და არა მხოლოდ სხეულის: ეს საპყარი სულის მრუშობაა! თუმცა, მადლობა უფალს, ჩვენი ქალების დიდი უმრავლესობა დარჩა ოჯახის ბურჯად, დედაბოძად ამ გაუსაძლის ყოფიერებაშიც. უცხოეთში მყოფნი — კეთილსინდისიერი შრომით არჩენენ საქართველოში შიმშილის პირზე მისულ, გაუბედურებულ მცხოვრებ თავისიანებს.

...ძნელი იყო ვაჟასთან და მის მეუღლესთან შეხვედრა. ერთადერთი შვილის დამკარგავ მშობლებს რა უნდა უთხრა? რა სიტყვებით მიუსამძიმრო? მაგრამ... ტრადიცია და, რაც მთავარია, თანაგრძნობის, თანადგომის გრძნობა გვკარნახობს ხოლმე ასეთ დროს, როგორ გამოხატო შენი გრძნობა... ამასთან, ვაჟას ნახვა სხვა, უფრო ღრმა ემოციებს აღძრავს... ეს მობერებული, სიმპათიური კაცი შორეული წარსულის ფოტონეგატივია თითქოს ჩემთვის!

ვაჟა ცხაკაია, ლეო ხაბურზანია, ვანო ქვაჩახია, ღუდა ციკოლია, რუბენ სიჭინავა, ალიკო (ავთანდილ) არდაშელია, გურამ გეგეჭკორი, ჟორა ცატავა, შოთა ყოლბაია — თავის დროზე გამორჩეული ახალგაზრდები იყვნენ და არა მხოლოდ გალში! ომის შემდგომი პერიოდის ეს თაობა მარ-

თლაც თითით საჩვენებელი გახლდათ ნიჭიერებით, განსწავლულობით, გარეგნულადაც კი. მახსოვს, როგორ სტაცებდნენ ერთმანეთს წიგნებს, ღამეს ათენებდნენ კითხვაში, როგორ ეწაფებოდნენ ცოდნას... აწყობდნენ ლიტერატურული პერსონაჟების გასამართლებებს, დავობდნენ, კამათობდნენ, მართავდნენ დისპუტებს. შემდგომში ერთ-ერთი მათგანი — ვანო ქვაჩახია — გალაკტიონის რუსულ ენაზე მთარგმნელად მოგვევლინა...

ლეო ხაბურზანია, მოსკოვის ლომონოსოვის სახ. უნივერსიტეტდამთავრებული, შესანიშნავი ეკონომისტი დადგა; რუბენ სიჭინავა — თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტდამთავრებული, ჩინებული იურისტი იყო და ა.შ... ჩემს ძმაზე, ალიკო (ავთანდილ) არდაშელიაზე მისი ტრაგიკული სიკვდილის შემდეგ წერილი გამოვაქვეყნე „ლიტერატურულ საქართველოში“ სათაურით „დრო ულმობელია“... ვერც ერთმა სიბერეს ვერ მიაღწია ვაჟას გარდა: ნაადრევად წავიდნენ ამქვეყნიდან. ის ახალგაზრდები ჩემს ხსოვნაში დარჩნენ, როგორც საუკეთესო თაობა — მგზნებარე პატრიოტები, ქართული ლიტერატურის მოთაყვანენი, ერთმანეთის გამტანნი, პატიოსანნი, უფროს-უმცროსობის ტრადიციების დამცველნი... ყველანი ნაადრევად წავიდნენ ამქვეყნიდან და... აქა-იქღა, უფრო მათ ოჯახებში შემორჩა მათი ხსოვნა... როგორც მარკუს ავრელიუსი ამბობს: „რაოდენ დღე მოკლეა ყოველი — ისიც, ვისაც ახსოვს და მისი ხსოვნის საგანიც“.

(მახსოვს, პატარა გოგოს სადღაც მეამაყებოდა კიდეც, ჩემი უფროსი ძმის მეგობრები ჩემთანაც რომ მეგობრობდნენ!)

ერთმანეთზე უკეთესი გოგო-ბიჭები იყვნენ-მეთქი, აღვნიშნე ზემოთ. — დიდი ომის ჭირვარამგამოვლილნი, გაჭირვებაში გაზრდილები და მაინც საოცრად ხალისიანები, სიცოცხლის მოყვარულები, სწავლის მოყვარულები, სულით და ხორცით ჯანსაღნი და, რაც მთავარია, სამშობლოს უზომოდ თაყვანისმცემელნი.

...ამ ჩინებულ ყმაწვილებში მაინც გამოირჩეოდა ჩემი ძმა ავთანდილი — ალიკო არდაშელია, გამოირჩეოდა გარეგნობითაც — ჩვენი წინაპრების სილამაზე გამოჰყვა დედის — ჩაჩბების, ანუ შარვაშიძეთა მხრიდან, გამოირჩეოდა მრავალმხრივი ნიჭიერებით. უსაზღვროდ უყვარდა პოეზია, ლიტერატურა და, საერთოდ, ხელოვნება. „ვეფხისტყაოსანზე“ ხომ ბავშვობიდან უზომოდ იყო შეყვარებული. მახსოვს, როგორი პათოსით, როგორ მგზნებარედ წარმოთქვამდა ზეპირად რუსთაველის უკვდავ სტრიქონებს — სხვათა შორის, იმდენად იყო შეყვარებული „ვეფხისტყაოსანზე“, განსაკუთრებით კი ავთანდილზე, რომ პატარა ბიჭმა, სკოლის მოსწავლემ სახელი გადაირქვა და ყველგან ალიკოს ნაცვლად ავთანდილად მოიხსენიებდა ხოლმე თავის თავს.

სოხუმის პედინსტიტუტში, სადაც სწავლობდა, პოემის რამდენიმე თავის ინსცენირება რომ გადაწყვიტეს, თურმე ყველამ უყოყმანოდ, ერთსულოვნად ავთანდილის როლში ჩემი ძმა აირჩია (ის სურათი, სადაც ავთანდილის როლშია გადაღებული, დღემდე შემოგვრჩა). როგორც თითქმის ყოველი ქართველი, წერდა ლექსებს, ოღონდ თავისთვის. არასოდეს უფიქრია მათი გამოქვეყნება, საერთოდ არ აწუხებდა პატივმოყვარეობა. ამ მხრივ, შესაძლოა, ზედმეტად თავმდაბალი და მოკრძალებულიც კი იყო. მე-10 კლასში დაწერა პოემა და თავის თანაკლასელ გოგონას მიუძღვნა. პოემა ხელიდან ხელში გადადიოდა სკოლის დირექტორსაც წაუკითხავს და არ დაიჯერა თურმე, პოემა მეათეკლასელი ბავშვის დაწერილი თუ იყო. ეს პოემა და მრავალი მისი ლექსი — სამუდამოდ დაიკარგა. ამასთან, ხატავდა კარგად, იმდენად კარგად, რომ თბილისელ სტუმარს, რომელსაც მისი ნახატების გამოფენა უნახავს სკოლაში, ისე მოსწონებია, სახლში მოგვაკითხა. ეს ბავშვი თუ თბილისის სამხატვრო სასწავლებელში გააგრძელებს

სწავლას, მისგან შესანიშნავი მხატვარი დადგებაო (სხვათა შორის, მხატვრობის ნიჭი გამოჰყვა მის ერთ-ერთ შვილიშვილს — მარიამ არდაშელიას). გალის მე-2 საშუალო სკოლაში მხატვრული საღამოების და ლიტერატურის პერსონაჟების გასამართლების მოთავე ხომ იყო და იყო!

მამას ხშირად დაჰყავდა სანადიროდ, სათევზაოდ. უსაზღვრო ფანტაზიის მქონე, შემდგომში ისე არტისტულად უყვებოდა თავის შვილებს თუ შვილიშვილებს მის მიერ მოგონილ ზღაპრებს, რომ ჩვენც, დიდებსაც ცოცხლად გვედგა თვალწინ მისი გამოგონილი პერსონაჟები.

შემოქმედის სული იწვოდა მის არსებაში. შემოქმედის ხელი ეტყობოდა ჩვენს კარ-მიდამოსაც, გამორჩეული რომ იყო მთელს ქალაქში. მებაღე-დეკორატორივით თავს ევლებოდა თითოეულ ბუჩქს, ვარდ-ყვავილებს, კვიპაროსებს, პალმებს, ნაძვებს... ტყიდან, ხანაც ზღვის ნაპირიდან მოჰქონდა ხოლმე „მხატვრული“ ჯირკვი თუ ქვა და თავისი ხელით აჩუქურთმებდა და ალამაზებდა ყოველ კუნჭულ-ალაგს, აუზს, სახლის კიბეს...

დედისგან ჰქონდა უთუოდ გამოყოლილი ეს სიყვარული მცენარეებისა და, საერთოდ, ბუნებისადმი, თუმცა... ამ მხრივ მამაც ხომ ბუნების ტრფიალი და ქომაგი გვყავდა. თავის დროზე სწორედ პირველმა მან აღიმაღლა ხმა გალის რაიონის ტყეების დასაცავად, უმოწყალოდ რომ იჩეხებოდა და ნადგურდებოდა მაშინდელი ხელისუფლების მონდომებითა და ხელშეწყობით. მამა აკი ბუნების ქომაგის ოქროს მედლითაც კი დააჯილდოვეს შემდგომ.

...ზემოთ ჩემი ძმის ბუნებისადმი ტრფიალი ვახსენე. მახსოვს, ერთხელ თბილისიდან გალში ჩამოსული — ჩემმა ძმამ დილაუთენია გამაღვიძა და მომასმენინა ჩვენი ეზოკარის შაშვების ...კონცერტი! დიახ კონცერტი, რადგან, ალბათ, ერთი ოცდაათი შაშვი მაინც გალობდა... ერთდროულად! დაუვიწყარი, წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე შაშვების ამ გუნდურმა გალობამ!..

წლების განმავლობაში მუშაობდა პედაგოგად. იყო სასწავლო ნაწილის გამგეც და დირექტორიც — რაიონის სხვადასხვა სკოლაში. ბოლო 12 წელი რაიონის კულტურის განყოფილების გამგედ მუშაობდა. მისი თაოსნობით გაიხსნა გალში სამხატვრო სასწავლებელი, ხოლო კულტურის სახლთან არსებული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი და სახალხო თეატრი ხომ მთელს აფხაზეთში პირველობდა. თბილისშიც ხშირად იწვევდნენ და სიგელებით აჯილდოებდნენ. ეამაყებოდა, რომ ამ წარმატებებში მისი წვლილიც იყო. მერე, როცა ყველაფერი გაუფასურდა, არავის მოგონებია მისი დამსახურება. არც არავის გახსენებია ფუძემოშლილი ხიზანი საკუთარ ქვეყანაში!

აფხაზეთის ტრაგედია მისი პირადი ტრაგედიაც იყო. 1989 წელს დაინვალიდებული, თითქოს უფრო მძაფრად, უფრო მტკივნეულად განიცდიდა ყოველ მოვლენას, რაც ქვეყანაში ხდებოდა. სტკიოდა ორად გახლეჩილი საქართველო, წუხდა ღალატის, დაუნდობლობის, ზურგში მახვილის ჩაცემის გამო — საქართველოს ისტორიის ჩინებული მცოდნე, ვერა და ვერ ეგუებოდა შადიმანობას...

...წელიწად-ნახევარი უმკლავდებოდა სოხუმი მტერს, — ჩემი ძმის საყვარელი ქალაქი, მისი სიჭაბუკის ქალაქი. ყოველი დღე, ყოველი საათი მტანჯველი იყო მისთვის. სოხუმი რომ იბომბებოდა, ლოგინად ჩავარდნილ მამას ვუმალავდით. ყოველთვის თანამოაზრენი ვიყავით ყველაფერში, მოვლენების შეფასებაში ყოველთვის ერთ პოზიციაზე ვიდექით.

...უჩვეულოდ დაძაბული იყო 1993 წლის გაზაფხულ-ზაფხულის ყოველი დღე. ჯერ მარტის, შემდეგ ტამიშის ტრაგიკული ამბები... სოხუმი იდგა. სოხუმი არ ნებდებოდა. თუმცა,

სამწუხაროდ, გალისგან, ისევე როგორც სხვა რაიონებისგან, არ ჰქონია საკმარისი დახმარება და მხარდაჭერა.

27 სექტემბერს კი — სოხუმი დაეცა! მანამდე ეგრეთ წოდებული „თეთრი მანდილის“ ქალები მშვიდობის მატარებლით რომ ჩავედით ოჩამჩირეში, გალის ვაგზლიდან მოვახერხე, ტელეფონით დავლაპარაკებოდი ჩემს ძმას. საშინლად ნერვიულობდა — ცუდი ამბებია მოსალოდნელიო. ასეც მოხდა! 30-ში გალი მტრის ხელში აღმოჩნდა. ვეღარ მოვასწარით მისი და ავადმყოფი რძლის გამოყვანა ოკუპირებული გალიდან. რაკიღა ვიცოდი ალიკოს ფიცხი ხასიათი და მისი ამაყი ბუნება, ლამის წინასწარ გამოვიგლოვე: ალიკო არ შეეპუება მომხდურებს და თავს შეაკლავს-მეთქი. და მართლაც, როცა კაზაკმა „ბოევიკმა“ ძარცვის დროს კედელზე ახლად გარდაცვლილი მამაჩემის სურათს შეხედა, ეს „ბოევიკია,“ არაო? ჰკითხა თურმე ალიკოს გამძვინვარებული სახით. ეს მამაა ჩემიო, რომ მიიღო პასუხად, მამაშენს ასე და ასეაო, ახლავე ჩამოხსენი, თორემ აქვე დაგცხრილავო. დამცხრილე მერე, მე ისედაც დაცხრილული ვარო! — უპასუხა თურმე უშიშრად.

კაზაკმა შეხედა ამ ცალხელ-ფეხწართმეულ კაცს და... უხმოდ გაეცალა (ეტყობა, ამ მოძალადეს რაღაც ნამუსის გრძნობა გაეღვიძა!).

...სამთვე-ნახევარი გაუძლო ჯოჯოხეთს ცოლ-ქმარმა, გაუძლეს იმას, რაც გალში და მათ გულში ტრიალებდა. დაგვიხოცეს ახლო მეზობლები, გალის ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები, დახოცეს, ასე ვთქვათ, უბრალო, ჩვეულებრივი, უდანაშაულო ადამიანებიც მხოლოდ იმის გამო, რომ... ქართველები იყვნენ!

რატომ დაგვატყდა თავს ეს უბედურება? რა დანაშაული მიგვიძღოდა ვინმეს წინაშე ისეთი, რომ ასე ბარბაროსულად, თვით ფაშისტებისთვისაც გაუგონარი სისასტიკით გასწორებოდნენ მშვიდობიან, უიარაღო მოსახლეობას? ვერა, ვერაფრით ვერ აეხსნათ ჩვენიანებს ეს „საიდუმლო“!..

ჩემს მიერ ნაჩუქარ, ახალ, ქართველიშვილისეული გამოცემის „ვეფხისტყაოსანზე“, სასწაულებრივად რომ გადაარჩინა იმ ავბედით დღეებში, შვილიშვილისთვის ასეთი წარწერა გაუკეთებია: „ეს წიგნი ეკუთვნის ალეკო-აკო მამუკას ძე არდაშელიას, რომელიც მისმა ბაბუდამ ციალა არდაშელიამ აჩუქა... მხოლოდ ამ წიგნის გადარჩენა შევძელი ჩვენი ბიბლიოთეკიდან. ირბევა და ნადგურდება გალი — მკვდარი ქალაქი. დღეს 29 ნოემბერია — ჩვენი გენოციდის ორი თვის თავი. მოვა დრო და ეს წიგნი გადაეცემა ადრესატს — ალეკო არდაშელიას... ჩვენი ოჯახის დიდი მეგობრის, ალიოშა ქარდავას მეშვეობით (ქარდავების ოჯახში იყო თითქმის სამი თვე თავშეფარებული ცოლ-ქმარი). თუ ჩვენ ვერ გადავურჩებით სეპარისტებისა და „ბოევიკების“ ტყვიას, შენ გადაუხადე კეთილ ადამიანებს სამაგიერო... მაგრამ მჯერა, რომ ჩვენ აუცილებლად გნახავთ შენ, მარიამს, მამუკას, ლელას, ნიკას და შენს დიდ მამიდას ციალას, შენს საყვარელ დედიკოს ნინოს და ჩვენ ერთად, ალიოშას ოჯახთან ერთად... ვიზეიმებთ ჩვენს განთავისუფლებას ჩვენი დაუძინებელი მტრებისგან. ღმერთმა აღასრულოს ეს ჩვენი ნატვრა... გეხვევი, გკოცნი, ჩემო აკუნია, თუ ცოცხალს ვერ მომისწრებ, იცოდე, ჩემს სამარეში (თუკი მეღირსა დამარხვა) გულში მექნება ჩახუტებული შენი სურათი...

გაუმარჯოს მთლიან და დამოუკიდებელ საქართველოს! ამინ!

დაპყრობილი და განადგურებული ქალაქი გალი. 1993 წლის 29 ნოემბერი“.

ხოლო უფრო ადრე, უკვე დაინვალიდებულს, საქართველოს ისტორიის წიგნზე ასეთი სიტყვები წაუწერია:

„ჩემს საყვარელ აკოს. გაიზარდე დიდი ბიჭი, იყავი ნამდვილი ქართველი. გიყვარდეს შენი ერი, მამული შენი.

გაუმარჯოს დამოუკიდებელ საქართველოს!..

შენ ამას რომ წაიკითხავ, მე უკვე ცოცხალი აღარ ვიქნები ალბათ. ხშირად მომიგონე შენი ბაბუნია. ყოველთვის გახსოვდეს, რომ შენ მთელს ქვეყანას მირჩევნიხარ... იყავი ჯანმრთელი და ღონიერი. ღმერთმა დიდი ხნის სიცოცხლე მოგცეს. ამინ! გკოცნი უამრავს, გეხვევი, ჩემო სიცოცხლევ, ჩემო აკუშკია ბიჭო“.

იქვე, შვილიშვილისადმი მიძღვნილი ლექსი მიუწერია, რომლის ფრაგმენტები მომყავს:

„საყვარელო ჩემო აკო,
ჩემო აკუჩელა,
ჩემი დღე ხარ,
ჩემი მზე ხარ,
ჩემი თუთარჩელა!..
ათი თვის ხარ
ასი წელი ტკბილად დამიბერდი,
პაპაჩემის დღეგრძელობა
შენთან ალავერდი.
დაგებედოს ჯანმრთელობა
და სიცოცხლე ტკბილი,
ყოფილიყავ საქართველოს
სასახელო შვილი!“

შენი ალიკო ბაბუნია.
1990 წლის 14 მაისი

...სამთვე-ნახევრის შემდეგ როგორღაც მოვახერხეთ ავადმყოფი ცოლ-ქმრის გადმოყვანა დაპყრობილი გალიდან-თბილისში!

ჩემი ძმის ერთი გადარჩენილი ლექსის ბოლო სტრიქონები, ზემოთაც რომ გავიხსენე, ასე ჟღერს:

„დრო ულმობელია, დრო ულმობელია, ქარივით მიქრის და მიქრის. ვაი, რამდენი ჩაგყვება საფლავში ოცნება, ნატვრაც და ფიქრიც“.

მართლაც, რამდენი ნატვრა, ოცნება, ფიქრი და ლოცვა ჩაჰყვა სამარეში უამრავ ადამიანს იმ ტრაგიკული მოვლენების დროს და რისი მსხვერპლნიც გახდნენ თუნდაც მერე, 1998 წელს, „სიკვდილის დოღი“ რომ გაიმართა გალში და მის სოფლებში!..

...დარწმუნებული ვარ, ჩემი ძმის სული თავის მშობლიურ, საყვარელ გალში ტრიალებს. სიკვდილის წინ აკი თავის შვილიშვილისთვის დაუბარებია თურმე, როცა შესაძლებლობა იქნება, ჩემი ცხედარი გალში გადაასვენეო!

...სამძიმარი, სამძიმარი... მეტწილად ქალებია დარჩენილი სახლებში, ოჯახის ფუძეს რომ ინახავენ... საფრთხის მოლოდინის და შიშის მიუხედავად, არ ტოვებენ მამა-პაპის ადგილსამყოფელს... კაცები თითქმის აღარ ჩანან: ბევრი მათგანი დაიღუპა... ზოგი დახვრიტეს, ზოგი უგზო-უკვლოდ დაიკარგა, ნაწილი ნარკომანი გახდა და თავშესაფარი აქ უპოვიათ: ჩვენი ახალგაზრდების სულიერი განადგურება ხომ მიზანთ-მიზანი გახლავთ ყოველი ჯურის მტრისთვის.

...დროის სიმცრის გამო ვერ მივედი ჩემი ფიზიკის მასწავლებლის — ხუტა ფირცხალავას ოჯახში: იგი საკუთარი სახლის ჭიშკართან დაცხრილეს „ბოევიკებმა“... მახსოვს, როცა პირველად ჩვენთან, ქალთა სკოლაში, მე-9 კლასში შემოვიდა ახალგაზრდა კაცი გაკვეთილის ჩასატარებლად, სულ ჭერში იცქირებოდა — ეტყობა, დაიმორცხვა, ამდენ უკვე წამოჩიტულ გოგოს თვალებს ვერ უსწორებდა. ჩინებული ფიზიკოსი, პატიოსანი, წესიერი პედაგოგი — ასეთად დამამახსოვრად იგი. ვერც ემუხვარებთან მივედი: ისტორიის მასწავლებლის — პლატონ ემუხვარის ძმა, ვახტანგი, I საშუალო სკოლაში ასწავლიდა ისტორიას. სამამულო ომის საში-

ნელ ქარტეხილებს გადარჩენილი — ისიც საკუთარ ეზოში მოკლეს „ბოევიკებმა“, ხოლო და-ძმა სიგუების შემზარავი ამბავი დღემდე არ მასვენებს: ორი ასაკოვანი პედაგოგი ქალი „ბოევიკებმა“ ჯერ ძმის თვალწინ გააუპატიურეს თურმე, მერე ძმაც და დებიც ერთად დახოცეს! ანუ: გაგრის თუ ახალი დაბის მსგავსი საზარელი მხეცობანი გაიმეორეს გალში — მშვიდობიანი მოსახლეობის მიმართ და ვიმეორებ, ეს ხდებოდა მე-20 საუკუნის ბოლოს — დემოკრატიული, პროგრესული მსოფლიოს თვალწინ! ხოლო ჩვენი ახლო მეზობლების — ბიძინა და ლუსია ოთხოზორიების ტრაგიკული ამბავი ჩემმა ძმამ მიამბო თბილისში გადმოსვლის შემდეგ. იმ დღეს, როცა ვითომ გალის საზოგადოების კრება ჩაატარეს მომხდურებმა, ბიძინა სიტყვით გამოსულა და... სიმართლე ულაპარაკია! იმ ღამესვე ჩემს ძმასთან მისულა და უთქვამს დაღონებულს: ვიცი, ამას არ მაპატიებენო. და მართლაც: შუაღამეს ოთხოზორიების სახლი „ბოევიკებმა“ გადაწვეს და ცოლ-ქმარი შიგ ამობუგეს. სამოციან წლებში მე და ბიძინა თითქმის ორი წელი ერთად ვმუშაობდით კომკავშირის რაიკომში. ის პირველი მდივანი იყო, სპეციალობით ისტორიკოსი, და გამოირჩეოდა თავისი ერუდიციით, პატიოსნებით, თავაზიანობით, ადამიანების მიმართ კეთილგანწყობით. ამიტომაც სიმპათიას იმსახურებდა ყველგან. შემდეგ, წლების მერე, როცა ეროვნული მოძრაობა გაჩაღდა, როცა აფხაზეთში უკიდურესად დაიძაბა ვითარება, როცა ე.წ. „ლიხნის წერილი“ ყველასთვის ცნობილი გახდა, მე, თბილისიდან ოჯახური მდგომარეობის გამო გალში ჩასულმა, შევაგულიანე ბიძინა — მაშინ პარტიის რაიკომში ინსტრუქტორად მუშაობდა — ჩვენ აქ, გალში, მოვაწყოთ-მეთქი მიტინგი. დამყაბულდა და ენთუზიაზმით შევუდექით კიდეც სამზადისს[1]. ეს იყო 1989 წლის მარტის

1 ამ საქმეში დიდი დახმარება გაგვიწია შესანიშნავმა პიროვნებამ — მიმოზა გადელიამ, რაიონული გაზეთის რედაქციის ახალგაზრდა თანამშრომელმა, შემდგომ იგი დევნილობაში, თბილისში უდროოდ გარდაიცვალა.

ბოლო რიცხვები. და აი, 2 აპრილს გალში მართლა ჩატარდა მანამდე არნახული, გრანდიოზული მიტინგი. სოხუმიდანაც ჩამოვიდნენ ილია ჭავჭავაძის საზოგადოების წევრები.

ბიძინას ბედნიერი, კმაყოფილი სახე არასოდეს ამოიშლება ჩემი მეხსიერებიდან! ეს ჭეშმარიტი პატრიოტი, უსპეტაკესი კაცი შეეწირა რუსეთის იმპერიის მიერ ინსპირირებულ სეპარატისტების ავანტიურას!..

...ჩემი მასპინძლის, აბლოთიას სახლის წინ ოთხოზორიების გადაბუგული სახლის ნაშთები მოჩანს, ეზოს კუთხეში კი დედაჩემის ხელით დარგული ფიჭვის ხე იწონებს თავს: თურმე დედაჩემს ახლად დასახლებული ახალგაზრდა ოჯახისთვის, ფიჭვის ხე უჩუქებია, თავისი ხელით დაურგავს და თანაც დროდადრო თურმე თვითონ უსხამდა წყალს ნერგს — თქვენ ახალგაზრდები ხართ და შეიძლება მორწყვა დაგავიწყდეთო. ეს ამბავი დედაჩემის ორმოცზე, 1992 წლის აპრილში ბიძინამ მიამბო, 1993 წლის სექტემბერში კი — თავად დაიღუპა! ასეთია ხანდახან მუხთალი წუთისოფლის პარადოქსები!

...ვერც ჩვენი შორეული მეზობლების — ჩქოტუების ოჯახის მონახულება მოვასწარი: ცოლ-ქმარი ასევე უმოწყალოდ დახოცეს მომხდურებმა! და, საერთოდ, იმდენი დაღუპული ნაცნობი და ახლობელი აღმოჩნდა გალში, რომ ერთი დღე კი არა, ერთი კვირა არ მეყოფოდა ალბათ სამძიმრისთვის... თუმცა, სამძიმარი რა სახსენებელია იმ ტრაგედიებთან, რაც გალის მოსახლეობამ — და არამარტო გალისამ — განიცადა! და მაინც, ჩემი თანაკლასელი ლუიზა ანჩაბაძე არ შემიძლია არ გავიხსენო განსაკუთრებული გულისტკივილით — ის სოხუმში, თავის ბინის შესასვლელში ჩაცხრილეს სეპარატისტებმა. ჩვენი ახტაჯანა ჯუხუ — ასე ვეძახდით შინაურულად ნათელი გონებითა და სილამაზით გამორჩეულ ლუიზას — ნამეტანი ადრე რომ გაგვითხოვდა

(მაშინ 17-18 წლის გოგოს გათხოვება ნაადრევად მიიჩნეოდა). მისი მეუღლე, იგორ ხუბულავა, შესანიშნავი მომღერალი, გალის რაიონის თვითშემოქმედებითი კოლექტივის წევრი, უდროოდ გარდაიცვალა. ლუიზა ბავშვებიანად სოხუმში გადასახლდა და აი, ამდენი წლის შემდეგ, როგორც აქტიური ქართველი მანდილოსანი, ასე ვთქვათ, ქართული პოზიციის მქონე, პოეტ ეთერ ჯღამაძე-სამხარაძესავით — უმოწყალოდ დახვრიტეს!

...ჩვენი ახლო მეზობლების, ქარდავების სახლში, სადაც თავს აფარებდნენ ჩემი ძმა და რძალი, მხოლოდ ქალბატონი ნუცაა დარჩენილი! და, საერთოდ, რომელი ერთი გავიხსენო? ჟილინ შონია, გენო ლაკერბაია, შოთა ყოლბაია, ოთარ გოგოხია... განსაკუთრებით გულს მიწიწკნის ჩემი ძმიშვილის — მამუკას მეგობრის — კარლო ხუფენიას ხვედრი: ეს საოცრად მშვიდი, ნაკითხი, თავაზიანი ბიჭი — რომ იტყვიან, ჭიანჭველას რომ არ დაადგამდა ფეხს — ოკუპირებულ გალში გარდაიცვალა: ვეღარ გაუძლო გულმა. ჩემს ნათესავთან, ვახტანგ კეკუასთან ერთად თბილისში, ჩვენს მეზობლად ცხოვრობდა ნაქირავებ ბინაში და ხშირად მოდიოდა ჩვენთან. მახსოვს, რა თვალანთებული უსმენდა ხოლმე ეროვნული მოძრაობის წარმომადგენელებს, ჩემს ბინაში რომ იკრიბებოდნენ იმხანად. უჩუმრად, უხმაუროდ უყვარდა თავისი ქვეყანა და... ვეღარ გაუძლო მისმა გულმა ამდენ სისასტიკეს, მხეცობებს, საყვარელი ქალაქის გაუბედურებას და დებს ჩააკვდა ხელში უეცრად, მოულოდნელად! ისღა დამრჩენია, რომ ისევ ყველა დროის გენიოს შემოქმედს მივმართო და მისი სიტყვებით გამოვთქვა ჩემი დარდი და წუხილი ყოველივე იმის გამო, რაც მოხდა ჩემს მშობლიურ ქალაქში (და არა მხოლოდ იქ!): **„ფიქრთა სამსჯავრო როს მოუხმობს დღეებს გარდასულს, ყმაწვილკაცობა დაკარგული მომაგონდება, ვიგონებ წუთებს განუქარველ დარდით დაღდასმულს, და ჩემთვის ძვირფას აჩრდილებზე ვიწყებ გოდებას. თვალნი დამშრალნი იღვრებიან ცრემლით მდუღარით, მეგობრებს ჩემსას რომ ახურავთ კუბოს ფიცარი, მიწაზე დავრჩი, სიყვარულის ფიქრით მწუხარი, მიწამ წაიღო სახელები დასაფიცარი. და მეც ნაღველი გარდასული ისევ მანაღვლებს, ძველი დარდებით დაკოდილი — რამ დამამშვიდოს? სულის ჭრილობებს, მოშუშებულს — ისევ ვანახლებ, საფლავს წასულნი კვლავ გამიხდნენ საპანაშვიდო!“.**

...გვიან საღამოს მე და პაატა მისი ორსართულიანი სახლის კიბის საფეხურზე ვისხედით და... დღის შთაბეჭდილებებით დამძიმებული ვცდილობდი, სათქმელისთვის თავი მომეყარა. სიცარიელის, მიტოვებულობის შეგრძნება აუტანელი გახლდათ.

მთვარიანი ღამე იყო, წყნარი, მშვიდი. არ ცხელოდა. გარშემო უკვე ყველას ეძინა, მათ შორის, ჩემს მასპინძლებსაც — პაატას გარდა, ცხადია; დავინტერესდი — თბილისიდან გადაცემას თუ უყურებთ გალელები-მეთქი; როგორ არა, ვუყურებთო, — მიპასუხა. მერე აქეთური-იქითური და მთავარ სათქმელს მივადექი: რა მდგომარეობაა ქალაქის სკოლებში და, კერძოდ, ჩემს მე-2 საშუალო სკოლაში — შენ როგორღაც სხვა გზით წამომიყვანე, ანუ გვერდი ავუარეთ ხომ მეორე სკოლას-მეთქი?

— ვიცოდი, რომ გული გეტკინებოდა, — მპასუხობს იგი წყნარი ხმით: — გაპარტახებულია ორივე სკოლა. პირველიც და მეორეც... და, საერთოდ, ყველაფერი.

— გადარჩენილ სკოლებში სწავლა ქართულ ენაზე, ცხადია, არ მიმდინარეობს, არა? — ვეკითხება ისევ.

— არა, რასაკვირველია. რუსულ ენაზეა... აქა-იქ სოფლის სკოლებში ენთუზიასტი პედაგოგები ცდილობენ, ქართული ასწავლონ ბავშვებს... ყველაფერი გადაჰყავთ რუსულ ენაზე და ვითომ აფხაზურზე... ამ ეგრეთ წოდებულ აფხაზურზე, ანუ აფსუურზე კი — მხოლოდ ოთხწლედი აქვთ!..

გულმოკლული ვუსმენ ამ ინფორმაციას... არადა, გალის რაიონი ყოველთვის ქართული კულტურის ციტადელი იყო მთელს აფხაზეთში. ჯერ კიდევ რევოლუციამდე, მეფის რუსეთის დროს მოახერხეს ადგილობრივმა მცხოვრებლებმა — პირველი რიგში, პეტრე ჭარაიას — ამ საოცარი, პატრიოტი კაცის მეცადინეობით — I სკოლაში ქართული ენის სწავლების შემოღება, აკრძალული რომ იყო მთელს საქართველოში და, რასაკვირველია, აფხაზეთშიც.

...გალში ხშირად ჩამოდიოდნენ როგორც თბილისიდან, ისე ქუთაისიდან სხვადასხვა მხატვრული კოლექტივები, მათ შორის მარჯანიშვილის თეატრი, სუხიშვილების ანსამბლი, ქართული ლიტერატურისა და კულტურის თვალსაჩინო მოღვაწეები... ხოლო სოხუმის სახელგანთქმული ქართული თეატრი ხომ — ბრწყინვალე მსახიობებით რომ იყო იმ ხანად დაკომპლექტებული — თითქმის ყოველ ზაფხულს მართავდა გალში გასტროლებს... თავად გალსაც ჰყავდა შესანიშნავი ანსამბლი — მომღერალთა და მოცეკვავეთა, რომელიც ხშირად რესპუბლიკურ ოლიმპიადებზე იკავებდა საპრიზო ადგილს. მახსოვს, რა დიდებული შეხვედრა მოუწყვეს კულტურის სახლში გიორგი ლეონიძეს, კონსტანტინე გამსახურდიას და სხვებს.

გოგლა ლეონიძის საღამოზე ჩემმა ყოფილმა ქართულის მასწავლებელმა გულნარა ხაბურზანიამ, რომელიც დევნილობაში გარდაიცვალა, ბრწყინვალე სიტყვა უთხრა პოეტს. მეც მხვდა პატივი, ახალგაზრდობის სახელით სიტყვით მიმემართა ჩემი საყვარელი პოეტისთვის. აღელვებულმა გოგლამ სიტყვის დამთავრების შემდეგ გულში ჩამიკრა და შუბლზე მაკოცა! შემდეგ თვალცრემლიანმა განაცხადა — არ მეგონა თუ აქ, გალში, ასეთ ბრწყინვალე მოქართულეებს შევხვდებოდიო.

ხოლო კონსტანტინე გამსახურდიამ მისთვის ჩვეული ენამახვილობით დაიპყრო აუდიტორია.

...კოხორის მეურნეობაში გამართულ ბანკეტზე კი ასეთი რამ მოხდა: სუფრას უჯდა სტუმარი — აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი, რომელიც სადღეგრძელოებს რუსულ ენაზე ამბობდა.

როცა ბატონ კონსტანტინეს მოუწია სამადლობელი სიტყვის თქმა, მან განაცხადა: — მე არ მინდა ამ სუფრაზე რუსულ ენაზე ვილაპარაკო... მაგრამ თქვენ, პატივცემულო, რაკიღა ქართული არ იცით თურმე, ამიტომ მე, ასე ვთქვათ, მაინც კავკასიურ ენაზე, ანუ მეგრულად ვიტყვი სათქმელს. შენ კი, ბიჭო, — მიუბრუნდა გვერდზე მჯდომ შესანიშნავ აფხაზ პოეტს ვანო თარბას: — რასაც ვერ გაიგებს, უთარგმნეო!

ეს სიტყვები თოფის გავარდნასავით გაისმა — ყველანი გაისუსნენ. ბ-ნმა კონსტანტინემ, ვითომ აქ არაფერიო, მეგრულად წარმოთქვა სამადლობელი სიტყვა (სხვათა შორის, შესანიშნავი მეგრულით, რომლის მსგავსი პირადად მე არასოდეს არავისგან მომისმენია). სიტყვის ბოლოს ბ-ნმა კონსტანტინემ ბრძანა: ის, ვინც აფხაზებსა და ქართველებს შორის მტრობას აღვივებს, ვინც სიძულვილს და შუღლს თესავს ჩვენს შორის — უწინარესად აფხაზების მტერია. და პირადად-ჩემიც! მტერს კი მე ხელში სატევრით დავუხვდებიო. დაახლოებით ასე ლაპარაკობდა ბ-ნი კონსტანტინე. აფხაზეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი კი თავჩაღუნული იჯდა და დარცხვენილი იერით უსმენდა შესანიშნავ ორატორს, რომელიც, უწინარესად, სწორედ მის გასაგონად ამბობდა ამ სიტყვებს...

ეს იყო 1963 წელი. სეპარატისტული მოძრაობა უკვე ფეხს იდგამდა აფხაზეთში და ბოლოს მივიღეთ ის, რაც მივიღეთ და რასაც, მისდა საბედნიეროდ, ბ-ნი კონსტანტინე არ მოსწრებია! და რასაც, ალბათ, ვერც წარმოიდგენდა მაშინ...

***

...ვისხედით მე და პაატა და ხან რას ვიხსენებდით, ხან რას და უმთავრესად მაინც ორივეს ის ტენდენცია მიგვაჩნდა საყურადღებოდ — ყველაფრის მიუხედავად, ხალხი ნელ-ნელა რომ უბრუნდებოდა თავის ნაფუძარს. დიახ, მთავარია, ხალხი არ გატეხილიყო, არ დაძაბუნებულიყო, ერთობა და თანადგომის სურვილი ჰქონოდათ და არა პირადი უთანხმოებანი. პატარა იმედი აკიაფდა ჩემში: რომ მრავალჭირგადახდილი გალელები შეძლებდნენ უთანასწორო ბრძოლაში საბოლოოდ არ დაცემულიყვნენ და არ გადაშენებულიყვნენ!

2007 წ.

მინაწერი:

... მაშინ, 2007 წლის ივლისში, ვერც მე და ვერც პაატა ვერ წარმოვიდგენდით, რომ თურმე უარესი უბედურება გველოდებოდა წინ, ვიდრე ის, რაც გამოვიარეთ: წინ თურმე 2008 წლის აგვისტოს მოვლენები გვედო! ანუ აუხდებოდა ოდინდელი ოცნება რუსეთის იმპერიას და აფხაზეთს საბოლოოდ ჩამოაჭრიდა საქართველოს, და არა მხოლოდ აფხაზეთს — სართად მიიღებდა კოდორის ხეობასაც და შიდა ქართლსაც, ანუ ოკუპანტი გორიდან ორ ნაბიჯზე იპარპაშებდა, საიდანაც ყოველ წუთს შეუძლია აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შემაერთებელი გზის გაწყვეტა — სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ!

ასეთ მძიმე, სავალალო მდგომარეობაში საქართველო იშვიათად ყოფილა, თუმცა სისხლიანი საუკუნეების განმავლობაში ბევრი უბედურება დაატყდა თავს! კიდურებმოგლეჯილი, სისხლმდინარე ქვეყანა უკვე მერამდენედ აღმოჩნდა

ყორნების საჯიჯგნი;

დიახ, XXI საუკუნის დასაწყისში ორი „დამოუკიდებელი სახელმწიფო“ შეიქმნა საქართველოში! პერსპექტივაში კიდევ უფრო უნდა დაქუცმაცდეს იგი, ანუ მეთოდურად, დაჟინებით ხორციელდება გარედან ნაკარნახევი პროგრამა — საქართველო — ქართველების გარეშე!

ალმანახი „ამერ-იმერი“
2012 წ.

ქართული ფენომენის წახნაგები

ქართული ფენომენი... არაერთხელ თქმულა და დაწერილა მასზე, მეც გამომითქვამს ჩემი მოსაზრებანი და მაინც... თითქოს უთქმელი რჩება ბევრი რამ და... ამოუხსნელიც!

თუმცა... ეს არც უნდა იყოს საკვირველი: ერის სულში, მის არსში წვდომა ურთულესი და უძნელესი რამ გახლავთ, რადგან ყოველი ერი — მრავალრიცხოვანია ის თუ მცირერიცხოვანი — მეტ-ნაკლებად ზოგადკაცობრიული ნიშან-თვისების მატარებელია და, ამდენად, ყოველი მათგანი მის საერთო სახეს ქმნის. ამიტომაც კვლევის სფერო — დედამიწაზე მოსახლე ხალხებისა, როგორც ცალკეული ერთეულებისა — სულიერების ურთულეს პრობლემებს, მის ღრმა და ფართო შრეებს მოიცავს. ცხადია, მე ასეთი კვლევის პრეტენზია არა მაქვს, მით უმეტეს, მცირე მოცულობის ნარკვევში. უბრალოდ, გადავწყვიტე, ერთხელ კიდევ შემეხსენებინა მკითხველისთვის ის წახნაგები, რაც, ჩემი აზრით, რამდენადმე განსაზღვრავს ერის ფენომენს, თუმცა ესეც არის: ქართველი ერი კაცობრიობის ერთ-ერთი უძველესი წევრი კია, მაგრამ დღეს პლანეტის მცხოვრებთა უმრავლესობისთვის იგი, ასე ვთქვათ, უჩინარია, უცნობია, თუ არ ჩავთვლით, რასაკვირველია, ჩვენი ხელოვნების, მეცნიერებისა და სპორტის ცალკეულ ბრწყინვალე წარმომადგენლებს, ჩვენი სიმღერისა და ცეკვის სახელგანთქმულ ანსამბლებს. აქედან გამომდინარე, მილიარდიან თუ მრავალმილიონიან ხალხებს თითქოს რაში უნდა აინტერესებდეთ ფენომენი ქვეყნისა, ვინც დღევანდელ პოლიტიკურ სარბიელზე ეს-ეს არის გამოჩნდა და რუკაზე პაწაწკინტელა წერტილად თუ აღიქმება იმ უშველებელ სივრცეში, დიდ თუ შედარებით მცირე სახელმწიფოებს რომ უკავიათ! ანდა რაში უნდა სჭირდებოდეს, ვთქვათ, მანჰეტენელ მობინადრეს,

რომელიც ცხოვრების მიზანს ფულის კეთებასა და დროის სასიამოვნოდ გატარებაში ხედავს, ცოდნა იმ ერის თავისებურებისა, რომლის სახელიც კი არ გაუგონია?

რა მყარი არგუმენტები უნდა დაუპირისპირო დღევანდელობის პრაგმატულ მოსაზრებებს და რეალურ მდგომარეობას, თუნდაც იმას, რომ თურმე არავის სჭირდები შენი სიმცირის, შენი უმნიშვნელო და უფუნქციო არსებობის გამო, რომ შენ მხოლოდ დერეფნად თუ გამოადგები დანარჩენ მსოფლიოს, რომ მხოლოდ შენი გეოპოლიტიკური მდგომარეობაა ანგარიშგასაწევი და ა.შ.

ასეთ დროს უმალვე მახსენდება შეგონება: „მრავალ არიან ჩინებულ და მცირედნი რჩეულ“. ამასთანავე, „ვეფხისტყაოსნის“ ერთ-ერთი უცხოელი მთარგმნელის ნათქვამიც ამოტივტივდება ხოლმე გონებაში: როცა მას ჰკითხეს, ესოდენ მცირერიცხოვანმა ერმა როგორ შექმნა ასეთი შედევრიო, უპასუხნია: ბუნებაში ძალიან ბევრია თაგვი და ვირთხა, ხოლო ვეფხვები და ლომები ერთობ ცოტანი არიანო. ვიცი, ამ სიტყვებს მყისვე მოჰყვება მავანთა და მავანთა ირონიულ-სარკასტული ღიმილი, ზოგ-ზოგის აღშფოთებაც კი. მაშ, რაც კარგები ვართ, ქართველები ვართო?! და სხვა. აი, გამოვჩნდით, ბატონო, რაც ვართ. იქნებ, ჯობდა, საერთოდ არ გამოვსულიყავით მსოფლიო ასპარეზზეო.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, გონი ცდილობს, მეხსიერების ლაბირინთებიდან გამოიხმოს უშორესი წარსულის — კოლხ-იბერიული ცივილიზაციის ხსოვნა, რადგანაც მწამს, რომ „დიდი წარსულის მქონეს მომავალიც დიდი ექნება“. დიდებული ისტორიის უტყუარ საბუთებად კი, უწინარეს ყოვლისა, ჩვენი სიმღერებისა და ცეკვების მსგავსად, ჩვენი სასულიერო თუ საერო ლიტერატურა და ხალხური, მართლაც უნიკალური პოეზია მოიაზრება — ხუროთმოძღვრებასა და მხატვრობასთან ერთად. ისე, სხვათა შორის, ათენში

სულ 30-ათასამდე მაცხოვრებელი იყო. როგორც ქალაქი, იგი, ცხადია, ვერ გაუტოლდებოდა ვერც ბაბილონს, ვერც ეგვიპტურ თებეს და ვერც მაშინდელ სხვა დიდ ქალაქებს, მაგრამ, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, თუნდაც მარტო პლატონი რომ შვა ამ პატარა პოლისმა, ეს მსოფლიოს სულიერი საგანძურისთვის ისეთი შენაძენია, რომლის მსგავსსაც დიდი სახელმწიფოები და იმპერიები ინატრებდნენ და ინატრებენ დღესაც! ვერც პართენონი მივა ეგვიპტის გრანდიოზულ პირამიდებთან და ლუქსორის ტაძართან, მაგრამ პართენონი პართენონია მაინც თავისი განუმეორებელი ხიბლითა და მშვენებით, ხოლო სივრცეს რაც შეეხება, საქართველოს სრულიად უჩინარ, ერთ ბეწო დასახლებაში დაიბადა მსოფლიო პოეზიის უნიკუმი — ვაჟა-ფშაველა! მე-5 საუკუნეში პეტრე იბერის (დიონისე არეოპაგელის ფსევდონიმით) სახით კი ევროპას მოევლინა ქრისტიანული მისტიკის ფუძემდებელი; იმავე ევროპამ გაიცნო და გაითავისა თანამედროვე ეგზისტენციალიზმის წინამორბედი რომანი „სიბრძნე ბალაჰვარისა“, ხოლო მეცნიერებს ქართული აგიოგრაფიული ძეგლების ბადალი არ ეგულებათ იმდროინდელ ქრისტიანულ ქვეყნებში... შოთა რუსთაველზე რომ არაფერი ვთქვათ.

„ნიკოფსიით დარუბანდამდის“ გადაჭიმული საქართველო იმ დროისთვის არცთუ მცირერიცხოვანი მოსახლეობით — მკვიდრი მოსახლეობა 5 მილიონს აღემატებოდა, მარტოოდენ სამხედრო უძლეველობით, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით როდი გამოირჩეოდა — იგი თავისი სულიერი კულტურით იდგა უმაღლეს დონეზე და ამიტომაც იყო, დასაბამი რომ მისცა აღმოსავლეთის რენესანსს.

აზიისა და ევროპის გზაგასაყარზე მდებარე საქართველო აღმოსავლეთისა და დასავლეთის, ქრისტიანული და მაჰმადიანური კულტურებისა და განათლების შემთვისებელი და შემაერთებელი იყო. დედამიწის ზურგზე მეცნიერებს არ

ეგულებათ ერი, რომელსაც ესოდენ სრულყოფილი ანბანი ჰქონდეს, როგორც ქართველებს, და თანაც სამი — ასომთავრული, ნუსხა-ხუცური და მხედრული, ხოლო ჩვენი პოლიფონიური სიმღერები და ქართული ცეკვები მსოფლიოს მე-8 საოცრებად არის მონათლული.

გერმანელი მისანი ქალის, ლინა ლიზის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კავკასია არა მარტო ძველი მთებია, არამედ წმინდა მხარეც არის და იქ მრავალი მისანი ცხოვრობს. მათი დედოფალიც თამარი იყო არა მარტო დიდი მისანი და მკურნალი, არამედ უდიდესი კოსმიური სიყვარულისა და სიბრძნის მატარებელი... კავკასიელები, ქართველები ამბობენ და ჩემი აზრიც არის, რომ კავკასია არავის ეკუთვნის და არც შეიძლება ის, გარდა ზეცისა და კოსმოსისა, ვინმეს კუთვნილება იყოს“. და კიდევ შეიძლება მრავალი უცხოელის მოსაზრებანი გავიხსენოთ (თუნდაც მარტო ჰეგელის შეხედულება რად ღირს ქართულ გონზე!) იმ საოცრებათა შესახებ, ქართველი ერის სულიერი კულტურის საუნჯეს რომ შეადგენს და უძველეს კოლხ-იბერიულ კულტურაში რომ გაუდგამს ფესვები! თუმცა კმარა. სკეპტიკოსებს, ნიჰილისტებს, ცინიკოსებს თუ ცრუკოსმოპოლიტებს მაინც ვერაფერში დაარწმუნებ: დღეს რომ არავინ გიცნობსო, რომ არ სად ჩანხარ, უსახელო ბრძანდებიო და ა.შ ანდა ვის რაში სჭირდები დღეს — ამ ტექნოკრატიულ მსოფლიოში შენი მოძველებული ზნეობრივ-მორალური კოდექსებით, რაში გამოადგება იგი კაცობრიობას 21-ე საუკუნეში, როცა ტექნიკურმა პროგრესმა არნახულ მასშტაბებს მიაღწია? როცა ადამიანთა შეუზღუდავი უფლებები ზენიტს უტოლდებაო და სხვა, და სხვა. მაგრამ საქმე ის არის, რომ თავად დასავლეთის მოწინავე ადამიანები, მოაზროვნე პიროვნებები ცოტა სხვანაირად სჯიან:

„მე ყველაზე მეტად მაშფოთებს სულიერი კატასტროფა, ჩვენ რომ გველოდება, — აცხადებს არგენტინის თვალსაჩი-

ნო მწერალი ერნესტო საბატო. — ჩვენ ვცხოვრობთ ნევროზულ, მტანჯველ, არასტაბილურ საუკუნეში, აქედან არის ფსიქიკურ დაავადებათა ესოდენი სიმრავლე; ძალადობის ზრდა და ნარკომანია... ინტელექტუალურ კატასტროფას მივყავართ საშინელ ფსიქიკურ და სულიერ აფეთქებამდე... რომელსაც მოსდევს თვითმკვლელობათა სერია, მასობრივი ისტერიები და კოლექტიური ფსიქოზები... ხოლო, რაც შეეხება ძველ ტრადიციებს, მათ ვერ შეცვლი ტრანზისტორების წარმოებით".

„მე ვეკუთვნი იმ რასას, გადასაშენებლად რომ არის განწირული"-ო, — ასკვნის მწერალი (სხვათა შორის, ამის ერთ-ერთი უტყუარი საბუთი, ჩემი აზრით, გახლავთ პარიზის მერად მამათმავალი სოციალისტის არჩევა! გადაგვარებისა და გადაშენების უკეთესი მაგალითის მოყვანა მართლაც ძნელია.)

გერმანიის უდიდესი ელიტარული გაზეთის „დი ცაიტის" გამომცემელ გრაფის ასულ მარიონ დიონ-ჰოფის აზრით კი: „დღეს ყველაფერი ეკონომიკაზეა დამოკიდებული, ეკონომიკით არის განპირობებული; სულიერება, ჰუმანურობა, ხელოვნება — ყოველივე ეს განზე რჩება... მთელი ენერგია მიმართულია ეკონომიკის სფეროსკენ; მოკლედ, ტოტალური გასაქმოსნება შედგა.

ჩვენ ვცხოვრობთ ტექნოკრატიულ საზოგადოებაში... გამდიდრებისკენ სწრაფვა საყოველთაო ხასიათს იძენს და იგი ისე ყოვლისმომცველია, რომ საზღვარი არ უჩანს... აღარ არსებობს ეთიკური ნორმები და არც მორალური ბარიერები. დევიზია — ტოტალური თავისუფლება. შეუზღუდავ, აღვირახსნილ თავისუფლებას კი ველურობისა და დანაშაულისკენ მივყავართ".

მაშასადამე, საყოველთაო მორალურ-ზნეობრივი დეგრადაციის ატმოსფეროში, საყოველთაო ნიჰილიზმისა და სკეპტიციზმის ფონზე თურმე წინ წამოსაწევი ხდება ცალკეული ერების, და მათ შორის ქართველი ერის, ზნეობრივ-ეთიკური ნორმები და საკაცობრიო ღირებულებანი, ვინაიდან „სულის განვითარება არ განიცდის სოციალური და ტექნიკური პროგრესის ზეგავლენას... მას საკუთარი კანონები აქვს და მხოლოდ მათ ემორჩილება" (აკაკი ბაქრაძე). თუმცა, ლევ ტოლსტოის აზრით, ზნედაცემულ საზოგადოებაში „თანდათან ყალიბდება უზნეო საზოგადოებრივი შეხედულებანი, რომლებიც ნებას რთავს და იწყნარებს დანაშაულს".

დიახ, ქართული ფენომენი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს სწორედ დღეს, რადგან იგი ფასეული, ღირებული და გამორჩეულია.

როგორც ზემოთაც აღვნიშნე, არანაირი პრეტენზია არა მაქვს ქართული ფენომენის ამომწურავად შეფასების ან, მით უმეტეს, მისი გამოწვლილვით კვლევისა.

მინდა მკითხველს შევთავაზო მხოლოდ ჩემეული ხედვა ქართული ფენომენისთვის დამახასიათებელი ზოგიერთი იმ ნიშან-თვისებისა, რაც, უპირატესად, ხალხურ პოეზიასა და მწერლობაში ვლინდება.

მაშ ასე: ბალადა „შემომეყარა ყივჩაღი"...

მკვლევარნი მას მე-12 საუკუნეში შექმნილად მიიჩნევენ. სწორედ იგი, ჩემი აზრით (და არამარტო ჩემი) იძლევა გასაღებს ქართული ფენომენის ერთი წახნაგის შესაცნობად.

წარმოვიდგინოთ მე-12 საუკუნის, ანუ „ოქროს ხანის" საქართველო — წინა აზიის ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფო და მაშინდელი ერთი რიგითი, თითქოს არაფრით გამორჩეული, მშვიდობიანი ქართველი კაცი — ალბათ, მიწის მუშა — ოღონდ ვიმეორებ, არა დაჩაგრული, დამონებული ქვეყნის შვილი, არამედ შინაგანად ლაღი, თავისუფალი, სულიერად, მატერიალურად და ხორციელად მძლავრი საქართველოს მკვიდრი, რომელსაც სადღაც

მუხრანის მიდამოებში, ჩეროში გაუშლია პატარა სუფრა და თავის ლამაზ მეუღლესთან ერთად შეექცევა საგზალს. გზაზე გამოჩნდება, რომ იტყვიან, კბილებამდე შეიარაღებული უცხოელი, ალბათ, ქართული მუდმივი ჯარის ერთი მეომართაგანი. ქართველს — ყივჩაღისგან განსხვავებით, მხოლოდ ხმლიან-სატევრიანს — გაუხარდება უცხოს დანახვა, რადგან საშუალება ეძლევა, მოიპატიჟოს ნამგზავრი, დაღლილი და მშიერი კაცი თავის მცირე სუფრასთან (მარტოდმარტო ჭამას ხომ ყოველთვის გაურბოდა ქართველი) და გაუმასპინძლდეს ყველაფერი იმით, რაც საუკეთესო აქვს. ასეც იქცევა. გულისგულში, შესაძლოა, ებრალება კიდეც ეს ერთი შეხედვით ძლიერი, ყოყოჩა, მაგრამ სამშობლოდაკარგული გადამთიელი, დაქირავებული ჯარისკაცი, რომელიც, ალბათ, ჯერაც ვერ შეგუებია ახალ გარემოს, ვერ შეუთვისებია დამხვდურის ზნე-ჩვეულება, მისი კულტურა, რაც ჯერაც უცხოა მისთვის, როგორც ტრამალებში გაზრდილი კაცისთვის — მტაცებლური, მგლური ბუნება რომ ვერ მოუშლია ჯერაც.

ამ შინაგან სხვაობას მასპინძელთან, ანუ ქართველის უპირატესობას ყივჩაღი უსათუოდ გრძნობს, რაც მასში, ალბათ, გაუცნობიერებლად იწვევს გაღიზიანებას, შურს, ბოღმას და სიძულვილსაც კი — მაღალი კულტურის ზიარებისთვის ხომ ათასწლეულებია საჭირო, რაც ამ ყივჩაღს, ბუნებრივია, არ გამოუვლია. ამდენად, ეს ნახევრად ველური უცხოტომელი, თავის გულში ქართველის დაჩაგვრას რომ ნატრობს, მის გულუხვობას და პატივისცემას იღებს მედიდური გულმოწყალებით, როგორც კუთვნილ ხარკს: რაკი ასე ექცევიან, მაშასადამე, ღირსიც არის და ასეც უნდა იყოს! თითქოს პრიმიტიული ფსიქოლოგიაა, მაგრამ იგი თვითდამკვიდრების თუ თვითგამოჩენის საშუალებად მიიჩნევა დღესაც. უკვე შეზარხოშებულ და თანდათანობით უფრო

გადიდგულებულ სტუმარს მეტის დასაკუთრების სურვილი უჩნდება — კონკრეტულად: მასპინძლის, ანუ სხვისი ცოლის დაუფლების! რატომაც არა, რაკი ასე უმასპინძლდებიან, მაშ, ყველაფერი დასაშვებია...

კარგა გვარიანად შექეიფიანებული ქართველი კი, ეტყობა, აზრზე ვერ მოდის, რა ხდება მის თავს. მას ვერ წარმოუდგენია სტუმრის ასეთი თავგასულობა, რადგან სხვა მორალზეა აღზრდილი. მასპინძლის ცოლის დასაკუთრების მცდელობა, თანაც ასე უტიფრად, ასე აშკარად გამჟღავნებული — აღემატება ქართველის გაგების უნარს, მისი ცხოვრების წესს, აღზრდის კულტურას, მის ტრადიციულ ადათ-ჩვეულებას: მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაურიაო, — ამბობს ნამუსიანი ქართველი, რომლის ცნობიერებაში ტაბუ აქვს დადებული ურიგო მოქცევას საერთოდ ქალის და, მით უფრო, მასპინძლის სახლობის მიმართ („ვაშინერს“ — მორჩა და გათავდა!)

წამიერი დაბნეულობისგან თუ ელდისგან გონსმოსული ქართველი ხმლის ვადაზე გაიკრავს ხელს. წინასწარ ნაგუმანევი და ფსიქოლოგიურად შემზადებული ყივჩაღი, რასაკვირველია, ასწრებს ქართველს: „მაგრამ დაუცდა მუხანათს, ვენაცვალე მადლსა ღვთისასა“. ამასობაში ქართველმა იმარჯვა... და გაუგონარი შეურაცხყოფისგან გააფთრებულმა ყივჩაღი ორად გაჭრა ცხენიანად. უმთავრესი დედააზრი, რითაც ამთავრებს ბალადის მთქმელი, გახლავთ: „არ იყო ღირსი, მოშორდა ცქერას ნათელის მზისასა“.

დიახ, მზის, ანუ ნათლის ცქერის ღირსი ყველა როდია თურმე! სიცოცხლე ადამიანისთვის უფლის მიერ ნაბოძებია, როგორც საჩუქარი, მისი ხელყოფა ღვთის ნების ხელყოფაა და, ამდენად, დაუშვებელია! ყივჩაღი, გარდა იმისა, რომ უზნეო, მტაცებელი და ავაზაკია, გარდა იმისა, რომ ბუნებით მდაბალი არსება აღმოჩნდა, ქვენა, ველური ინსტინქტები-

თა და სურვილებით შეპყრობილი — კაცის მკვლელიც ყოფილა და მზად არის თურმე, თავის ჟინს ანაცვალოს სხვისი, უდანაშაულო ადამიანის სიცოცხლე! ამის პატიება კი შეუძლებელია! ამიტომაც ის, როგორც უღირსი, ღვთის გარეგანი, უნდა მოშორდეს ამ სამზეოს და მისი უპატრონო გვამი ქვიშამ, მიწამ უნდა შეჭამოს, როგორც მგლის მძორი.

ამ განაჩენით ბალადის მთქმელმა გამოხატა არა მხოლოდ სამართლიანობის მისეული გაგება, არამედ, საერთოდ, ბოროტების ძლევის ის ურყევი, მტკიცე ნება, რაც საზოგადოდ დამახასიათებელი ნიშან-თვისება იყო ქართული ხასიათისთვის, მისი ბუნებისთვის. ამგვარად, ლექსის მთქმელმა შექმნა, ერთი მხრივ, ყივჩაღის, ანუ მოძალადის განზოგადებული სახე, ანუ იგი პროტოტიპია თანამედროვე ჯაყოსი და, მეორე მხრივ, ღვთის შეწევნით მტერზე, ანუ სიბნელეზე გამარჯვებულის და ბოროტების მძლეველის — ქართველის ხატი. ამ ერთი შეხედვით თითქოს ჩვეულებრივ, რიგით ქართველს თურმე არა მხოლოდ სტუმრის გამორჩეული პატივისცემა, მშიერ-მწყურვალის დაპურება, შემწყნარებლობა, მოთმინება ძალუძს, არამედ საჭიროების დროს საკუთარი ღირსების დაცვაც შეუძლია, შეუძლია საკადრისი მიუზღოს მჩაგვრელს, მოძალადეს, ღვთის გარეგანს. იგი ვაჟასეული კაი ყმის თვისებებს ატარებს უთუოდ, რაც, შესაძლოა, ერთბაშად თვალშისაცემი არც იყოს, მაგრამ მის შინაგან არსს კი შეადგენს.

ლექსის მეორე ვარიანტი უკვე უსასოო, ხშირად ომწაგებული, ნირშეცვლილი, ბოროტების ვერმომრევი ერის წარმომადგენლის პესიმიზმია. მართალია, იგი გამარჯვებას არ აკუთვნებს ყივჩაღს, მაგრამ მასპინძელიც, ანუ ქართველიც დამარცხებულია: „აქეთ მე ვკვდები, იქით ის — ქალი წავიდა სხვისასა“. ორივენი — მართალიც და მტყუანიც — თანაბრად ინაწილებენ მზისქვეშეთში არყოფნის სიმწარეს, ხოლო უპატრონოდ დარჩენილ ქალს, ცხადია, დაეპატრონება სხვა, ანდა ქალმა, შესაძლოა, თავადაც მოძებნოს ის „სხვა“. აქაც „ჯაყოს ხიზნების“ ანალოგიაა: უპატრონოდ დარჩენილ მარგოს, ცხადია, სხვა, გადამთიელი დაესაკუთრება. ამაზე ბევრი საინტერესო მოსაზრებაა გამოთქმული ლიტერატურულ კრიტიკაში და სიტყვას არ გავაგრძელებ; ერთი რამ ნათელია: ბოროტების ძლევის იდეა სწორედ ლექსის პირველ ვარიანტშია გაცხადებული, რაც სახარებისა და რუსთაველის გენიალურ პოემაზე აღზრდილი ქართველი კაცის უმთავრესი მრწამსი გახლავთ, მისი ბუნების უმთავრესი ნიშან-თვისებაა — საუკუნეებში გამოტარებული, ხოლო „ცოლს, გაზრდილს სხვისას“, ქართველი რომ არავის გაატანს ნებით, ანუ ნივთივით ვერ გაასაჩუქრებს, სხვისთვის მისი ბოძების უფლება (როგორც ეს მიღებული იყო ზოგიერთ ჩვენს მეზობელ ხალხში) მას მით უმეტეს არა აქვს, ეს მისი ცნობიერების უცილობელი მახასიათებელია (საყურადღებოა, მაგალითად, ის, რომ ძველ რუსეთში, როცა ქმარი სადმე შორს მიემგზავრებოდა, ცოლს მეზობელს უტოვებდა ხოლმე — მისახედად! ხოლო ქმრის მიერ ცოლის დღეში რამდენჯერმე გაჯოხვა მიღებული წესი გახლდათ ოჯახში!).

ქართულმა სიტყვამ „მეუღლემ“ ზუსტად გამოხატა ის ვითარება, რაც დედა-კაცს და მამა-კაცს ეჭირა ქართულ სინამდვილეში, ყოფა-ცხოვრებაში, ანუ ეს ნიშნავს, რომ ორივენი — ცოლიც და ქმარიც — თანაბრად ინაწილებდნენ წუთისოფლის ჭირ-ვარამს, ლხინსა თუ წუხილს. თუმცა ქალის უპირატესი როლი, მისი განსაკუთრებული მდგომარეობა სწორედ ქართულმა ენამ წარმოაჩინა დედა-ბოძის, დედა-ბურჯის, დედა-ქალაქის, დედა-აზრის და მისთანათა — სახით. ამას გერმანელი მისანი ქალი ლინა ლიზიც აღნიშნავს: „ძველი კავკასიელებისთვის ღმერთი დედა იყო, რაც

ძველმა ეგვიპტელებმა ქართველებისგან გადაიღეს... ეს უძველესი დედის კულტი მათგან მოდის“.

მაშასადამე, უწინარესად, დიდბუნოვნება, სიყვარული, შემწყნარებლობა, სტუმართმოყვარეობა და სამართლიანობის გრძნობა ყოფილა ის ძირითადი თვისებები, რაც ქართული ბუნების ნიშან-სვეტად ქცეულა საუკუნეების განმავლობაში. მაშინაც კი, როცა ქვეყანა პოლიტიკურად თუ ეკონომიკურად მიწასთან იყო გასწორებული, როცა დამპყრობლის უღლის ქვეშ გმინავდა, როცა სისხლის ზღვაში ცურავდა, ქართველი აცხადებდა: „ყველა ადამის შვილი ვართ... თათარიც ჩემი ძმა არის“-ო. და, საერთოდ, საწუთროზე, ადამიანის რაობაზე შექმნილი ხალხური ლექსები თავისი ფილოსოფიური სიღრმით, კაცთმოყვარეობით, რაინდობით, ადამიანის სულში წვდომით, სიბრძნით განუმეორებელი მოვლენა გახლავთ, საკაცობრიო სულიერ საგანძურში შეტანილი ქართველი ერის მიერ, ისევე, როგორც შვილმკვდარი დედის წუხილი: „იქნება ვეფხვის დედაი ჩემზედ მწარედა სტირისა. წავიდე, მეც იქ მივიდე, სამძიმარ უთხრა ჭირისა, იმასაც ბრალი ექნების უწყალოდ ხმლით დაჭრილისა“ — წარმოადგენს ჰუმანურობის თვალშეუდგამ მწვერვალს. ვერ დავიტრაბახებ, მსოფლიო ლიტერატურას თუ ხალხურ ზეპირსიტყვიერებას სრულად ვიცნობ-მეთქი, მაგრამ, როგორც ბევრ მკვლევარს, მეც მიმაჩნია, რომ მსგავსი კაცთმოყვარეობა, დედაშვილობის ასეთი გაგება აღემატება მიწიერი ადამიანის გონს, იგი ღვთიური გამოვლენაა ქართული სულიერებისა, მისი კოსმიური ბუნებისა და, თუკი დანარჩენი მსოფლიო არ იცნობს ამ შედევრს, ეს უკვე, როგორც იტყვიან, მათი პრობლემაა!.. თუმცა... ეს, ამავე დროს მცირერიცხოვანი ერის ხვედრიც არის, სამწუხაროდ!..

დღეს, როცა ვცხოვრობთ ერთობ ცივილიზებულ სამყაროში, ადამიანთა უფლებების დეკლარაციის შექმნის ეპოქაში, ამასთან, მოვალეობათა იგნორირების ფონზე —

უკვალოდ დაიკარგა ბევრი რაინდული თვისება, გაუფერულდა ბევრი ღირებული, სულიერი ფასეულობა. დიახ, მაშინ, როდესაც ხალხის გენოციდისა და ეთნოწმენდის მაგალითი აგერ ცხვირწინ გვიდევს, როცა ყველას თავისი „სიმართლე“ აქვს — ასეთ დროს „ვეფხვის და მოყმის“ შემქმნელი — თავისი უნივერსალური, ზეშთაგონებული კაცთმოყვარეობით — მართლაც რომ უნიკალური მოვლენა გახლავთ, ისევე, როგორც უნიკუმებია ვაჟას გმირები: ალუდა, ჯოყოლა, აღაზა, მინდია... ისინი თავიანთი ერის გამორჩეული შვილები არიან და, ამდენად, მთელი კაცობრიობის სულიერების ზეაღმატებულ ჰიპოსტასებად აღიქმებიან.

აქვე არ შემიძლია, ერთ განსაცვიფრებელ ქმნილებაზე არ შევჩერდე: ეს გახლავთ აკაკი წერეთლის „გამზრდელი“, რომელიც იბერიულ-კავკასიურ ზნეობრივ-მორალურ კოდექსებზე შექმნილი შედევრია! ჩემი აზრით, ეს ნაწარმოები სწორედ ახლა იმსახურებს განსაკუთრებულ ყურადღებას, როცა ერი, ლამის არის, არჩევანის წინაშე დადგეს: მორალურობა თუ ამორალურობა, ტრადიციულობა თუ არატრადიციულობა, სულიერება თუ მხოლოდ ხორციელება, ჰარმონიულობა თუ მატერიალიზმის უმდაბლეს საფეხურზე დგომა, ზესთა-ზენარობისკენ სწრაფვა თუ კვლავ გამოქვაბულში მიბრუნება, უფლებების პრიმატი თუ უფლება-მოვალეობის განუყოფლობა: ან-ან — სხვა ალტერნატივა არ არსებობს.

მაშ ასე: „გამზრდელი“. რა მორალურ-ზნეობრივ საწყისებს ეფუძნება ეს პოემა? კაცობის რა პრინციპებს გვთავაზობს?

ბათუ მზად არის, თავისი ძიძიშვილისთვის, რომელიც გასაჭირშია ჩავარდნილი, სიცოცხლეც კი გაიღოს, ოღონდ იგი საფრთხისგან დაიხსნას და გულის წადილი შეუსრულოს. „შენ ვერას ირგებ, მე ვირგებ, ძმა ძმისა უნდა ძმობილი“-ო,

ეუბნება და მზად არის იმოქმედოს რუსთველური კოდექსით. საფარ-ბეგმა კი, ძიძიშვილის თავგანწირვის პასუხად, ფაცხაში დარჩენილმა, ნამუსი ახადა მის ცოლს, ანუ ჩაიდინა ისეთი სამარცხვინო საქციელი, რაც, მისივე აღიარებით, სიკვდილის ტოლფასია.

ბათუმ, რომელმაც ცოლისგან შეიტყო ყველაფერი, ვინ იცის, როგორი ძალისხმევით, მაგრამ მაინც ბოლომდე დაიცვა სტუმარმასპინძლობის წესი: არაფერი აგრძნობინა დამნაშავეს და მხოლოდ მაშინ, როცა ის და საფარ-ბეგი კარგა მანძილით დაშორდნენ ფაცხას, განუცხადა: **„საფარ-ბეგო! პირშავობა შენი ვიცი, შემიტყვია, და დღეიდან ჩვენ ორს შუა მოციქული არის ტყვია... ნურას მკითხავ, არც მე გეტყვი, არის ზოგი შეცოდება, რომ სათქმელად საძნელოა, არც შენდობა უხერხდება. ახლა წადი, დამეკარგე, ფრთხილად! არსად შემეყარო, რომ ცუდ გულზე უცაბედად შენი სისხლი არ დავღვარო“.**

საფარ-ბეგი, რომელსაც „რატომღაც“ ეგონა, ქალმა „ნამუსი შეუნახა“, — თავზარდაცემულია. გამჟღავნდა მისი უღირსი საქციელი! რომ არ გამჟღავნებულიყო, იქნებ, ნაკლებ შეეწუხებინა სინდისს. მაგრამ... ასე არ მოხდა! სააშკარაოზეა გამოტანილი მისი უმსგავსობა და ამიერიდან მის სიცოცხლეს სიკვდილი ჯობს! აკი, ეხვეწება კიდეც ძიძიშვილს: „მომკალ, ტანჯულს რამ მიშველე... მაზღვევინე, რაც შეგცოდე, სინიდისი გამიმრთელე“ (საგულისხმოა, რომ საფარი ბეგია, ხოლო ბათუ — უბრალო გლეხის შვილი, მაგრამ... „თუ კაცი თავად არ ვარგა, რას არგებს გვარიშვილობა?“. საფარ-ბეგი უსათუოდ სიკვდილის ღირსია და ეს მანაც კარგად უწყის. მაგრამ არის ერთი გარემოება, რაც ბათუს ხელს უშლის, მოკლას უღირსი კაცი: ეს გახლავთ ძიძიშვილობის წმინდათაწმინდა წეს-ჩვეულება. ამ ღვთიურ კანონს იგი ვერ დაარღვევს — ეს ჩვეულება ხომ ადამიანთა, წოდებათა შორის სიყვარულის გრძნობაზეა დაფუძნებული:

„არა, შენ ვერ შეგეხება სასიკვდილოდ ჩემი ტყვია, დედაჩემის გაზრდილი ხარ, მისი ძუძუ გიწოვია...“ ამ უწმინდესი, სულიერი ნათესაობის გრძნობის შელახვა ისეთი დიდი უბედურებაა, რომ მას სიკვდილიც ვერ შეედრება: **„რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზედ უფრო უმტკიცესად, რომ გასტეხე, ის გეყოფა სიკვდილამდე შენ საკვნესად“!** ვერდიქტი გამოტანილია.

ბათუმ კარგად იცის, რომ სიკვდილი წამიერია, ხოლო შერცხვენილი სახელით ცხოვრება — ბევრად უფრო მტანჯველი (საყურადღებოა, რომ ძიძიშვილობის ამ უჩვეულო ადათ-წესს ვერ იგებს რუსი კაპიტანი ლეო ქიაჩელის „ჰაკი-აძბაში“, ანუ ძიძიშვილობასთან დაკავშირებული სიყვარული მისთვის უცხოა; იგი, აკაკი ბაქრაძის მართებული აზრით, ამ საოცარ და მისთვის გაუგებარ ფენომენს ჰაკი-აძბას მონური სულის გამოვლენად მიიჩნევს).

ბათუ, საფარისთვის სულიერი მსჯავრის დასამძიმებლად — ცხადია, მოფიქრებულად — აგზავნის მას თავის მოძღვართან — ჰაჯი-უსუბთან, მთელ ყაბარდოში რომ იყო განთქმული სიბრძნით, სამართლიანობით, სიწმინდით.

საფარ-ბეგი იძულებულია, ეახლოს გამზრდელს და გაუმხილოს თავისი სამარცხვინო საქციელი. ჰაჯი-უსუბი, რომელმაც, პოეტის თქმით, წამსვე გაისიგრძეგანა ამ მუხთლობის მთელი სიბოროტე, დაუოკებელი გულისწყრომით ეკითხება გაზრდილს: „მერე, მერე, რომ გაიგო, რა სთქვა ქმარმა“. საფარს ჰგონია, რომ ბათუმ აპატია შეცოდება, როგორც ძმამ და მეგობარმა. მან არ იცის ან არ უნდა გაიგოს, რომ ბათუმ იგი სიკვდილზე უარესი სასჯელისთვის გაიმეტა.

ბუნებრივია, მკითხველი ელის, რომ საფარ-ბეგს ჰაჯი-უსუბი უსათუოდ დასჯის, ოღონდ... როგორ? რა გზით? და, როცა მოძღვარი იარაღს მოჰკიდებს ხელს, მკითხველი ფსიქოლოგიურად უკვე შემზადებულია იმისთვის, რომ ჰაჯი-უსუბმა სიცოცხლეს უნდა გამოასალმოს საფარ-ბეგი,

მაგრამ... მაგრამ ხდება სრულიად წარმოუდგენელი, მოულოდნელი რამ: ჰაჯი-უსუბი თავის უღირს მოწაფეს კი არ ესვრის ტყვიას, არამედ... თვითონ იკლავს თავს! „შენ სიკვდილის რა ღირსი ხარ, სასიკვდილო მე ვარ მხოლოდ, რომ კაცად ვერ გამიზრდიხარ!“ დიახ, რაკი კაცად ვერ გაზარდა თავისი მოწაფე (თუმცა „წვრთნა რას შველის, თუ ბუნებამც არ უშველა“), სიკვდილის ღირსია სწორედ მისი გამზრდელი და არა გაზრდილი: ასეთია ჰაჯი-უსუბის განაჩენი არაკაცისთვის, რომელმაც „მორდუობის“ წმინდათაწმინდა წესი გატეხა და ჩვეულებას გადაუდგა, ფეხქვეშ გათელა ის, „რაც ქვეყანას მიაჩნია რჯულზედ უფრო უმტკიცესად“.

ამიერიდან საფარ-ბეგისთვის ფიზიკური არსებობა ამქვეყნად მხოლოდ ჯოჯოხეთური სატანჯველი იქნება; ეს მან დაიმსახურა საქციელით, რომელსაც „შენდობა არ უხერხდება“.

ამგვარად, გენიალური რუსთაველის სიტყვებით რომ ვთქვათ, „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“.

(საგულისხმოა, როცა ავთანდილს უნდა ასმათი თავის წრფელ ზრახვებში დაარწმუნოს, ეუბნება: კაცი ვარ, ადამიანიო. ეს ფორმულა ხომ ბრწყინვალედ გამოიყენა რუსთაველის დიდმა შთამომავალმაც, თავის ერთ-ერთ შედევრს სათაურად რომ მისცა და შინაარსობრივადაც რუსთაველური დატვირთვა რომ შესძინა).

აკაკი ბაქრაძე, რომელსაც მეტად საყურადღებო წერილი აქვს დაწერილი ზნეობრივ გმირობაზე, აღნიშნავს: „ვერც ალექსანდრე ყაზბეგის ხევისბერ გოჩას, ვერც პროსპერ მერიმეს მატეოს ფალკონეს, ვერც გოგოლის ტარას ბულბას არ ეყოთ ძალა შვილების დანაშაულის მიზეზი საკუთარ თავში ეპოვნათ. სხვისი მხილება ყველას შეუძლია, სხვისი გასამართლება — მით უმეტეს. დანაშაულის აღიარება შედარებით იოლი საქმეა, მაგრამ სხვისი დანაშაულის მიზეზის

საკუთარ თავში პოვნა და სხვისი დანაშაულის საკუთარი სისხლით გამოსყიდვა კი — ღვთაებრივ ძალას მოითხოვს. აი, ეს ძალა აქვს ჰაჯი-უსუბს“.

თუმცა ხევისბერი გოჩას მიერ ერთადერთი ვაჟის მოკვლა, ვფიქრობ, ნიშნავს იმასაც, რომ ამით მან საკუთარ თავსაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, რაც დასტურდება კიდეც მოთხრობის ფინალში.

ზოგიერთი დღევანდელი ქართველისთვის — სხვადასხვა ქვეყნის სერიალების მაცქერალისთვის, რომლებშიც ძმებს ქალი ვერ გაუყვიათ და მაზლს ირჩევს რძალი ქმრად იმიტომ, რომ ის თურმე თავის ძმაზე უკეთესია „ზნეობრივად“, ანუ „ბლანკოს ქვრივისა“ და მისი თაყვანისმცემლებისთვის, ცხადია, გაუგებარი დარჩება „გამზრდელის“ მორალი. მით უმეტეს, ვაჟკაცის ის საქციელი, როცა იგი ნეკა თითს მოიჭრის მხოლოდ იმისთვის, რომ თავისდა უნებურად შეეხო ძმაკაცის საცოლის გულისპირს! გაუგებარი და საქილიკოც კი იქნება მათთვის სიყვარულის უწმინდეს გრძნობებზე დამყარებული ქართული, ანუ რუსთაველური დობილობა და ძმობილობა, მით უმეტეს, ტარიელ-ავთანდილ-ასმათის დაძმობა.

ნაზიბროლას რაც შეეხება: ის, რომ მან არ დამალა და გაუმხილა ქმარს, რაც შეემთხვა, ალბათ, სარკასტულ ღიმილს გამოიწვევს თანამედროვე არაერთ „ნაზიბროლაში“, რადგან, ჯერ ერთი, სრულიად ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს იმას, რაც მოხდა: ქმრების ძმაკაცებთან — ერთი თანამედროვე „ნაზიბროლას“ თქმით — სრულიად ნორმალურია ამგვარი ურთიერთობა და დასაგმობი და დასაძრახი ამაში არაფერია, თუკი გამჟღავნება არ ემუქრება ამ კავშირს! სერიალების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ქმარმა, რომც გაიგოს ამ ურთიერთობის შესახებ, დიდი-დიდი, დატუქსოს „მეგობარი“ და შემდეგ, შერიგების ნიშნად, ეგებ,

სადმე რესტორანშიც წაიქეიფონ. ისე, რასაკვირველია, ჯობს, „ნამუსი შეინახოს“ ქალმა, ვინაიდან, საფარ-ბეგის არ იყოს, მთავარია, „ჩემს საქციელს, სამარცხვინოს, ვინ გაიგებს, ვინ დამძრახავს“-ო. ასეთ დროს ხომ მნიშვნელოვანია, არავინ არაფერი გაიგოს. მოკლედ, კონფლიქტი ამოწურულია. საიდუმლოება დაცულია.

შეიძლება, ცოტა ვაზვიადებდე, თუმცა არა მგონია, ძალიან შორს ვიყო რეალობისგან. მაგრამ მინდა, ისევ იმ ნაზიბროლას მივუბრუნდე, სიყალბე, თვალთმაქცობა რომ ვერ შეძლო — უფრო სწორად, არ მოისურვა სიცრუე და ორპირობა, არ შეურიგდა თავისი და მეუღლის ადამიანური ღირსების შელახვა-შეურაცხყოფას, არ დამალა სიმართლე, როგორი შედეგიც უნდა მოჰყოლოდა მას. თუმცა, ბათუს აზრით, ნამდვილ სიყვარულს ვერაფერს დააკლებს მუხანათობა, რადგან სიყვარული ის ძალაა, რომლის წინაშე ყველა ქედს იდრეკს და თაყვანს სცემს: „იგი სხვაა, სიძვა სხვაა, შუა უზის დიდი მზღვარი“. მათი ერთმანეთში აღრევა შეუძლებელია. არადა, სხვადასხვა მოტივაციით სიძვა-მრუშობამ ლამის კანონიერი სტატუსიც მოიპოვოს ისევე, როგორც მამათმავლობამ და ლესბოსელობამ.

აკაკი წერეთლის „გამზრდელის“ მორალურ-ზნეობრივი მრწამსი პოლარულად განსხვავებულია დღევანდელი ჩარჩ-მევახშური ფსიქოლოგიისგან, ვინაიდან იგი ადამიანის ღირსებას განიხილავს იმ საზომით, რასაც ფულის ერთეულთან არაფერი აქვს საერთო და რაც ქართული ფენომენის საძირკველს, მის დვრიტას შეადგენდა ოდითგანვე; რაც ძერწავდა და აყალიბებდა გამორჩეული ქართველი კაცის ხასიათს, კვებავდა მის სულიერებას, ცნობიერებას, ზნეკეთილობას, მსოფლმხედველობას, მრწამსს, მისი ცხოვრების წესს. არადა, ძმაკაცობის, მეგობრობის — არა ოდენ სისხლით და ხორცით ნათესაობის — გრძნობას, რომელიც ჯერ კიდევ მკვიდრობს ჩვენს ცნობიერებაში, დიდი საფრთხე ემუქრება ესოდენ მოზღვავებული სულიერი დივერსანტების — ტელევიზიის ზოგიერთი არხის და ყვითელი პრესის სახით.

სერიალების თუ „ფსიქოს“ მიხედვით, რომლითაც ჩვენი ტელევიზია ასე უშურველად ამარაგებს ტელემაყურებელს, მამიდაშვილ-დეიდაშვილ-ბიძაშვილთა ურთიერთქორწინება ჩვეულებრივი ამბავი გახლავთ და ფრიად მისაღებიც. ჩვენი ფსიქიკისთვის ყოვლად დაუშვებელი და მიუღებელი სისხლის აღრევის ამაზრზენი წესი (ძალადობის და სხვა პათოლოგიური პასაჟებით უხვად გაჯერებული) ისე გაგვიშინაურდა ეკრანიდან, რომ ჩვენი მოზარდების გარკვეული ნაწილი უკვე ნელ-ნელა ეჩვევა და ეგუება კიდეც ამ „უცხოურ ფენომენს“.

ამასთან, საგულისხმოა ისიც, რომ ჩვენმა ბავშვებმა კარგად აითვისეს საგულდაგულოდ დანერგილი ე.წ. ფანების ველური, ისტერიკული ჭყივილ-კივილი, უღირსებო, თავმოყვარეობადაკარგულ ბრბოს რომ სჩვევია! მერე რა მოხდა? ასეა მიღებული იქ, „ცივილიზებულ“ სამყაროში! ეს გულისამრევი, მასობრივი ფსიქოზი, სატანისტური ზემოქმედება პიროვნების ნიველირების მიზნით, თუნდაც ფეხბურთის „ტიფოზების“ ბაკქანალია და სხვა — რითია ცუდი?

დიახ, ჩვენებური ნათესაობის, მეზობლობის, ახლობლობის, მოკეთეობის, მეგობრობის გრძნობას — არანაკლებ მძლავრად ფესვგადგმულს და ძვალ-რბილში გამჯდარს, ვიდრე ძიძიშვილობა და ნათელმირონობაა — თანდათან, ნელ-ნელა საძირკველი ერყევა. ათასწლეულებში გამოვლილი ადათ-წესები, რითიც თავი მოჰქონდა ქართველობას — და კერძოდ მართლმადიდებლებს — საფრთხის წინაშე აღმოჩნდა ჩვენი უაზრო წამხედურობის წყალობით, მატერიალური სიდუხჭირისა და უზნეობის საყოველთაო ზეობის

გამოისობით, რასაც, როგორც ითქვა, დიდად უწყობენ ხელს ჩვენი მასობრივი საინფორმაციო საშუალებანი.

...ქართულ მწერლობას იმთავითვე ყურადღების გარეშე არ დარჩენია ცოტნეს თავდადება, რომლის ბადალი იშვიათად თუ მოიძებნება მსოფლიო ისტორიის ანალებში.

და მაინც, რა არის ზნეობრივი გმირობა? რითია ის ესოდენ საგულისხმო და წარუვალი ღირებულების? რატომ არის დრო-ჟამი უძლური მის წინაშე? — ამ კითხვებს პასუხს სცემს აკაკი წერეთლის ერთი პატარა პოემა „ნათელა“.

საქართველოს თავისი გრძელი, მრავალსაუკუნოვანი, სისხლიანი ისტორიის განმავლობაში მრავალი ღირსეული შვილი ჰყოლია — გმირობის, თავდადების მაგალითები რომ მიუცია ქვეყნისთვის ისევე, როგორც, სამწუხაროდ, გვქონია გარნისიც, ბაზალეთიც, კრწანისში დამარცხება — ღალატის წყალობით, 32 წლის შეთქმულების გაცემა და ა.შ. გვყოლია ბაღვაშები და... მარუშიძეებიც! თუმცა, აკაკი ბაქრაძის აზრით, ბაღვაშებს, სამწუხაროდ, უფრო მეტი მიმდევარი აღმოაჩნდათ, ვიდრე მარუშიძეს.

ცოტნე დადიანის გმირობა გამორჩეული გმირობაა. და მაინც — რითია იგი ასე გამორჩეული?

ცნობილია, რომ გმირობა შეიძლება იყოს გააზრებული და აფექტის შედეგიც. გააზრებული, ანუ გაცნობიერებული გმირობის ნიმუშებია აბო თბილელის, შალვა ახალციხელის, დიმიტრი თავდადებულის, ლუარსაბ II-ის, თევდორე მღვდლის, ქეთევან დედოფლის... გმირობა, როცა გონის და გულის კარნახით ხდება თავგანწირვა და არა წამიერი აღტკინებით.

ცოტნე დადიანის საქციელი ზნეობრივი გმირობაა, წინასწარ გააზრებული და გასიგრძეგანებული და მაინც, თითქოს უფრო სხვა პლანში აღქმული. ამაზე ბევრჯერ თქმულა, დაწერილა, ამიტომაც თითქოს ახალს ვერაფერს ვიტყვი და მაინც, ერთობ საგულისხმოდ მეჩვენება, რომ აკაკიმ თავის

პოემაში თავისებური ინტერპრეტაცია მოუძებნა ამ უჩვეულო, საოცარ ქმედებას ცოტნე დადიანისა.

როგორც ვიცით, დასავლეთ საქართველო, მათ შორის დადიანების ვრცელი სამთავრო, შედარებით დაცული იყო მონღოლთა შემოსევებისგან. თითქმის მთელი ლიხთ-იმერის მპყრობელს „სრულიად უდრტვინველად შეეძლო სადმე ხობში ან მარტვილში მჯდარიყო და მშვიდად დაეღამებინა თავისი წუთისოფელი პატივცემულს, განდიდებულს და გამდიდრებულს!“ (აკაკი ბაქრაძე).

შეთქმულთა ძირითად ბირთვს აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები წარმოადგენდნენ, რომელთა სამფლობელოები ე.წ. უმეფობის ხანაში განსაკუთრებით დაზარალდა და აოხრდა მონღოლთა რბევისა და აწიოკების შედეგად.

კოხტას თავზე შეკრებილ შეთქმულთა შორის იმყოფება ცოტნე დადიანი რაჭის ერისთავთან ერთად. როგორც ვხედავთ, ცოტნემ ბრძოლის გზა არჩია მშვიდ, კმაყოფილ ცხოვრებას.

აჯანყების გეგმის შემუშავების შემდეგ ისინი უნდა დაბრუნებულიყვნენ თავ-თავიანთ მამულებში, რომ მოემზადებინათ ჯარი დათქმული დროისთვის.

ლიხის მთებიდან გადმოსულ ცოტნეს და რაჭის ერისთავს წინ დიდი გზა ედოთ და, ბუნებრივია, ისინი დანარჩენებზე ადრე უნდა გამგზავრებულიყვნენ შინ.

როგორც სხვა დროსაც არაერთხელ ყოფილა, შეთქმულება ვიღაცამ გასცა და ჯერაც კოხტას თავზე დარჩენილი აღმოსავლეთ საქართველოს დიდებულები მონღოლებმა შეიპყრეს. ჟამთააღმწერლის ცნობის მიხედვით, ვისი წყალობითაც ისტორიას შემორჩა ეს უჩვეულო ამბავი, ცოტნე დადიანი დათქმულ დროზე გამოცხადდა თავისი ჯარით, მაგრამ, შეიტყო თუ არა შეთქმულთა დაჭერის ამბავი, ჯარი

უკან გააბრუნა, ხოლო თვითონ გაეშურა ანისისკენ, სადაც ქართველი დიდებულები ხელფეხშეკრულნი, შიშველ ტანზე თაფლწასმულნი ეყარნენ მცხუნვარე მზის ქვეშ...

აკაკი წერეთლის ვერსიით, თანამოაზრეებმა მოახერხეს და ცოტნეს აცნობეს, რომ შეთქმულება გამჟღავნებულია, რომ ყველანი დაჭერილები არიან და ანის ქალაქს აგზავნიან, რათა იქ გამოტეხონ და მერე წამებით ამოხადონ სული: **„რადგან ღმერთმა აგაშორა ჩვენი ბედი, ჩვენი სვეო, იცოცხლე და მაგიერი მტერს როგორმე მიუზღეო“** („ნათელა“). რასაკვირველია, ჭკვიანური რჩევაა და ყოველი გონიერი ადამიანი გაიზიარებდა მას, თუმცა ნაკლებ სავარაუდოა, რომ ცალკე ერთ სამთავროს სამაგიერო მიეზღო, ანუ დაემარცხებინა მონღოლები; მით უფრო, მრავალი სახელმწიფო, მათ შორის, საქართველოც, აკი, ვერ გაუმკლავდა მონღოლთა ურდოებს, მაგრამ მთავარი აქ ისაა რომ, აკაკის თქმით, ცოტნეს „პირშავად დარჩენა“ არ შეეძლო, ანუ მარტო გონის კარნახით ვერ მოიქცეოდა, რადგან სრულყოფილი მაშინ არის ადამიანი, როცა „გული, ცნობა და გონება ერთმანეთზე ჰკიდია“, მხოლოდ გონების ამარად დარჩენილი უგულო კაცი კი „ვერ კაცობს, კაცთაგან განაკიდია“.

ცოტნეს გულს არ შეეძლო, საქართველოს ღირსეული შვილების ტანჯვის და სიკვდილის შორიდან მაყურებელი ყოფილიყო. ეს უკვე ზნეობრივი პოზიციაა, რომელიც შეიძლება გაიზიარო ან არ გაიზიარო. ისევ აკაკის მიხედვით, რაც სავსებით სწორია, ცოტნეს საქციელი უფრო გულის იმპერატივია: „მათთან ჭირი, მათთან ლხინი — უამათოდ რა ვარ მეო?“ ანუ რუსთაველის შეგონება „სჯობს მოყვარე მოყვრისათვის თავი ჭირსა არ დამრიდად...“ — გადამწყვეტი აღმოჩნდა ცოტნესთვის. ანუ მეგობრობა გზად და ხიდად — მეგობრისთვის თავდადებაა ის იმპულსი, რამაც ცოტნეს თავგანწირვა განაპირობა.

როგორც ითქვა, ამ პერიოდში, ე.ი. მე-13 საუკუნის შუა

წლებში უკვე არ არსებობს ერთიანი, ძლიერი საქართველო: **„ძველი ქება და დიდება დაჭკნა უცბად, როგორც მდელო, ადრინდელის ჩრდილი იყო დაჩაგრული საქართველო“.** მონღოლთა ბატონობამ, ანუ სიბნელის დრომ მოიტანა ის, რომ **„ერთი ძუძუთ გამოზრდილი, ერთი დედის ორი შვილი, ერთ ჭირსა და ერთსვე ლხინში შეთანხმებულ, გამოცდილი, ამერი და იმერეთი აირია, აიშალა და ორივეს ჩამოაკლდა სიმტკიცე და ძველი ძალა“.** მტრები კი: „შუა ჩადგნენ და ძმებშუა შური გასდვეს გზად და ხიდად“. რაკი უწყოდნენ, ქართველებს პირდაპირ ვერავინ ძლევდა, რაკი მათი დამჩაგვრელი მხოლოდ სულის სიმდაბლე თუ შეიძლებოდა ყოფილიყო, **„გზას დაადგნენ ცბიერების, ხალხსა რყვნიდნენ მრავალგვარად, სიცრუე და ორპირობა ხელთ ეჭირათ ხმლად და ფარად, სიმართლეს და კარგკაცობას აღარ ჰქონდა გასავალი და სდევნიდნენ კაცურ კაცებს, არ ჰქონოდათ გინდა ბრალი, ჩამოაგდეს ქვეყანაში სიღარიბე, სიღატაკე, მთა და ბარი გაასწორეს, შეაერთეს ზღვა და ვაკე. დღესხვალობით შელახული დაიჩაგრა, გატყდა ერი, შიგადაშიგ გამოუჩნდა ძმას მისივე მოძმე მტერი. მამა-პაპის წაღმა ხნული, შვილიშვილთა დაღმა ფარცხეს! და ამიერ-იმერეთმაც ერთმანეთი დაამარცხეს“.**

აი, ასეთ ვითარებაში ცოტნე დადიანის საქციელი — ის, რომ ნებაყოფლობით გასწირა თავი და მტრებს ჩაბარდა, რათა თანამოძმეების ხვედრი გაეზიარებინა — ან გაექარწყლებინა მათი „ბრალეულობა“, ან მათთან ერთად დაღუპულიყო — თავისთავად უკვე წარმოადგენდა უბადლო ნიმუშს ერთიანი, მთლიანი საქართველოს სიყვარულისა და ერთგულებისა, ვაჟკაცობისა, თავდადებისა, მეგობრობისა. ჟამთააღმწერლის თქმით: „უფროს ამისა სიყვარული არა არს, რათა დადვას კაცმან სული თვისი მოყვრისა თავისისათვის“, რასაც არ შეიძლებოდა არ გამოეწვია სულიერად გატეხილ და

დაცემულ ერში — როგორც იმიერში, ისე ამიერში — აღტკინება, რწმენა მტერზე გამარჯვებისა! და, რაც მთავარია, ამ იშვიათ, საოცარ ქმედებას, აკაკის თქმითვე, არ მოჰყოლოდა იმის შეგრძნება, რომ **„ჩანგური საქართველოა, სიმები ჩვენ ვართ ყველაო, სხვადასხვა კუთხის მცხოვრები, ოდელა-დელა-დელაო, ერთი მათგანიც რომ გაწყდეს, მაშინვე უნდა შველაო“**. რადგან შემოპარული მტერი ტურა-მელასავით ცდილობს — რაკიღა ჩვენი ჰანგი არ მოსწონს — თავის ხმებზე გვამღეროს, ანუ ჩვენთვის მიუღებელი ცხოვრების წესი თავს მოგვახვიოს, ამ ცბიერ და ვერაგ გადამთიელებს უნდა დავახვედროთ ჩვენი ერთიანობა, ვინაიდან „ერთობა ჩვენთვის ტახტია, მტრებისთვის — სახრჩობელაო“. ყოველივე ეს დღესაც საოცრად ეხმიანება ჩვენს აწინდელ მდგომარეობას და რამდენად დიდია აკაკის შორსმჭვრეტელობა, მისი ცხოველი ფანტაზია და ზეშთაგონება, რომ ერთ საუკუნეზე მეტი ხნის წინათ დაწერილი ქმნილება ახლაც ისე აღიქმება, როგორც მაშინ, მე-19 საუკუნის ბოლოს! ისევე, როგორც ილიას უკვდავი შემოქმედება, მისი „დიმიტრი თავდადებული“ და ტრაგიკული ხვედრი თავად მწერლისა! ანუ: ნიშანდობლივი და ფრიად საგულისხმო დღევანდელობისთვის.

მაშასადამე, ცოტნეს გმირობა, ქრონოლოგიურად წინ რომ უსწრებდა დიმიტრი თავდადებულის თავგანწირვას, გაცნობიერებული გახლდათ, ანუ გონის და გულის ერთობლივ ნაყოფს წარმოადგენდა, შორს გამიზნული შედეგებითურთ: ცხადია, ცოტნე მაშინ ვერ წარმოიდგენდა, თუ ის გადარჩებოდა და სხვებსაც დაიხსნიდა უეჭველი სიკვდილისგან. სხვათა შორის, მტრის ვაჟკაცობის დანახვა და მისი შეფასება თავადაც ამ თვისების მატარებელს თუ შეუძლია — ამ შემთხვევაში, როგორც იტყვიან, ცოტნეს გაუმართლა.

ამგვარად, ცოტნემ დიმიტრი თავდადებულის და სხვა მოწამე გმირების მსგავსად შთამომავლობას დაუტოვა ისეთი მაგალითი კაცურკაცობისა, რითიც დღევანდელ ქართველებს შეუძლიათ იამაყონ და თავი მოიწონონ დანარჩენი კულტუროსანი ერების წინაშე ისევე, როგორც საამაყოა და, ამასთან, ზარის დამცემიც — ასი ათასი ქართველის გაუგონარი თავგანწირვა: ფეხი რომ არ დააბიჯეს სიწმინდეებს — მაცხოვრისა და ღვთისმშობლის ხატებს... და ამიტომ ასი ათასივე ერთ დღეს მოისრა მტარვალთა მიერ და „წამების გვირგვინით იდიდნენ“.

სულ სხვა კუთხით, სხვა წახნაგებით წარმოჩინდა ქართული ფენომენი დვინის სასამართლოზე, თამარის დროს რომ გაიმართა. დავის გარჩევაში (დავა სომეხთა ეკლესიას და ჯვარს შეეხებოდა) საქართველოს ხელისუფლებამ მოსამართლეებად სომეხთა წარმომადგენლებთან ერთად მარტო ქართველი დიდებულები და სასულიერო პირნი კი არა, მაჰმადიანთა განთქმული ყადიები და შეიხიც მოიწვია და ამგვარმა სასამართლომ დავა საბოლოოდ გადაწყვიტა: „აი ეს არის საქართველოს უაღრესი კულტუროსნობის დამამტკიცებელი საბუთი, საერთაშორისო თანამშრობლობის იმ დროისათვის გასაოცარი და მომხიბლავი მაგალითი“, — წერს ივანე ჯავახიშვილი. დიახ, ქართველმა მეფეებმა ერთერთმა პირველებმა შემოიღეს „სააჯო კარი“ — დღევანდელი უზენაესი სასამართლო, რომელიც სახელმწიფოსგან გამოყოფილი იყო და შუა საუკუნეებში უდიდესი ზნეობრივი და უფლებრივი ავტორიტეტით სარგებლობდა. ამიტომაც იყო, რომ სიმართლის დასადგენად მხოლოდ საქართველოს მეფეთა ქვეშევრდომი ქართველი მართლმადიდებლები როდი მიმართავდნენ მას, არამედ უცხო ტომელებიც: დიახ, საქართველო თუმცა მთელს აღმოსავლეთში ქრისტიანთა მფარველად გამოდიოდა, თავის სახელმწიფოებრივ საქმიანობასა და პოლიტიკაში შეუდრეკლად იცავდა სარწმუნოებრივი შემწყნარებლობის პრინციპს. ეს მაშინ, როდესაც,

ივანე ჯავახიშვილისვე თქმით, თავად მრავალი უსამართლობა, დევნა და შევიწროება გადაუტანია მაჰმადიანური ქვეყნებისგან.

ამდენად, ქართველის ბუნებიდან გამომდინარე, ქრისტიანული აღმსარებლობა ჩვენში „არასოდეს გადაზრდილა შეუწყნარებელ ფანატიზმში. არც წმინდა ინკვიზიციის კოცონები აგვიშიშხინებია მწვალებელთა ხორცით, არც პურიტანელთა დაუთმობელი, მრისხანე სულით გავმსჭვალულვართ, არც ოქრო-ვერცხლეულის მაცდური ბზინვითა და ჩხრიალით მოგვისყიდია ერთმორწმუნეთა გულები“, — ასე ზუსტად განმარტავს გ. ქიქოძე ქართული ფენომენის ძირითად არსს, ხოლო იაკობ გოგებაშვილის აზრით, ქართველი ერისთვის, „რაც მან დედამიწის ზურგზე თავი შეიცნო, დევიზად თავის დღეში არ ყოფილა ძლევა, დათრგუნვა, დაბრიყვება, დამონება, მიწასთან გასწორება რომლისამე ერისა. ჩვენი ერის ხმალი მღელვარებდა მხოლოდ თავის თავისუფლების დასაცავად და დამოუკიდებლობის მოუსპობლობისთვის. თუ ოდესმე ვითარება იძულებულს ხდიდა შემოერთებინა თავისთან რომელიმე უცხო ქვეყანა, ჩვენი ერი ანიჭებდა მას სრულ უფლებას... სხვა სარწმუნოების მიმდევარნი სარგებლობდნენ სრულის თავისუფლებით და თანასწორობით ქართველებთან. როდესაც განათლებულს საფრანგეთში ჰუგენოტებს ართმევდნენ კაცის ყოველ უფლებას და ბარბაროსულად ჟლეტდნენ მათ კათოლიკები, როდესაც სახელოვან ინგლისში კათოლიკები იდევნებოდნენ უწყალოდ და ულმობლად, ამ დროს საქართველოში შემოხიზნული სომხები იყვნენ ყველაფერში გათანასწორებული ქართველებთან, ჰქონდათ მინიჭებული ყოველი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება და ხშირად მემკვიდრეობით ეჭირათ უმაღლესი ადგილები ჩვენს სამეფოში. ამგვარივე თავისუფლება ჰქონდათ მინიჭებული თვით ებრაელებსაც.

იგინი ყოველთვის სარგებლობდნენ ჩვენში სრული მყუდრო ცხოვრებით და მათ ერთხელაც არ გამოუცდიათ ის დევნა და ჟლეტა, რომლის მსხვერპლად ხდებოდნენ და ხდებიან ახლაც ევროპაში“.

... უპრეცენდენტო მოვლენა გახლავთ მსოფლიო ისტორიაში ქუჯი ერისთავის — კოლხეთის ძლიერი სამეფოს მმართველის — საქციელიც: მან ქართლიდან დევნილ, მტრებისგან დამარცხებულ ფარნავაზ მეფეს — არათუ თავშესაფარი მისცა — არამედ, შეუგროვა ჯარი და გაამარჯვებინა მომხვდურებზე. ამასთან გადადგა ისეთი ნაბიჯი — რაც არა მხოლოდ მაშინ — დღესაც განცვიფრებას რომ იწვევს ადამიანში: ქუჯიმ სამეფოების გაერთიანება შესთავაზა ფარნავაზს და თავად კი — მისი ქვეშევრდომობა იკისრა: და ეს ხდება ისეთ ეპოქაში, სადაც ძალაუფლებისათვის დაუნდობლად ებრძოდნენ ერთმანეთს არა მხოლოდ სხვადასხვა ქვეყნის ხელისუფალნი, არამედ თვით დინასტიების შიგნით ძმა ძმას არ ინდობდა, მამა — შვილს, შვილი — მამას და ა.შ. და ეს გრძელდებოდა მომდევნო ათასწლეულებშიც და გრძელდება — დღესაც! დიახ, ქუჯის საქციელი გახლავთ „მსოფლიო გონის“ მატარებლის (როგორც ჰეგელი ამბობდა კავკასიურ გონზე) უკეთილშობილესი ჟესტი, რომლის ბადალი კაცობრიობამ დღემდე არ იცის.

დიდი რუსი მწერალი და ფილოსოფოსი ა. ბელი წერს: „ქართული სისხლი უძველესი ღვინოა, უღრმესი ტანჯვით დადუღებული, ჩვენ ჯერაც ტყავებით შემოსილნი დავეხეტებოდით, როდესაც საქართველო იტანჯებოდა. პირველი ღებულობდა სპარსელების და მონღოლების დარტყმებს... მთელი საქართველო სიმღერაა, რომლის მოტივი კეთილშობილურია, სიტყვები მკაცრი და სევდიანი... დიახ, საქართველო კულტურით იყო აღსავსე მაშინ, როდესაც ჩვენ ტყეში დავეხეტებოდით. ისინი ჩვენზე უფროსებია, ჩვენ ბევრი რამ

უნდა ვისწავლოთ მათგან“.

კანონზომიერად გამოიყურება ის შეფასებაც, გერმანელ ქალს რომ აქვს გამოთქმული ჩვენი ერის მისამართით და რაც პირადად მე ხშირად მომყავს ხოლმე ჩემს ნაწერებში, როგორი გაზვიადებულიც უნდა ჩანდეს იგი მავანთა თვალში: „ჩვენსა და კავკასიელებს, ქართველებს შორის დიდი განსხვავებაა. ჩვენ არა გვაქვს ისეთი კოსმიური კავშირი მიწასთან, რაც ქართველებს... ჩვენ შეგუებული ვართ ბედისწერას და ვემორჩილებით მას. ქართველებს შეუძლიათ ტრანსფორმირება, შეუძლიათ ბედისწერის გვერდის ავლა. შეუძლიათ, გასაჭირს გაუძლონ (რა გასაჭირსა და სიდუხჭირესაც ჩვენ ვუძლებთ თუნდაც დღეს, ალბათ, წარმოუდგენელია ეს ნებისმიერი ევროპელი ერისთვის! — ც.ა.). მათი დაჩაგვრა შეუძლებელია. შეიძლება მათი ქვეყანა დაიპყრო, მაგრამ მათ ვერ დაიმორჩილებ. მათი ენა და სული მათი ცხოვრების უმაღლესი ინტელიგენტურობის გამოხატულებაა. მათი მუსიკაც ამაზე მეტყველებს. მათი სული ისე წმინდა და ნათელია, ისეთი ღრმად სპირიტუალურია, რომ წარმოუდგენელია მათი დამორჩილება. ისინი სულით ცხოვრობენ და არა გონებით. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ მათ ინტელიგენტურობა აკლიათ. პირიქით, მათ მაღალი ინტელიგენტურობა აქვთ. სულის ის ინტელიგენტურობა, სიცოცხლის ინტელიგენტურობა, თუნდაც ის საოცარი უნარი, ყველა ადამიანში დაინახონ მოკეთე. ქართველ ხალხს განსაკუთრებული მისია აკისრია: სიყვარულის მისია. მათი ენა მათი სიყვარულის მისიის, მათი გულის ანარეკლია. ბევრი ვერ გაუგებს ქართველს. მე კი მგონია, მსგავსი ხალხი არსად არის“.

ვიმეორებ, შეიძლება ბევრი არ დაეთანხმოს ამ შეფასებას, შეიძლება მეტისმეტად გადაჭარბებულ დითირამბებად ჩათვალოს უცხოელის სიტყვები, მაგრამ, ჩემი აზრით, ძირითადი არსი ქართული ფენომენისა — ის, რომ ქართველს ყველა ადამიანში მოკეთის დანახვა ძალუძს და რომ მისი ძირითადი მისია სიყვარულია — სავსებით სამართლიანი და ჭეშმარიტია, მთელი რიგი პარადოქსებისა და გარკვეული შეუსაბამობების მიუხედავად.

ჩარჩ-ვაჭრულ-მევახშური ფსიქოლოგიით გამსჭავლულ და გაჟღენთილ მსოფლიოში, სადაც ადამიანის უფლებათა დაცვის კოდექსების პარალელურად და მოვალეობათა იგნორირების გვერდით, ფარულად თუ აშკარად ლამის ყველაფერი ყიდვა-გაყიდვის ობიექტად ქცეულა, როცა ფრიად სიმპათიური კარგი ქართველი სპორტსმენი იტყვის — მავანმა მიყიდაო — ასეთ გარემოში უცხოელის მიერ დანახვა იმისა, რაც ჩვენი ერის ძირეული და არსებითი ნიშანთვისებაა, რაც მის რჩეულ შვილთა სულიერ ღირებულებას შეადგენს — მართლაც განსაცვიფრებელი რამ გახლავთ!

ერთ ბრძენკაცს უთქვამს, სულიერად თავისუფალ ეროვნებას შეუძლია ბევრი მშვენიერი და დიადი რამ შექმნას თვით პოლიტიკურ მონობაშიც კი, სულიერად დამონებული და დამახინჯებული კი — მონად დარჩება თვით უთავისუფლეს ეროვნულ სახელმწიფოშიო. მაშასადამე, სულიერებას, თავისუფლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება ერის ღირსეული არსებობისთვის. ამის დასტურია ქართველი ერის ისტორიაც, მისი ქრისტიანული კულტურა, რომელმაც მონობის პირობებშიც შექმნა ისეთი სულიერი განძი, რომელიც: „ჰგიეს უკუნისამდე!“ თუმცა... დღეს — გაუბედურებულ-გაპარტახებულ, სულიერად თუ მატერიალურად უკიდურეს გასაჭირში მყოფ საზოგადოებაში წარსული დიდების თუ კეთილშობილური იდეალების, ზნესრულობის თუ თავგანწირულობის მაგალითების შეხსენებამ, შესაძლოა, გაღიზიანება და სარკასტრული ღიმილიც კი გამოიწვიოს მავანსა და მავანში, რადგან საკაცობრიო ღირებულებათა

ნიველირებისა და მორალური დეგრადაციის ფონზე, როცა „ოქროს კვერთხი“ გამხდარა საზომი ადამიანის ყოფიერებისა, ზოგ-ზოგისთვის დონკიხოტობად მოჩანს და, მაშასადამე, დაცინვის საგნად იქცევა ყოველგვარი ზნეობრივი და სულიერი პოსტულატი. სტენდალი წერდა: ყოველ დროსა და ყოველ ეპოქაში ამაღლებული სულის დონ-კიხოტებს სძლევენ მდაბალი სულის სანჩო-პანსებიო. დიახ, დგება ხოლმე ასეთი ჟამიც ერის ცხოვრებაში, უფრო სწორად, დგება ჟამიანობა, როცა: „ნახეთ თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“ როცა ჩვენი ბედოვლათი თავადის, ფანტიაშვილის გასაოცრად, ლამის ქარვასლად იქცეს მთელი მსოფლიო, როცა „არიან დღენი... — ცეცხლისა და მახვილის კვერი“... მაგრამ, პოეტისავე თქმით: „არ დაგინახო თვალებზე ცრემლი, განწირულებას არ მისცე თავი!“.

***

„მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი, წვრილ-წვრილი ვარსკვლავები და და ძმაა ჩემი“ — ეს კოსმიური აღქმა სამყაროსი — ქართველობის, ანუ უნივერსალიზმის აღქმაც გახლავთ ამავე დროს. ამ კოსმიურობის დასტურია უწინარესად ქართული ენა, რომელიც რუსთაველისთვის და, საერთოდ ქართული მწერლობისთვის, ზეციურობის სრულყოფილად გადმოცემის საშუალებაა. საყურადღებოა, რომ ნიკო მარიც, ეს უდიდესი ენათმეცნიერი და პოლიგლოტი, უნივერსალურ ენად მიიჩნევდა ქართულს, რომელსაც „ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში...“ და შემდეგ: „ვიკადრებ თქმას, რომ დღეს იქნება თუ ხვალ ქართული ენის შეუსწავლელად... ვერც ერთი საკაცობრიო კულტურის სიძველეთა საკითხი ვერ გადაიჭრება“. ამდენად, სულაც არ უნდა იყოს საკვირველი, რომ მეორედ მოსვლის ჟამს უფალი ამ ენით განიკითხავს კაცობრიობას, რამეთუ... ამ ენაშია დამარხული ქვეყნიერების საიდუმლოებანი, რამეთუ ლაზარე, ანუ საქართველო უნდა აღსდგესო. უცხოელი მისანი ქალი ქართულ ენასთან ერთად ქართულ ხალხურ მუსიკას და ცეკვებს მიიჩნევს კოსმიურ ძალთა გამოვლინებად: „ქართული ცეკვები კოსმიური ცეკვებია... ცეკვის სისწრაფე, არაჩვეულებრივი მოძრაობები ამ ადამიანებმა მიიღეს, როგორც კოსმიური სამყაროს, თავისი სისხლის მემკვიდრეობა. მუსიკა... მასში ხომ უამრავი კოსმიური ელემენტია. იმ წამშივე გრძნობ, რომ სხვა სამყაროში გადადიხარ, გსურს ეს თუ არა. იგი ისე გიპყრობს, რომ საკუთარ სხეულსა და ნერვებში გრძნობ საოცარ ჟრჟოლას და სულიერად იწმინდები“.

დიახ, შეუძლებელია ქართული ფენომენის, ქართული ცნობიერების, ქართული გონის მოქცევა ერთ რომელიმე ჩარჩოში. ქართველი და ქართული, ჩემი აზრით, არც არასდროს ყოფილა ვიწრო ეთნიკური ცნების გამომხატველი. ის ბევრად უფრო ტევადი ცნებაა, ბევრად უფრო დიდ, მასშტაბურ იდეას შეიცავს, ვიდრე კონკრეტული კუთხის თუ ეთნოსის სახელწოდებაა.

ამრიგად, ქართული ფენომენის, ქართული ცნობიერების მოშლით ირღვევა სამყაროსეული წონასწორობა. რუსთაველი, გურამიშვილი, ბარათაშვილი, ილია, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, გალაკტიონი და სხვა ქართველი გენიოსები მხოლოდ ქართველი ერის სულიერების გამოვლენად ვერ ჩაითვლებიან, თუმცაღა ისინი უსათუოდ, უეჭველად უნდა წარმოშობილიყვნენ იმ არეალში, სადაც კავკასია, კერძოდ, საქართველო, ანუ ძველი კოლხეთი და იბერია მოიაზრება, ისევე, როგორც პრომეთე — იმ ატლანტების შთამომავალი, ცის თაღი რომ ზურგით ეჭირა — აუცილებლად კავკასიონის ქედზე უნდა მიეჯაჭვა ღმერთს მანამ, სანამ ციკლური წრე-ბრუნვის შემდეგ კაცობრიობა, მითების თანახმად,

კვლავ არ დაუბრუნდება თავის ოქროს ხანას, რომლის ხსოვნაც შემოინახა მსოფლიოს ბევრმა ხალხმა (რაც შეეხება პრომეთე-ამირანისეულ ღმერთთან ბრძოლის, ანუ ბედისწერისადმი დაუმორჩილებლობის იდეას, ამაზე ახლა საუბარს არ გავაგრძელებ...).

ამგვარად, ჩემი აზრით, ქართული ფენომენის გადარჩენა ნიშნავს მთელი კაცობრიობის სულიერების გადარჩენასაც.

მეც ამ რწმენით მინდა დავამთავრო ეს წერილი, რწმენით, რომ „ღვთისმშობლის საუფლისწულოს“, როგორადაც ესახებოდა აკაკის თავისი სამშობლო — ღმერთი არ გაწირავს და, რაც ფასეულია, ღირებულია, „რაც სავსეა ქართული პატიოსნებით“, რაც ათასწლეულებშია გამოტარებული კოლხიბერთა მიერ, თავის კუთვნილ ადგილს დაიჭერს კაცობრიობის სულიერ საგანძურში, თუ, რასაკვირველია, ერებს — დიდს თუ მცირეს — გადარჩენა და არსებობა უწერია, თუკი... არ წალეკავს მათ ნიაღვარი... სოდომ-გომორის!

ჟურნალი „ცისკარი“
2002 წ.

„უბედური ქვეყნის ყმა“[1]

დიდი ფაციფუცია ქუთაისში და არა მარტო ქუთაისში. ორივე გუბერნია და მთელი ამიერკავკასია ფეხზე დგას — რუსეთის იმპერატორმა ალექსანდრე III-მ „გააბედნიერა“ აქაურობა თავისი სტუმრობით.

ქართულ თავადაზნაურობაში უკვე აღარ ჭაჭანებს 1832 წლის შეთქმულების სულის ნატამალიც კი. თითქმის ყველანი ქცეულან რუსეთის მეფის ქვეშევრდომებად, რომელნიც, დიდი ილიას თქმით, «наплечоба» გვასწავლეო, ეხვეწებოდნენ მთავრობას. ილიას თქმითვე, სწორედ რომ **„ჩვენისთანა ბედნიერი განა არის კიდევ ერი?.. მტვერწაყრილი, თავდახრილი, ყოვლად უქმი, უდიერი, უზღუდონი, გზამრუდონი, არ გამტანი და ცბიერი, მტრის არ მცნობი, მოყვრის მგმობი, გარეთ მხდალი, შინ ძლიერი, არ რის მქონე, არ რის მცოდნე, უზრუნველი და მშიერი, ჩვენისთანა ბედნიერი კიდევ არის სადმე ერი?!“**

ქართული ენა რიღას მაქნისია — მსჯელობდნენ კიდეც ასეთი „ბედნიერი“ თავადაზნაურობის წარმომადგენელნი, — ქართული ენით პურს ვეღარ სჭამს კაცი, ქართულმა ენამ თავისი დრო გაათავა, ეხლა რუსობა არის, რუსული ენა ვისწავლოთ და არა ქართულიო. ჩვენი მთავრობის ენაც ხომ ეს არის. და აბა, ამის ღალატი როგორ იქნება. რომელი ქართველიც რუსულ ენას არ ისწავლის, ის ქართველი ნასწავლ კაცად ვერ ჩაითვლება. ამიტომაც, საქართველოში ჩვენს აუცილებელს — რუსული ენა შეადგენს და არა ქართული... „რუსის მთავრობის პოლიტიკამ და ჩინ-ორდენებმა ქართველნი ისე გარდაქმნეს, ისე ძირს დასცეს, რომ ქართველთ სანატრელად მხოლოდღა გარუსება იქმნა გამოცხადებული... ბოროტებამ ქართველ თავად-აზნაურობაში ისე გაიდგა ფესვები, ისე შეიქმნა მისი მონატრებული და მღაღადე-

1 ნაწყვეტი წიგნიდან: „ყვირილი გვმართებს დღისით, მზისით“ 1979 წ.

ბელი, რომ მის შვილს უსათუოდ რუსული ესწავლა და არა ქართული, სასწავლებლებში ეხვეწებოდნენ მასწავლებლებს ასე: „ჩვენს შვილებს რუსული ასწავლეთ, ჩვენ მარტო რუსული ენის შესწავლა გვინდა, ქართული საჭირო აღარ არის!-ო“ (ზ. ჭიჭინაძე). ქრთამებითა და ორდენების მიღებით რომ ნერგავდნენ გარუსების ტრფიალებას და გადაგვარებას, ეს მუხრანსკის მაგალითიდანაც გამოჩნდა[1].

ასეთი საერთო ზნედაცემულობის ვითარებაში ქუთაისის გუბერნატორმა გამოიძახა გიორგი შარვაშიძე — აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი, და სთხოვა, დაეტოვებინა ქუთაისი. ქუთაისის გუბერნატორმა ალექსანდრე III-ის ჩამოსვლასთან დაკავშირებით შეადგინა სია იმ პირთა, რომელთა ყოფნა ქუთაისში სასურველი არ იყო. ერთ-ერთი პირველი იყო გიორგი შარვაშიძე ნიკო ნიკოლაძესთან ერთად.

გიორგი შარვაშიძემ მოიძრო თავისი ფლიგელ-ადიუტანტის ბაფთები და ფეხებში მიუგდო გაოგნებულ, სახტად დარჩენილ გუბერნატორს და ღირსეული იერით, წარბშეუხრელად დატოვა დარბაზი.

ეს იყო ბომბის გავარდნასავით იმ ტაკიმასხრულ კარნავალში, რასაც ქართველი თავადაზნაურობა უმართავდა რუსეთის იმპერატორს, ვის კარზეც ესოდენ მიღებული და დაფასებული იყო გიორგი შარვაშიძე.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი 18 წლისა იყო, როცა მამა — მიხეილ შარვაშიძე დაუპატიმრეს, ხოლო თავად გიორგი რუსეთის შიდა გუბერნიაში გადაასახლეს. მაგრამ მალე „დანაშაული“ აპატიეს და მოიწვიეს პეტერბურგის სასახლეში. მომავალი მეფე ალექსანდრე III განსაკუთრებით წყალობს გიორგის. მისი არისტოკრატიული წარმოშობა, საუცხოო გარეგნობა, ფართო განათლება დიდებულ სარბიელს უხსნის მას იმპერატორის სასახლეში. მას აძლევენ

1 ანალოგიური მდგომარეობაა დღეს — ოღონდ ინგლისური ენის მიმართ.

ფლიგელ-ადიუტანტის მაღალ ხარისხს და მეფის ამალაში რიცხავენ. ასეთი წარჩინებისთვის თავს დასდებდა მისი წრის უდიდესი ნაწილი, მაგრამ ჭაბუკი გიორგისთვის მარად დაუვიწყარია და მარად ცოცხლობს მისი დაჩაგრული სამშობლოს ხატება, აჯანყების დახოცილ მეთაურთა სახეები. მასში ბობოქრობს მამის უტეხი სული და ის შეურიგებლობა, რომლითაც იგი გამსჭვალული იყო მეფის რეჟიმისადმი.

მოწყალე უფლისწული — რუსეთის იმპერიის მომავალი იმპერატორი, მოწყალე სასახლე, დიდებული, თავბრუდამხვევი სიმდიდრე, ფუფუნება და გართობა, ულამაზესი ფრეილინების თაყვანება და ალერსი... რაღას ინატრებს მისი წრის ადამიანი უკეთესს?

მაგრამ გიორგი შარვაშიძე ნატრობს. იგი ნატრობს მშობლიურ ცას და მიწას. მშობლიურ ხალხში ყოფნას, ნატრობს თავის მშობლიურ „ვარადას“.

„განგებავ! ამას ნუ მიწყენ
ვერ გადავგვარდე გვარადა,
ხანდახან დავიღუღუნო,
მამაპაპური ვარადა“.

გიორგი შარვაშიძემ თავისი ჩაგრული ქვეყნის მოქალაქეობა ამჯობინა პეტერბურგის სასახლეს, მის ბრწყინვალებას.

რაკი აფხაზეთში ცხოვრება ეკრძალებოდა, ქუთაისში დასახლდა. მეგობრობდა აკაკი წერეთელთან, მამია გურიელთან.

„გაბედულად შეიძლება ითქვას, რომ გიორგი ერთადერთი გამონაკლისი მაგალითი იყო მთელი ჩვენი საკმაოდ მრავალრიცხოვან მთავრების მემკვიდრეთა და უმაღლეს არისტოკრატიის წევრთა შორის, რომელმაც ქედი არ მოიხარა, მცირეოდენადაც არ დაიმცირა ღირსება თავის ერის მჩაგვრელ, თავის ხალხზედ ძალით გაბატონებულ ძლიერ სახელმწიფოებრივ მმართველობის წინაშე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ყველა მისი წრის ოჯახობა დიდ ბედ-

ნიერებად და საოცნებო ნეტარებად სთვლიდა იმ ჯილდო-წარჩინებას, რომელსაც გიორგი ზიზღით უარყოფდა. ვინ არ იცის, თუ რამდენი მსხვერპლით და ტანჯვა-წვალებით მიისწრაფოდნენ ყველა ჩვენი არისტოკრატიის წევრები სასახლის ყურადღება-წყალობის დამსახურებისაკენ, გიორგის კი ყმაწვილობიდან ეზიზღებოდა ყოველივე ის სიკეთე, რომელიც რუსეთის ტახტიდან გამომდინარეობდა“ (სიტყვა, წარმოთქმული გ. შარვაშიძის დასაფლავებაზე, ჟურ. „თეატრი და ცხოვრება“). სამაგიეროდ, გიორგის ორი ქცევა მიწა ენატრებოდაო თავის ქვეყანაში (გ. დ. შარვაშიძე კი, სამთავროს უმცროსი შტოს წარმომადგენელი, ჰოფმაისტერი, უშველებელი მაიორატის მფლობელი იყო აფხაზეთში). გიორგის აგრეთვე აკრძალული ჰქონდა აფხაზეთში ხანგრძლივი ცხოვრება და იგი მალულად, ჩოხაში გამოწყობილი მოგზაურობდა თურმე თავის მხარეში.

მეფის მთავრობა ამასაც არ სჯერდებოდა: ყოველნაირ პროვოკაციაზე მიდიოდა, იქნებ, როგორმე გაესვარათ გიორგის სახელი. ასეთი ბინძური პროვოკაცია იყო ჩქოტუას საქმე. სამურზაყანოს ერთ-ერთ პატარა სოფელში, საბერიოში, ზურაბ ჩქოტუას დაკისრებული ჰქონდა მეტად საპატიო მისია — მთავრის შვილების აღზრდა. ამ ოჯახში გაიზარდა გიორგი შარვაშიძე. დავით ჩქოტუა თითქმის მისი თანატოლი იყო. იგი გამოირჩეოდა განსაკუთრებული ნიჭიერებით. უსახსრობის გამო ვერ შეძლო სწავლის გაგრძელება პეტერბურგში და იგი გიორგი შარვაშიძემ, როგორც უახლოესი ადამიანი, თავისი და მეუღლის მამულების მოურავად დააყენა. დავითის მოურაობის დროს უცნაურ გარემოებაში დაიღუპა გიორგი შარვაშიძის ცოლის და. მეფის მთავრობამ ეს მკვლელობა დააბრალა დავით ჩქოტუას. თუმცა სავსებით დაუსაბუთებელი იყო ბრალდება, მაგრამ ახალგაზრდა, ნიჭიერი პუბლიცისტი და ჟურნალისტი ციმბირში გადაასახლეს...

გიორგი შარვაშიძე აღზრდით, განათლებით, მთელი თავისი არსებით ქართულ კულტურულ სამყაროს ეკუთვნის. „ქართული ენა გიორგისათვის არის არა მარტო მთავარი იარაღი, არამედ სიყვარულის განსაკუთრებული საგანიც. ამ დამოკიდებულებას ქართული ენისადმი კვებავდა ის ღრმა ცოდნა ძველი და ახალი ქართული მწერლობისა, რომელიც გიორგის ჰქონდა“ (ს. ჯანაშია). ხოლო რაც შეეხება რუსთაველს, რუსთაველის ზედმიწევნით ცოდნა აუცილებელი პირობა იყო განათლებულობისა. გიორგის ძიძიშვილი და სიყრმის მეგობარი დავით ჩქოტუა წერს: „ამ ნაწარმოებთან ურთიერთობაში ვარ ბავშვობიდან. ჯერ ვისმენ მის კითხვას მშობლების ოჯახში. უფრო გვიან თვითონ ვეცნობი; კიდევ და კიდევ ვკითხულობ და ვსწავლობ ზეპირად“. აღსანიშნავია, რომ ჩქოტუას დედა, ისევე როგორც გიორგისი, დადიანის ქალი იყო, რომელმაც შვილი ქართულ ეროვნულ კულტურას აზიარა.

აკად. სიმონ ჯანაშია თავის ბრწყინვალე გამოკვლევაში გ. შარვაშიძეზე ნათლად წარმოაჩენს იმ ოჯახურ გარემოს, იმ წრის როლს გიორგი შარვაშიძის პიროვნების ჩამოყალიბებაში, სადაც ის აღიზარდა, და განსაკუთრებით გამოყოფს აღმზრდელი ქალების ზეგავლენას გიორგიზე. მკვლევრის თქმით, დადიანების სახელგანთქმულმა გვარმა და ოჯახმა განსაკუთრებული როლი ითამაშა, როგორც ქართული ეროვნული კულტურის კერამ სამეგრელო-აფხაზეთის სამთავროებში, ხოლო ქალები ამ მხრივ სწორედ რომ საგანგებო როლს ასრულებდნენ.

გიორგის დედაც, „დიდი ნიკოს“ შვილიშვილი ალექსანდრაც, თანამედროვეთა გადმოცემით, მშვენიერი ქალია, რომელიც „ქართულს ლაპარაკობს თავის მამასავით ჩინებულად“. იგიც საზრდოობდა იმ წყაროთი, რითაც პაპამისი, მამა, მამიდები და ბიძები იკვებებოდენ.

სამშობლო ისტორიის ცოდნა, მწიგნობრობა და წიგნის სიყვარული, შაირმთქმელობა, ზმა, მუნასიბი, ანუ კაფია — საერთო მოვლენა იყო.

ს. ჯანაშიას მოჰყავს სამთავროს სახლის ერთ-ერთი ქალის მზითვის წიგნი — სამზითვო ნივთებს შორის ყველაზე ადრე დასახელებულია წიგნები, ჯერ საეკლესიო, შემდეგ საერო. მათ შორის, „ქართლის ცხოვრება“ სრული, ხრონოგრაფი, რომელ არს ბერძენთ ცხოვრება, ლექსიკონი საბასი, ვეფხისტყაოსანი, სიბრძნე სიცრუისა, ვისრამიანი, გრამატიკა, რიტორიკა, დიალექტიკა, კატიღორია და სხვ.

დადიანთა გვარს მრავალი შესანიშნავი მოღვაწე ჰყავს და ერთ-ერთი მათგანია ნიკო დადიანი — დავითისა და ეკატერინე ჭავჭავაძის შვილი, გიორგი შარვაშიძის თაობის წარმომადგენელი. მისმა ჩარევამ შეაჩერა მთავრობის რუსიფიკატორული განზრახვა — სამეგრელოს სამრევლო სკოლებიდან ქართული ენის განდევნისა და მის მაგიერ თვალთმაქცურად მეგრულის შემოღებისა.

„...მე წავიკითხე ის სტატიები, რომელნიც ამტკიცებენ, რომ მეგრული ენის შუა და ქართველთ ენის შუა სიმსგავსეც არ არისო. ჩემი ამბავი ხომ იცი, მე ვერაფერი გამაკვირვებს... მე ოღონდ ამას ვიტყვი, რომ ის გარეშე ქვეყნის ფილოლოგები, რომელნიც სწერენ მეგრულს და ქართულს ენებზედ, არიან სრულიად დაბნეულნი. ჯერ ჩვენი ენა ისწავლონ და მერმედ სწერონ... ჩვენდა საბედნიეროდ, ჩვენს ხალხს აქვს საკუთარი აზრი და რწმუნება, რომელიც დაგვიტოვა ჩვენმა საკუთარმა ისტორიამ და ახლა ვერა კაცი ვერ დაგვარწმუნებს იმას, რაც ნამდვილი არ არის ჩვენთვის და რაც ავნებს ჩვენს წინ წაწევას. ხალხს მაშინ გაიცნობს კაცი, როდესაც იმ ხალხში ცხოვრობს ან იმ ხალხის ენას ლაპარაკობს. ამას გარდა ხალხის ისტორია და სურვილი უნდა შეიტყოს კაცმა და შემდეგ ილაპარაკოს. მე მენგრელიას, იმერეთს და გურიას უყურებ, როგორც საქართველოს პროვინციებს. ჩვენ შუა განსხვავება არ არის ან არც უნდა იყოს: ეს არის ჩემი აზრი და ამ აზრით მოვკვდები. ესღა გვაკლია ახლა, რომ ვინმე ჩინეთელმა ფილოლოგმა დასწეროს ჩვენს ძველ ენაზედ ან გვასწავლოს ქართული. ეგების ამასაც მოვესწროთ...“ — წერს ნიკო დადიანი „ივერიაში“ (სხვათა შორის, გრ. ორბელიანმა თავის დროზე მისწერა ეკ. ჭავჭავაძეს: „სამეგრელო და თქვენ ეკუთვნით ერთმანეთს და ხართ განუყრელნი, კნიაზმა ნიკომ ახლავ, ვიდრე ყმაწვილი კაცია, უნდა დაჰკრას ბარი და მკვიდრად, შეურყევლად აღაშენოს ოჯახი თვისი. ზუგდიდი ერჩივნოს პეტერბურგსა. მანდ დათესოს ყოველივე კეთილი და მით დროზე აღადგინოს დაცემული თავისი ქვეყანა“).

დადიანთა გვარიდან ყველაზე შესანიშნავი კაცი მე-19 საუკუნეში იყო მესამე ნიკო, ნიკო „ფილოსოფოსი“, ცნობილი მწერალი, ქართული ენის ცოდნაში თანამედროვეთაგან მას იშვიათად თუ ვინმე შეედრებოდა (შალვა და მარიამ დადიანების მამა).

საყურადღებოა ერთი გარემოებაც: ჯერ კიდევ მაშინ, როცა საქართველოს დაშლა-გათიშვის გამო განსაკუთრებით ძლიერი იყო სეპარატისტული მიდრეკილებანი და ამ დროს სამეგრელო აღწევს განსაკუთრებულ ძლიერებას, ლევან დადიანის დესპანი ასეთ განმარტებას აძლევს რუსთა მთავრობას: „სარწმუნოება იგივე გვაქვს, რაც ქართლ-კახეთის მცხოვრებთ. ჩვენი მწიგნობრობა ქართულია. მხოლოდ ენაცა გვაქვს შინაურობაში სასაუბროდ...“ დაქუცმაცებისა და დაშლის დროსაც კი, როცა სამთავროები ერთმანეთს ებრძოდნენ კიდეც პირველობისთვის, მაშინაც კი, აკაკის თქმით, „...არც ერთ სამთავროს, არც გურიას, არც აფხაზეთს და არც სვანეთსა და სამეგრელოს არ დავიწყებიათ, რომ ქართველები იყვნენ!.. წირვა- ლოცვა,

მწიგნობრობა და სადარბაისლო საუბარი მათი ყველასი იყო ქართული და ქართული... მართალია, ერთმანეთში, შინაურობაში, ხშირად ჰქონდათ კინკლაობა, მაგრამ გარეშეებთან არ ავიწყდებოდათ თავისი ერთტომეობა, სისხლხორცობა და კავშირის განუწყვეტლობა...“ ხოლო ერთი შეკრებულობის შესახებ აკაკი წერს: „უნდა გაგეგონათ იქ მეგრელების მჭევრმეტყველება და მათი განმტკიცული, განწმენდილი ქართული და მაშინ იტყოდით, აი სად ყოფილან ნამდვილი ქართველებიო“. საყოველტაოდ ცნობილია აგრეთვე დიდი ილიას სიტყვები, ამ კუთხის შესახებ ნათქვამი და აგრეთვე ის გასაოცარი პატივი, რაც მიაგეს საქართელოს ამ უგვირგვინო მეფეს — მისმა თაყვანისმცემელებმა, როცა ეტლში შებმულებმა მიაცილეს იგი ცაიშიდან — ზუდიდამდე. ასევე სოხულში 1903 წ. რჩეული საზოგადოების წინაშე ილიას მიერ წარმოთქმული სიტყვები, დღესაც რომ აქტუალური გახლავთ.

მაშ ასე: გიორგი შარვაშიძის კულტურული და მოქალაქეობრივი მრწამსის სათავე ნათელია, მაგრამ ეს კულტურული ორიენტაცია, სიმონ ჯანაშიას თქმით, როდი ნიშნავს იმას, რომ გიორგი შარვაშიძე მოწყვეტილი იყო თავის მშობლიურ ბუდეს: „ქვეყანა მისი მშობელი“, თავისი ადგილობრივი სპეციფიკურობით გიორგი შარვაშიძეს ღრმა სიყვარულით უყვარდა. განსვენებულმა კონსტანტინე ერისთავმა, გიორგის მეგობარმა, გვიამბო, რომ როცა გიორგი ქუთაისში ცხოვრობდა, ზაფხულობით ის ხშირად მიდიოდა აფხაზეთში, გამოეწყობოდა ჩოხაში და მთელ აფხაზეთს მოივლიდა ისე, რომ კუნჭულს არ დატოვებდა დაუთვალიერებელს მთაში და ბარში, გზაზე თუ გზის გადაღმა. ასეთი ხეტიალისაგან სამოსშემოძარცული ბრუნდებოდა უკანო...“ (ს. ჯანაშია, გიორგი შარვაშიძე, სოხუმი, 1946).

თავის კუთხესა და ტომთან კავშირი გადასკვნილი იყო გ. შარვაშიძეში ხალხთან სიახლოვესა და დემოკრატიულობასთან. მის სადარბაზო ბარათზე მარტივად არის ქართულად აღნიშნული: ,,გიორგი შარვაშიძე“, არც ტიტულები, არც გვირგვინები, ჩვეულებრივი ბუტაფორია... თავის დროისთვის დიდად განათლებული, დასავლურ-ევროპული ენების და რუსულის საუცხოო მცოდნე, იგი პოლიგლოტად წარმოგვიდგება, ხოლო ქართულის ტრადიციულ ცოდნაზე უკვე იყო ნათქვამი — აფხაზურსა და მეგრულთან ერთად. თანამედროვეთათვის იგი იყო მოქცევისა და ზრდილობის ძველებური წესების ნიმუში: „ელეგანტენ არბიტერ“.

...ფიზიკურადაც ის საუკეთესო ტიპი იყო თავის რასის საყოველთაოდ განთქმული სილამაზისა; „ვეფხისტყაოსნის“ დამსურათებელს, ცნობილ მხატვარ ზიჩის გიორგი თურმე ულამაზეს კაცად მიაჩნდა და ტარიელის ხორციელი განპიროვნებისთვის უფრო შესაფერ ობიექტს ვერ პოულობდა. ხოლო ამ ტრადიციულ სადინართან, რომელიც, ს. ჯანაშიას თქმით, შორეულ ისტორიულ გარემოში პოულობდა სათავეს, შერწყმული იყო თანაგვარი კულტურული ტრადიციები, „რომელიც დროთა შორეთიდან, მამის ოჯახში იყრიდა თავს“.

***

როგორც ცნობილია, მე-8 საუკუნეში ჩამოყალიბებული აფხაზთა სამეფო მოიცავს მთელ დასავლეთ საქართველოს — ეგრისითურთ. ეს ახლად წარმოქმნილი სამთავრო სხვა დანარჩენ ქართულ სამთავროებთან ერთად „შეადგენს საქართველოს ფეოდალურ მონარქიას და მთლიანად არის მოქცეული ქართული კულტურის წრეში... აფხაზთა სამეფო-

ში სახელმწიფოს, მწიგნობრობისა და ეკლესიის ენა არის ქართული. ყოველ შემთხვევაში მე-9 საუკუნიდან მაინც, თუმცა, როგორც ზემოთ იყო ნათქვამი, ეგრისშიც და შემდეგ აფხაზეთის სამთავროში არ შეიძლებოდა ქართული ენა წამყვანი არ ყოფილიყო, რამეთუ ორივე სამთავროს მკვიდრი მოსახლეობა ქართველური იყო წარმოშობით, თუმცა თითქოს ბერძნული ენა მოძალებული ჩანს...“ ქართულ ენას ეს როლი არ დაუკარგავს მაშინაც, როდესაც, საქართველოს სამეფოს დარღვევის შემდეგ, წარმოიშვა აფხაზეთის სამთავრო... ეკლესიურად აფხაზეთი უკანასკნელ ხანამდე იმერეთ-სამეგრელო-გურიასთან ერთად, ერთ მთლიანობას შეადგენდა, ერთი საეკლესიო ქართული ენით. ქართულივე არის სამთავრო დაწესებულებათა და საზოგადოდ, მწიგნობრობის ენა... რუსული ოფიციალური ცნობებითაც კი, უკანასკნელი მთავარი მიხეილი — კავკასიის მმართველობასა და მის წარმომადგენლებს ჩვეულებრივად ქართულად მიმართავს. ქართულის ცოდნა, რა თქმა უნდა, უმთავრესად თავადაზნაურობას ახასიათებდა; ვახუშტი წერდა: „ენა საკუთარი თვისი აქუსთ, არამედ უწყიან წარჩინებულთა ქართული“.

ეს ტრადიციები, რასაკვირველია, თვით შარვაშიძეების სამთავრო სახლში იყო დამკვიდრებული. ამის ნათელი დასტურია, რომ ოსმალების მოძალების ჟამსაც, როდესაც ნაწილმა თავადაზნაურობამ მიიღო ისლამი, მათ შორის სამთავრო სახლის წარმომადგენლებმაც, ამ პერიოდშიც ქართული ენა კულტურის მთავარი ენაა როგორც სამთავროსთვის, ისე თვით მიხეილისთვისაც.

მთავრის ოჯახის წევრების მიწერ-მოწერის ენაც ქართულია. ასე მაგალითად, მიხეილი ცოლს ქართულად წერს ბარათებს და ა. შ. „ქართული ენის ასეთი ფუნქცია აფხაზეთში ქვეყნის მრავალსაუკუნოვანი კულტურულ-ისტორიული განვითარების ნაყოფი იყო... სათანადო ტრადიციები გადადიოდა თაობიდან თაობაში, ისტორიულ პირობებთან შეფარდებით, დაუბრკოლებლად ან მცირედი შეფერხებით, რაკი რეალური ინტერესების სფეროში აფხაზეთის მიზიდულობა საქართველოს დანარჩენი ნაწილებისადმი საბოლოოდ არასოდეს არ გაწყვეტილა. კერძოდ, მთავრისა და სხვათა დაწინაურებული ოჯახებისათვის ერთგვარი მნიშვნელობა უთუოდ ჰქონდა პირადს ნათესაურ კავშირს ამ ნაწილებთან, პირველ რიგში, სამეგრელოსთან, ასე, მაგ: მიხეილის როგორც დედა, ისე ცოლი დადიანის ქალები იყვნენ“. მაგრამ მე-19 საუკუნის ბოლოსთვის ვითარება შეიცვალა...

გიორგი შარვაშიძე ერთ-ერთი იმათგანი იყო, ვინც ამ ისტორიულ-კულტურულ ტრადიციებს აგრძელებდა და თავგამოდებით იცავდა. იგი ხმალშემართული იდგა ეროვნული ინტერესების სადარაჯოზე. მჭრელი და ბასრი იყო გიორგი შარვაშიძის კალამი, როცა იგი ეროვნული მეობისა და კულტურის დაცვას შეეხებოდა. ახლა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ეს თავგამოდება-თავგანწირვა და მისი ისტორიული სიტყვები; „მართალია, ჩვენს სამშობლოს ივერიას ყოველგვარი დიდი კულტურული განცდა გამოუვლია, მაგრამ ჩვენი წარსული ისეთს ჟამს გაშეშდა, რომ დაგვებნა ბუნებრივი ევოლუციის შარა და კანონი. დიაღ, ჩვენ შეგვიძლია თამამადაც ვთქვათ, რომ იღბალის უკუღმართობას რომ ხელი არ შეეშალა, ევროპის წინათაც ვიქნებოდით ჩვენ დღეს, ვინაიდან როდესაც ანდრია მოციქული აქ ქრისტეს მცნებას გვიქადაგებდა, მაშინ ევროპაში თვით დუკებსაც კამეჩის ტყავი ეცვათ ტანზე და ფეხშიშველა შუბებით ხელში ნადირობდნენ ტყეებში. მას მერე როგორც იყო, ომით, მუდამ დავიდარაბით, მივიტანეთ ჩვენი კულტურის ცხოვრება თამარ დედოფლის დრომდე, რომელიც იყო ივერიის ოქროს ხანა! შემდეგ კი უკუღმართად დატრიალდა ერის არსე-

ბობა. შემოსეული მტრები არ გვაძლევდნენ საშველს და ხალხი დაიღალა. ნელ-ნელა ჩაქრა დიდებული გონებრივი და ქონებრივი თანხა ქვეყნისა და დაიშალა ცხოვრება თვით არსებობისა. ენა გაღარიბდა, ზნეობა წაგვიხდა, გონება-შეძლება დავკარგეთ, რაინდობა და პატიოსნება განვაგდეთ და ბოლოს მოვაღწიეთ იმ ხანაში, როცა კეთილდღეობას ვპოვნიდით ჯაშუშობაში და სამშობლოს მტრობაში". საყურადღებოა ერთი ეპიზოდიც გ. შარვაშიძის ცხოვრებიდან — იოსებ გრიშაშვილის ცნობით, ცარიზმის ჩინოსნობის მაძიებელ ქართველებთან ბრძოლის მიზნით, გიორგი შარვაშიძემ ერთხელ მამია გურიელს წინადადება მისცა თურმე: „დავაარსოთ ხელის არჩამორთმევისა და სალმის არმიცემის საზოგადოება. ვინც ორჭოფი იქნეს, ხელი არ ჩამოვართვათ და სალამიც არ მივსცეთო. მამიამ უპასუხა: ჩემო გიორგი, მაშინ მე და შენ დავრჩებით, დავიკრიფოთ გულზე ხელი და ვიაროთო".

არსებული ვითარებით გულდაკოდილ გიორგის მწარე გოდება აღმოხდება: „ჩრდილოეთისა სასტიკი ჩრდილი, ჰოი, მამულო, სინათლეს გისპობს!"

***

I მსოფლიო ომის დროს მეფის მთავრობამ უკვე აშკარად მოიწადინა აფხაზეთის მოკვეთა დედა საქართველოდან და ჩერნომორიის გუბერნიასთან მისი მიერთება, აფხაზეთის ეკლესიის — სოხუმის ეპარქიის — საქართველოს ეგზარქატისგან ჩამოცილება და უშუალოდ პეტერბურგში არსებული ე. წ. უწმინდესი სინოდისადმი დაქვემდებარება. ფეხზე დადგნენ მთელი აფხაზეთის მოწინავე ადამიანები, რომლებიც გრიგოლ შარვაშიძეს ინიციატივით, წინ აღუდგნენ

ამ პროექტს. შედგა დეპუტაცია ალექსანდრე გრიგოლის ძე შარვაშიძის მეთაურობით, დეპუტაციაში შედიოდნენ: ექიმი ვარლამ შარვაშიძე, ასთამურ ინალიფა, მელიტონ ემუხვარი, გრიგოლ ზუხბაია; გლეხები: ზ. ეზუგბაია და ა. ჩუკბარი. დელეგაციაში შედიოდა აგრეთვე პეტრე ანჩაბაძე — ევროპულად განათლებული კაცი. იგი თავგამოდებით ებრძოდა ცარიზმს და ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი იყო. აფხაზეთსა და სამურზაყანოში ქართული ორიენტაციისთვის, ქართული კულტურის დანერგვისთვის ბრძოლას ჭეშმარიტად გმირული შემართულობა, ვაჟკაცობა და თავგანწირვა სჭირდებოდა. ერთ-ერთი ასეთი მამულიშვილი იყო პეტრე ანჩაბაძე, ხოლო მისი ოჯახი ოტობაიაში — მატარებელი ქართული კულტურისა და ეროვნული თვითშეგნებულობისა (ამ ოჯახშია ნაპოვნი მე-19 საუკ. დასასრულისა და მე-20 საუკუნის დასაწყისში ცნობილი და უცნობი ქართველი პოეტების ნაწარმოებთა „ანთოლოგია", „გუთნისდედად და გლეხად დაბადებული თავადის" — გიორგი შარვაშიძის მრავალი ლექსი).

დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა და მეფის ნაცვალს წარუდგინა პროექტი, რომელიც გრიგოლ შარვაშიძის მიერ იყო შედგენილ-შემუშავებული.

დედააზრი ერთი იყო ამ პროექტისა: „ერთობა ქართველებთან გვიხსნის მრავალნაირ განსაცდელთაგან და ამიტომაც ყოველ საქმეში ჩვენ ერთად ვართ და ვიქნებით". აფხაზეთის დეპუტაციამ კავკასიის მეფის ნაცვალს წაუყენა ეროვნული მოთხოვნები: აფხაზეთ-სამურზაყანოში ქართული სკოლების გახსნა, გზების კეთილმოწყობა და ა. შ. დეპუტაცია წარუდგა აგრეთვე საქართველოს ეგზარქოს პლატონს.

„თეატრი და ცხოვრება" წერდა: „სამშობლო იღვიძებს, წყლულების გამრთელებას ცდილობს, დიდი ხნიდან დაქსაქ-

სულნი ძმანი ძლივს ერთი კერის ირგვლივ — დედა ქართლის გარშემო — ვიკრიბებით. გვეყო, რაც უერთმანეთოდ, ერთი მეორისაგან გათიშულნი ვცხოვრობდით. ქართლ-კახეთი, იმერეთ-ამერეთი, გურია-სამეგრელო-აფხაზეთ-აჭარა-სვანეთი რომ ერთ დედ-მამის შვილნი ვართ, განა ამას მტკიცება უნდა! შავ დროთაგან გაგარევებულნი ქართველი მაჰმადიანები უკვე გვიბრუნდებიან.

ახლახან გაბედულად ხმა ამოიღო ძველი საქართველოს მშვენებამ — აფხაზეთმა და თავისი წარმომადგენლის ბაგით განაცხადა, მომეცით გზა განათლებული ცხოვრებისა და ნუ მწყვიტავთ დედა-საქართველოს მკერდს, მე მისი ძუძუ მიწოვნია, იგი ჩემით საზრდოებულა: მასთან სიცოცხლე, მასთან სიკვდილი! ასე იყო ძველად, ასევე უნდა იყოს ახლა.

ვაშა და დიდება გათვითცნობიერების გზაზე შემდგარ ხალხს, სიბნელეს სავსებით არ უძლევივართ, გარიჟრაჟი შემოგვღიმის და მომავალს გვიქადის. სალამი ჩვენი გულის ჩამონაწყვეტ საკინძს — ჩვენს ძმებს აფხაზებს და გაუმარჯოს მათ პირველ ნაბიჯს“.

აკი, გიორგი შარვაშიძესაც — აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის პირმშოს — „აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა“. „უბედური მამულის ყმის“ გულიდან ამოხეთქილი ამონაკვნესი იყო: **„იქ ისმის ჟღერა ბორკილებისა, იქ კვნესის სული, არ გესმით განა? ღირსია, ძმაო, შებრალებისა, ის უბედური ჩვენი ქვეყანა!“**

„არ ვაქელინოთ სამშობლო,
მეტოქეს ათასგვარასა...“

ვაჟა

ფერილები

„ავს თუ ავი არ უწოდო“...

„არ გათეთრდების ყორანი“...

ორ წელზე მეტი დროა გასული აგვისტოს ტრაგედიიდან, მაგრამ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის უმეტესობა ჯერაც ვერ მოსულა გონს. სამაგიეროდ, ე.წ. პრეზიდენტსა და მთავრობას ისე უჭირავთ თავი, თითქოს ამ ომში ერთი სოფელიც არ დაგვიკარგავს. არც მაშინ და არც დღეს არანაირი, თუნდაც მოჩვენებითი სინანულის, წუხილის, დარდის, ცოდვათა თუ უნებლიეთ ჩადენილ შეცდომათა გამო მონანიების ნიშანწყალიც არ ჩანს მათი მხრიდან. პირიქით, დღითი დღე მზარდ ცინიზმთან, უტიფრობასთან, ქედმაღლობასთან, ხალხის აშკარად აბუჩად აგდებასთან ერთად გრძელდება პომპეზური, ძვირად ღირებული შოუ-კონცერტებისა თუ სხვადასხვა სანახაობების — სერიალი! ხოლო თავად პრეზიდენტი მ. სააკაშვილი ისე ხალისობს და ლაღობს ბუნების წიაღში — ზღვასა თუ ხმელეთზე, თანაც ნახევრად შიშველი ისეთი ბედნიერი, კმაყოფილი სახით ევლინება ხოლმე ტელეარხებს, ისე იწონებს თავს „გამშვენიერებული“ ბათუმით (სოხუმი, ცხადია, სახსენებელი არ არის — რუსეთს თურმე სწორედ ბათუმზე ეჭირა თვალი, მაგრამ დახეთ: კოვზი ნაცარში ჩაუვარდა!), ისე კეკლუცობს და ენამზეობს მომავალში მსოფლიო მნიშვნელობის კურორტების, სასტუმრობის თუ სანატორიუმების აშენების პერსპექტივით, თითქოს ბუზიც არ აფრენოდეს თავზე! თითქოს გორიდან ორ ნაბიჯზე არ იდგეს ოკუპანტი, რომელსაც ცხინვალის რეგიონთან და აფხაზეთთან ერთად „საჩუქრად“ არ მიეღოს კოდორის აქამდე შეუვალი ხეობა-ახალგორითურთ! თითქოს ასეულობით ახალგაზრდა არ დაღუპულიყოს ორდღიან ომში...

რასაკვირველია, არავინ მოითხოვს იმას, რომ ძაძა და ფლასი ჩავიცვათ და თავზე ნაცარი დავიყაროთ, მაგრამ ეს გაუთავებელი ტაშ-ფანდურა რაღაა? რას ვზეიმობთ? იქნებ, ომწაგებულ პრეზიდენტს და მთავარსარდალს და, საერთოდ, ხელისუფლებას მეტი სიდინჯის, დარბაისლობის,

გონიერების გამოჩენა და აწონილ-დაწონილი სიტყვა-პასუხი მართებს!... პრეიზიდენტი ხომ, ასეა თუ ისეა, ქვეყნის, ერის სახედ აღიქმება როგორც შინ, ისე გარეთ! თუმცა... „ვინც რა უნდა თქვას, ჩემმა წისქვილმა კი ფქვასო“... ჩვენ ასე გვსურს, ასე გვინდა — მორჩა და გათავდაო! სხვა ყველაფერი — ღაღადებაა უდაბნოსა შინა. ხელისუფალნი არც მალავენ თავიანთ განწყობილებას — ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო... ანუ განაგრძობენ ვირტუალურ საქართველოში გულარხეინად ცხოვრებას: ვითომც არაფერი მომხდარა, ვითომც ყველაფერი კარგად არის, რასაც ე.წ. ნაციონალური ტელეარხებიც დღედაღამ ქადაგებენ. იქნებ, მართლა გამარჯვებულ, დალხინებულ ქვეყანაში ვცხოვრობთ და ჩვენ, უბრალო, ჩვეულებრივ მოკვდავებს არ ძალგვიძს აღვიქვათ ეს „საამური“ ცხოვრება, ანუ ის ვირტუალური სიამოვნება, რასაც ესოდენ რეკლამირებას უწევენ ხოლმე ცნობილი „რუსთავი 2“ და “იმედი”. მაგრამ... უამრავი ოფიციალური მონაცემითაც დასტურდება, რომ მილიონ-ნახევარზე მეტი ადამიანია გახიზნული საზღვარგარეთ ლუკმა-პურის საშოვნელად, დაახლოებით ამდენივე სიღარიბისა და სიღატაკის ზღვარს ქვემოთ ცხოვრობს, არც უმუშევართა და ნარკომანთა რიცხვი კლებულობს, ბავშვთა სიკვდილიანობით პირველ ადგილზე ვიმყოფებით, ჩვენი დაბა-ქალაქების ქუჩები ისევ ისე სავსეა ქართველი მათხოვრებით: მოხუცებით, ქალებით, ბავშვებით — რომელთა დიდი ნაწილი სანაგვე ყუთთან რიგში დგას (ქართველს იმიტომ ვუსვამ ხაზს, რომ ადრე, იმ უკუნსა და წკვარამშიც კი, ხელგაწვდილი ქართველი არ შემხვედრია — სხვათა შორის, დედის გინების შემდეგ, ყველაზე შეურაცხმყოფელი მათხოვრის სახელწოდება გახლდათ!), თითქოს არ ყვაოდეს ჩვენში ველური კაპიტალიზმისთვის დამახასიათებელი ელიტარული კორუფცია, ფარული თუ აშკარა პროსტიტუცია — კაზინოებსა და ტოტალიზატორებზე რომ არაფერი ვთქვათ, რომელთა სიმრავ-

ლით ბევრ „მოწინავე“, ამერიკისა თუ ევროპის ქვეყნებსაც კი გავუსწარით თურმე! თითქოს ციხეები გადავსებული არ იყოს პატიმრებით, რომელთა დიდი ნაწილი „ნემსის ქურდობისთვის“ ან საერთოდ უდანაშაულოდ ზის — პოლიტპატიმრებთან ერთად! თითქოს ყველაზე კაბალური შრომის კოდექსი არ გვქონდეს და ა.შ და ა.შ. ამის წინეებზე კი შეურაცხყოფილმა, სულში ჩაფურთხებულმა დევნილმა ქალმა, ნანა ფიფიამ, პროტესტის უკიდურეს ზომას მიმართა და თავი დაიწვა საჯაროდ — იქნებ, ჩემი თავგანწირვით სხვებს, ჩემსავით გაჭირვებულებს ეშველოთ რამეო. მერე რა? ამ შუბლისძარღვგაწყვეტილ მთავრობას წარბიც არ შეუხრია, ყურები არ შეუბერტყავს: ყველა დევნილი თუნდაც ერთ დღეს გაწყვეტილა! ისინი უკვე დიდი ხანია ზედმეტ ბარგად აწვებიან თურმე ამ მრავალი პარამეტრებით „წარმატებულ სახელმწიფოს“. უკვე ყელშია ამოსული მათი „პრეტენზიები“. გარედან შემოსული მილირდიანი დახმარების კი არა, ისინი იმ 22 ლარის ღირსნიც არ არიან (ეს იმ მილიარდებზეა ლაპარაკი, საქმეში ჩახედული ადამიანების აზრით, მაღალჩინოსნების ჯიბეებში რომ „ჩაილექა“ მეტწილად!) და, საერთოდ, როგორც ჩანს, დევნილები მხოლოდ არჩევნების დროს სჭირდებათ, სხვა შემთხვევაში კისერიც უტეხიათ და კინჩხიც. რას გამორბოდნენ რომ გამორბოდნენ — გოლგოთის გზის გამოვლას არ სჯობდა, შინ დარჩენილყვნენ და სხვებივით იქ ჩახოცილიყვნენ? აკი, იმ გაუბედურებული ქალის დაკრძალვაზე მისვლითაც თავი არ შეუწუხებიათ ხელისუფლების მაღალჩინოსნებს, მათ შორის „ჭირისუფალთუხუცეს“ სუბელიანს და „გაჭირვებულთა მთავარ მოზარეს“— ბარამიას! არც „მაღალჩინოსან“ ქალბატონებს შეღონებიათ გული. ან, იქნებ, ომის ვეტერანთა არგაგონილ დარბევაზე გამოთქვეს პროტესტი? სუბელიანის გადადგომაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. იაპონიის პრემიერ-მინისტრს ხომ არ მიბაძავდა ბატონი კ. სუბელიანი (იაპონიის პრემიერ-მინისტრმა ხალხისთვის

მიცემული ერთი პირობის შეუსრულებლობისთვის, აკი, თანამდებობა დატოვა!!!)

ისე კი, თუ სიდუხჭირე, უსამართლო სამართალი და ათასი სხვა უბედურება რეალობაა, მაშინ, ნ. დუმბაძის პერსონაჟის თქმის არ იყოს, თქვენ ასე რა გიხარიათ, ხელისუფალნო? გაუმაძღრობის სენი ხომ არ გჭირთ? საერთოდ, ეს სენი ნუვორიშებს ახასიათებთ, რომელთა გული, რუსთაველის თქმით, „კრული, ხარბი და გაუძღომელია“. მეორე გენიოსი პოეტის აზრით კი იგი „საწყაულია აღუვსებელი.“ მათი დევიზია: **„არა ვკმაობთ საკმაოთა, ნდომა ჩვენი უზომ, უხვა, გვსურს დიდება, გვსურს პატივი, გვსურს სახელის განთქმა, ქუხვა.“** ამ სულით და ხორცით მდაბიოებს — შესაფერისი განაჩენი გამოუტანა კიდეც პოეტმა: „არ მარადის იშვათ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“-ო (ეს, ისე, მცირე ლიტერატურული ექსკურსი გახლავთ, თუმცა მშვენივრად მესმის, ლიტერატურის და, საერთოდ, სულიერებისგან ერთობ შორს რომ ბრძანდებიან ფულის კეთების მაესტროები!).

მაგრამ... იქნებ, ამ „გაფარჩაკებულ“, არაფრისმაქნის ოპოზიციურ პარტიებს, ჩასარეცხ ინტელიგენციას და „ყრუ და ბნელი“ ხალხის უმრავლესობას ანუ, ბრბოს მართლა არ სურს დანახვა ქვეყნის ესოდენი „წინსვლისა“? ანუ რიყეზე ქვას ვერ ნახულობენ? არ უნდათ და იმიტომ ვერ ამჩნევენ, მსოფლიოს რეფორმატორ ქვეყნებს შორის პირველ ადგილზე რომ ვიმყოფებით თურმე! არც იმის დანახვა სურთ, რამდენი დასაქმებული, კმაყოფილი სახეა გარშემო — თუნდაც ჩვენს თითით საჩვენებელ პარლამენტში, რომ არაფერი ვთქვათ იმ დაწინაურებულ, წლოვანებით „უწლოვან“, მაგრამ „პროფესიონალიზმით გამორჩეულ“ ქალ-ვაჟებზე. ვერც სასტუმროების, გასართობი ადგილების, გამჭვირვალე-მინებიანი პოლიციის ნაგებობებს ამჩნევენ! ვერც კეთილმოწყობილ გზებს, გაბრდღვიალებულ ქალაქებსა და დაბა-სოფლებს (არადა, შუქი და გაზი, სხვათა შორის, სულაც არ იყო სანატრებელი იმ ავადსახსენებელი კომუნისტების

დროს!). მოკლედ, ამ „უმადურებს“ ხელს არ აძლევთ დანახვა, მცირეოდენი ხარვეზების მიუხედავად, ქვეყნის „გრანდიოზული“ წარმატებისა, რაც სწორედ „ვარდების რევოლუციას“ მოჰყვა და რასაც მთელი მსოფლიო აღიარებს თურმე (აქ უპრიანია ასეთი მინამღერი: „საამური ცხოვრებისთვის მადლობა დიდ სტალი... უკაცრავად: მადლობა დიდ პრეზიდენტსო“)! და კიდევ: ივიწყებენ ეს უმადურები ფრიად მნიშვნელოვან გარემოებას ისტორიიდან, როცა დავით აღმაშენებელმა 40-ათასი ყივჩაღი ჩამოიყვანა ქვეყნის „ასაშენებლად!“ (აკი, მ. სააკაშვილმა ერთხელ ერთობ „მარჯვედ“ გამოიყენა კიდეც ეს მაგალითი ინვესტორი ყაზახების საამებლად და ლამის მთელი ქართველობა ყივჩაღების შთამომავლად გამოაცხადა, ისევე, როგორც მოგვიანებით ჩვენი საამაყო მეფეთ მეფე თამარ ბაგრატიონი — ეთნიკურ ოსად აქცია ერთ-ერთი უცხოური გაზეთის ფურცლებზე— იმით დაიმედებულმა, ალბათ, რომ საქართველოში თითო-ოროლა კაცი თუ კითხულობს უცხოურ ჟურნალ-გაზეთებს და ვერავინ გაიგებს ამ ჩემს „მეცნიერულ აღმოჩენებსო“. და მაინც, ამ მხრივ ყველაზე „გენიალური აღმოჩენა“ მ. სააკაშვილისა გახლავთ ის, ბათუმში შოთა რუსთაველის ბიუსტის გახსნისას, ქართველობა სომხურ ეთნოსს ანუ არმენებს რომ მიაკუთვნა. პოეტი შოთა ზოიძის თქმის არ იყოს, ჩვენ რომ ნორმალური ქვეყანა ვიყოთ, თუნდაც მარტო ამის გამო პრეზიდენტის იმპიჩმენტის საკითხი უნდა დამდგარიყო — არა იმიტომ, რომ სხვა ეთნოსისადმი კუთვნილება სამარცხვინოა, არამედ იმიტომ, რომ უტიფრად ტყუის! და თან იცის, რომ ყოველნაირი სიცრუე გაუვა! უმეცრება არ მოეკითხება![1]

როგორც ცნობილია, ბარსელონას და ნიცას იშვიათად ნახულობენ ხოლმე ჩვენებურები და, ამდენად, ამ ქალაქების ღირსშესანიშნავ ნაგებობებს ქართველები არ იცნობენ. სააკაშვილს ჰგონია, მიუნჰაუზენობა ანუ ტყუილების კასკადი

1 ისევე, როგორც ჰალსტუხჭამიობა და შიშისგან მიწაზე ფორთხვა მტავარსარდალისა და პრეზიდენტისა — „შეუმჩნეველი“ დარჩა მავანთა და მავანთათვის!

აქაც ადვილად გამივა უბირთათვის თვალში ნაცრის შესაყრელადო. რატომაც არა! აკი, მართლა გასდის ყველაფერი! ამასთან, თუკი ასევე მარჯვედ და დროულად გააძევებ რესპუბლიკის (აწ „ვარდების რევოლუციის“) მოედნიდან დავით აღმაშენებლის ძეგლს — ამას რა სჯობს! ასევე, დროულად თუ მოახდენ ყოფილ სასტუმრო „ივერიაზე“ წარწერის გაქრობას და მის შეცვლას „რედისონით“ —ეს ხომ მთლად უკეთესი რამაა! სამაგიეროდ, სადღაც შენობის კუნჭულში ხომ დარჩა „ბლუ-ივერია!“ (გიხაროდენ, ქართველებო!) ამასთან, დროის შესატყვისად და დავით აღმაშენებლის „საქმეთა გასაგრძელებლად“, გაურკვეველი პროფესიის უცხოელი „პედაგოგების“ კოჰორტა ხომ ჩამოყავთ სხვადასხვა ქვეყნებიდან — რათა „ვარდების რევოლუციამდე“ ბნელსა და უკუნეთში ჩაძირული საქართველო, რომელიც თავის ნამდვილ არსებობას 2003 წლიდან იწყებს, გაასხივოსნონ განათლების შუქით! ეს „გასხივოსნება“ კი ინგლისური ენის სწავლით უნდა დაიწყოს ექვსი წლის ასაკიდან — ჯერ არნახული, არგაგონილი „ეპოქალური“ მნიშვნელობის მანდატურიზაციის თანხლებით! ხოლო სოფლის მეურნეობის „ასაღორძინებლად“ და ქართველი გლეხებისთვის შრომის მაგალითის საჩვენებლად, ამავე დროს, მათთვის ხორბლისა და ღვინის მოყვანის შესასწავლად, აფრიკიდან ევროპელი ბურების ჩამოყვანაა მიზანშეწონილი! ბურები თუ არა, სხვები — არაბები, ჩინელები, ინდოელები, თურქები და სხვანი და სხვანი — ახლო მეზობლების ჩათვლით — ცხადია, არ დაიზარებენ და ჩალის ფასად შეიძენენ და იძენენ კიდეც ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწა-წყალს და თავის დროზე ცარიზმის მიერ გეგმაზომიერად „აჭრელებულ“ ჩვენს ქვეყანაში, შესაძლოა, შეიქმნას კავკასიური მრავალეროვანი მინისახელმწიფო ანუ მეორე სინგაპური! დიდი ილიასა და სხვა მამულიშვილთა აზრით, ქართული მიწის გასხვისება ტოლფარდია ქართველების დედამიწის ზურგიდან აღგვისა! ყოველივე ამის მიუხედავად, უსათუოდ, უეჭველად უნდა

განხორციელდეს გარედან დაკვეთილი პროგრამა: საქართველო — ქართველების გარეშე! ანუ თანდათანობით, მეთოდურად, მიზანმიმართულად, სწორედ „ნაციონალური მოძრაობის“ თაოსნობით უნდა დაჩაჩანაკდეს, გაღატაკდეს ერი და პარალელურად ამოიძირკვოს და დასამარდეს ყოველივე ეროვნული, ქართული (ეროვნულის „ნაციონალურით“ ჩანაცვლებაც, ჩემი აზრით, შემთხვევითი ამბავი არ გახლავთ: ნაციონალური ხომ ეროვნულს ნიშნავს და იგი ხომ საამოდ ჟღერს ქართველის ყურისთვის!). დიახაც, ყოველი დეტალი, ყოველი ნიუანსი წინასწარ გათვლილია გარკვეული ძალების მიერ! რა თქმა უნდა, შემთხვევითი არც ის არის, რომ პარლამენტს დღემდე არა აქვს მიღებული კანონი რელიგიისა და ენის შესახებ. შემთხვევით არც ეროვნების აღმნიშვნელი გრაფაა ამოღებული დაბადების მოწმობიდან თუ პასპორტიდან!, დიახაც, უპრიანია სახელმწიფო ენად ინგლისური ენის გამოცხადება ახლო მომავალში! ხოლო ქართველების გარეშე დარჩენილი ტერიტორიისთვის სახელწოდების შეცვლა რა პრობლემა გახლავთ ამ ძალებისთვის, მით უმეტეს, საყოველთაო გლობალიზაციისა და მოდერნიზაციის ეპოქაში? ტყუილად ხომ არ იწვრთნებოდა წლების განმავლობაში სოროსის ლაშქარი საქართველოში თუ მის ფარგლებს გარეთ — „თავისუფლების ინსტიტუტის“ თუ „აკადემიის“ წინამძღოლობით! (ისე, რა მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის, ვინ წაგვართმევს სამშობლოს — კომუნისტური, კაპიტალისტური წესწყობილება თუ თემურ-ლენგის ურდო? ვინ მოგვსპობს, ილიას თქმით, ხმლიანი თუ ფანდით, ხრიკებითა და ფულით მოსული მტერი? ანუ: ვაის თუ გავეყრებით და ვუის შევეყრებით?)

ყოველივე ამის შემდეგ, ისტორიისა და ლიტერატურის „ღრმა“ მცოდნე მ.სააკაშვილი უფრო თამამად და გაბედულად აბანავებს წყალტუბოს წყლებში ან თუნდაც ბიჭვინთაში არა მხოლოდ თემურ-ლენგს, არამედ ბუღა-თურქსაც, ჯალალ-ედინსაც, შაჰ-აბასსაც და თვით ბუშსაც კი! რატომაც

არა! ოღონდ მ. სააკაშვილმა მოინდომოს და წინ რა, ან ვინ დაუდგება? ეს კია — წყალტუბოს, სამწუხაროდ, ძველი დიდება და სახელი არ შემორჩა, მაგრამ არა უშავს რა. წყალი ხომ ჯერჯერობით არ დამშრალა და თბილიც არის! ხოლო ბიჭვინთას რაც შეეხება — მართალია, მ. სააკაშვილი თავისი გაპრეზიდენტების პირველსავე წელს აფხაზეთში შედიოდა, მაგრამ დღეს ისევ ისე შორია ბიჭვინთამდე, როგორც მაშინ, თანაც — ძალიან შორია! თუმცა, როგორც ითქვა, თავის უცხოელი მრჩევლებისგან დარიგებულ-გამოწრთობილ პრეზიდენტს რა გამოულევს ახალ-ახალ ცრუ დაპირებათა პაკეტს? ან კვერის დამკვრელებს? სულ ტაშის გრიალში არ მიიღებენ განა პარლამენტში ყოველ მის „ინიციატივას“ — სინგაპურიზაციის და ვაუჩერიზაციის ჩათვლით! დიახაც, მ. სააკაშვილმა უნდა დაიკვეხნოს: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო!“ ხოლო ცრუ დაპირებათა კორიანტელსა და ტყუილების ნიაღვარში არხეინად მოყურყუმალე პრეზიდენტს ვინ შეჰბედავს და ეტყვის: „ხელმწიფე შიშველია-ო!“ ეტყვის და მერე თავის თავს დააბრალოს, რაც მოუვა! საამისოდ შესატყვისი მაგალითები ცოტაა თუ რა? ანუ რაც მოგივა დავითაო... და ა.შ. მოკლედ: „დედამ რომ შვილი გაზარდოს და მერე... ამისთანაო?“ ისე, რაც შეეხება მავანთა და მავანთა დემოკრატიულობის ხარისხსა თუ მის ნაკლებობაზე წარამარა აპელირებას, მართლაც ბრმა უნდა იყო, რომ ვერ „დაინახო“ და „ვერ შეამჩნიო“ არა მხოლოდ პოსტსაბჭოურ სივრცეში, არამედ, მთელს ქვეყნიერებაზე საქართველო დემოკრატიის შუქურად რომ ანთია (ვივა ჯორჯია!). ისიც უნდა ითქვას, „პური და სანახაობის“ სააკაშვილისეული ვარიანტი ერთობ ძველია, მაგრამ ამგვარ „ფიარებს“ იგი საკმაოდ ეფექტურადა იყენებს დღეს — უცხოელი დამრიგებელ-მრჩევლების მიერ დამოძღვრილ-გაწვრთნილი.

ისე კი, გამოტეხილად რომ ვთქვა, დემოკრატიაზე, მით უმეტეს — ფსევდოლიბერალურზე — თავის გამოდება მთლად მართებულად არ მიმაჩნია, ვინაიდან, თუ ისტორიას გავიხსენებთ და დღევანდელობასაც თვალს გავუსწორებთ, დემოკრატია მაინცდამაინც მთლად უმწიკლოდ არ გამოიყურება. სწორედ დემოკრატიის სამშობლოში, „ხალხის სასამართლომ“ საბერძნეთის რჩეულ შვილს — სოკრატეს — სიკვდილის განაჩენი გამოუტანა „სხვანაირად“ აზროვნების გამო, ხოლო მეორე მისი ასევე გამორჩეული პიროვნება — დიოგენე — დღისით, მზისით ქალაქის ქუჩებში ფარნით ეძებდა... ადამიანს! ანუ ადამიანობა, კაცობა მაშინაც და დღესაც, სამწუხაროდ, დეფიციტია თურმე. თუმცა, პიროვნების შეფასების საზომი ათადანბაბადან მაინც უცვლელი რჩება, ანუ კაცობა, პატიოსნება, ზნეობა იყო და არის მარადიული ფასეულობა ყველა დროსა და ყველა ეპოქაში.

რომის იმპერიის მეთაური მარკუს ავრელიუსი სწორედ თავისი კაცობით იყო გამორჩეული მასავით სენატისგან არჩეული ბევრი სხვა იმპერატორისგან. ავრელიუსისნაირებზე ითქმის სწორედ: „ის კაცი იყო, ვით შეჰფერის კაცსა კაცობა!“ ჩვენი რუსთაველის აზრითაც, „კაცი არ ყველა სწორია, დიდი ძეს კაცით კაცამდის“, ანუ დიდი მანძილი უნდა გაიარო, რომ კაცობას მიაღწიოო. ხალხური სიბრძნეც ამას ადასტურებს: „ზოგსა კაცსა კაცი ჰქვია, ზოგსა კიდევ კაცუნაო, ზოგ დიაცსა – დედაკაცი, ზოგსა — დედაკაცუნაო!“

...ამ ჩვენს პრაგმატულ, მეტწილად ჩარჩ-მევახშურ სამყაროში პირადად მე სწორედ კაცურ საქციელად მიმაჩნია საფრანგეთისა და პოლონეთის პრეზიდენტების, უკრაინისა და ბალტიის ქვეყნების ლიდერების ჩამოსვლა თბილისში ქვეყნისთვის უმძიმეს ჟამს, როცა ხელისუფლების ზოგ-ზოგი წარმომადგენელი უკვე „გახაზირებული“ იყო თურმე გასაქცევად, თუმცა, არ მინდა სიტყვა გავაგრძელო და მოვიხსენიო არც ის სამარცხვინო ტაშ-ფანდურა, რაც მაშინ გაიმართა „ზემოდან დაკვეთით“, არც ჰალსტუხჭამიად მონათლული და მიწაზე შიშით მფორთხავი პრეზიდენტის ცნობიერ თუ არაცნობიერ ნაკადებში მწადს გარკვევა, ერთი

რამ კი ცხადია: „არ ძალუძს ხესა ხენეშსა ნაყოფთა ტკბილთა გამოსხმა.“ მთავარი ის არის, რომ ხალხის ნება უნდა აღასრულონ ღირსეულმა პიროვნებებმა და არა „დემოკრატიულ სტრუქტურებში“ მოკალათებულმა გაყოყოჩებულმა, ვითომ არჩეულმა და გაზულუქებულმა მავანმა და მავანმა არარაობამ. ისე კი, როგორც ზემოთაც აღვნიშნე, დემოკრატიულობა გარანტია არ გახლავთ უპირობო სამართლიანობისა. აკი „დემოკრატიულმა“ ამერიკამ, პრეზიდენტ ტრუმენის დასტურით მიწასთან გაასწორა ხიროსიმა და ნაგასაკი! ასევე, რომ იტყვიან „უპრაგონოდ“ შეიჭრა იგი ვიეტნამში და სისხლის ზღვა დააყენა იქ! ამავე დროს დემოკრატიას თურმე კარგად ერწყმის რასობრივი დისკრიმინაცია და ფაშიზმიც კი! და ეს ხდებოდა XX საუკუნეში! კიდევ მრავალი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება იმ საძრახისი დანაშაულებებისა, დემოკრატიის სახელით რომ არის ჩადენილი! ასე რომ, დემოკრატიულ წყობილებაზე უკეთესი რომ ვერ შეუქმნია კაცობრიობას, ეს სულაც არ არის მისთვის გამამართლებელი საბუთი. და კიდევ: იმპერიული ზრახვები არა მხოლოდ მონათმფლობელურ-ფეოდალურ, სოციალისტურ-კომუნისტურ წყობილებებს, არამედ ე.წ. ლიბერალური თუ ფსევდოდემოკრატიული წყობის ქვეყნებსაც ახასიათებთ და თანაც ისეთი, „თვით ბრძენთაც რომ არ მოელანდებათ!“

...არ გავაგრძელებ მსჯელობას პიროვნების როლის შესახებ ისტორიაში თუ სხვადასხვა ფორმაციებისა და რეჟიმების მნიშვნელობაზე კაცობრიობის განვითარების საქმეში. ერთი რამ ცხადია: ყველა დროსა და ეპოქაში როგორც პიროვნების შეფასების კრიტერიუმი არ შეცვლილა, ანუ ვინ ვინ არის სინამდვილეში — ეს გახლდათ გადამწყვეტი ყოველთვის და დღესაც ასეა... ანუ კაცი ხარ, ადამიანი თუ — კაცუნა? აი, თავი და თავი ყოველივესი.

ისე, საკვირველი და უჩვეულო არაფერი ხდება ამ ცისქვეშეთში: ყოველ დროს, ყველა ქვეყანაში დგება ჟამი, როცა „სიბნელის ხელმწიფებაა“. ხელისუფლებაში ხშირად მოდიან

ტირანები, უზნეო, ამორალური მმართველები მშვიდობის ნიღბით, სინამდვილეში კი სისასტიკის, ბიწიერების, ყოველგვარი მანკიერების მატარებელნი რომ არიან და ბუნებრივია, მწყრალად ბრძანდებიან სინათლესთან, სიკეთესთან, ზნეობასთან, სინდისიერებასთან და სხვ. ამ მხრივ არც ჩვენი საუკუნეა გამონაკლისი. ხელისუფლებაში სხვადასხვა ხერხებით და მანიპულაციებით ან ვითომ არჩევნების გზით მოსული მანიაკებისთვის უმთავრესი მრწამსი გახლავთ: „რას მიქვია სახელი უსახრავადო“, ანუ, ძველების თქმით: როჭიკისთვის, ულუფისთვის სულგაყიდულები ბრძანდებიან და მათთვის ერთადერთი სალოცავი კერპი — მამონაა!

მინდა მივმართო დიდ შემოქმედს, არა მხოლოდ ძველი ინგლისის, არამედ დღევანდელი მსოფლიოს მრავალი ქვეყნის, მათ შორის, ჩვენი ბედკრული, მრავალტანჯული, თავისი უძღები შვილებისგან არაერთხელ გაყიდული სამშობლოს სატკივარიც რომ აქვს გამოთქმული: **„ყველაფრით დაღლილს სანატრელად სიკვდილი დამრჩა, რადგან მათხოვრად გადაიქცა ახლა ღირსება, რადგან არარამ შეიფერა ძვირფასი ფარჩა, რადგან სიცრუე ერთგულების გახდა თვისება, რადგან უღირსებს უსამართლოდ დაადგეს დაფნა, რადგან დიდებას სამარცხვინოდ უთხრიან საფლავს, რადგან ძლიერნი დაიმონა კოჭლმა დროებამ, რადგან უწმინდეს ხელოვნებას ასობენ ლახვარს, რადგან უვიცი და რეგვენი ბრძენობს ადვილად, რადგან სიმართლე სისულელედ ითვლება ახლა, რადგან სიკეთე ბოროტების ტყვედ ჩავარდნილა, ასე დაღლილი ამ ქვეყნიდან გაქცევას ვარჩევ, მაგრამ არ მინდა ჩემი სატრფო ობლად რომ დარჩეს!”** ეს ის სატრფოა, ჩვენი აკაკის თქმით, მტერს რომ ჰმონებს: “მოხიბლულა, შემცდარია ის არი, ალერსით მთვრალს ვერ უხილავს ისარი!”

„არ ვიცით რანი ვყოფილვართ, არ ვხედავთ — რანი ვართ, ვერ გამოგვისახია — რანი ვიქნებით! ყურებში ბამბა გვაქვს დაცული და თვალებზე ხელი აგვიფარებია. არც

არაფერს ვხედავთ, არც არაფერი გვესმის. უზარმაზარი თხრილია ჩვენი, ქართველების წინ და აინუნშიაც არ მოგვდის, ამ თხრილის პირას ვდგევართ და საკმაოა ხელი გვკრან და შიგ გადავიჩეხებით დედაბუდიანად. ორბი, არწივიც კი ვეღარ გვიპოვის, ვეღარ დასწვდება ჩვენს ძვლებს, რომ გამოხრან, გამოსწიწკნონ, ისეთი ღრმაა ეს თხრილი, უძირო. ვდგევართ და უღონოთა ვბზუით: „მე ვარ და ჩემი ნაბადიო“ და ამ ბზუილიდან არა გამოდის რა”. როგორც ყველა გენიოსი, ილიაც შორსმჭვრეტელი იყო და ამიტომაც არის, ეს სიტყვები ისე ჟღერს, თითქოს დღეს დაწერილაო, ამ წუთას, ამ ჟამს! როდესაც ქვეყანა მართლაც სრული დენაციონალიზაციისა და მორალურ-ზნეობრივი დეგრადაციის წინაშე დგას, ანუ, ერთი პიროვნების მოსწრებული თქმით, ლიბერალურ-დემოკრატიული სოუსით შეკმაზული „ველური კაპიტალიზმის“ წყალობით ყოფნა-არყოფნის სერიოზული დილემის წინაშე აღმოვჩნდით. ნაცვლად იმისა, რომ ყველანი — ერი თუ ბერი — ერთ მუშტად შეიკრას, ხდება პირიქით: უკვე თვლა აღარ არის ერთმანეთის მოქიშპე პარტიების, სამთავრობო თუ არასამთავრობო ორგანიზაციების, კავშირების, გაერთიანებების და ა.შ. (სახელების შერჩევაში, უნდა ითქვას, დიდ „ნიჭიერებას“ ვიჩენთ ხოლმე!) — ცალ-ცალკე რომ ცდილობენ ლელოს გატანას, ანუ სულ ტყუილუბრალოდ იხარჯება ესოდენი ენერგია, მონდომება და ძალისხმევა. ვერა და ვერ დავიდა მავანთა გონებამდე თითქოს მარტივი ჭეშმარიტება, რომ ძალა ერთობაშია! როგორ არ გაგახსენდება ამ დროს მე-17 საუკუნის მემატიანის მწარე სიტყვები, რაიც აქ კიდევ ერთხელ უნდა მოვიხმო: „ამათ (ქართველებს) ერთი პირი რომ ჰქონებოდათ, ვერც რამეს უზამდნენ, ვერც სხვა მტერი წაართმევდა რასმეს, ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს (შუღლს და მტრობას) არც მოკლებულან და არც დაუშლიათ”, ანუ: კვლავ დაჟინებით გაისმის „უჩემოდ ვით იმღერეთაო“, გრძელდება წყლის ნაყვა, მოჩვენებითი ერთიანობით თვალში ნაცრის შეყრა როგორც ერთმანეთისთვის, ისე საზოგადოებისთვის და, დანტეს თქმით, **„ცოცხლად შთენილნი დღენიადაგ სჭამენ ურთიერთს თავად ისინიც, ვინც საერთო ციხეში ცხოვრობს“.** როდემდის გაგრძელდება ეს „ერთმანეთის ჭამა“ — ეს უაზრო, უსაგნო ჭიდილი? იქამდე ხომ არა, როცა, როგორც გვიწინასწარმეტყველებენ ხოლმე ჩვენი „კეთილისმყოფელნი“ — გასაყოფი არც არაფერი დარჩება? ან შესაძლოა, ერთი უბანიღა შემორჩეს დედაქალაქს „საპრეზიდენტო ალაგად!“ ანუ: მოხდეს მავანთათვის ესოდენ სასურველი — სინგაპურიზაცია?

„მეცოდება ჩემი სამშობლო — საქართველო: ნაქარალი, ნაქორალი, გაგლეჯილი, გამოგლეჯილი, დაჭრილი არწივი, ვეფხვი უსულოდ დანარცხებული. როდის აიკუწება წიბონი გველეშაპისა? ვაი, მამულო, ნაჭირნახულევო, სისხლით შეღებილო, დამწვარო, ტყვედქმნილო, ვაი მამულო, გამესამედებულო... იმარხება საქართველო, იმარხება ქრისტეს კუნძული ქართველთყლაპია მტრის მიერ... შავ ზღვაში ჩავარდა მზე საქართველოსი, რაღა ამოიყვანს?”

ისევ უნდა მოვუხმო ჩვენი დიდებული პოეტის გიორგი ლეონიძის პერსონაჟს: „ქაღალდზე მეოცნებეთა დრო წავიდა. საქმეა საჭირო, საქმე!“ უნდა გავიხსენო აგრეთვე ჩვენი უნივერსალური პოეტის სიტყვებიც, გულგატეხილთა მიმართ თქმული: „ჭირსა შიგან გამაგრება ასრე უნდა ვით ქვითკირსა“ და რომ ბოროტება უეჭველად იძლევა, რომ „უმსგავსო საქმე ყოველი, მოკლეა, მით ოხერია!“

...1917 წლის 6 აპრილს გაზეთ “საქართველოში” გამოქვეყნდა ცისფერყანწელების ერთ-ერთი ლიდერის ტიციან ტაბიძის (მაშინ ის 22 წლის ჭაბუკი იყო) „ღია ბარათი. მიმართვა ქართველი მწერლობისადმი“. ამონარიდი ამ წერილიდან: „...დღეს, როდესაც ხმის ამოღების საშუალება მოგვეცა... როცა ქალაქიდან ქალაქად, სოფლიდან სოფლად დადიან ალბათ სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები და ერის ნებისყოფას ანელებენ კერძო, ჯგუფური თუ სხ-

ვადასხვა მოთხოვნათა შერევით, საჭიროა მათ წინ უსწრებდეს ქართველი მწერლების შეერთებული ხმა, რომელშიც ყოველ ჯგუფურობაზე მაღლა მდგარი ქართული აზრი გამოითქმება...“

საუკუნის წინათ დაწერილ ამ სიტყვებს თითქოს კომენტარი არ სჭირდება, მაგრამ ვაგლახ, რომ ასე არ არის! სჭირდება და მერე როგორ?

სწორედ „ქართული აზრი“, ანუ ეროვნული სულისკვეთება რომ ჩაწიხლულიყო „დამოუკიდებელ საქართველოში“, ამისთვის არა მხოლოდ მაშინ, არამედ დღესაც საჭირო შეიქმნა ქვეყნის ეკონომიკურ დაქცევასთან, ანუ ლიბერალურ-დემოკრატიული შირმით ველური კაპიტალიზმის დამკვიდრებასთან ერთად — აშკარა თუ ფარული ბრძოლა მართლმადიდებლობის წინააღმდეგ, მწერლობის და, საერთოდ, ქართული კულტურის, ხელოვნების, მეცნიერების თვალსაჩინო წარმომადგენელთა დისკრედიტაცია სხვადასხვა ბინძური საშუალებებით ანუ ის, რაც ესოდენ „ოსტატურადაა“ წარმოჩენილი „დალესის დოქტრინით“ ცნობილ დოკუმენტში, რომელიც მკაფიოდ ასახავს, რანაირი ხერხებით უნდა მოხდეს მსოფლიო ბატონობის ოდინდელი იდეისთვის ხორცშესხმა, გლობალიზაცია, მოდერნიზაცია, რაც უწინარესად გულისხმობს მცირე ერების გადაშენების, მათი გაქრობის პროცესის დაჩქარებას — მნიშვნელობა არა აქვს, ცხადია, რა სულიერი ღირებულებების მატარებელია ესა თუ ის ერი, რა წვლილი აქვს შეტანილი კაცობრიობის განვითარებაში და ა.შ.

„არ გათეთრდების ყორანი, რაც უნდა ხეხო ქვიშითაო, — უთქვამს ჩვენს ბრძენ ხალხს. დიახაც, როგორც არასდროს, ახლა მართებს, ალბათ, მთელ ერს შემართება და თავგანწირვა კაცობრიობის წარუვალი ღირებულებების დასაცავად და იმისთვის, რომ „ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!“

ნაწყვეტი წიგნიდან: „ბილწთ არ შევეკრი ზავითა“.
2010 წ.

„ავს თუ ავი არ უწოდო“...

საქართველოში ამ ბოლო დროს თითქოს ტაბუდადებულ მასონებსა და მასონურ ლოჟებზე ხმამაღლა ალაპარაკდნენ. გაზეთ „ჯორჯიან თაიმს“-ში გამოქვეყნდა ეკონომიკის მინისტრის მიერ ხელმოწერილი დოკუმენტი, რომელშიც მასონური ლოჟების დაკანონებაზეა საუბარი. ანუ ის, რაც ფარულად არსებობდა, სამზეოზე უნდა გამოვიდეს (ალბათ, მალე ჰომოსექსუალისტების კლუბის ლეგალიზაციაც მოხდება!). ეკონომიკის სამინისტროს წარმომადგენლები არ უარყოფენ ამ ფაქტს, ვინაიდან, მათი აზრით, ევროპასთან ინტეგრირების კუთხით მასონური ლოჟების დაკანონება თურმე აუცილებელი ყოფილა!

მასონებსა და მასონურ ლოჟებზე უამრავი ლიტერატურა არსებობს, მათ შორის გახლავთ კრებულის დასაწყისში უკვე ნახსენები ჯონ რედკლიფის პროგრამაზე დაფუძნებული დალესის დოქტრინა.

მაკიაველიზმისა და ბოლშევიზმის ეს ნაჯვარი დოქტრინა, ვის მიერაც არ უნდა იყოს შედგენილი, ძირს უთხრის ქვეყნის, ერის თვით არსებობასაც კი!

არაერთხელ თქმულა და დაწერილა, რომ სწორედ საინფორმაციო საშუალებებით (ტელევიზია, რადიო, პრესა) მიმდინარეობს ჩვენში ქართული, ანუ მართლმადიდებლური ცნობიერების, კულტურის, მწერლობის, მეცნიერების, ენის წინააღმდეგ ფარული თუ აშკარა ომი, რასაც, ცხადია, ზურგს უმაგრებს „კაცობრიობის უძლიერესი მამოძრავებელი ძალა — ოქრო!“ შემთხვევითი არ გახლავთ ის ამბავიც, რომ დღემდე არ არის მიღებული პარლამენტის მიერ კანონები ენისა და რელიგიის შესახებ; რომ დაბადებისა და პირადობის მოწმობებიდან ამოღებულია ეროვნულობის გრაფა (ახლა, მგონი, გვარის სურვილისამებრ შეცვლის კანონსაც „ამუშავებენ“, ანუ „ვისი გორისა ხარ“ — როგორც

დრომოჭმული ფორმულა — სანაგვეში უნდა მოისროლონ), ამავე კონტექსტში მოიაზრება სექტანტების მფარველობა და ა.შ. ციინიზმი იქამდეა მისული, რომ მავანნი და მავანნი, ანუ „დოქტრინის“ მიხედვით ისინი, რომელთაც შეუქმნეს ყალბი ავტორიტეტი არ ერიდებიან ჩვენი დიდი მამულიშვილებისა და წმინდანების სახელების შეურაცხყოფასაც...

ოდითგანვე ჩვენში ქართველი ქალი წარმოადგენდა ოჯახის ბურჯს, მის დედა-ბოძს, რაც ქრისტიანულ-მორალური ზნეობრიობით იყო განპირობებული. ერის ზნეობრივი ბარომეტრი ქალი გახლავთო, ამბობდა აკაკი წერეთელი. ერის ზნეობრივი დეგრადაციაც სწორედ რომ საცნაური ხდება ქალის მეშვეობით. ამიტომაც არის, ალბათ, ასე სასწრაფო სკოლებში სექსის სწავლება, აგიოგრაფიის ამოღება სასწავლო პროგრამიდან, საქართველოს ისტორიის საათების თანდათან, ნელ-ნელა შემცირება. ზოგიერთი არხი უკვე „აპარებს“ კიდეც „ქალიშვილობის ინსტიტუტის“ დასაცინ კლიპებს და ა.შ. ცხადია, ეს სატანისტური პროგრამები უწინარესად ვერ შეიწყნარებენ, უფრო სწორად, მიზანდასახულად ებრძვიან სწორედ ქრისტიანულ ზნეობას, მართლმადიდებლურ პოსტულატებს, რადგან ისინი აბსოლუტურად შეუთავსებელია ამ მავნებლურ „კონცეფციებთან“ — უფრო მეტიც: სრულიად საწინააღმდეგოა მათი უზნეობის, გარყვნილების, ყველაფრის დაშვების „იდეოლოგიასთან“, მათ გახრწნილ „სულიერ“ კრედოსთან. ამდენად „გასაგებია“ ის თავდასხმებიც, რაც ხორციელდება სწორედ ქართული ეკლესიის და მისი საჭეთმპყრობელის მიმართ...

როგორც ჩანს, ხელისუფლებას ბზუილად ჩაესმის ის შეძახილები, აქა-იქ რომ გაისმის უკვე საზოგადოებაში და მედიის ფურცლებზე. იბზუილონ, რამდენიც უნდათ! ვინ რას დაგვაკლებს, ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო. მთავარია, ჩვენ ასე გვინდა, ასე გვსურს და... ასე უნდა იყოსო! ხოლო, ვინც არ გვეთანხმება, ისინი ქვეყნის, ხალხის და დემოკრატიის მტრებიაო; მაშასადამე... ჯვარს აცუ ეგე! ჯვარს აცუ ეგე!

კი მაგრამ... ეს ყოველივე ხომ იყო უკვე, ბატონებო?! ბრბოს ქვენა ინსტინქტებზე აპელირება და პიროვნების შეურაცხყოფა — არახალია, ძველია. თუმცა... ეტყობა, ეს ჩვენ, „ერთ მუჭა ხალხს“ (განათლების „უგანათლებულესი“ მინისტრის ტერმინი გახლავთ!) გვეჩვენება, რომ „ყველაფერი არის ძლიერ კარგად, ყველაფერი ძლიერ ცუდად არის!“ ეს ჩვენ, „ერთ მუჭა“ ხალხს გვგონია, რომ „გაგვიბატონდა, მგოსანო, სირეგვენე შეუწონარი“, რომ ვაჟას ვედრება: „ღმერთო, ქართველს შეაყვარე საქართველო“ — ვედრებადვე უნდა დარჩეს. ეს ჩვენ, „რეტოგრადებს“ და „ურაპატრიოტებს“ მიგვაჩნია, რომ ერთობ მოგვიმრავლდა ყვარყვარეები, ცრუპენტელები, გვარშეცვლილი ღამურები, ტაკიმასხარები, შეფარული შურისმაძიებლები, კმარას და მისი „ბელადის“ — თუთბერიძისნაირი მოძალადეები და უმეცრები, გრანტიჭამიები, ანუ ეშმაკზე სულმიყიდულები, მომხვეჭელები, უღმერთოები, ზნედაცემულები, რომ ისევ ისე უზნეობის მარათონია გამართული ქვეყანაში, ანუ გეგმაზომიერად ხორციელდება დოქტრინისეული პროგრამამუხლობრივად!.. რომ იგი კი წავიდა, მაგრამ ამ „ტურფა საბაღნაროში“ სინამდვილეში ახალი არავინ მოსულა, ანუ ისევ ისინი, ე.წ. „ვარდების რევოლუციამდე“ რომ იყვნენ მთავრობასა თუ პარლამენტში, იგივენი მოგვევლინენ ძირითადად ქვეყნის სათავეში „დემოკრატიის დასაცავად“, თუმცა, ახლაც ისევ, და უფრო მეტადაც, სწორედ ადამიანის უფლებები ირღვევა, რომ არაფერი ვთქვათ ფარსად ქცეულ სასამართლოებზე, რომ ისევ ისე: „შორია... აფხაზეთამდე“! თუმცა... სააკაშვილის წინასაარჩევნო დაპირებისამებრ, ექვს თვეში შევდიოდით იქ! ისევ ისე ხელის გაწვდენაზეა ცხინვალი, მაგრამ კვლავინდებურად ხელი არ მიგვიწვდება მასზე! სამაგიეროდ, კვლავ ჩაიხოცნენ იქ ჩვენი ბიჭები, კვ-

ლავ დაჩოქილი აღმოჩნდა არა მხოლოდ 50 კაცი, არამედ... მთელი საქართველო! ისევ ისე უშედეგოდ მიდის ბრძოლა ცხრათავიან დევთან — კორუფციასთან, უშედეგოდ იმიტომ, რომ, სანამ სიღატაკეა ქვეყანაში, სანამ ტოტალური უმუშევრობაა, სანამ, დოქტრინის მიხედვით, წინასწარ გამიზნული სტაგნაციაა ეკონომიკაში, იქ ამაოა ყოველგვარი „წარმატებული“ ბრძოლა კორუფციასთან, ანუ ბლეფია ყოველგვარი გამარჯება, როცა ციხეები სავსეა ახალგაზრდებით და მოზარდებით, მეტწილად „ნემსის ქურდობისთვის“ რომ არიან დაჭერილები, როცა პოლიტიკური ანგარიშსწორება ხდება დაპატიმრებული ამა თუ იმ მაღალი ჩინოსნის მიმართ, იქ ლაპარაკი ზედმეტია კანონიერებაზე, სამართლიანობაზე!

ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში გიორგი მერჩულე ბრძანებდა: „კაცი უნდა საქმობდეს და არა სიტყვით ვაჭრობდესო.“ ანუ საქმე ფუჭსიტყვაობამ და მანასეობამ არ უნდა შეცვალოსო („ასე ჩემო მანასეო, ხან ისე და ხან ასეო!“)

დიახ, ეს ჩვენ, „ერთ მუჭა“ ხალხს მიგვაჩნია, რომ პარლამენტმა მიიღო თავის არსით ანტიეროვნული, გარეგანი ფორმით კი ვითომ დემოკრატიული, დასავლური ყაიდის განათლების პროგრამა, რომელსაც „რატომღაც“ ი. ჭავჭავაძის სახელი ჰქვია (სოს! ცინიზმი ნახეთ!), მიიღო სწორედ ბ-ნი ლომაიას მიერ შემოთავაზებული, უფრო სწორად, სოროსის მიერ შეკვეთილი ვარიანტი! ლომაიამ უნდა დაიკვეხნოს: ძალი შემწევს ქადილისაო. ეს ვითომ მელიორაციის სპეციალისტი (ჰუმანიტარები, რასაკვირველია, „დაილივნენ“ საქართველოში განათლების მინისტრის თანამდებობაზე) ბედავს, ხალხს თვალში ნაცარი შეაყაროს და განაცხადოს: არანაირი არგუმენტები არ წარმოუდგენიათ მოწინააღმდეგეებსო. ეს პროგრამა „სრულყოფილია“ იმიტომ, რომ იგი შეჯერებულია უცხოეთის პროგრამებთან, იქიდან გადმოწერილია და, მაშასადამე, წყალი არ გაუვაო. ისევ ილიას უნდა მივმართო: „რაკი უცხო ქვეყნიდამ მოვა ჩვენში სწავლული თუ უსწავ-

ლელი, ამას აღარ დავდევთ და პირღია შევყურებთ ჭკუის მასწავლებელთ, აბა, ეს არისო... თან ორიოდე მზად გაკეთებული და მოგონებული რეცეპტიც მოაქვს და მტვერს გვიყენებს თვალწინ: საზღვარგარეთ ესეაო და თქვენც ასე უნდა მოიქცეთო, რაც კი რამ სამშობლოშია, ყველას გვიქოლავენ, თქვენ აბა რა იცით, ბრიყვები ხართო. აბა კარგი რა გექნებათო. ჩვენ ვიძახით — მართალი ბრძანდებითო“. ასეთ „ჭკუის მასწავლებლებს“ ანუ ჩვენს დასავლეთუმეებს: ლომაიას, ბენდუქიძის, ჯგერენაიას და მათ თანაგუნდელთა სახით დღევანდელ საქართველოში მართლაც დიდი ასპარეზი აქვთ გადაშლილი „სამოღვაწეოდ“. ბ-ნი ლომაია ტყუილად არ „უცილობლობს, ვითა ჯორი“ — იცის მელიორაციის თუ კანალიზაციის სპეციალისტმა, ვინ დგას მის ზურგს უკან, იცის მეთოდ-ხერხები, როგორ „ჩაძიროს“ ქართული ეროვნული სულის და ცნობიერების მატარებელი საგნები. ამასთან, შესაძლებლად მიაჩნია, სადღაც ჯურღმულში მცხოვრები, მშიერი ბავშვებისთვის დახმარება ერთი წლით გადადოს. ვთქვათ, იმის ნაცვლად რომ მან და მისმა კოლეგა მინისტრებმა ათას-ათასი ლარი მაინც გაიღონ ყოველთვიურად ამ პატარებისთვის, რომ არ დაიხოცონ შიმშილით თუ ფილტვების ანთებით. არა ბატონებო, ინგლისის დედოფლის ზნეობრიობას, დიმიტრი ყიფიანის რაინდულ სულს ანდა ბ-ნი ივანიშვილის, სარაჯიშვილს თუ ზურაბიშვილს ქველმოქმედებას არავინ გთხოვთ — ლაპარაკია ელემენტარული დახმარების გაწევაზე, ვთქვათ, იმათთვის, ვინც აკვანს თავის ქოხმახის ჭერზე ჰკიდებს, რომ ბავშვი ვირთხებმა არ დაუჭამონ!

როგორც ჩანს, ჟირინოვსკის წინასწარმეტყველება — ქართველები მალე-800 ათასამდე იქნებითო, სინამდვილესთან ახლოსაა. ისევე, როგორც ნიშნს გვიგებს — ფედერალიზმის წყალობით მალე თბილისის ამარად დარჩებითო.

ეკონომიკურ სიდუხჭირეს ემატება ისიც, რომ ვითომ დემოკრატიის დასაცავად მოსული „ახალი ხელისუფლება“,

რაც დრო გადის, არ ერიდება სწორედ ადამიანთა უფლებების დარღვევას. სხვას რომ თავი დავანებოთ, ის უპრეცედენტო დარბევა ინვალიდებისა კმარა საილუსტრაციოდ ან სულ ახლახან არანაკლებ ამაზრზენი დარბევა — სამედიცინო კოლეჯის სტუდენტებისა.

სულის სიღრმემდე შემძრა იმ გულგრილობამ და ცინიზმმა, რასაც ხელისუფლება და ე.წ. პრეზიდენტი სააკაშვილი იჩენდნენ მოშიმშილე გოგო-ბიჭების მიმართ!

სამაგიეროდ, ხელისუფლება არ ერიდება გრანდიოზული შოუ-კონცერტების, სხვადასხვა სახის ტაშფანდურას გამართვას, გრიალს კურორტებსა თუ კაფე-ბარებში... აშკარაა, რომ მთავრობა არას დაგიდევთ ქვეყნისა და ხალხის გასაჭირს. მით უფრო არ შეაწუხებს ეს პრობლემები ბ-ნ კ. ბენდუქიძეს, რომელიც განსხვავებით ბ-ონ ივანიშვილისგან, როცა ბოლომდე მიყიდ-მოყიდის აქაურობას (რასაკვირველია, პრივატიზაციის სახელით!) — ბითუმად თუ ნაწილ-ნაწილ (სტრატეგიული დანიშნულების ობიექტების ჩათვლით) — დაკრავს ფეხს და ისევ რუსეთში გადაბარგდება ალბათ, რასაც თვითონაც არ მალავს, ან თავის ცოლოურებში დაიდებს ბინას და „ვალმოხდილი“ — ლომაიასთან და სხვა თანამზრახველებთან ერთად უპატაკებს თავის ძვირფას მოძღვარს, სოროსს: აგიხდინეთ ოცნება, საყვარელო ჯორჯ! შეგისრულეთ გულისნადები და ისედაც დაჩეხილ-დაკუწული, ავტონომიებით დახუნძლული საქართველო ნაჭერ-ნაჭერ ავქენით, გავასხვისეთ, გავყიდეთ უცხოელებზე — ლომის წილი, რასაკვირველია, ჩვენ დავიტოვეთ, ხოლო ნივრის ნაქურჩალი — ე.წ. სახელმწიფოს — როგორც „კანონიერი“ ყაჩაღობის დასტური! მე თქვენ გეტყვით და რაფიელ ერისთავის სიტყვებმა არ აუჩუყოს გული რომელიმე მათგანს: არ გავცვლი მე ჩემს სამშობლოს სხვა ქვეყნის სამოთხეზედაო.

ბენდუქიძისთვის, ლომაიასა და მათნაირებისთვის სამშობლო იქ არის, სადაც ფული კეთდება, თანაც — ბლომად! სამოთხეც და ედემიც ოქროთი სავსე ტომრებია. ან კი, რა-

გორ შეიძლება ამაღლებული სული მოსთხოვო ამ ჩარჩმევახშური მსოფლიოს მოქალაქეებს, ისევე, როგორც თავისუფლების ინსტიტუტს თუ კავკასიურ სახლს — გლობალიზმისა და ინტეგრაციის ამ მებაირახტრეებს; შეახსენო პატრიოტიზმი... ენა, მამული, სარწმუნოება ხომ ლამის საქილიკოდ იქცა! მთავარია, ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყული მიწა-წყალი სარფიანად გაიყიდოს, რომ, როგორც ზემოთაც ვთქვი, ლომის წილი თვითონ დარჩეთ. აკი, მზადდება კიდეც საამისოდ მიწის რეფორმის კანონი! ვინ დაიკავებს საქართველოს მიწა-წყალს, ვინ შეისყიდის მას ნაწილ-ნაწილ, რა რჯულის, რა ეროვნების — ამას არავითარი მნიშვნელობა არა აქვს ამ მანქურთებისთვის .

„იყიდეთ ბარემ მთლად, გაწეწეთ და გაგლიჯეთ, რასაც საქართველო ერქვა და რაც დღეს ოხრად დარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს!“ — ნიკო ლორთქიფანიძის ამ მწარე სიტყვებს ეხმიანება ასევე დიდი მამულიშვილი ი. გოგებაშვილი: „თუ ჩვენი ხალხი მიწას დაკარგავს, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება. მიწა-წყალი ნამდვილი ფესვია ერის ცხოვრებისათვის და როგორც ხე, მოშორებული ფესვებს, ხმება, ასევე იღუპება ერი, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი“, თუმცა... ბ-ნი ვ. მერაბიშვილის აზრით, ქართველი ხალხის ბრძოლა თავისი მიწა-წყლის შესანარჩუნებლად, კერძოდ, ბახტრიონის ომი, ქართველების არატოლერანტობის მაჩვენებელი ყოფილა თურმე! როგორ „ცდებოდა“ ვაჟა-ფშაველა, როცა ამბობდა: **„ვისაც ჩვენ არ ვებრალებით, ჩვენ შევიბრალოთ რისადა? სიკვდილი თავად უფალსა, გაუჩენია მტრისადა!“**

მართლაცდა: „ვაჰ, დედას თქვენსას, ყოვებო!“ ...

და ბოლოს, მკითხველს უნდა შევახსენო კრილოვის იგავარაკი „კვარტეტი“: მრავალჯერ გადაჯდომ-გადმოჯდომის, ანუ წაჯექ-უკუჯექობის მიუხედავად, მისმა პერსონაჟებმა

ვერა და ვერ „იკვარტეტეს!“ შესაბამისად, მკაცრია პოეტის განაჩენიც: „А вы друзья, как ни садитесь, всё-ж в музиканты не годитесь“, ანუ, რაც უნდა იხვანცალოთ, მუსიკოსებად არ ვარგიხართო! ისევე, როგორც საბას სოფლის მშენებლებმა ვერ ააშენეს სოფელი, თუმცა კი თითქოს ხმები შეუწყვეს ერთმანეთს — სოფლის ასაშენებლად მარტო სურვილი და მონდომება არ კმარა თურმე: საქმის ცოდნასთან, პროფესიონალიზმთან ერთად კიდევ სხვა რაღაცაა საჭირო. ეს „რაღაც“ ღვთის წყალობა და მადლია, ურომლისოდაც ვერც ერთი საქმე კეთილად ვერ დაგვირგვინდება.

ღმერთმა იცოდეს, არავის ნიშნს არ ვუგებ. მე ჩემი მართლაც ბედკრული, უძღები შვილების, რუსეთუმეების თუ მათი ტყუპისცალების — დასავლეთუმეებისგან გაყიდულ-გაჩანაგებული ქვეყნის, ჩემი დაკარგული აფხაზეთის ტკივილები მალაპარაკებს, აგრეთვე ის, რომ, როგორც ეროვნული მოძრაობის, ასე ვთქვათ, ვეტერანთაგანი, თუნდაც როგორც ი. ჭავჭავაძის არაფორმალური საზოგადოების ერთ-ერთი დამაარსებელი, ვერასოდეს შევეგუები ილ. ჭავჭავაძის ეროვნულ-დემოკრატიული იდეალების, მისი უკვდავი ტრიადის — მამული, ენა, სარწმუნოების — ნიველირებას თუ მის პროფანაციას, რა ძალებისგანაც უნდა მოდიოდეს იგი! მით უფრო შეუწყნარებლად მიმაჩნია მასონიზმის პროპაგანდა საქართველოში!

დიახ, „ერთი მუჭა ხალხი“, მათ შორის მეც, ვერასოდეს შევურიგდებით, გლობალიზმის და ინტეგრაციის სახელით ხდებოდეს ერის მომავალი თაობის გენოციდი, რომ ე.წ. თავისუფლების ინსტიტუტი თუ სხვა არასამთავრობო თუ სახელისუფლო ორგანიზაციები „კაცობრიობის უდიდესი მამოძრავებელი ძალის — ოქროს“ მეშვეობით ძირს უთხრიდეს ქვეყნის დამოუკიდებლობას, ხელს უწყობდეს მის მორალურ-ზნეობრივ თუ ფიზიკურ განადგურებას.

...მე-15 საუკუნის ერთი გერმანელი მოგზაურის არ იყოს, არ მინდა, ნებისმიერი ქართველი, ვისაც თავისი სამშობლო

უყვარს, „ეგრე სისწრფელით და ადვილად“ დაენდოს სხვას, შინაურ თუ გარეშე „მოყვარეს“.

P.S. ეს წერილი თითქმის ორთვენახევრის წინანდელია (მერმინდელი მცირეოდენი შესწორებების თუ ჩამატების გამოკლებით). ამ ხნის განმავლობაში ქვეყანაში ბევრი რამ მოხდა, მათ შორის, გარდაიცვალა პრემიერ-მინისტრი ზ. ჟვანია, რომელიც მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში დაასაფლავეს, იმ მწერალთა, რომელთაც მეცენატების, სარაჯიშვილის და ხოშტარიას ნაჩუქარ სახლს ართმევენ სასამართლოს ძალით! უფრო სწორად: ჩვენ ასე გვინდა, ასე გვსურს და ასე უნდა იყოსო — „პრინციპიდან“ გამომდინარე!

სასამართლო ფარსები ახლა არავის უკვირს-მეთქი! არც ის უსამართლობანი, რაც ამ სასამართლოს სახელით ხდება. არც ისაა საკვირველი, რომ ხალხის, ანუ ჩვეულებრივი მოქალაქეების აზრი ხელისუფლებაში არავის აინტერესებს და, საერთოდაც, ხალხი მხოლოდ მაშინ ახსენდებათ, როცა არჩევნებია ჩასატარებელი — სხვა შემთხვევაში წყალს და მეწყერს წაუღია ყველაფერი. მთავარია: დღეს, ახლა, ამჟამად იხელისუფლონ! ოღონდ... ვისზე, რატომ? რისთვის?

საკითხავი მართლაც ეს არის!

...ადამიანები ხშირად ვივიწყებთ ხოლმე მეფსალმუნე დავითის სიტყვებით რომ ვთქვათ, იმას, რომ: ველის ყვავილებივით ვართ და ველის ყვავილებივითვე მალე განვქარდებით, ანუ: უნდა გვახსოვდეს — სიკვდილი! რადგან მხოლოდ ღვთისა და ერის სადიდებელი საქმენი „ჰგიეს უკუნისამდე!“

გაზ.
„ლიტერატურული საქართველო“,
2005 წ.

ესე ამბავი მგლისა და კრავისა, ანუ „მგელკრავიანა“

ამ ბოლო დროის პარადოქსულმა მოვლენებმა და აბსურდულმა სიტუაციებმა გონებაში უნებურად ამომიტივტივა ერთი ძველი იგავ-არაკი: ისევე, როგორც სვავს არ ეკითხებიან, რატომ ხარ სვავი, სისხლი რატომ გწყურიაო, მგელსაც, მშიერს თუ მაძღარს, არავინ ჩაეძიება — რად გაქვს მგლური ბუნება, ანუ ცხვრის ან კრავის დანახვაზე რატომ გიკაწკაწებს ხოლმე კბილებიო. აკი, ჩვენი ნაცნობი იგავ-არაკის მგელსაც მყისვე გაუჩნდა შეხრამუნების სურვილი, როგორც კი ბეკეკას შეეყარა, მაგრამ ამ სურვილის დასაფარავად, მან ხერხს მიმართა და, ვითომდა სამართლიანობის და კანონიერების სახელით, იქით შეედავა საბრალო კრავს (იმ დროს საერთაშორისო სასამართლო არ არსებობდა, თორემ ვიფიქრებდი, ალბათ, სტრასბურგის სამსჯავროსი მოეხათრა-მეთქი). როგორც ვიცით, კრავის არგუმენტირებულმა პასუხებმა მგელი ისეთ ჩიხში მოამწყვდია, რომ ერთბაშად ჩამოიხადა „კანონიერების“ ნიღაბი და გაწბილებულ-განრისხებულმა დაარეხვა: „შენი ჩაკვრეხა რომ მნებავს, მიზეზად ისიც კმარაო“. ყველაფერი ნათელია. ზედმეტი ახსნა-განმარტება და კირკიტ-ჩხიკინი საჭირო არ გახლავთ. იგავ-არაკის მორალისტური დასკვნაც ფრიად კანონზომიერია: „დიდ კაცთან პატარა კაცსა როდის გასვლია მართალი“! თუმცა... თურმე შესაძლებელია, პირიქითაც მოხდეს, ანუ, კრავს გაუჩნდეს მგლის ჩატკვერის ჟინი, აუხტ-დაუხტეს მტაცებელს და ომახიანად შეუძახოს: შენ, ეი, მანდ ჭკუით იყავი, თორემ... ამას და იმას გიზამო. მოკლედ, შემომეჭმებიო: შეშინებული მგელიც ლამის მუხლებში ჩაუვარდეს კრავს და შეეხვეწოს, შენი ჭირიმე, შემიბრალე, ნუ შემსანსლავო.

კია ეს პაროდია სასაცილო — მარჯანიშვილის თეატრის მსახიობის მიერ შესანიშნავად შესრულებული — და მაყურებელიც გულიანად იცინის ხოლმე, მაგრამ... თუ კარგად ჩაუკვირდები ამ „მგელბეკეკიანას“ — არცთუ ისე სალაზღანდაროდ და სალაღობოდ უნდა იყოს საქმე, ვინაიდან და რადგანაც, თუ პოლიტიკურ სიბრტყეზე გადმოვიტანთ ამ ვარიანტს, შემდეგ სურათს მივიღებთ: საქართველო — სახაროვის და ძმათა მისთა და ზოგ-ზოგი ჩვენებური პოლიტიკოსის მიერ „იმპერიად“ მონათლული, მართალია „მცირე“, მაგრამ „დიდი იმპერიალისტური“ ზრახვების მქონე — მუშტებს უღერებს თავის დიდ მეზობელს, რუსეთს — თუ გონს არ მოხვალ, ასპროცენტიანად დაგიპყრობ და გაგანადგურებო. ეს ამბავიც, კრავის მუქარისა არ იყოს, კია თითქოს სასაცილო, მაგრამ ვიმეორებ, ზოგი ჩვენი პარლამენტარის თუ არაპარლამენტარის და მეზობელი ქვეყნის პოლიტიკოსთა დიდი ნაწილის აზრით, სიმცირე სახელმწიფოსი თურმე სულაც არ არის ხელის შემშლელი, რომ მას ჰქონდეს იმპერიული ამბიციები და... რაც მთავარია, განახორციელოს კიდეც განზრახული! რატომაც არა! თხა თხაზე ნაკლები მგელმა შეჭამოსო! — უთქვამს ჩვენს ხალხს (ისევ მგელი და მისი მსხვერპლნი — ამჯერად თხები, ოღონდ ცოტა სხვა „რაკურსით“. ისე, შეჭმა-შეხრამუნების ამ ოდინდელ სიუჟეტს, ეტყობა, ვერსად გაექცევი!).

ქართული ენის თავისებურებიდან გამომდინარე, უნდა ითქვას შემდეგი: ქართულში, შეიძლება, ერთმა სიტყვამ დაიტიოს აზრი, რასაც სხვა ენაზე მთელი ფრაზა დასჭირდება. ასე მაგალითად, „შემომეჭმები“ — ასე უნდა ითარგმნოს უცხოურად, ამ შემთხვევაში, რუსულ ენაზე: არ მინდა შენი შეჭმა, მაგრამ შენ იმდენს იზამ, იძულებულს გამხდი, შეგჭამოო (არ ჩანს ამაში განა ქართული „იმპერიული“, ან, თუ გნებავთ, „აგრესიული“ ხასიათი?!), ანუ, პოლიტიკურ ენაზე

თუ გავშიფრავთ ამ ზმნას (შემომეჭმებაზეა ლაპარაკი!), იგი ნიშნავს, რუსეთი იმდენს იხტუნებს, იმდენს, რომ საქართველო იძულებული იქნება, დაიპყროს იგი, თუ... მანამდე, რასაკვირველია, რუსეთმა თავს არ უშველა!

როგორ, რანაირადო, გაიკვირვებს უთუოდ გულუბრყვილო მკითხველი: სად საქართველო — თუმცა „მცირე იმპერიად“ შერაცხილი — რუკაზე წერტილივით რომ მოჩანს, და სად რუსეთი, იმავე რუკაზე რომ არ ეტევაო. მაგრამ... თუ მგლის და კრავის პაროდიას მოვიშველიებთ, თურმე, შესაძლებელია, ამგვარი რამ მართლა მოხდეს!

ცხადია, საქართველო დღეს ვერ დაიკვეხნის ძველი „სამფლობელოებით“, როგორც, ვთქვათ, რუსეთი თავისი „ვლადენიებით“ — ვლადიკავკაზით დაწყებული და ვლადივოსტოკით დამთავრებული, მაგრამ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო „იმპერიულ ზრახვებს“ მაინც ვერ ელევა! თუნდაც ის რად ღირს, რომ საკუთარი ჯარის გაძლიერება მოინდომა! მართალია, დიდმა იმპერიამ თავის დროზე (სხვათა შორის, ერთმორწმუნეობის ნიადაგზე) ქართველებს თავზე გადაახია გეორგიევსკის ტრაქტატი, ანუ ორ სახელმწიფოს შორის დადებული ურთიერთობის ხელშეკრულება, წაართვა ენა, ათასწლოვანი დინასტია, ტერიტორია აუჭრელა — ანუ ჩამოასახლა სხვადასხვა უცხო ტომები, უძველეს სამოციქულო ეკლესიას ავტოკეფალია გაუუქმა, ხოლო ე.წ. ზედა ფენა ისე გადააგვარა, რომ ქართულად ლაპარაკი ეთაკილებოდათ კიდეც. მართალია ისიც, რომ ცარიზმის მემკვიდრეებმა, ბოლშევიკებმა ბრწყინვალედ აითვისეს მისი ტრადიციული ხერხ-ხრიკები — დაჰყავი და იბატონეს სტრატეგიული გეგმებითურთ და თანმიმდევრულად, „ბოლშევიკურ ტემპში“ ჩამოაჭრეს ამ ჭირვეულ „მცირე იმპერიას“ ჯერ ტუაფსე-სოჭი, მერე ჭარბელაქანი-საინგილოიანად, ლორე-ტაშირი, ტაო-კლარჯეთი (მეორედ!) — ოღონდ საქართველოს არ დარჩენოდა და თუნდაც ეშმაკს წაეღო! ბოლშევიკურ ტემპშივე მოხდა არნახული, მანამდე არგაგონილი ავტონომიებით მისი დახუნძვლა — ისეთი ავტონომიებით, მილიონობით ქურთს თუ ბასკს დღესაც სიზმრადაც რომ არ მოელანდება. მართალია ისიც, რომ აგერ, ჩვენს თვალწინ აფხაზეთიც და შიდა ქართლიც, ფაქტობრივად, თვითონ დაისაკუთრა და ერთობ გამჭვირვალე ფარდის მიღმა მდგარი, რომ იტყვიან, დაგემოვნებით პირს იტკბარუნებს ამ „ნუგბარით“ და თანაც ჩვენი უილაჯობის გამო ნიშნს გვიგებს — ხომ ხედავთ, მოგერიეთ და ბაბა დამიძახეთო.

მოკლედ, რუსის ჩექმამ იმდენი სიკეთე მოგვიტანა, რომ, ილიას პერიფრაზით, ღმერთმა ქნას, ყველაფერი უკანვე მიუბრუნდეს. რუსეთის გამოჩინებულ გენერალს და ქართველ პოეტს აკი სიკვდილის წინ სასოწარკვეთით აღმოხდა: „დაემხო ჩემი სამშობლო... გულს მიკლავს უიმედობა... საფლავს ჩავდივარ სიმწარით“-ო.

ისიც მართალია, რომ „ხსნის გზა“ ისევ რუსეთის მკვიდრმა თუ მისმა მდგმურმა ჟირინოვსკიმ და ძმათა მისთა გვიჩვენეს: ჩვენ, ქართველები, დედაწულიანად, ტუშეტიანმუშეტიანად უნდა გადავსახლდეთ რუსეთის ტრამალებში (დასაშვებია მცირე ნაწილის პეტერბურგში ანდა მოსკოვში „განთავსება“), ხოლო კობულეტია-მობულეტია და მისთანები დიდი დერჟავის სამხრეთის საზღვრების დასაცავ ციხე-სიმაგრეებად უნდა იქცნენო. ამგვარად, ქართველებს მარტო თბილისიღა შეგრჩებათო — „დაგვაიმედა“ ბოლოს ბ-ნმა ჟირინოვსკიმ. მერე, სიტუაციის შეცვლის კვალობაზე, ფირფიტა გადააბრუნა — იგი ხომ ჩვეულია ასეთ გადაბრუნ-გადმობრუნებას, ანუ სკანდალურ მანიპულაციებს — და სოლომონ ბრძენის პოზიციიდან დაგვიწყო ჭკუის დარიგება. ერთ ადრინდელ ჩემს წერილში ნათქვამი

მაქვს: არავინ გამოჩნდა ჩვენში ისეთი, ამ არამკითხე დამრიგებელს, უფრო სწორად, პირწავარდნილ „დერჟავნიკს“ დავით კლდიაშვილივით ანდა ნიკო ლორთქიფანიძესავით — რაინდული კასტის ამ უკანასკნელი მოჰიკანებივით — დუელში თუ არა, სიტყვიერ პაექრობაში მაინც გამოიწვევდა ერისა და ქვეყნის მრავალჯერ შეურაცხყოფისთვის. მაგრამ... „რატომღაც“ ყველამ მგლის ყური გამოიბა, აქაოდა, ეს ვიგინდარა ჩვენი პასუხის ღირსი არ არისო. ის კი არადა, მავანმა ერთ თავის პუბლიკაციაში ჟირინოვსკი ლამის ჩვენს კეთილისმყოფელადაც კი გამოიყვანა და, საერთოდ, მსგავსი ქვეშევრდომული, მაამებლური წერილების კითხვისას ძალაუნებურად მაგონდება ხოლმე აკაკის სიტყვები: „ქუცი, ქუცი, კუდქიცინა მურიავ, ხომ არ გშია, ან ხომ არა გწყურია“. ვაჟას მიერ დასმული დიაგნოზიც უტყუარი ჩანს: „დადედლებული მამალი საელდო სანახავია-ო“.

„უფროსი ძმა“ კი, ამგვარი ქვეშევრდომებისგან გაქეზებული, აღარ სჯერდება ყურის აწევას და მუქარას...

„შენ ზეითა ხარ, მე — ქვეით, როგორ აგიმღვრევ წყალსაო“, — ამაოდ შეჰღაღადებს მას „ქვემდგომი“.

ამიმღვრევ რომელია, მეტსაც შვრებიო. „ჩემს“ ჩეჩნეთზე რომ თვალი გიჭირავსო? ტერორისტებსაც მფარველობ და ბენ-ლადენსაც თავშესაფარს რომ აძლევო? და კიდევ ვინ მოთვლის, რა და რა დანაშაულს ჩადიხარ მსოფლიოს წინაშეო?..

ღმერთი, ხატი, რჯული, ეგ ყველაფერი ტყუილია. ზოგიერთი ვაიპოლიტიკოსის, წვრილფეხა კალმოსნებისა და ზოგი მოსყიდული ტელეარხის მონაჭორიაო.

არ ვიცი მე ფიცი, მტკიცი. ფაქტია, რომ „ჩემი ისტორიული ტერიტორიის“ მოდავე ჩეჩნებს ემხრობიო. ამასაც არ სჯერდები — ჩემი კი არა, ოკეანისგაღმელი ინსტრუქტორები ჩამოგყავს საკუთარი ჯარის გასაწვრთნელადო.

არ არის ეს განა, „ზემდგომის“ უფლებების და ინტერესების შელახვა?.. ამას გარდა, „მცირე ნაციას“ — აფსუებს, ჩვენს მიერ აფხაზებად სახელდებულთ — დაურიდებლად ართმევ მიწა-წყალს, ჩაგრავ, სპობ და თან გაიძახი — აფხაზეთი ჩემი ძირძველი ტერიტორიაა და, სხვათა შორის, არა მხოლოდ აფსუებს, სხვა ეროვნულ უმცირესობებსაც არ აყენებ კუთვნილ „მშობლიურ“ ადგილსამყოფელში, აკი, სტრასბურგში გიჩივიან კიდეც, როგორც მჩაგვრელებსო. ჰოდა, თუ არ შეეშვები ამ დიდმპყრობელურ, შოვინისტურ და აგრესიულ ზრახვებს, თუ თავს არ გაანებებ სხვათა კირკიტს და ჩემი შენ გითხარის ძახილს — ხომ იცი, რა დაემართა დოღრიალა კრავს მგელთან ტყუილ-მართლის გარჩევაში?.. „რაც მოგივა, დავითაო, ყველა შენი თავითაო“ — თქვენებურმა ამ ანდაზამ თავის დროზე, ამბობენ, რეიგანიც კი შეაფიქრიანაო. მით უფრო, თქვენ გმართებთ დაფიქრება და გონზე მოსვლა, თორემ...

მომიტევოს მკითხველმა, საქილიკოდ სულაც არა გვაქვს საქმე, როგორც ჰგონია ეს ზოგ-ზოგ ჩვენს „ხალხის რჩეულს“ — ყურებამდე პირგახეულები დღე და ღამე ტელევიზიაში თუ მათ მიერვე ბალაგანად წოდებულ პარლამენტის ტრიბუნაზე რომ ოინბაზობენ სასოწარკვეთილი ხალხის წინაშე! ისე, იწამონ ეგებ ღმერთი და ცოტა ხნით მაინც მოგვასვენონ კომედიანტობისა და კლოუნადობის გაუთავებელი დემონსტრირებისგან, ცოტა ხნით მაინც აიღონ ტაიმ-აუტი და ე.წ. დაპირისპირებულ მხარეთა გეგმიური შოუ-სპექტაკლების ჩვენებისგან თავი შეიკავონ, რომ ეს ურთიერთლანძღვაგინება, ურთიერთისთვის ლაფის შესხმა და წუმპეში წუწაობა, ანუ ჩვენი უკულტურობა და სიძულვილი ერთიმეორის მიმართ, ეგზომ თვალში საცემი და გულშემაღონებელი არ იყოს ისედაც უნუგეშო და იმედგადაწურული საზოგადოებისთვის — მით უფრო, გარეშე თუ შინაური მტრების

ნიშნისაგებ ობიექტად რომ არ ვიქცეთ, რადგან... „გრუზინების“ ნაცვლად უკვე „გრიზუნებს“ გვეძახიან თურმე ჩვენი „კეთილისმყოფელნი“! (და ვერც გაამტყუნებ!).

ამგვარად, ეს „არშემდგარი ქვეყანა“ (როგორც ბრძანებენ მავანნი და მავანნი), ეს „ტილიანი“ და უილაჯო, არაფრისმაქნისი საქართველო (ესეც რუსეთუმეების ტერმინოლოგიაა) ხმის ამოღებას, მით უმეტეს, დავა-კამათს ვერ უნდა უბედავდეს იმას, ვისაც ძალი შესწევს ქადილისა და ვისაც ამდენი ქვეშევრდომი და მოყვარე ჰყავს თვით „ქვემდგომთა“ შორის! ამიტომ, სწორედ რომ დროულია, არ დასჯერდე — როგორც ყველა ჭკუათმყოფელი — მხოლოდ კეთილმეზობლურ, თანასწორ ურთიერთობას, არამედ, სასწრაფოდ უნდა შეგროვდეს ხელისმოწერები იმის ნიშნად, რომ „ქვემდგომი“ ნამდვილად არ უმღვრევს წყალს „ზემდგომს!“ თან ძმობისა და სიყვარულის დასტურად ხმატკბილად უგალობებს, ალადუშკი, ლადუშკიო!.

როგორც ცნობილია, დედის ნამღერ ნანას უზარმაზარი ფსიქოლოგიური ზეგავლენა აქვს ჩვილზე. ამას ი. გოგებაშვილის გენიალური „იავნანამ რა ჰქმნაც“ ადასტურებს — ქართველი, სომეხი, რუსი, ებრაელი და სხვები, ბუნებრივია, თავის „ლადზე“, ე.ი. კილოზე უმღერიან პირმშოს და ბავშვიც დედის რძესთან ერთად იწოვს ამ ჰანგს. არ ვიცი, ჩვენს ზოგ პარლამენტარს რა კილოზე უმღეროდა დედა „იავნანას“, მაგრამ „ალადუშკი, ლადუშკი“ რომ ძალიან ემარჯვებათ, ამას დიდი ლარი და ხაზი არ სჭირდება. იმასაც არ სჭირდება დიდი მიხვედრა, რომ სიყვარული, ძმობა და მეგობრობა საზიარო უნდა იყოს და არა ცალმხრივი (სხვათა შორის, მარჯორი უორდროპისთვის არავის უმღერია ქართული „ნანა“, მაგრამ საქართველოს სიყვარულში დალია სული! თურმე გააჩნია, ვის რა მადლი სცხია ღვთისგან!). არც ტოლერანტობა გვესწავლება და არც ჭირსა თუ ლხინში თანადგომა;

ვერც უმადურობას დაგვწამებს ვინმე. უფრო პირიქით. როგორც ცნობილია, ნაპოლეონის წინააღმდეგ თორმეტი ქართველი გენერალი იბრძოდა, თუ არ ჩავთვლით პეტრე ბაგრატიონს! ხოლო ილიას თქმით, „გაჭირვების დროს ქართული დროშა რუსეთის დროშასთან ერთად არაერთხელ გამოსულა საომარს ველზედ და მის წინამძღვრობით და სახელით ქართველობას არაერთხელ დაუღვრია თავისი სისხლი რუსებთან ერთად... ამ დროშას აწინდელი ქართველი იმავე ვაჟკაცობით და თავგამომეტებით თან გაჰყოლია და რუსებთან ერთად სისხლი უნთხევია“... ხოლო რუსი მოხელეების მიერ მისი უდიერად მოხსენიება „უპატიურად ხდის მთელს ერს, რომელიც შეჰფარებია რუსეთს თავის პატიოსნების და ღირსების დასაცველადა. ესღა დაგვრჩა ნუგეშად მის იმედისა დიდისა!“ (აღარაფერს ვამბობთ მეორე მსოფლიო ომში ქართველების მიერ გამოჩენილ გმირობასა და სიმამაცეზე და იმ დაღუპულთა რიცხვზე, პროცენტულად რომ ყველას სჭარბობს!).

ასეა თუ ისეა, რუსი დერჟავნიკების წყალობით, ეს მისგან ორჯერ ანექსირებული, მრავალჯერ დაბომბილი, დაგლეჯილ-დასახიჩრებული და სისხლმდინარე „არშემდგარი ქვეყანა“ — ცალკე საკუთარი უძღები შვილებისგან დაძიძგნილი და გაყვლეფილი, უამრავი ერთმანეთის მოძულე პარტიებით თუ ფრაქციებით, სამთავრობო თუ არასამთავრობო საზოგადოებებით, ე.წ. ნაციონალური მოძრაობით თუ „თავისუფალი“ ინსტიტუტებით, სექტებით თუ კლანებით, ოლიგარქებით თუ მაფიოზებით „დამშვენებული“ — ჯერჯერობით მაინც საქართველოდ წოდებული თუკი სურს, რომ სულს არ ღაფავდეს — სასწრაფოდ უნდა ჩაეხუტოს თავის „უფროს“ ძმას, რადგან იგი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებს „ძია სემის“ მფარველობაში მის ყოფნას, ანუ... მავანთა აზრით, ნაკლები ბოროტება უნდა არჩიოს დიდ ბოროტებას.

მით უფრო, რომ ხალხისთვის, უფრო სწორად, კრავისთვის ბოლოს და ბოლოს სულ ერთია, რომელი გააძრობს ტყავს — „მშობლიური“, შეჩვეული მგელი თუ მგლისფერი ძაღლი! თან... გზადაგზა უცილობლად, უსათუოდ, ყოველ მიზეზგარეშე უნდა ვიმღეროთ: „ალადუშკი, ლადუშკი“, ანდა ქალაქურ კილოზე ავეტიკასავით ვიღიღინოთ, „იავნანოვ, ვარდო ნანოვ“, ან... ეგების სულაც ინგლისურად სჯობდეს სულთათანა საფლავთან, ჩვენივე ხელით რომ ვუთხრით საკუთარ სამშობლოს, ერთმანეთის ჯიბრით, პირადული ინტერესებითა და კეთილდღეობის მოპოვების სურვილით გონდაბნელებულები — სხვათა და სხვათა საამებლად და გულის გასახარად!

დიახ, ნაცვლად იმისა, რომ მსოფლიოს გასაგონად განგაშის ზარს ვარისხებდეთ — თუ რა გვჭირს, ვისგან გვჭირს, ანუ ვერაგულად წართმეული რეგიონების დასაბრუნებლად ძალ-ღონეს არ ვიშურებდეთ, პირიქით, ერთობლივი ძალისხმევით უფსკრულში გადასაჩეხად ხელსა ვკრავთ ქვეყანას, რათა, ილიას თქმითვე, ყვავ-ყორნებმა დაძიძგნონ და გამოხრან მისი ძვლები.

აფერუმ, თქვენ ქართველებოო! — იქედნურად ქირქილებენ შინაური თუ გარეშე „გულშემატკივრები“ (დასავლეთუმეებისა და რუსეთუმეების ჩათვლით!) და სიამოვნებით იფშვნეტენ ხელებს: ამათ მართლა დიდი დღე არ უწერიათო!

...„რა ხდება ღვთისმშობლის საუფლისწულოში?“ (ასე ეძახდა თავის დედულ-მამულს აკაკი) — ვკითხულობდი ერთ ჩემს ადრინდელ წერილში, შეშფოთებული ყოველივე იმისგან, რაც ჩვენში ტრიალებდა. დღეს პასუხად ისმის: ჩვენ არ აღმოვჩნდით ღირსი დამოუკიდებლობის, თავისუფლების და, ამდენად, ეს „არშემდგარი ქვეყანა“ — რუსეთუმეების დასკვნით — მსოფლიოს პოლიტიკური სარბიელიდან უნდა გავიდეს და... კვლავ თავის ძველ და შეჩვეულ ჭირს,

ანუ დერჟავას უნდა დაუბრუნდეს, კვლავ „მგელკრავიანას“ პერსონაჟად, კერძოდ, კრავად, ანუ შეხრამუნების ობიექტად იქცეს და არა დასავლეთუმეების „აღთქმული ქვეყნის“ — უბადრუკ მიმბაძველადო!

„მგელკრავიანას“ კი, მოგეხსენებათ, სჭირდება არა მხოლოდ პირველი ან მეორე ხმა, არამედ... მესამეც — მობანეებითურთ, რაც, ცხადია, არ დაგვაკლდება. არც შესანდობარს დაგვამადლიან მავანნი და მავანნი.

ჰოდა, ჩაკვრეხა-ჩატკვერის წინ კრავმა მგელს რომ სამადლობელოდ უმღეროს „ალადუშკი, ლადუშკი“ ან თუნდაც „ბაი-ბაი“ — სულაც არ უნდა იყოს მოულოდნელი ან საკვირველი, პირიქით, ეს ყველაფერი კარგად ჯდება უხილავი რეჟისორის (თუ რეჟისორების?) ჩანაფიქრში.

ისე, რაც ამ ბოლო დროს მოხდა კოდორში, ჩემი აზრით, „მგელკრავიანას“ სიუჟეტისთვის ფრიად დამახასიათებელი ეპიზოდთაგანია, რომელიც ამჯერად, შემკვეთის სურვილის მიუხედავად, ჩვენთვის კეთილად დასრულდა. მაგრამ... როგორც ვიცით, მგელი არ მოშლის მგლობასა... თუმცა, ესეც კია — „მგლის შიშით ცხვარი ვის გაუწყვეტიაო“.

ახლახან აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უზენაესმა საბჭომ თავის სესიაზე მიიღო დაახლოებით ასეთი შინაარსის დადგენილება: მგლის თავზე სახარების კითხვა არამც და არამც არ ეგებისო. მგელს ისე უნდა მოექცე, როგორც მას შეეფერებაო. მე პირადად სულითა და გულით ვუერთდები ამ „დადგენილებას“, ოღონდ ეს არის — შეგვწევს კი საიმისოდ ძალა! საკითხავი, აი, ეს არის!

„ლიტერატურული საქართველო“
2002 წ.

P.S. 2008 წლის ხანმოკლე ომმა ერთხელ კიდევ ცხადჰყო, რომ მგელი არ მოშლის მგლობასა, სულერთია — ეს მგელი ოკეანეგაღმელი თუ ოკეანეგამოღმელი, მაძღარი თუ მშიერი, ან სულაც მგლისფერი ძაღლი იქნება. ანუ: მგლის თავზე სახარების კითხვა მართლაც — ამაოა!

ჩვენი გენიალური პოეტის თქმით: „რა ერთსა გცემდენ ათასნი, ეგრეცა მოგერევიან“, მაგრამ რუსთაველისვე აზრით, ხშირად „ასი ათასსა აჯობებს, თუ გამორჩევით მქმნელია“. ამასვე ადასტურებს ხალხური სიბრძნეც: „ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“ ანდა: „სადაც არა სჯობს გაცლა სჯობს, კარგისა მამაცისაგანო“. ოღონდ საკითხავია: რამდენად გამოიჩინა ჩვენმა მხარემ — ძალთა ეგზომი არათანაფარდობის დროს — საქმის გამორჩევის უნარი, ანუ გონიერება, გამჭრიახობა, წინდახედულება, მოხერხებულობა, მოქნილობა და ა.შ. ხომ ცნობილია ისიც, რომ ზოგჯერ „მტერი მტერსა ვერას ავნებს, რომელ კაცი თავსა ივნებს“, მაგრამ უბედურება ის გახლავთ, რომ ბრძნულ შეგონებებსა თუ „წვრთნას“ უგუნურნი არ შეისმენენ ხოლმე! „მიზეზთა გამო“ — სხვათა და სხვათა! და ამიტომაც, შედეგებიც ყოველთვის სავალალოა ოღონდ - ვისთვის?

2011 წ.

„უძლური ჭირისუფალი...“

მე-19 საუკუნის დასაწყისში რუსეთის იმპერიამ თავზე გადაახია ქართველობას 1783 წლის ტრაქტატი და საქართველო ნაწილ-ნაწილ შეიერთა, ანუ მოახდინა მისი ანექსია. გაუქმდა ქართული სახელმწიფოებრიობა, მოისპო ათასხუთასწლოვანი ქართული სამოციქულო ეკლესიის ავტოკეფალია. სახელმწიფო დაწესებულებებში, სასამართლოებში, სკოლებში, ეკლესიებში — აიკრძალა ქართული ენა. გიორგი მუხრანსკის ტიპის იმპერიის დაქირავებული დამქაშები განსაკუთრებული სიბეჯითით ამტკიცებდნენ ქართველი ერის გადაშენების აუცილებლობას. მაგრამ ამ გზაზე კიდევ ერთი დაბრკოლება გახლდათ: ტერიტორიული მთლიანობა. ამიტომ, მიწა უნდა გამოსცლოდათ ადგილობრივ მკვიდრთ და კოლონიზატორთა ხელში გადასულიყო. „როცა ქართველობა დაჰკარგავდა ისედაც მცირე მამა-პაპეული ტერიტორიის დიდ ნაწილს, როცა მას ოდნავადაც გამოეცლებოდა ფეხქვეშ საქართველოს მიწა-წყალი და ნიადაგი, მაშინ მისი, როგორც ეროვნების, არსებობა შეუძლებელი იყო („მოამბე“)“; „თუ ჩვენი ხალხი გამოესალმა მიწა-წყალს, მისი გაქრობა დედამიწის ზურგიდან აუცილებელი გახდება. მიწა-წყალი ნამდვილად ფესვია ერის ცხოვრებისათვის და, როგორც ხე მოშორებული ფესვებს, ხმება, ისე იღუპება ერი, როცა ხელიდან ეცლება მიწა-წყალი, ტერიტორია“, — იაკობ გოგებაშვილის ამ სიტყვებში ნათლად და მკაფიოდ არის გაცხადებული, რა საშიშროების წინაშე იდგა ქართველი ერი. ცარიზმის ვერაგული და ცბიერი პოლიტიკა სწორედ იმ მიზანს ემსახურებოდა, რომ მარჯვედ გამოეცალათ ტერიტორია მის მკვიდრთათვის. ერთ-ერთი საშუალება ამ მხრივ მოსახლეობის აყრა, გადასახლება და ტერიტორიის აჭრელება გახლდათ, ანუ ძველი, ნაცადი ხერხი ყოველი დამპყრობლისა. ასე მაგალითად, 1830 წელს მესხეთ-ჯავახეთიდან აყარეს და

ოსმალეთში გადაასახლეს 30 ათასი მაჰმადიანი ქართველი, იმავე დროს ჩამოიყვანეს და ჩაასახლეს 30 ათასი სომეხი. ამ ღონისძიების სულისჩამდგმელი იყო სომეხთა კათალიკოსი ნერსეს დიდი, თბილისის სომეხთა ეპისკოპოსი კარაპეტი და მეფის რუსეთის გენერალ-მთავარსარდალი ბებუთოვი, რომელთაც მეფის ნაცვლის, პასკევიჩის ლოცვა-კურთხევით, ეს „ისტორიული მისია“ ბრწყინვალედ განახორციელეს.

თურქეთისა და რუსეთის იმპერიები ხელიხელჩაკიდებულნი მოქმედებდნენ, როცა საქმე საქართველოს დაქუცმაცება-დაძაბუნებას ეხებოდა.

ჩვენი გაყოფა ორად ჩვენი ბედისა და ძალის განახევრება არისო, — მიმართავდა აკაკი წერეთელი დედა-სამშობლოსთან ახლად შეერთებული აჭარის დელეგაციას 1878 წლის 20 ნოემბერს, თბილისში. ეს შესანიშნავად იცოდნენ, აგრეთვე, იმპერიულმა ძალებმა როგორც თურქეთში, ისე რუსეთში. ამიტომაც იყო, ასე გულმოდგინედ რომ იღვწოდნენ საქართველოს ძალის განახევრებისთვის და არა საქართველოს შეერთებისა და გაძლიერებისთვის. თქვენ თურქები ხართ და ქართველებთან არაფერი გაქვთ საერთოო, — გაჰკიოდნენ მოლები და ხოჯები და ამით მხარს უბამდნენ ცარიზმის დიდმპყრობელურ პოლიტიკას. ახლად შემოერთებული აჭარიდან ადამიანები იძულებული ხდებოდნენ, მიეტოვებინათ მშობლიური კერა და მუჰაჯირებად ქცეულიყვნენ. ისედაც მცირერიცხოვანი ქვეყანა, წელში გაწყვეტილი ისტორიული უკუღმართობით, ახლა უომრად, უსისხლოდ კარგავდა მკვიდრ მოსახლეობას და დაცარიელებულ, გატრამალებულ მიწა-წყალზე უცხოტომელები სახლდებოდნენ. თითქმის დაცარიელდა ბათუმი. მარტო ყარსის ოლქში 1881 წელს ოსმალეთში გასახლებული ქართველების ნაცვლად, დაასახლეს 3.344 არაქართული ოჯახი. ამ საქმეში, როგორც ადრე ბებუთოვმა, ახლაც თავი გამოიჩინა ამიერკავკასიის მთავარსარდალმა ლორის-მელიქოვმა. მან მართლაც დიდად იღვაწა ცარიზმის

საამებლად და ქართველი მაჰმადიანების საზიანოდ. ყველაზე ხელსაყრელი მდგომარეობა ამ მხრივ მაინც აფხაზეთში შეიქმნა. მეფის რუსეთის ხელისუფლებას დიდი ხნიდან ჰქონდა განზრახული, საქართველოსთვის სავსებით ჩამოეშორებინა აფხაზეთი, ამიტომ სათანადო თადარიგი თავიდანვე დაიჭირა — აქაც თურქეთის ხელშეწყობით მიმდინარეობდა ადგილობრივი მოსახლეობის გასახლება, ხოლო ცარიელ და მიტოვებულ ადგილებზე უცხო ელემენტების (მალაკნების, დუხობორების, კაზაკების, გერმანელების, ესტონელების, სომხების და სხვა) დაფუძნება. ამასთან, საჭირო იყო აფხაზეთში ქართველთა არაძირძველობის „მეცნიერული“ დამტკიცება და გამოჩნდნენ კიდეც ასეთი „მეცნიერები“ — ვინმე ვორონოვი თავისი წიგნის სათაურშივე ამხელდა გულის ხვაშიადს: „აფხაზია — ეტო ნე გრუზია“-ო. ისევე როგორც შავრაზმელი ვოსტორგოვი არ მალავდა ცარიზმის ვერაგულ გეგმას: ყოველივე ამას ემატებოდა ბედოვლათობა და ქარაფშუტობა ქართველი თავადაზნაურობის ერთი ნაწილისა, ვისი წყალობითაც ქართული მიწა-წყალი უცხო ერის წარმომადგენელთა ხელში ვარდებოდა. ანუ სარჩო-საბადებლისთვის სულგაყიდული ქართველები გულმოდგინედ ასხამდნენ წყალს ცარიზმის წისქვილზე.

ამგვარად, აშკარა, დაუფარავი და მასშტაბური შეტევა ხორციელდებოდა საქართველოს მოსასპობად, მის გასაქრობად. კიდურებმოგლეჯილი, აჭრელებული, დედაქალაქდაკარგული, დასუსტებულ-დაკნინებული, მუხრანსკებით, ქავჟარაძეებით, აშორდიებით და სხვა შინაგამცემლებით „დამშვენებული“ საქართველო, აგონიაში ჩავარდნილი, სულს ღაფავდა. უკვე მერამდენედ დადგა იგი ყოფნა-არყოფნის წინაშე, მარტოდმარტო შერჩენილი გაუმაძღარ, სასტიკ იმპერიას — უთვისტომო, უნათესაო. ყოველივეს „გვირგვინი“ გახლდათ საქართველოს თანამდევი სულის, მისი უგვირგვინო მეფის — ილიას ვერაგული მკვლელობა და ის ბაკქანალია,

რუსეთის სოციალ-დემოკრატიულმა პარტიამ, მისმა ბოლშევიკურმა თუ მენშევიკურმა ფრთამ რომ გამართა საქართველოში. ორივე ფრაქცია საქართველოს დამოუკიდებლობის კი არა, მისი ავტონომიის მოთხოვნის წინააღმდეგაც ილაშქრებდა. თვით ყველაზე გულგაუტეხელ ადამიანს, გ. ქიქოძის თქმით, შეიძლებოდა მოჩვენებოდა, რომ ყოველი ბრძოლა ნაციონალური ჩაგვრის წინააღმდეგ სრულიად ამაო იყო და ერთადერთი კეთილგონივრული პოლიტიკა მორჩილებისა და შეგუების პოლიტიკა გახლდათ.

თითქოს საერთო ბაზრად ქცეულ საქართველოში, უფრო სწორად, თბილისის და ქუთაისის გუბერნიებში, იყიდებოდა ყველაფერი — სინდისით დაწყებული და უძრავ-მოძრავი ქონებით დამთავრებული. იყიდებოდა ის მცირე მიწაც, რაც შერჩენოდა ქართველობას, ანუ იმ ტოტს ვჭრიდით, რომელზეც ვისხედით. მაგრამ ქართული ინტელიგენციის რჩეული შვილები ფარ-ხმალს არ ყრიდნენ. კერძოდ, ფხიზლობდა მწერლობა ილიას, აკაკის, ვაჟას, ნ. ლორთქიფანიძის და სხვათა სახით.

ეს ისტორიული ექსკურსი იმისთვის დამჭირდა, რომ თვალნათელი ყოფილიყო, დღევანდელი, მე-20 საუკუნის მიწურულის საქართველო, რომელმაც თავისუფლება მოიპოვა, აქვს დამოუკიდებლობის ერთ-ერთი მთავარი ნიშანი ვალუტის სახით, ჰყავს, ავია თუ კარგია, საკუთარი ჯარი, არის გაეროს წევრი (მალე, ალბათ, ევროკავშირშიც შევა), არანაკლები პრობლემების წინაშე აღმოჩნდა, ვიდრე მე-20 საუკუნის დასაწყისში. ქვეყნის წინაშე დაისვა უმწვავესი პრობლემა — მიწის საკითხი.

ხშირად ისე ხდება, რომ ამ პატარა, შეჭირვებულ, შინაურ თუ გარეშე მტერთაგან დაძეძგილ ქვეყანას ვუდგებით და ვზომავთ დიდი, ევროპული ქვეყნების, ანუ დასავლეთის სტანდარტებით, იმ დონით, რომელსაც მათ მიაღწიეს მრავალსაუკუნოვანი განვითარების გზით, ჩვენში მე-13 საუკუ-

ნეში რომ შეწყდა. კერძოდ, ვგულისხმობ მიწის ყიდვა-გაყიდვას, ანუ საბრუნავ სისტემაში მის შეტანას. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს მიწა-წყალი არაერთხელ გაყიდულა და არა მხოლოდ მე-19 საუკუნეში, როცა თბილისი უკვე აღარ იყო ქართული ქალაქი. რუსეთის ბოლშევიკურმა იმპერიამ ცარიზმზე უარესი დანაშაული ჩაიდინა ქართველი ერის წინაშე. ვინც დახედავს საქართველოს რუკას (არა ნიკოფსიით დარუბანდამდის! არამედ ე.წ. ჟორდანიას დროინდელს), მისთვის ცხადი შეიქმნება, რამდენი ტერიტორია დაუკარგავს ქვეყანას გასაბჭოების შემდეგ, რამდენი „გაუსაჩუქრებია“: სოჭი, ლორე, საინგილო (ისტ. ჰერეთი)... სამხრეთ საქართველო, ანუ ტაო-კლარჯეთი უკვე დიდი ხანია არ ეკუთვნის საქართველოს, ხოლო ავტონომიებით მისი დახუნძვლა მიზნად ისახავდა ქვეყნის კიდევ უფრო დაქუცმაცებას, რადგან ყოველ მათგანში ჩადებული იყო თითო ნაღმი, რომელსაც მაშინ ააფეთქებდნენ, როცა ამის საჭიროება შეიქმნებოდა (აკი, ასეც მოხდა, აგერ, ახლა, ჩვენს თვალწინ!).

ამასთან, ჩუმ-ჩუმად თუ აშკარად კვლავ გრძელდებოდა მიწის ყიდვა-გაყიდვა. აფხაზეთზე რომ არაფერი ვთქვათ, საქართველოს სხვა რეგიონებშიც არანაკლები მასშტაბით მიმდინარეობდა მიწით ვაჭრობა. ამის შესახებ მრავალჯერ დაწერილა. იმაზეც ბევრი ითქვა, რა უარყოფითი მოვლენები ახლდა მიწის ნაჩქარევად პრივატიზაციას საქართველოში, როგორ განადგურდა სოფლის მეურნეობის ბევრი დარგი, როგორ მოისპო ათეული წლების განმავლობაში შექმნილი მრავალი სტრატეგიული სასიცოცხლო მნიშვნელობის მეურნეობა. უცხოური კრედიტები საქმეს დროებით თუ შველის (იქნებ, დადგა დრო, გაირკვეს, კერძოდ, სოფლის მეურნეობის დარგისთვის განკუთვნილი კრედიტები სად და როგორ „იკარგება“, უფრო სწორად, ვის ჯიბეებში მიდის?). ხომ ფაქტია ისიც, რომ სოციალისტურ-კომუნისტურმა ჩი-

ნეთმა არ ისურვა ამ გზით სიარული და დიდ წარმატებებსაც მიაღწია სწორედ სოფლის მეურნეობაში, ანუ სოციალიზმის ელემენტების საბაზრო ეკონომიკასთან, ასე ვთქვათ, თავისებური „შეჯვარებით“, უმტკივნეულოდ გადაჭრა ფრიად მნიშვნელოვანი, როგორც სპეციალისტები ამბობენ, სასიცოცხლო პრობლემა. აღარაფერს ვამბობთ ისეთ ქვეყნებზე, როგორიცაა ჰოლანდია, ისრაელი, დანია, ნორვეგია და სხვა. მით უმეტეს, ჩვენთვისაც ყოფილა გამოსავალი, გაერო და მსოფლიო ბანკი გვაძლევენ თურმე არჩევანის საშუალებას: თუ მიწას არ გავყიდით, გავცეთ იგი გრძელვადიანი იჯარით, როგორც ეს მიღებულია ბევრ ქვეყანაში. მაშ, ისედაც შაგრენის ტყავივით დალეულ ქვეყანაში მიწის (ჯერ კიდევ გადარჩენილი ნაწილის) ყიდვა-გაყიდვა რომ არ დავაკანონოთ, რა არის ამაში მკრეხელური, ვაი-პატრიოტული? ქართული ანდაზა ამბობს, რა მგელს შევუჭამივარ და რა მგლისფერ ძაღლსო. ვინ წაართმევს ქართველ კაცს ისედაც მცირე მიწას — შემოსეული მტერი, იმპერიული სახელმწიფოები თუ საბაზრო ეკონომიკად მონათლული სისტემა — აქვს განა ამას გადამწყვეტი მნიშვნელობა, კერძოდ, გლეხისთვის, რომელსაც, განსხვავებით სხვა ერის წარმომადგენელთაგან, მიწის შესასყიდი კი არა, პურის ფულიც არ გააჩნია? (ხომ ვიცით, რომ ლაპარაკია ჯერ კიდევ გაუყიდავ და არა დიდი ხნის წინათ „ათვისებულ“ მიწებზე!)? და, საერთოდ, მიწის რა ყიდვა-გაყიდვაზე მიდის მსჯელობა, როცა აფხაზეთი და შიდა ქართლი, ე.წ. სამხრეთ ოსეთი ჩვენს იურისდიქციას არ ექვემდებარება? უნდა ითქვას ერთი რამეც: ათი კემბრიჯის თუ ოქსფორდი უნივერსიტეტი რომ ჰქონდეს დამთავრებული კაცს, თუ ქართული გული არ უძგერს, ვერასოდეს გაიგებს, რატომ არ შეიძლება ყიდვა-გაყიდვის ობიექტად იქცეს მიწა საქართველოში! ხოლო, რაც შეეხება ე.წ. რეტროგრადობას, ვითომ საქმის არსის არცოდნას, რომელსაც

უკიჟინებს მიწის ყიდვა-გაყიდვის მოწინააღმდეგეებს მავანი და მავანი, რომელთაც აქამდე ვერა და ვერ მოუნელებიათ პოეტ ჯ. ჩარკვიანის მიერ პარლამენტში წარმოთქმული სიტყვა, ეროვნულ პოზიციას რომ იცავდა, მათ და ფიტულების დამწველების მსგავსთ, უნდა შევახსენო: პროგრესულობის, დემოკრატიის და თავისუფლების ნიღბით არაერთი სისაძაგლე ჩაუდენიათ და ჩადიან დღესაც (სხვათა შორის, არაფერი ნუგეშია ყბადაღებული რუსეთუმეები ყბადაღებულ დასავლეთუმეებად თუ შეიცვლებიან, ანუ მოხდება მაღალი იდეალებისა და მცნებების გაუფასურება-დაკნინება.)!

ასე რომ, ჩემი აზრით, აჯობებს, დასავლეთიდან თუ აღმოსავლეთიდან გადმოვიღოთ ის, რაც მისაღებია ჩვენი ქვეყნისთვის, მისი ტრადიციებისთვის (ჩვენ ერთხელ უკვე გვქონდა ეკონომიკურად და პოლიტიკურად ძლიერი სახელმწიფო, რომელიც უწინარესად სწორედ თავისი მაღალი კულტურით, თავისი სულიერებით გამოირჩეოდა). ამიტომ, მაინცდამაინც არ უნდა დავხარბდეთ ყველაფერ უცხოურს, რადგან ბრმა წაბაძვა დაგვაკარგინებს თავისთავადობას, საკუთარ მეობას, ანუ იმას, რითიც ერთი ერი განირჩევა მეორისგან (და რის მოსპობასაც დღესაც ბევრი მიელტვის!). ალბათ, უნდა შევითვისოთ ის, რაც ჩვენი პირობებისთვის არის ხელსაყრელი (რაც ბრჭყვიალებს, ყველაფერი ხომ ოქრო არ არის!), რაც ჩვენ გამოგვადგება, რაც ჩვენს სულიერ თარგზეა გამოჭრილი, და არ გამოვაცალოთ ქვეყანას უმთავრესი საყრდენი — მისი მიწა-წყალი (არადა, რამდენია ამის მოსურნე!) — საბაზრო ეკონომიკის თუ ინტეგრაციის სახელით. თორემ, ნიკო ლორთქიფანიძის სიტყვებით რომ ვთქვათ, მიწით ვაჭრობის შედეგად მივიღებთ ისეთ მამულს, „რასაც ოდესღაც საქართველო ერქვა“ და რაც „დღეს ოხრად დარჩენილი აძღებს ყორნებს და გულს უკლავს უძლურ ჭირისუფალს“.

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
1999 წ.

„ვისაც როგორ ულირს ერის სიმბოლო, ისე ექცევა“

ინტერვიუ

კორ. — ურთულესი ფენომენია ქართველი ქალი. იგი არა მარტო უშრეტი მშვენიერების სიმბოლოდ აღიქმებოდა, არამედ ქვეყნის თავისუფლებისათვის ბრძოლის გარანტად. ამიტომ მოუხმობდნენ უპირველესი მიზნის მისაღწევად „ქართვლის დედას“ ჩვენი გულანთებული მამულიშვილები. იქნებ ამიტომ დაუკავშირდა უძველესი წარმოდგენები დიაფალს. ქალის მიმართ მოკრძალება და თაყვანისცემა აისახა ჩვენს ზეპირსიტყვიერებაში, ცეკვა-სიმღერასა და ზნე-ჩვეულებებში. ამიტომაც მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო საქართველოში მეფე თამარის გამოჩენა.

ჯერ კიდევ 1986 წელს თქვენ, ქალბატონო ციალა, გამოეცით ისტორიულ-მხატვრულ ნარკვევთა წიგნი „საუნჯე სათნოებისა“, რომელშიც დოკუმენტურ მასალებზე დაყრდნობით, მოთხრობილია ქართველი ქალების ღვაწლის შესახებ, ერს ზნეობისა და გმირობის მაგალითებს რომ უჩვენებდნენ და რწმენით ზრდიდნენ თაობებს. ამ წიგნში მთელი ერთი თავი მიძღვნილია მეფე თამარისადმი. ქალბატონო ციალა! რამ შთაგაგონათ ამ წიგნის დაწერა?

ც.ა. — დიახ, 1986 წელს საკმაოდ შეკრეჭილ-შეკვეცილი და ერთობ მცირე ტირაჟით გამოვიდა ჩემი წიგნი ქართველ ქალებზე „საუნჯე სათნოებისა“, სადაც დიდი ადგილი უჭირავს ნარკვევს თამარ მეფეზე. თუმცა იგი დაწერილი მქონდა ბევრად უფრო ადრე — 1978 წელს, მაგრამ მიზეზთა გამო სხვათა და სხვათა წიგნი მხოლოდღა 1986 წელს გამოქვეყნდა. ამ წიგნის დაწერა ჩავიფიქრე 70-იან წლებში, იმ დროს, როცა ჟურნალ „ცისკარში“ ვმუშაობდი. მოგეხსენებათ, „ცისკარი“ მაშინ პოპულარული ჟურნალი გახლდათ. რედაქციაში ხშირად იკრიბებოდნენ ახალგაზრდა მწერლები, პოეტები, მხატვრები, მეცნიერები და, საერთოდ, მოწინავე, პროგრესულად

მოაზროვნე ინტელიგენციის წარმომადგენლები. ერთხელაც ჩვენს პატარა ოთახში, სადაც მე და ჩემი უახლოესი მეგობარი და თანამშრომელი ნანა ჯაფარიძე ვისხედით, ერთ-ერთმა დამწყებმა მწერალმა (გვარს არ დავასახელებ) საუბრის დროს უდიერად მოიხსენია თამარ მეფე. მას ერთი-ორი სხვაც აჰყვა. რასაკვირველია, შევეკამათე და ამ დავის დროს გამოირკვა, რომ არც ერთ მათგანს წაკითხული არ ჰქონდა ისტორიული წყაროები თამარ მეფეზე — მათ შორის „ქართლის ცხოვრება“. მათი ძირითადი „არგუმენტები“ მოარული ჭორების დონეზე და, კერძოდ, ლერმონტოვის ლექსზე იყო დაფუძნებული. მე საქართველოს თითქმის ყველა კუთხე მაქვს მოვლილი. ხშირად მქონია შეხვედრები ახალგაზრდებთან და ყოველთვის სასოწარკვეთილებაში მაგდებდა ის გარემოება, რომ ახალგაზრდობის დიდმა ნაწილმა არ იცოდა თავისი ქვეყნის ისტორია (ფორმალურად კი თითქოს ყველაზე წიგნიერი რესპუბლიკა ვიყავით), თუმცა ეს უმეცრება საკვირველი არც უნდა ყოფილიყო, რადგან მაშინ, სკოლებში საქართველოს ისტორიას თითქმის არ ასწავლიდნენ: იგი სსრკ-ის, ანუ რუსეთის ისტორიის დანამატივით იყო. აღსანიშნავია ისიც, რომ ჩვენი ქვეყნის ისტორია დღესაც არ იცის ბევრმა. მახსოვს, იმ დღეს ჩემს აღშფოთებას საზღვარი არ ჰქონდა. სწორედ ამან (აღშფოთებისა და შეურაცხყოფის გრძნობამ) გადამაწყვეტინა, ხელახლა შემესწავლა ყველა წყარო, ყველა ისტორიული დოკუმენტი, რაც კი არსებობდა თამარ მეფეზე, მის ეპოქაზე და დამეწერა მხატვრულ-ისტორიული ნარკვევი, სწორედ ახალგაზრდებისთვის განკუთვნილი. რასაკვირველია, ჩემამდეც ბევრი რამ იყო დაწერილი, თუნდაც შალვა დადიანის შესანიშნავი რომანი „გიორგი რუსი“ (ძველი ვარიანტით „უბედური რუსი“), მაგრამ მე მაინც, ასე ვთქვათ, ჩემებურად, ჩემი პოზიციიდან მინდოდა ხორცი შემესხა ამ ჩანაფიქრისთვის.

კორესპ. — ბოლო დროს დიდი ხმაური ატყდა ახალგაზრდა მწერლის ლაშა ბუღაძის მოთხრობის „პირველი რუსის“ გარშემო. როგორც მწერალი ამბობს, თამარი „სიმბოლირებს დამცირებულ საქართველოს“, გიორგი რუსი კი „შეურაცხ-

მყოფელს“. ავტორი აცხადებს, რომ მწერალი თავისუფალია, რომ მას ცენზორი არა ჰყავს და უფლება აქვს, თავისი შეხედულებისამებრ მოექცეს ამა თუ იმ ფაქტს თუ პერსონაჟს. ქალბატონო ციალა, ჩვენთვის საინტერესოა თქვენი, ქართველი ქალებისადმი მიძღვნილი იმ საოცარი წიგნის ავტორის, აზრი ყოველივე ზემოთქმულის შესახებ.

ც.ა. — რასაკვირველია, მწერალს სრული უფლება აქვს, ნებისმიერი თემა აირჩიოს. იგი წერის დროს თავისუფალია, ანუ, სრული უფლება აქვს თავისი შეხედულებები და აზრი გამოთქვას ამა თუ იმ პრობლემაზე, ანუ ამ მხრივ შემოქმედის თავისუფლება შეუზღუდავია. სხვათა შორის, ქრისტეზეც შეიქმნა „სახალისო სახარება“ — გააჩნია, ვისთვის არის ძვირფასი ქრისტეს მცნება და ვისთვის — სახალისო. ეს ადამიანის პირად თვისებებზეა დამოკიდებული: რა არის მისთვის ღირებული, როგორ ესმის ერის სიწმინდე და, საერთოდ, ერის ფენომენი. სამწუხაროა, რომ საქართველოში ამ ბოლო დროს ძალზე მოხშირდა ეროვნული სიმბოლოების ასე ვთქვათ „თავისუფალი ინტერპრეტირება“.

კორესპ. — „დასაბამითგან იყო სიტყვა“, — ბრძანებს უფალი. სიტყვას, და მით უფრო მწერლის სიტყვას, ხომ მაგიური ძალა აქვს. რა აზრი აქვს გმირის ზნეობრივ საქციელს, თუკი მას ნებისმიერი სახით მიუდგები — მწერალმა ხომ გმირის საქციელი ზნეობრივად მისაბაძად, სამაგალითოდ უნდა აქციოს? და კიდევ: მოზარდისთვის, რომელსაც ესეს არის უჩნდება ინტერესი თამარისადმი და რომელიც ამ მოთხრობას გადაშლის და წაიკითხავს, როგორღა იქცევა თამარი ეროვნულ სიწმინდედ, სიმბოლოდ?

ც.ა. — დიახ, მწერალს დიდი პასუხისმგებლობა აკისრია, რადგან სიტყვასთან აქვს საქმე. მით უფრო, ეს ითქმის ისეთი არადალხინებული ქვეყნის შვილებზე, ჩვენ რომ ვართ. საქართველო ხომ მიწყივ დასაბამიდან ყოფნა-არყოფნის დილემის წინაშე იდგა და დგას ამჟამადაც. ხოლო ქართული მწერლობა, „შუშანიკის წამებიდან“ მოყოლებული, საკაცობრიო, მაღალი სულიერი ღირებულებების, მათ შორის,

ეროვნული სულის გადარჩენის საწინდარი იყო და არის — მოაქჟამამდე. ალბათ, ამიტომაც მოხშირდა, გარკვეული ძალების თავდასხმები ქართულ მწერლობაზე.

აკი, მე-19 საუკუნის მწერლები საგანგებოდ მოუხმობდნენ ხოლმე ისტორიიდან ისეთ მოვლენებს, რომელიც ეროვნული სიამაყის გრძნობას რომ აღძრავდა ხალხში. დიახ, მწერლის სიტყვას უზარმაზარი მნიშვნელობა ენიჭება, ანუ სიტყვამ შეიძლება წაღმა წაიყვანოს საქმე, ან უკუღმა შემოატრიალოს, ან აღძრას ეროვნული აღტკინება, ან, პირიქით, მოახდინოს მისი ნიველირება. ასე რომ, მწერალს, უდიდესი ვალდებულება აკისრიათ. ახალგაზრდა მწერალი (არ ვიცი, რა მიზნით — შეიძლება კარგი განზრახვითაც), როცა ერის სიმბოლოს ეხება, ჩემი აზრით, მას დიდი სიფრთხილე და მოკრძალება მართებს. დღეს ყველა ლაპარაკობს ადამიანის უფლებებზე, თავისუფლებაზე. ადამიანის უფლებების გვერდით მოვალეობებიც ხომ არსებობს? ეს კი „რატომღაც“ დაივიწყეს ზოგიერთებმა. თავისუფლება სულაც არ ნიშნავს აღვირახსნილობას. თვით ქართული სიტყვა — თავისუფლება ნიშნავს თავის ფლობას — დიახ, თავისუფალი მაშინ ხარ, თუ შენს თავს ფლობ. ამდენად, ადამიანს, და უპირველესად მწერალს, აუცილებლად ჰყავს თავისი შინაგანი „ცენზორი“.

ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ არის გარკვეული კატეგორია ადამიანებისა, განსაკუთრებით ახალგაზრდულ ასაკში, ჰეროსტრატეს კომპლექსით რომ ხასიათდებიან და თვითდამკვიდრებისთვის ხშირად მის მეთოდს იყენებენ, ზოგი, სამწუხაროდ, სხვადასხვა პათოლოგიური გადახრებითაც არის დაავადებული.

ნორმალურ საზოგადოებაში ისინი იმ ადგილს იკავებენ ყოველთვის, რაც ეკუთვნით და რასაც იმსახურებენ, ანუ ხდება მათი სრული იგნორირება. ჩვენში ახლა, რაკიღა საზოგადოებრივი აზრი თითქმის არ არსებობს — იგი შეცვლილია სხვადასხვა პარტიების ე.წ. არასამთავრობო ორგანიზაციების, დაჯგუფებების, ფრაქციების თუ სექტების შეხედულებებით — ანუ როცა ლიტერატურული კრიტიკაც ვერ დგას იმ დონე-

ზე, რომ იყოს ლიტერატურული პროცესის პირუთვნელი მსაჯული და სულიერი ცხოვრების წარმმართველი, ბუნებრივია, აღზევდეს და ფართო სარბიელი ჰპოვოს უნიჭობამ, არაჯანსაღმა დამოკიდებულებამ რეალური მოვლენებისადმი, რასაც, როგორც წესი, უზნეობის გაფეტიშება მოჰყვება ხოლმე. მით უმეტეს, როცა სხვადასხვაგვარი მანიპულაციებით, მზაკვრული მეთოდ-ხერხებით მიდის ფარული თუ აშკარა ბრძოლა ქართული ცნობიერების, ქართული კულტურის, ქართული მწერლობისა და მართლმადიდებლობის წინააღმდეგ. ერთი ცნობილი „დოქტრინის“ მიხედვით, ჩვენს პრესაში დალესის სახელით რომ გამოქვეყნდა (ისე, ღმერთმა უწყის, მართლა დალესისაა, „კაგებესი“ თუ მასონების — რაც პრინციპში ერთი და იგივეა), ლიტერატურამ, თეატრმა, კინომ, პრესამ უნდა ასახოს და განადიდოს თურმე ადამიანთა ქვენა გრძნობები, ყოველნაირად ხელი შეუწყოს იმ შემოქმედებით ძალებს, „რომლებიც ადამიანთა შეგნებაში შეიტანენ სექსის, ძალდობის, ღალატის, უზნეობის კულტს, რომელნიც ყოველნაირად ეცდებიან ერის წარსულის, მისი ფასეული ღირებულებების ნიველირებას, ხოლო პატიოსნებას, წესიერებას გაამახსარავებენ ისე, რომ არავის დასჭირდება ისინი და იქცევა წარსულის გადმონაშთად. ხოლო ისინი, რომლებიც შეეცდებიან ამ უზნეობის მხილებას, უმწეო მდგომარეობაში ჩავარდებიან და სასაცილო გახდებიან“. ეს „დოქტრინისეული პროგრამა“, უფრო სწორად, მეოცე საუკუნის სატანისტური დებულებები, რაც ბოლშევიკური იდეოლოგიის არსაც შეადგენს, მეტ-ნაკლები წარმატებით ხორციელდება ყველა პოსტსაბჭოურ ქვეყანაში, მათ შორის, ჩვენშიც. ასე რომ, მოულოდნელი არაფერი გახლავთ: სადაც ილიას, აკაკის, ვაჟას, გალაკტიონს და, საერთოდ, ჩვენს დიდებულ მწერლობას აბუჩად იგდებენ და ცხვირს უბზუებენ, ჩვენი ისტორიის სახელოვანი, დიდი გმირების აუგად მოხსენიება არ უნდა იყოს საკვირველი. თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს, რომ უნიჭობის, ანტიეროვნულობის მიმართ გულგრილი დავრჩეთ და შეძლებისდაგვარად არ ვეცადოთ, წინ აღვუდგეთ ამ უმსგავსოებას.

...სხვათა შორის, თამარის პირველ ქორწინებას რაც შეეხება (დიდებულების მიერ თავს მოხვეულს), რუსის „სკვითური ბუნების“ გამოჩენისთანავე, თამარმა — ახლოს რომ არ იკარებდა გიორგი რუსს და თავიდანვე წინააღმდეგი იყო ამ ქორწინებისა — მაინც პატივით გაისტუმრა უღირსი ქმარყოფილი საბერძნეთს და თქვა: „განვიყარე ვითარცა მტვერი, რომელიც აღმეკრაო“.

თამარის სახელს ვერაფერს დააკლებს „თანამედროვე მტვერიც“.

მოგეხსენებათ, მსოფლიო ისტორიას არ ახსოვს, რომ ქალისთვის მეფე ეწოდებინოთ. ეს ტიტული ყოველთვის მირონცხებული მამაკაცების სარგო გახლდათ, ქალი კი — დედოფლად მოიხსენიებოდა. როცა ერი თამარს „მეფეთა მეფედ“ ან „მეფეთა შორის საკვირველებად“ წარმოგვიჩენს, აქ ვაჟასეული მოკრძალება და მოწიწება გვმართებს მის მიმართ დიდს თუ პატარას, ხანდაზმულს თუ ახალგაზრდას:

„გულში გვინთიხარ
ლამპრადა,
ნათობს და არა ქრებაო,
შენს და შოთაის მარჯვენას
ვემთხვიე ზედიზედაო,
მოწყალე გვექმენ
ქართველთა,
ჩვენო ლამაზო დედაო.
საუნჯევ სათნოებისა, ჩემიც მიიღე ქებაო.“

ესაუბრა ს. ბაშარული
„მართალი გაზეთი“,
2001 წ.

„ძე - შეცთომილი“

აფხაზეთში სისხლი დაიღვარა. დაიღვარა სისხლი ქართველთა და აფხაზთა. ეს ტრაგედია გახლდათ, საშინელი, საზარელი, თუმცა... მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო, რაც ნასაზრდოები და საგულდაგულოდ გეზმიმართული იყო ათეული წლების განმავლობაში როგორც ე. წ. აფხაზური ინტელიგენციის გარკვეული ძალების მიერ, ისე ქვეყნის ფარგლებს გარედან.

გადმოსკდა და გადმოპირქვავდა დიდი ხნით დაგუბებული ბოღმა და სიძულვილი და, როგორც უგუნურ, ბნელ ბრბოს სჩვევია, ერთიანად წალეკა გონიერებისა და თავშეკავების სამანები, დაიღუპნენ უდანაშაულო ადამიანები, მაგრამ აფხაზთა ერთი ნაწილის მხრიდან — ნიშანწყალიც კი არ ჩანს რაიმე მონანიების. პირიქით, უტიფრად, ურცხვად გვესვრიან ქვას და ტალახის გუნდას — წაქეზებულნი მათი აშკარა თუ ფარული ლიდერებისგან. აქეთ გვადანაშაულებენ ყველაფერში: თურმე ჩვენ, ოთხი მილიონი ერი ვებრძვით 80-ათას „დაჩაგრულ, შევიწროებულ“ აფსუას; ჩვენ პირველი დავესხით მათ თავს, ჩვენ გვინდოდა ამოგვეწყვიტა ისინი, ჩვენ პირველნი შევუვარდით სახლებში და დავხოცეთ ბავშვები, ქალები... ავრცელებენ თითქოსდა ჩვენ მიერ შედგენილ რაღაც რუკებს, სადაც თავდასასხმელი პუნქტები წინასწარ გვქონია შემოხაზული და ა. შ. ერთი სიტყვით, ადრევე დაწერილი სცენარის მიხედვით მიმდინარეობს სპექტაკლ-ფარსის გათამაშება. ყოველი დეტალი გაუთვლიათ ჩვენს „მოძმეებს“: რას რა უნდა მოჰყოლოდა, სად რა უნდა ეთქვათ და დაეწერათ, ანუ როგორ შეეყვანათ შეცდომაში მსოფლიო საზოგადოებრიობა ოპერატიულად მიწოდებული დეზინფორმაციებით, სად რა კადრები გადაეღოთ, რა დაეფიქსირებინათ „შთამომავლობისთვის“ და ა. შ.

დიახ, კარგად ყოფილან მომზადებული ჩვენი მოძმეები

„ახალი ფერღანას“ მოსაწყობად. წინასწარვე ეყოლებოდათ ალბათ მონიშნული თავიანთი მსხვერპლნიც, ვოვა ვეკუას — ამ უსპეტაკესი და მართალი ვაჟკაცის ჩათვლით (ვოვას ტრაგიკული სიკვდილით თავზარდაცემულნი, მაშინ რას წარმოვიდგენდით, რომ წინ უფრო დიდი უბედურებები გველოდა: ჯერ იყო და, ჩვენი სათაყვანებელი მერაბ კოსტავას დაღუპვა, შემდეგ სოსო ადამიას და ბოლოს უკანასკნელი ტრაგიკული აკორდი — ზურაბ ჭავჭავაძის გარდაცვალება) და, თუმც ყველა მუხლი ვერ შესრულდა ამ ვერაგულად შედგენილ სცენარში, მაგრამ ეს უკვე მათი ბრალი არ არის — ზოგ რამეში, მათთვის მოულოდნელად, ქართველობამაც იმარჯვა. ამასთან, მართალია, სისხლის ფასად (ეტყობა, უმსხვერპლოდ და უსისხლოდ არაფერი გამოგვდის ქართველებს), მაგრამ მაინც მოიპოვა აქამდე ტაბუდადებული სიმართლის თქმის უფლება, უფლება იმისა, რომ საგანს თავისი სახელი დაერქვას.

აფხაზი სეპარატისტი ინტელიგენციის ერთი ნაწილი წერილის თავში „ეგრეთ წოდებულით“ მოვიხსენიე, რადგან განა შესაძლოა ჭეშმარიტმა ინტელიგენტმა მეთოდურად, დაჟინებით ზარდოს თავისი ხალხი სიძულვილის გრძნობით სხვათა და, მით უფრო, თანამოძმეთა მიმართ? კაცთა კვლისკენ გააქეზოს და წაახალისოს? რასაკვირველია, არა. მხოლოდ ცრუ ინტელიგენციას — ნახევრად განათლებულს, ნახევრად კულტურულს, ნახევრად პატიოსანს (რაც არცთუ იშვიათი გახლავთ საბჭოთა სინამდვილეში) და კორუმპირებულ თანამდებობის პირთ, ბნელ საქმოსნებს ძალუძთ, ჩაიდინონ ეს სისაძაგლე. მხოლოდ მათ ძალუძთ, წლიდან წლამდე, თანისთანობით, წვეთწვეთობით მოშხამონ თანამემამულეთა გონება და გული ცრუ, ყალბი ინფორმაციებით, რამეთუ მათ, ამ უკეთურ ბოროტგანმზრახველთ, თავისი ხალხის სატკივარი ისე აწუხებთ სინამდვილეში, როგორც, ვთქვათ, ჩინელს ისლანდიის გამრავლების საკითხი.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ — 15-16 ივლისი!..

წარმოდგენილი მაქვს, როგორ იფშვნეტდნენ ხელებს, რა იქედნურად ხითხითებდნენ „ახალი ფერღანას“ მთავარი ინსპირატორები. აბა, რა გვეგონა ქართველებს, ასე აშკარად, ჯიქურად რომ დავუპირისპირდით და დავეტაკეთ უზარმაზარ ურჩხულს! სად წავუვიდოდით მძლავრთა ამა ქვეყნისათა ყოვლისშემძლეობას, მათ შურისგებას? ეს მესამე თუ მეოთხე ძალები, ერთმანეთთან შეკრულ-გადაფსკვნილნი, ოსტატურად რომ მართავენ და არეგულირებენ აფხაზურ თუ სხვა მცირე ხალხების ე. წ. ეროვნულ მოძრაობებს საქართველოში თუ სხვაგან, ახლაც, თითქმის სამი თვის გასვლის შემდეგ ამ სისხლიანი აქციიდან, როგორც ჩანს, სულაც არ აპირებენ ხელი აიღონ თავიანთ განზრახულზე; ანუ „აფხაზურ კოზირზე“, ნაღმის ასაფეთქებლად რომ არის გამიზნული. ნაღმები კი ერთიანი საქართველოს სხეულში თავის დროზე ისე მარჯვედ და „ნიჭიერად“ ჩადეს ბოლშევიკმა, ორჯონიკიძეებმა, რომ ნებისმიერ დროში შეუძლიათ მისი აფეთქება საქართველოს საზიანოდ, ანუ, როცა ეს ურჩი ქართველები მეტისმეტად გათავხედდებიან, როცა მეტისმეტად თავს გავლენ, მყისვე ამოქმედდება ნაცადი მექანიზმი და... მზად არის საქართველოში მორიგი „ცხელი წერტილი“. იღაღადონ მერე ქართველებმა თავიანთ სიმართლესა და სამართლიანობაზე: დარჩება მათი ხმა ღაღადებად უდაბნოსა შინა.

შეშფოთებული და შეწუხებული ქალბატონი ქეთევან ლომთათიძე თუ ქალბატონი მარიკა ბარათაშვილი ამაოდ ელოდებიან გულისტკენის დამაყუჩებელ სალბუნს თავიანთ შეგირდთა თუ თანამოკალმეთაგან. ასევე, ამაოდ ელოდება ზოგიერთი ჩვენი რომანტიკოსი ინტელიგენტი მადლიერების გრძნობას იმათი მხრიდან, ვისაც მართებს თურმე მისი გამოჩენა. მაგრამ... ამაოა ყოველგვარი მოწოდებანი, შეგონებანი, შეხსენება ელემენტარული ზნეობრიობისა,

ძველი ტრადიციული „ალამისის“ კოდექსებისა და მაინც, ამისდა მიუხედავად, გრძელდება ჩვენი ღაღადი:

გამოგვეხმაურეთ, ჩვენო მავანნო და მავანნო დებო და ძმებო, სად ხართ, რად არ იღებთ ხმას, რატომ სდუმხართ ამ ტრაგიკულ სიტუაციაშიო. არა. არ დუმან. იღებენ ხმას, როგორ არა. ოღონდ... სულ სხვა მიმართულებით! არა კაენის ცოდვის მოსანანიებლად, არამედ ახალ-ახალი ცილისწამებისა და სიცრუის კორიანტელის დასაყენებლად, სხვათათვის, საქმეში ჩაუხედავ შინაურთა და გარეშეთათვის თვალში ნაცრის შესაყრელად, სრულად დაიმედებულნი და დარწმუნებულნი იმაში, რომ ამჯერადაც დაუსჯელი დარჩება მათი ქმედებანი, რომ უკანონობა კვლავაც იზეიმებს კანონიერებაზე, უსამართლობა — სამართლიანობაზე, ბოროტება — სიკეთეზე. ზოგს კიდევ პირში წყალი ჩაუგუბებია იმის მოლოდინში, თუ საიდან დაუბერავს ქარი იქ, „ზემოთ“, რათა ამისდა მიხედვით „იმოღვაწეოს“ შემდგომში. ასე რომ, ყველაფერი გაანგარიშებულია. — თითოეული წვრილმანიც კი. უწყიან, რასაკვირველია, მშვენივრად უწყიან გაუდით და იმიტომ სტირიან, ანდაზისა არ იყოს. ბევრს მშვენივრად მოეხსენება ისიც, რომ მარიონეტია ამ ბინძურ თამაშში, მაგრამ ხელს აძლევს ეს დამქაშობა, რადგან იგი ხელ-ფეხს უხსნის თავისი პირადული ზრახვებისა და სურვილების აღსრულებაში.

ამიტომ და კიდევ ბევრი სხვა რამის გამოც მიმაჩნია, რომ არ დამთავრებულა 15 ივლისი. თუმც ექსტრემისტთა გარკვეულ ჯგუფს კარგად მოეხსენება, რომ წაგებული აქვს ეს ბრძოლა მორალურ-ზნეობრივ და, თუ გნებავთ, ფიზიკურ ასპექტში. ანუ იციან, ფიასკო რომ განიცადა მათმა ძირითადმა პროგრამამ, ქართველების დაშინებას, მათ გაჟლეტას, დაქსაქსვა-აყრას და ბოლოს, გადასახლებას რომ გულისხმობდა. ამისდა მიუხედავად, მაინც არ ეპუებიან სინამდვილეს, არ ყრიან ფარ-ხმალს-მეთქი. პირიქით, ჩემი აზრით,

შეეცდებიან ახლო მომავლისთვის მოამზადონ ახალი „ბართლომეს ღამე“. შესაძლოა, უკვე გახაზირებულიც აქვთ სადმე ლაჟვარდოვანი ზღვის რომელიმე ფეშენებლურ ვილაში ანდა რაიკომის მდივნის რომელიმე უწყინარწარწერებიან „პანსიონატში“ ძველის ანალოგიური „ახალი“ სცენარი მცირეოდენი კორექტივებით.

ღმერთმა ქნას, ვცდებოდე, რომ პირიქით მოხდეს ყველაფერი — იმძლავროს საღმა, ჯანსაღმა აზრმა, რომ მართლა მოინანიონ ცოდვილებმა, რომ დადგეს სულიერი კათარზისის ჟამი, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება, ალბათ, დიალოგი ორივე მხარეს შორის და, ვინ იცის, იქნებ აღდგეს კიდეც ჩატეხილი ხიდი. მე, იქაურ მკვიდრს, იქ დაბადებულს და გაზრდილს, სისხლითაც აფხაზთა ნათესავს, მთელი ჩემი არსებით მწადია ეს, მწადია ძე შეცთომილის მობრუნება მშობლიურ წიაღში. მინდა დავიჯერო, რომ ღმერთი არ გაწირავს ჩვენს ოდინდელ თანამოძმეებს, კვლავ ღვთისმშობლის კალთის ქვეშ მოუყრის თავს თავის გზააბნეულ შვილებს. ღვთისმშობლის ქვეყნიდან უნდათ გასვლა, ამაზე დიდი სასჯელი და უბედურება, აბა, რა უნდა იყოსო, — უთქვამს ერთ მორწმუნე კაცს.

ღვთისმშობლის კალთა ვახსენე ზემოთ. ჰო, მაგრამ, დღევანდელ „აფხაზთა“ უმრავლესობა ქრისტეს რჯულის მიმდევარი არ გახლავთ. აკი, ამიტომაც იყო „ახალ ფერღანას“ მოვაწყობთო, რომ იქადდნენ მათი მეთაურები.

კარგად ვიცით, პანისლამიზმი, ისლამური ფუნდამენტალიზმი ერთ-ერთი რგოლი რომ არის იმ ჯაჭვისა, რომელსაც მარჯვე ხელი მართავს არამარტო საბჭოთა კავშირში. ეს ასეა და მაინც, როგორ მოხდა, აგერ, ჩვენს თვლწინ, ჩვენი ოდინდელი მოძმე-მოსისხლე მტრად რომ გვექცა? ასე უწყალოდ რომ გაგვწირა და სასიკვდილოდ გაგვიმეტა? ხომ თითქოს ვიცოდით ამ სიძულვილის წყარო-სათავე. ვიცოდით, რომ იგი ბოლოს და ბოლოს სადინარს იპოვიდა.

1978 წლის ამბებიც გვახსოვდა, წლევანდელი მარტი და აპრილის პირველი რიცხვები — რბევა, „ლიხნის წერილი“ და მაინც... მოსალოდნელი თითქოს მოულდონელი აღმოჩნდა ჩვენთვის. მოწმენდილ ცაზე მეხის გავარდნასავით აღვიქვით ყოველივე. ვერ წარმოვიდგინეთ, არ გვეგონა თუ ამ ზომამდე — სისხლის ღვრამდე, მოძმის ასე უღვთოდ გაწირვამდე მივიდოდა საქმე.

რატომ არ გვეგონა?

თავში ვთქვი, იქაური მკვიდრი ვარ-მეთქი, იქ დაბადებული და გაზრდილი, ნახევრად აფხაზი, მაგრამ მოხდა ისე, რომ პირველად უნივერსიტეტში სწავლის დროს შევხვდი გააფსუებულ მეგრელებს: გურგულიას, კაციას, ფაჩულიას, კობახიას...

ჩემი მამიდაშვილები — დაგარგულიები, ღალიძგის პირას მცხოვრებნი, და აფსუა გურგულია, ძირისძირობამდე რომ ჩავსდიეთ წარმომავლობას, ერთი ფესვისანი აღმოჩნდნენ. ანდა, რა ისეთი დიდი აღმოჩენა სჭირდებოდა გურგულიას თუ ფაჩულიას გვარის გენეალოგიის დადგენას? მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩებოდა — ერთი ფაჩულია აფხაზი, უფრო სწორად — აფსუა რომ იყო, მეორე ქართველი გახლდათ, ერთი კობახია რომ აფსუობდა, მეორეს — ქართველად მიაჩნდა თავი. მიჭირდა გამერჩია – ვინ ვინ იყო, ისევე, როგორც 15-16 ივლისს დაღუპულთა სიიდან ვერ შევძელი გამერკვია, რომელი მათგანი იყო ქართველი და რომელი „აფხაზი“! ალბათ, ყველა დამეთანხმება, ეს იმ დაღვრილ სისხლზე არანაკლები ტრაგედიაა, ეს ჩვენი ბედუკუღმართი ისტორიის დანაშრევია, მისი წყლულია მოაქჟამამდე მოღწეული. ძალაუნებურად ხმიანდებოდა გულში უიარაღოს უკვდავი ფრაზა: „ღმერთმა ხომ იცოდა, რომ არც ერთი იყო ვენეციელი და არც მეორე — ეგვიპტელი. ორივე ბედკრული საქართველოს შვილები იყვნენ!“ ოღონდ აქ უფრო სხვა კონტექსტში, უფრო მწარედ ჟღერდა იგი — ცხადია, უნებლიე

და ნებაყოფლობითი მამლუქობის ფენომენი განსასხვავებელია ერთიმეორისგან.

დროთა განმავლობაში „აფსუა“ წერეთელსაც გადავეყარე და დოლიძესაც. რაც უფრო საყურადღებოა: გააფსუებული კოღონია, პაპასკირი თუ კვიწინია აფსუაზე უფრო „მართლმორწმუნე“ აფსუები იყვნენ, უფრო სწორად — რუსული ყაიდის, ანუ, მოკლედ რომ ვთქვათ, რუსეთუმე აფსუებს წარმოადგენდნენ და, რაც ყველაზე უფრო სამწუხაროა, განსაკუთრებული მოძულეობით გამოირჩეოდნენ ყოველივე ქართულის მიმართ. აი, ეს სიძულვილი მაოგნებდა. კი ბატონო, მეგრელი, ოდიშარი აფსუა გაგხადეს, აღარ ქართველობ, მაგრამ შენი ძირისა და ფესვისადმი ეს უსაშველო სიძულვილი რაღაა? და საერთოდ, არის კი სიძულვილის გრძნობა სიკეთის მომტანი იმისთვის, ვინც მას ატარებს?.. მერე და მერე ფსიქოლოგიურად „გასაგები“ შეიქმნა ჩემთვის ამ ქართველთმოძულეობის საფანელი იმათი მხრიდან, ვინც, ასე ვთქვათ, ნებაყოფილობითი მამლუქობის სინდრომს შეეპყრო: გადარჯულებული კაცი, ნებსით თუ უნებლიეთ თავის ეროვნებას, რჯულს, ადათ-წესებს მოწყვეტილი, განსაკუთრებული თავგამოდებით ცდილობს, ერთგულება დაუმტკიცოს თავის ახალ სამშობლოს თუ ახალ თანამოძმეებს. სულ ახლახან, ნებაყოფლობით სულგაყიდული „ღამურაც“ კვალის დასაფარავად, უფრო უპრიანია ვთქვათ, თავისი ღალატის საკომპენსაციოდ მეტისმეტი ერთგულების გამოჩენით ლამობს ფონს გავიდეს, ასე „გამოისყიდოს ცოდვა“ — თავისი თუ წინაპრის. მოკლედ რომ ვთქვათ: გასპარსელებული, გათურქებული თუ გარუსებული ქართველი სპარსზე, თურქზე და რუსზე უფრო დიდი მტერი იყო და არის თავისი ყოფილი სამშობლოსი, თავისი გვარის და ჯილაგის მიმართ. სხვათა შორის, ამას ლენინიც აღნიშნავდა გარუსებულ ე. წ. ნაცმენების მისამართით — ისინი თვით ყველაზე ველიკოდერჟაველ რუსებზე უფრო რუსები არიანო. ასევე, რამდენიც უნდა იფიცოს აჯინჯალმა (ჯინჯოლიამ) აფსუა ვარო, როგორადაც უნდა გადაიკეთოს გვარი — ჯინჯს მაინც ვერ ამოაგდებს თავისი გვარიდან — მეჯღანუაშვილის ჯღანისა არ იყოს. (ჯინჯი მეგ. ძირს ნიშნავს). ვერა, ვეღარ დაფარავს თავის ძირს და ფესვს ვერასდიდებით. ძირი თუ არა, გვარის მაწარმოებელი უცვლელი რჩება: ეს სქუადან -უა- იქნება, სკირი, ია, თური, ში, ხი თუ ბა[1] და სხვა. გინდ ა-მარშანი იყავი, გინდა გოგუა თუ ჩაჩხალია. ჰო, ჩაჩხალიაზე გამახსენდა: თურმე ერთ აფსუა ჩაჩხალიას ხელი გაუჭრია და სისხლი ღვარად წამოსვლია. როცა სისხლის დენა შეუწყვიტეს, „უხუმრია“: კარგია, მეგრული სისხლისაგან რომ დავიცალეო (დედა ჰყოლია მეგრელი). ისე გამოდიოდა, რომ დედის სისხლი „აწუხებდა“, თორემ სხვა მხრივ, კერძოდ, მამის მხრიდან, წმინდა სისხლის ჰამსბურგის ანდა ჰოჰენშტაუფენის გვარისა იყო (ჩაჩხალია, ისევე როგორც ფაჩალია, ფაჩულია, პაპასკირი, კვიწინია, კოღონია და მისთანანი - მეგრული, ანუ კოლხური სიტყვისგან წარმომდგარი გვარებია).

... ამ რამდენიმე წლის წინათ სოხუმში რომ ვმუშაობდი ალმანახ „რიწაში“, ჩემთან ოთახში შემოვიდა ერთი მოხუცებული კაცი და გამეცნო — მეო ესა და ეს ვარ, წარმოშობით ბედიიდანო. თურმე კარზე ჩემი გვარი რომ უნახავს წაწერილი დაინტერესბულა, რადგან ჩვენი ნათესავის, 37-ში რეპრესირებულის მეგობარი ყოფილა. რუსულად მელაპარაკებოდა. გვარი რომ მითხრა, მორიდებულად ვკითხე, ქართველი პოეტი ბრძანდებით-მეთქი თუ... „Я Абхазец“-ო, — რიხიანი კილოთი მითხრა. — თქვენი გვარი ხომ მეგრულია-მეთქი, — ერთობ ფრთხილად შევეწინააღმდეგე. — Да, мои предки были мингрельцами, но Я – абхазец!-ო, — მიპასუხა. თუკი თქვენი წინაპრები (იგულისხმება: ბებია, ბაბუა ან სულაც დედა, მამა) მეგრელები იყვნენ, როგორღა გახდით აფხაზი,

1 ბა, ბაია — პატარას ნიშნავს ანუ ძეს მნიშვნელობის არის აფხაზურში.

უფრო სწორად, აფსუა-მეთქი, მინდოდა მეკითხა (თანაც ბედიიდან ყოფილა)[1], მაგრამ თავი შევიკავე. ჯერ ერთი, არ ეგებოდა მოხუცთან დავა-კამათი და მეორეც — მაინც წყლის ნაყვა გამოვიდოდა (ახლახანს ტელევიზიით ვუსმენდი, თუ როგორ ცხარობდა ორი „აფხაზი“, უფრო სწორად, ორი აფსუა ახალგაზრდა იმის გამო, გალის რაიონში აფხაზური გვარის **ანი** თარბაია, ქეცბაია, ზუხბაია — ქართველებად არიან თურმე ჩაწერილებიო. ტელევიზიის კორესპონდენტმა ბოლოს ჰკითხა ერთობ გაფიცხებულ ახალგაზრდას, თქვენ რა გვარის ბრძანდებითო?

— Я – Чкадуа! — განაცხადა ახალგაზრდამ რიხიანად.

ახლა მეორეს მიუტანა მიკროფონი — თქვენო?

— Я – Микава! — მიუგო იმანაც ნირშეუცვლელად (ალბათ, უტუ მიქავაც არ წარმოთქვამდა ასე თავის გვარს!). კორესპონდენტმა სასწრაფოდ მოაცილა მიკროფონი ორთავეს. ისე ცხადი და ნათელი იყო ყველაფერი, კომენტარს არც საჭიროებდა ეს ეპიზოდი. მაგრამ ეს ჩვენთვის იყო ნათელი და გასაგები, ხოლო იმ ორს, ვგონებ, არც უგრძვნიათ უხერხულობა. ძალაუნებურად უნდა იფიქრო, რომ ასეთები თავიანთ გარდა სხვას ყველას ბრიყვებად თვლიან, ან არადა... უმეცრება და უტიფრობა, როგორც წესი, თავდაჯერებული და შემტევია ყოველთვის.

...უნივერსიტეტში, ფილოლოგიის ფაკულტეტზე მხოლოდ ერთი სემესტრი გვიკითხავდნენ საქართველოს ისტორიას. რასაკვირველია, ეს საკმაოდ მცირე დრო გახლდათ საიმისოდ, რომ საქართველოს ისტორია ზედმიწევნით, სრულად სცოდნოდა სტუდენტს. ამ მხრივ არც ახლაა უკეთესი მდგომარეობა, თუმცა ცდა კია, გამოსწორდეს ეს ვითარება (ჩემს თაობას ის უპირატესობა ჰქონდა, რომ სკოლაში ვსწავლობდით ივ. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის და ნ. ჯანაშიას მიერ შედგენილი ბრწყინვალე სახელმძღვანელოთი,

რომელიც მერე „რატომღაც“ ამოიღეს ხმარებიდან). აქამდე ყოველგვარი მცდელობა საქართველოს ისტორიის სწავლების გაუმჯობესებისა ხელისუფლების მიერ აღიქმებოდა ლამის ანტისახელმწიფოებრივ, ანტისაბჭოურ ქმედებად და ამ მოთხოვნათა ავტორები სასტიკად იდევნებოდნენ, ვითარცა დისიდენტები. შედეგი ის გახლდათ, რომ ბევრ უმაღლესდამთავრებულს წარმოდგენა არ ჰქონდა თავისი ქვეყნის წარსულზე.

ამ ვითომდა ერთიანად წიგნიერ რესპუბლიკაში, უმაღლეს თუ საშუალო დამთავრებულთა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი რომ გვიჭირავს ლამის მთელ მსოფლიოში, ახალგაზრდობის უმრავლესობამ არ იცის: ვინ არის, საიდან მოდის მისი ფესვი და ძირი, ანუ ვისი გორისაა. აქედან, ამ უმეცრებიდან იღებს სათავეს სხვადასხვა კუთხის წარმომადგენელთა ურთიერთუპატივცემულობაც, უნდობლობაც, ქედმაღლობაც, აგრესიულობაც კი.

თვითგანათლებისთვის უნდა მიგვეყო ხელი და ასეც ვიქმოდით.

უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ რამდენიმე წელი ვმუშაობდი ჩემს მშობლიურ ქალაქში, გალში. ამჯერად უკვე სამსახურებრივი საქმიანობის გამო უფრო ხშირად მიწევდა ურთიერთობა სოხუმელებთან (სოხუმში, ბებია-ბაბუასთან მაქვს გატარებული ბავშვობა).

...ზოგჯერ შესაძლებელია ადამიანმა იმ ერის წარმომადგენლად იგრძნოს თავი, სადაც აღიზარდა, ოღონდ ეს კია: ფაჩულიამ თუ ფაჩალიამ, როგორადაც არ უნდა მიიჩნიოს თავისი თავი, გვარის წარმომავლობას მაინც ძვრას ვერ უზამს-მეთქი. ლერმონტოვი რუსი პოეტია, მართალია, მაგრამ გვარი ლერმონტი — არარუსული გახლავთ, კერძოდ, შოტლანდიურია და სხვ.

დღევანდელ ზოგ აფსუა-მეგრელებს ადიღიელებზე რომ

არაფერი ვთქვა, რომელთაც მეგრული გვარები დაურიგეს, არაფრით არ უნდათ, სიმართლეს თვალებში შეხედონ: რუსეთის — „ცარიზმის“ ვერაგული პოლიტიკის წყალობით, მათ ნებსით თუ უნებლიეთ თავს მოახვიეს ან, თუ გნებავთ, თავს მოიხვიეს აბაზინური, ანუ აფსუური ენა, თორემ სისხლით, ხორცით, წარმოშობით, ანთროპოლოგიურად, რჯულით, ადათ-წესით მეტწილად კოლხური შტოსანი არიან, ანუ ჭეშმარიტი აფხაზები არიან და არა ადიღეური ტომის წარმომადგენლები. ისტორიულად როგორ მოხდა ბევრი მათგანის გააფსუება, ამაზე ცოტა ქვემოთ მექნება საუბარი, მაგრამ, როგორც უნდა იყოს, საიდანაც არ უნდა მივუდგეთ, სიმართლეს ვერსად გავექცევით. შექსპირის თქმისა არ იყოს, დედამიწაც რომ გადაეფაროს, სიმართლე მაინც არ დაიმალება. ანდა, როგორც ერთ ჩემ ადრინდელ ნარკვევში ვწერდი, რა დიდი ლარი და ხაზი სჭირდება, ვთქვათ, ზუგდიდის, გალის, ოჩამჩირის თუ გულრიფშის მოსახლეობის მსგავსების დანახვას? რა ისეთი მკვეთრი ზღვარია ამათ სიმღერებსა, ცეკვებსა, წეს-ჩვეულებებსა თუ ხასიათებს შორის? რა ისეთი უფსკრული ძევს სი-ვარადასა, ა-ზარსა თუ ჩელას შორის, რომლის ამოვსება ვითომცდა ვერაფრით ვერ ხერხდება? არაფერი, გარდა იმისა, რომ „აფხაზობა“ დროთა ვითარებაში პრივილეგიად აქციეს. ეს არის და ეს. აქ არის ძაღლის თავი დამარხული!

აფხაზეთში ასეთი ანეკდოტი დადის: აფხაზს ეკითხებიან, რა პროფესიის ბრძანდებითო და გაკვირვებული პასუხობს: Я — Абхазец! დიახ, აფხაზობა ვერაგულად, გამიზნულად კარგა ხანია პრივილეგიად არის ქცეული, ხოლო პრივილეგიებს, კარგად მოგვეხსენება, როგორ არის დახარბებული ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის ზოგიერთი წარმომადგენელი. პრივილეგია უგამოცდოდ უმაღლესში ჩარიცხვის, პრივილეგია დეპუტატობის, პრივილეგია რაიკომის მდივნობის, მაღალი

თანამდებობის, უფროსობის და ათასი სხვა მსხვილმანი თუ წვრილმანი შეღავათი (ადრე, პრივილეგია ჯარში არ წაყვანის და ა. შ.), ანუ, როგორც ძველად, ახლაც მატერიალურ სიკეთეს ვერა და ვერ შელევიან ჩვენი თვისტომნი. აფხაზობა, უფრო სწორად, აფსუობა კი ამ „კაი ცხოვრების“ გარანტიაა (ერთი ჩემი მეგობრის ახლობელი, ოჩამჩირელი ახალგაზრდა კაცი ამ რამდენიმე ხნის წინათ მეუბნებოდა, წლების განმავლობაში უსამსახუროდ ვიყავი. არ მაძლევდნენ ადგილს. არადა, ოჩამჩირეში ვცხოვრობ, იქ დავიბადე, გავიზარდე. სხვაგან არსად არ მინდა წასვლა. ავდექი და პასპორტში აფხაზად ჩავეწერე. მაშინვე პარტიაშიც მიმიღეს და სამსახურიც მყისვე გამოიძებნა ჩემთვისო. და ეს ახალგაზრდა კაცი სულაც არ არის გამონაკლისი ამ ბოლო ათწლეულებში!).[1]

დიახ, როჭიკისთვის, ულუფისთვის სულგაყიდულები არ გვაკლდნენ არც ძველად და არც ახლა. როჭიკისთვის ანუ ულუფისთვის მიეყიდებოდნენ ხოლმე ხან ხონთქარს, ხან ყაენს და ხანაც რუსთ ხელმწიფეს. იგივე ხდება ახლა ცოტათი განსხვავებული ფორმით, მაგრამ არსი ერთია. ამასთან, ახლა ეროვნების თუ რჯულის შეუცვლელადაც ახერხებს ზოგ-ზოგი გაყიდოს თავისი ბედკრული სამშობლოს მიწა-წყალი ფიორ-ფიორ, ნაწილ-ნაწილ და სასჯელის ნაცვლად ერთი თბილი, სარფიანი ადგილიდან მეორე, არანაკლებ თბილ და სარფიან ადგილზე მოყუჩდეს, როგორც ნომენკლატურული პირი. ამ იუდა ისკარიოტელებისთვის ყოველგვარი დემოკრატია, თუნდაც მოჩვენებითი — მომაკვდინებელია. ამიტომაც გატრუნულნი, კბილების ჩუმი კრაჭუნით ელოდებიან თავიანთ ჟამს, ელოდებიან იმ ნანატრ დროს, როცა შესძლებენ ანგარიში გაუსწორონ ამ „პერესტროიკით“, საჯაროობითა და დემოკრატიით გათამამებულ წინამასწარა,

1 საბჭოთა კავშირში მცხოვრებ ბევრ მრავალრიცხოვან ხალხს არა აქვს ისეთი ფართო უფლებების მქონე ავტონომიები, როგორიც აფხაზებს (საკუთარი თეატრი, ტელევიზია, უნივერსიტეტი და ა. შ.). - ავტ.

უჩინო და ურანგო „ვაიპატრიოტებს“, როგორადაც იყვნენ და არიან ისინი შერაცხილი ოფიციოზის და ე. წ. პარტიული ელიტის მიერ. ასეთები იყვნენ „ახკომში“ 9 აპრილამდე გამოგზავნილ წერილებში ბოლშევიკურ რეპრესიებზე მეოცნებენი, ინტელიგენციის გაჟუჟვას რომ მოითხოვდნენ: ასეთი იყო ის ვიგინდარა, ერთი ახლა გაზი მიმაშვებინა ამათთვისო, რომ ნატრობდა მთავრობის სახლის წინ, 1978 წლის 14 აპრილს შეკრებილ ახალგაზრდებზე, იმ ახალგაზრდებზე, ხელში სახელდახელო პლაკატები რომ ეჭირათ, რომლებზეც „აი ია“, „დედა ენა“ და ამდაგვარი „ლოზუნგები“ ეწერა. განა ჩვენს თვალწინ არ ხდება ზოგი მათგანის მეტამორფოზა, იმათი, ვინც ჯერ კიდევ გუშინ თითს გვიქნევდა „მაღალი“ ტრიბუნებიდან და პრესის თუ ტელევიზიის მეშვეობით ერის მტრებად გვრაცხდა იმ სიმართლის თქმისთვის, რასაც ახლა თავად „ქადაგებს“ იმავე ტრიბუნებიდან — „მგზნებარე პატრიოტის“ პოზაში მდგარი! და, რაც უფრო საგულისხმოა, ასეთებს ვაგლახად სიტყვას ვერც შეუბრუნებ „პატრიოტულ თემაზე“. ისინი სულიერად თანაზიარნი არიან თავიანთი „აფხაზი“ კოლეგებისა, ისევ ისე ძველებურად პოსტებზე წამოჭიმულნი, ფარულად თუ აშკარად რომ ეწევიან თავიანთ შავბნელ საქმიანობას.

...ერს, მცირე იქნება ის თუ მრავალრიცხოვანი, რომელიც ეროვნული თავისუფლებისა და თვითგამორკვევისთვის იბრძვის, ბუნებრივია, მოკავშირედ ჰყავს ამავე მიზნებისთვის მებრძოლი სხვა ხალხები. ბუნებრივი მოკავშირენი უნდა ყოფილიყვნენ ჩვენთვის თუნდაც მცირერიცხოვანი აფსუები, აფხაზებად წოდებულნი, თუნდაც ოსები, თუკი ისინი მართლაცდა თავისი ხალხის ბედ-იღბლით არიან დაინტერესებულნი.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ჩვენ, ქართველები, მავან აფსუათა განცხადების თანახმად, ხელს ვუშლით მათ გარუსებაში, თვითმყოფობის დაკარგვის საფრთხის წინაშე მდგართ, წინ ვეღობებით, ეს კი, ჩანს, ქვეცნობიერ ბოღმასა და ღვარძლს ბადებს მათში. შენ იბრძვი, მაშასადამე, შენ შანსი გაქვს გადარჩენის, მაშასადამე, შენ ერი ხარ. მე კიდევ არა მაქვს ეროვნულობის არანაირი სურვილი, რამეთუ ჩემთვის მთავარია შევინარჩუნო ის უპირატესი თანამდებობრივი მდგომარეობა, რაც მომანიჭა ხელისუფლებამ შენთან ჯიბრში და შენი გამოისობით, შევინარჩუნო ჩემი მატერიალური სიკეთე, უზრუნველყოფილებისა და პიროვნული თვითკმაყოფილების გრძნობა, თუნდაც ამბიციები დავარქვათ ამას. შენ კი ხელს მიშლი ამაში, ე. ი. მტერი ხარ ჩემი! ამას ემატება ქვეცნობიერი შურიც: აჰა, შენ შეიძლება გადარჩე, ე. ი. შენ მჯობნიხარ მე? ჰკა მაგას!

ამასთან, მოქმედებდა და დღემდე მოქმედებს, ასე ვთქვათ, არაკეთილშობილური ნაკადი ცნობიერებისა: მოსკოვიდან მხარდაჭერის იმედით „დაბალ ღობედ“ მიჩნევა საქართველოსი! დიახ, დიახ — საქართველოს შეიძლება გადაუარო, გადათელო, წალეკო, დააქუცმაცო, გამკითხავი მაინც არავინ იქნებაო. ცენტრის მორჩილი საქართველოს მთავრობა ვერ გაბედავს ხმის ამოღებას, ვერ დაიცავს რესპუბლიკის ინტერესებს, ვინაიდან ეს ცენტრს ხელს არ აძლევს.

არის კიდევ ერთი გარემოება: პანისლამიზმს სრულებითაც არ დაუთმია პოზიცია ამ ბოლო ათწლეულებში. პირიქით, იგი შეტევაზეა გადმოსული და, მაშასადამე, არც იმ ე. წ. ეფემერულ ილუზიაზე — კავკასიის ჩრდ. დასავლეთით ისლამური რესპუბლიკის შექმნაზე — აუღია ხელი. ყოველივე ეს კი, ერთ-ერთი, თუ გადამწყვეტი არა, ძირითადი კოზირი გახლავთ აფხაზურ „სინდრომში“.

შემდეგ: სიძულვილსაც „საბუთები“, მტკიცებანი სჭირდება — მოსაჩვენებელი იქნება ეს თუ „რეალური“. აფხაზთა მხრიდან, როგორც ცნობილია, ერთი უმთავრესი ბრალდებათაგანია სტალინისა და ბერიას ბოროტმოქმედებანი

მათ მიმართ. აფხაზეთში პარტიულმა კადრებმა რომ ერთმანეთი ამოჟლიტეს — ეს ხელისუფლებას კი არა, ქართველ ერს ბრალდება, რაკი სტალინი და ბერია წარმოშობით ქართველები არიან. საინტერესოა ერთი გარემოებაც — აფხაზეთი თურმე ერთადერთი კუთხეა, სადაც პარტიულ კადრებს არანაირი დანაშაული არ მიუძღვით საკუთარი ხალხის წინაშე. ისინი, ასე ვთქვათ, „უცოდველები“ არიან იმ რეპრესიებში, აფხაზეთში რომ დატრიალდა. ეშბასა და ლაკობას შორისაც თურმე არანაირი კონფლიქტი არ არსებობდა და არც ერთმანეთს აბეზღებდნენ — ისინი თურმე სრული „თანხმობით“, ბოლშევიკურად „იღვწოდნენ“ ხალხის საკეთილდღეოდ!

ამგვარად, საბჭოთა ხელისუფლების და ბოლშევიკური პარტიის ყველანაირი ცოდო-ბრალი ჩვენმა თანამოძმეებმა ქართველ ერს აჰკიდეს ზურგზე, მხედველობაში, რა თქმა უნდა, არაა მიღებული ქართველობის დანაკლისი მთელ იმ საშინელ ბაკქანალიაში. ნათქვამია, თუ კაცს არ უნდა, რიყეზე ქვას არ დაინახავსო. ქვებს ვინ ჩივის, ჩვენი მოძმეები ლოდებსაც ვერ ამჩნევენ და მთებსაც, რამეთუ ქართველი ერის უმძიმესი დანაკარგის დანახვა და კონსტანტაცია ვერაფერიშვილი არგუმენტი იქნება დაპროგრამებული სიძულვილის განსამტკიცებლად. აფსუათა უმეტესობის ერთ-ერთი მთავარი პრეტენზია გახლავთ ისიც, ჩვენს ტერიტორიაზე ქართველებს ასახლებენო. ისე გამოდის, რომ საქართველოში, კერძოდ, აფხაზეთში დასახლების უფლება ყველასა აქვს ქართველის გარდა. არადა, დროა ყველამ უწყოდეს — ქართველს საქართველოში, რომელი კუთხეც არ უნდა იყოს, არ სჭირდება არავის ნებართვა დასასახლებლად. ისე, სრული პასუხისმგებლობით ვაცხადებ, ჩემი წინაპრები ოდითგან მკვიდრობდნენ იქ, სადაც ახლა ცხოვრობენ, ე. წ. სამურზაყანოში, ანუ საბედიანოში და თუ საჭიროებამ

მოითხოვა, უნდათ, გაგრის ზონაში დაიდებენ ბინას და, უნდათ — სიღნაღის რაიონში. მაგრამ ისე, ზოგი აფსუას გასაგონად დავძენ: დღევანდელი აფხაზეთის მიწა-წყალზე მითაჟამიდან უცხოვრიათ სვანებს და ზანურენოვან ტომებს (და იცხოვრებს კიდეც მომავალში.). ამის დასტურია, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ისტორიული წყაროები, „ქართლის ცხოვრება“, — უტყუარი და მართალი დოკუმენტები, რომლის ცოდნასაც ესოდენ უგულებელყოფენ, უფრო სწორად, გაურბიან პატივცემული ისტორიკოსები აფხაზეთიდან, და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია აგრეთვე — ტოპონიმიკა, რომელიც აბსოლუტურად მეგრულ-ლაზურ-სვანურია!

ერთ-ერთი ბრალდება აფსუათა მხრიდან გახლავთ აგრეთვე ის, რომ ქართველებმა მათ თურმე ეროვნული სკოლები დაუხურეს, რომ 1946 წელს მიღებულ იქნა დადგენილება, რომლის თანახმად აფხაზეთის მთელ ტერიტორიაზე ქართული ენის სწავლება შემოიღეს, რაც ნიშნავდა თურმე ყველა აფხაზური სკოლის დახურვას და მათ შემდგომ ქართულ ენაზე გადაყვანას, ხოლო სტალინის სიკვდილის შემდეგ აფხაზეთს დაუბრუნეს თითქოს მისი ენა — აფხაზური, უფრო სწორად, აბაზინური. როგორც ცნობილია, ამ აქციის გამო ბოდიშის მოხდაც მოითხოვა ქართველების მხრიდან ბატონმა ჰიუიტმა (არც მეტი, არც ნაკლები, ქართველ ერს და არა მთავრობას მოსთხოვა აფხაზების წინაშე ბოდიშის მოხდა).

ხოლო ბოლო პუბლიკაციებიდან ირკვევა, რომ „ეს იყო აფხაზური სკოლების არა დახურვა, არამედ რეფორმა, რომ ამის ინიციატორები იყვნენ მოწინავე აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლები, რომ აფხაზურ სკოლებში სწავლების რეფორმის შესახებ საკითხი აფხაზი ინტელიგენციის წარმომადგენლების მიერ რამდენჯერმე იყო დაყენებული სხვადასხვა წლებში“ (ალ. მიქაძე, „საბჭოთა აფხაზეთი“).

შემდეგ: „...აფხაზურ სკოლებში მისი რეფორმის შემდეგ აფხაზური ენის სწავლება არავის მოუშლია და არც კი შეუმცირებიათ“ (იქვე). ხოლო ისეთი საგნების სწავლება, როგორიც არის ქიმია, ფიზიკა, ბიოლოგია, ბოტანიკა, გეომეტრია, მათემატიკა და სხვ. გადაყვანილ იქნა ქართულზე, თანაც ეტაპობრივად (ადრე, რუსულ ენაზე იყო და დღესაც რუსულ ენაზე მიმდინარეობს ამ საგნების სწავლება).

მე ვეკითხები „აფხაზი“ ინტელიგენციის გარკვეულ ჯგუფს, იმათ, ვინც აშკარად თუ ფარულად აქეზებს თავის თანამოძმეებს ქართველების წინააღმდეგ:

თუკი ისინი მართლა არიან ძველი აფხაზების შთამომავალნი, რატომ აქვთ ალერგია იმ ენისადმი, რომელიც ათასი წლის წინათ მათი სახელმწიფოებრივი ენა იყო, კულტურისა და რელიგიის ენა იყო და რომელ ენაზეც, სხვათა შორის, ლექსებს წერდა აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის შვილი გიორგი შარვაშიძე? და შემდეგ: სხვას ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, აფხაზეთის სამთავროზე და, საერთოდ, ამ კუთხის ისტორიაზე ცნობები ხომ, უპირველეს ყოვლისა, ქართულ ენაზე დაწერილ წყაროებში და, კერძოდ, „ქართლის ცხოვრებაშია“ შემონახული? და შემდეგ: თუკი არ თაკილობენ თავიანთ დედა ენას დაარქვან „ანბან“, დიახ, სწორედ ასე: „ან-ბან“-ი, თუკი არ თაკილობენ ბევრი ქართული ტერმინოლოგიის და სიტყვის ხმარებას, მათ შორის არის „ადგილიც“, — „აიდგილარას“ ლიდერებს ვთხოვდი, განემარტათ, სანამ აფხაზური უფრო სწორად, აბაზინურ ენაზე საშუალო სკოლა შეიქმნებოდეს (რომლის წინააღმდეგი თავად არიან), რა ისეთი მიუტევებელი დანაშაული, რა კრიმინალი იყო იმაში, რომ, როგორც ჭეშმარიტ აფხაზებს, ისე გააფსუებულებს ანდა სუფთა წყლის აფსუებს, შეესწავლათ ქართული ენა? ენა, რომლის დამკვიდრებისთვის იბრძოდა ლეონ II, რომელ ენაზეც არის წარწერები თავად ლიხნის ტაძარზე, სხვებს რომ თავი დავანებოთ? ეგებ, ერთი ნაკაწრი მაინც მიუთითონ სადმე რომელიმე ადიღეურ ენაზე? მაშინ, როცა არამცთუ აფხაზეთში — საქართველოს ამ განუყოფელ კუთხეში, არამედ ჩრ. კავკასიის ტაძრების ნანგრევებზე არაერთი ქართული წარწერაა დაფიქსირებული. ეგებ ესეც ქართველების „დანაშაულზე“ მეტყველებს?. ან ეგების გაუჭირდებათ ქართულ ასო-ნიშანთა: წ, ყ, ჭ, ჯ, თ-ს და მისთანათა გამოთქმა, რასაც ახლა ესოდენ „უადვილებს“ თურმე მათ დამახინჯებული რუსული ალფავიტი? ნაცვლად იმისა, რომ მართლა ეზრუნათ აფხაზური სკოლებისთვის, აფსუა და, აგრეთვე, ოსი ინტელიგენციის ნაწილიც ამჯობინებდა და დღესაც ამჯობინებს მთელი თავიანთი, ასე ვთქვათ, მჩქეფარე ენერგია და უნარი, მთელი თავიანთი ძალისხმევა წარმართონ ყოველივე ქართულის საწინააღმდეგოდ, ოღონდაც როგორმე ქართველობა გააშავონ, ოღონდაც როგორმე „მჩაგვრელ და დამპყრობელ“ ერად წარმოაჩინონ მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე – ამ „ბრწყინვალე“ მიზნისთვის არაფერს ერიდებიან, არანაირ სიყალბეს, სიცრუეს, ფაქტების დამახინჯებას, დეზინფორმაციას. ის, რომ პირველი ე. წ. აფხაზური (უფრო ზუსტად — აბაზინურ-აფსუური) ანბანის შემდგენელი სწორედ ქართველი დიმიტრი გულია იყო, რომ პირველად ქართველმა იაკობ გოგებაშვილმა მოითხოვა, დაწყებით კლასებში სწავლება „აფხაზურ“ — აბაზინურ ენაზე ყოფილიყო — ამ ფაქტების გახსენება არამც და არამც ხელს არ აძლევთ ექსტრემისტებს და, როგორც ზემოთ აღვნიშნე, მზად არიან კვლავაც სიცრუითა და სიყალბით კვებონ არა მარტო თავიანთი გულუბრყვილო თანატომელნი, არამედ მთელი მსოფლიო შეიყვანონ შეცდომაში. ამისთვის მარტო 120 წლის ბებია ასინეთს კი არ იყენებენ მხოლოდ, არამედ გახაზირებული ჰყავთ დაქირავებული „მეცნიერები“ — მათ შორის თავიანთი ძვირფასი სიძე ჰიუტიც! ხოლო ის, რომ ჩვენი მეფეების ტიტულატურა ადიღეურ ენაზე მოლაპარაკე რომელიმე ტომის სახელწოდებით არ შეიძლე-

ბოდა დაწყებულიყო — მსგავსი რამ არსად, არასდროს მომხდარა მსოფლიოში — ცხადზე უცხადესია. ქართლის მემატიანეებმა ისიც მშვენივრად უწყოდნენ თუ რას ნიშნავდა, როცა წერდნენ — აფსართა ენაზე ეწოდა გიორგის ლაშას სახელიო. მემატიანეს რომ დაეწერა აფხაზთა ენაზეო, ეს იგივეს ნიშნავდა — ქართველურ ენაზეო, რადგან ძველი აფხაზური ისეთივე ქართველური ენაა, როგორც მეგრული, ჭანური, სვანური, ანუ კოლხური და ა. შ. (ადიღეურ ენაზე სახელის დარქმევა უფლისწულისთვის, ცხადია, დიპლომატიური და, ამასთან, კეთილგანწყობის ჟესტი გახლდათ ჩრ. კავკასიელი ტომების მიმართ!).

...ეთნონიმი „აფხაზი“, აკად. ნ. ბერძენიშვილის განმარტებით, კულტურულ-ისტორიულად საქართველოში იმდენადვე (და არა უფრო მეტად) არსებობდა, რამდენადაც ქართი, ჰერი, კახი, მესხი, ჯავახი, კლარჯი, ეგრი, სვანი და სხვა. რომ ფეოდალური აფხაზეთი მხოლოდ ქართული შეიძლებოდა ყოფილიყო, რომ აფხაზეთი კულტურულ-ისტორიულად „ქართველი იყო“ (ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VIII. 1956 წ. გვ. 280).

როგორც არაერთხელ თქმულა, დღევანდელ აფხაზეთის ტოპონიმების აბსოლუტური უმეტესობა სვანურ-მეგრულით იშიფრება, რაც უტყუარად აფიქსირებს, ვინ ბინადრობდა ამ ტერიტორიაზე უხსოვარი დროიდან, უფრო სწორად, ისტორიულად მოსახილველ ეპოქებში, ხოლო მანამდე თუ შემდეგაც ვინ გაიარ-გამოიარა ამ ტერიტორიებზე, ვინ რა კვალი დატოვა (ან დატოვა კი?), ჰიპოთეზების დონეზე რჩება მხოლოდ. და ზოგი ჩვენი ისტორიკოსი, სანამ რომელიმე თეორიას თუ კონცეფციას გაიაზრებდეს, იქნებ ჯობს, პ. ინგოროყვას დარად ჩაწვდეს და გაერკვეს ქართველური ენების სტრუქტურაში, იცოდეს და სათანადოდ მოიმარჯვებდეს ხოლმე სვანურ-მეგრულს სიმართლის დასადგენად (სხვათა შორის, როცა დასჭირდა, ნ. მარმა ერთ კვირაში

შეისწავლა ორივე)![1]

და შემდეგ: როგორც ზემოთაც ითქვა, თანამედროვე მეცნიერთა გამოკვლევებისა და არქეოლოგიური მასალების შეჯერებით ირკვევა, რომ დღევანდელი აფხაზეთის ტერიტორიაზე მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას სწორედ ქართველური მოდგმის ტომები შეადგენდნენ, რომ მათ უპირატესი ადგილი ეჭირათ ჩრ. კავკასიიდან ჩამოსახლებულთა წინაშე, რომლებიც განუწყვეტელი ომებისგან შეთხელებულ მოსახლეობას შეესივნენ და რომელთაც ადგილობრივ მკვიდრთაგან შეითვისეს გვარ-სახელები, კულტურა, რომ მათგან დაიმკვიდრეს აფხაზობა (მსგავსი პროცესები, როგორც ცნობილია, მიმდინარეობდა აგრეთვე საქართველოს სხვა რეგიონებშიც, კერძოდ, შიდა ქართლსა და კახეთში, ანუ მე-17, მე-18 საუკუნეებში დაქუცმაცებულ და მტრებისგან არაერთხელ აოხრებულ-გაჩანაგებულ ქვეყანაში). მაშასადამე, თანამედროვე აფხაზები გენეტიკურად ორი სხვადასხვა ეთნიკური ხალხისგან შედგება — საკუთრივ აფხაზებისა, ანუ ძველი კოლხური მოდგმისა, და აფსუებისგან — ადიღე-ჩერქეზებისგან (უპირატესად აბაზებისგან). ამიტომ არის, რომ აფხაზთა ამ ნაწილის თვით სახელწოდება „აფსუა“ მხოლოდ მე-18 საუკუნის ბოლოს გაჩნდა და განმტკიცდა. ამასთან, თანამედროვე აფხაზების ენა ადიღეურ-ჩერქეზულ ენათა ოჯახში შედის (ზოგი მეცნიერის, მათ შორის, აკად. ნ. ლომოურის აზრით, აფსუას სახელით მოხსენიება აფხაზეთის მოსახლეობის გარკვეული ნაწილისა თითქოს შეურაცხმყოფელია მათთვის. არადა, თავიანთ მოდგმას ისინი სწორედ აფსუას ეძახიან, ხოლო აფხაზეთს — აფსნის (სხვათა შორის, აფხაზეთის სახელწოდებით ჩვენი წყალობით გაიცნო ეს მხარე თანამედროვე მსოფლიომ). ასე რომ, სრულიად გაუგებარია, რატომ არის აფსუა აფსუასთვის მიუღე-

1 აფხაზები ხომ ისეთივე კოლხური ტომია, როგორც ლაზ-მეგრელები.- ავტ.

ბელი და, რაც უფრო საკვირველია, ქართველი მეცნიერისთვის ესოდენ გამაღიზიანებელი).

ეთნიკური პრობლემები ამ რეგიონში, როგორც ცნობილია, ჩნდება სწორედ რუსეთის გაბატონების შემდეგ. თანმიმდევრულად, მეთოდურად, ვერაგული ხრიკებითა და ფანდებით ატარებდა იგი „დაჰყავი და იბატონეს“ პოლიტიკას. ცარიზმი და შემდეგ ბოლშევიკური იმპერია ყოველნაირად ცდილობდა ეთნიკურად განსხვავებულ კავკასიელთა ურთიერთდაპირისპირებით მიეღწია თავისი მიზნისთვის. აკი შავრაზმელი ვოსტორგოვი პირდაპირ წერდა: „სამწუხაროდ, მათ ქართველებს აქვთ ტრადიცია, ეროვნული თვითშეგნება მაგრამ ჩვენ ყველგან ვცდილობდით, რომ ძმა აღმდგარიყო ძმის წინააღმდეგ, ტომი-ტომის წინააღმდეგ“-ო. სწორედ ამ ძალებმა სხვადასხვანაირი მანიპულაციით, ხელოვნურად შეაკოწიწეს „სოციალისტური აფხაზი ერი“.

...ქართველი საზოგადოების სურვილი იყო და დღესაც არის, გაიმართოს დიალოგი ორ მხარეს შორის (რასაკვირველია, მას შემდეგ, რაც საკადრისი მიეზღვებათ დამნაშავეებს), გაიმართოს მრგვალი მაგიდა, რომელსაც მიუსხდებიან როგორც ქართველი, ისე აფხაზი ისტორიკოსები, ინტელიგენციის წარმომადგენლები, კავკასიოლოგები როგორც საბჭოთა კავშირიდან, ისე საზღვარგარეთიდან. ერთი სიტყვით, შედგეს „არბიტრაჟი“ და ბოლოს და ბოლოს გაირკვეს ის საკითხები, რაც ორივე მხარეს აინტერესებს, გაირკვეს — ვის რა პრეტენზია აქვს და რატომ – რა საფუძველზე, რა მოტივებზეა, ასე ვთქვათ, აგებული ეს მოთხოვნები? რა არგუმენტები გააჩნია ორივე მხარეს და ა. შ. სხვათა შორის, ეს მიზნები ამოძრავებდა ი. ჭავჭავაძის საზოგადოებას, როცა მიტინგები ჩაატარა როგორც შარშან, დეკემბერში, სოხუმში, ისე წლეულს, 25 მარტსა და აპრილის თვეში. ვინაიდან, ვინმეს სურს თუ არა ეს, ხელს აძლევს თუ არა, ამ ორმა

ხალხმა ერთმანეთის გვერდიგვერდ უნდა იცხოვროს ქართულ მიწა-წყალზე თუ სიყვარულით არა, ურთიერთპატივისცემისა და ურთიერთშემწყნარებლობის გრძნობით მაინც. ერთ-ერთი ინიციატორთაგანი სოხუმში ამ მიტინგებისა გახლდათ სწორედ ვოვა ვეკუა, კაცი, რომელიც ძმობისკენ, მეგობრობისკენ, დიალოგისკენ მოუწოდებდა აფხაზებსაც და ქართველებსაც, ამასთან პრინციპული, მტკიცე და ბოლომდე ერთგული იყო თავისი მრწამსისა. სწორედ იგი მოიკლა აფხაზი ექსტრემისტების მიერ, სწორედ იგი არ დაინდეს გარეწრებმა, თავი გაუჩეხეს სასიკვიდლოდ იმას, ვინც გამშველებლად, მოზავედ ჩადგა გააფთრებულ, ველურ ბრბოში!

...ისევ ვეკითხები აფსუა ლიდერებს, მათ შორის ბატონ ა. გაგუას, ვ. არძინბას და სხვებს: რატომ იყვნენ (და დღესაც არიან) კატეგორიული წინააღმდეგი მრგვალი მაგიდისა, დიალოგისა ქართველებთან? დავიჯერო, ისე დარწმუნებული ბრძანდებიან თავიანთ „სიმართლეში“, რომ დიალოგს შეურიგებელობა, კონფრონტაცია ურჩევნიათ? ანუ: თავიანთი ღირსების დამცირებად მიაჩნიათ დიალოგის გამართვა „დამპყრობლებთან“ და ამჯობინებენ დაბალ ღობედ მიჩნეული ამ „მჩაგვრელი“ ერის დაბეზღებას საკავშირო მთავრობისა თუ მსოფლიოს წინაშე? ამჯობინებენ ზურგში მახვილის ჩაცემას იმ ერისთვის, რომელიც ცდილობს, თავი გადაირჩინოს და ამ ბრძოლით ობიექტურად ეხიდება სხვებსაც, ანუ ჭეშმარიტ მამულიშვილებს?

თუმცა, ბატონი ა. ჩოჩიევის „დოქტრინით“, პოლიტიკური ძმობა არ არსებობს ხალხებს შორის. მაშინ ეგებ ჩვენც მიგვებაძა ჩოჩიევის და მის მსგავს „ფილოსოფოსთათვის“ და ჩვენც გვეთქვა: რაკი ასეა, თქვენი პოლიტიკური საყრდენი ეძებეთ თქვენსავე მკვიდრ მიწა-წყალზე და ჩვენ თავი დაგვანებეთ!

დასასრულ, დავესესხები ი. ანთელავას სიტყვებს მისი წერილიდან, „მამულში“ რომ გამოაქვეყნა: „კონფრონტა-

ციისა და შემდგომი მოსალოდნელი სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად იქნებ ჯობდეს ქართულს ქართული დაერქვას და აფხაზურს — აფხაზური. ნამდვილი, ისტორიული და ეთნიკური აფხაზეთი ხომ ყოველთვის იყო გუდაუთის რეგიონი, სადაც ისინი წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ მოსახლეობის შედარებით უმრავლესობას. იქნებ არც ისაა შემთხვევითი, რომ სწორედ გუდაუთაა აფხაზური ექსტრემისტების ბუდე".

წინასწარვე ვაცხადებ იმათთვის, ვინც მიჩვეულია იარლიყების მიკერებას — ჩვენში ხომ უხვად ვარიგებდით და დღესაც „ინერციით" გრძელდება დამამცირებელი და შეურაცხმყოფელი ეპითეტებით ადამიანის შემკობა (თუმცა ოფიციოზისგან რა გასაკვირია, როცა ჩვენი ე. წ. არაფორმალურ გაერთიანებათა ზოგიერთი წარმომადგენელიც არ თაკილობს ამ უმსგავსობას და, ვინც თუნდ ოდნავადაც არ ეთანხმება მათ მოსაზრებას, მაშინვე გამზადებულია მისთვის სათანადო იარლიყი. როგორც ჩანს, უკვალოდ არ ჩაუვლია ტოტალიტარიზმს თუნდაც მის მოწინააღმდეგეთა ცნობიერებაშიც. ანდა შესაძლოა, აქ უფრო ღრმა ფესვებია ჩამარხული, უფრო შეფარული ნაკადები მოქმედებენ, მაგრამ ამაზე სხვა დროს!).

დიახ, ამ მეიარლიყეთა გასაგონად საქვეყნოდ და ხმამაღლა ვაცხადებ: არა ვარ ვინმეს დაჩაგვრის მომხრე, პრინციპულად მოწინააღმდეგე გახლავართ ვინმესი, მით უმეტეს, მოძმე ხალხის უფლებების შელახვისა, როგორი მცირერიცხოვანიც იყოს იგი. მით უფრო, ღმერთმა დამიფაროს სიძულვილის გრძნობისგან, მაგრამ მიმაჩნია და მტკიცედ მწამს, რომ ყველამ თავისი ადგილი უნდა იცოდეს ამ ცისქვეშეთში. ყველას უნდა მიეცეს მხოლოდ ის, რაც მას ჭეშმარიტად ეკუთვნის. კეისარს კეისრისაო, ბრძანებს უფალი.

...დიდი რუსი მწერალი და ფილოსოფოსი ა. ბელი წერს:

„ხშირად მსმენია თითქოს თავაშვებული ქართველები ავიწროებენ რუსებს: არ ვიცი, არსად მინახავს ასეთი რამ... ქართველი ერი დარჩა ჩემს ხსოვნაში, როგორც უმშვენიერესი, სიცოცხლით სავსე ერი, რომელიც ათავსებს უძველეს კულტურას (ო, ჩვენსაზე გაცილებით ძველს) დიდებულ მომავალთან. შეურაცხყოფილად ვგრძნობ თავს, როდესაც ვისმენ დღემდე მოარულ ულაზათო ანეკდოტებს, სადაც დასცინიან „აღმოსავლელ ხალხს". ჩვენ ბევრი რამ უნდა ვისწავლოთ ქართველებისგან: ტაქტი, გულითადობა, თავშეკავება, რომელიც შერწყმულია ჭეშმარიტ და არა სასაცილო პირდაპირობასთან. როდესაც მე მესაუბრებიან ქართველთა „ნაციონალიზმზე", მე ყურს არ ვუგდებ, ვგრძნობ დაფარულ „რუსულ მახათს", ეს დამალული წვეტია ნამდვილი რუსული „რქისა". ქართული „რქები" მე არ მინახავს; მე მინახავს სხვაგვარი რქები: მათი ყანწები, რომლითაც, ძველი ჩვეულების თანახმად, ღვინოს შეექცევიან მეგობრულ საუბარში. რუსებთან ქართველებს ძლიერ მეგობრული დამოკიდებულება აქვთ. ჩვენი ხელოვნების მეშვეობით, პუშკინის, ვრუბელის, ლერმონტოვის მეშვეობით — ჩვენ უკვე ძმადნაფიცები ვართ; ვისაც ისინი უყვარს — საქართველოც უყვარს, ვისაც საქართველო უყვარს, ის ახლოს არის ქართველის გულთან. ასე რომ, როდესაც მესმის, თითქოს ქართველები ვინმეს ავიწროვებენ, ვფიქრობ, „სხვას ნურას აბრალებ, ძმაო, თუ თავად მახინჯი ცხვირ-პირი გაქვს..."

ხომ ცხადზე უცხადესია, ჩვენში შემოხიზნულთაგან ერთადერთი ერი ებრაელობაა, რომელსაც რაიმე პრეტენზია არ გამოუცხადებია საქართველოს მიმართ, არც მისი ტერიტორიის მითვისება უცდია, არც სხვა რამ უმადურობა გამოუჩენია მასპინძელი ხალხისადმი, რომელმაც იგი შეიფარა და ვისთანაც გვერდიგვერდ ძმურად იზიარებდა ჭირსა და ლხინს 26 საუკუნის განმავლობაში. თუმცა, ეს ფაქტიც კი აღიზიანებთ ჩვენს მოძულეებს, ამ მოვლენაშიც ცდილობენ, რაღაც ქვენა აზრები თუ გრძნობები გამოჩხრიკონ, ანუ თავიანთი ციდამტკავლური

გონებით ზომავენ ყოველივე კეთილსა და მშვენიერს, იმას, რაც მიუწვდომელია მათი მდაბალი სულისთვის.

და მაინც, ყველაფრის მიუხედავად, ამდენი ღალატის, ვერაგობის, გაუტანლობის, სისასტიკის ფონზე ქართველი ერი თავისი შინაგანი ბუნებით, გულისგულში მოყვას ერად რჩება. იგი მოკლებულია სიძულვილის გრძნობას იმათ მიმართ, ვინც ამდენი უბედურება დაატეხა თავს და ვინც პირდაპირ გამზადებულია, ყოველ ხელსაყრელ მომენტში ზურგში დანა ჩასცეს. აკი, უძველესი დროიდანვე ცნობილი იყო ქართველი ერის ეს განსაკუთრებული თვისება. ჯერ კიდევ მე-11-13 საუკუნეებში მისი სწორუპოვარი შვილები იჩენდნენ ტოლერანტიზმს და ამით გამოირჩეოდნენ სწორედ დასავლეთით თუ აღმოსავლეთით მდებარე ქვეყნების წარმომადგენელთაგან, კაცთმოძულეობისა და რჯულთშეუწყნარებლობის ნიმუშებს რომ იძლეოდნენ თანამედროვე თუ მომდევნო თაობათა თვალში.

შესანიშნავად აქვს დანახული ჩვენი ერის ეს თვისება გერმანელ ქალს ლინა ლიზისაც, რომლის სიტყვებითაც მინდა დავამთავრო ეს, შესაძლოა, ცოტა აბურდულ-დაბურდული წერილი, წერილი, რომლის დამთავრებას თითქმის სამი თვე მოვუნდი, რადგან ერთობ გამიჭირდა მომეთოკა ემოციები. საშინლად მტკივნეული აღმოჩნდა ჩემთვის (როგორც, ალბათ, ბევრი სხვისთვისაც) აფხაზეთში დატრიალებული ტრაგედია (სხვებზე რომ არაფერი ვთქვა!), ვითარცა სამურზაყანოს მკვიდრისთვის, წერილი, რომელიც შეიძლება საერთოდ არც დაიბეჭდოს მიზეზთა გამო. მაშ ასე, კიდევ ერთხელ გავიხსენოთ, როგორ აფასებს, როგორ აღიქვამს გერმანელი ქალი ქართულ ხასიათს, მის უშინაგანეს თვისებას:

„ჩვენსა და... ქართველებს შორის დიდი განსხვავებაა... ჩვენ შეგუებული ვართ ბედისწერას და ვემორჩილებით მას. ქართველებს შეუძლიათ ტრანსფორმირება, შეუძლიათ ბედისწერის გვერდის ავლა. შეუძლიათ გასაჭირს გაუძლონ, მათი დაჩაგვრა შეუძლებელია. შეიძლება მათი ქვეყანა დაიპყრო, მაგრამ მათ ვერ დაიმორჩილებ. მათი ენა და სული მათი ცხოვრების უმაღლესი ინტელიგენტურობის გამოსახულებაა. მათი მუსიკაც ამაზე მეტყველებს. მათი სული ისე წმინდა და ნათელია, ისეთი ღრმა სპირიტუალურია, რომ წარმოუდგენელია მათი დამორჩილება. ისინი სულით ცხოვრობენ და არა გონებით. მაგრამ ეს არ მეტყველებს იმაზე, რომ მათ ინტელიგენტურობა აკლიათ. პირიქით, მათ მაღალი ინტელიგენტურობა აქვთ, სულის ინტელიგენტურობა, სიცოცხლის ინტელიგენტურობა. თუნდაც ის საოცარი უნარი ადამიანში, ყველა ადამიანში დაინახონ მოკეთე. საოცარია. ქართველ ხალხს განსაკუთრებული მისია აკისრია — სიყვარულის მისია. მათი ენა მათი სიყვარულის მისიის, გულის ანარეკლია. ბევრი ვერ გაუგებს ქართველს. მე კი მგონია, მსგავსი ხალხი არსად არ არის“.

მთელ ამ გრძელ ციტატაში გამოვყოფდი სწორედ იმ აზრს, რომ ქართველ ხალხს სიყვარულის მისია აკისრია ამქვეყნად. გეორგიანელთა მოდგმამ დასაბამიდანვე უწყოდა ქართველ ტომთა ამ მისიის შესახებ. ჩემი აზრით, დროა გავიხსენოთ იგი. დროა გავიხსენოთ, რომ ყველანი ტოტები ვართ ერთი დიდი მძლავრი მუხისა, იბერიულ-კავკასიური ოჯახი რომ ჰქვია. ამ წერილისთვისაც შემთხვევით არ შემირჩევია სათაური, რადგან ვიტოვებ იმედს, რომ გზააბნეული შვილები კოლხ-იბერიულ-კავკასიური მოდგმისა დაუბრუნდებიან თავიანთ დიდ წიაღს, თუკი გადარჩენა სურთ — სულიერი იქნება ეს თუ, გნებავთ, ფიზიკური, რამეთუ, „ყოველმან ხემან, რომელმან არა ყოს ნაყოფი კეთილი, მოეკუეთოს და ცეცხლსა დაედვას“.

1989 წ.
ჟურნალი „ცისკარი“
1990 წ.

„როდემდე, კატილინა?“

ვლადისლავ არძინბას ინტერვიუს გამო

წერილის სათაურად გამოტანილ ციცერონის ამ ცნობილი სიტყვებით ვამთავრებდი ორიოდე წლის წინათ „სალიტერატურო გაზეთში“ გამოქვეყნებულ ნარკვევს, რომელიც აფხაზეთის პრობლემებს ეძღვნებოდა და რომელსაც მანამდე თითქმის ოცი წელი არ ეღირსა დღის სინათლე (სიმართლის თქმა და წერა აფხაზეთზე მაშინაც ჭირდა და დღესაც!). საქართველოს ტელევიზიით გადმოცემულმა ვლადისლავ არძინბას ინტერვიუმ გონებაში ხელახლა ამომიტივტივა ეს ფრაზა. მართლაცდა, როდემდე უნდა გაგრძელდეს აფხაზეთის გარშემო ცილისწამებათა, სიცრუეთა, სიყალბეთა და დემაგოგიათა სერიალი?

უნდა ითქვას, ბ-ნი ვ. არძინბა ერთობ ოსტატურად და მარჯვედ, „მეცნიერული“ თვითდაჯერებით და, რაც მთავარია, გამარჯვებული მთავარსარდლის პოზიციიდან ახერხებს, თვალში ნაცარი შეაყაროს არა მარტო საქართველოს მოსახლეობას, არამედ მსოფლიო საზოგადოებრიობას.

მე არ შევუდგები ამ ინტერვიუს დეტალურ განხილვას, არც ვ. არძინბას პოლიტიკური თუ „მეცნიერული“ მოღვაწეობის შეფასებას (ამაზე არაერთხელ თქმულა), არც იმ მომენტს მინდა გავუკეთო კომენტარი, თუ როგორ ამცირებს და მიწასთან ასწორებს ვ. არძინბა ისედაც გაუბედურებულ, ტრაგიკულ მდგომარეობაში მყოფ დევნილებს, როცა მათ „გულმოწყალედ“ რთავს ნებას, დაუბრუნდნენ მშობლიურ მიწა-წყალს, საკუთარ კარ-მიდამოს. დრომ და მაღალმა ღმერთმა განსაჯოს ვ. არძინბას „სამართლიანობა“. თუმცა, სწორედ ასეთებზეა ნათქვამი: კაცის არ სცხვენის და ღმერთის არ ეშინისო. მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო ჩვენი კორესპონდენტების უსუსურობა, როცა ისინი ვ. არძინბას

ხვდებიან — ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ ესენი ისტორიაში ჩაუხედავი, არაკომპეტენტური ჟურნალისტები არიან, შინაგანად დამფრთხალნი და მონუსხულნი, თვალწარბში რომ შეჰყურებენ რესპონდენტს.

ამ საკმაოდ გახმაურებული ინტერვიუდან მინდა შევეხო მხოლოდ ერთ საკითხს, ვ. არძინბას სიცრუეთა კორიანტელში განაკუთრებით თვალშისაცემი რომ გახლდათ.

ვ. არძინბა ბრძანებს, ოქუმში გასულ საუკუნეში გაიხსნა პირველი აფხაზური სკოლა და, იქ აფხაზები რომ არ სახლებულიყვნენ, ასეთ პრეცედენტს ადგილი როგორ ექნებოდაო.

„მეცნიერების დოქტორს“ უნდა შევახსენო შემდეგი გარემოება: ოქუმი სამურზაყანოს (ყოფილი საბედიანოს) ცენტრი იყო. 1841 წლიდან სამურზაყანო, რომელიც ცილობის ობიექტი შეიქმნა XVII-XVIII საუკუნეებში დადიანებსა და შარვაშიძეებს შორის (არადა, შუა საუკუნეებში დადიანები აფხაზეთის მფლობელებიც იყვნენ), რუსეთის ხელისუფლებამ საბოქაულოდ გამოაცხადა და იქ დააარსა რუსული ბიუროკრატიული მმართველობა — სრულიად უცხო როგორც აფხაზეთის, ისე ოდიშის მკვიდრთათვის.

რას წარმოადგენდა ამ დროისთვის ეს კუთხე? „სამურზაყანოს კარი და სავაჭრო ცენტრი“ ოჩამჩირე (ო-ჩამჩირ-ე მეგრულად ჭაობიან ყანას, ჭაობიან ადგილს ნიშნავს) ერთი პატარა მივარდნილი ნავსადგური გახლდათ. მეგრელების გარდა, აქ მცირე რაოდენობით ცხოვრობდნენ რუსები, თურქები, ბერძნები, ლაზები, სომხები, რომელნიც სავაჭრო საქმეს ეწეოდნენ: გემებით გაჰქონდათ ხე-ტყე, აბრეშუმი, სიმინდი, ხილი, ხორცი. ამ თითქოს ღვთისგან დავიწყებულ მხარეში არ იყო არც ერთი სკოლა, არც ერთი ბიბლიოთეკა, არც ერთი კულტურული დაწესებულება. მცხოვრებთა ერთადერთ საზრუნავს შეადგენდა საარსებო საშუალებათა მოპოვება. მხოლოდ აქა-იქ, თავად-აზნაურთა ძალიან მცირე ნაწილში, შემორჩენილი იყო ტრადიციული ქართული

სწავლა-განათლება. ესენი იყვნენ უწინარეს ყოვლისა, ანჩაბაძეების ოჯახი ოტობაიაში, ჩქოტუებისა — საბერიოში, ემუხვარებისა — ოქუმში. ასეთ ვითარებაში, 1851 წელს ოქუმში (ქუმუ მეგრულად ნიშნავს სელს), მართლაც პირველად მთელს აფხაზეთში, იხსნება სამრევლო სკოლა. მისიონერმა მღვდელმა დ. მაჭავარიანმა ითავა ეს საშვილიშვილო საქმე. მაგრამ რა ენაზე იყო სწავლება ამ სკოლაში? სკოლის ყოფილი მოსწავლე კ. მაჭავარიანი მოგვითხრობს: „ამ სკოლაში დიდი სურვილით მოდიოდნენ პატარებიც და დიდებიც — ყველა წოდების წარმომადგენელი. ისინი ერთნაირი მოწყურებით სწავლობდნენ კითხვას, სიმღერას და წერას რუსულ და ქართულ ენებზე“.

დიახ, ოქუმში მცხოვრები აფხაზეთის მეგრელებისთვის მწიგნობრობის, კულტურის, წირვა-ლოცვის ენა იყო ქართული! და სწავლობდნენ ქართულ ანბანს და არა არარსებულ აფსუურს! სხვათა შორის, „დიდ მეცნიერ“ ვ. არძინბას არ აწყენდა, ერთხელ მაინც ჩაეხედა ქრისტოფორე კასტელის ალბომში, თვალი ჩაევლო XVII საუკუნის თურქი მოგზაურის ევ. ჩელების ნაწერებისთვის, რომ არაფერი ვთქვათ შარდენის, ლამბერტის და სხვათა ნაშრომებზე, და მაშინ მისთვის ცხადი გახდებოდა, რომ აფხაზეთის მკვიდრი მოსახლეობა იყო ქართული (კოლხური) მოდგმის ხალხი, ისევე, როგორც ეგრისის სამხრეთში სახლობდნენ ლაზები, ანუ იგივე მეგრელები, რომლებიც, ბუნებრივია, მეგრულ ენაზე ლაპარაკობდნენ (და ლაპარაკობენ დღესაც!) ოდნავ განსხვავებული კილო-კავით.

შემდგომში ოქუმის ეს სკოლა გადაკეთდა ორკლასიან სამრევლო სასწავლებლად. 1860 წელს იგი გადაეცა „კავკასიაში მართლმადიდებელი ქრისტიანობის გამავრცელებელ საზოგადოებას“. იმ დროისთვის ოქუმში 2511 სული ყოფილა. სოფელში ორი ეკლესია მდგარა. ოქუმში ისევე, როგორც ოქუმის თემის სოფლების — ღუმურიშის და ჩხორთოლის მთელი მიწები თავადი ემუხვარებისა იყო, რომლებიც, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ქართული ტრადიციული კულტურის მატარებლები გახლდნენ (სხვათა შორის — ემუხვარების გლეხები იყვნენ არძინბაიები — შესაძლოა, ბ-ნი ვ. არძინბას წინაპრებიც კი!). ამ სოფლის მკვიდრი, საზოგადო მოღვაწე ივანე გეგია იგონებდა, რომ 80-იანი წლებისთვის აფხაზეთის სკოლებში უკვე აკრძალულა იაკობ გოგებაშვილის „დედა-ენა“ და „რუსსკოე სლოვოს“ სწავლება. შავრაზმელ მღვდელ ი. ქავჟარაძეს, რომელიც სკოლების ზედამხედველად იყო დანიშნული ხელისუფლების მიერ, თურმე დიდი „ღვაწლი“ მიუძღოდა ამ საქმეში.

თედო სახოკიას მოგონებებიდან: „ქართულ ენას სწორედ მამა ქავჟარაძის ზედამხედველად დანიშვნის შემდეგ დაუდგა შავი ორშაბათი ამ სკოლებში“. ივანე გეგია მაშინვე გადააყენეს თანამდებობიდან. ეს ის ივანე გეგიაა, რომელმაც ამ მხარეში პირველმა დააარსა წიგნთსაცავი, რასაც აღფრთოვანებით ეხმაურება ქართული მოწინავე საზოგადოება. ამის შესახებ ინფორმაციას აქვეყნებს „ივერია“. ოქუმის წიგნთსაცავს უცხო პირნი უგზავნიან ქართულ წიგნებს. თ. სახოკია, რომელმაც მოინახულა ოქუმში ეს ბიბლიოთეკა, თავის „მოგზაურობაში“ წერს: „წიგნთსაცავის თაროებს ამშვენებს კაზმული თხზულებანი ჩვენი სახელოვანი მწერლებისა: ალ. ყაზბეგისა, აკაკისა, ი. ჭავჭავაძისა, რაფ. ერისთავისა. ქართულის გარდა წიგნთსაცავს აქვს რუსული განყოფილებაც.“

1890 წელს ივ. გეგია სოფ. ოქუმში აარსებს სცენისმოყვარეთა წრეს. დგამენ დ. ერისთავის „სამშობლოს“, გ. ერისთავის „უჩინმაჩინის ქუდს“ და სხვ. თქვენ წარმოიდგინეთ, აფსუურ-აბაზინურ ენაზე კი არ თამაშობენ ამ სპექტაკლებს, არამედ ქართულად, იმ ენაზე, რაც გასაგები და მშობლიური იყო ოქუმის მკვიდრთათვის.

ი. ჭავჭავაძის „ივერიაში“ სისტემატურად ქვეყნდება საყურადღებო ინფორმაციები, საისტორიო მასალები აფხაზეთის და, კერძოდ, სამურზაყანოს შესახებ. „ივერიის“ თანამშრომლები იყვნენ გიორგი შარვაშიძის ძუძუმტე დავით ჩქოტუა, თვით გ. შარვაშიძე, დ. ანჩაბაძე, აფხაზეთიდან თანამშობმლობდნენ აგრეთვე პ. ჭარაია, ნ. ჯანაშია, ივ. გეგია, ალ. გოგოხია, დ. და კ. მაჭავარიანები, გრ. დადიანი და სხვ.

აფხაზეთში ქართული ეროვნული საქმის მესვეური იყო აღათი დადიანი-შარვაშიძისა. „ივერია“ წერდა: „...კნეინა აღათი შერვაშიძისამ შუამდგომლობა აღძრა საქართველოს ეგზარხოსის ფლავიანეს წინაშე იმის შესახებ, რომ ნება დართულ იქნეს ქართულად წირვა-ლოცვა სოხუმის საკრებულო ტაძარში“. ხოლო მარიამ დადიანი-ანჩაბაძის თაოსნობით, გ. შარვაშიძის და სხვათა მონაწილეობით სოხუმში 1904 წ. ჩამოყალიბდა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოება (არძინბას და მის მსგავს „ისტორიკოსებს“ თუ დავუჯერებთ — „არარსებული“ ქართული (მეგრული) მოსახლეობისთვის, ალბათ!), 1910 წელს მისივე თაოსნობით დაარსდა ქართული სკოლა სოხუმში. დირექტორად, მარიამ ანჩაბაძის მოთხოვნით, დაინიშნა ნიკო ჯანაშია. მისივე კატეგორიული მოთხოვნით (ცარიზმის შოვინისტური პოლიტიკის საწინააღმდეგოდ) სოხუმის საქალაქო სკოლებში შემოიღეს ქართული ენის სწავლება. 1914 წ. სოხუმში ჩამოყალიბდა აფხაზ და ქართველ მომღერალთა გუნდი ძუკუ ლოლუას ხელმძღვანელობით. საინტერესოა, არა? რამ შეაყვარათ ასე შარვაშიძე-ანჩაბაძე-ემხვარებს თუ დადიან-ჩქოტუებს ქართული ენა? აფხაზეთის უკანასკნელი მთავარი მიხეილიც რუსეთის იმპერატორს „რატომღაც“ ქართულ ენაზე უგზავნის ეპისტოლეს. თუ აფხაზეთის ტაძრებსა და ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე მხოლოდ ქართული წარწერებია და სხვა ენაზე ვერც ერთ ნაკაწრსაც ვერ

იპოვით, ვინ დაუშალა მთავარს, იმპერატორისთვის მაინც თავის „მშობლიურ“ — აბაზინურ-აფსუურ ენაზე შეედგინა ბარათი? თარჯიმანზე თუ მიდგებოდა საქმე, ორივე ენას ხომ სჭირდებოდა თარგმანი? რა ხდება? ალბათ ის, რომ ჯერ არ არის ხელოვნურად შეკონწიწებული ე. წ. „აფხაზი ერი“ და არც მისი დამწერლობა არსებობს ჯერ! ამ „ერს“ მოგვიანებით, XIX საუკუნის ბოლოსთვის და XX საუკუნის პირველ ნახევარში შექმნიან რუსეთის იმპერია და ბოლშევიკები. ეს უკანასკნელნი „სოციალისტურ ერად“ მონათლავენ მას (იხ. მცირე საბჭოთა ენციკლოპედია). ამ სოციალისტური ერის თითქმის 80 პროცენტს აფხაზეთის მეგრელობა შეადგენდა, ხოლო დანარჩენს ჩრდილო კავკასიიდან ჩამოსახლებული ტომების (გვარის არმქონე) წარმომადგენლები, რომლებსაც მეგრული გვარები დაურიგეს (ამ მოვლენების შესახებ იხ. ანზორ შონიას მეტად საყურადღებო და საინტერესო გამოკვლევა: „დიდი საქართველოს ტრაგედია“). შავბნელ ისტორიულ ძალებს ეს მანიპულაციები იმისთვის დასჭირდათ, რომ საქართველოსთვის მოეგლიჯათ მისი ისტორიული, ძირ-ძველი მიწა-წყალი (საკითხავია, სოციალიზმი რომ „გარდაიცვალა“, ეროვნებას როგორღა შეინარჩუნებენ დღევანდელი აფხაზები? ერთდერთი გზა რჩება — ისტორიის ფალსიფიკაცია, რასაც მიმართავენ კიდეც ე. წ. აფხაზი ცრუისტორიკოსები ბ-ნ ვ. არძინბას მეთაურობით).

ამასთან დაკავშირებით მახსენდება მამაჩემის ნაამბობი: 30-იან წლებში თბილისის სამედიცინო ინსტიტუტში მისი სწავლის დროს, უმძიმესი ეკონომიკური მდგომარეობა ყოფილა ქვეყანაში. ხალხი პურის კილომეტრიან რიგებში მდგარა. ამ პერიოდში თბილისს თურმე ხშირად სტუმრობდა ნ. ლაკობა (აკობია) და აფხაზეთიდან ჩამოსულ სტუდენტებს ტკიცინა წითელ თუმნიანებს ურიგებდა, რათა ისინი პასპორტში აფხაზებად ჩაწერილიყვნენ. მამაჩემი, რომელიც თავს ქართველად, ანუ აფხაზეთის მკვიდრ მეგრელად თვ-

ლიდა, მიხვდა, რომ „აფხაზობას“ ეროვნულობის აღსანიშნავად საგანგებოდ იყენებდნენ და თავად, ცხადია, ქართველად დაეწერა. ისევე, როგორც მოიქცა მაშინ აფხაზეთის მეგრელობის დიდი ნაწილი, განსაკუთრებით სამურზაყანოში. არადა, მამაჩემი დედით აფხაზია — ბებია — ქეცბაიას ქალი იყო და მის მრავალრიცხოვან ოჯახში მხოლოდ მეგრულად ლაპარაკობდნენ.

საქართველოდან აფხაზეთის ჩამოშორების ვერაგული გეგმა აშკარად გამოიკეთა ჯერ კიდევ I მსოფლიო ომის დროს („აფხაზური“ ანბანი უკვე შექმნილი იყო. სხვათა შორის, დღევანდელ — რუსულ შრიფტზე შექმნილ ანბანს სწორედ ქართული „ანბანი“ ჰქვია!). ფეხზე დადგნენ მაშინ მთელი აფხაზეთის მოწინავე ადამიანები. გრ. შარვაშიძის ინიციატივით შედგა დეპუტაცია, რომელსაც სათავეში ჩაუდგა მისი ვაჟი ალექსანდრე შარვაშიძე. მიწევს, გავიმეორო უკვე ნათქვამი: დეპუტაციაში შედიოდნენ: ექიმი ვარლამ შარვაშიძე, ასთამურ ინალიფა, მელიტონ ემუხვარი, გრიგოლ ზუხბაია, გლეხები: ზ. ეზუგბაია და ა. ჩუკბარი. დელეგაციაში შედიოდა, აგრეთვე, პეტრე ანჩაბაძე — ევროპულად განათლებული კაცი. იგი თავგამოდებით ებრძოდა ცარიზმს და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის აქტიური წევრი იყო; ხოლო მისი ოჯახი ოტობაიაში (დღევანდელი გალის რაიონი) ქართული კულტურისა და ეროვნული თვითშეგნების კერა იყო (ამ ოჯახშია ნაპოვნი XIX საუკუნის დასასრულისა და XX საუკუნის დასაწყისში ცნობილი და უცნობი ქართველი პოეტების ნაწარმოებთა „ანთოლოგია“, გიორგი შარვაშიძის მრავალი ლექსი). დელეგაცია თბილისში ჩამოვიდა და მეფისნაცვალს წარუდგინა პროექტი, რომელიც გრ. შარვაშიძის მიერ იყო შედგენილ-შემუშავებული.

აფხაზეთის უკანასკნელი მთავრის ღირსეულ შვილს, გიორგი შარვაშიძეს, განსხვავებით ვ. არძინბას და მისი დამქაშებისგან, აფხაზეთი უსაქართველოდ და საქართველო უაფხაზეთოდ ვერ წარმოედგინა. ვინ-ვინ და გიორგი შარვაშიძემ კარგად უწყოდა აფხაზების ვინაობა.[1]

სამშობლოს მტრობის ერთ-ერთი უკიდურესი გამოვლენაა უარის თქმა საკუთარ წარმომავლობაზე, ფესვსა და ჯილაგზე, ეროვნულობის ყიდვა-გაყიდვის ობიექტად ქცევა, მარშანიას ამარშანად, ჯინჯოლიას აჯინჯალად გადაკეთება და ა. შ.

დედაჩემის წინაპრები ჩაჩბას გვარისანი იყვნენ — შარვაშიძეთა შტოდან. როცა XVII საუკუნეში თურქეთი აფხაზეთს შემოესია და გაჩნდა გამაჰმადიანების საფრთხე, დედაჩემის წინაპრებმა მიატოვეს თავისი საცხოვრისი ბიჭვინთა (სადაც ეთნიკური აფხაზები, ანუ იგივე ჩრდილოელი მეგრელები სახლობდნენ) და შიდა სამეგრელოში ჰპოვეს თავშესაფარი. თან წამოაბრძანეს თურმე საგვარეულო ხატი წმ. გიორგისა და მის სახელზე ააგეს შემდგომში განთქმული ალერტის ეკლესია. ამ სოფელს ახლაც საჩაჩიბაიოს ეძახიან, მაგრამ დედაჩემის წინაპრები, განსხვავებით მუდმივი გვარის არმქონე ჩრდილოკავკასიელებისგან, მაშინ ინტენსიურად რომ სახლდებოდნენ აფხაზეთში, თავისი მეგრულ-ლაზური გვარით წამოვიდნენ და მათი მშობლიური ენა ქართული (მეგრული) გახლდათ!

მოკლედ რომ ვთქვათ, ისტორიულად მოსახილველ ეპოქაში იმიერ-ამიერი ერთ მთლიან ქვეყნად მოიაზრებოდა როგორც ქართული თუ უცხოური წერილობითი წყაროების, ისე ქართული გადმოცემის მიხედვით — თავისი ყველა კუთხით და კილოკავით! ხოლო პრეისტორიულ ხანაში ვინ სად ბინადრობდა, ვინ რომელი მოდგმის ხალხი თუ ტომი იყო, ვინ იყვნენ აბაზგები, აფშილები, მისიმიელები, სანიგები, ჯიქები, კერკეტები და სხვ, იკვლიონ ჩვენმა აკადემიკოს-ისტორიკოსებმა, რომელთა ერთი ნაწილი დღემდე ჯიუტად, შესაშური ჟინით იცავს „ტრადიციულ“ მოსაზრებას და ამტკიცებს უაზრობას — ორი ერის თუ ტო-

1 გიორგი შარვაშიძეს ეკუთვნის სიტყვები: „მე ტომით აფხაზი ვარ, ეროვნებით კი — ივერიელიო“.

მის აბორიგენობას ერთ მიწა-წყალზე და ამით, ნებსით თუ უნებლიეთ, ვ. არძინბას და მისი მსგავსი „ისტორიკოსების“ წისქვილზე ასხამს წყალს.

და შემდეგ: ჩვენში არცთუ ისე დიდი ხნის წინათ ჩამოსახლებული უცხოტომელები მოურიდებლად აცხადებენ პრეტენზიებს საქართველოს ტერიტორიაზე, ხოლო ჩვენ, აფხაზეთიდან დევნილებს, თურმე ვ. არძინბას ნებართვა გვჭირდება, რათა დავუბრუნდეთ მამაპაპისეულ მიწა-წყალს, სადაც ჩვენს წინაპრებს ათადან-ბაბადან უცხოვრიათ! — აი, რა არის გაუგებარი! და ეს ხდება XX საუკუნის ბოლოს, ცივილიზებული მსოფლიოს თვალწინ! და კიდევ: ქართველთა ჟლეტაში გამოჩენილი მამაცობისთვის ვ. არძინბამ ლეონ II-ის ორდენი დააწესა. ლეონ II — ქართული სახელმწიფოებრიობისთვის, ქართული კულტურისა და ერთიანობისთვის თავგადაკლული მებრძოლი — ხომ საფლავში გადატრიალდებოდა ამ საშინელი მკრეხელობის გამო!

ერთი რამეც უნდა ითქვას: ნებისმიერი ერი იმით არის ღირებული, რა სულიერ და მატერიალურ ფასეულობებს ქმნის თავისი ხანგრძლივი თუ ხანმოკლე არსებობის განმავლობაში, თორემ, ისე აფრიკის მაპუტუს ტომს, იქნებ, ცხოვრების სამი ათასი წლის ისტორიაც კი აქვს!..

...1903 წელს ი. ჭავჭავაძე სოხუმს ესტუმრა.

თედო სახოკია იგონებს: „ძვირფას სტუმარს სოხუმის საზოგადოებამ დიდებული შეხვედრა მოუწყო. სუფრაზე ილიას გვერდით მიუსვეს ღრმად მოხუცებული გრიგოლ შარვაშიძის მეუღლე აღათი დადიანის ასული. სამადლობელ სიტყვაში ილიამ სხვათა შორის აღნიშნა: „რომ მოგახსენეთ საქართველოს სინათლე დასავლეთიდან მოდის-მეთქი, იმიტომ მოგახსენეთ, რომ დასავლეთ საქართველოს ქართველობამ აღმოსავლეთ საქართველოს მოძმეებს მაგალითი უნდა უჩვენოს სიფხიზლისა, ცხოვრებაში ბრძოლის უნარის გამოჩენისა. უნდა ასწავლოთ, რომ იმათაც ამავე გზით იარონ, იმათაც თქვენ მოგბაძონ, ერთობლივის ძალით მამაპაპათგან ნაანდერძევი ტურფა და მდიდარი ქვეყანა შევირჩინოთ, სხვას მისი დაპატრონების სურვილი და მადა არ გავუღვიძოთ, მოსეულ ათასგვარ მტერს და დუშმანს კრიჭაში ჩავუდგეთ, გავუმკლავდეთ, ხმალამოღებული დავუხვდეთ, ჩვენზე არ გავაცინოთ... გაუმარჯოს თქვენს გამჭრიახობას, სიმკვირცხლეს, ჩვენი ხალხის, ამერ-იმერეთის, მთლად ჩვენი ქვეყნის სანუგეშოდ და წარსამატებლად. თქვენ რომ გიყურებთ, გულს იმედი და სასოება ჩამესახა... მტერს ასე ადვილად არ დავეჩაგვრინებით!“

მტერს ადვილად არ დავეჩაგვრინებითო, ბრძანებდა დიდი ილია და მინდა ბატონ ვ. არძინბასაც ახსოვდეს სოხუმში, ძველ ცხუმში თუ აყუა-ციხეში წარმოთქმული ეს შეგონება, ახსოვდეს აგრეთვე ისიც, თავადაც ვისი გორისა ბრძანდება!

P. S. რაც შეეხება ბ-ნი ა. ჭაჭიას ფიგურას, ამ ბოლო დროს ისევ რომ ამოტივტივდა პოლიტიკურ ჰორიზონტზე, რომელსაც მავანნი და მავანნი დითირამბებს უძღვნიდნენ და უძღვნიან დღესაც, მიმაჩნია, რომ მისი სახელის გარშემო ატეხილი აჟიოტაჟი ყოვლად გაუმართლებელია. ჯერ ერთი, ჩიტი ბრდღვნად არ ღირს, მეორეც, — ეს აჟიოტაჟი წინასწარ იყო გათვლილი და მასმედიამ და სენსაციებს დახარბებულმა ტელევიზიის ზოგიერთმა არხმა თავისი აურზაურით და განგაშით, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელი შეუწყო ა. ჭაჭიას „პოპულარობას“, ნაცვლად იმისა, რომ მისი სრული იგნორირება მომხდარიყო. და შემდეგ: ახალი და უჩვეულო, სამწუხაროდ, არაფერი ხდება („აირევი ივერია აი, დროშა აშორდია“ — ჯერ კიდევ როდის თქვა გალაკტიონმა): ჭაჭიას თუ არა, ვინმე ჭაჭუას გამოძებნიდნენ ის ძალები, რომლებმაც თავის დროზე საქართველოს დაუძინებელ და მოსისხლე მტრად გამოჩეკეს და დააფრთიანეს ვ. არძინბა. ჩვენდა საუბედუროდ, საქართველოს არასოდეს დაკლებია, გიორგი შარვაშიძის თქმით, სამშობლოს ჯაშუშობასა და მტრობაში გაწაფული უძღები შვილები, საკუთარ კეთილდღეობას და პოლიტიკურ ამბიციებს ქვეყნის ინტერესებს რომ ანაცვა-

ლებდნენ ხოლმე. მით უმეტეს თვალში საცემია ეს მოვლენა დღეს — უკიდურესი სიდუხჭირისა და შეჭირვების ფონზე, როცა სოკოებივით მრავლდებიან ერთმანეთის მოძულე პარტიები თუ მოძრაობები, ათასი ჯურის დივერსანტები თუ მაღალჩინოსან-რანგოსანი მოხელეები, საკუთარი ჯიბის გასასქელებლად გულმოდგინედ და საფუძვლიანად რომ უთხრიან ძირს ქვეყანას და უფსკრულისკენ მიაქანებენ, როცა ზნედაცემულობის, სიმდიდრის ნებისმიერი გზით მოხვეჭის ჟინი და წრეგადასული სიხარბე — უამრავი კაზინოს „აკომპანიმენტით“ — აპოგეას აღწევს!

ასეთ ვითარებაში, ცხადია, „სამოღვაწეო“ ასპარეზზე ბ-ნი ა. ჭაჭიას კვლავ გამოჩენა სრულიადაც არ უნდა იყოს მოულოდნელი.

დარწმუნებული ვარ, მრავალჭირგადახდილი სამეგრელოს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა, რომელსაც, ყველაფრის გარდა, წინ უდევს აფხაზეთის ტრაგიკული მაგალითი, არ წამოეგება მტრის მიერ გადმოგდებულ ანკესზე, ეყოფა კეთილგონიერება, დაინახოს — ვინ ვინ არის, ვინ ვისი მსახურია, ვის აძლევს ხელს საქართველოში მუდმივად დაძაბული, მწვავე სიტუაციები, ვინ არის ის ძალა, გამუდმებით რომ სპეკულირებს სამეგრელოს სატკივრით... სამეგრელოს მკვიდრთ შესწევთ უნარი, გაარჩიონ თეთრი და შავი, ისინი ვ. არძინბას სულიერ ტყუპისცალებს არ აურევენ მის ნამდვილ და ჭეშმარიტ გულშემატკივრებში, ორღობის პატრიოტიზმის და სამარცხვინო კუთხურობის წინააღმდეგ ყოველთვის ხმალშემართული რომ იდგნენ და დგანან დღესაც!

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
1999 წ.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ი. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული გეოგრაფიის განყოფილების გამგეს, ისტორიის მეცნიერებათა დოქტორ ***დ. მუსხელიშვილს.***

საქართველოს სსრ ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარეს ***ნ. ფოფხაძეს;***

კინორეჟისორ ***მ. კოკოჩაშვილს;***

პატივცემულო დავით!

ამ რამდენიმე ხნის წინათ ვნახეთ მ. კოკოჩაშვილის სატელევიზიო მხატვრულ-დოკუმენტური ფილმი „გზა“, რომლის კონსულტანტი თქვენ ბრძანდებით. რაკი ამ სურათის მიმართ ჩვენ გვაქვს პრინციპული სახის შენიშვნები, გადავწყვიტეთ, სწორედ თქვენ მოგმართოთ, როგორც ისტორიკოსს.

პირველი სერიის ნახვის შემდეგ დიდი ინტერესით მოველოდით მომდევნო სერიებს თუნდაც იმიტომ, რომ არც ისე განებივრებული ვართ ქართული ისტორიული სურათების ხილვით... როცა იქმნება იმგვარი კინოსურათი, როგორიც არის „გზა“ (და, საერთოდ, ნებისმიერი სურათი), მას უნდა გააჩნდეს გარკვეული კონცეფცია, იდეა, მიზანდასახულობა. გვეგონა, მომდევნო სერიებში გამოიკვეთებოდა რეჟისორის ჩანაფიქრი, მისი მსოფლმხედველობა, გამოჩნდებოდა ჩვენი დღევანდელი ისტორიული მეცნიერების მაღალი დონე და ა.შ. მაგრამ, სამწუხაროდ, მოლოდინმა არ გაგვიმართლა. მეტიც: ამ სერიებმა გაგვაწბილა და გული გვატკინა. ამასთან, სიმართლე რომ ვთქვათ, გაგვაოცა ფილმის შემქმნელთა იმ ზერელობამ, რასაც ისინი იჩენენ ამა თუ იმ ისტორიული მოვლენის შეფასებისას. ფილმს ჰქვია „გზა“ და იგი, ბუნებრივია, უნდა ასახავდეს იმ გზას, რომელიც საქართველომ გამოიარა უძველესი დროიდან მე-18

საუკუნემდე, ანუ იმ პერიოდამდე, როცა მან დაკარგა სახელმწიფოებრიობა. დაკარგა, მაშასადამე, თავისუფლება და დამოუკიდებლობა. ფილმს უნდა ეჩვენებინა, რამ მიიყვანა საქართველო ამ კატასტროფამდე და ა.შ.

რეჟისორ მერაბ კოკოჩაშვილს ჩვენ ყველანი ვიცნობთ, როგორც დიდად ნიჭიერ შემოქმედს და ჭეშმარიტ მამულიშვილს. ჩვენ ეჭვი არ გვეპარება მის კეთილშობილურ განზრახვაში და იმაში, რომ მას ამჯერადაც პატრიოტული გრძნობა ამოძრავებდა, მაგრამ, ჩვენი აზრით, მისმა ჩანაფიქრმა ხორცი ვერ შეისხა (პირველი სერიის გამოკლებით) და ამაში, უწინარეს ყოვლისა, ბრალი მიუძღვის სცენარისტს და შემდეგ კონსულტანტს. მაგრამ ზოგად მსჯელობას ჯობს, პირდაპირ კონკრეტულ შენიშვნებზე გადავიდეთ.

როგორც ცნობილია, „ქართლის ცხოვრება“ ძირითადად იფარგლება ისტორიული ქართლის ამბებით. კანტიკუნტად, ერთობ ძუნწი ცნობებია დაცული დასავლეთ საქართველოზე და, კერძოდ, ეგრის-აფხაზეთზე. ეს სადღაც თითქოს ბუნებრივია — მემატიანენი ხომ მეტწილად აღმოსავლეთ საქართველოდან იყვნენ, მაგრამ დღეს, მეოცე საუკუნის მიწურულს, როცა ხელთა გვაქვს ი. ჯავახიშვილის, ნ. ბერძენიშვილის, ს. ჯანაშიას, გ. მელიქიშვილის — და, სხვათა შორის, არამარტო ქართველ მეცნიერთა — გამოკვლევები, „ქართლის ცხოვრება“ საქართველოს ისტორიის ერთადერთ დოკუმენტად ვერ გამოდგება. ამდენად, გაოცებას იწვევს დასავლეთ საქართველოს იგნორირება ფილმში. ასე მაგალითად, ფილმში ერთი სიტყვითაც არ არის ნახსენები ეგრისის სამეფოს და, კერძოდ, გუბაზ მეფის თავგანწირული ბრძოლები სპარსეთისა და ბიზანტიის იმპერიების წინააღმდეგ, არაფერია ნათქვამი არაბების გამანადგურებელ შემოსევებზე, რის შედეგადაც დაეცა სწორედ ეგრისის (ლაზიკის) სამეფო და მის ნანგრევებზე აღზევდა აფხაზეთის სამეფო. ხოლო ქუჯი ერისმთავარზე, სხვათა შორის, იმავე „ქართ-

ლის ცხოვრებაში“ ნათქვამია, რომ სწორედ მან შესთავაზა ფარნავაზს სამეფოების გაერთიანება და თვითონ ქვეშევრდომობა იკისრა (იმავე „ქართლის ცხოვრების“ მიხედვით, ფარნავაზის, ისევე როგორც ვახტანგ გორგასლის დროს, საქართველო — იმიერი და ამიერი — გაერთიანებული იყო, რაც აგრეთვე სრულიად არ ჩანს ფილმში). ქუჯიზე ეს ცნობა ლეგენდარულიც რომ იყოს, რამდენი რამის მთქმელი იყო იგი მაშინაც და დღესაც! რატომ არის უგულებელყოფილი ესოდენ მნიშვნელოვანი ცნობა ფილმში? ეს ამბავი რომ შემთხვევითი არ იყო, აკი დაადასტურა კიდეც შემდეგი საუკუნეების ისტორიულმა მოვლენებმა, როცა დასავლეთ საქართველო კვლავ მოგვევლინა ერთიანობის ინიციატორად და მისთვის მებრძოლად!

და შემდეგ: ფილმში საერთოდ გამოთიშულია ჭან-ლაზები მაშინაც კი, როცა ლაპარაკია ტრაპეზუნტის საკეისროს შექმნაზე (ერთობ გაკვრით). რა მიზანი ამოძრავებდა საქართველოს სახელმწიფოს, როცა იგი ამ საკეისროს ქმნიდა? ნუთუ ფილმის შემქმნელებისთვის, და მათ შორის თქვენთვის, ცნობილი არ არის ის გარემოება, რომ მცირე აზიის უდიდესი ნაწილი და შავი ზღვის სამხრეთ-დასავლეთის სანაპირო, ტრაპეზუნტის ჩათვლით, ძირითადად დასახლებული იყო ქართველური მოდგმის ხალხით — ჭან-ლაზებით, რომელთაც დღესაც არ დაუკარგავთ თავიანთი ეთნიკური სახე და ეროვნული მეობა?

მე-4, მე-5 სერიებში საუბარია საქართველოს, კერძოდ, ქარლთ-კახეთის სამეფოებზე. თუკი საქართველოს დაშლა-დაქუცმაცების შედეგად წარმოიშვა ქართლისა და კახეთის სამეფოები, ამ დაშლის ნაყოფი იყო იმერეთის სამეფოც. ხომ შეიძლებოდა თუნდაც ერთი ფრაზით მაინც გეხსენებინათ სოლომონი და ხრესილის სახელგანთქმული ომის მნიშვნელობა? ან, იქნებ, თქვენი აზრით, საქართველოს მცნებაში იმერეთი არ შედის?

თუმცა, როგორ არა. თქვენ ახსენებთ დასავლეთ საქართველოსაც, კერძოდ, ლევან დადიანს, ოღონდ იმ კონტექსტში, რომ იგი თურმე ომს აწარმოებდა იმერეთის მეფის წინააღმდეგ და თავისი ნადავლით ტრაბახობდა კიდეც. გულახდილად უნდა გითხრათ, ვერაფერიშვილი ირონიაა! შინაფეოდალური ომების საილუსტრაციოდ, მისთვის, ასე ვთქვათ, „ნიშნის მოსაგებად“, რაკი ქართლსა და კახეთზეა ამ ფილმში საუბარი, უფრო უპრიანი იყო, ჩვენი აზრით, მოგეხმოთ თქვენგან და ბევრი სხვის მიერაც ესოდენ ქებული კახთა მეფე ალექსანდრე II, რომელმაც ილაშქრა ქართლის წინააღმდეგ, მოაოხრა თურქებთან თავგანწირულად მებრძოლი ქართლი, თავის დას — ნესტან-დარეჯანს, გმირი სიმონის მეუღლეს — საწმერთული ჩახადა, ბაირაღად ააფრიალა და ნადავლით დატვირთული, „გამარჯვებული“ დაბრუნდა კახეთს, ანუ ბერი ეგნატაშვილის თქმით, ჩაიდინა „არგაგონილი, უკადრისი“ საქციელი (მოგეხსენებათ, ეს ის ალექსანდრე მეორეა, სამი სახელმწიფოს ხელდებული რომ იყო და რომლის გამოც დაატყდა კახეთს შაჰ-აბასის საშინელი რისხვა).

შემდეგ: როცა ლაპარაკია კახეთის სამეფოს დაჟინებულ ლტოლვაზე რუსეთისადმი, მაშინ კახეთი თქვენს ფილმში განასახიერებს მთელ საქართველოს და ასეც იხსენიებთ მას, სხვა შემთხვევებში კი საქართველოს მცნებაში რატომღაც არ შეგყავთ მისი დანარჩენი პროვინციები. რას უნდა მივაწეროთ ასეთი უგულებელყოფა? კიდევ: თუ დასავლეთ საქართველოში მე-4 საუკუნიდან მოყოლებული მე-9 საუკუნის ჩათვლით წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა (საინტერესოა, რომელ დოკუმენტებშია დადასტურებული ეს ფაქტი?), მაშ, მე-9 საუკუნეში ისეთი რა მოხდა, რომ ამ „გაბერძნებულმა“ ანდა სულაც „ბერძენმა“ მოსახლეობამ უცებ ისურვა, გადასულიყო ქართულ წირვა-ლოცვაზე? (ის

გარემოება, რომ დასავლეთ საქართველოს ეკლესია ექვემდებარებოდა კონსტანტინოპოლისას, ჩვენი აზრით, სულაც არ ნიშნავს იმას, რომ იქ მთელი ექვსი (?) საუკუნის განმავლობაში ჟამი ბერძნულად შეიწირებოდა. ესეც საკითხავია: რა წყაროებით დასტურდება ეს დაქვემდებარება! ბერძნული წარწერებით ხომ არა? მთელი რუსეთის ეკლესიები აჭრელებულია ბერძნული წარწერებით, მაგრამ ამის გამო რუსეთის ეკლესია არასოდეს დაქვემდებარებია ბერძნულს. სხვას რომ ყველაფერს თავი დავანებოთ, თვით ქართულ ისტორიოგრაფიაში დამკვიდრებული აზრის თანახმად, ქრისტიანობის მიღება, აკი, უფრო განამტკიცებდა ქართლისა და ეგრისის სახელმწიფოების კულტურულ ერთობას (იხ. საქართველოს ნარკვევები, ტ. II თბ. 1973 წ. გვ 14).

დავუშვათ, დასავლეთ საქართველოში მართლა მთელი ექვსი საუკუნის განმავლობაში წირვა-ლოცვა ბერძნულ ენაზე მიმდინარეობდა და ორიენტაციაც ბიზანტიისკენ ჰქონდა, კვლავ ვკითხულობთ, მაშ, რა მოხდა მერე? რატომ იკლავენ თავს ეს ე.წ. აფხაზი მეფეები საქართველოს გაერთიანებისთვის? ქართული ენისთვის? ქართული მწიგნობრობისთვის, ქართული სახელმწიფოებრიობისთვის (რომელ ქვეყანაში, რომელ სახელმწიფოში იწყებს მეფე თავის ტიტულატურას უცხო ხალხის დასახელებით? „მეფე აფხაზთა, ქართველთა, კახთა, რანთა“ და ა.შ. „ივანე მარუშიძემან ინება, რათა მოიყვანოს ბაგრატ მეფე აფხაზეთისა და ქართლისათა და მის თანა ყოველთა დიდებულთა, ერისთავთა და აზნაურთა აფხაზეთისა და ქართლისათა“ (მოქცევაი ქართლისაი, ქ. ცხ. ტ I. გვ 275).

რა რჯით ასე ამ აფხაზ დიდებულებს ანდა გურანდუხტ დედოფალს?

მით უმეტეს, რომ, ვახუშტი ბაგრატიონის განმარტებით, თურმე სარწმუნოება და ენა ყოფილა გადამწყვეტი

ეროვნულობისთვის (რასაც თქვენ ხაზს უსვამთ კიდეც ფილმში). მაგრამ სარწმუნოებისა და ენის გარდა, იქნებ, კიდევ საჭიროა სხვა ფაქტორებიც? ვთქვათ, ტომობრივი ნათესაობა, კულტურული ერთიანობა, საერთო ტრადიციების, ზნე-ჩვეულების ქონა და ა.შ. ის, რითიც, ვთქვათ, ბავარიელი გერმანელია ანდა ტოსკანელი იტალიელი? ფილმის კონცეფციის მიხედვით, მეგრელებს და სვანებს რომელ ეროვნებას მიაკუთვნებთ? ის, რომ ლევან დადიანი დროდადრო მიუხტებოდა და აწიოკებდა იმერეთის სამეფოს, ვგონებ, არ გამოდგება მათი ქართველობის უარსაყოფად; ან, იქნებ, ლინგვისტურად მეგრული და სვანური სრულიად უცხო, სხვა ენაა, ვიდრე ქართული?

შემდეგ: თუკი ჩვენი მეფეების მიერ ქართული პროვინციების დაბრუნება-შემოერთებას დაპყრობად ნათლავთ, რუსეთის მიერ საქართველოს ანექსიას როგორღა ეძახით შეერთებას?

ფილმში სხვა მრავალი შეცდომაა. არა გვგონია, ესოდენ საქებარი იყოს ის ამბავი, რომ ქართველს არ სჩვევია უკან დახევა და ამიტომ უნდა შესკდომოდა თურმე ყოველთვის მტერს, თუნდაც ისევ მტრის სასარგებლოდ! არც თემურლენგის რვაგზისი შემოსევის და შაჰ-აბასის მიერ ქართლ-კახეთის მოოხრების თქვენეული შეფასება მიგვაჩნია მართებულად და ბევრი სხვა რამ.

მერე კიდევ: ეს ქირქილი რას ნიშნავს, როცა წმ. ნინოს მოღვაწეობაზეა ლაპარაკი? ქრისტიანობის მიღებაა დაცინვის საგანი?

ჩვენი წერილი გვინდა დავამთავროთ გ. ქიქოძის სიტყვებით:

„ერთობილ ქართლში არ ჩაჩრდილულა ტომობრივი, თემობრივი და პიროვნული განსხვავებანი. პირიქით. შეერთებულმა და ძლიერმა სამეფომ სხვადასხვა კუთხის მკვიდრთ ფართო ასპარეზი მისცა შეჯიბრებისა და დაწინაურებისათვის“... და შემდეგ: „ჩვენი კულტურა არასოდეს არ ყოფილა ვიწროდ ცენტრალისტური. ჩვენი კულტურა ყოველთვის გაფანტული იყო. ყოველს პროვინციას თავისი განსაკუთრებული სახე ჰქონდა და ყოველს ხევსა თუ მაღლობს ტაძარი ან ციხე-კოშკი ამშვენებდა. ხალხი არ იყო დაშორებული გონებისა და განათლების ცენტრს და კულტურაც უფრო ფართო, უფრო ხალხოსნური იყო. ამიტომ არის, რომ დღეს ასე ძნელია ჩვენი მოთავსება ერთხელ და სამუდამოდ ჩამოყალიბებულ კალაპოტში... ამ გასაოცარ თავისებურებებში არის ალბათ ჩვენი ერის გამძლეობის ერთ-ერთი მიზეზი“.

1985 წ. სოხუმი.
ალმანახი „რიწა“.

„კეისარს — კეისრისა“

ილია ჭავჭავაძე თავის ბრწყინვალე პუბლიცისტურ ნარკვევში: „სომეხი მეცნიერები და ქვათა ღაღადი“ წერდა: „ყოველ ერს თავისი საკუთარი სახე აქვს, თავისი საკუთარი გულთათქმა, თავისი წადილები, თავისი სულთასწრაფვა, თავისი ღირსება. ამეების შეგინება კი არ ეპატიება, არ შეენდობა ოდნავ გონებაგახსნილ ადამიანს, მაგრამ აქაოდა, შფოთი ატყდებაო, ბოროტის მხილებას კრიჭა არ უნდა შეუკრას ვინმემ, ვინაიდან უსირცხვილოს თუ არ არცხვენ, ბაძით მორცხვიც გაურცხვდებისო... გული კი იმოდენად შეგვრჩენია, იმოდენად კიდევ გვერჩის, რომ ჩვენს ვინაობას ვუპატრონოთ“.

ილიას „ქვათა ღაღადი“ იწერებოდა მაშინ, როცა სომხურმა კაპიტალმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვა საქართველოში, როცა, ქართველ თავადაზნაურთა დიდი ნაწილის ბედოვლათობის გამო, ქართული მიწა-წყალი თანდათანობით გადადიოდა სომხური ბურჟუაზიის ხელში, როცა კაზარიანცებს, მანთაშოვებს, არამიანცებს და სხვებს თითქმის მთელი თბილისის (და არა მხოლოდ თბილისის) გამგებლებლად მოჰქონდათ თავი, როცა, ვაჟას თქმით, მთელი საქართველო წააგავდა მსუქან დუმას, რომელსაც „გარეშე კაცი მიეტანა... და ნელ-ნელა ათლის კაი-კაი ნაჭრებს... ჩვენი ტერიტორია სხვის ხელში გადადის და ჩვენ, ქართველები, ამ დუმის თლას ანუ მიწა-წყლის გადასვლას სხვის ხელში როდი ვეწინააღმდეგებით სასტიკად. როგორ ეკადრება ეს ჩვენს კეთილშობილებას! დეპუტატ კარლოსის „პროფესორებიც“ გაჯავრდებიან, აი, თქვე შოვინისტებო, განა სულ ერთი არაა, ვის ხელში იქნება საქართველოს ავლა-დიდება, ქართველის თუ სხვისიო“ (მკითხველი, ალბათ, დამეთანხმება, რომ დღესაც ზუსტად იგივე პროცესი მიმდინარეობს ჩვენში).

XIX საუკუნის ბოლოს რუსი სასულიერო მოღვაწე ვ. ბრაილი წერდა: „Армяне... Давно уже мечтают о создании велико-армянского царства и давно уже наметили всю Грузию в состав армянского царства, для чего ведут сильную армянскую пропоганду... захватив городское управление г. Тифлиса, как и всю торговлю бывшей грузинской столицы... и русская духовная власть покровительствует армянам, разорившим вконец всю Грузию... Армяне... выживают грузин из престольного их града Тифлиса... и правительство... армянской церкви предоставило полное самоуправление... оказывает всевозможное покровительство армянской народности, которая заполнила всю Грузию... древнюю апостольную Церковь Грузинскую совершенно розорили и уничтожили...“ დიახ, რუსული იმპერიალიზმის მიზანი არა მარტო უცხოტომელთა ჩამოსახლებით საქართველოს ტერიტორიის აჭრელება და ქართველებისთვის ფეხქვეშიდან მიწის გამოცლა იყო, არამედ ქართველი ერის თვითმყოფადობის, მისი სულიერების, კულტურის სრული მოსპობა და განადგურება. ამ მიზანს ემსახურებოდა სწორედ საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის გაუქმება, ეკლესიებში ქართული წირვა-ლოცვის აკრძალვა, ტაძრების გაძარცვა და განძეულობის გატანა რუსეთში, ქართული ენის გამოდევნა სახელმწიფო დაწესებულებებიდან, სკოლებიდან და ა. შ. მაშინ, როდესაც ცარიზმი ყოველნაირად ხელს უწყობდა სომხური ნაციონალიზმის (უფრო ზუსტად, დაშნაკური ნაციზმის) გაღვივებას და გაძლიერებას, რადგან მიაჩნდა, რომ სახელმწიფოებრიობის არმქონე სომხობა ნაკლებ საშიში იყო, ვიდრე ქართველები, რომელთაც გაუთავებელ სისხლისმღვრელ ომებში XIX საუკუნის დასაწყისამდე, ავად თუ კარგად, მაინც შეინარჩუნეს ქართული სახელმწიფოებრიო-

ბა და შემდეგ: სომხური კაპიტალის წყალობით, მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში რომ ჰქონდა ფესვი გადგმული, არმენოლოგია, როგორც დარგი, სულ უფრო და უფრო იკავებდა მაღალ პოზიციას მაშინ, როდესაც ქართველოლოგია არც რუსეთის, არც ევროპის უნივერსიტეტებში საერთოდ არ არსებობდა. სწორედ ამიტომაც იყო, ახალგაზრდა ნიკო მარი თავიდან ქართულ კულტურას არმენოლოგის თვალით რომ უყურებდა. ქართული კულტურის რაობაზეც კი ძნელი იყო ლაპარაკი მაშინ, როდესაც ვენის თუ ვენეციის ძველ გამოცემებში ევროპულ დონეზე გამომზეურდა სომხეთის სულიერი მემკვიდრეობა. ეს, რა თქმა უნდა, გარკვეულად განსაზღვრავდა იმ პოზიციას, რომელიც თავდაპირველად დაიკავა ამ საკითხში ნ. მარმა. ეს ის წლებია, როდესაც თვითონ ნ. მარი აღიარებდა, რომ ჯერ სწავლის პროცესშია და ფიქრის დროც კი არ რჩება: „რომ მოგწერო ამას და ამას ვფიქრობ-მეთქი, არ დაიჯერო. ხვალ რასმე ახალს შევიტყობ და მაშინ იმას და იმას ვიფიქრებ“, — წერდა იგი თავის სიყრმის მეგობარს ექვთიმე თაყაიშვილს. მერე და მერე ქართული კულტურის ჩაღრმავებულმა კვლევამ, ხელნაწერთა ფონდების უფრო ფართო გაცნობამ და ა. შ. იგი აიძულა, უფრო ღრმად ჩაეხედა ამ პრობლემებში, შეესწავლა ქართული კულტურის გენეზისის საკითხები, დაენახა და ეცნო მისი თვითმყოფადობა იქ, სადაც ადრე მხოლოდ გავლენასა და მიბაძვას ხედავდა.

როგორც ცნობილია, ანისის ნანგრევების შესწავლის დროს ნ. მარმა აღმოაჩინა ძველი ტაძარი, შეისწავლა წარწერები... და დაასკვნა, ტაძარი ქართველებს, საქართველოს ეკუთვნისო. „როგორ ფიქრობთ, — კითხულობს ერთი მაშინდელი სომხური გაზეთის კორესპონდენტი, — რა მოუტანა ამ აღმოჩენამ მარს? მას სომხეთის ყველა ქალაქში ბოიკოტი გამოუცხადეს, წაართვეს მუშები, იარაღები,

ჩამოართვეს ყველაფერი და საჭმელზეც კი უარი უთხრეს. მის წინაშე დაიხურა ყველა სასტუმროს კარები ისე, რომ დიდის გაჭირვებით ძლივს ჩააღწია თბილისში... მარს რომ მოეტყუებინა და ეთქვა, ყველა ქართული წარწერა სომხურიაო, „განათლებული“ ქალაქის თავი ხატისოვი მის საპატივცემულოდ ბრწყინვალე სიტყვებს წარმოთქვამდა“.

ეს ის გასომხებული ხატისოვია, რომლის აზრით, თბილისში დაარსებული უნივერსიტეტი უნდა ყოფილიყო სომეხთა ხელში, რადგან სომხეთისგან დავალებულია არა მარტო რუსეთი, არამედ მთელი ევროპა (როგორც ცნობილია, XIX საუკუნეში რუსეთის ხელისუფლებისგან გალაღებულმა და გადიდგულებულმა ტერტერებმა ლამის მთელი აღმოსავლეთი საქართველო გაასომხეს, მათ შორის ბატონი ხატისოვის წინაპრებიც!) (იხ. მთ. მიტროპოლიტის ა. ჯაფარიძის ნაშრომი „როგორ გასომხდა აღმოსავლეთ საქართველო“.)

რაც უფრო ღრმად ეცნობოდა მარი ქართული კულტურის ძეგლებს, მით უფრო კატეგორიული ხდებოდა მისი დამოკიდებულებაც და პოზიციაც „...რამდენათ საქართველოს ყოფილი დიადი კულტურა იხატება შით და რამდენად შეაფერხა ეს კულტურა რუსეთის უკუღმართმა პოლიტიკამ“, — წერდა შემდგომში ნ. მარი.

ბოლშევიკურმა იმპერიამ წარმატებით განაგრძო წინამორბედი იმპერიის ტაქტიკა და სტრატეგია, რაც გულისხმობდა, ილიას სიტყვებით რომ ვთქვათ, სომეხ მეცნიერთა ერთი გუნდის თავგასულობის წაქეზებასაც. აბა, სხვანაირად ვით გაბედავდა ოდნავ მაინც ჭკუათმყოფელი კაცი ქართველი ერის სათაყვანო წიგნის „ვეფხისტყაოსნის“ დასაკუთრების მცდელობას: საგულისხმოა, რომ „ვეფხისტყაოსანი“ სომხურ ენაზე ნაწყვეტების სახით მხოლოდ XIX საუკუნის მეორე ნახევარში ითარგმნა, ხოლო სრულად — საბჭოთა პერიოდში. საგულისხმო და ნიშანდობლივია ის

გარემოებაც, რომ, ივ. ჯავახიშვილის დასკვნით, საერო ლიტერატურა შუა საუკუნეებში, ქართველების გარდა, არც ერთ მეზობელ ქრისტიანულ ქვეყანას არ გააჩნდა, რომ რითმიანი ლექსი სომხურ ენაზე მხოლოდ XVIII საუკუნეში ჩნდება. არც ის არის შემთხვევით, რომ სწორედ საქართველო მიაჩნიათ მკვლევართ აღმოსავლური რენესანსის დამწყებად .

და, მიუხედავად ამისა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო თავხედური ხდება ე. წ. მეცნიერების: აივაზიანების, კარაპეტიანების და მათი მსგავსი ადამიანების პრეტენზიები ქართული კულტურის, ქართული ხელოვნების, ისტორიის და მწერლობის მიმართ. თუმცა... ეს ჭირი ჩვენზე არახალია, ძველია. ჯერ მარტო ის რად ღირს, ლეგენდარულმა მაშტოცმა, რომელმაც ქართული ენა არ იცოდა, თურმე სრულყოფილი ანბანი შეუქმნა ქართველებს, თავის ერს კი ნაკლული. ერთი პატიოსანი სომეხი მეცნიერის აზრით კი: "Мог ли Маштоц выступать в качестве непосредственного изобретателя грузинской и албанской письменности? На этот вопрос a priori можно дать отрицательный ответ", — С. А. Периханян, К вопросу о происхождении армянской письменности. Москва, 1966 г.[1]

ხოლო V საუკუნეში სომეხ-მწიგნობართა ერთმა ჯგუფმა კონტამინაციის გზით (იგულისხმე — მანიპულაციის მეშვეობით) „დაადგინა", რომ ბიბლიური თორგომა, ანუ თარგამოსი — თურმე სომეხი ყოფილა! ამის შემდეგ რა გასაკვირია, რომ კავკასიაში ერთადერთი უძველესი კულტუროსანი ერი თურმე სომეხი ერია და ა. შ.

ამ ე. წ. მეცნიერთა აზრით, თითქმის ყველა გამოჩენილი პიროვნება, ბაგრატიონთა გვარი და დინასტია სომხური რომ არის, ამას თურმე წყალი არ გაუვა.

ასე მაგალითად, ბაკურიანისძე, ბიზანტიის იმპერიის დომესტიკოსი, ტაო-კლარჯეთის წარჩინებული გვარის წარმომადგენელი, ბაჩკოვოს, ანუ პეტრიწონის მონასტრის ამგები თურმე წარმოშობით სომეხია, თუმცა ბაკურიანისძე თავის ანდერძში ორჯერ იმეორებს, მე ტომით იბერიელმა ავაშენე ეს მონასტერი მხოლოდ ქართველებისთვისო, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, რას ამბობს თავად ბაკურიანისძე? მთავარია, რა სურს სომეხ მწიგნობართა ერთ გუნდს!

1 სინამდვილეში, სომხური ანუ არმენული დამწერლობის შემქმნელებად — იოანე ლაზი და პეტრე იბერი გვევლინებიან V საუკუნეში.

დიახ, მთავარი ის არის, სომეხ მწიგნობართა და მეცნიერთა ამ ერთი გუნდის სიტყვები, ილიას თქმით, თურმე ბაჯაღლო ოქროა, ხოლო ქართველებისა — ერთ ყალბ ფლურადაც არ ღირს, ვინაიდან... ასე უნდათ ცრუპენტელებს და ყალბისმქნელებს! ისინი არ სჯერდებიან ქართული კულტურის და ჩვენი მართლმადიდებლობის ციტადელის — ტაო-კლარჯეთის (ჯავახეთის ჩათვლით) მითვისებას (იხილე დღევანდელი ისტორიული რუკა სომხეთისა!), არც რუსთაველის „სომხობას" კმარობენ — ახლა აკაკი წერეთელს და სხვა ქართულ თავადაზნაურულ გვარებსაც გადაწვდნენ.

...მახსოვს, 70-იან წლებში ვინმე ვერმიშევმა უზარმაზარი ტირაჟით რუსულ ენაზე, მოსკოვში გამოსცა რომანი „ამირსპასალარი", სადაც უმოწყალოდ იყო გაყალბებული საქართველოს ისტორია, კერძოდ, თამარის ეპოქა. აღშფოთებულმა ქართულმა საზოგადოებამ — ისტორიკოსებმა და მწერლებმა — პროტესტის გამოხატვა სცადეს. „ცისკარში" რომლის რედაქტორი იმ დროს პოეტი ჯანსუღ ჩარკვიანი იყო, დაიბეჭდა აკ. ბაქრაძის, ისტორიკოს სტეფნაძის წერილები და ნ. დუმბაძის ფელეტონი, მაგრამ ჟურნალის მთელი ტირაჟი ერთ ღამეში გაანადგურეს „მერვეპოლკელებმა" — ცხადია, „ზემოდან" მითითებით!

მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მწერალმა რ. ჯაფარიძემ მოახერხა, ჟურნალ „მნათობში" გამოექვეყნებინა საპასუხო წერილი — შეკვეცილ-დაჩეხილი სახით. მის რუსულად

თარგმნაზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტი იყო! სამაგიეროდ, თავიანთ ცილისმწამებლურ ნააზრევს თავისუფლად თარგმნიდა და თარგმნის დღესაც რუსულ და მრავალ ევროპულ ენაზე სომეხ მეცნიერთა ეს ერთი გუნდი, მასობრივი ტირაჟით ბეჭდავს და ავრცელებს ყველგან, სადაც კი ხელი მიუწვდება. ხელი კი ბევრგან მიუწვდებათ ფულის წყალობით. არადა, უკვე საზღვარი არა აქვს ამ გადაცდომილთა თავხედობას!

არც ის არის შემთხვევითი, ქართული ხალხური სიმღერების ფირფიტა სომხური სიმღერების ჩანაწერად რომ გასაღდა!

საინტერესო ის გახლავთ, რამდენჯერაც არ უნდა ამხილონ ეს მანიაკები ჩვენმა თუ სხვა ეროვნების მეცნიერებმა, სულ ერთია — მაინც თავისას არ იშლიან! რად ღირს თუნდაც აკად. ბ. პიოტროვსკის (სხვათა შორის, სომეხთა სიძის) მამხილებელი წერილი! როგორც ცნობილია, მე-19 საუკუნის საფლავის ქვის არაბული წარწერა სომეხმა „მეცნიერმა“ აივაზიანმა ძვ. წ. აღრიცხვის XVI-XVIII ს.ს. სომხური დამწერლობის ნიმუშად გამოაცხადა — არაბული წარწერა მარცხნიდან მარჯვნივ წაიკითხა და თავისთვის სასურველი სენსაციური დასკვნა გამოიტანა. ამგვარი „სენსაციები“ ძალიან უყვართ აივაზიანისნაირ მანიპულატორებს.

აკად. ი. პიოტროვსკის საპროტესტო წერილი გაზეთ „იზვესტიაში“ უნდა გამოექვეყნებინა, მაგრამ სომეხთა დელეგაცია, როგორც იტყვიან, ფეხებში ჩაუვარდა აკადემიკოსს, საკავშირო მასშტაბით თავი არ მოგვჭრა და ჩვენ თვითონ დავბეჭდავთ ჩვენს ჟურნალშიო. იგი მართლაც ერთ-ერთ უმნიშვნელო სომხურ ჟურნალში გამოქვეყნდა. საყურადღებოა ის გარემოება, რომ ამ ჟურნალის მთელი ტირაჟი სტამბაშივე მოსპეს. თითო-ოროლა ეგზემპლარი თუ გადაურჩა ამ ვანდალიზმს (სხვათა შორის, ამ წერილის ერთი ცალი მე ჩამივარდა ხელში და ამჟამადაც ჩემს არქივში ინახება!).

აღსანიშნავია ისიც, რომ ე. ამაშუკელის „ქართვლის დედის“ ქანდაკების დადგმას მყისვე მოჰყვა „Мать Армения“-ს შექმნა... ოღონდ იგი სტალინის ნაძეგლარზე აღიმართა! რატომ სტალინისო, იკითხავს მკითხველი. იმიტომ, რომ კვარცხლბეკზე ამოჭრილი თარიღი უფრო ძველი იყო „ქართვლის დედაზე“, ანუ ე. ამაშუკელის ძეგლზე უფრო „ძველია“ „Мать Армения“! სხვათა შორის, ეს „დეტალი“ ერთმა რუსმა მკვლევარმა (ნიკიტა ვორონოვი) აღნიშნა კიდეც!

რაკიღა ფულის წყალობით ყველაფრის მიღწევა შესაძლებელია ამ ჩარჩულ-მევახშურ სამყაროში, ჩვენი „ძმეებიც“, რასაკვირველია, არაფერს იშურებენ: არც თანხას, არც გავლენას, არც ეშმაკობას, რათა თავიანთ მზაკვრულ მიზანს მიაღწიონ, რაც უწინარესად ყოველივე ქართულის დამცრობაში გამოიხატება. აკი, ისიც მოახერხეს, რომ ბროკჰაუზის ენციკლოპედიიდან გაქრა ის ფრაზა, სადაც ქართველები ულამაზეს რასად იყო მოხსენიებული, ისევე, როგორც ამერიკის ერთ-ერთ ენციკლოპედიაში სომხეთის პორტად ბათუმი არის მიჩნეული (იმის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, რაც ამ ბოლო დროს ხდება, შორს არ არიან ამ მიზნისგან: აფხაზეთის „ათვისება“ ხომ უკვე შეძლეს ქართველების იქიდან გამოყრის და გენოციდის წყალობით (ბაგრამიანის ბატალიონის უშუალო მონაწილეობით). ბათუმიც სულაც არ გახლავთ მიუწვდომელი, ოღონდ დასწრებაზეა ახლა საქმე: თურქები უფრო იმარჯვებენ, ყაზახები თუ... სომხები?)

ახლა, რაც შეეხება იან, უნ, ან-სუფიქსებიან სომხურ გვარებს:

სომეხთა ადრეულ თუ შუა საუკუნეების წერილობით ძეგლებში მხოლოდ ორი გვარი გვხვდება ამ დაბოლოებით: მამიკონიანები და ორბელიანები: ერთნი ჭანეთიდან იყვნენ გადმოსახლებულნი სომხეთში, მეორენი — საქართველოდან ექსორიაქმნილნი.

საკუთრივ იან-სუფიქსზე ნ. მარს და ს. ჯანაშიას ფრიად დამაჯერებელი აზრი აქვთ გამოთქმული: როცა სუფიქსი —

ამ შემთხვევაში **იანი** — აწარმოებს სიტყვას, ანუ სძენს მას შინაარსს, მაშინ ეს სუფიქსი, ცხადია, იმ ენის კუთვნილებაა, ვინც მას ამ მიზნით იყენებს. ასე, მაგალითად, ქართულში იან, უნ, ან-ონ-ით უამრავი სხვადასხვა შინაარსის სიტყვა გვაქვს: ამიანი, იმიანი, გულიანი, ფრთიანი, თავიანი, ჭკვიანი, ყელიანი, ყურიანი, მზიანი, მთვარიანი, დარიანი, წვიმიანი, თოვლიანი, საზრიანი, ხორციანი, ფხიანი, ხმლიანი და ა. შ. ონზე: საყდრიონი, შატილიონი, მხედრიონი, კავკასიონი და ა. შ. უნზე: გოგოცუნა, ბიჭუნა, ქალაჩუნა, წალდუნა, კაცუნა, ბებრუცუნა, ცაცუნა, თაგუნა, ბეჩუნა. გვარები: ბაგრატუნი-ბაგრატიონი, ხუხუნი, გაბუნია; სვანური გვარები მთლიანად და მეგრულის დიდი ნაწილი — ია-ზე დამთავრებული, რაც იან-ის შეკვეცილი ფორმა გახლავთ და ა.შ. (იხ. მარის და ს. ჯანაშიას ნაშრომები).

მაშასადამე, ეს სუფიქსები სომხურ გვარებში გვიანდელი ხანისაა და, ცხადია, იმ ენიდან არის ნასესხები, სადაც ისინი არა მარტო სუფიქსებია, არამედ სიტყვებს ქმნიან როგორც შინაარსობრივი, ისე აზრობრივი თვალსაზრისით. ანუ, სომხურში იან-სუფიქსიანი გვარები ქართული ენის გავლენით არის გაჩენილი, მოკლედ, ქართულიდან ნასესხები გახლავთ! ნ. მარის, ს. ჯანაშიას და ევროპელ მეცნიერთა აზრითაც, იან-ინ-ფორმა ინდოევროპულში იბერიულ-კავკასიური ენიდან არის შესული, მათ შორის — სომხურ ენაშიც! უფრო სწორად — არმენულში!

გაღმა შეედავე, გამოღმა შეგრჩებაო, ისეა სომეხ მეცნიერთა ამ ერთი გუნდის საქმე! ანდა: მე ვიტყვი და მერე იმან ამტკიცოს, რომ ეს ასე არააო, ანუ ტაშტი გატყდა, კი არ გატყდა, ხმა გავარდაო და სხვა. მაგრამ, როგორც ითქვა, რაც დრო გადის, უფრო და უფრო ზღვარს გადადის მათი თავხედობა. თავიანთი ჭკუით ხომ წაგვართვეს ყველაფერი, რისი წართმევაც შეიძლებოდა: მიწა-წყალი, ტაძრები, მწერლობა, გვარტომობა, ანუ მთელი სულიერი და მატერიალური კულტურა, თურმე ეს კიდევ ცოტაა: ქართველები კავკასიის აბორიგენი ერიც არ ყოფილა: ესპანეთის იბერიიდან ჩამოვსულვართ (როგორც ჩანს, ორიოდე ფელუკით) და ლანჩხუთში დავსახლებულვართ (ოღონდ ეგ არის: „პატარა“ დეტალი გამორჩათ ამ უბადრუკ მეზღაპრეებს: — ლა-ნჩხ-უთი კოლხური სიტყვაა და საძროხე ადგილს ნიშნავს!), აქედან, მომძლავრებულნი და გამრავლებულნი შევსევივართ მთელ სამხრეთ კავკასიას და დაგვიპყრია აქაური ძირძველი ხალხები, მათ შორის — არმენებიც!

ისტორიის მამად წოდებული ბერძენი ჰეროდოტე ჩ.ვ. წ. აღ-მდე V საუკუნეში წერდა: „აზიაში მოსახლეობენ სპარსელები, თვით სპარსეთის ზღვამდე. სპარსელების ზევით ჩრდილოეთის მხრივ ცხოვრობენ მიდიელები, მიდიელების ზევით — სასპერები, სასპერების ზევით — კოლხები, რომლებიც გავრცელებულნი არიან ჩრდილოეთის ზღვამდე, რომელშიც მდინარე ფაზისი ჩაედინება. ამ ოთხ ხალხს უჭირავს მიდამო ზღვიდან ზღვამდე“. ისტორიის მამა „რატომღაც“ ამ ხალხებში არ ახსენებს კავკასიის „უძველეს“, „აბორიგენ“ ერს — არმენებს! ხოლო ქართულ ტომებს — სასპერებს (ანუ იბერებს) და კოლხებს უდასტურებს არსებობას ფრიად ვრცელ ტერიტორიაზე!

ეტყობა, ჰეროდოტესთვის ისევე, როგორც სხვა ბერძენი თუ რომაელი ისტორიკოსებისთვის, უცნობი იყო კონტამინაციის, ანუ მანიპულაციის ის ხერხები, რომელთაც ასე ოსტატურად ფლობენ ჯერ კიდევ ძველი დროიდან ესოდენ „განსწავლული“ სომეხ მეცნიერთა ერთი ჯგუფი და მათი მიმდევრები, მთელი ევროპული ცივილიზაციის (და არამხოლოდ ევროპულის!) ფუძემდებლებად რომ მოაქვთ თავი. რა ენაზე ლაპარაკობდნენ ევა და ადამი? — ვკითხულობდი ერთ ჩემს ადრინდელ წერილში; რასაკვირველია, სომხურ

ენაზეო, დარწმუნებული ვარ, დაბეჯითებით, კატეგორიულად განაცხადებენ ჩვენი ფრიად „პატივცემულნი“, შარაგზის ყაჩაღები — აივაზიანები, კარაპეტიანები და ძმანი მათნი, და აგრეთვე, აქაც ჩვენშიაც, ზოგი „შინაური“ იუდა ისკარიოტელი თუ უძღები შვილი. საყურადღებოა, რომ სომეხ მწიგნობარ-მეცნიერთა ეს გუნდი საერთოდ არ ახსენებს კოლხეთს, არც იბერიას. ვითომც არც არსებულა ოდესმე ოქრომრავალი კოლხეთის მაღალი ცივილიზაცია, ესოდენ ნაცნობი რომ იყო ბერძნულ-რომაული სამყაროსთვის! თითქოს არც ათასხუთასწლოვანი ბრწყინვალე მწერლობა გვქონია, თითქოს ბაიბურში არ არიან არც ეგეოსურ კულტურაზე, არც ეტრუსკებზე, არც პელაზგებზე, შუმერებზე, ანუ იმ პროტოქართველურ ტომებზე, მთელ მცირე აზიასა და ეგეოსის თუ ხმელთაშუა ზღვის აუზებს რომ მოჰფინეს თავისი ენა და კულტურა და იან თუ ს/ს და ნთ/დ სუფიქსებზე დაბოლოებული გეოგრაფიული სახელწოდებანი, ანუ იმ კულტურაზე, იბერიულ-კავკასიურის მონათესავედ რომ მიაჩნია მსოფლიოს მრავალ თვალსაჩინო მეცნიერს, რომელთა ჩამოთვლას აქ არ შევუდგები — ისედაც გამიგრძელდა წერილი.

ილია ამბობდა: „ჩვენ ბევრი გვქონდა თუ ცოტა, შეგივრდომეთ, შემოგიხიზნეთ და შინ მტრად ნუ გვეკიდებით!“-ო. მე დავუმატებდი: გარეშე მტრებთან ბრძოლაში არ გაგვირჯიხართ, ყოველგვარი შეზღუდვის გარეშე ეწეოდით თქვენს ძირითად საქმიანობას — ვაჭრობას და ყარაბაღიდან, თურქეთიდან თუ სხვა ქვეყნებიდან დევნილნი, არაერთგზის შეგვიფარებიხართ! როცა საჭირო იყო, ანისისთვისაც უბრძოლიათ ჩვენს მეფეებს და ერევნისთვისაც! და, საერთოდ, საქართველოში არაქართველი არასოდეს დაჩაგრულა არც რელიგიური და არც ეთნიკური წარმომავლობის გამო — საქართველოში შემოხიზნული სომხები ისევე, რო-

გორც ებრაელები და სხვანი და სხვანი, იყვნენ ყველაფერში გათანასწორებული ქართველებთან, ჰქონდათ მინიჭებული ყოველი პოლიტიკური და სამოქალაქო თავისუფლება და ხშირად მემკვიდრეობით ეჭირათ უმაღლესი ადგილები სამეფოში და ა.შ.

ხომ საყოველთაოდ ცნობილია, რომ 1921 წელს, ე. ი. გასაბჭოებამდე, ცხინვალში ოსი ეროვნების მხოლოდ სამიოდე კომლი ცხოვრობდა. ამისდა მიუხედავად, შეიქმნა ე. წ. სამხრეთ ოსეთის ოლქი, ანუ მოხდა უკანონობის და უსამართლობის დაკანონება (ასევე უკანონოდ, მისი მოსახლეობის სურვილის საწინააღმდეგოდ, მიუერთეს მაშინ აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას სამურზაყანო) — ჩვენ კი კვლავ ღობე-ყორეს ვედებით და სრული სიმართლე ვერ გვითქვამს, ვაითუ, მცირე ერების მჩაგვრელებად ჩაგვთვალოს მავანმა და მავანმაო. არადა, ჩაგრული, დამცირებული და უფლებააყრილი საკუთარ ქვეყანაში სწორედ ქართველობაა (ამასობაში ე. წ. ინფორმაციული ომიც ისევ წაგებულია. და არამხოლოდ ინფორმაციული!). დიახ, ახლა ცხინვალი, ბოლშევიკების და ქართველი კონდოტიორების წყალობით, ე. წ. სამხრეთ ოსეთის დედაქალაქია. ძირძველი ქართული მოსახლეობა გამოდევნილია იქიდან, ხოლო ვინმე კოკოითი, ანუ დღევანდელი ჯაყო — შიდა ქართლის ჩრდ. ოსეთთან, ანუ რუსეთთან შეერთებას მოითხოვს, ანუ ურცხვად, უტიფრად ითავისებენ და ისაკუთრებენ ჩვენი წინაპრების სისხლით მორწყულ მიწა-წყალს.

ჯერ კიდევ ა. ბელი წერდა: „Из ущелья и скал осетин начинает выглядывать, дерзко тесня отступающую, защищающую свои местности Грузию. Грузия тихо скорбит, уткнувши лицо в плащ туманов''.

მაინც საიდან არის ამდენი ღვარძლი, ბრმა სიძულვილი, ამდენი მტრობა, შური, აკაკის თქმით, ამ დამხვდურად მე-

ბრძოლი და უცხოთა და გაჭირვებულთა შემწყნარებელი და შემფარებელი ხალხისადმი? საიდანაა ეს პლებეური უმადურობა? ან თუნდაც ნიშნისგება იმის გამო, დაგავიწყდათ, 800-ათასამდე რომ დარჩით და დახმარებას ეხვეწებოდით ერთმორწმუნე, დიდ სახელმწიფოსო!

ის კი არ უკვირთ — ამდენ სისხლისმღვრელ, უთანასწორო ომში საერთოდ როგორ დარჩითო. მოკლედ, საქართველო ჩვენს არაკეთილმოსურნე ჟირინოვსკებს, მიგრანიანზატულინებს, აივაზიანებს, დაშნაკცუტუნებს, კოკოითებს და, საერთოდ, ყოველგვარი ჯურის ჯაყოებს თუ ყივჩაღებს დაბალ ღობედ მიაჩნიათ, რომელსაც შეიძლება ნებისმიერ დროს, როგორც გინდა, ისე გადაუარ-გადმოუარო! შეგიძლია ბინძური ხელები აფათურო ერის სულში, გაუგონარი შეურაცხყოფა მიაყენო მის ღირსებას და თავმოყვარეობას! ანუ ხორციელდება გენერალური შტურმი: საქართველო — ქართველების გარეშე! გიჟ-ვრაცუებზე ახია თურმე ყველაფერი. მათ დაიმსახურეს ეს ხვედრი, ანუ თითო ქიშტი ყველასგან!

მოკლედ, ის დრო დგება, როცა ხმამაღლა, მთელი მსოფლიოს გასაგონად უნდა ვიყვიროთ: სოს! გვიშველეთ, გვიხსენით შარაგზის ყაჩაღებისგან, დღისით, მზისით რომ გვტაცებენ ყველაფერს, რაც გაგვაჩნია და რაც ასეა თუ ისეა შევინარჩუნეთ დღემდე! ანუ, განუზრახავთ ქართველების დედაბუდიანად აღგვა მიწისგან პირისა.

არსაიდან ხსნა, არსით საშველი!..

იქნებ... დახმარებისთვის მიგვემართა მთელ მსოფლიოში ერთ-ერთი უძლიერესი, ფულიანი სომხური ლობისთვის: ეგებ, თქვენ გაიღოთ მოწყალება და როგორმე დააშოშმინოთ ერთობ მადაგახსნილი, ერთობ თავგასული და ყოველგვარ ზღვარს გადასული თვისტომნი?

იაფეტური თეორიის შემქმნელის ნ. მარის თქმით, მოვა

დრო და: „...ქართულს და მის მონათესავე ენებს, ჩემთვის ეჭვგარეშეა, ფრიად პატივისცემა და ჩვენთვის ახლა წარმოუდგენელი დიდება მოელის მეცნიერებაში!“-ო.

მართლაც: კეისარს — კეისრისო!

„განახლებული საქართველო“
2003 წ.
„ქართული სიტყვა“, 2011 წ.

P.S. ეს წერილი 2003 წელს არის დაწერილი, მაგრამ დღესაც არაფერი შეცვლილა ჩვენი ახლო თუ შორეული მეზობლის მიზანდასახულობებსა და მისწრაფებებში.

კვლავინდებურად ინტენსიურად, მეთოდურად, დაჟინებით მიმდინარეობს აწ უკვე რუსეთის მიერ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებული აფხაზეთის ათვისება, იქიდან გამოყრილი ქართველების სახლ-კარის დასაკუთრება და ასევე, გეგმაზომიერად ხდება მავანთა აჭარაში დამკვიდრება, შიდა ქართლის განადგურებასთან ერთად. ხოლო პროგრამის სრული რეალიზაციისთვის სწორედ რომ ახლაა უპრიანი ძველი ჩანაფიქრის განხორციელება, ანუ გოდერძის უღელტეხილში გვირაბის გათხრა, მეორე როკის გვირაბის გაყვანა, რაც საბოლოოდ წირვას გამოუყვანს ფიქტიურად დამოუკიდებლად არსებულ, გადაშენებისა და გადაგვარების გზაზე შემდგარ ე. წ. საქართველოს და რაც აქცევს მას ნაქართველარების ქვეყნად ან, უკეთეს შემთხვევაში, მისი დაფლეთილ-დაგლეჯილი ნაწილების „ველიკაია არმენიის სასტავში“ შეყვანას — თუნდაც გუბერნიის სახით! რატომაც არა! აკი ნათქვამია, ლუკმა გავარდეს, ჯამში ჩავარ-

დესო... ეს ლუკმა ხომ დიდი ხანია ყელში აქვთ გაჩხერილი მავანთ და მავანთ. ჰოდა, მოვიდა დრო მისი გადაყლაპვისა! ახლა საქმე დასწრებაზეა-მეთქი: დიდი ნაგაზები ჩაიტკბარუნებენ პირს ამ ლუკმით თუ პატარა, მოწკავწკავე ფინიები — ამას მნიშვნელობა არა აქვს: აბა ჰე, თქვენ იცით, როგორ იმარჯვებთო, აქეთ-იქიდან აქეზებენ ამ მტაცებლებს სხვადახვა ჯურის ლობისტები. ნუ გეშინიათ, მიაწექით ე. წ. საქართველოს — კვლავ საღათას ძილით რომ სძინავს... მას ვერანაირი კატასტროფები ვერ გამოაღვიძებსო.

როგორც ჩანს, საქართველო მართლა ჩათვალეს განწირულ ქვეყნად, წყალწაღებულად, მიწის პირისგან აღგვილად! ხოლო, ილიას თქმით, ლეშად ქცეულს მკორტნელები აღარ დაელევა — შინაურნი თუ გარეშენი! ოღონდ... ვინ იცის... აკაკის თქმით, იქნებ უფალმა სწორედ ის დაამიწოს, ვინც მის სიკვდილს შეჰნატრის! და კიდევ: ყველა ჯურის მტაცებელს და უგუნურს ყოველთვის ერთი „პატარა“ დეტალი ავიწყდება: საქართველო ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანა და მისი საუფლისწულო რომაა, ამიტომაც კვლავაც „დაიზრდებიან ალგეთს ლეკვები მგლისანი...“

თებერვალი, 2011 წ.

„გულამოსკვნილი ვტიროდი“...

საქართველოში საყოველთაო ძებნაა გამოცხადებული: ეძებენ უგზოუკვლოდ გამქრალ კრედიტებს, გრანტებს, უცხოეთიდან გამოგზავნილ ჰუმანიტარულ თუ ფილანტროპიულ დახმარებებს, წამლებს, ჯარისკაცის ფორმებს, ტანკებს, თოფ-იარაღს, გემებს...

ეძებენ გაქცეულ დამნაშავეებს: მძარცველებს, ქურდებს, პოლიტპატიმრებს, უცხოელ ბიზნესმენებს, მძევლად აყვანილ საკუთარ მოქალაქეებს, ტერორისტებს, დივერსანტებს — საკუთარი ქვეყნის ელექტროანძების, რკინიგზების, სამშობიაროს, საავადმყოფოების ამფეთქებლებს, ეძებენ დაკარგულ ხატებს, ჯვრებს, სურათებს, ბიუჯეტის თანხებს, ოქროს, პლატინას — უცხოეთში გაზიდული ხაზინითურთ, ხე-ტყეს თუ ფაბრიკა-ქარხნებს — მორებად და ჯართად გატანილს... მითვისებულ და მისაკუთრებულ აფხაზეთს თუ შიდა ქართლს... ეძებენ ვის და რას არა.

— გვიშველეთ. დაგვეხმარეთ, გვაპოვნინეთ! — ზარებს არისხებს ყველა, ვისაც ეხება თუ არ ეხება ეს გასაჭირი, „შველას“ ითხოვს თანამონაწილე თუ თანამზრახველი ძარცვა-გლეჯისა, შველას ითხოვს ტელევიზია, რადიო, პრესა — მოკლედ, ყველა, ვისაც არ ეზარება.

განგაშის ხმამ, ეტყობა, მიაღწია იქ, შორეულ კასრამდეც. საპატიო ასაკის მიუხედავად, შეწუხებულ-შეშფოთებული ბატონი დიოგენე თავისი ცნობილი ფანრით გამოეშურა ჩვენკენ და გამალებით შეუდგა ძებნას. ეძებს დაკარგულ სულიერ საუნჯეს: სინდის-ნამუსს, პატიოსნებას, ღვთის და მოყვასის სიყვარულს, ზნეობას, ქალობას, კაცობას, დემოკრატიას... იცის, განა არ იცის ბრძენკაცმა, რომ ქვეყნად ბოროტებისა და სიკეთის გამუდმებული ჭიდილია, რომ ამ ცისქვეშეთში ახალი არაფერია, რომ ამაოება ამაოთა და ყოველივე ამაო არს, რომ... წუთისოფლის მდგმურთაგან ზოგი კაცი არის, ზოგი კიდევ კაცუნა. იცის, ყოველივე იცის

ბერიკაცმა და მაინც განაგრძობს ძებნას: სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ?

— არ არის, არ არის, არ არის! — მოესმის ყოველი მხრიდან.

ეს კიდევ ვინღაა? ვის გამოუდვია თავი ჩვენთვის?

პირიქითა იბერიიდან პირაქეთა იბერიაში წამოსულა საშველად წარჩინებული იდალგო, მწუხარე სახის რაინდი დონ-კიხოტ ლამანჩელი სანჩო პანსითურთ. ძველ სწავლულ-მეგზურთაგან დამოძღვრილი და გეზმიმართული, თავის სახელგანთქმულ როსინანტზე ამხედრებული მოიჩაქრის იგი იბერიისა და კოლხეთის ურიცხვი განძის საპოვნელად, რათა, წესისამებრ, სამართლიანად გაუნაწილოს გასაჭირში ჩავარდნილ თავის შორეულ თანამოძმეებს.

„დაგეძებ და ვერ გპოულობ, მითხარ, სადა ხარ?“

არსაიდან ხმა, არსით ძახილი.

იხტიბარს არ იტეხს მარად გულგაუტეხელი რაინდი, ძებნას არა და არ წყვეტს. აბა, რისი დონ-კიხოტია, თუ მარცხს შეურიგდა და ფარ-ხმალი დაყარა? თუკი ოცნებებსა და მიზანს არ გამოედევნა ბოლომდე? ჰოდა, ეძებს, ეძებს ისევ ისე, თუმცა... უშედეგოდ.

განძის კვალი აღარა ჩანს: „ვერ ვნახე, დაკარგულიყო!“

სადა ხარ! სადა ხარ! სადა ხარ? — ვერ ისვენებს მაინც მწუხარე სახის რაინდი.

— არ არის, არ არის, არ არის!.. ვერ ჰპოვებ ვერასდროს, ვერასდროს!

უყურებს მელია გულუბრყვილო კეთილშობილ რაინდს და... იცინის, იცინის, კვდება სიცილით. გააფრინე ალალიო, რაც არ არი, არ არიო. აღარ არის, ბატონო, და ჰე!

— არის! — უცებ საიდანღაც დაიჭექა, ფეხბურთის ძველი კომენტატორივით, გახარებულმა ხმამ: — არის, არის, არის!

— ვიპოვეთ, ძია მაკარ, ვიპოვეთ!.. უცხოეთის ბანკებში ყოფილა გადამალული!..

აბა, მართლა შაურიანი ხომ არ იყო, შე კაცო, რომ

უკვალოდ გაუჩინარებულიყო!..

ჭეშმარიტად, არა არის რა დამალული, რაიც არ გაცხადდეს!

— ჩუმად, ჩუმად! არვინ გაგვიგოს!

არა. ძია მაკარი და მისი კინტოები კი არა, დღევანდელი კისერ და ჯიბეგასქელებული ძიები თუ მათი დამქაშები ტუჩებზე თითს აფარებენ ერთიმეორეს და განიავებულ-გაფლანგულ-მითვისებულ ფულებს ჩუმად ელაციცებიან:

— ფულები არის ჩვენი გამხარებელი!

— გამხარებელი! — მომხვეჭელ-მიმტაცებელ ამქართა უსტაბაშებს, ანუ მაქინაციათა „მაესტროებს“ ხმატკბილად ებანებიან რიგითი წევრები, ანუ წვრილფეხობა და ჩარჩ-მევახშეთა „მსოფლიო ასოციაცია თუ გაერთიანება“ — აგრეთვე!

„ფული. ფული. ბევრი ფული, მოპარული...“ — უცხოურ სიმღერას უცხოური კილოთი გაჰკივის ჩვენებური ჩიტირეკია მომღერალი.

...მილიონი სიხარული... მილიონი ბედნიერება... — ერთობ მოხშირებული შოუების კასკადებსა და ბარ-რესტორნების გრიალში განსაკუთრებით გამოირჩევა „გაიმასქნებული“ ფულითა და ნარკოტიკებით დაცენტრილ-დაშარაფებული ამქროსან-ჩინოსან-რანგოსანთა გუნდის მწყობრი გალობა! (ვა, მემღერება, ძმაო, და ვმღერი!.. აბა, ახლა აფხაზეთი და სამაჩაბლო და იქ დაღუპული ბიჭების თუ შიმშილით დახოცილთა ბედი მადარდეთ! მოყვასის სიყვარული არა, ჩემი...).

ამ მეთევზეს რაღა უნდა? რას დაეძებს? რა დაკარგვია? ზღვაზე წავიდეს, ურჩევნია („მონასტერში წადი, ოფელია!“) იქ ეძებოს, თუ მაინცდამაინც არ დაიშლის დაკარგული საუნჯე!

— იყო, ბატონო, იყო უკვე!

— მერე? იპოვა რამე?

— ბადე უსროლია და ბადეს ამოჰყოლია: ლუარსაბების, დარეჯანების, მეჯღანუაშვილების, მიკირტუმ გასპარ-

იჩების, ჯაყოების, მკლავაძეების, ძალაძეების, კვაჭების, ყვარყვარეების, შადიმანების, იესეების, თავგასული ბობოლების, ნაზირ-ვეზირების, ანუ დღევანდელი ტერმინოლოგიით — ოლიგარქების მთელი ლეგიონი ერთი-ორი ნაცარქექაითურთ!

— იფ, იფ!.. თევზი? ოქროს თევზი თუ დაიჭირა?

— იმე! ხაჭაპური ნი ხოჩიშ?.. რაც გინახავს, ვეღარ ნახავ, კნიაზ!

— მერედა, შენ რა გიხარია, შე უტვინოვ!.. კიდევ, კიდევ რა ამოჰყვაო ბადეს?

— კიდევ... მრავალგვარი და მრავალრიცხოვანი უცხოური თუ შინ გამომცხვარი სექტებიო, სხვადასხვა შეფერილობის, მყვირალა ლოზუნგებითა და დემაგოგიური ფრაზებით შემკული, ფუტურო და უმაქნისი ვითომ პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციების უთვალავი არმიაო, ურიცხვი დასავლეთუმეები და რუსეთუმეებიო, ცერეუისტები და სუკისტებიო, სექსომანიაკებიო, ჰომოსექსუალისტებიო, პროსტიტუტკებიო, ზოგ-ზოგი მოსყიდული ტელევიზიონისტებიო, ყვითელი, წითელი და ჭრელი პრესისტებიო, თვითმარქვია პრეზიდენტები და პრემიერ-მინისტრებიო, ამისტები და იმისტებიო, სხვადასხვა ყაიდის იზმისტებიო და კიდევ ვინ არა... „მე ის თამრო არა ვარ“ — ისიც!

ავსულებს, ალქაჯებს, ჯადოქრებს კი ჭიაკოკონა დაუნთიათ და აბრიალებულ ცეცხლში ყრიან წიგნებს — ძველსაც, ახალსაც („ვიდოდა მტრობა გესლით მავალი და სისინებდა ქვეწარმავალი“).

ესენი მარტოოდენ ერთმანეთს კი არა, სიტყვას კლავენ და უხარიათ, ბუქნაობენ, მალაყებს გადადიან.

— აუ, რა ააწყობს ფაჩიკოს გარმონივით დაწეწილ-დაშლილ ამ ქვეყანას — ოდესღაც „ღვთისმშობლის საუფლისწულოს“ რომ ეძახდნენ იმერ-ამერები!

— ნურც იფიქრებ! იქ, სადაც დღემდე არ მოუშლიათ „უჩ-

ემოდ ვით იმღერეთას“ გადაძახილები, სადაც სათითაოდ ყველა იჩემებს, პირველი ხმა მე მეკუთვნის ამ მრავალხმიან კაკაფონიაშიო, სადაც დიდი თუ პატარა, ახალგაზრდა თუ ხანდაზმული, ერთმანეთის მოძულე და მოქიშპე დასისტები თუ ამისტებ-იმისტები იქაჩებიან — არა მე და არა მეო — იქ საშველი არ იქნებაო!

„ჯვარს ეცვი თუ გინდა, საშველი არ არის, არ არის, არ არის!“

ჰე, ღმერთო ერთო, თავისუფლება — ძლივს რომ გვეღირსა ტანჯვით, სისხლით და ცრემლით („თავისუფლება სულს ისე მოსწყურდა“...) — ლამის ხელიდან გამოგვეცალოს!.. და არამხოლოდ გარეული მტრების წყალობით...

„ამათ ერთი პირი ჰქონებოდათ, ვერც არას უზამდნენ, ვერც სხვა მტერი წაართმევდა რასმე: ამათი საქმე ნიადაგ ასე ერთმანეთის მესისხლეობით გათავებულა და წამხდარა, მაგრამ ამ საქმეს (შუღლს და მტრობას) არც მოკლებიან და არც დაუშლიათ“, — უტყუარი, ზუსტი დიაგნოზი დაუსვამს მემატიანეს.

„აი მიზეზი, გულო ჩემო, აი მიზეზი!“

— ავადა ვარ, ავადა... — ძველებური ბაიათის კილოზე ეხმიანება უნუგეშო პოეტს დღევანდელი მისი დასნეულებული, უნიათო მემკვიდრე.

„ვინ მკითხულობს, ვინ დამეძებს... ცოცხალი ვარ, არ მოვმკვდარვარ... მოდი, ხმა გამეც!“

— ვა, კიდევ ცოცხალია, ტო?

— ვაჰ, დედას თქვენსას, ყოვებო... — გულს ასკდება სადღაც ხევხუვში ჩაჩეხილი დაჭრილი არწივი.

— ვისი სული გსურს?

— შენი სული მსურს... იმისიც, ამისიც, ყველასი.

„სულო ბოროტო, ვინ მოგიხმო ჩემად წინამძღვრად?!“

...ყვავილების... უკაცრავად... შეშლილების ქვეყანა ჩოქვით შემოვიარე, პირველობის ძებნაში თავზე გადაგიარეთ!

შეშლილი, შეშლილი, შეშლილი სამყარო!

— სადა ხარ, სადა ხარ, სადა ხარ! — არ ცხრება ღრმად პატივცემული და ღრმად მოხუცებული დიოგენე — შინაური თუ გარეშე ყივჩაღებისგან გაპარტახებულ და გავერანებულ ქვეყანაში, სადაც პავლე მოციქულისმიერი შეგონება — არა ემონო კერპს, ანუ მამონას— ტყვიით არის დაცხრილული.

— არ არის. არ არის. არ არის! — კვლავაც წყალს უწურავს მოხუცს ჩვენი მთა და მდელო, ერი და ბერი!

— წაი ახლა, ბოშო, შენ! დაბრუნდი შენს სახლში, უკაცრავად... კასრში. ამაოდ ნუ ირჯები, პატივცემულო! ჩვენ თვითონ მოვუვლით ჩვენს მამულს. აპა არა?

— სახლის... ოჰ, უკაცრავად... სოფლის შენებას რა უნდა? რა უნდა?

— კაი ბლომად ფული უნდა, ხომ უნდა? — კი უნდა!

— მერე იმ ფულს შოვნა უნდა? ხომ უნდა? — კი უნდა!

— პარლამეტნში „კრიშა“ უნდა? ხომ უნდა? — კი უნდა!

— კლანში ყოფნას გათვლა უნდა, ხომ უნდა? — კი უნდა!

— ორ-სამ სკამზე ჯდომა უნდა, ხომ უნდა? — კი უნდა!

— კაზინოში თამაშებს და საზღვარგარეთ ვოიაჟებს დოლარების დასტა ხომ უნდა?

— კი უნდა! აბა, არ უნდა?

— ვირთხაჭამიებს და მკვლელებს იმუნიტეტი ხომ უნდა?

— კი უნდა. აბა, არ უნდა?

— „უპლანობაც“ არ იქნება! კოკაინს კი... ბევრი უნდა! ხომ უნდა?

— კი უნდა!

— „გაიმასქნება“ ბიუჯეტს ხომ უნდა? — კი უნდა!

— „სათანადო ლიცენზიებს“ და კანონთა შესწორებას მხარის მიცემა ხომ უნდა?

— კი უნდა!

— პირველსა და მეორე ხმას მობანენი ხომ უნდა?

— კი უნდა. აბა, არ უნდა?

— ჰოდა, სოფლის... ოჰ, უკაცრავად... სახლის შენებას რა უნდა?

„ფული, ფული, ბევრი ფული, მოპარული“, — კვლავ იჭაჭება ჩვენებური მომღერალი.

— ვინ არის იგი, ვისაც ფული ერთხელ აეღოს და რაც აეღოს ერთხელ ნატვრით, ისი ეკმაროს? („ნახეთ თუ ოქრო რასა იქმს, კვერთხი ეშმაკთა ძირისა!“).

მაშ, რაღა არის ჩვენი ყოფა-წუთისოფელი?

„ხარ საწყაული აღუვსებელი... ვითღა აგავსო, მითხარ“!

— აი, მიზეზი, გულო ჩემო... აი, მიზეზი!

(„გული კრულია კაცისა, ხარბი და გაუძღომელი“).

— ბიძიებო... დეიდებო... დაგვეხმარეთ!

— იყიდეთ, შვილებო, ეს წიგნი, კაი წიგნია, გეხვეწებით! — იმუდარება მეტროში ცრემლნარევი ხმით საოცრად სიმპათიური, ბუნჩულა ბერიკაცი.

...იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ ჩქარა, იყიდეთ მალე, თორემ...

— ვაა! რა უნდა ვიყიდოთ, კაცო? დარჩა რამე?

— როგორ? მაშ, აღარაფერი დარჩა... საჩემოდ?

— შენ, ძმაო, კასრში, უკაცრავად, ჭურში ხომ არ ზიხარ?.. ორი მილიონი წლის წინანდელი კაცი რომ აღმოაჩინეს აგერ, ყურის ძირში, დმანისში, არ გაგიგია?

— მერე, რა შუაშია ეგა?

— შენ, ძმაო, აზრზე მოდი. მილიონი წელია თურმე იგლიჯება, იწეწება, იყიდება, ჩუქნიან... ჰოდა, რა უნდა დარჩენილიყო, შე ბემურაზო? აღარ არიო, ქეთომ დაგვაბარა — მევალეებს ვეღარ ავუვედითო, ფანტიაშვილის ქონება დაიფანტაო, ზოგი ჩალის ფასად გაიყიდაო — ზღვიან-ხმელეთიანადო. ასეა. ზღვა კოვზით დაილევაო. გათავდაო. ფაფუ! იყო და... აღარ არისო. მართლა შიოს მარანი ხომ არ გეგონათ, თქვე ბედოვლათებოო, თქვე უძღებო შვილებოო („შვილო, შვილო, შე ვირიშვილო!“).

პრივატიზაციაო? თუ „პრიხვატიზაციაო?“

— აუ ჩემი... რაღა მაინცდამაინც ჩემს ჯერზე გათავდა!

— საქართველოო ლამაზო, სხვა საქართველო სად არის? — გვამუნათებს მეტროში უსინათლო მომღერალი გოგონა.

— ჩემო ლამაზო სამშობლოვ, შენ კი გენაცვალე! — ეჯიბრება მას სიყვარულში მეორე — ოღონდ სხვა ცვლაში (მეტროში დაცულია კონკურენციის წესი!).

— რა გააწყალა ამ გოგომ გული? არა სმენია მაგას ბანგლადეშის, ზამბიის თუ პაპუას არსებობა?

— დეიდებო... ბიძიებო...

„დამპალა რაღაც დანემარკის სახელმწიფოში!“ — რუსთაველს დანიის პრინცის აჩრდილი ასდევნებია.

„ვაჰ, სოფელსა და მისთა მდგმურთა.
ბოროტებისა და სიცრუის ჭურთა,
უსაფუძვლოთა
მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“.

— ეგ ვინა თქვა?

— ალექსანდრე ჭავჭავაძემ, პოეტმა.

— ბიჭოს! ეგ კიდევ საიდან გამოტყვრა? ერთი ჭავჭავაძე ილია არ გვეყოფოდა, ლამის სული რომ ამოგვხადა ჩვენ, მსოფლიო მოქალაქეებს და კოსმოპოლიტიზმის მებაირახტრეებს თავისი ყავლაგასული, დრომოჭმული პატრიოტიზმით?.. რამდენჯერ მოვკალით და რო არ კვდება? ბოლობოლო, რა გააჭირეს საქმე ამ ჭავჭავაძეებმა და, საერთოდ, პოეტებმა და მწერლებმა? რატომ ვერ ეტევიან თავიანთ კანში? რა უნდათ? რას ეძებენ?

— ქვეყნის ჭირ-ვარამი აწუხებთ თურმე; ქვეყნის და ერის სატკივარი სტკივათ. საქართველოს, ქართველობას, ენას და სარწმუნოებას ექომაგებიან. მოკლედ, ეროვნულ იდეას იცავენ, რა! ასე ყოფილა ოდითგანვე და ასე გრძელდება დღემდე... სხვათა შორის, ამიტომაც ბევრ მათგანს კლავენ, ხოცავენ!..

— არამკითხე მოამბეო... ახია მაგათზე!.. მაგრამ... თავისას რომ მაინც არ იშლიან, კაცო?.. ისე, ვინა ჰკითხავს ამათ ქვეყნის ბედ-იღბალს? აგერ არა ვართ ჩვენ, ძლიერნი ამა სოფლისანი — ჩინიანი ჩინოსნები? ჩვენზე უკეთ ვინ იცის საქმის „გაიმასქნება?“.. ესენი ვინ მიგდიან? საიდან კნავიან, საიდან ჩხავიან?

„ჩვენ უჩინონი, ჩვენ უჩინონი, თქვენ ჩინიანთა ბუზად გგონივართ, იქიდან ვკნავით, სად თქვენის მადლით ხაფანგებქვეშე დამწყვდეული ვართ!“

— ჰოდა, იყავით მანდა! მაქანაა თქვენი ადგილი!.. არა, რითი ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ სხვა დროა ახლა!.. ახლა დემოკრატიაა! თავისუფლებაა! დამოუკიდებელი ქვეყანა ვართ!.. მართალია, ჩვენ დიდმოხელეებს და დიდჩინოვნიკებს ზოგ-ზოგი ოლიგარქებს და ვაზირებს გვეძახის, ზოგიც ქამელეონებს გვიწოდებს, ზოგი — მედროვე ყვარყვარეებს, მაგრამ ენას ხომ ძვალი არა აქვს! იყვირონ, რამდენიც უნდათ! მათი ხმა რჩება ხმად მღაღადებლისად უდაბნოსა შინა!..

მაშა! „ასე ვიცის ჯაყომა...“

— იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ მალე, თორემ...

— დაიჭირეს! დაიჭირეს! დაიჭირეს!

— ჰენდე! მა რა ეგონათ? სამართალმა პური ჭამა! არ შერჩათ ხალხის ნაოფლარ-ნაჯაფარი. ჰენდე!

— გამოუშვეს, გამოუშვეს, გამოუშვეს.

— ვინა, კაცო? ეს ქვეყნის მაოხრებელნი?

— არაო, მელა მატყუარაო, ამათ არ შეუჭამიათო.

— მა ვინაო?.. ბეღელი რომ გამოხრულია?

— ჯერ არ ვიცითო, ჯერ უცნობიაო. ესაო. ისაო. დამცველთა ლაშქარმა ხმალზე ხელი იკრაო, უდანაშაულობის პრეზუმფცია დაირღვაო, როგორ გეკადრებათო ცილისწამება!

— კი, მაგრამ... რო შეჭმულია? — არ იშლის თავისას აბეზარი არამკითხე.

— კი. დამნაშავეა, მარა... არ არის დამნაშავეო.

— ეგ სადაური სამართალიაო, კაცო?

— ჩვენებურიო.

— მაშ, ისიც ჩვენებური სამართალია, ღლავების ნაცვლად პატარა ლიფსიტებს რომ იჭერენ 14 ლარის მოპარვისთვის და სამ წელიწადს რო მიარჭობენ?

— აბა, როგორ! ნემსის ქურდი და აქლემის ქურდი ორივე ქურდიაო!

(„საქართველოვ, შენ ვინ მოგცა შვილი დასაკარგავი!“)

— სამართალი სამართალიაო, ბაბა (ოჰ, ჩვენო დაკარგულო და გადაკარგულო შვილებო!)!

— მაშ, ისიც სამართალია, კაცის მკვლელი, თანაც არა ერთის და ორის — პოლიტპატიმრობას რომ იბრალებდეს, გმირის სახელით საპატიმროში თავს იწონებდეს და პრესის და ტელევიზიის ვარსკვლავი ხდებოდეს?.. განა სამართალია, ყველა ჭაში აფურთხებდე და წმინდა აღარაფერი დარჩეს?

— რას ჩამაცივდით, კაცო?

რა გინდათ ჩემგან? მე ერთი მინისტრი ვარ, სხვა ხომ არაფერი? საქმე დაგელიათ? ჰოდა, თუ მასეა, წერეთ და იკითხეთ თვითონ, რამდენიც გსურთ. არ გაგიგიათ — ძაღლი ყეფს, ქარავანი მიდისო! თუ არ დაშოშმინდებით, ხომ იცით... სადმე კუთხეში ანდა სადარბაზოში... ძვირი არ ჯდებაო. სულ რაღაც ორმოცდაათი დოლარიც კმარაო. დამიჯერეთ, ასეა ეს, ბიძიებო. („არ დაიჯერებ, არ დაიჯერებ, ჩემო დოლარო, თუ ვით სატრფო ხარ!“).

— დრონი მეფობენო, ბაბაიებო! გაიგეთ! შეიგნეთ! დრონი და არა ჩვენ!

„ვაჰ, დრონი, დრონი, ნაგემნი მტკბარად“...

— დროთა კავშირი დაირღვა! — არ ისვენებს დანიის პრინცი და ისევ დაბორიალებს ქვეყნიერების კიდით კიდემდე.

„ვაჰ, სოფელო, რაშიგან ხარ, რას გვაბრუნებ, რა ზნე გჭირსა“...

„ოჰ, იტალიავ, შე მხევალო, ტანჯვის დილეგო... ოდესღაც ხალხთა მბრძანებელო, აწ საროსკიპო!“...

„ქართლის ჭირსა ვერვინ მოთვლის“...

„არა, თქვენ, სადიაცენო, რომ ძროხებივით სძღებითა“...

„არ მარადის იშვათ მდაბალთ ჩაგვრით, მტაცებლობით და ხვეჭით“...

„მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან, შვილნი სოფლისა“...

„ჩვენ გავიარეთ ლაბირინთები... თუ ქაოსიდან გზებზე გავედით“...

„და რაკი ერთად ვერ დავეტიეთ, როგორმე გზაზე თუ გავეტიეთ“...

„რომ გათენდება დილა მზიანი და ყოველ ბინდსა ის განანათლებს“...

საუკუნეთა სიღრმიდან იტალიელი და ქართველი პოეტების ამ გადაძახილში კვლავ ერთვება დანიის უფლისწული მარადიული კითხვით: ყოფნა, არყოფნა — საკითხავი აი, ეს არის!

...

„გულამოსკვნილი ვტიროდი, სადა ხარ, ჩემო სულიკო!“ — ფანების ისტერიკულ წივილ-კივილში როგორღაც გამოაღწია რადიოს ხმამ.

— აუ ჩემი... იშხნელები მინდა ახლა მე? „ჩაკრულო“ და „ხასანბეგურა“? ვინ არიან, კაცო, ესენი? გოიმები, ქაჯები... რა დროს ქართული მელოდიაა?.. ეს უცხოელი მომღერალიც რას გადაგვკიდებია? თურაშაულის პატრონი ტყეში დაეძებს პანტასაო. არ იცის ამ კაცმა, რომ.... ყველაფერი უცხოური გვირჩევნია ჩვენებურს? და, საერთოდ, თუ ძმა ხარ, რა დროს ქართულია?

„რის ქართველობა, რა ქართველობა, ვითამ რას გვავნებს უცხო ტომობა?“

გულამოსკვნილი ვტიროდი... წიქარავ და ნიკორავ.

ბოროტსა სძლია კეთილმან და... იყო და არა იყო რა!

„მართალი გაზეთი“, 2001 წ.

გაზ. „ლიტერატურული საქართველო“

2004 წ.

„დიდი ღაღადი ცრემლთა...“

ჩვენს ერს ახსოვს ქვეყნისთვის თავდადებულ მამულიშვილთა მრავალი დიდებული სახელი, „დუმილით რომ წამებენ და ხმამაღლა ქადაგებენ ღუაწლთა და შრომათა მათთა“. ახსოვს ბრწყინვალე გამარჯვებანი, ძლევანი საკვირველნი და ახსოვს აგრეთვე ღალატიც, მარცხიც, შურიც, გაუტანლობაც...

მე-13 საუკუნე. 1225 წელი.

ლაშა გიორგი სამი წლის გარდაცვლილია. სამეფო ტახტზე ზის მისი და, რუსუდანი.

უკან დარჩა „ოქროს ხანა“, დავითისა და თამარის ეპოქა. წინ გარნისია, დიდი ღამის დასაწყისი... თუმცა, გარეგნულად თითქოს ყველაფერი ძველებურად არის.

რუსუდანმა თამარ მეფესავით საბრძოლველად მოუხმო ამერთა და იმერთა და... „მოიღო დროშა სეფე და მოუწოდა ივანე ათაბაგსა და წარავლინა ბრძოლას სულტნისა მის ჯალალ-ედ-ინისა“. სამწუხაროდ, მსგავსება მოჩვენებითია — რუსუდანი არ არის თამარ მეფე. ივ. ჯავახიშვილის თქმით, მას სახელოვანი დედის მხოლოდ გარეგნობა გამოჰყვა; არც ივანე ათაბაგია დავით სოსლანი ანდა ზაქარია მხარგრძელი, ხოლო ომი, ქართველებმა რომ უნდა გადაიხადონ, არ იქნება ბადალი არც ბასიანის, არც შამქორისა და, მით უმეტეს, არც დიდგორისა.

ივანე ათაბაგს, უკვე მოხუცებულს, ჯარს რომ უნდა წარუძღვეს, ჯერ კიდევ ზაქარია მხარგრძელის სიკვდილის შემდეგ უბოძა თამარმა მისი ძმის სახელო — ამირსპასალარობა, მაგრამ, როგორც ცნობილია, ივანე მხარგრძელი არ დასჯერდა მხედართმთავრობას და თამარს ათაბაგობა გამოსთხოვა — ათაბაგობით პატივი მეციო. მართალია, საქართველოში „არ არს წესად და ხელად თქვენ მეფეთა წინაშე ათაბაგობა, რადგან სულტანთა წესი არს ათაბაგი, რომელ მამად და გამზრდელად მეფეთა და სულტანთა იწოდების“. ამისდა მიუხედავად, ივანე ითხოვს ათაბაგობას, „რომელი არა ყოფილიყო საქართველოს მეფეთა წინაშე და აქამდე არავის ბოძებოდა“, — როგორც გვაუწყებს მემატიანე.

... გარნისში ერთმანეთის პირისპირ დადგა ორი ძალა — მთელ წინა აზიასა და აღმოსავლეთში სახელგანთქმული ქვეყნის უძლეველი ლაშქარი და თავისი სამფლობელოდან დევნილი სულტნის — ჯალალ ედ-დინის ურიცხვი მეომარი.

ქართველებმა მოასწრეს და სტრატეგიულად მნიშვნელოვანი ბორცვი დაიკავეს. ჯარის წინამბრძოლობა, წესი-სამებრ, მესხებს — თორელებს, სახელოვან ძმებს შალვა და ივანე ახალციხელებს ხვდათ წილად. მოწინააღმდეგენი განლაგდნენ დაბლობში. მტერი, როგორც ყოველთვის, ბევრად სჭარბობდა ქართველებს. მაგრამ ჩვენებს გულადი ჯარის და გამოცდილი ამირსპასალარის იმედი აქვთ და სჯერათ გამარჯვებისა.

ომის დაწყების წინ მესხებმა კაცი აფრინეს ამირსპასალართან და ამცნეს: „დაახლოებულ ვართ სულტანსა და სპათა მისთა, და ჩუენ დიდად უმცირეს ვართ, და ომი ძლიერი წინა გვიც. წარმოიშალონ მხნეთა სპათა მეფისათა და სიმხნემამ შენმან“. სამგზის შეუთვალეს მესხებმა, მოგვეშველენითო, მაგრამ „ათაბაგი არა რას მიუგებდა“. მაშინ: „ხოლო ვინათაგანი წინამბრძოლნი თორელნი და უმეტეს ახალციხელნი შალვა და ივანე ახოვან იყვნეს და წყობათა შინა სახელოვანნი, არღარა რიდეს სიმრავლესა სულტნისა სპათასა, ვითა მხეცნი ზედა მიეტევნეს და იქმნეს ძლიერნი ომნი. მოსწყდა ორგნითვე ურიცხვი და ძლიერად ბრძოლობდეს შალვა და ივანე“...

გაგრძელდა ომი სასტიკი, ხოლო ივანე ათაბაგი და სპანი ქართველთა „ხედვიდეს ძლიერსა ომსა და არა შეიწყალებდეს თანამონათესავეთა და ერთსჯულთა... არამედ დგეს შორით, და არა ინება შველა ათაბაგმა“. ე.ი. მეწინავე რაზმი წყდება უთანასწორო ბრძოლაში, ამირსპასალარი მოვალეა, მიეშველოს, ჩართოს ომში მთავარი ძალები და ამით ომის ბედი

წაღმა შემოატრიალოს, მაგრამ... ამირსპასალარმა არ ინება ეს! არ ინება საკუთარი ჯარის გამარჯვება!

თითქოსდა წარმოუდგენელი ამბავია! მაგრამ... მივყვეთ ბრძოლის პერიპეტიებს: ძმებს ცხენები დაუხოცეს. ქვეითად დარჩენილნი მაინც თავგანწირულად იბრძოდნენ. ორივე მხრიდან მოისრნა ურიცხვი, განსაკუთრებით ბევრი დაიღუპნენ თორელნი. „ვითა შენივთდა ძლიერად ომი, ახლა ხრმალნი განტყდეს ახალციხელთანი. მხოლოდ ამის შემდეგ ივლტოდეს ქართველნი. ხოლო შალვა შეიპყრეს მტრებმა. ივანე გარნისის კლდეთა შელტოვილი ნატყორცნი ქვით მოიკლა“.

შალვა ახალციხელი ჯალალ-ედ-დინს მიჰგვარეს. სულთანს მოეწონა გმირის ახოვანება და მამაცობა, დიდი პატივით მოეპყრა და მიანიჭა ქალაქნი ადარბადაგისანი, მაგრამ ეს იყო, ცხადია, მოჩვენებითი პატივი. სულ მალე სულთანმა შალვას სჯულის დატოვება მოსთხოვა, სამაგიეროდ „უქადებდა ნიჭთა და პატივთა უმეტესთა“. შალვა ახალციხელმა ამა სოფლის წუთიერი დიდება არად ჩააგდო. „სულთანი კვლავაც ლიქნიდა და ეტყოდა უარყოფასა ქრისტესსა“. შალვა ისევ უარზე იყო: „მტკიცედ ეგო სარწმუნოებასა ზედა“. ბოლოს, სულთნის ბრძანებით, რაკი საწადელს ვერ მიაღწია, საშინელი ტანჯვით ამოხადეს სული და „წმინდა შალვა წამების გვირგვინით იდიდა“.

მაგრამ დავუბრუნდეთ ისევ იმ საბედისწერო ეპიზოდს, როცა ივანე ათაბაგმა არ ინება მიშველება მტერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ჩაბმული თავისი მეწინავე რაზმისა. დიახ. იხოცებიან საუკეთესო მებრძოლები, უზომო სისხლი იღვრება თანამოძმეთა, ამირსპასალარს ძალუძს და მოვალეც არის, მიეხმაროს წინამბრძოლებს და... ადგილიდან არ იძვრის. ალბათ, „იმედოვნებს“, მესხების დამარცხებით არაფერი დაუშავდება სამეფო სპას და მთლიანად ქვეყანასო.

რა მიზეზით შეიძლებოდა მომხდარიყო ასეთი საოცარი, მანამდე გაუგონარი ღალატი? „შურითა იტყვიან ამას ყოფად

და არა თუ შიშითა“, — გვამცნობს ჟამთააღმწერელი. ძმების სახელოვნება შურით აღავსებდა თურმე მთავარსარდალს და ამიტომ ყო ესე ყოველიო. და მერე გულიდან აღმომსკდარ მოთქმა-გოდებასავით გაისმის მემატიანის სიტყვები: „ჰოი, შური, ყოველთა ბოროტთა დასაბამი და ძვირად მომწყუედელი ნათესავისი კაცთასა და ყოველთა ნათესავთა მწყეველი... და კუალად ამათსა უბოროტესი უგბილი და ულმობელი საქართველოსი სრულიადი მოსპოლვა“.

სწორედ რომ „სრულიადი მოსპოლვად“ დაუჯდა საქართველოს ივანე ათაბაგის ეს საშინელი ღალატი ან, თუ გნებავთ, ყოყმანი... დაუდევრობა...

ჩვენთვის, მეოცე საუკუნის ქართველებისთვის, დროთა სიშორიდან რომ ვუყურებთ ამ და მსგავს მოვლენებს, თითქოს მოულოდნელი არ უნდა იყოს ასეთი ამბები. მაგრამ იმ ეპოქისთვის, ჟამთააღმწერლისთვის იგი თავზარდამცემი და გამაოგნებელი გახლდათ უთუოდ, რადგან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ: „აქამდე აროდეს ძველთა სადმე წიგნთა მიერ სმენილ არს“.

გარნისთან გამარჯვებით გალაღებულმა ჯალალ-ედ-დინმა მალე თბილისიც აიღო (თბილისიც ხომ ასევე ღალატით დაეცა!). დამპყრობელმა ისეთი ჯოჯოხეთი დაატრიალა ქალაქში, რომლის მსგავსი მას მანამდე არ მოსწრებია, თვით არაბების ბატონობის დროსაც. ჯალალ-ედ-დინის ურდომ მძვინვარედ იწყო მოსახლეობის მოსვრა: დედებს ჩვილებს სტაცებდნენ ხელიდან და მათ თვალწინ ქვებზე ანარცხებდნენ, მერე დედებსაც დაუნდობლად ხოცავდნენ, ჭაბუკებს ასო-ასო კუწავდნენ, ბერებს ქუჩებში ცხენებით სთრგუნავდნენ. ქალაქში სისხლის მდინარეები დიოდა, ერთმანეთში იყო არეული კაცთა, ქალთა, ჩვილთა, ბერთა ტვინი და თმა, ადამიანების ნაწლავები, მოკვეთილი თავები... „ყვირილთა და ძახილთა და ვაებათა საზარელთა ხმათაგან იძვროდა ქალაქი... ჰო, სალმობიერი ღაღადი და დიდი ღაღადი ცრემლთა!“ — გოდებს ჟამთააღმ-

წერელი. სწორედ მაშინ მოხადეს გუმბათი სიონის ტაძარს და ზედ ტახტი დადგეს, რათა იქიდან უკეთ ემზირა მტარვალ სულთანს თუ როგორ ხოცავდნენ თბილისის მშვიდობიან მოქალაქეებს. სწორედ მაშინ გაწყდა ასიათასამდე თბილისელი, რომელთაც არ შეურაცხყვეს ჯვარი და ხატი, ანუ უარი არ თქვეს ქართველობაზე. თბილისში დატრიალებული ტრაგედია იმდენად შემზარავი ყოფილა, რომ, მემატიანის თქმით: „... არა შემინდობს ტკივილი გულისა მოხსენებად თუ ვითარ იქმნეს ხუარაზმელნი შინაგან ქალაქსა. ვინ მე უძლოსა მაშინდელთა თქმულთა და ქმნილთა და განსაცდელთა, რომელი მოიწია ქრისტიანთა ზედა! აქა მეგულების დადუმებად, რომელ სალმობიერსა მიუთხრობ ტკივილთა გულისათა“!

ამ ვრცელ ამონარიდს ჟამთააღმწერელს იმიტომ დავესესხე, მკითხველისთვის თვალნათელი ყოფილიყო, ბოროტების არსი რომ უცვლელია — მე-13 საუკუნე იქნება ეს თუ მე-20, რომ ბარბაროსობას, ვანდალიზმს წელთაღრიცხვა და საზღვარი არ გააჩნია, რომ ძველი თუ ახალი დროის მტარვალნი თავისი ბუნებით ერთარსნი, ერთმანეთისგან განუყოფელნი არიან — მიუხედავად წარმომავლობისა, ადგილისა თუ მასშტაბისა. მსგავსი საზარელი ხოცვა-ჟლეტა მშვიდობიანი, უდანაშაულო მოსახლეობისა ხომ სულ აგერ, ჩვენ თვალწინ მოხდა გაგრაში, სოხუმსა თუ გალში მხოლოდ იმ მიზეზით, რომ მსხვერპლნი ქართველები იყვნენ! ყველაზე საშინელი მაინც ის გახლავთ, რომ მომხდურნი ყოველთვის ცდილობდნენ, ჩვენივე ხელით დავემარცხებინეთ, ანუ ციხე შიგნიდან გაეტეხათ, და უმეტეს შემთხვევაში აღწევდნენ კიდეც მიზანს, ჩვენდა სავალალოდ და სამწუხაროდ. ვინაიდან ჩვენი ისტორიული სენი — შადიმანობა, ზურგში მახვილის ჩაცემა და პირველობის ჟინი, ანუ „უჩემოდ ვით იმღერეთა“ ვერა და ვერ მოგვიშლია დღემდე. ამ მხრივ „კლასიკური“ მაგალითი გახლავთ კრწანისის ომიც. გმირ მეფე ერეკლეს, რომელმაც ხუთი ათასი კაცი ძლივს გამოიყვანა საომრად, ორი ამდენი ჩასაფრებული ჰყავდა და

უცდიდნენ, როდის დამარცხდებოდა კახთა ბატონი და „ქართლის მამინაცვალი“, ანუ ქართლის ტახტის „უზურპატორი“, რომ თავად ჩაეგდოთ ხელში ძალაუფლება, ხოლო ის გარემოება, თბილისის მოსახლეობა, ხუთი ათასი რჩეული ვაჟკაცი — გმირი სამასი არაგველის ჩათვლით და, საერთოდ, მთელი ქვეყანა რომ შეეწირებოდა მათ უგუნურ, ბრიყვულ პოლიტიკას, მათ პატივმოყვარეობას — სულაც არ ადარდებდა არც ერთ მათგანს. ანდა რას დაგიდევენ ეს ვითომცდა „კანონიერების“ დამცველნი, ერის „მოჭირნახულენი“ იმას, რომ მოხუცი ერეკლეს დამარცხებით მარცხდებოდა მათთვის პირადად ესოდენ საძულველი პიროვნება კი არა მხოლოდ, არც მარტოოდენ ქართლ-კახეთი, არამედ სრულიად საქართველო; რომ თბილისის დარბევით, მისი მოსახლეობის გაჟლეტით გულს აცლიდნენ მთელ ქვეყანას.

დიახ, გარნისთან დამარცხებაც ძვირად დაუჯდა არა მარტო თბილისს და აღმოსავლეთ საქართველოს, არამედ მთელ ქვეყანას, სრულიად საქართველოს! ამ დამარცხებამ საბედისწერო როლი ითამაშა მონღოლების წამლეკავი შემოსევის წინ.

როგორც აღვნიშნეთ, ჟამთააღმწერელი ცდილობს, ახსნას ამ დიდი ტრაგედიის მიზეზ-სათავე. შურის გარდა, მას მიაჩნია, რომ „ქართველნი განძღეს და იშვებდეს და უწესობად მიდრკეს სიძვათა შინა და მთვრალობათა უგუნურნი კაცნი, მეფის კარსა ზედა არა-ყოფისა ღირსნი და ამ კარსა ზედა მყოფნი“. ე. ი. სამეფო კარზე თანამდებობანი ხელში ჩაუგდიათ უღირს პირებს. რაკიღა თამარ მეფის მიერ „უშფოთველად და წყნარობით“ დანატოვარ სამეფოს ყოველნი მახლობელნი და ყმადნაფიცნი მოხარკედ შეექმნენ, რაკიღა მოწინააღმდეგე არავინ ეგულებოდათ, ლაშა გიორგი და სამეფო კარი „უმეტეს ამისთვის გალაღებულ იქმნა“, დღედაღამ ლხინობდნენ, სვამდნენ, მღეროდნენ, ნადირობდნენ „დედათა უწესოთა თანა აღრევითა“-ო. დავით აღმაშენებლის მემატიანემ იცის, რომ, რაჟამს ქართველნი განდიდდებიან, განსუქდებიან,

დიდებას პოვებენ, ეძლევიან განსვენებას, იწყებენ ბოროტის განზრახვას, ხოლო, ვინაიდან ბუნება ქართველთა თურმე „ორგულ არს პირველითგანვე თვისთა უფალთა“, დავით აღმაშენებელმა, ისევე როგორც თამარმა, „არასოდეს მოაცალა ამისად განზრახვად ანუ განსუენებად, ან შეკრბად და ქმნად რასამე ესევითარსა“. თავად დავითი სხვას ხომ არ აძლევდა საშუალებას განსვენებისთვის, თვითონაც არ იცოდა ძილი და მოსვენებაო. არ იცოდა, რა იყო ნებივრობა, სიამოვნება ხორცთა, „არც სასმელ-საჭმელთა, არც სიმღერა-სიღოდათა... არარა ხორციელთა შეაკრა გონება, განა საღმრთოთა და სასულიეროთა ყოველთა დასრულებად უდებებად მზიდველთა ნებისათა“. ამიტომაც ჰქონდა ესოდენი ძლევანიო, ასკვნის მემატიანე. ანდა, როგორ შექმნიდა ესოდენ ძლიერ სამეფოს: „ნუუკვე ძილითა ანუ ადგილთა მწვანილოვანთა ზედა მოსმურობითა და განცხრომითა და მაჩუკნებელთა საქმეთა შემდგომითა? არა, ესრეთ არა!“ მემატიანის პათეტიზმი გასაგებია, მაგრამ საგულისხმო ის გახლავთ, რომ იგი თითქოს წინასწარ ჭვრეტს, რა მოელის ქვეყანას, როცა ასეთი მმართველი არ ეყოლება.

დავითის და თამარის საქართველო, „ნიკოფსიით დარუბანდამდის“ გადაჭიმული, თავის დროისთვის არცთუ მცირერიცხოვანი მოსახლეობით, მარტოოდენ სამხედრო უძლეველობით, პოლიტიკური და ეკონომიკური სიძლიერით როდი იყო გამორჩეული — იგი თავისი სულიერი კულტურით, სახარებისეული ზნეობითა და მორალით იდგა უმაღლეს დონეზე და ეს, უწინარესად, განპირობებული იყო ქვეყნის საჭეთმყრობელთა ქრისტიანული ზნესრულობითა და დიდბუნებოვნებით.

სულ სხვა სურათს ვხედავთ ლაშა გიორგის და რუსუდანის დროს. შესაძლოა, ჟამთააღმწერელი ერთობ მრუდედ ხატავს იმდროინდელ ვითარებას, შესაძლოა, მისი შეფასებანიც მეტისმეტად მკაცრი იყოს, როგორც ფიქრობს ზოგი მკვლევარი, მაგრამ ჟამთააღმწერლისთვის უმთავრესია, რომ ჩვენი ცოდვების გამო განვიწირენით ღმრთისა მიერ, დავივიწყეთ ღმერთი და „ღმერთმაცა სამართლად დაგვივიწყა ჩვენ“ და ამიტომაც: „ვინ გამოთქვა თითოეულად, რომელი დღეთა ჩვენთა მოიწია ჭირი“.

არის რაღაც ბედისწერისეული, განგებისმიერი იმ ამბავშიც, რომ თამარის ვაჟის, ლაშა გიორგის აღმზრდელად ივანე ათაბაგი გვევლინება, ხოლო დავით აღმაშენებლის სულიერი მამა და მისთა საქმეთა თანამზრახველი დიდი გიორგი ჭყონდიდელია!

ლაშა გიორგი პიროვნულად, დიახაც, საინტერესო ფიგურაა ჩვენი მეფეების გალერეაში: „იყო ტანითა ძლიერი, მხნედ მოისარი, ნადიმობათა შინა მოსწრაფე, ლაღი და თვითბუნება“, პიროვნება, რომელიც „მონისაცა ერთისა მათრახის არდამკვრელი“ ყოფილა. იგი რენესანსული სულის მატარებელი ჩანს თავისი ღირსებითა თუ ნაკლით. ლაშას პიროვნების შეფასებაში არის განსხვავებული აზრი, სრულიად საპირისპირო ჟამთააღმწერლის პოზიციისა. ივანე ბატონიშვილის „ისტორია ქართლისაში“, რომელიც 1911 წლიდან არის ცნობილი, სულ სხვანაირად, ჟამთააღმწერლისგან განსხვავებულად არის აღწერილი ლაშა გიორგის დაქორწინების, თვალის დაკარგვის ამბებიც. უცნობ წყაროზე დაყრდნობით იოანე ბატონიშვილი ერთობ მიმზიდველ სახეს წარმოაჩენს ლაშა გიორგისა, მაგრამ, ასეა თუ ისეა, ჟამთააღმწერელია მართალი თუ უცნობი წყარო, ერთი რამ თვალნათლად ჩანს: დავით აღმაშენებლის დროს იწყება საქართველოს აღზევება და განდიდება, ლაშა გიორგის დროს კი მისი დაცემა და დაკნინება. დავით აღმაშენებელი თავის უპირველეს მოვალეობად და ცხოვრების დანიშნულებად მიიჩნევდა ქვეყნისა და ერისთვის თავდადებას, ხალხზე ფიქრსა და ზრუნვაში ათენაღამებდა, ხმალჩაუგებლად იბრძოდა და იღვწოდა ქვეყნის საკეთილდღეოდ, ხოლო მის შორეულ შთამომავალს, ჟამთა-

აღმწერლის თქმით, ვიღაც ვიგინდარამ თვალი წამოსთხარა ღრეობისას. დავით აღმაშენებელმა და თამარმაც ქვეყნისა და ერისთვის ბევრი რამ პირადული დათმეს, ლაშა გიორგიმ კი თავის პირადულ გრძნობას ანაცვალა სამეფოს ინტერესები: მან თავის ქვეშევრდომს ცოლი წაართვა და ამით უზნეობის მაგალითი მისცა ერს. ქართულმა ეკლესიამ, ჟამთააღმწერლის თქმით, დაგმო მეფის უკადრისი საქციელი და ნება არ დართო, ექორწინა თავისი ცოცხალი ქვეშევრდომის მეუღლესთან, რამეთუ „ქორწილ წმიდა არს და საწოლი შეუგინებელ,ხოლომსიძავნიდამემრუშენისაჯნესღმერთმან“.

დავით მეფე ჩახედული იყო არა მარტო ახლომახლო ქვეყნების, არამედ შორეული სახელმწიფოების შინაურ თუ საგარეო საქმეებში, მაშინ, როდესაც ლაშა გიორგისდროინდელ სამეფო კარს „გამოეპარა“ ისეთი მოვლენები, რაც ახლო აღმოსავლეთში მონღოლების გამოჩენას მოჰყვა და რაც შემდგომში ესოდენ ტრაგიკული აღმოჩნდა საქართველოსთვის.

უფრო საკვირველი კიდევ ის გახლავთ, რომ მონღოლებთან პირველი შეტაკებისა და მწარე მარცხის შემდეგაც ქართულ სამეფო კარს თითქოს ყური არ შეუბერტყავს — მან ვერ გაიაზრა ის საშინელება, რაც საქართველოს ემუქრებოდა მონღოლების სახით.

ამდენად, გარნისის ტრაგედია სავსებით კანონზომიერად გამოიყურება ყოველივე იმის ფონზე, რაც მაშინ ხდებოდა საქართველოში და, კერძოდ, მის სამეფო კარზე.

***

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა სისხლში გაგიხამებია“, — ამ სიმღერას, უფრო სწორად, დატირებას, აგერ, უკვე მერვე საუკუნეა, ომახიანად მღერის ხალხი, მღერის, რადგან წმინდა შალვამ და მისმა თანამებრძოლებმა გმირულად შესწირეს თავი საქართველოს თავისუფლებას და ისინი დღესაც მაგალითს გვაძლევენ იმისა, თუ რა არის ჭეშმარიტი გმირობა, რა არის ზნესრულობა და ზნეკეთილობა იმ ფარსის ფონზე, როცა

უზნეობა, პირადი სურვილებისა და მიზნების უპირატესობა, ღალატი, ფსევდოპატრიოტიზმი და ფარისევლობა, შურიანობა და სიმხდალე მავანთა, ლამის არის, ზნეობრივ გმირობად მოინათლოს.

საუკუნეთა სიღრმიდან წმინდა შალვა თორელის სული, მისი შავლეგო ბიჭები თითქოს გვაფხიზლებენ და ზარს არისხებენ: გონს მოეგეთ, თანამოძმენო! ნუღარ განარისხებთ კვლავაც ღმერთს, რამეთუ იგი გულთამხილავია და უწყის, ვინ რითი სუნთქავს, ვის რა ზრახვა უდევს გულში, ვინ ინიღბება ერის სიყვარულითა და ვის ნამდვილად, წრფელად, უანგაროდ შესტკივა გული თავისი ქვეყნისთვის, ვინ თავის ციდამტკავლურ, პიროვნულ ინტერესებს ანაცვალებს ქვეყნის ბედს.

„შავლეგ, შენი შავი ჩოხა, სისხლში გაგიხამებია, მტერთან ბრძოლა გიხდებოდა, მაშველი არ გჭირდებოდა“...

გულისშემძვრელად არის ნათქვამი: მაშველი არ გჭირდებოდაო. არადა, სჭირდებოდა და მერე როგორ! მაგრამ ასეთ ომში წაგება ერის მიერ უფრო გმირის პიროვნულ დამარცხებად აღიქმება და არა ვინმეს ღალატის შედეგად, რადგან ამგვარ ომში ღალატი — მაშველის არმიშველება — წარმოუდგენელი ჩანდა ქართველი კაცის ბუნებისთვის. მერე და მერე, ქვეყნის დაცემისა და დაკნინების კვალობაზე ბევრი რამ მწარე და საშინელი სინამდვილედ იქცა და მაინც... ზნეობრივი გმირობის საზომი არ შეცვლილა, თუმც კი, იქნებ რამდენადმე შეილახა.

„შავლეგოს“ დღესაც მღერის ქართველი და იგი ლამის არაოფიციალურ ჰიმნადაც იქცეს, თუმცა, შესაძლოა, ბევრმა არც იცოდეს, რომ ეს სიმღერა რეკვიემია შალვა ახალციხელის და მრავალი სხვა უცნობი ვაჟკაცისა, გარნისის ომში რომ დაეცნენ გმირული სიკვდილით; რომ იგი მართლაც სადიდებელი ხოტბაა იმ მამულიშვილებისა: „წამების გვირგვინით რომ იდიდნენ.“

გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“
1998 წ.

***

„როგორ გევხარ შენს საქართველოს ციალა არდაშელია!.. ნეტაი კაცი ყოფილიყავი – ან მე ვიქნებოდი შენი სარდალი, ან მეყოლებოდი სარდლად ამ გაუთავებელ სამშობლოს ომში“.

ზურა ქაფიანიძე, 1996 წ.

„ქალბატონმა ციალა არდაშელიემ შესძლო უნიჭიერესი მწერლის სახელის მოპოვება –წინაპრებისგან ბოძებულმა ტალანტმა თავისი გაიტანა.

–ქალბატონ ციალა არდაშელიას – ნიჭით მძიმედ დატვირთულ მწერალსა და ბრწყინვალე მამულიშვილს მომავალ გამარჯვებებს ვუსურვებ.

უღრმესი პატივისცემითა და სიყვარულით –

ჭაბუა ამირეჯიბი, თბილისი, 2010 წ.

„... ციალა არდაშელიას მხატვრულ ნაწარმოებებს თუ პუბლიცისტიკას დედო–დვრიტად მშობელი ხალხის უსაზღვრო სიყვარულის გრძნობა უდევს. სხვაგვარად წარმოუდგენელიც იყო: ვინც ქ–ნ ციალას პირადად იცნობს, დამეთანხმება, რომ მას, როგორც მებრძოლ შემოქმედს, პატრიოტ ქალს – საქვეყნო საფიქრალი ერთი წუთითაც არ განელებია... უკეთურობასთან, გლობალურ უზნეობასთან ღია დაპირისპირების გამო – ღიადვე უნდა ითქვას – ქ–ნ ციალა არდაშელიას ყოფნა–არყოფნის (ფიზიკური და შემოქმედებითაც) ბედის სასწორზე არაერთგზის ყოფილა დადებული... თუ დღეს ქართველ მწერალთაგან მართლაც ვინმე ცდილობს მშობელი ერის ბედისა და უბედობის პრობლემისეულ სიღრმეში წვდომას, მათ შორის უეჭველად ქ–ნ ც. არდაშელია უნდა დასახელდეს. სამწუხაროდ, მცირე ტირაჟის გამო, ვეჭვობ, რომ ქ–ნი ციალა არდაშელიას წიგნებმა ფართო მკითხველამდე გზა გაიკვლიოს, რაც ჩვენი დღევანდელი დუხჭირი ყოფიერების თანამდევია...

გურამ ბედოშვილი, 2002 წ.

„... რთული იდეოლოგიური ჭიდილის დროს, ნიჰილიზმისა და გლობალიზმის მოძალებისას, განსაკუთრებული ფასი

ედება ჭეშმარიტი ესთეტიკურ–ეთიკური ღირებულებების დაცვას, მწერლის იმგვარ მსოფლმხედველობრივ პოზიციას, იმგვარ ნაწარმოებებს, მკითხველს რომ ნდობით განაწყობს ადამიანისადმი, სიკეთისა და სამართლიანობის გრძნობებს გაუღვივებს გულში, ადამიანს ღვთიურ–ადამიანური საწყისის გამარჯვების რწმენას ჩაუნერგავს. სწორედ ამგვარი მსოფლმხედველობრივი პოზიცია არის გამოხატული ციალა არდაშელიას როგორც მხატვრულ, ისე პუბლიცისტურ ქმნილებებში“.

თენგიზ ჩხაიძე

„... ციალა არდაშელია იმ ჭეშმარიტი მწერლების რიცხვს ეკუთვნის – დინჯად, საფუძვლიანად, ღირსების გრძნობით რომ იღვწვიან და უდავო ნიჭით, პატიოსნებით, პრინციპული პოზიციით გამოირჩევიან, იგი კიდევ ერთი ნათელი მაგალითია იმისა, როგორ უხმაუროდ უნდა საქმიანობდეს ნამდვილი მწერალი, როგორ უნდა უყვარდეს საკუთარი მოწოდება და ერის მოსაწონებელ ნაწარმოებებს ქმნიდეს“...

ნუგზარ წერეთელი, 2000 წ.

„... ციალა არდაშელიას ნაწარმოებების წაკითხვის შემდეგ ეროვნული სიამაყე გაორკეცდება, ასევე პასუხისმგებლობის გრძნობაც, გინდა მეტი იშრომო, გწადია, უფრო კარგი იყო, გსურს – ღმერთთან სიახლოვე. მაშასადამე, მიზანი – მიღწეულია. მწერლის ნაწარმოების დანიშნულებაც ხომ ადამიანის გაკეთილშობილებაა...

გასავ (აკაკი)გასვიანი

„მწერალს ისტორიის ყველა დეტალის ცოდნას ვერ მოსთხოვ. მიუხედავად ამისა, ქალბატონი ციალა არდაშელია ბევრ ისტორიკოსს არ ჩამოუვარდება ფაქტების ანალიზის უნარით. უპირველეს ყოვლისა, მისი ისტორიული ნარკვევების ღირსებად მიმაჩნია ჩვენი ერის მდიდარი წარსულის მაღალმხატვრულ დონეზე წარმოსახვა, წარსულის

თანამედროვეობასთან დაკავშირება და ერის გამთლიანებისკენ სწრაფვის წყურვილი, რაც ქვეყნის ძლიერებისა და ბედნიერი მომავლის უცილო პირობაა“.

თეიმურაზ მიბჩუანი, 1998 წ.

„მწერლობის ჯადოქრული ძალა იმაში მდგომარეობს, რომ მშრალი თარიღებიდან გამოჰკვეთოს, გამოძერწოს მისი ნამდვილი სახე... ხშირად, როდესაც შორეული წარსულის გაცოცხლებას ვცდილობთ, ხელში ჩაგვაკვდება ხოლმე ის, რაზედაც ნაწარმოების უმთავრესს ვაგებთ. ციალა არდაშელიას წარსულიდან ფერფლი და ნაცარი კი არ გამოაქვს, არამედ ცეცხლი, რომელიც გამიზნულია გაცივებულ გულთა გასათბობად“.

ერეკლე საღლიანი

„...პატრიოტიზმი და ქართული ცნობიერების გაღვიძება – აი, რა არის მწერლის შემოქმედების მთავარი მამოძრავებელი ძალა. ციალა არდაშელიას პუბლიცისტური წერილების თემატიკა – შეუზღუდავია. თხრობის მანერა – ლაკონური. სტილი – ეფექტური. ნებისმიერი მათგანი – ღრმა შინაარსისაა... შეუძლებელია არ აღინიშნოს მწერალი წერისას – ბოლომდე იხარჯება. ალბათ, ამიტომაც არის, მისი წერილები ერთი ამოსუნთქვით რომ იკითხება...

ეკა ჩილაჩავა

„... ისეთი შემოქმედნი, როგორიც ციალა არდაშელიაა, ანთებულ სანთელს ჰგვანან, აი ასე – ერთისგან რომ აინთება მეორე, მესამე და უამრავი სანთელი აალდება. ასეთი ადამიანები თავისი ცხოვრებით მინდვრის ყვავილებს მაგონებს... დიდება შენდა ღმერთო, რომ ხარობენ ბალახები და მინდვრის ყვავილები.

გუგული ტოგონიძე

სარჩევი

მთიებთა სამაია (შესავალი) 5
მზე დედაა ჩემი, მთვარე — მამა ჩემი 6
ამორძალები 25
დედაკაცი ესე... ორბი დედალი 40
საყდარი გელათისთანა 61
ქეთევან დიდი სახელით 106
რად ასე მწუხარებ, სულო ჩემო, რად ასე მწუხარებ? 166
წუთისოფლის მორევი 223
ქართული ფენომენის წახნაგები 258
უბედური ქვეყნის ყმა 289

წერილები

„არ გათეთრდების ყორანი“ 305
ავს თუ ავი არ უწოდო 319
ესე ამბავი მგლისა და კრავისა, ანუ „მგელკრავიანა“ 328
უძლური ჭირისუფალი 339
ვისაც როგორ უღირს ერის სიმბოლო, ისე ექცევა 346
ძე - შეცთომილი 352
„როდემდე, კატილინა?“ 378
კ„ეისარს — კეისრისა“ 396
„გულამოსკვნილი ვტიროდი“ 411
„დიდი ღაღადი ცრემლთა“ 422

კომპ. უზრუნველყოფა თამარ სტეფნაძე

გამომცემლობა „მერიდიანი“,
ალ. ყაზბეგის გამზ. №47
E – mail: meridiani777@gmail.com ტ. 239-15-22